

იროდიონ სურგულაძე

# ხელისუფლება და სამართალი

თბილისი  
2002

ირ. სურგულაძის წიგნის "ხელისუფლება და სამართალი", ქართული თარგმანი მომზადდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და პროცესის განყოფილებაში

გერმანულიდან თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო *ოთარ გამყრელიძემ*

წიგნის ქართულ ტექსტთან ერთად, ვაქვეყნებთ ირ. სურგულაძის პასუხს გ. ნანეიშვილის პოლემიკურ წერილზე, აგრეთვე მისსავე სადოქტორო დისერტაციის თემისებს და დასკვნას გ. ნანეიშვილის დისერტაციაზე, რომელიც პირველად ქვეყნდება

თარგმანის რედაქტორია *გიორგი ხუბუა*

წიგნის მომზადებაში მონაწილეობისათვის მადლობას ვუხდით ვია გეწაძეს, ირაკლ სესიაშვილსა და ნინო სუქნიძეს



აიწყო და დაკაბადონდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ავლევის ქ. 21  
თბილისი 380001, საქართველო  
(+995 32) 93 61 01  
ტირაჟი 1000 ცალი

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და გამოხატავს მხოლოდ ავტორის შეხედულებებს. აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გაერცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© 2002. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

© 2002. ლამაზა სურგულაძე

ISBN 99928-818-5-2

## შინაარსი

იროდიონ სურგულაძე და მისი ნიგნი "ხელისუფლება და საგარტალი"	4
ხელისუფლება და საგარტალი; სადოქტორო დისერტაციის თეზისები	35
ხელისუფლება და საგარტალი	41
წინასიტყვაობა	43
შესავალი	44
პირველი მონაკვეთი	56
მეორე მონაკვეთი	108
იურიდიული გეთოდოლოგიისთვის აასუქი გ. ნანიშვილს	190
დასკვნა გ. ნანიშვილის სადისერტაციოდ წარმოდგენილ ნაშრომზედ "საგარტლის ნამდვილოა და ცდა წორმატიული ფაქტების დასაბუთებისა"	213
GEWALT UND RECHT	245
Vorwort	247
Einleitung	248
I. Abschnitt	262
II. Abschnitt	316

## იროდიონ სურგულაძე და მისი ნიჭი “ხელისუფლება და სამართალი”

იროდიონ აპოლონის ძე სურგულაძე დაიბადა რაჭვის მაზრის სოფელ ხვანჭკარაში 1893 წ. 16 მაისს. მამამისი სოფლის მღვდელი იყო. დაწყებითი განათლება მომავალმა მეცნიერმა მიიღო სოფლის ორკლასიან სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. თავის ავტობიოგრაფიაში ირ. სურგულაძე აღნიშნავს, რომ ქუთაისის სასწავლებელში სწავლის ფულს მიგზავნიდა ბიძაჩემი (დედის ძმა), რომელიც უცოლშვილო იყო.

ქუთაისიდან ირ. სურგულაძე თბილისის სასულიერო სემინარიაში გადასულა. თბილისში საცხოვრებელ ფულს იგი ნაწილობრივ თვითონ შოულობდა კერძო გაკვეთილების მეშვეობით, ნაწილობრივ კი მას უფროსი ძმა ეხმარებოდა.

თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ირ. სურგულაძემ ქ.პეტერბურგს მიაშურა, სადაც შევიდა ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში. მაგრამ იქაური ჰაერის შეუგუებლობის გამო მან მიატოვა პეტერბურგი და სწავლა დაიწყო ესტონეთში ქ. ღორაპატის (იურიევი, ტარტუ) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის სწავლის წლებშივე გამოჩნდა მომავალი მეცნიერის ნიჭიერება და მეცნიერული მუშაობისადმი მიდრეკილება. მესამე კურსის სტუდენტმა ირ. სურგულაძემ დაწერა სამეცნიერო ნაშრომი “Философские предпосылки учения о праве”, რომლისთვისაც ის უნივერსიტეტის პირველი პრემიით დააჯილდოვეს.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ირ. სურგულაძე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად სახელმწიფო სამართალში პროფესორ ლ. შლანდის ხელმძღვანელობით. მაგრამ როგორც კი თბილისში უნივერსიტეტი გაიხსნა, მან გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნებულიყო.

1921 წ. ირ. სურგულაძე მუშაობდა რაჭვის მაზრის იუსტიციის განყოფილების გამგედ. 1922 წ. კი ის აირჩიეს ქ. თბილისის მე-8 უბნის სახალხო მოსამართლედ. იმავე წელს მან ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.ეკონომიკურ ფაკულტეტზე ზეპირი სადოქტორო გამოცდები და ამის საფუძველზე აირჩიეს ლექტორად სახელმწიფო სამართლის, ადმინისტრაციული და შრომის სამართლის კათედრაზე. იგი კითხულობდა ლექციებს თბილისის უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე სახელმწიფო სამართალში, ადმინისტრაციულ სამართალში, შრომის, საერთაშორისო და საფინანსო სამართალში.

ამავე დროს, ირ. სურგულაძე აგრძელებდა პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობას, კერძოდ, 1922-25 წ.წ. მუშაობდა შრომის სასამართლოს თავმჯდომარედ, ხოლო 1925-27 წ.წ. იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი. 1927 წლიდან იგი თავს ანებებს პრაქტიკულ მოღვაწეობას უნივერსიტეტში დიდი დატვირთვის გამო.

1927 წ. ირ. სურგულაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ჯერ დოცენტის, ხოლო 1930 წ. პროფესორის წოდება. ეს იყო პირველი დისერტაცია, რომელიც სამართლის მეცნიერების დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად იყო დაცული თბილისის უნივერსიტეტში. 1930 წ. იგი იწყებს მუშაობას სამართლის გაერთიანებული კათედრის გამგედ.

ირ. სურგულაძე ახალი ქართული იურიდიული განათლების სათავეში დგას. 20-იანი წლების დასაწყისიდან, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალ-ეკონომიკურ

ფაქტობრივად გაიხსნა იურიდიული განყოფილება და ჩვენში შეიქმნა ერთ-ერთი სამართლებრივი კადრების მომზადების შესაძლებლობა, ირ. სურგულაძემ ერთ-ერთმა პირველმა გატეხა ახალი ქართული იურიდიული განათლების ყაშირი. იგი იურიდიული განათლების სერიოზულ ორგანიზატორად მოგვევლინა საქართველოში პროფესორ ლ. ანდრონიკაშვილთან ერთად და ამის დაეწევა არ შეიძლება.

1926-30 წ.წ. ირ. სურგულაძე სოციალ-დემოკრატიული ფაქტობრივი დეკანის მოადგილე იყო. 1930-33 წ.წ., როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილას რამდენიმე ინსტიტუტი ჩამოყალიბდა, ირ. სურგულაძეს დაეკისრა ახლად შექმნილი საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელობა.

1936-37 წ.წ. იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაქტობრივი დეკანი. ამ თანამდებობიდან ის გადადგა საკუთარი განცხადებით, რომელიც უნივერსიტეტის რექტორის სახელზე დაწერილი 1937 წ. 10 ივლისის თარიღით. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ირ. სურგულაძემ დეკანობაზე უარი თქვა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო.

მიუხედავად ამისა, ირ. სურგულაძეს იურიდიული ფაქტობრივი დეკანის ხარისხი არ აუღია და ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია მეცადინეობა, რათა ფაქტობრივად იმ წლებში შექმნილი მძიმე მდგომარეობა როგორც ცოტათი მაინც გამოესწორებინა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ჩვენამდე მოღწეული ირ. სურგულაძის მოხსენებითი ბარათი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მამინძღვლი მდივნის პროფესორ პეტრე შარიასადმი. შეცნობის არქივში შემორჩენილია ამ მოხსენებითი ბარათის ორი ვარიანტი.

“ღრმად პატივცემულო ანხ. პეტრე! – ვითხოვლობთ მოხსენებითი ბარათის ერთ-ერთ ვარიანტში – უნუგეშო მდგომარეობა, რომელშიდაც იმყოფება იურიდიული (უმაღლესი) განათლების საქმე ჩვენში მაიძულებს მე მოგმართოთ თქვენ თხოვნით, რათა მიაპყროთ ყურადღება ამ მდგომარეობას და თქვენი ავტორიტეტული ჩარევით შექმნათ პირობები იურიდიული განათლების ნორმალური განვითარების”.  
 იმ დროისათვის რომ იურიდიულ ფაქტობრივად მართლაც სავალალო მდგომარეობა ყოფილა შექმნილი, “ეს ფაქტი ურყევად დაადასტურა – ვითხოვლობთ ხსენებულ მოხსენებით ბარათში – სპეციალურმა კომისიამ, რომელიც ამ ორიოდე წლის წინათ გამოყოფილი იყო საქ. კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით უნივერსიტეტის შესასწავლად”.

ამ კომისიის იურიდიული ფაქტობრივი დეკანისათვის დაუეწევა სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებლად. ყველაზე მთავარი ამ ღონისძიებებიდან ყოფილა ის, რომ გაეძლიერებინათ მეცადინეობა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის და სამეცნიერო დისერტაციების დაცვისათვის. ირ. სურგულაძე აღნიშნავს, რომ ეს დაეკავებები “დღესაც შეუსრულებელია, პირიქით, რიგი ფაქტებისა ადასტურებენ, რომ ფაქტობრივი ხელმძღვანელობა დღესაც ძველი გზით და ამ მიითებთა საწინააღმდეგოდ განაგრძობს საქმიანობას”.

ირ. სურგულაძე ბრალს დებს ფაქტობრივი დეკანის ხელმძღვანელობას, კერძოდ, დეკანს მირიანაშვილს, რომ მან არ დააკომპლექტა ფაქტობრივი “მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით” და რომ ფაქტობრივად “ძირითადი და მნიშვნელოვანი დისციპლინების ხელმძღვანელებად” ისინი მოიწვია, რომელთა უმრავლესობას “არაფერი აქვთ საერთო მეცნიერებასთან და მათი სპეციალისტობა სათანადო დარგში არაფრით დაძტკიცებული არ არის და, რბილად რომ ვთქვათ, დიდი ეჭვის ქვეშ სდგას”.

მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ ეს შემთხვევითი ხალხი იურიდიულ ფაქულტეტზე მოხვდა ფაქულტეტის ხელმძღვანელობის წყალობით, რომელიც არ იცავდა პედაგოგთა მოწვევის მტკიცედ დადგენილ საკონკურსო წესს. "დოც. მირიანაშვილი, - წერს იროდიონ სურგულაძე - საგნის ხელმძღვანელებად ამა თუ იმ პირს პირადი ნაცნობობის ან ნათესაური კავშირის მიხედვით იწვევს".

ამის შედეგად ფაქულტეტზე ხდებოდა ისეთი დისკრტაციების დაცვა, რომლებიც "უეცილობის და პირდაპირი იურიდიული უწიგნურობის" (юридической неграмотности) განსახიერება იყო. სანიმუშოდ მითითებულია ნ.ღ.-ს და გ.ნ.-ს დისკრტაციები. ყველაფერი ეს ფაქულტეტის დეკანის უშუალო ხელშეწყობით კეთდებოდა.

როგორც მოხსენებით ბარათში ნათქვამი, "თუ ვინმე დეკანის სურვილის საწინააღმდეგოდ გამოიჩინა მეცნიერული მუშაობის ნიჭს და უნარს, ეს პირველი სიგნალია იმისათვის, რომ ფაქულტეტის ხელმძღვანელობა შეეცადოს ასეთი პირის იზოლაციას ფაქულტეტისაგან!".

ასე, მაგალითად, ფაქულტეტიდან გაუშვებიან "უღვით ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაი ვ. მაყაშვილი", ხოლო დ. პოლუ-მორდვინოვი, რომელმაც ორი წლის წინ "ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისკრტაცია ქ. მოსკოვში", მხოლოდ ნახევარ სამშატოო ერთეულზე იყო მიღებული. ეს მაშინ, როცა სრულ სამშატოო განაკვეთზე სრულიად უკარგისი პედაგოგები მუშაობდნენ.

კიდევ უფრო საყურადღებოა ირ. სურგულაძის მოხსენებითი ბარათის მეორე ვარიანტი, რომელიც 1944 წ. 24 აპრილით არის დათარიღებული და ასევე მიმართულია საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მამინდელი მდივნის პეტრე შარიასადმი. მოხსენებითი ბარათის ავტორი საქართველოში იურიდიული განათლების გაუმჯობესების ხელშემშლელ და შემადგურებელ ფაქტორად მიიჩნევს იმას, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაქულტეტის გვერდით შეიქმნა მოსკოვის საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალი. "სრულიად არანორმალურია და გაუშართლებელი, - ამბობს ირ. სურგულაძე - რომ საქართველოში უმაღლესი იურიდიული განათლების ორი ცენტრი არსებობს - სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაქულტეტი და საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის ფილიალი თბილისში". იმ მიზეზთა შორის, რომლებიც გაუშართლებელს ხდიდა თბილისში იურიდიული განათლების ორი ცენტრის არსებობას, მოხსენებითი ბარათის ავტორი ასახელებს პედაგოგიური კადრების სიმცირეს. როგორც ირ. სურგულაძე წერს, მაშინ საქართველოში იურისტ-პედაგოგთა შორის ყოფილა ერთი მეცნიერებათა დოქტორი და ხუთი კანდიდატი, რაც "არამცთუ ორი, არამედ ერთი უმაღლესი სასწავლებლის დაკომპლექტებისთვის ირანსა და საქართველოს". თანაც ყველა ეს სამეცნიერო ხარისხის მქონე პედაგოგი ძირითადად იურიდიულ ფაქულტეტთან ყოფილა დაკავშირებული. ამიტომ "დაუსწრებელ იურიდიულ ინსტიტუტს ხშირად უხდება - განაგრძობს ირ. სურგულაძე - საგნების ხელმძღვანელებად არა საკმაოდ კვალიფიციური კადრების მოწვევა, რომელთაც ხშირად ძალიან შორეული კავშირი აქვთ საერთოდ მეცნიერებასთან და კერძოდ, იმ დისციპლინებთან, რომელთა ხელმძღვანელობით ისინი მოწვეული არიან".

ყველაზე საოცარი მაინც ისაა, რომ, როგორც ირ. სურგულაძე აღნიშნავს, იურიდიული ფაქულტეტის პარალელურად დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის დაარსების "ინიციატორი და დამწვები იურიდიული ფაქულტეტის დეკანი ყოფილა". იგი 1938 წლიდან დაწყებული სულ იმის ცდამი ყოფილა, რომ მოეხდინა "იურიდიული ფაქულტეტის ლიკვიდაცია, რათა მის ადგილზე იურიდიული ინსტიტუტი" შექმნილიყო. ამ უცნაურ მიდრეკილებას დეკანისას ირ. სურგულაძე იმით ხსნიდა, რომ ფაქულტეტზე იგი სრულიად დამოუკიდებლად თავს მაინც

ვერ გრძობდა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის კონტროლს ქვეშ იყო. ირ. სურგულაძის თქმით, თუმცა, ამ კონტროლის მიუხედავად, დეკანი მაინც ახერხებს "ისეთ ღონისძიებათა გატარებას, რომელნიც აშკარად მიმართული არიან ფაულტეტის მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ მას მაინც არა აქვს უნივერსიტეტში მოქმედების სრული თავისუფლება". ამიტომ ფაულტეტის დეკანი ყოველნაირად ცდილობდა ცალკე იურიდიული ინსტიტუტის დაარსებას, სადაც მას "როგორც ინსტიტუტის მოსალოდნელი (როგორც ის თვითონ გეგმავს) დირექტორს, შემოპოვნელი ინსტანცია აღარ ეყოლებოდა". ირ. სურგულაძე არ გამოირიცხავდა, რომ ყოველივე ეს დეკანის მხრივ კეთდებოდა "პირადი მოწყობის თვალსაზრისით".

სამწუხაროდ, ირ. სურგულაძის ვარაუდი არცთუ მთლად უსაფუძვლო გამოდგა. მეცნიერის სიკედილის შემდეგ, 1947 წ. დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის ფილიალში, როგორც ცნობილია, გამოვილინდა სიყაზბეებისა და მექრთამეობის ფაქტები. ფილიალი დახურეს, ხოლო მისი დირექტორი დააპატიმრეს და ის ციხეში გარდაიცვალა.

ეს ეპიზოდი ირ. სურგულაძის ცხოვრებაში მეცნიერის ნამდვილი გმირობის ტოლფასია. 30-იანი წლების უკანონო რეპრესიების შემდეგ, როდესაც ცოცხალი აღარ იყვნენ გ. ნანეიშვილი და ლ. ანდრონიკაშვილი, თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაულტეტი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ფაულტეტზე ძირითადად თავი მოიყარა შემოთხვევითმა ხალხმა. ეს იყო ჩვენი იურიდიული ფაულტეტის ერთ-ერთი უძმომესი პერიოდი. ამ დროს ირ. სურგულაძე იყო ერთადერთი ნათელი პიროვნება, რომელიც, მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა, ხმალოდებული ებრძოდა უმეტრებას და უსინდისობას. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ბრძოლა უთანასწორო აღმოჩნდა. 1945 წ. 13 ნოემბერს ირ. სურგულაძე ამ ბნელ ძალასთან შეტაკებას შეეწირა. უადრესად პრინციპული და მაღალი ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული პროფესორი ფაულტეტის ერთ-ერთ სხდომაზე მოხმდარ უზნეობას ვერ შეეგუა. უკიდურესად ნერვებმოშლილი, გულის შეტევის შედეგად იგი თბილისის უნივერსიტეტის რექტორატის შესასვლელ კარში დაეცა და ადგილზევე გარდაიცვალა.

ირ. სურგულაძე ევროპულად განსწავლული მეცნიერი იყო. განცხადებაში, რომელიც მას თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნის-მეტყველების ფაულტეტზე შეუტანია 1922 წ. 29 ივნისს, ეკითხულობთ: "სავსებით შეთვისებული მაქვს გერმანული ენა და თავისუფლად ეკითხულობ ფრანგულ ავტორებს". გარდა ამისა, ირ. სურგულაძე ფლობდა აგრეთვე ძველ ბერძნულ, ლათინურ და ინგლისურ ენებს. შემდეგ ჩამოთვლის რუსი, გერმანული და ფრანგი იურისტების კლასიკურ ნაშრომებს, რომლებიც მას დაუმუშავებია სამართლის მეცნიერების ისეთი დარგების შესწავლის დროს, როგორცაა სამართლის ზოგადი თეორია, სახელმწიფო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საერთაშორისო სამართალი.

ირ. სურგულაძეს ამავე დროს მიღებული ჰქონდა დრმა ფილოსოფიური განათლება, რაშიც ყველა ადვილად დარწმუნდება, ვინც კი ერთხელ მაინც თვალს გადააქვებს მის სადოქტორო დისერტაციას "ხელისუფლება და სამართალი". ქვემოთ ჩვენ შევეცდებით შეძლებისდაგვარად გავაშუქოთ ამ ნაწარმოების ფილოსოფიური მხარე და მისი მნიშვნელობა წიგნში დასმული სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტისათვის.

სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ირ. სურგულაძეს არ მიეცა შესაძლებლობა სრულყოფილად გამოეყენებინა თავისი დიდი ნიჭიერება და ევროპული განსწავლულობა. მეცნიერული ნიჭის გამოლა-გაფურჩქნა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ამის შესაფერისი პირობები არსებობს. მაშინდელ საქართველოში ამის შესაძლებლობა, რასაკვირველია, არ იყო. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მამის ჰუმანიტარული მეცნიერებები. ყველაზე მეტად კი მათ შორის დაზარადა სამართლის მეცნიერება. ამის უპირველესი მიზეზი იყო იდეოლოგიური

დიქტატი, რომელიც თანდათანობით გაძლიერდა ოციანი წლებიდან. მარქსიზმი გახდა სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რამაც ყოველნაირად შეზღუდა მეცნიერული თავისუფლება. ამის შედეგი იყო ის, რომ 1930 წ. თბილისში გაიმართა დიდი დისკუსია სამართლის მეთოდოლოგიურ საკითხზე. სადაც დასავლეთ ევროპაში განსწავლული პროფესურა სასტიკად გაიციტეს ანტიმარქსისტობის გამო. ამ დისკუსიაზე, სხვა მეცნიერულ ნაშრომთა შორის, ანტიმარქსისტულ ნაშრომად გამოცხადდა აგრეთვე ირ. სურგულაძის სადოქტორო დისერტაცია "ხელისუფლება და სამართალი", რომელიც გერმანულ ენაზე დასტამბა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემულამ 1925 წ.<sup>1</sup>

შეიძლება ითქვას, რომ 1930 წ. დისკუსიამ თითქმის მთლიანად ჩაყლა ქართული იურიდიული აზროვნება და ოციანი წლებიდან კარგად დაწყებული საქმე დიდი ხნით შეაფერხა. ქართული განათლებული პროფესორის წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკური რეპრესიები განხორციელდა. ირ.სურგულაძე ბენეზე გადაურჩა 30-იანი წლების უკანონო რეპრესიებს, რომელსაც შეეწირა დისკუსიის მეორე მონაწილე გ. ნანიშვილი. მაგრამ გაბატონებულმა რეჟიმმა ირ. სურგულაძეს სიცოცხლე იმ გზით მოუსწრაფა, რომ მას უშეცრება და სიბნელე დაუპირისპირა. მეცნიერი შემოქმედებითი სიწიფის ასაკში გარდაიცვალა და თან წაიღო ბევრი განუხორციელებელი ოცნება.

ირ. სურგულაძე მადლიერებით უნდა მოიხსენიოს შთამომავლობამ იმ გმირობისათვის, რაც მან ქართული იურიდიული განათლების ფრონტზე გამოიჩინა. ხოლო მისი ნაშრომი "ხელისუფლება და სამართალი", გ. ნანიშვილის ნაშრომთან ერთად, იმ კლასიკურ ნაშრომთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს, რომლებმაც ოციანი წლებში საფუძველი ჩაუყარეს ახალ ქართულ იურიდიულ აზროვნებას.

1930 წ. დისკუსიის შემდეგ მეთოდოლოგიურ საკითხებზე მუშაობა უკვე შეუძლებელი იყო, რადგან ერთადერთი სავალდებულო მეთოდოლოგიას მარქსისტული ფილოსოფია წარმოადგენდა. ამიტომ ირ. სურგულაძე დაიწყო სამართლის ისტორიაში მუშაობა. ამისათვის მან ხელი მოჰკიდა ძველი წლების (განსაკუთრებით ძველევგვიპტურის) შესწავლას. 1943 წლიდან ირ. სურგულაძე შეთავსებით სამუშაოდ მიიწვიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლად, სადაც მან მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომები შექმნა.

ირ. სურგულაძის ამ ციკლის ნაშრომებიდან აღსანიშნავია "საგვარეულო წყობილების ორგანოების აღმნიშვნელი ტერმინები ძველ ეგვიპტეში" (იხ. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, №8, 1940, გვ. 629-636). ამას მოსდევს მეორე და მესამე წერილები იმავე სათაურით, რომლებიც მოთავსებულია ხსენებული "მოამბის" 1940 წლის №10-ში, გვ. 771-778 და ამავე "მოამბის" 1941 წლის №3-ში, გვ. 285-292. თუმცა სამივე წერილი ერთი სათაურითაა დაბეჭდილი, თითოეული მათგანი წარმოადგენს დამოუკიდებელ ნაშრომს, დამოუკიდებელი შინაარსით.<sup>2</sup>

არა ერთი ნაშრომი მიუძღვნა იროდიონ სურგულაძემ ქართული სამართლის ისტორიის პრობლემებს. ასეთია, მაგალითად, "ძველი ერისთავთა" და მისი მნიშვნელობა სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის" (ენიქის მოამბე, 1943 წ., XIII, გვ. 219-232.)

იროდიონ სურგულაძემ დიდი ენერგია შეაღია ისეთ მნიშვნელოვან სამართლებრივ ძეგლებზე მუშაობას, როგორც არის ბექა-აბულას სამართლის წიგნი. სამწუხაროდ, მეცნიერმა

<sup>1</sup> Стенографический отчет дискуссий на тему против идеализма в правовой мысли Советской Грузии материалы дискуссий. Тифлис, 1931.

<sup>2</sup> ამ წერილების დაწერილობითი ანალიზი ნახ. ივ.სურგულაძე, პროფ. იროდიონ სურგულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, "საბჭოთა სამართალი", 1963, №3



ამ წიგნზე მუშაობა ვერ დაასრულა. რაოდენ დასანანია, რომ ნაშრომის ის ნაწილიც კი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული და ხელნაწერის სახით არსებობდა, დაიკარგა და დღემდე მიუკვლეველია.

ხსენებული ნაშრომის ხელნაწერი ირ. სურგულაძეს პორთფელში ედო იმ საბედისწერო დღეს, როდესაც ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის კართან დაეცა და გარდაიცვალა. როცა მიცვალებული შინ მოასვენეს, პორთფელი ცარიელი მოგვიტანესო, გადმოგვცემენ მეცნიერის შინაურები.

ირ. სურგულაძის სადოქტორო დისერტაცია "ხელისუფლება და სამართალი", როგორც ზემოთ ვთქვით, 1925 წ. გერმანულ ენაზე დასტამბა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობამ. წიგნში სამართლის ფილოსოფიური პრობლემებია გაშუქებული და იგი ამის გამო სამართლის მეთოდოლოგიურ ნაშრომთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს. როგორც წიგნის წინასიტყვაობიდან ვხედავთ, ავტორს ეს ნაშრომი ორ ნაწილად ჰქონია ჩაფიქრებული. ამ ნაშრომის მეორე ნაწილის გამოცემას ის უახლოეს მომავალში აპირებდა. მაგრამ, როგორც იტყვიან, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, სწორედ ისე მოხდა. საბჭოთა კავშირში 20-იანი წლებიდან დაწყებული იდეოლოგიური დიქტატის საფუძველზე სიტყვის, მეცნიერული აზროვნების თავისუფლება თანდათანობით ისე შეიზღუდა, რომ ამ ჩანაფიქრის განხორციელება, სამწუხაროდ, მისთვის შეუძლებელი გახდა.

იმ დროს, როცა "ხელისუფლება და სამართალი" დაიწერა, დასავლეთის მეცნიერებაში აქტიურად მუშაუდებოდა სამართლის მეთოდოლოგიური საკითხები. ირ. სურგულაძე კარგად იცნობდა თავისი დროის დასავლური ფილოსოფიისა და სამართლის მეცნიერების მიღწევებს და ცდილობდა ამ მიღწევებზე დაყრდნობით ქართული იურიდიული აზროვნება განეხილათარებინა. ამით ირ. სურგულაძემ, გ. ნანიეშვილთან ერთად, მკედრი საფუძველი შეუქმნა თანამედროვე ქართულ იურიდიულ აზროვნებას.

იმ დროს გერმანულ მეცნიერებაში დაწყებული იყო ნატურალიზმის, როგორც გაბატონებული მეცნიერული მეთოდოლოგიის, წინააღმდეგ ბრძოლა, რაც გერმანელი ფილოსოფოსის ედ. ჰუსერლისგან შემუშავებული ფენომენოლოგიური მეთოდის საფუძველზე ხდებოდა. ედ. ჰუსერლმა სახელი გაითქვა ეგრეთ წოდებული ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ ბრძოლით. ედ. ჰუსერლის ანტიფსიქოლოგიზმმა დიდი ზეგავლენა მოახდინა სამართლის მეცნიერებაზეც. ანტიფსიქოლოგიზმი ნიშნავს, რეალური სინამდვილის გვერდით, იდეალური, ლოგიკური სინამდვილის არსებობის აღიარებას. სწორედ ეს არის ძირითადი საყრდენი დებულება ირ. სურგულაძის ხსენებული წიგნისა.

ირ. სურგულაძე ამ დებულებაზე დაყრდნობით განსახილველ წიგნში ცდილობს გამოიმუშაოს სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი და ძირითადი პრინციპები. იგი აღიარებს სახელმწიფოს ორმაგ ბუნებას. ირ. სურგულაძის აზრით, სახელმწიფო, ერთი მხრივ, წარმოგვიდგება, "როგორც სოციალური ფენომენი, ხოლო, მეორე მხრივ, ის სამართლებრივი მოვლენაა. სწორედ ეს უკანასკნელი, ესე იგი სახელმწიფო, როგორც სამართლებრივი მოვლენა, ელინდება მართლწესრიგის სახით. ამიტომ მართლწესრიგი (Rechtsordnung), წარმოადგენს ავტორის კვლევის საგანს ხსენებულ წიგნში.

მაგრამ ვიდრე უშუალოდ ამ საკითხზე გადავიდოდეს, ირ. სურგულაძე ჯერ იყვლევს სოციალურ და სამართლებრივ მოვლენათა ურთიერთობის და მათ შორის განსხვავების აუცილებლობის საკითხს. რომ ამ მოვლენებს შორის განსხვავება აუცილებელია, ამის უარყოფა მართლაც არ შეიძლება. "ადვილი გასაგებია, - წერს ირ. სურგულაძე - რომ, თუკი სოციალურ ელემენტთა შორის ურთიერთობებს ბუნებრივი კანონები განსაზღვრავენ, მაშინ

სამართლის და სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა კაცობრიობის ისტორიაში არასოდეს არ წარმოიშობოდა; იქ, სადაც ბუნების კანონების ძალას თვითონ მიეყვართ განსაზღვრულ შედეგამდე, სისულელე იქნებოდა მის გვერდით კიდევ დაგვეწყესებინა საგანგებო ნორმები.

“მაგრამ, თუკი – წერს ირ.სურგულაძე – ჩვენ ყოველ საზოგადოებაში ყოველთვის აღმოუჩნთ ასეთი ნორმების არსებობის ფაქტს, მაშინ ჩვენმა გონებამ სხვაგვარ დასკვნებამდე უნდა მიგვიყვანოს. ამან ჩვენ უნდა დაგვეარწმუნოს, რომ სამართლებრივი რეგულირება ელინდება როგორც რაღაც ისეთი, რაც გარკვეულ ხარისხამდე საზოგადოებრივ ურთიერთობათა ბუნებრივი კანონზომიერების ფარგლებს გარეთ დევს. ის გამოხატავს ნამდვილ და უწყვეტ მომენტს სოციალური ცხოვრებისა, მაგრამ ეს არ შეიძლება წარმოშობილი იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივი კანონებიდან, ვინაიდან აზრი მისი არსობისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ნაცულად სოციალურ ურთიერთობათა ბუნებრივი განვითარებისა, გამოიმუშავოს საზოგადოებრივ ურთიერთდამოკიდებულებათა ახალი რიგი, რომელსაც განსაზღვრული მიზნის განხორციელებისაყენ მიეყვართ” (გვ.68).

ეს ვრცელი ამონაწერი ირ. სურგულაძის წიგნიდან საგანგებოდ იმიტომ მოვიტანე, რომ შეთხველი, რომელსაც მარქსისტული სამართლის თეორიით აქვს თავი გამოჰყვდილი და სოციალურისაგან დამოუკიდებლად სამართლებრივს ვერ ხედავს, ადვილად ჩაწედეს საკითხის არსს. მართლაც, “სამართლებრივი რეგულირება” რომ “საზოგადოებრივ ურთიერთობათა ბუნებრივი კანონზომიერების ფარგლებს გარეთ დევს”, ამის არა ერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. დავასახელოთ თუნდაც მკვლელობის ფაქტი. “ბუნებრივი კანონზომიერების” თვალსაზრისით, ეჭვი არ არის, ყველა მკვლელობა ერთნაირად უნდა შეფასდეს, რადგან ყველა შემთხვევაში მკვლელობა ადამიანის სიცოცხლის მოსპობაა. აქ მოქმედებს მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერება. მკვლელის მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია მერე ადამიანის სიცოცხლის მოსპობასთან. მაგრამ სხვისი სიცოცხლის მოსპობის ყველა შემთხვევა როდია დანაშაული. სხვისი სიცოცხლის მოსპობა მხოლოდ მაშინ არის დანაშაული, როცა ის მართლსაწინააღმდეგოდა ჩადენილი. მაშასადამე, ერთი და იგივე ფაქტიური გარემოება<sup>3</sup> – სიცოცხლის მოსპობა, ზოგჯერ მართლსაწინააღმდეგოა, ხოლო ზოგჯერ მართლზომიერი.

ირ. სურგულაძე ყრიტიყებს “ემპირიული სახელმწიფოს მოძღვრებას”, ესე იგი იმ მოძღვრებას, რომელიც სახელმწიფოს სამართლებრივი არსის ახსნას სოციალური ფაქტორებით ცდილობს. მისი აზრით, მოძღვრება, რომელიც “ვერ ანსხვავებს და შლის ზღვარს სახელმწიფო სამართალსა და სახელმწიფოს სოციოლოგიურ გამოკვლევას შორის ფაქტიური შინაარსის მიმართ და ამის საფუძველზე ორივე მეცნიერებისათვის ერთიან მეთოდოლოგიას იყენებს, ყალბ საფუძველზეა აგებული” (გვ.69).

ირ. სურგულაძის აზრით, “ძირითადი დებულება, რომელსაც უნდა დაეფუძნოს სახელმწიფო სამართლისათვის სპეციფიური მეთოდოლოგიის აუცილებლობა, გახლავთ წინააღმდეგობა არსობას და ჯერარსობას შორის, წინააღმდეგობა ნორმასა და ბუნების მეცნიერული აზრით გაგებულ კანონს შორის” (გვ.69). ეს იდეა ჯერ კიდევ განსახილველი წიგნის სათაურშივეა გამოხატული. “ხელისუფლება და სამართალი”, ასეთია ამ წიგნის სათაური. სიტყვა “ხელისუფლება”, როგორც ამას ავტორი განმარტავს, გამოყენებულია აქ “სახელმწიფოს სოციალური ყოფიერების (“Sein”) არსის აღსანიშნავად” (იხ. წინასიტყვაობა), ხოლო “სამართალი” ჯერარსობაა (“Sollen”). ბუნების მეცნიერება იყვლევს ყოფიერების სფეროს,

<sup>3</sup> გ. ნანიშვილი წერს, რომ “ყოველ სამართალს საფუძვლად უდევს ესა თუ ის ფაქტიური ურთიერთობა” (იხ. გ.ნანიშვილი, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, გვ.77)

ლაპარაკია რეალური ცხოვრების, ესე იგი ფაქტების სამყაროზე, სადაც ძირითადი კანონზომიერება ემყარება მოვლენათა შორის მიზნულ-შედეგობრივ დამოკიდებულებას.

რაც შეეხება სამართალს, იგი მიეკუთვნება იმ რიგის მოვლენებს, რომლებიც ჯერარსობის სფეროშია. "სწორედ ადამიანური მიზნებისა და ღირებულებების სამყაროში პოულობს თავის ადგილს სამართლის სისტემა" (იქვე), წერს ირ. სურგულაძე. სამართალი სინამდვილის ემსახურება არა შემცენების, არამედ შეფასების მეშვეობით. ასეთია განსხვავება ბუნების – მეცნიერებასა, რომელიც შემცენების მეთოდით იყვლევს სამართლის მოვლენებს, ერთი მხრივ, და იმ მეცნიერებებს შორის, მეორე მხრივ, რომელთა ძირითადი მეთოდი შეფასებაა.

რადგან მეცნიერებები იყოფა ექსპლიციურ, ესე იგი ისეთ მეცნიერებებად, რომლებიც სწავლობენ რეალურ სინამდვილეს, სადაც მოვლენათა შორის მიზნულ-შედეგობრივი დამოკიდებულება ბატონობს, და ნორმატიულ მეცნიერებებად, ცხადია, მეცნიერებათა ამ ორივე ჯგუფისათვის აუცილებელია არსებობდეს განსხვავებული მეთოდოლოგია. მაგრამ განსხვავებული მეთოდოლოგიის არსებობა გამართლებული იქნება მხოლოდ მაშინ, როცა "მეთოდოლოგიურ საშუალებათა აქ მოყვანილი განსხვავება" ეფუძნება "შესაბამის მეცნიერებათა საგნობრივ შინაარსს შორის არსებულ განსხვავებას" (გვ.70). მაგრამ ზოგჯერ ავტორის აზრით, ეს ასე არ არის. ამ სწორ შეხედულებას ეწინააღმდეგება ერთი მიმართულება ნორმატიული სამართლისმცოდნეობისა, რომელიც მეცნიერების "საგნობრივ შინაარსს" კი არ უყრდნობა, არამედ "აზროვნების იმ წესის (Betrachtungswiese) თავისებურებებს ეფუძნება, საიდანაც რაიმე საგანი შეიძლება იქნეს განხილულ" (გვ.6). ირ. სურგულაძეს აქ მხედველობაში აქვს სამართლის ნეოკანტიანური მიმართულება, რომელიც სამართლის ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია ვენის სკოლის სახელწოდებით.

როგორც ცნობილია, ამ სკოლის მეთაურის პ. კელზენის სამართლის ნორმატივისტული თეორია პოზიტიური სამართლის თეორიას წარმოადგენს.<sup>4</sup> ამიტომ, განსახილველი წიგნის ავტორის აზრით, ეს თეორია და მისგან გამომუშავებული "მეთოდოლოგიური თავისებურებანი შეიძლება მხედველობაში მიიღოს მხოლოდ დოგმატურმა სამართლისმცოდნეობამ. ეს შეიძლება გამოყენებული იქნეს პოზიტიურ-სამართლებრივი მასალის დადგენისას და მიზნად ისახავს ამ მასალის ლოგიკურ თვისებას ცნებების მეშვეობით" (იქვე).

საბოლოოდ ირ. სურგულაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ სამართლის ნეოკანტიანური მიმართულების ანუ პ. კელზენის ნორმატივისტული თეორიის მიხედვით "განსხვავება კაუზალურ და ნორმატიულ დისციპლინებს შორის არის არა მატერიალურ-ონტოლოგიური, არამედ წმინდა ფორმალურ-ლოგიკური, ხოლო "სამყარო, რომელსაც სამართლისმცოდნეობა იყვლევს, არის. სუბიექტური, ის მხოლოდ ადამიანურ წარმოსახვაში არსებული აზროვნების სამყაროს წარმოადგენს" (გვ.71).

ირ. სურგულაძე კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ცნობილი წარმომადგენლის გ. ელინეკის მეთოდსაც, რომელიც ავტორის თქმით ისეთივე ფორმალურ-ლოგიკურია, როგორც პ. კელზენის მეთოდი (გვ.71-72).

<sup>4</sup> გ. ნანეიშვილის აზრით, "ყველაფერი, რაც კელზენმა სამართლის მეცნიერებაში გააკეთა, საუკეთესო ნიმუშია კანტის ფილოსოფიის გამოყენების იმ მატერიის სფეროში, რომელსაც სამართალი ეწოდება" (იხ. ნანეიშვილი, შიშ. წიგნი. გვ.77).

ირ. სურგულაძის აზრით, სახელმწიფო სამართლის მეცნიერებამ უნდა გამოიყვლიოს ის სპეციფიკური კანონზომიერება, რომელიც “სამართლის სამყაროს მევეთრად წყვეტს მასთან “მოცემული სოციალური მოვლენებისაგან” (გვ.76). ეს კანონზომიერება, რომელიც სამართლის სფეროში არსებობს, არის ის “საგნობრივი შინაარსი”, “სახელმწიფოს სამართლებრივი ყოფიერება”, რომელსაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერება იკვლევს.

ირ. სურგულაძის აქ განსახილველი ნაშრომი ავტორის სიცოცხლეშივე მწვავე მსჯელობის საგანი გახდა ლიტერატურაში. კრიტიკის მახვილი, უპირველეს ყოვლისა, წიგნის იმ ნაწილს შეეხო, სადაც სამართლებრივი და სოციალური მოვლენების ურთიერთობაზე ლაპარაკი. ჯერ კიდევ 1928 წ. ჟურნალ “მნათობში” (№3) ამ წიგნზე დაიბეჭდა გ. ნანეიშვილის კრიტიკული რეცენზია სათაურით “ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის”.

გ. ნანეიშვილი, უპირველეს ყოვლისა, არ ეთანხმებოდა ირ. სურგულაძის იმ ძირითად დებულებას, რომლის მიხედვით სახელმწიფო მთლიანობაში შედგება ორი “საგნობრივი შინაარსისაგან”, რომ სახელმწიფო წარმოადგენს “ორი სხვადასხვა საგნობრივი შინაარსის გაერთიანებას, ე.ი. სამართლის გაერთიანებას იმასთან, რაც სამართალს არ შეიცავს”<sup>5</sup> (იგულისხმება სოციალური მხარე სახელმწიფოსი).

გ. ნანეიშვილს შეუძლებლად მიაჩნდა სახელმწიფოს ერთ მთლიან ორგანიზმში მისი ორი მხარის – სოციალურისა და სამართლებრივის დაპირისპირება, სახელმწიფო, მისი აზრით, მთლიანობაში სამართლებრივ მოვლენას წარმოადგენს და იქ კიდევ რაიმე არასამართლებრივის შერევა მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია. “ვინც აღიარებს, რომ – წერდა გ. ნანეიშვილი – სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი, სამართალი ან ნორმათა სისტემაა, მან აუცილებლად უნდა ცნოს სახელმწიფო (როგორც მთლიანობა) როგორც სამართლებრივი მსჯელობის მატერია, როგორც სიმბოლო სამართლის ობიექტებისა”<sup>6</sup>.

გ. ნანეიშვილი ასე მსჯელობს: თუ “სახელმწიფოს ერთ მხარეს” სწავლობს სამართლის მეცნიერება, ხოლო მის მეორე მხარეს – სოციალურს იკვლევს სოციოლოგია, “მაშინ შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ერთი სახელმწიფოს ნაცვლად ჩვენს ავტორის მხედველობაში აქვს ორი სახელმწიფო, რომელთაგან ერთი საესებით ამოიწურება სამართლის შინაარსით, ხოლო მეორე ისეთია, რომელშიც არაფერი სამართლებრივი არ არის”<sup>7</sup>.

გ. ნანეიშვილის კრიტიკულ გამოსვლას ირ. სურგულაძემ იმავე ჟურნალის ფურცლებზე საკმაოდ ვრცელი და დაწვრილებითი პასუხი გასცა. ავტორი აქაც ცდილობს დაიცვას თავისი ნაშრომის ძირითადი დებულება. იგი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი არის სახელმწიფოს სამართლებრივი ყოფიერება (Rechtssein des Staates) ანუ მართლწესრიგი (Rechtsordnung). სწორედ ეს არის სახელმწიფოს “სამართლებრივი მხარე”, რომელსაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერება იკვლევს და “ამით თვით სახელმწიფოსაც (ნაწილობრივ) სწავლობს ისე, როგორც, მაგ. ფსიქოლოგია, იკვლევს რა ადამიანის ფსიქიკურ მოვლენებს, სწავლობს ადამიანს, თუმცა ფსიქიკური მთლიანად არ ამოსწურავს ადამიანის შინაარსს და ეს იმიტომ, რომ სამართლებრივი მოცემულია, როგორც შემადგენელი ნაწილი სახელმწიფოს მთლიან შინაარსში და მისი შესწავლა, ცხადია, თვით სახელმწიფოს შესწავლაა”<sup>8</sup>.

<sup>5</sup> გ. ნანეიშვილი, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, გვ.188

<sup>6</sup> გ. ნანეიშვილი, მთ.ნაშრომი, გვ.191

<sup>7</sup> იქვე, გვ.193

<sup>8</sup> იხ.ირ. სურგულაძე, იურიდიული მეთოდოლოგიისათვის, ჟურ. “მნათობი”, 1928, 31), გვ.282

იმ მაგალითის, რომ ადამიანის ორგანიზმს, როგორც მთლიანობას, სხვადასხვა მეცნიერებები იყვლებ, ავტორი სხვა ადგილასაც იმორჩება. "ელემენტარული დებულება, – წერს იგი, – რომ ამ კომპლექსის მთლიანობის შინაარსიდან ნაწილის შესწავლა თვით მთლიანობის (ნაწილობრივ) შესწავლას ნიშნავს. საწინააღმდეგოს მტკიცება იმ აბსურდულ დასკვნად მიგვიყვანდა, რომ მაგ. ანატომია, რომელიც ადამიანს იყვლებ არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ (ადამიანის ორგანიზმის ავებულებას) თითქოს ადამიანს არ უნდა სწავლობდეს".<sup>9</sup>

ამ მაგალითის მოხმობით, რომელიც საკმაოდ გონებაშეხილურად არის მიგნებული, ეჭვი არ არის, ავტორი დამაჯერებლად პასუხობს გ. ნანეიშვილის კრიტიკულ შენიშვნას, თითქოს ერთ მთლიან ორგანიზმს არ შეიძლება ჰქონდეს ორი "სხვადასხვა საგნობრივი" შინაარსი, რასაც ორი სხვადასხვა მეცნიერება სწავლობს. უფრო რთულია პასუხის გაცემა გ. ნანეიშვილის იმ კრიტიკულ მოსაზრებაზე, რომელიც "ხელისუფლების" არსს შეეხება.

როგორც ზემოთ ვთქვით, ირ. სურგულაძეს "ხელისუფლება" ესმის, როგორც სოციალური ყოფიერება ("Sein"), რომელიც უპირისპირდება სამართალს. ამაზე გ. ნანეიშვილი ამბობს, რომ "ხელისუფლება", რასაკვირველია, უცილობლად წარმოადგენს ძალას. მაგრამ, ყოველგვარი სხვა ძალისაგან განსხვავებით, "სახელმწიფო ხელისუფლება" სამართლით მოწესრიგებული ძალაა. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება "სახელმწიფო ხელისუფლება" ჩვეულებრივი თვითნებობისაგან. "ხელისუფლება – წერს გ. ნანეიშვილი – ეს თავისებური თვისებაა ძალისა. ის, თუ გნებავთ, სამართლით მოწესრიგებული ძალაა და ამით განსხვავდება ის სხვა დანარჩენი ძალებისაგან. ამიტომაც, როდესაც ჩვენ ხელისუფლებას ვთიშავთ სამართლისაგან, ხელისუფლება კარგავს იმ ერთადერთ სპეციფიკურ თვისებას, რომლითაც ის უბრალო ძალისაგან განსხვავდება".<sup>10</sup>

ირ. სურგულაძე მეთოდოლოგიურად სწორედ იქცევა, როცა სოციალურს სამართლებრივისაგან მიჯნავს, როცა იგი ამ გამიჯვნის საფუძველზე სახელმწიფო სამართლის მეცნიერების კვლევის საგნად სახელმწიფოს სამართლებრივ ყოფიერებას ანუ მართლწესრიგს (Rechtsordnung) მიიჩნევს. მაგრამ, ჩემი აზრით, არ უნდა იყოს მართებული ის დებულება, თითქოს ხელისუფლება წმინდა სოციალური ფენომენი იყოს და იგი მკვეთრად უპირისპირდებოდეს სამართალს. ჩემი აზრით, ხელისუფლება სამართლებრივი ფენომენია და ის მთლიანად უნდა იყოს მაცული სახელმწიფო სამართლის მეცნიერების შესწავლის "საგნობრივი შინაარსით" ანუ სახელმწიფოს სამართლებრივი ყოფიერებით. მე მგონი, შეუძლებელია მართლწესრიგის ცნების წარმოდგენა სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე. ეს რომ ასე იყოს, მაშინ იძულებული ვიქნებოდით გველიარებინა, რომ მთელი სახელმწიფოს მექანიზმი მოქმედებს სამართლის გარეშე, ხოლო სამართლებრივად მოუწესრიგებელი სახელმწიფო ხელისუფლება, ეჭვი არ არის, სრული თვითნებობაა და მტტი არაფერი. საგულისხმოა ამ მხრივ, რომ ლენინი პროლეტარულ სახელმწიფოს ახასიათებდა "კანონით შეუზღუდველ და ძალადობაზე დამყარებულ სახელმწიფოდ".

ეს პოლემიკა, რომელიც 20-იანი წლების მიწურულს მიმდინარეობდა, განსაკუთრებული მოვლენაა ქართული სამართლის მეცნიერების ისტორიაში.<sup>11</sup> ესაა ნამდვილი მეცნიერული პაექრობა, რაც იმ წლებში ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო ორი ფრიად განათლებულ და ღრმად მოაზროვნე მეცნიერს შორის. თუმცა ორივე მეცნიერი ერთი და იმავე ფილოსოფიური მიმართულების – პუსერლიანობის და მის საფუძველზე შექმნილი სამართლის

<sup>9</sup> ირ. სურგულაძე, მით.ნაშრომი, გვ.280

<sup>10</sup> იხ. გ. ნანეიშვილი, მით. ნაშრომი, გვ.200

<sup>11</sup> ე. კოდუა შენიშნავს, რომ "ამ დონის პოლემიკა სამართლის თეორეტიკოსებს შორის არ ყოფილა არც მანამდე და არც მას შემდეგ" (იხ.გ.ნანეიშვილი, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, გვ.13).

ფენომენოლოგიური სკოლის წარმომადგენელი იყო, მაგრამ ამ სკოლის შიგნით ბევრ საკითხში ისინი ურთიერთდაპირისპირებულ პოზიციებზე აღმოჩნდნენ და ამის გამო მათ შორის, როგორც ვნახეთ, მწვევე კამათი გაიმართა. სამწუხაროდ, ამ საკითხზე კამათი შემდეგ აღარ გავრცელებულა მეცნიერულ ნიადაგზე და არც დღემდე არავის გამოუჩვენებია აზრი და არ შეუფასებია ეს პაექრობა. ვერ ვიტყვით, რომ მომპაექრეთა შორის მაინდამაინც ერთი მხარეა მართალი, ხოლო მეორე სრულიად ტყუის. რასაკვირველია, ამის მიზეზი ის არის, რომ საგანი, რომლის გარშემოც ხსენებული დისკუსია გაიმართა, უაღრესად რთულია და შესაფერის განათლებას მრითხოს. მაგრამ უკვე დადგა დრო მიეხედოთ წარსულს და კარგად გაეიზაროთ, რა მეგვიდრეობა დაგვიტოვა წინა თაობამ.

გ. ნანეიშვილის პოლემიკური წერილის გამოქვეყნების შემდეგ ირ. სურგულაძის ნაშრომი "ხელისუფლება და სამართალი" კვლავ გახდა მწვევე პაექრობის საგანი. მაგრამ წინასაგან განსხვავებით, ეს პაექრობა წმინდა პოლიტიკური ხასიათისა იყო და მხოლოდ გარეგნულად ატარებდა მეცნიერულ საფუძველს. ეს მოხდა იმ ისტორიულ დისკუსიაზე, რომელიც თბილისში გაიმართა 1930 წ. ეს დისკუსია იდეოლოგიური ხასიათისა იყო და მიზნად ისახავდა მარქსიზმის მომხრე იურისტების მეოხებით ევროპულად განსწავლული იმ ქართული პროფესორის განადგურებას, რომელიც მარქსიზმს არ იზიარებდა. ასეთი იყო მამინდელი ხელისუფლების პოლიტიკური დაკვეთა.<sup>12</sup>

დისკუსიაზე ირ. სურგულაძის წიგნის ის ძირითადი დებულება გახდა კრიტიკის საგანი, რომელსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, გ. ნანეიშვილიც შეეხო. თუმცა იგი ირ. სურგულაძეს სულ სხვა პოზიციიდან ედავებოდა, ვიდრე მარქსისტები. ეს იყო სამართლებრივისა და სოციალურის დაპირისპირების საკითხი. ცხადია, ამ საკითხში ირ. სურგულაძეს შეიძლება სოციოლოგიური სამართლისმცოდნეობის წარმომადგენლებიც დაპირისპირებოდნენ და ეს ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე მომხდარიყო. მაგრამ თბილისის დისკუსიის მარქსისტ მოაზროვნეებს სულ სხვა კუთხით პქონდათ დანახული ეს საკითხი. საქმე ის გახლავთ, რომ მარქსიზმი, როგორც მატერიალისტური ფილოსოფიური მოძღვრება, ცხადია, სოციოლოგიზმს ვერ გასცდებოდა და ვერ აღიარებდა სოციალურისაგან სრულიად დამოუკიდებლად არსებულ სამართლებრივ მოვლენას. ეს იმას მოასწავებდა, რომ სამართლებრივი ფენომენი აგვეხსნა მარქსიზმიდან დამოუკიდებელი რაღაც სხვა ფილოსოფიური საფუძველით. ასეთი მდგომარეობა უთუოდ იქნებოდა დაწინება მარქსიზმისა, რომელიც მაშინ უკვე სახელმწიფო იდეოლოგიად იყო აღიარებული, რასაც ამ დისკუსიის პოლიტიკური დამკვეთები არავითარ შემთხვევაში არ დაუმტყდნენ. ამიტომ იყო, რომ თბილისის დისკუსიამ პოლიტიკურად უკომპრომისო ხასიათი მიიღო, რაღაც უნდა დაეღმოდათ, გაენადგურებინათ დასავლეთ ევროპაში განათლებამიღებული პროფესორა.

1930 წ. აქ მოხსენიებული თბილისის ისტორიული დისკუსია მიმდინარეობდა ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის, ამიერკავკასიის ცაქ-თან არსებული საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის და საქართველოს სსრ მარქსისტ სახელმწიფომცოდნეთა საზოგადოების გამგეობის გაერთიანებული ძალების თაოსნობით. დისკუსიას თავმჯდომარეობდა კათედრის გამგე ბოლოტნიკოვი. დისკუსიის სტენოგრაფიული ანგარიში ცალკე წიგნად გამოიცა 1931 წ.<sup>13</sup> წიგნის შესავალში გადმოცემულია მარქსისტული თვალსაზრისი მეცნიერებათა, კერძოდ, სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიის საკითხებზე და აქ დაპირისპირებულია ეს თვალსაზრისი მეცნიერებათა მეთოდოლოგიის პუსერლანურ გაგებასთან.

“ერთიანი სოციალური ყოფიერება, – ვკითხულობთ შესავალ ნაწილში ამ წიგნისა – ეს,

<sup>12</sup> დაწერილებით განიხილა ამ დისკუსიის პერიპეტები ბ.საენაძემა (იხ. ბ.საენაძე, დისკუსია თუ ავანტურა, ჟურნ. "საბჭოთა სამართალი", 1989, №5-6).

<sup>13</sup> იხ. Против идеализма в правовой мысли советской Грузии. Тифлис 1931

ასე ეთქვათ, სოციალური მატერია, რომელიც წარმოადგენს სოციალურ მოვლენათა საყოველთაო კანონებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს კანონზომიერი, თუკი ყველა მისი ცალკეული გამოვლინება გაერთიანებულია ერთიანი კანონზომიერი კავშირით. თუკი ჩვენ დავეუშვებდით სოციალურში ორი ან მეტი რიგის მიხედვით ან სხვა რომელიმე, მაგრამ სპეციფიკური კავშირის არსებობას, "მაშინ ჩვენ ცხადია გვექნებოდა ორი ან მეტი ყოფიერება, ჩვენ მივიღებდით მაშინ ორ ან მეტ ინტოლოგიურ რიგს, რასაც ვხვდებით ჰუსერლთან". ამას მოსდევს ციტატი ჰუსერლის ცნობილი წიგნიდან "ლოგიური გამოცვლევები"<sup>14</sup>, სადაც ავტორი მარქსიზმის საწინააღმდეგო აზრს ხედავს.

"ამის საწინააღმდეგოდ – განაგრძობს მსჯელობას ხსენებული წიგნის შესავლის ავტორი – მარქსიზმი იღებს სოციალურ მთლიანობას ერთიან პროცესად, რომლის შიგნით სამართალი გამოიყოფა ერთ-ერთ მხარედ ამ პროცესისა, რომელიც ხარისხობრივად განსხვავებულია სხვებისაგან, მაგრამ რომელსაც არ გააჩნია თავისი განსხვავებული სპეციფიკური კანონზომიერება, არ გააჩნია თავისი განსხვავებული ისტორია, არამედ იგი ემორჩილება თავის განვითარებაში ეკონომიურ (სრულიადკ არა ლოგიურ) საფუძველს".<sup>15</sup>

ერთი სიტყვით, სამართალი, მარქსიზმის მაშინდელი ინტერპრეტატორების აზრით, სოციალური მთლიანობის ერთი ისეთი მხარეა, რომელიც, თუმცა სოციალური პროცესის სხვა მხარეებისაგან "ხარისხობრივად განსხვავებულია", მაგრამ მას არ გააჩნია სოციალურისაგან "განსხვავებული სპეციფიკური კანონზომიერება", არ გააჩნია საკუთარი ისტორია და ეკონომიკის საფუძველზეა დამყარებული.

ეს საკითხის აშკარა ვულგარიზაციაა, რადგან დისკუსიის სტენოგრაფიაში არ ჩანს, რას უნდა ნიშნავდეს სოციალური პროცესების სხვა მხარეებისაგან სამართლებრივი ფენომენის "ხარისხობრივი განსხვავება". ეს საკითხი არც მომდევნო წლების საბჭოურ ლტერატურაში არ გაჩვენებულა. რუსული საბჭოური იურიდიული აზრი საბოლოოდ იმ პოზიციაზე შეჩერდა, რომ სამართალი ეკონომიკური ბაზისისაგან მხოლოდ "შედარებით დამოუკიდებლობა" გააჩნია. სამართალი ზედნაშენია ბაზისისა. ამიტომ სამართალს არ შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებელი ისტორია (იხ.კ.მარქსი, წინასიტყვაობა წიგნისა "პოლიტიკური ეკონომიის შესავალი").

საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ხსენებულ დისკუსიაზე ირ. სურგულაძის გამოსვლის ერთი ადგილი, სადაც იგი ასაბუთებს იმ თეზისის მნიშვნელობას, რომ სამართალს უნდა ჰქონდეს ან აქვს კიდევაც სოციალურისაგან განსხვავებული სპეციფიკური დამოუკიდებლობა. "მართალია, – წერს ირ. სურგულაძე – ნაშრომში (იგულისხმება მისი წიგნი "ხელისუფლება და სამართალი", ო.კ.) ზედმეტად ხაზგასმულია სპეციფიკურობა იმ კანონზომიერებისა, რომელიც მოცემულია სამართლის სფეროში, მაგრამ, ჩემი აზრით, მითითება იმ კანონზომიერების ცნობილ თავისებურებაზე, რომელიც სამართლის სფეროშია მოცემული, არ შეიძლება მივიჩნიოთ უპატივებელ ერესად, ვინაიდან, თუკი ჩვენ დავიწყებთ მტკიცებას, რომ ბაზისი და ზედნაშენი ემორჩილება აბსოლუტურად ერთნაირ კანონზომიერებას, მაშინ ეს ბაზისი და ზედნაშენი შეერწყმება ერთმანეთს და მათი გამოყვანა შეუძლებელი იქნება".<sup>16</sup>

ირ. სურგულაძე აღნიშნავს, რომ მომხსენებელს ძალიან გაუბრალოებულად ესმის ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობის საკითხი. ამის საბუთად იგი უთითებს ენგელსის წერილს შმიდტისადმი, სადაც ნათქვამია, რომ წარმოება არის გადაწყვეტი მიზეზი

<sup>14</sup> იქვე, გვ. 12

<sup>15</sup> იქვე, 1930 წ. დისკუსიაზე ერთ-ერთი გამოშვებული აღნიშნავდა, რომ ირ.სურგულაძის ფილოსოფია მოდის კანტიდან, იგი ცდილ, არათანმიმდევრული, მაგრამ მძიმე ნეოკანტიანური. ალგ-ალგ მისი ფილოსოფია უახლოვდება მატერიალიზმს, თუმცა არა მარქსისტულს, არამედ მე-18 ს. მექანიკურ მატერიალიზმს, იხ. დასახ.წიგნი, გვ.38

<sup>16</sup> იქვე, გვ.29

საზოგადოებრივი მთლიანობის ყველა მხარის განვითარებისათვის. მათ შორის იგულისხმება ფილოსოფია, რელიგია, სამართალი და სხვ. მაგრამ ყველა ეს სფერო საზოგადოებრივი ცხოვრებისა, – განაგრძობს ენკელსი – რახან წარმოიქმნა, “მიაკვება თავის საყუთარ მოძრაობას, რომელზედაც, ზოგად მთლიანობაში, ბატონობს წარმოება, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში და ამ საერთო დამოკიდებულების შიგნით ისინი მისდევენ თავის საყუთარ კანონებს”.<sup>17</sup>

მაშასადამე, სამართალს ჰქონია “თავისი საყუთარი კანონები”, ესე იგი “საყუთარი კანონზომიერება”, რომელიც არ შეიძლება აეუროთ და გავაიგივოთ სოციალურ კანონზომიერებაში, რომელიც მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებით ხასიათდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი და სოციალური ერთმანეთში აირევა და სამართალი სოციალოგიაში გაითქეფება. თუკი სამართალს აეხსნით სოციალოგიური კანონზომიერებით, მაშინ ის სოციალოგია იქნება და არა სამართალი.

“თუკი ძირითადი კანონზომიერება – წერს ირ. სურგულაძე – რომელსაც ჩვენ ენახულობთ განსაზღვრულ სფეროში, რომელსაც ერთი მეცნიერება ამუშავებს, დამთხვევა ძირითად კანონზომიერებას მეორე მეცნიერებისა, მაშინ ორი მეცნიერება არ შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან მეცნიერება არის იქ, სადაც მოცემულია მოვლენათა განსაზღვრული სფერო და ეს სფერო მოვლენებისა რაღაც ხარისხით (в некоторой степени) შედარებით შეიძლება იყოს გამიჯნული მოვლენათა სხვა სფეროსაგან”.<sup>18</sup>

ამაზე უფრო უკეთ ამ აზრის გამოხატვა ძნელია ვინმემ შესძლოს. მართალია, ეს ითქვა სამართლის დამოუკიდებელი და სპეციფიური კანონზომიერების გამო, მაგრამ ირ. სურგულაძის ამ დებულებას უფრო ზოგადი მნიშვნელობა აქვს და ის ნებისმიერი მეცნიერების მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული. მართლაც, ყოველი მეცნიერება, თუ ის მეცნიერების დამოუკიდებელი დარგია, უნდა სწავლობდეს სხვა მეცნიერებისაგან დამოუკიდებელ, სპეციფიურ სფეროს, სპეციფიურ კანონზომიერებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მარტო ერთი მეცნიერება არსებობდა და მეცნიერების სხვა დარგის შექმნა საჭირო აღარ იქნებოდა. ისტორიულად მეცნიერების ახალი დარგების შექმნა ყოველთვის უკავშირდებოდა რამე ახალი კანონზომიერების აღმოჩენას. ასე გაჩნდა ფიზიკური სამყაროს შემსწავლელი მეცნიერების ისეთი დარგები, როგორცაა, მაგალითად, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიური სამყაროს შემსწავლელი, ბიოლოგიური მეცნიერებები, სოციალურისა – სოციალოგია, კულტურის ისტორია და სხვ. ასევე გაჩნდა ნორმატიული მეცნიერებები, მათ შორის სამართალი და ა.შ.<sup>19</sup>

დისკუსიის მსვლელობის დროს სოციალურის (რეალურის) და სამართლებრივის განსხვავების საკითხზე არსებითად იგივე აზრი გამოთქვა გ. ნანეიშვილმაც. დისკუსიის ერთ-ერთ მარქსისტ მონაწილესთან კამათის დროს მან აღნიშნა, რომ ფაქტი და სამართალი ერთი და იგივე სინამდვილის ორი განსხვავებული სფეროა (две разновидности одной и той же действительности). ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ სამართალი მოეწყობოდა ციურ რეალობას და გადაიტანოთ ციურ სამყაროში. გ. ნანეიშვილის აზრით, სამართალიც ისეთივე კონკრეტული ისტორიულია, როგორც ბუნების მოვლენები. მაგრამ განსხვავება ის არის, რომ სამართალი არ შეიძლება მოქმედებდეს ისე, როგორც ბუნების მოვლენა. სწორედ იმიტომ, რომ ბუნების მოვლენა და სამართალი არ შეიძლება მოქმედებდნენ “სავსებით ერთნაირად” (“Совершенно одинаково”), ისინი არიან ერთი და იმავე სინამდვილის ორი სახესხვაობა.<sup>20</sup>

<sup>17</sup> იქვე

<sup>18</sup> იხ. მით. წიგნი, გვ. 30; ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, გვ. 83

<sup>19</sup> 1930 წ. დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე ვაი-მარქსისტი ისინებდა სურგულაძე-ნანეიშვილის პოლემიკას და ირ. სურგულაძეს კლექტიკოსობას წამბდა, რამე იმოქმედა გ. ნანეიშვილის გმობით განხილულ პოლემიურ წერილს. სადაც იგი ირ. სურგულაძეს საუკულოდ, რომ სახელმწიფო, როგორც მთლიანობა არ შეიძლება წარმოადგენდეს სოციალურის და სამართლებრივის გაერთიანებას (იხ. Против идеализма) გვ. 37

<sup>20</sup> Против идеализма, გვ. 67



როგორც ვხედავთ, აქაც ლაპარაკია განსხვავებულ კანონ-ზომიერებაზე, რომელიც მოქმედებს, ერთი მხრივ, ბუნებაში და, მეორე მხრივ, სამართლის სფეროში. იქ ფიზიკური სამყაროა, აქ ნორმატიული, შეფასებითი სამყარო.

როგორც ვთქვით, დიდიწასის პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა და ის ნერვიულ და დამაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ფაქტიურად დისკუსიის მონაწილე არამარქსისტი იურისტები ტერორიზებული იყვნენ. ხელისუფლების მომხრე ვერც წოდებული მარქსისტი იურისტები ყოველნაირად ცდილობდნენ ან თავის მხარეზე გადმოეყვანათ მოწინააღმდეგეები ანდა ემხოლებინათ არამარქსისტობაში და პოლიტიკური ბრალდებები წაეყენებინათ მათთვის. ამ მიზნის მისაღწევად ისინი არაფერს თაკილობდნენ, მათ შორის მიმართავდნენ დამინების მეთოდებსაც. აი, ამის ერთი მაგალითი. გ. ნანეიშვილმა თავის ერთ-ერთ გამოსულაში განაცხადა: “პოზიტიური სამართალი მოცემული მაქვს კატეგორიული აუცილებლობით და მე უნდა ავითვისო და ვაღიარო იგი, თუკი შეშლილი არა ვარ”. ამხე სახელმწიფო ტერორისტი და კაცისმკვლეელი ტალახაძე, რომელიც მიღებული კაცი იყო იმდროინდელ ხელისუფლებაში, პროუკატორად წამოიბახებს: “მაშინ რეკოლუცია შემოიღო ყოფილა, რადგან ის ამ სამართლის წინააღმდეგე ჯანყება?” გ. ნანეიშვილი მას ასე პასუხობს: “მე ეს არ მითქვამს, ამხ. ტალახაძე, მე ვამბობ, რომ საბჭოური სამართალი ჩემთვის საეაღმდეგოა, ხოლო, თუ თქვენ გინდათ მე ეს მომაწეროთ, ეს თქვენი საქმეა, მაგრამ სულ ერთია მე ეს ვერ შემამინებს”.<sup>21</sup>

დისკუსიის დასასრულს ვერც წოდებულ “იდეალისტ” იურისტებს მოსთხოვეს უარი ეთქვათ თავიანთ ანტიმარქსისტულ შეხედულებაზე და ეს მათ საქმით უნდა დაემტკიცებინათ. დისკუსიის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ “შეცნიერ მუშაკთა ამ ჯგუფის დაბრუნება ჰელსინგიური საქმიანობისათვის” შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი პრესაში, სამეცნიერო ნაშრომებში, საჯარო გამოსვლებში “მთლიანად”, “გადაჭრით” და “უსიტყვოდ” იტყვიან უარს თავიანთ რეაქციულ შეხედულებებზე და შეეცლიან მას “მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით”.<sup>22</sup> ასეთ ვითარებაში ირ. სურგულაძე დისკუსიის მონაწილე გამხდარა იურისტებთან ერთად (გამონაკლისი იყო მხოლოდ გ. ნანეიშვილი) იძულებული გამხდარა ოფიციალური განცხადებით გამოსულიყო და თავისი სადოქტორო დისერტაცია “ხელისუფლება და სამართალი” ანტიმარქსისტულ ნაშრომად ეღიარებინა.<sup>23</sup> მართალია, ეს იძულებითი აღიარება იყო, მაგრამ სინამდვილეს ასახავდა. ირ. სურგულაძის “ხელისუფლება და სამართალი” ნამდვილად ანტიმარქსისტული ნაწარმოებია და სწორედ ესაა მისი ღირსება.

ირ. სურგულაძე წერს, რომ მაშინ, როცა სოციოლოგიის საგნის შესწავლას იწყებენ ყველაზე უფრო მარტივი სოციალური მოვლენის – ორ პიროვნებას შორის ურთიერთობის – ანალიზით, სამართლის დისციპლინებში ასეთ როლს თამაშობს სამართლის ნორმა, როგორც სამართლებრივი ცხოვრების უმარტივესი ელემენტი.<sup>24</sup> მაგრამ ავტორი არ მიდის ამ გაკვალილი გზით და “სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნის დეფინიციას” არ იწყებს სამართლის ნორმის ანალიზით. მისი აზრით, მსგავსად სოციოლოგიისა, რომლის უმარტივეს ელემენტს ორ ადამიანს შორის არსებული ურთიერთობა წარმოადგენს, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ძირითადი პრინციპების ახსნისათვის უნდა გაეანალიზოთ “სამართლებრივი ურთიერთობისა და მისი შემადგენელი ნაწილების საკითხი”.<sup>25</sup>

<sup>21</sup> იქვე

<sup>22</sup> იქვე. გვ. 139-40

<sup>23</sup> იქვე. გვ. 140

<sup>24</sup> ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, გვ. 85

<sup>25</sup> იქვე. გვ. 87

ირ. სურგულაძე სწორედ სამართლებრივი ურთიერთობის ცნების ანალიზის საფუძველზე ცდილობს დაგვანახოს, რომ იმ ავტორებს, რომლებიც ფსიქოლოგიზმის პოზიციებზე დგანან და სამართლებრივ ფენომენებს ადამიანის "სულიერი ცხოვრების ინდივიდუური მოვლენებით" ხსნიან, არ შეუძლიათ გადაჭრან სამართლებრივი ურთიერთობის ნამდვილი ბუნების საკითხი. ამ ავტორთა შეხედულება, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ლიტერატურაში, ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: "სამართლებრივი ურთიერთობა არის ყოველი ცხოვრებისეული კავშირი, თუკი ის სამართლის ნორმით არის განსაზღვრული (Rechtsnorm bestimmt)".<sup>26</sup> ირ.სურგულაძე სამართლებრივი ურთიერთობის ასეთ განსაზღვრებას ამ ურთიერთობის "წმინდა გარეგან აღწერილობად" მიიჩნევს, რომელიც ვერ გამოხატავს მის შინაგან ბუნებას.

როგორც ცნობილია, ფსიქოლოგიზმი ფართო ცნებაა და იგი მოიცავს არა მარტო წმინდა სოციოლოგიზმს, არამედ საკუთრივ ფსიქოლოგიურ პროცესებსაც. ამიტომ, ირ. სურგულაძის აზრით, სამართლის რაობის გასაგებად არა მარტო გადაჭრით უნდა ვთქვათ უარი სოციოლოგიურ მეთოდებზე, არამედ ამ მოვლენას ვერ ავხსნით ვერც იმ პროცესებით, რომლებიც ადამიანის ფსიქიკურ სამყაროში მიმდინარეობენ. ამ თვალსაზრისით ავტორი კრიტიკულად განიხილავს გერმანელი მეცნიერების საინისა და ბირლინგის თეორიებს. ავტორის აზრით, ბირლინგის თეორია არსებითად ნებისყოფის თეორიაა, რომელიც ასე გავრცელებულია თანამედროვე სამართლის მეცნიერებაშიც. მაგალითად, ბირლინგი ნორმას ასე განსაზღვრავდა: "ნორმა არის გამოხატულება ნებისა, რომელიც თავის განხორციელებას სხვისგან ელის" ირ. სურგულაძის აზრით, ეს უკვე არის "სამართლის ფენომენის ბუნების ფსიქოლოგიური გაგებისაკენ გადახრა" აქედან ბირლინგს გამოჰყავს სამართლის წმინდა ფსიქოლოგიური ცნება. აი მისი სიტყვებიც: არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ სამართალი, "თუნდაც რომ მას წერილობით სამართალში მტკიცე ფორმა ჰქონდეს მოპოვებული, ყოველთვის დარჩება ჩვენი სამართლებრივი შეხედულების მხოლოდ ფორმად და სამართალს თვითონ სინამდვილეში, როგორც ყოველ პროდუქტს სულიერი ცხოვრებისა, თავისი საკუთარი არსებობა აქვს მხოლოდ სამართლის სუბიექტების სულიერ სამყაროში".<sup>27</sup>

"სამართლის სუბიექტის სულიერი სამყარო", ეს ნამდვილი ფსიქოლოგიზმია ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ირ. სურგულაძის აზრით, სამართლის ასეთი გაგებიდან აუცილებლობით გამოდინარეობს, რომ "სამართლებრივი ურთიერთობა მთლიანად უნდა დაემთხვეს ცხოვრებისეულ ურთიერთობას".<sup>28</sup> მაგრამ, თუკი ჩვენ ამ გზით წაუვლით, – განაგრძობს ავტორი – მაშინ "ბირლინგის თვალსაზრისს" ამ საკითხში აუცილებლობით მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ბანდიტური კავშირიც ისეთივე სამართლებრივ ორგანიზაციად უნდა განვიხილოთ, რომელსაც თავისი საკუთარი მართლწესრიგი აქვს".<sup>29</sup> მაგრამ, როგორც ავტორი წერს, ბირლინგის თვალსაზრისი წინააღმდეგობრივია, ვინაიდან იგი თავისი შრომის სხვა ადგილას აღნიშნავს აუცილებელ განსხვავებას "ბუნების კანონსა და სამართლებრივ კანონს შორის".<sup>30</sup>

რახან ირ. სურგულაძემ თავისი განხილვის საგნად მართლწესრიგის უმარტივესი ელემენტი – სამართლებრივი ურთიერთობა აირჩია, იგი გამოთქვამს სურვილს, რომ ამ ელემენტის "სამართლებრივი მასალის" ანალიზზე სახელმწიფო სამართლის ავტორთან ნაშრომების მიხედვით და იწყებს გამოკვლევას იმ იურიდიულ დისციპლინაში, რომელშიც სამართლებრივი მასალა,

<sup>26</sup> იქვე

<sup>27</sup> ბირლინგის სიტყვები მოტანილია ირ. სურგულაძის განსახილველი წიგნიდან, იხ.გვ.92

<sup>28</sup> იქვე

<sup>29</sup> იქვე, გვ.95

<sup>30</sup> იქვე, გვ.98

ასე ეთქვით, წმინდად არის გადმოცემული. ეს გახლავთ სამოქალაქო სამართალი.<sup>31</sup> ირ. სურგულაძე ამ პრობლემას განიხილავს ცნობილი გერმანელი მეცნიერის ციტელმანის ნაშრომის "Irrtum und Rechtsgeschell"-ის ("შეცდომა და გარიგება") მიხედვით.

ამ ნაშრომის გაანალიზების დროსაც ირ. სურგულაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ ციტელმანის თვალსაზრისით წმინდა წყლის ფსიქოლოგიზმმა და მისი მეთოდოლოგია აგებულია კაუზალობის პრინციპზე. "მაგრამ ციტელმანის გამონათქვამების თავისებურება – დაასკვნის საბოლოოდ ირ. სურგულაძე – იმაში მდგომარეობს, რომ იგი კაუზალობის პრინციპს სამართლებრივ მოვლენებში განიხილავს არა რაღაც ობიექტურ მოცემულობად, არამედ სპეციალურად განხილვის წესიდან ან აზროვნების ოპერაციიდან გამომდინარედ".<sup>32</sup>

ამის შემდეგ ირ. სურგულაძე იყველვს სამართლებრივი ურთიერთობის ცალკეულ ელემენტებს. მისი აზრით, "სამართლებრივი ურთიერთობის არსის სწორი გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ ცალკეული ნაწილების გულდასმითი და ზუსტი ანალიზის გზით, რომელთაგან თვითონ სამართლებრივი ურთიერთობა შედგება". მხოლოდ მაშინ, როცა მივიღებთ ამ გზით მყარ შედეგებს, "შეგვიძლია ჩვენ ნათლად გავაშუქოთ ჩვენთვის საინტერესო სამართლებრივი ურთიერთობის არსის" და "რეალურ სოციალურ მოვლენებთან მისი დამოკიდებულების საკითხი".<sup>33</sup>

როგორც ცნობილია, სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი გამორჩეული ელემენტია სამართლის სუბიექტი, რომლის ანალიზითაც იწყებს ავტორი პრობლემის შესწავლას. იგი აღნიშნავს, რომ აზრთა ის დიდი სხვადასხვაობა, რომელიც ლიტერატურაში სამართლის სუბიექტის ირგვლივ არსებობს, "იურიდიული პირის პრობლემით არის გამოწვეული".

პრობლემის წარმატებით გადაჭრის პირობად ირ. სურგულაძე მიიჩნევს საკითხების სწორად დაყენებას. ამისათვის მას მართებულად მიაჩნია "იმ პიროვნების გვერდით, რომელსაც მომწიფებული და ნორმალური შეგნება და ნების გამოხატვის უნარი (Willensfähigkeit) აქვს, სამართლის სუბიექტად ვცნოთ აგრეთვე მოუმწიფებელი ან არანორმალური ფსიქიკური მდგომარეობის ინდივიდი, აგრეთვე, ის, ვისაც სრულიად ან ნაწილობრივ აქვს ნების გამოხატვის უნარი, შემდეგ ინდივიდი, რომელსაც რეალური კი არა, მხოლოდ შესაძლებელი არსებობა აქვს და ბოლოს სამართლის ის სუბიექტები, რომლებიც არ არიან ფიზიკური პირები".<sup>34</sup>

ავტორი დაწერილობით აანალიზებს ამ პრობლემის ირგვლივ არსებულ ძირითად მიმართულებებს. პირველი ასეთი მიმართულება არის ის, რომელიც იურიდიულ პირს ისეთსავე რეალურ არსებობას მიაწერს, როგორიც გააჩნია ფიზიკურ პირს (გირეც). მეორე მიმართულებას წარმოადგენს ფიქციის თეორია. ირ. სურგულაძის აზრით, არცერთ ამ თვალსაზრისს "არ შეუძლია მოგვეცეს იურიდიული პირის არსის მეცნიერული ახსნა".<sup>35</sup> ავტორის თვალსაზრისით აქ იმდენად არის საყურადღებო, რამდენადაც იგი ამ საკითხს ანტიფსიქოლოგიზმის პოზიციებიდან წყვეტს. ირ. სურგულაძე წერს, რომ არა მარტო იურიდიული პირის, არამედ ფიზიკური პირის უფლების საფუძვლადაც არ შეიძლება მივიჩნიოთ "ის ფსიქოლოგიური ელემენტები, რომლებსაც ინდივიდის სულიერ ცხოვრებაში აღმოვაჩენთ".<sup>36</sup>

<sup>31</sup> იქვე, გვ.101

<sup>32</sup> იქვე, გვ.111

<sup>33</sup> იქვე, გვ.112

<sup>34</sup> ირ. სურგულაძე, მით. ნაშრ. გვ.113 საბჭოური სისხლისსამართლებრივი მეცნიერება დანამაჟის სუბიექტად მიიჩნევა იმას, ვისაც შეუძრულა გარკვეული ასაკი და ფსიქიკურად ნორმალურია, ესე იგი ჩადენილი ქმედება შეერაცხება ანუ შერაცხადია. ეს შეხედულება ღლსაყ გაერყელბრულია პოსტსაბჭოურ სიერყემი.

<sup>35</sup> ირ.სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, გვ.128-129

<sup>36</sup> იქვე, გვ.129

ამ თვალსაზრისით ირ. სურგულაძე იწვევს იმ შეხედულების კრიტიკას, რომელიც უფლების არსის ახსნას ნების მომენტზე დაყრდნობით ცდილობს ("ნებისყოფის თეორია") როგორც ახლა ენახეთ, ნების მომენტზე დაყრდნობით არ შეიძლება თვითონ ფიზიკური პირის არსის ახსნაც კი. "სასაკილო იქნებოდა გვეპეტყიყებინა, - წერს ირ. სურგულაძე - რომ გარკვეული უფლების "წარმოშობა", რომელიც "ზოგიერთი პოზიტიური კანონმდებლობით ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვს (დედის მუცელში) მიეწერება, ხელისუფლების ცნებიდან აგვეხსნა. კიდევ უფრო უაზრო იქნებოდა იმის მტყიცება, რომ დასახელებულ შემთხვევაში ეს უფლებები სამართლის სუბიექტის ინდივიდურ ნებასთან (ო.გ.) გაგვეიგივებინა, ვინაიდან ასეთი ნება აქ საერთოდ არა გვაქვს".<sup>37</sup> ავტორი აღნიშნავს, რომ ისტორიულად და თანამედროვე სამართალშიც მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, როცა უფლების წარმოშობა სამართლის სუბიექტის ნებასთან არ არის დაკავშირებული. ასეთია, მაგალითად, მემკვიდრეობის უფლება და სხვა შემთხვევებიც, როცა საკუთრების უფლება წარმოიშობა სამართლის სუბიექტის ნებისაგან სრულიად დამოუკიდებლად.

ავტორის მოაქვს მაგალითი რომის სამემკვიდრეო სამართლიდან, როცა "მემკვიდრეობის უარყოფითი ხასიათი ხდოდა მის მიღებას სრულიად არასასურველს, თუმცა მემკვიდრე ვალდებულია მიიღოს მემკვიდრეობა, ესე იგი თავისი ნების საწინააღმდეგოდ გახდეს სუბიექტი განსაზღვრული უფლება-მოვალეობისა".<sup>38</sup>

ამ დებულებას საკვებით ეთანხმება აგრეთვე თანამედროვე ქართული სამოქალაქო სამართალიც, რომელიც აღიარებს ჯერ დაუბადებელი ბავშვის მემკვიდრეობის უფლებას (იხ.საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 994-ე მ.).

ჩვენ კიდევ დავამატებდით და უფრო მეტსაც ვიტყვოდით. უფლება ადამიანმა შეიძლება გამოიყენოს და შეიძლება უარი თქვას მის გამოყენებაზე, მაგრამ ამით ეს უფლება არც ისპობა და არც მისი მოცულობა იცვლება. გამოამყვანებებს თუ არა სამართლის სუბიექტი თავის ნებას, ამას უფლების არსებობა-არარსებობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მამასაღამე, უფლება არ არის რაღაც ისეთი, რომელიც აუცილებლობით იცოს დაკავშირებული სამართლის სუბიექტის ფსიქიკურ სამყაროსთან.

ირ. სურგულაძე მოკლედ ეხება აგრეთვე ინტერესის თეორიასაც და მიღის იმ დასკვნამდე, რომ ინტერესის თეორია არსებითად არაფრით არ განსხვავდება ნებისყოფის თეორიისაგან. ამიტომ ის კრიტიკული მოსაზრებები, რომლებიც გამოყენებული იყო ნებისყოფის თეორიის წინააღმდეგ, გამოყენებული შეიძლება იქნეს აგრეთვე ინტერესის თეორიის საწინააღმდეგოდაც.<sup>39</sup>

ნებისყოფის და ინტერესის თეორიებს აქვთ კიდევ ერთი ისეთი ნაკლი, რომელიც სრულიად გამოუსადეგარს ხლდა მათ უფლების ბუნების ახსნისათვის. საქმე ის არის, რომ უფლება არასოდეს მოვალეობის გარეშე არ არსებობს და ეს ორი ცნება ერთმანეთის გარეშე არ მოიპარება. უფლება და მოვალეობა კორელაციური ცნებებია. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთის გარეშე არ შეიძლება არსებობდნენ. მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ ორივე ეს ცნება ერთიანი პრინციპით უნდა აიხსნას. თუ ჩვენ უფლებას ავხსნით ისეთი ცნებების მეშვეობით, რომლებიც გამოუსადეგი იქნება მოვალეობის ცნების ასახსნელად, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ აშკარად ყალბ კონსტრუქციასთან გვექონია საქმე. თუ, მაგალითად, უფლება აიხსნება ნების გამოვლინებით, მაშინ იმიტვე უნდა აიხსნას მოვალეობაც. მაგრამ როგორ შეიძლება, რომ მოვალეობა სამართლის სუბიექტის ნების გამოძღვანებასთან იცოს

<sup>37</sup> იქვე, გვ.133-134

<sup>38</sup> იქვე, გვ.136

<sup>39</sup> იქვე, გვ.141

დაკავშირებული? ჩვენ რომ ამ პოზიციაზე დავდგეთ, მაშინ მართლწესრიგი საერთოდ მოიშლებოდა, რადგან სამართლის სუბიექტთა უდიდესი უმრავლესობა თავის მოვალეობას არ შეასრულებდა. ავტორი შენიშნავს, რომ ეს მომენტი "სამართლის მეცნიერებაში ხშირად დაიწყებულია".<sup>40</sup>

არ შეიძლება არ დავეთანხმეთ ავტორის იმ დებულებას, რომ "ჩვენ სულიერი ცხოვრების მოვლენათა ყველაზე უფრო დაწვრილებითი და ფაქიზი ანალიზითაც კი ვერასოდეს ვერ შევძლებთ უფლების მსგავსი რაიმეს აღმოჩენას".<sup>41</sup> ჩვენ შეგვიძლია ამ მოვლენების ანალიზით აღმოვაჩინოთ მხოლოდ უფლების "ინდივიდურ-ფსიქოლოგიური" განცდა. მაგრამ უფლება და მისი "ინდივიდურ-ფსიქოლოგიური განცდა" რომ შევეთრად არიან ერთმანეთს მოწყვეტილი, ამას საეჭარისი სიცხადით ვეჩიუნებს ის, რომ "თვითოული ეს მომენტი განცალკევებით და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიძლება არსებობდეს".

იმ მრავალ მაგალითთაგან, რომლებიც ამ დებულების დამადასტურებლად გამოდგება, ავტორი ასახელებს ერთ სრულიად თვალსაჩინო მაგალითს. "ყოველი სასამართლო პროცესი, - წერს ირ. სურგულაძე, - რომელზედაც პროცესის მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობის საკითხი განიხილება, მთავრდება ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ, და ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება მუდამ იმის დამადასტურებელია, რომ ერთ-ერთი მხარე თავის უფლებას შეცდომით აღიქვამდა. (irrig aufgefasset hat)) და რომ მისი ინდივიდურ-ფსიქოლოგიური განცდა (ო.გ.) მისსავე სამართლებრივ პრეტენზიას ობიექტურად სრულიადაც არ ეთანხმება. ეს ორი მომენტი რომ ყოველთვის ერთმანეთს ემთხვეოდეს, მაშინ სამართლებრივი დაუა და მისი სასამართლო განხილვა სრულიად შეუძლებელი და, მამასადაძე, საჭიროც არ იქნებოდა".<sup>42</sup>

ავტორის ეს დებულება სრული სიცხადით გვიჩვენებს იმ თვალსაზრისის უსუსურობას, რომელიც უფლების არსს ნების მომენტზე დაყრდნობით ხსნის. უფლების არსის ახსნა არ შეიძლება ვეძიოთ ინდივიდის ფსიქიკურ სფეროში. ინდივიდს შეუძლია მხოლოდ უფლების განცდა. როგორც ახლა ვნახეთ, უფლება და მისი განცდა ინდივიდის მხრივ სრულიად სხვადასხვა სიბრტყეზე არსებული მოვლენებია. განცდა რეალური ცხოვრების მოვლენაა, ის რეალურ ცხოვრებაში მომხდარი ფაქტია, ხოლო უფლება არ შეიძლება რეალურ სინამდვილის მოვლენა იყოს. სწორედ ამიტომ არის, რომ უფლება მაინც არსებობს, მიუხედავად იმისა, განიცდის თუ არა მას სუბიექტი და ცდილობს თუ არა მის განხორციელებას. ზოგჯერ უფლებას სამართლის სუბიექტი საერთოდ ვერ განიცდის. მაგალითად, ქმედუნარობის შემთხვევაში სამართლის სუბიექტი მოკლებულია უფლების განცდას, მაგრამ განსაზღვრული უფლება მას მაინც შეიძლება ჰქონდეს (მაგალითად, ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვი).<sup>43</sup> აქედანაც აშკარად ჩანს, რომ უფლება და მისი განცდა ერთმანეთისაგან სრულიად მოწყვეტილი მოვლენებია.

ამის საფუძველზე ავტორი აცთობს დასკვნას, რომ უფლება არ შეილება განვიხილოთ ადამიანისათვის თანდაყოლილ თვისებად, რომელიც თითქოს "ადამიანის ბუნებიდან მომდინარეობს და მისი, როგორც "განსაზღვრული სულიერი არსების თვისებას

<sup>40</sup> იქვე, გვ.141

<sup>41</sup> იქვე, გვ.151

<sup>42</sup> იქვე

<sup>43</sup> იქვე, გვ.152

წარმოადგენს". ასეთი წარმოდგენები, მისი აზრით, განვითარდა "ბუნებითი სამართლის მოძღვრების ბატონობის დროიდან". ირ. სურგულაძის აზრით, ეს შეხედულება არ განსხვავდება იმ თანამედროვე მოძღვრებისაგან, რომლებიც "უფლების არსს ინდივიდის სულიერი ცხოვრების ელემენტებში ხედავენ".<sup>44</sup>

ამრიგად, ნებისყოფის და ინტერესის თეორიები, რომლებიც უფლების არსის ახსნას ადამიანის სულიერი ცხოვრების სფეროში ეძებენ, სრულიად გამოუსადეგარი არიან ამისთვის. მაშინ, აბა, სად უნდა ვეძიოთ უფლების "ცნების ჭეშმარიტი შინაარსი?"<sup>45</sup> – კითხულობს ავტორი.

უფლების ცნების შინაარსი, ავტორის აზრით, შეიძლება გავიგოთ მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ "უფლება წმინდა კორელაციური ცნებაა, რომელსაც მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ჩვენ მისი შესაბამისი მოვალეობის არსებობას ვივარაუდებთ. მხოლოდ უფლებას და მის შესაბამის მოვალეობას შორის არსებული ურთიერთობის აღმოჩენის მეშვეობით შეგვიძლია სწორად გავიგოთ უფლება-მოვალეობის ცნების შინაარსი".<sup>46</sup>

შემდეგ ავტორი ამბობს, ვერც კორელაციურობის მომენტზე მითითება, რაც ჩვენ ადრე გავაკეთეთ, ვერ ახსნის მთლიანად უფლება-მოვალეობის ბუნებას, იგი "მთლიანად არ მოიცავს იმას, რაც უფლება-მოვალეობის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ".<sup>47</sup>

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ კავშირი კორელაციურობასა და უფლება-მოვალეობას შორის არსებული ურთიერთობის დროსაც აუცილებელი ხასიათისაა. მაგრამ კორელაციურობის დროს აუცილებლობა წმინდა ანალიტიკურია, მაშინ, როცა უფლება-მოვალეობას შორის არსებული კავშირი. "თუკი ჩვენ პუსერლის გამოთქმას გამოვიყენებთ, სინთეზური აუცილებლობა" არის.<sup>48</sup>

ამის შემდეგ ავტორი ამტკიცებს, რომ "აქ გატარებული განსხვავება ურთიერთობის ელემენტების კავშირის ანალიტიკურ და სინთეზურ აუცილებლობას შორის ამავე დროს მიუთითებს იმ საფუძვლის განსხვავებულობაზე, რომელიც ამ აუცილებლობას ორივე შემთხვევაში განსაზღვრავს".<sup>49</sup>

როგორია კავშირის საფუძველი "სინთეზური აუცილებლობის შემთხვევაში"?

"მისი საფუძველი, – ირ. სურგულაძის აზრით, ურთიერთობის ელემენტების შინაარსის თავისებურებაში უნდა ვიპოვოთ". ამ დებულებიდან შემდეგ ავტორს მნიშვნელოვანი დასკვნები გამოაქვს. პირველი დასკვნა, რასაც აქედან იგი აკეთებს, არის ის, რომ აქ ნაგულისხმევი "კავშირი მკაცრად ობიექტური ხასიათისაა".<sup>50</sup> ეს კავშირი არ არის დამოუკიდებელი შემეცნების სუბიექტზე და მისგან დამოუკიდებლად არსებობს. იგი გამოხატავს ნივთის ონტოლოგიურ ბუნებას, ნივთისა, რომელიც "შეიმეცნება როგორც რაღაც ობიექტური, შემეცნებადვე თავისთავად არსებული".<sup>51</sup>

მაგრამ ავტორს ნივთის არსებობა შემეცნებელი სუბიექტისაგან დამოუკიდებლად სრულიად არ ესმის რეალურ სამყაროში არსებული ნივთის თვალსაზრისით, სადაც

<sup>44</sup> იქვე

<sup>45</sup> იქვე, გვ. 152

<sup>46</sup> ირ. სურგულაძე, მით. ნაშრ. გვ. 153

<sup>47</sup> იქვე, 152-153

<sup>48</sup> იქვე, 154 (ავტორი აქ მიუთითებს პუსერლის ნაშრომზე Log. Unters. II, S. 246)

<sup>49</sup> იქვე, გვ. 154

<sup>50</sup> იქვე, გვ. 155

<sup>51</sup> იქვე, გვ. 155

მიზეზობრიობა ბატონობს. მიზეზობრიობა, აეტორის აზრით, ნიშნავს დროში არსებულ კავშირს მოვლენათა შორის, მაშინ როცა აქ ნაგულისხმევი კავშირი "აღნიშნავს პირიქით, საგნობრივ შინაარსზე დაფუძნებულ კავშირს".<sup>52</sup>

როგორც ვხედავთ, აქ აეტორი, ერთი მხრივ, გაემიჯნა უხემ მატერიალიზმს, სადაც წმინდა მიზეზობრიობის კანონზომიერება მოქმედებს, ზოლო, მეორე მხრივ, იგი ააშკარავებს სამართლის ნეოკანტიანური სკოლის უსუსურობას ახსნას უფლება-მოვალეობის ნამდვილი ბუნება. ეს იმიტომ ხდება, როგორც კანტიანობა საზოგადოდ სამყაროს ადამიანის გონების წარმონაქმნად მიიჩნევს, ნეოკანტიანობაც უფლებას ადამიანის ფსიქიკის იქით ვერ ხედავს. ერთი სიტყვით, ორივე ეს მიმართულება ფსიქოლოგიზმის ჭკობშია ჩაფლული და არ შეუძლავს ახსნას უფლების არსი.

ამრიგად უფლება-მოვალეობის ობიექტურობა გამოიხატება იმით, რომ ეს ცნებები არ ემორჩილება რეალური ცხოვრების კანონზომიერებას და, მაშასადამე, არ არის დამოუკიდებელი ადამიანის ფსიქიკურ სამყაროში მიმდინარე პროცესებზე. ამიტომ ამ ცნებებს აქვთ თავისი დამოუკიდებელი კანონზომიერება, რომელიც იდეალური სამყაროს კანონზომიერებაა.

აქ მიღებული შედეგების საფუძველზე ირ. სურგულაძე დაწერილებით იხილავს სამართლის სუბიექტის საკითხს. იგი ააშკარავებს სამართლის მეცნიერების იმ მიმართულებების სიყალბეს, რომლებსაც უფლება-მოვალეობა ადამიანის ფსიქო-ფიზიკური თვისებებიდან გამოყავს. ყველა ეს მიმართულება ძირითადად სამართლის ბუნებითი სკოლის ზეგავლენით არის შემუშავებული.

ბუნებითი სამართლის სკოლა თავისი წმინდა ნატურალისტური ხასიათის გამო ვერ აგვიხსნის ბევრ საკითხს, რომლებიც სამართლის სფეროში წამოიჭრება. ეს მოძღვრება, მაგალითად, ვერ აგვიხსნის იმას, თუ რატომ არის, რომ "პიროვნება იურიდიული აზრით არ მოიცავს მთლიანად ფიზიკურ პირს".<sup>53</sup> ცნობილია, რომ ფიზიკური პირის გვერდით სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის იურიდიული პირიც. ამიტომ იყო, რომ ნებისყოფის თეორიის წარმომადგენლები ამ შემთხვევაში იძულებულნი არიან მიმართონ ფიქციას და ის, რაც არ არის სინამდვილე, რაც არ არის ფაქტი, სინამდვილეს, ფაქტს გაუთანაბრონ. მაგრამ ეს არ არის საკითხის გადაწყვეტის სრულყოფილი გზა, რადგან ის, რაც ფაქტი არ არის, არ შეიძლება ფაქტს გაუთანაბროს.

ირ. სურგულაძე გეთავაზობს ამ საკითხის გადაწყვეტის მეტად თავისებურ და ორიგინალურ გზას, რომელიც ყოველგვარი ფიქციის გამოყენების საჭიროებისაგან გვათავისუფლებს. მისი აზრით, სამართლის სუბიექტის უფლება-მოვალეობით აღჭურვილსათვის ერთი და იგივე თვისებებია საჭირო, მიუხედავად იმისა, ფიზიკურ პირს ეხება საქმე თუ იურიდიულს.

მეორე მხრივ, შეიძლება ფიზიკურ პირებთან გვერდულს საქმე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ფიზიკურ პირს ერთნაირი უფლებები გააჩნიათ. "უფლების სხვადასხვა მოცულობა, სხვადასხვა სამართლებრივი სფერო ცალკეულ პიროვნებათა, - ამბობს ირ. სურგულაძე - რომლებსაც ჩვენ თითქმის ყოველ სამართლებრივ სისტემაში ვხედავთ, თვალნათლივ განისაზღვრება არა ანატომიური, ფიზიოლოგიური ან ფსიქოლოგიური თვისებებურების მეოხებით კონკრეტული "მატარებლისა", არამედ მოქმედი სამართლებრივი მოწესრიგების სისტემის ინდივიდუალური სტრუქტურის მეოხებით";<sup>54</sup>

<sup>52</sup> იქვე, ის. სქოლიო. "ნიეთი" აქ მატერიალური საგნის მნიშვნელობით არ არის ვაგებული.

<sup>53</sup> იქვე, გვ.161

<sup>54</sup> იქვე, გვ.162. ამ ირ.სავაგლასის საეხებით ეთანხმება განაწილების სიტყვები: "ადამიანის მარტო ადამიანად ყოფნა, ე.ი. ანთროპოლოგიურ-ბიოლოგიურ მოვლენად ყოფნა სრულიადაც არ არის საქმარისი იმისათვის, რომ ის სამართლის სუბიექტი იყოს" (იხ.განმარტებული, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, გვ.184)

შესანიშნავადაა ნათქვამი, სამართლის სუბიექტად ყოფნა არ არის დამოკიდებული სუბიექტის ფიზიკურ თვისებებზე, როგორც თანდაყოლილ თვისებებზე. ეს თვისება სუბიექტისა, როგორც ირ.სურგულაძე ამტკიცებს, არის რაღაც გარედან მოტანილი (auswärts Hergebrachtes), ობიექტური მართლწესრიგისაგან “მიზიჭებული”.<sup>55</sup>

კიდევ უფრო დამაჯერებელია ირ.სურგულაძის მსჯელობა, როცა ის ამ საკითხის ახსნას სამართლის ბუნებაზე დაყრდნობით ცდილობს. ირ.სურგულაძის აზრით, სამართალი ნორმების ერთობლიობაა, რომელიც განსაზღვრული მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენს. სამართალს სახელმწიფო, როგორც საშუალებას, იარაღს, ისე იყენებს რაიმე მიზნის მისაღწევად. ამიტომ ამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა უფლებები მიეწერება ისეთ სუბიექტსაც, რომელიც არ არის ფიზიკური პირი.

უფლებების ასეთი მიწერა იმიტომაც არის შესაძლებელი, რომ ფიზიკურ პირს მართლწესრიგი განიხილავს არა თავისი შინაგანი იმანენტური თვისების აზრით, არამედ წმინდა გარეგნული თვალსაზრისით, როგორც საყრდენ წერტილს სამართლებრივი სისტემის საშუალებებისა, რომლებითაც კანონმდებელი განსაზღვრული მიზნის მიღწევას ცდილობს. “ასეთი საყრდენი წერტილის როლი – წერს ირ.სურგულაძე – ასევე კარგად შეუძლია შეასრულოს აგრეთვე იურიდიულმა პირმა. რამდენადაც ამისათვის არ არის ის თვისებები აუცილებელი, რომლებიც ფიზიკურ პირს, როგორც ფსიქო-ფიზიკურ არსებას, ახასიათებს”.<sup>56</sup>

იმ დებულებას, რომ სამართლის სუბიექტს მართლწესრიგი განსაზღვრულ უფლებებს მიაწერს. ანიჭებს, ისტორიული გამართლებაც აქვს. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში ბევრი ქვეყნის სისხლის სამართალი დანაშაულის სუბიექტად, ადამიანთან ერთად, აღიარებდა ცხოველს, მწერს და უსულო საგანსაც კი.

ახალ ეპოქაში, მართალია, კანონმდებელი ასე შორს აღარ მიდის, მაგრამ დავას იწვევს ის საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ ადამიანთან ერთად, კანონმდებელმა დანაშაულის სუბიექტის უფლება-მოვალეობებით აგრეთვე იურიდიული პირიც აღჭურვოს. ყველაზე მეტ სირთულეს ეს საკითხი სისხლის სამართალში უნდა ქმნიდეს. მიუხედავად ამისა. მაინც არის ქვეყნების, სადაც დანაშაულის სუბიექტად იურიდიული პირიც არის აღიარებული. მაგრამ თუკი ჩვენ არ ვაღიარებთ იურიდიულ პირს დანაშაულის სუბიექტად, ეს იმიტომ კი არა, თითქოს ირ.სურგულაძის დებულება სწორი არ იყოს. საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაში სულ სხვა სირთულეები წარმოიქმნება, რაც ხელს უშლის იურიდიული პირის დანაშაულის სუბიექტად აღიარებას (მაგალითად, ირლენდის პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპი და ა.შ.).

საგულისხმოა, რომ შესაბამისი ტერმინოლოგიის წარმოშობაც სამართლის იმ მოძღვრებებთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომლებიც უფლების ახსნას ადამიანის ფსიქო-ფიზიკური თვისებებით ცდილობდნენ. ამას პირდაპირ მიგვანიშნებს ტერმინი “ფიზიკური პირი”, ესე იგი ადამიანი, ესე იგი ბუნებრივი ანუ ბუნების მიერ “ფიზიკური” თვისებებით დაჯილდოებული სუბიექტი, ხოლო “იურიდიული პირი” ხელოვნურად შექმნილი სუბიექტი უნდა იყოს. “იურიდიული პირი” არაბუნებრივი, სამართლის მიერ ხელოვნურად შექმნილი სუბიექტია. ამიტომ იგი ფიქციაა. აი, სადამდე მივყავართ ნებისყოფის და მის მსგავს თეორიებს.

ამრიგად, ირ.სურგულაძე მიდის იმ სწორ დასკვნამდე, რომ “ურთიერთობა უფლებასა და მოვალეობას შორის ობიექტურად აუცილებელი ხასიათისაა”.<sup>57</sup> იგი აკრიტიკებს ეგრეთ წოდებული “მატარებლობის” (“Tragerschaft”), თეორიას, რომლის მიხედვით უფლებისა

<sup>55</sup> იქვე

<sup>56</sup> იქვე. გვ.163

<sup>57</sup> იქვე. გვ.156



და მოვალეობისა იმაში კი არ უნდა იქნეს "დამოცილებულება" მონასული, თითქოს ისინი შეიძლება შეიძლება ვლინდებოდნენ მხოლოდ ერთმანეთთან კავშირში, როგორც ნაწილები მათგანვე შედგებილი მთლისა, არამედ იმაში, რომ თვითთული კი ელემენტები წანამძღვრის სახით გულისხმობს "მატარებელს" ("Träger-s"), რომლის თანახმად ურთიერთობა მათ შორის გაგებულ უნდა იქნეს, როგორც შედეგი, რომელიც მხოლოდ უფლება-მოვალეობის მატარებელთა შორის წარმოქმნილი რეალური დამოცილებულების წყალობით არსებობს".<sup>38</sup>

ასე რომ არ იყოს, მაშინ, ავტორის აზრით, ჩვენ უნდა ვვლიართ "იდეა უფლებისა და მოვალეობის უწყვეტი კავშირისა პიროვნების ინდივიდურ განცდასთან" და სხვა არაფერი. რომ უფლება-მოვალეობა არ შეიძლება აიხსნას პიროვნების განცდების მეოხებით, ჩვენ ამაზე ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ და ამიტომ ნათქვამს აქ აღარ გავიმეორებთ. მაშასადამე, უფლება-მოვალეობის "ობიექტურად აუცილებელი ხასიათი" არ არის დამოცილებული "მატარებელზე", ესე იგი სამართლის სუბიექტზე. აქედან ირ.სურგულაძეს გამოჰყავს სამართლებრივი ურთიერთობის თავისებური სტრუქტურა.

სამართლებრივი ურთიერთობა, მისი აზრით, არ არის პიროვნებათა შორის წარმოშობილი "რეალური, სოციალური" ურთიერთობა, რაც აუცილებლობით გულისხმობს კონკრეტულ სუბიექტებს და მათგან გამოხატულ ნებას, განცდას, ესე იგი ფიზიკური სამყაროს მოვლენებს. ერთ-ერთ ამის მაგალითად ავტორი ასახელებს ეგრეთწოდებული აბსოლუტური უფლების ცნებას. ეს უფლება საპირისპიროდ გულისხმობს "არა ცალკეული პიროვნების ან პიროვნებათა განსაზღვრულ ჯგუფის, არამედ ყველა პიროვნების მოვალეობას",<sup>39</sup> რაც რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესად არ შეიძლება განვიხილოთ, ის, რაც რეალურ პიროვნებათა კონკრეტულ სუბიექტურ, ფსიქიკურ ელემენტებს გულისხმობს. ირ. სურგულაძე აქ არ ჩერდება და კიდევ უფრო აღრმავებს თავის თვალსაზრისს. მისი აზრით, ნებისყოფის ან ინტერესის თეორიებზე დაყრდნობით შეუძლებელია სამართლის სოციალური ფუნქციის ახსნა. თუკი ჩვენ უფლების არსის ახსნას ნების გამოვლინებით და საზოგადოდ ცალკეული ინდივიდის ნებაზე დაყრდნობით შევეცდებით, მაშინ უფლება დაკარგავს თავის სოციალურ ფუნქციას და ის წმინდა ინდივიდურ, კერძო მოვლენად იქცევა. "სამართალი, – წერს ირ.სურგულაძე – რომლის ფესვები ადამიანის საზოგადოებრივ არსებობაში (Existenz) დევს, არასოდეს არ შეიძლება იქნეს ახსნილი იმ თავისებებზე მითითებით, რომლებიც მხოლოდ ინდივიდური ცხოვრების დახურულ წრეში არსებობს".<sup>40</sup>

ავტორი აქ იხილავს საშუალებისა და მიზნის ცნებებს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ "მიზნის ცნება სამართლის ნორმის განვითარების სოციალური პირობების საკითხის ახსნისათვის გარეგნულად სრულიად ღირებულაია, ხოლო სამართლის არსის თეორიული გაშუქების დროს გამოუსადეგარი ჩანს, სახელდობრ იმიტომ, ვინაიდან სამართალი მიზანი კი არა: მხოლოდ საშუალებაა განსაზღვრული მიზნის მიხედვით".<sup>41</sup>

მეტად საყურადღებოა ავტორის მომდევნო მსჯელობა, რომელიც კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის მის თვალსაზრისს. ირ.სურგულაძის აზრით, ფიზიკურ პირსა და "ობიექტურ მართლწესრიგს" შორის ნამდვილად არსებობს ურთიერთობა, მაგრამ ეს ურთიერთობა არ შეიძლება იყოს იდენტური იმ ურთიერთობისა, რომელიც წარმოიქმნება "ობიექტურ მართლწესრიგსა" და უფლებას შორის.

<sup>38</sup> იქვე, გვ.156

<sup>39</sup> იქვე, გვ.160

<sup>40</sup> იქვე, გვ.162. ავტორი სქოლიოში უთითებს ბინდერის ნაშრომს "Das Problem des juristischen Persönlichkeit "

<sup>41</sup> იქვე, გვ.163, ავტორი აქ კვლავ ბინდერის ხსენებულ ნაშრომს ეყრდნობა.

ეს იმიტომ ხდება, რომ უფლება და მართლწესრიგი წმიდა სამართლებრივი კატეგორიებია, ხოლო პირველ შემთხვევაში კი ურთიერთობის მხოლოდ ერთი ელემენტი, ესე იგი მართლწესრიგია სამართლებრივი ხასიათის. აუტორის აზრით, შეცდომა, რომელიც მოხდით ნებისყოფისა და ინტერესის თეორიების დამცველებს, სწორედ იქ უნდა ვეძიოთ, რომ ისინი ურთიერთობას ობიექტურ მართლწესრიგსა და უფლებას შორის განიხილავენ "ობიექტურ მართლწესრიგსა და ფიზიკურ პირს შორის არსებულ ურთიერთობად".<sup>62</sup>

საბოლოოდ ამ თეორიათა წარმომადგენლები იმ მცდარ დასკვნამდე მიდიან, რომ ობიექტურ მართლწესრიგს "უფლება ან უფლების ფაქტობრივი წანამძღვრები" (ნება ან ინტერესი) გარედან აქვს მიღებული. მართლწესრიგის როლი იმით შემოიფარგლება, რომ შეუძლია აღიაროს ან დაიცვას ნება ან ინტერესი. მაგრამ აქედან მართლ იმ კი არ გამომდინარეობს, რომ მართლწესრიგს "ნება ან ინტერესი შეუძლია აღიაროს ან დაიცვას ფაქტიური და აუცილებელი წანამძღვრების აზრით. ამ დებულებებიდან თვითონ გამომდინარეობს, რომ იქ. სადაც ეს ფაქტიური ელემენტი გვაკლია, ასევე არ შეიძლება არსებობდეს არავითარი უფლება".<sup>63</sup>

ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ უფლების ახსნა არ შეიძლება ნების ან ინტერესის მეშვეობით, რადგან მართლწესრიგი არ არის შებოჭილი ხსენებული წანამძღვრებით და უფლებას ანიჭებს სუბიექტს იქაც, სადაც არც ნებაა გამოხატული და არც რაიმე ინტერესი ჩანს.

ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ბევრი ადამიანი დარჩებოდა უუფლებოდ, რადგან ყველას როდი შეუძლია გამოხატოს თავისი ნება და მოითხოვოს იმ უფლების დაკანონება, რაც მას ნამდვილად ეკუთვნის. ამისათვის კანონმდებელმა უნდა იზრუნოს სამართალშემოქმედების დროს. სწორად შენიშნავს ირ. სურგულაძე "რომ სამართალი თავის ერთიანობაში მიზანს კი არა, იმ საშუალებების ერთგვარ სისტემას გამოხატავს, რომელშიც საზოგადოებრივი ურთიერთობების კონკრეტულ-ისტორიული მოწესრიგებისათვის კანონმდებლის მიერ მიზნის განსახორციელებლად არიან განსაზღვრული".<sup>64</sup>

მამსადამე, სამართალი საშუალებაა და არა მიზანი. უფრო ზუსტად, სამართალი საშუალებების კომპლექსია, ხოლო კანონმდებელი შესაბამისი მიზნის მისაღწევად აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს ამ საშუალებათა მეშვეობით. საშუალებასა და მიზანს შორის მუდმივი წინააღმდეგობაა, რადგან ისინი ყოფიერების სხვადასხვა ონტოლოგიურ რიცხვს მიეკუთვნებიან. აუტორი საესებით სწორედ აღნიშნავს, რომ "სამართალი თავის ერთიანობაში მიზანი კი არაა,, არამედ მხოლოდ საშუალება განსაზღვრული მიზნის მისაღწევად"<sup>65</sup> და დანაიშნულება სამართლისა სოციალური ცხოვრების მოწესრიგება".

მაგრამ როგორ ახერხებს ამას სამართალი, თუკი ობიექტური მართლწესრიგი კონკრეტული სოციალური ცხოვრებისაგან სრულიად მოწყვეტილია, ვინაიდან ის რეალური კი არა, იდეალური ყოფიერების მოვლენაა? ამ პროცესს ირ. სურგულაძე უწოდებს "სამართლებრივი ნორმების გადასვლას "იურიდიულად შესაძლებელი განხორციელების მდგომარეობაში".<sup>66</sup>

ამრიგად, სამართლებრივი ურთიერთობა უფლება-მოვალეობის სახით არსებობს აბსტრაქტულად მართლწესრიგის ცხოვრებაში. სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც

<sup>62</sup> იქვე, გვ. 164

<sup>63</sup> იქვე, გვ. 164

<sup>64</sup> იქვე, გვ. 165

<sup>65</sup> იქვე, გვ. 164

<sup>66</sup> იქვე, გვ. 174

მართლწესრიგის ელემენტი, აბსტრაქტული მდგომარეობიდან შემდეგ უნდა გადავიდეს "იურიდიულად შესაძლებელი განხორციელების მდგომარეობაში". როგორ ხდება ეს გადასვლა? ეს ხდება უფლება-მოვალეობის წმინდა სამართლებრივი ურთიერთობისათვის ახალი ელემენტის სამართლებრივი ურთიერთობის საგნის მიმატებით. "ცხოვრებისაგან სრულიად აბსტრაქტიზებული ელემენტები უფლებისა და მოვალეობისა – წერს ირ.სურგულაძე – მიიღებენ ამით ამ ახალ ელემენტში საყრდენ წერტილს, რომელშიც ისინი კვლავ გაერთიანდებიან, მაგრამ არა როგორც აბსტრაქტული ერთიანობა, რომელიც თავის საფუძველს ლოგიკური კორელაციურობის ცნებაში პოულობს, არამედ, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მოქმედი ელემენტების ერთიანობა".<sup>67</sup>

თავისი ნაშრომის წინა გვერდებზე ირ.სურგულაძე დაწერილებით განიხილავს სამართლებრივი ურთიერთობის საგნის ცნებას იურიდიული თვალსაზრისით და მიდის იმ დასკვნამდე, რომ "საგნის იურიდიული ღირებულება წმინდა იურიდიული კატეგორია არის, რომლის დასაბუთება საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების ძირითად პრინციპებს ეყრდნობა".<sup>68</sup>

სამართლებრივი ურთიერთობის სტრუქტურა, მართალია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება ურთიერთობის საგნის ნიშნებით, "მაგრამ ეს ნიშნები – განაგრძობს მსჯელობას ავტორი – უმეტეს შემთხვევაში ობიექტური მართლწესრიგის მეოხებით აქვს მიმატებული (beigefügt), რომლებიც ნიუთს ისეთ თვისებებს ანიჭებს, რაც მას ბუნებრივად არ გააჩნია. თავისთავად გასაგებია ის, რომ ეს მიმატება არ არის სუბიექტური ან თვითნებური ისევე, როგორც არაფერია სუბიექტური იმაში, როცა საგანს ეკონომიკურ ბრუნვაში ისეთი ნიშნები (ფასი, გაცვლის უნარი და ა.შ.) ემატება, რომლებიც მას ეკონომიკურ ბრუნვასთან მისი ურთიერთობის გარეშე არ გააჩნია".<sup>69</sup>

ის, რაც ადრე სამართლის სუბიექტის მიმართ ითქვა, იგივე უნდა ვთქვათ აქ "სამართლებრივი ურთიერთობის საგნის მიმართაც" როგორც სწორად შენიშნავს ავტორი, "სამართლებრივი მოწესრიგების პროცესში საგანი განიხილება არა თავისი იმანენტური შინაარსის თვალსაზრისით, ამრიგად, მართლწესრიგის მიერ დადგენილი სამართლებრივი ფორმებისაგან მოწყვეტილად, არამედ მისდამი იურიდიული დაინტერესების (თანაც ეს გამოხატულება, ბუნებრივია, არ უნდა გავიგოთ როგორც ცალკეული პერსონის ინდივიდუალი იურიდიული ინტერესი), მისი იურიდიული ფუნქციების თვალსაზრისით".<sup>70</sup>

ამის შემდეგ ავტორს მოჰყავს მრავალი ისტორიული მაგალითი იმის დასამტკიცებლად, რომ ზოგჯერ განსხვავებული იურიდიული ფორმების მეოხებით ერთი და იგივე სოციალური მიზანი მიიღწეოდა. იყო პირიქითაც, როცა ერთი და იგივე სამართლებრივი ფორმა სხვადასხვა სოციალური მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენდა.

ამ მაგალითზე დაყრდნობით ირ. სურგულაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ "ძირითადი ელემენტები, რეალურ ცხოვრებისეულ ურთიერთობებში რომ გვხვდება, როგორც აგრეთვე მათი ურთიერთგვერდის განმსაზღვრელი კანონზომიერება იმ ელემენტებთან და კანონზომიერებასთან შედარებით, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში ბატონობენ, სრულიად განსხვავებული ხასიათისაა".<sup>71</sup>

<sup>67</sup> იქვე, გვ.202

<sup>68</sup> იქვე, გვ.196

<sup>69</sup> იქვე, გვ.196

<sup>70</sup> იქვე, იქვე

<sup>71</sup> იქვე, გვ.199

ეს კანონზომიერება კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ “საგნის “ბუნებრივი” შინაარსი, – განაგრძობს მსჯელობას ავტორი – რომელიც მის მიმართ შექმენების თეორიისეული მიდგომის დროს გადამჭრელი მნიშვნელობისაა, საგნის ჩართვისას სამართლის ფორმების თავისებურ კანონზომიერებაში ინდივიდუალურ სიდიდეს წარმოადგენს”.<sup>72</sup>

ჩვენ აღარ დავასახელებთ აქ იმ მაგალითებს, რომლებიც ავტორს ამ დებულების ნათელსაყოფად მოაქვს. მეთხველს თვითონ შეუძლია მიაქციოს ყურადღება ამ მაგალითებს და დარწმუნდეს, რამდენად ჭკუმაძრიტია ირ. სურგულაძის მსჯელობა და რამდენად სწორად ასახულებს ის ხსენებულ დებულებას. პირადად ავტორმა სამართლებრივი ურთიერთობის წმინდა იურიდიული ელემენტების უფლებისა და მოვალეობის გვერდით შემოიტანა და დაახასიათა კიდევ ორი ელემენტი – სამართლის სუბიექტი და სამართლებრივი ურთიერთობის საგანი.

ეს ორი უკანასკნელი ელემენტი – სუბიექტი და საგანი, მათი არსებობის ბუნებრივ მდგომარეობას თუ წარმოიდგენთ, რეალური ცხოვრების მოვლენებია, რომლებსაც თითქოს არ უნდა ჰქონდეს შინაგანი კავშირი უფლებამოვალეობის იდეალურად არსებობასთან. მაგრამ აქაც ავტორმა მონახა ამ რეალური ელემენტების ის მხარე, რომელიც მათ “ბუნებრივ” არსებობას არ ემთხვევა, არ გამოხატავს. ეს არის ის მხარე, რომლის მიხედვით საგანი “ბუნებრივი კანონზომიერებით კი აღარ განისაზღვრება, არამედ სამართლებრივი ფორმების სპეციფიური კანონზომიერებით”.<sup>73</sup> ამრიგად, ავტორმა შეძლო სამართლის სუბიექტი და სამართლებრივი ურთიერთობის საგანი უფლება-მოვალეობისათვის დამახასიათებელ სპეციფიურ კანონზომიერებაში მოექცია, ამ კანონზომიერებაში ჩაერთო.

ამის შემდეგ ირ. სურგულაძე განიხილავს იურიდიულად რელევანტურ ფაქტს, რომელიც არ მიეკუთვნება იურიდიული ურთიერთობის შინაგან ელემენტთა რიცხვს. ეს ფაქტი იურიდიული ურთიერთობის მიღმა იმყოფება. მაგრამ იგი აუცილებელია სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისათვის. იურიდიულად რელევანტური ფაქტი სამართლებრივი ურთიერთობის საგნის თანახმად ქმნის “აგრეთვე ძირითად პირობას სამართლებრივი ურთიერთობის გადასვლისათვის აბსტრაქტული სქემის მდგომარეობიდან იურიდიულად შესაძლებელი აღსრულებითობის მდგომარეობაში”.<sup>74</sup> მაგრამ მათი როლი განსხვავებულია სამართლებრივი მოწესრიგების სისტემაში.

მომდევნო გვერდებზე ჩვენ ვხედავთ კრიტიკულ შეფასებას იურიდიული ფაქტის თანამედროვე მოძღვრებისა. ნაკლი იმ მოძღვრებისა ირ. სურგულაძის აზრით – გამოიხატება არა მარტო იურიდიული ფაქტების არასრულყოფილი კლასიფიკაციით, არამედ იმითაც, რომ აუხსნელი “ჩრება იმ შინაგანი კანონზომიერების საკითხები, რომელიც ამ ფაქტის ცალკეულ სახეთა შორის არსებულ კავშირს განსაზღვრავს. იმ თავისებური კავშირების საკითხი, რომლებშიც ისინი ზოგიერთ შემთხვევაში ვლინდებიან, და ასეთი კავშირების იურიდიული შედეგების საკითხები”.<sup>75</sup>

ავტორი აკრიტიკებს იურიდიულად რელევანტური ფაქტის თანამედროვე კლასიფიკაციას “იურიდიულ ხდომილებად და იურიდიულ მოქმედებად” და მიდის იმ დასკვნამდე, რომ არის იურიდიული ფაქტები, რომლებიც ამ კლასიფიკაციის გარეთ რჩება. იგი ასახელებს სერეიტუტის უფლების წარმოშობის მოქმედებას, რომელიც არც ხდომილებაა და არც გარიგება ან დელიქტია, რომლებსაც მოიცავს “იურიდიული მოქმედება”. იგი ასახელებს აგრეთვე სხვა მსგავს შემთხვევებსაც.<sup>76</sup>

<sup>72</sup> იქვე, იქვე

<sup>73</sup> იქვე

<sup>74</sup> იქვე, გვ. 202

<sup>75</sup> იქვე, გვ. 204

<sup>76</sup> იქვე

აეტორი არ ეთანხმება იურიდიული ფაქტის ტრადიციულ დეფინიციას, რომლის მიხედვით იურიდიულია ისეთი ფაქტი, რომლის საფუძველზე წარმოიშობა, შეიცვლება ან შეწყდება უფლების განხორციელება. მას მოჰყავს ჰ.დერნბურგის განასხვავება, რომ "უფლების ფაქტობრივია ფაქტები, ესე იგი დროსა და სივრცეში მოქმედი გრძნობით აღქმადი ხდომილებანი".<sup>77</sup>

"ქველი არ უნდა იყოს იმის მიხედვით, – განაგრძობს ირ. სურგულაძე – რომ ამ დეფინიციის სიმძიმის ცენტრი ობიექტური სამართლიდან, რომელიც განსაზღვრულ რეალურ ან სამართლებრივ მოვლენებს იურიდიული რელევანსობის ხასიათს ანიჭებს, თვითონ იმ მოვლენებზე გადადის, რომლებიც, როგორც ფაქტობრივი, შინაგანი, იმანენტური ბუნების წყალობით შესაბამის სამართლებრივ ეფექტს იწვევენ".<sup>78</sup>

მომდევნო გვერდებზე აეტორი იშვიათი ლოგიკური თანმიმდევრობით ააშკარავებს დერნბურგის იმ კონცეფციის უსუსურობას, რომლის მიხედვით კანონმდებელი მხოლოდ აღიარებს ფაქტის იურიდიულ ძალას. ჰ.დერნბურგი ამბობს, რომ სესხის აღება მოსდევს მისი უკან დაბრუნების მოვალეობა. პოზიტიური სამართალი მხოლოდ აღიარებს ამ ბუნებრივ მოვალეობას. ასევე ხდება გარდაცვალების შემთხვევაში, რასაც მოსდევს მემკვიდრეობის უფლების მიღება.

"დერნბურგის აზრით, – წერს ირ. სურგულაძე – იურიდიული ფაქტი მხოლოდ ფორმალურად იღებს "სამართლებრივად სავალდებულო ძალას მართლწესრიგის მხრივ".<sup>79</sup>

დერნბურგის თქმით, იურიდიულ ფაქტს აქვს "შინაგანი სამართლის შემქმნელი ძალა, რომელიც იწვევს უფლების აღიარებას" "აქედან ადვილად შეიძლება იმის მიხედვით, – აღნიშნავს ირ. სურგულაძე – რომ ძირითადი მნიშვნელობა უფლების არსებობისათვის ამ დოქტრინის მიხედვით ეძლევა თვითონ ფაქტებს და მათ ობიექტურ შინაარსს და არა იმ სპეციფიკურ იურიდიულ მდგომარეობას, რომელიც მათ სამართლის მეოხებით ენიჭებათ".<sup>80</sup>

დერნბურგის თვალსაზრისით, რასაკვირველია, სწორი არ არის. ყურადღებით შესწავლას ამ ფაქტებისა სულ სხვა დასკვნამდე მივყავართ. არ არსებობს ისეთი ფაქტი, რომელსაც წინასწარ მინიჭებული, ბუნებრივად დამახასიათებელი თვისების წყალობით გააჩნდეს "იურიდიული ძალა" და რომ ამის აღიარება სავალდებულო იყოს კანონმდებლობისათვის. თუ კარგად დავეყვარებით სამართლებრივ სინამდვილეს, სწორად ამის საწინააღმდეგო სურათს დავინახავთ.

მეტად გონებაშეზღუდვად შენიშნავს ირ. სურგულაძე, "რომ ზოგიერთ შემთხვევაში, როცა წყდება კავშირი ფაქტებსა და მათ იურიდიულ ეფექტს შორის, რაიმე ცვალებადობა თვითონ ფაქტების შინაარსში კავშირის გაწყვეტას არ მოსდევს. ეს, რასაკვირველია, არასოდეს მოხდებოდა, თუკი თვითონ ფაქტები თავის "შვიდით" შესაბამისი იურიდიული უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი იქნებოდნენ".<sup>81</sup>

ამ დებულების ჭეშმარიტება მტკიცდება მრავალრიცხოვანი მაგალითებით, რომლებიც ჩვენ შეგვიძლია მოვიხმოთ სამართლებრივი ცხოვრებიდან. მაგალითად, რატომ არის, რომ სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა ერთსა და იმავე ფაქტს სხვადასხვა იურიდიულ ეფექტს უკავშირებს? ამას, რასაკვირველია, ვერასოდეს ვერ ავიხსნიან ნებისყოფის თეორიის მომხრეები.

<sup>77</sup> იქვე, გვ.205. სქოლიო

<sup>78</sup> იქვე. იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა ანალოგიურად ესმის აგრეთვე განაიმიელისაყ. იხ. მისი "სამართლის ფილოსოფიის საკითხები", გვ.54-55

<sup>79</sup> იქვე, გვ.205

<sup>80</sup> იქვე

<sup>81</sup> იქვე, გვ.206

ირ. სურგულაძე თვითონ პ. დერნბურგის მაგალითებზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ მართლწესრიგი ყოველთვის არ უკავშირებს ამა თუ იმ ფაქტს იმ იურიდიულ შედეგს, რომელიც მას უნდა ეღიარებინა, თუკი ჩვენ პ. დერნბურგს და მის მომხრეებს დაუუკერებდით. მაგალითად, სახელმწიფოთა საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები ალბულ ვალეზე უარის თქმისა. ავტორი ასახელებს მაგალითს, როცა საფრანგეთმა დიდი რევოლუციის დროს უარი თქვა საერთაშორისო ვალეებზე. სხვათა შორის, ასეთივე ფაქტი მოხდა რუსეთის რევოლუციის დროსაც, როცა ბოლშევიკურმა რუსეთმა უარი თქვა მეფის რუსეთის საერთაშორისო ვალეებზე და სხე.

მაგრამ საქმე, – ავტორის თქმით – მართლ ამ ცალკეულ მაგალითებს როდი ეხება. საქმე ის არის, რომ, როგორც უკვე ითქვა, უფლება-მოვალეობა სამართლებრივი ურთიერთობის ცნების კორელაციური ელემენტებია. ეს კორელაციურობა სრულიად აუხსნელი დარჩებოდა, თუკი ჩვენ იურიდიული ფაქტის კლასიკურ დოქტრინას დავეყრდნობით. “კავშირი უფლებას და მოვალეობას შორის რეალური ურთიერთობის მეოხებით და ერთსა და იმავე დროს გაჭრებდა (erlischen) თითონ ურთიერთობის შეწყვეტით. სამართლებრივი ურთიერთობის ცნება მაშინ იქნებოდა თვითონ ფაქტების არეკლა”.<sup>82</sup>

ასე რომ იყოს, მაშინ სამართლებრივი ურთიერთობა ფაქტების პარალელურად განითარდებოდა. მაგრამ სამართლებრივი რეალობა ამის საწინააღმდეგოს გვიჩვენებს. ავტორი საესებით სწორად აღნიშნავს, რომ “ზშირად ერთსა და იმავე ფაქტიურ მოცემულობას სხვადასხვა იურიდიული ეფექტი უკავშირდება (მაგალითად, ხანდაზმულობა შეიძლება საფუძველი გახდეს საკუთრების მოპოვებისათვის, სერიოზუტის უფლების ან ვალდებულების შეწყვეტისათვის და სხე.) ანდა, პირიქით, სხვადასხვა ფაქტიურმა მოცემულობამ ერთი და იგივე იურიდიული შედეგი გამოიწვიოს (მაგალითად, საკუთრების მოპოვება ყიდვით, ჩუქებით და ანდერძით)”.<sup>83</sup>

საბოლოოდ ირ. სურგულაძე უარყოფს ეგრეთ წოდებულ აღიარების თეორიას, რომლის მიხედვით ფაქტს თვითონ გააჩნია იურიდიული ძალა, რაც საეაღდებულოა კანონმდებლისათვის. უფლება-მოვალეობას ფაქტი დამოუკიდებლად კი არ წარმოშობს, ის თავის თავში კი არ შეიცავს სამართალწმინდობის ძალას”, არამედ მას ამ ძალას მართლწესრიგი ანიჭებს. აქ გადაწყვეტა მხოლოდ მართლწესრიგის “განსაზღვრებები და არა თვითონ ფაქტის ობიექტური შინაარსი”.

იურიდიულად რელევანტური ფაქტის ადგილას ამიტომ ავტორს შემოაქვს იურიდიული რელევანტობის ფორმა და განასხვავებს მის ორ სახეს: 1) უშუალო და 2) წარმოებულ ანუ შუალობით ფორმა რელევანტობისა.<sup>84</sup> ნაშრომის მომდევნო გვერდებზე ავტორი დაწვრილებით იხილავს ამ საკითხს, რაზედაც ჩვენ საგანგებოდ აღარ შევჩერდებით.

ირ. სურგულაძე, მართალია, უარყოფს ნებისყოფის თეორიის საფუძველზე ნების მომენტის მნიშვნელობას სამართლის ბუნების ახსნისათვის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ავტორი ამ მოვლენას საერთოდ უგულებელყოფდეს. გარდა იმისა, რომ ნების მომენტს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის ქმნალობის, ესე იგი სამართალშემოქმედების დროს, ამ ფაქტიურ მოვლენას ვერ გავეცქევით ჩვენ სამართლის განხორციელების დროსაც. მაგრამ ნების გამოვლინება სამართლის რეალური განხორციელების დროს მიეკუთვნება “მხოლოდ და მხოლოდ სოციალური მოვლენების სფეროს, სამართლებრივი ფორმების ფუნქციონირების “სოციალური ეფექტის” სფეროს და არავითარი გზით არ შეუძლია ხელი შეუწყოს თვითონ ამ ფორმების იურიდიული აზრის ახსნას”.<sup>85</sup>

<sup>82</sup> იქვე, გვ.207

<sup>83</sup> იქვე, გვ.208

<sup>84</sup> იქვე, გვ.211 და მომდ

<sup>85</sup> იქვე, გვ.249

ავტორი აქვე განიხილავს აგრეთვე ნების მომენტის გამოვლინების სხვა შემთხვევებს, რომლებიც სხვაგვარ როლს ასრულებენ მართლწესრიგის ცხოვრებაში. ავტორის აზრით, ნებას ზოგჯერ შეიძლება მიენიჭოს მართლწესრიგის მხრივ რაიმე იურიდიული რელევანტობა. მაგრამ აქაც “შინიშნელობა ნების მომენტისა ამ ფორმაში განისაზღვრება არა თვითონ ნების, როგორც ფსიქიური ფენომენის მიერ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სამართლის მიერ, და ამიტომაც ნება, როგორც ასეთი, როგორც წმინდა ფსიქიკური აქტი ამ თვალსაზრისითაც მოკლებულია ყოველგვარ შინიშნელობას სამართლის არსის გაგებისათვის”.<sup>86</sup>

როგორც ვხედავთ, ვერც ნების, ვერც ინტერესის და საბოლოოდ ვერც ვგრეთ წოდებული “აღიარების” თეორია ვერ აგვისნის ჩვენ სწორად სამართლის არსს. კიდევ უფრო საკულისხმია ის, რომ ამ მიმართულებას არ შეუძლია აგვისნას სამართლის სოციალური დანიშნულება. პირიქით, სამართლის სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მიმართულებებს რომ დაეყვარდნოთ, მაშინ იძულებული ვიქნებოდით გვეღიარებინა სამართლის კერპი, ინდივიდური ბუნება. მაშინ უარი უნდა გვეთქვა სამართლის სოციალურ დანიშნულებაზე. სწორად შენიშნავს ირ.სურგულაძე, რომ “მართლწესრიგის უშუალო მიზანი არ გულისხმობს ინდივიდური ინტერესის ან ინდივიდური ნებისყოფის დაცვას”.<sup>87</sup> უფლების “დადგენა და რომელიმე პირის ამ უფლებით აღჭურვა (Anheftung) სამართლებრივი ფორმების იურიდიულად შესაძლებელი აღსრულებადობის სტადიაში გადასვლის შემთხვევაში სრულიადაც არ გულისხმობს ამ პიროვნების ინდივიდური ინტერესის დაქმნაყოფილებას, არამედ მიხნდა აქვს მხოლოდ სოციალური ცხოვრების ფორმების სამართლებრივი რეგულირება”.<sup>88</sup>

ეს, რასაკვირველია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს სამართალი ინდივიდს, ცალკე კაცს ყურადღების გარეშე ტოვებს, ყურადღებას არ აქცევს. ირ. სურგულაძე სწორად აღნიშნავს, რომ ინდივიდის დაცვა არ არის “მართლწესრიგის” უშუალო მიზანი”, მხოლოდ სოციალური ცხოვრების მოწესრიგების მეოხებით იცავს იგი ინდივიდს. ეს იმიტომ ხდება, რომ ინდივიდი სოციალური არსებაა, მას არ შეუძლია საზოგადოების გარეშე არსებობა. სწორედ ნებისყოფის თეორიის წარმომადგენლებს არ შეუძლიათ გადაწყვიტონ ეს საკითხი. მათ ყურადღება გადააქვთ ინდივიდის ნებაზე. ჩვენ რომ ამ თვალსაზრისს გაეყვეთ, მაშინ სრული ქაოსი დამყარდებოდა, რადგან რამდენი ინდივიდიც არის, იმდენი ნებაა. ამიტომ არის, რომ ხშირად ბევრი კანონი, რომელიც ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის სრულიად გამართლებულია, ცალკეული ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფისათვის ასევე სრულიად მიუღებელია. კანონი არ შეიძლება ყველას ნებას გამოხატავდეს.

მაგრამ ის, რაც აქ ითქვა, ეხება არა მარტო ნებისყოფის თეორიის წარმომადგენლებს, არამედ ყველას, ვინც სამართლებრივ ურთიერთობებს საზოგადოებრივი, სოციალური ურთიერთობის ანარეკლად მიიჩნევს. ერთ-ერთ ასეთ მიმართულებას სამართალში წარმოადგენს მარქსისტული მიმართულება. ფაქტიურად მარქსისტული სამართლის თეორია სამართლის სოციოლოგიური მიმართულების ერთ-ერთი ნაირსახეობაა, რომელიც სამართლის არსს სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური, ესე იგი რეალურ ცხოვრებაში მომხდარი ფაქტებით ხსნის. ერთი სიტყვით, სამართლის მარქსისტული თეორია არსებითად არ განსხვავდება ნებისყოფისა და ინტერესის ტრადიციული თეორიებისაგან.

ასე რომ, არც სამართლის მარქსისტულ თეორიას შეუძლია ახსნას სამართლის არსი და დაასაბუთოს სამართლის სოციალური დანიშნულება. ამიტომ რამდენად სამწუხაროა,

<sup>86</sup> იქვე, გვ.250

<sup>87</sup> იქვე, გვ.262

<sup>88</sup> იქვე, გვ.253

რომ თბილისის 1930 წ. დისკუსიაზე ირ. სურგულაძეს მარქსისტი იურისტები არსებითად ცხოვრებისაგან მოწყვეტას და იდეალისტობის ბრალდებებს უყენებდნენ.

ორი რამ არის აქ მხედველობაში მისაღები: ერთი ის, რომ მათ ვერ გაიგეს ირ. სურგულაძის წიგნის ძირითადი დედაზრი. მეორეც ის, რომ, კიდევაც რომ გაეგოთ, მაინც უნდა გაეკრიტიკებინათ ის პოლიტიკური მოსაზრებით, რადგან ირ. სურგულაძის პოზიციის გამართება მარქსიზმის უარყოფას ნიშნავდა. ამიტომ მათ თავიანთი მდგომარეობის გამო სხვა გზა არ ჰქონდათ.

წიგნის დასყენით ნაწილში, სულ რაღაც ორ გვერდზე, ირ. სურგულაძე აჯამებს მიღებულ შედეგებს. პრობლემის შესწავლის ერთ-ერთ ძირითად შედეგს წარმოადგენს ის, რომ "არა მხოლოდ წმინდა იურიდიული კატეგორიები სამართლებრივი ურთიერთობისა – უფლება და მოვალეობა – არ შეიძლება დაიფიქსირონ რეალურ ფსიქოლოგიურ პროცესებამდე, არამედ აგრეთვე ერთი შეხედვით წმინდა "ფაქტიური" ელემენტები – სუბიექტები და საგანი სამართლებრივი ურთიერთობისა – საბოლოოდ (in letztere) არ არიან მოცემული ყალიბში (in der Gestalt), როგორც ის ბუნებიდან გამომდინარეობს, ესე იგი არ არიან ბუნებრივი კანონზომიერების ვითარებაში".<sup>89</sup>

ამით მინდოდა დამემთავრებინა ირ. სურგულაძის წიგნის განხილვა. მაგრამ მკითხველმა რომ უფრო ნათლად წარმოიდგინოს იმ მიმართულების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული სამართლებრივი აზროვნებისათვის, რომელსაც ირ. სურგულაძე იცავს თავის წიგნში, შევეცადები მოკლედ გაეაშუქო სისხლის სამართლის რამდენიმე საკითხი ამ კონცეფციაზე დაყრდნობით.

შევეხები თანამონაწილეობის პრობლემას. აქ ტრადიციულად მიღებულია, რომ თანამონაწილის დასჯადობის საფუძველს წარმოადგენს მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილის, ვთქვათ, წაშქებულის მოქმედებასა და ამსრულებლის მოქმედებით გამოწვეულ დანაშაულებრივ შედეგს შორის. მაგრამ ეს აშკარა ნატურალიზმა და ამიტომ ვერ ხსნის საკითხის არსს საბოლოოდ.

მაგალითად, ეს კონცეფცია ვერ იძლევა დამაყმაყოფილებელ პასუხს კითხვაზე, რატომ არის, რომ არა გვაქვს თანამონაწილეობა იმ შემთხვევაში, როცა წაშქებუელი მოქმედებს განზრახ, ხოლო ამსრულებელი შედეგს იწვევს გაუფრთხილებლობით. მიუხედავად იმისა, რომ აქ მიზეზობრიობა თავისი კლასიკური სახით არის გამოვლენებული, თანამონაწილეობის თანამედროვე მოძღვრება აღიარებს აქ შუალობით ამსრულებლობას.<sup>90</sup>

ვნახოთ ახლა, როგორ დგას ვერცე წოდებული იურიდიულად რელევანტური ფაქტის პრობლემა სისხლის სამართალში. ზოგჯერ ამა თუ იმ დელიქტს სისხლის სამართალში "ბუნებრივ" დელიქტს "ბუნებრივი კრიმინალს" უწოდებენ. მაგრამ ეს სწორი არ არის. ცხოვრებამ არ იცის არავითარი "ბუნებრივი" დანაშაული. დანაშაულებრივ რელევანტობას, დანაშაულებრივ მნიშვნელობას ქმედებას მხოლოდ სისხლის სამართლის კანონმდებელი ანიჭებს.

ამ დებულების სისწორე განსაკუთრებით თვალსაჩინოა თანამედროვე ეპოქაში, როცა ანალოგიის წესით პასუხისმგებლობა აყრატალებულია და პასუხისმგებლობის საფუძვლად მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული ქმედების შემადგენლობაა გამოცხადებული. ისეთი ქმედებები, როგორცაა, მაგალითად, მკვლელობა, სხუელებრივი დანაშაუნა, გაუპატიურება, ყჩაღობა, ძარცვა, ქურდობა და სხვა მისთ. შეიძლება სამართლის სხვა დარგით იყოს აყრატალებული, მაგრამ საკუთრივ სისხლისსამართლებრივ რელევანტობას მათ მხოლოდ მართლწესრიგი ანიჭებს, მიაწერს, როგორც ამას ირ. სურგულაძე იტყვდა.<sup>91</sup>

<sup>89</sup> იქვე, გვ.261

<sup>90</sup> იხ. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ჩემი წიგნი "სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი", იბ., 1989

<sup>91</sup> ამის წინააღმდეგ იხ.განვიშვილი, მით.წიგნი, გვ.103



პრობლემა უფრო ადვილად გასაგები გახდება, თუ საკითხს ისტორიულად გავაშუქებთ. იყო ეპოქები, როცა მართლწესრიგი ამ ქმედლებს სისხლისსამართლებრივ რეგულაციებს არ ანიჭებდა ან ანიჭებდა ნაწილობრივ. მაგალითად, ცნობილია, რომ რომაული სამართალი ვერც წოდებულ პატერ ფამილიას (ოჯახის უფროსი) უფლებას აძლევდა მოეკლა შეილი შესაბამის პირებში. მონათმფლობელობის დროს მონის მოკლა მხოლოდ ქონებრივ დელიქტად იყო მიჩნეული, ხოლო ქურდობა საჯარო სამართლებრივ დელიქტად მხოლოდ მე-6 ს. არის გამოცხადებული. მანამდე ის მხოლოდ ქონებრივ ანაზღაურებას იწვევდა.

საქართველოს 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 173-2 მუხლით ისჯებოდა სისხლის აღრევა, ესე იგი სქესობრივი კავშირი ახლო ნათესავეებს შორის (და-ძმა და სხვ.). მაგრამ 1960 წ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ამ ქმედებას დანაშაულობაში აღარ ითვალისწინებს. ამიტომ ასეთი ქმედება დღეისათვის შეიძლება იურიდიულად იყოს მიუღებელი, მაგრამ მას თავისი ფაქტური შინაარსით არაერთი სისხლისსამართლებრივი რეგულაცია, იურიდიული მნიშვნელობა არ გააჩნია. ამიტომაც სისხლის აღრევა არაერთი იურიდიული შედეგი არ დაუკავშირდება. სწორედ ამის გამო თერთ იმ ახლო ნათესავეებს შორის, რომლებმაც ერთმანეთთან სქესობრივი ურთიერთობა დაამყარეს, არაერთი სამართლებრივი ურთიერთობა სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით მაინც არ შეიძლება წარმოიშვას. ეს არის რეალურ ცხოვრებაში მომხდარი ფაქტი და სისხლის სამართალთან რაიმე შეხება არ გააჩნია.

განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ელინდება ირ. სურგულაძის იდეის მნიშვნელობა მაშინ, როცა საქმე ეხება უფლება-მოვალეობის საკითხს სისხლის სამართალში. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი აწესებს, რომ "სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი". ეს უფლება ადამიანის უშიშროებად უფლებათა შორის უმაღლეს საფეხურზე დგას. მიუხედავად ამისა, მართლწესრიგი ადამიანს ამ უფლების განცარგვის შესაძლებლობას არ აძლევს. ადამიანს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ამ უფლებით, მაგრამ არ შეუძლია განცარგოს ის.

ამ დებულებას დიდ მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლისათვის განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი მსხვერპლის თხოვნით მკვლელობის ან სხეულის მიმე დაზიანების დროს. ცნობილია, რომ თანამედროვე სისხლის სამართალი არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან იმას, ვინც განზრახ მკვლელობა ჩაიდინა მსხვერპლის თხოვნით (იხ.მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც შემსუბუქებულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ასეთ შემთხვევაში, 116 მ.). ამიტომ შეიძლება დადგეს ამ მუხლის კონსტიტუციურობის საკითხი. ზომ შეუძლია მკვლელობა შეიტანოს სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში, რომ მსხვერპლმა განცარგა თავისი კონსტიტუციური უფლება და ამის საფუძველზე მისი პასუხისმგებლობა გამოიციხული უნდა იყოს?

ერთადერთი სწორი პასუხი ამ კითხვაზე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ სწორად განვსაზღვრავთ უფლების ბუნებას, მის ნამდვილ არსს. ნებისყოფის თეორიის წარმომადგენლებს, რომელთა თვალსაზრისი არსებითად არ განსხვავდება ბუნებითი სამართლის სკოლის თვალსაზრისისაგან, არ შეუძლიათ სწორად გადაწყვიტონ ეს საკითხი. თუ უფლება ადამიანს ბუნებით აქვს მინიჭებული, ანდა თუ უფლება ადამიანის ნების გამოვლენაა, მაშინ უფლება ინდივიდური, კერძო ხასიათისაა და მის მატარებელს არა მარტო შეუძლია ისარგებლოს თავისი კერძო უფლებით სრული მოცულობით, არამედ ასევე სრული მოცულობით განცარგოს იდევეაც ის.

მაგრამ იქ, სადაც უფლების არსი გაგებულია არა როგორც კერძო, ინდივიდური ნების გამოვლინება, ანდა, თუ გნებავთ, ბუნების მიერ მინიჭებული, უფრო ზუსტად, ბუნებით მოცემული, თანდაყოლილი თვისება ადამიანისა, არამედ მართლწესრიგისაგან სამართლის სუბიექტისათვის მიწერილი, მინიჭებული შესაძლებლობა, მაშინ საკითხიც სხვაგვარად გადაწყდება. ისევე, როგორც მშობელი თვალყურს ადევნებს, თუ როგორ სარგებლობს ბავშვი მისგან მიცემული რაიმე სიყვითით, მართლწესრიგიც, რომელიც უფლება-მოვალეობას სოციალური ცხოვრების მოსაწესრიგებელ საშუალებად იყენებს, არ დაუშვებს, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი უფლება არასოციალური დანიშნულებით იქნეს გამოყენებული. ერთი სიტყვით, თუ ჩვენ უფლების არსს იმაში დავინახავთ, რომ ის სოციალური ცხოვრების მოწესრიგების საშუალებაა, მაშინ სისხლის სამართლის იმ მუხლს, რომლითაც ისეგება მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით, ვერ მივიჩნევთ ანტიუმსტიტუციურად. მხოლოდ ასე შეგვიძლია ჩვენ დამაჯერებელი პასუხი გავცეთ ზემოთ დასმულ კითხვას.

სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ არსებობს ერთი მეტად გავრცელებული მოსაზრება, რომელიც ბუნებით სამართლის სკოლის აშკარა ზეგავლენის ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს. ხშირად გაისმის ხოლმე ხმები, რომ რა უფლება აქვს სახელმწიფოს დასაჯოს ვინმე სიკვდილით. მას ხომ არ მიუცია სიციცხლე ადამიანისათვის. ასე რომ ვიმსჯელოთ, მაშინ ჩვენ ვერცერთ სასჯელს ვერ გამოვიყენებდით. სიციცხლის მიცემა წმინდა ბიოლოგიური აქტია, ხოლო უფლება და მოვალეობა სოციალური ცხოვრების მოწესრიგების საშუალებებია, რომლებითაც მართლწესრიგი აღჭურავს სამართლის სუბიექტებს.

კიდევ უფრო საყურადღებოა ერთი საკითხი იმ თვალსაზრისის ნათელსაყოფად, რომელსაც ჩვენ ეს ნაშრომი მიეუძღვენით. ყოველ სამართლებრივ სისტემაში დაზარალებულს, ვინც ზიანი განიცადა დამნაშავეისგან, – უფლება აქვს მოითხოვოს დამნაშავეის დასჯა. მაგრამ მისი უფლება უსაზღვრო როდია. რატომ ზღვება ასე? ეს იმიტომ ზღვება, რომ უფლება არის სოციალური ცხოვრების მოწესრიგების საშუალება და არა კერძო, ინდივიდური გამოვლინება ცალკეული ადამიანის ნებისა, მხოლოდ კერძო ინტერესის დაკმაყოფილების საშუალება. უფლებას რომ კერძო ხასიათი ჰქონდეს, მაშინ სასამართლო, რომელიც დაადგენს დამნაშავეს, სასჯელის გამოყენების დროს მთლიანად უნდა დაეყრდნოს დაზარალებულის მოთხოვნას. მაგრამ სამართალი არ მიდის ამ გზით, რადგან უფლება თავისი ბუნებით სოციალური ცხოვრების მოწესრიგების საშუალებაა და ამიტომ სასამართლომ დაზარალებულის მოთხოვნა შეიძლება მთლიანად არ დააკმაყოფილოს. სასამართლო დაზარალებულის კერძო მოთხოვნის გარდა, ითვალისწინებს აგრეთვე სხვა ინტერესებსაც, რომელთა დაკმაყოფილებას ადამიანთა სოციალური ცხოვრება საჭიროებს. სწორედ აქ ჩანს ნათლად სამართლის სოციალური დანიშნულება, რაც ირ.სურგულაძის წიგნის ძირითად იდეას გამოხატავს.

*ოთარ გამყრელიძე*

*თბილისი-ფრაიბურგი,*

1998 წ. 20 იანვარი-2001წ. 11 ივნისი

# ხელისუფლება და სამართალი

## სადოქტორო დისერტაციის თეზისები

1927 წელი

### შესავალი

1. არსებულ ლიტერატურაში საკითხი სახელმწიფოს ბუნების და ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ძირითადი პრინციპების და მეთოდის შესახებ, სხვადასხვა გადაჭრას პოულობს. ამის მიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ იმ თავისებურებაში, რომლითაც სახ. სამართლის საგანი ხასიათდება (S. 1).
2. სხვადასხვა შეხედულებანი, რომლებსაც ჩვენ ვხვდებით სახელმწიფოს ბუნების შესახებ ორ მთავარ ტიპად შეგვიძლია დავეყოთ:
  - ა) ნატურალისტური შეხედულება, რომელიც სახელმწიფოს სთვლის ნატურალურ მოვლენად და რომელიც ამიტომ ვერ ხედება სახელმწიფოს ნამდვილი ბუნების გაგებას, ვინაიდან სახელმწიფოს ცნება არსებითად იურიდიულ ცნებას წარმოადგენს (S. 3-6). ამ მიმართულებისათვის შეუგნებელი რჩება ის თავისებურება, რომელიც სახელმწიფოს როგორც იურიდიულ წყობილებას (Rechtsordnung) ახასიათებს (S. 6-7);
  - ბ) იურიდიული მიმართულება, რომელიც სახელმწიფო სამართლის თავისებურებას ასაბუთებს იმ განსხვავებით, რომელიც არსებობს sein და sollen-ის, ნორმის და კანონის შორის (S. 8-13)

ამასთან ერთად ეს შეხედულება განსხვავებას კაუზალურ და ნორმატიულ მეცნიერებათა შორის ხედავს არა უკანასკნელთა საგნობრივი შინაარსის თავისებურებაში, არამედ ამ განსხვავებას იგი ხსნის თვალთახედვის თავისებურობით (Betrachtungsweise) ამდენად მიუღებელია ეს მიმდინარეობა თავის გამოსავალ პუნქტებში, ვინაიდან Betrachtungsweise თავის მხრით დამოკიდებული მოვლენაა. სახელდობრ განსაზღვრულია მეცნიერების შინაარსობრივი თავისებურებით (S. - 13)
3. მთავარი და სადაო საკითხი იმ დამოკიდებულების (отношение) შესახებ, რომელიც არსებობს სოციალურ მოვლენებს შორის, რომლებსაც სახელმწიფოში ვხვდებით და სახელმწიფოს როგორც იურიდიული მთლიანობის შორის შეიძლება გადაჭრილი იქნეს ორივე წყების მოვლენების - სოციალური და იურიდიული წყების დეტალური ანალიზის საფუძველზე. თუ Simmel-თან ერთად მივიღებთ, რომ საზოგადოების არსს ობერ უნდ უნტერორდნუნგ გამოხატავს, ჩვენ შეგვიძლია იმ დაპირისპირების აღსანიშნავად, რომელიც სახელმწიფოს უფლებრივ და სოციალურ მხარეებს შორის არსებობს ხელისუფლების და სამართლის ცნება ეიხმართ. უკანასკნელთა ურთიერთდამოკიდებულების სწორი გაგებისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა ანალიზი იმ ძირითადი ელემენტების, რომლებსაც შესდგება უფლებრივი წყობილება, Rechtsordnung); მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირველი ამოცანა შესრულებულია, შესაძლებელი იქნება უფლებრივი წყობილების განსაზღვრულ სოციალურ Milieu-ში მოცემულობის დახასიათება (S. 14-15)

## I - te Abschnitt

1. ის, რომ აღნიშნული წყების მოვლენებს შორის განსხვავება არსებობს, სჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ სოციალური დამოკიდებულება ინდივიდებს შორის ყოველთვის არ ატარებს უფლებრივი მიმართულების სახეს, მაგრამ ასეთი განსხვავება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ თვითივე ზევით დასახლებული წყების მოვლენათა შესწავლისათვის ცალკე მეცნიერების არსებობა იქნეს აღიარებული. ამისათვის საკმარისია არა მხოლოდ სხვადასხვაობა შესასწავლ მოვლენებს შორის, სხვადასხვაობა, რომელსაც ჩვენ უდაოდ თვითივე მეცნიერების ფარგლებშიდაც ვხვდებით, არამედ ამისათვის საჭიროა როგორც ამას პუსსერლი აღნიშნავს, ძირითადი კანონზომიერება (Grundgesetzlichkeit), რომელიც გარკვეული რიგის მოვლენებისათვის არის დამახასიათებელი და რომელიც არ შეიძლება დაყვანილ იქნეს სხვა რომელიმე მეცნიერების ძირითად კანონზომიერებაზე (S. 19)
2. ამის მიხედვით საჭიროა იმ ძირითადი კანონზომიერების გაშუქება, რომელსაც ჩვენ ვხვდებით ერთის მხრით სოციალური, მეორე მხრით კი იურიდიულ მოვლენებს შორის.
3. როგორც სახელმწიფოს არსებობის სოციალური მხარე ისე სახელმწიფო, როგორც იურიდიული მთლიანობა მარტივ და ძირითად ელემენტებისაგან შესდგება და იმ დამოკიდებულების დასახასიათებლად, რომელიც ამ ორი წყების მოვლენებს შორის არსებობს, საჭიროა ამ ძირითადი ელემენტების ანალიზი. იმ კანონზომიერების გაშუქება, რომელიც აღნიშნულ ძირითად ელემენტების ურთიერთობის დამოკიდებულებას განსაზღვრავს.
4. სოციალური წყების მოვლენების აღნიშნული თვალსაზრისით დახასიათების დროს ძირითად სოციალურ მოვლენად გვევლინება დამოკიდებულება ორ ინდივიდს შორის. ძირითადი კანონზომიერება, რომელსაც ჩვენ აქ ვხვდებით, კაუზალობის ცნებაში გამოიხატება (S. 20-21)
5. იურიდიული წყების მოვლენათა ანალიზის დროს სხვათა შორის იმ თვალსაზრისითაც, რომ სოციალურ მოვლენებთან შედარებისათვის უკეთესი პირობა იქნეს შექმნილი, ელემენტარულ ფენომენად იურიდიული მიმართება უნდა იქნეს აღებული (და არა ნორმა, ვინაიდან ნორმა კორრელატიურია კანონის ცნებასთან) (S. 22)
6. სხვადასხვა შეხედულებანი, რომელნიც ლიტერატურაში არიან გამოუმუშავებულნი იურიდიული მიმართების და მისი სოციალური მიმართებასთან დამოკიდებულების საკითხის ირგვლივ იმ უარყოფითი თვისებით ხასიათდებიან, რომ მათთვის შეუმჩნეველი რჩება განსხვავება სოციალური და იურიდიული მიმართების შორის, ზოგ შემთხვევაში კი ამ ორი სახის მოვლენის გაიგივებას აქვს ადგილი. ასეთია შეხედულება, რომელშიაც უფლებრივი მიმართების იურიდიული ფორმა და შინაარსი მთლიანი რეალური პროცესის აბსტრაქციის საშუალებით გამოყოფილ მომენტებს აღნიშნავენ (S. 23). თუ საინის შეხედულებაში ეს აზრი ისე მკაფიოდ გამოთქმული არ არის, სამაგიეროდ ბირლინგის ნაშრომში იურიდიული

- მიმართება თავის ძირითად ელემენტებში უკვე გარკვევით გაიგივებულია ფსიქიურ მოვლენებთან (S. 26-34). კიდევ უფრო შორს მიდის ამ მხრით Zitelmann-ი, რომელიც სამართლის ძირითადი კატეგორიების ფსიქოლოგიურ გაგებასთან დაკავშირებით საესეზით შესაძლებლად სთვლის კაუზალური პრინციპის შეფარდებას სამართლის მეცნიერებაში (S. 34-42). ზევით მოყვანილ შეხედულებათა განხილვის შედეგში ჩვენ ამ დასკვნამდე მივიღვართ, რომ იურიდიული მიმართების სოციალურ მიმართებასთან გაიგივებას ან შინაგან წინააღმდეგობებამდე მიჰყავს აზროვნება, ან კიდევ სამართლის მეთოდოლოგიის ყალბ კონსტრუქციამდე. ამავე შედეგს იძლევა აგრეთვე იმ ძირითადი შემადგენელი ელემენტების ანალიზი, რომლებსაც იურიდიულ მიმართებაში ვხვდებით (S. 43).
7. ასეთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს, პირველ ყოვლისა, იურიდიული მიმართების სუბიექტი. სამართლის სუბიექტის ბუნების გაშუქების საკითხში ორი ძირითადი შეხედულება არის გამომუშავებული, რომლებიც სამართლის სუბიექტის და ფიზიკური ინდივიდის ცნების გაიგივებიდან გამოდიან: ორგანიული შკოლა და ფიქციის თეორია. ასეთი გაიგივება ყალბია და ამიტომ აღნიშნული თეორიებიც მეცნიერულად მიუღებელი არიან.
  8. ორგანიული შკოლა, რომელიც იურიდიულ პირს რეალურად არსებულ ორგანიზმად სთვლის უარსაყოფია: ვინაიდან იგი აღნიშნულ დებულებას (იურიდიული პირის რეალობის შესახებ) ვერ ასაბუთებს (S. 46-49) ფიქციის თეორია კი მიუღებელია, ვინაიდან ფიქცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სამართლის პრობლემების გადაჭრის თეორეტიულ საშუალებად (S. 49-57)
  9. მეორე ძირითად ელემენტს იურიდიულ მიმართებაში უფლება და მოვალეობა წარმოადგენს. აღნიშნული ელემენტების განხილვის დროსაც არსებულ ლიტერატურაში გაერცელებული შეხედულებანი იურიდიული და ფსიქოლოგიური წყების მოვლენათა გაიგივების საფუძველზე ცდილობენ უფლების და მოვალეობის პრობლემის გადაჭრას, ე.ი. არსებითად იმავე უსწორო დებულებიდან გამოდიან (სამ. კატეგორია = რეალური მოვლენა), რომელიც იურიდიული მიმართების ბუნების და სამართლის სუბიექტის პრობლემის დაყენებისას არის შესაძენევი და რომელზედაც ზევით იყო მითითებული.
  10. ნათქვამის ილუსტრაციისათვის საკმარისია შერჩევა როგორც ნებისყოფის, ისე ინტერესის თეორიაზე უფლების საკითხის დარგში. ორივე თეორია უარსაყოფია, ვინაიდან სუბიექტურ-მოვალეობის განსაზღვრულ ფსიქიურ მოვლენებთან გაიგივების შედეგში აღნიშნული თეორიებისათვის შეუძლებელი ხდება სამართლის დარგიდან მთელი რიგი მოვლენების ახსნა. (S. 57-72)

## II Abschnitt

1. როგორც აღნიშნული იყო, სამართლის ძირითად ელემენტად იურიდიული მიმართება უნდა იქნეს ცნობილი და ამ უკანასკნელის დეტალური ანალიზი სამართლის დარგში გამეფებული ძირითადი კანონზომიერების გაგებისათვის აუცილებელი

პირობაა. სხვადასხვა ზევით განხილული თეორიები ვერ იძლევიან იმ ძირითად, იურიდიული ფენომენის სწორ ანალიზს და ამის მთავარი მიზეზი ფსიქოლოგიურ-ნატურალისტური მეთოდოლოგიის შეფარდება სამართლის პრობლემების დამუშავების დროს.

2. იურიდიული მიმართების სწორი გაგებისათვის საჭიროა იმ დებულებიდან გამოსვლა, რომ უფლება და მოვალეობა კორელატიური ცნებებია: ამასთან ერთად ეს კორელატიობა ატარებს არა ანალიტიურ, არამედ სინტეტიურ ხასიათს, ე.ი. ვერდნობა კორელატიურად შეკავშირებული ელემენტების შინაარსის თავისებურებას.

ორი მთავარი თვისება უნდა იქნეს აქ აღნიშნული, რომელიც ამ კორელატიურ მიმართებას ახასიათებს: მიმართების ობიექტური ხასიათი და დამოკიდებული ხასიათი (Unselbständigkeit) იმ ელემენტებისა, რომელნიც მიმართებაში არიან. უკანასკნელი დებულებიდან გამომდინარეობს, რომ ელემენტების არსებობა აქ აუცილებლად გულისხმობს იმ მთელი (das Ganze) არსებობას, რომლის ფარგლებში ელემენტები არიან მოცემული და რომლის ძირითადი კანონზომიერების (Gesetzmässigkeit) გათვალისწინება აუცილებელი პირობაა ელემენტების ბუნების სწორი გაგებისათვის (S. 72-77).

3. არსებულ ლიტერატურაში იურიდ. მიმართების ელემენტების – სუბიექტურ უფლება-მოვალეობის – დამოკიდებული ხასიათი თუმც შეგნებულა, მაგრამ მიმართება ამ ელემენტებს შორის არ არის გაგებული როგორც ობიექტურად აუცილებელი, ვინაიდან, მეორე მხრით, ამ ორ ელემენტს შორის კავშირი იურიდიული სინამდვილის უტყუარი ფაქტია, გაბატონებული შეხედულება ამ კავშირის სხვა გზით აღდგენას სცდილობს. სახელდობრ, ამ მიზნით გამოუმუშავებულა შეხედულება, რომლის თანახმად, როგორც უფლება, ისე მოვალეობა აუცილებლად გულისხმობს "მატარებელს" ("Träger"), რომელთა ურთიერთდამოკიდებულების პროცესში პირველად იქმნება კონტაქტი აღნიშნულ ელემენტებს შორის. ასეთი შეხედულება ლოგიკურად აუცილებელი დასკვნაა სუბიექტურ უფლება-მოვალეობის ფსიქოლოგიურ პროცესებთან გაიგივებისა; იგი უარყოფითია, ვინაიდან აქ ნაჩვენებია გზით შეუძლებელია კორელატიობის გაგება (S. 77-79).

4. აღნიშნულიდან გასაგებია, რომ იურიდიული მიმართება ვერ იქნება დახასიათებული როგორც ინდივიდებს შორის დამყარებული მოწესრიგებული სოციალური მიმართება (Lebensverhältnis); თავის წმინდა ფორმაში, ე.ი. სამართლის სხვა ძირითად კატეგორიებისაგან და იურიდიულად რელევანტ ფაქტებისაგან დამოუკიდებლად აღებული, იგი აღნიშნავს მხოლოდ უფლების და მოვალეობის მიმართებას, ამ ელემენტების ობიექტურად აუცილებელ, აპრიორულ კორრელატიურ მთლიანობას. კონკრეტული იურიდიული კავშირის დამყარება ინდივიდებს შორის პირველად კი არ ჰქმნის ამ სახით გაგებულ იურიდიულ მიმართებას, არამედ ჰგულისხმობს მის აღრევად არსებობას (S.79-80).

5. იურიდიული მიმართების და მისი ელემენტების მეტი დაახლოვებით დახასიათებისათვის საჭიროა იმ დამოკიდებულების გაშუქება, რომელიც, ერთის მხრით, უფლებრივი წყობილების (Rechtsordnung), მეორე მხრით, კი იურიდიული მიმა-

- რთების და მისი ელემენტების შორის არის მოცემული. ლიტერატურაში დამოკიდებულება არსებულად ცნობილია უფლებისა და უფლებრივ წყობილებას შორის, ასეთი შეხედულება ლოლიკურად აუცილებელია უფლების ფსიქიურ მოვლენებთან გაიგივების შედეგში და სწორედ ამიტომ იგი შემცდარი არის. სინამდვილეში უშუალო დამოკიდებულება არსებობს არა უფლებრივ წყობილებასა და უფლებას შორის, არამედ უფლებრივი წყობილებისა და იურიდიულ მიმართებათა შორის (S. 80-84).
6. უფლებრივი წყობილების ანალიზის დროსაც ისე, როგორც იურიდიული მიმართების და მისი ელემენტების ანალიზის დროს, ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ იგი არსებულის (Seinsgebiet) ონტოლოგიურად შემოფარგლულ სფეროს აღნიშნავს, რომელიც საკუთარი კანონზომიერებით (Gesetzmässigkeit) ხასიათდება. იგი რთულ იურიდიულ კომპლექსს წარმოადგენს, რომლის შემადგენელ ელემენტებს იურიდიული მიმართებანი აღნიშნავენ. სწორედ ამიტომ, როგორც ზევით იყო მითითებული, უშუალო დამოკიდებულება არსებობს არა უფლებრივი წყობილებისა და იურიდიული მიმართების ელემენტებს – სუბიექტური უფლება-მოვალეობის შორის, არამედ უფლებრივი წყობილებისა და თვით იურიდიული მიმართების შორის (S. 84-90).
7. უფლებრივი წყობილება, გაგებული როგორც იურიდიულ მიმართებათა (რომელნიც თავის მხრით გაგებული უნდა იყვნენ, როგორც უფლება-მოვალეობის კორელატიური დამოკიდებულება) მთლიანობა, წარმოადგენს იურიდიული მოწესრიგების (rechtliche Regelung) აბსტრაქტულ სისტემას; ასეთ ფორმაში მოცემული იგი არ იმყოფება იმ მდგომარეობაში, რომელიც იურიდიულად შესაძლებელი განხორციელების სტადიის ცნებით შეგვიძლია აღვნიშნოთ. ამ უკანასკნელ ცნებაში, წმინდა იურიდიული ელემენტების გარდა, იგულისხმება განსაზღვრული ფაქტიური ხასიათის ელემენტების მოცულობა, რომელნიც (ელემენტები), თუმცა თავისდათავად იურიდიულ ხასიათს მოკლებულნი არიან, მაგრამ იურიდიულ მნიშვნელობას იღებენ განსაზღვრულ უფლებრივ ნორმებისაგან (bestimmende Rechtssätze). აღნიშნულ ფაქტიური ხასიათის ელემენტებზე შეჩერება მით უფრო საჭიროა, რომ ერთის მხრით ამ გზით ჩვენ შევიძლებთ იმის გაშუქებას, თუ რითი ხასიათდება უფლებრივი წყობილება იურიდიულად შესაძლებელ განხორციელების საფეხურზე და რითი ხასიათდება იურიდიული მიმართება, კონკრეტულ ფორმაში მოცემული, ხოლო, მეორე მხრით, ამავე გზით შესაძლებელი გახდება იმ ელემენტების განხილვა, რომლებიც ტრადიციული შეხედულების თანახმად შედიან იურიდიულ მიმართებაში და რომლებზედაც ჩვენ არ შეეჩერებულვართ (S. 91-92).
8. აღნიშნული ფაქტიური ელემენტების განცალკევებით განხილვამდე საჭიროა იმ ძირითადი სახეების აღნიშვნა, რომლებშიდაც საერთოდ გვხვდება უფლებრივი კატეგორიების ფაქტიური ხასიათის მოვლენებთან დამოკიდებულება. ასეთი არის სამი ძირითადი სახე: ა. დამოკიდებულება, რომელიც არსებობს საზოგადოების სოციალ-ეკონომიური სტრუქტურის და უფლებრივი წყობილებას შორის; ბ. დამოკიდებულება იურიდიული მიმართების წმინდა იურიდიულ ელემენტებსა და

იურიდიული მიმართების საგნებს შორის; გ. დამოკიდებულება, რომელიც იურიდიული რელევანტობის ცნებით აღინიშნება.

9. აღნიშნული დამოკიდებულებისაგან პირველი ეხება ინდივიდუალური იურიდიული წყობილების დამყარების მომენტს, ორი უკანასკნელი კი აღნიშნავენ იურიდიული მიმართების (რომელთა მთლიანობა უფლებრივ წყობილებას წარმოადგენს – და ამიტომ ამ უკანასკნელსაც) გადასვლას იურიდიულად შესაძლებელ განზორციელების საფეხურზე. ამასთან ერთად უკანასკნელ ორ დამოკიდებულებაში მოცემული ფაქტიური ელემენტები – საგანი იურიდიული მიმართებისა და იურიდიულად რელევანტი ფაქტი – სხვადასხვა როლს თამაშობენ. იურიდიული მიმართების დახასიათების დროს ამ ორი ელემენტის განხილვას აქვს უმთავრესი მნიშვნელობა (S. 92-111).
10. უფრო დეტალურად საჭიროა იურიდიული რელევანტობის ცნების გაშუქება, ვინაიდან მასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საკითხი სამართლის სუბიექტის შესახებ, უნდა განსხვავებულ იქნეს ერთი მეორისაგან ორი სახე იურიდიული რელევანტობისა: ძირითადი და დამოკიდებული. თავის მხრით იურიდიული რელევანტობის ძირითად და დამოკიდებულ მხარეებად დაყოფა გამოწვეულია იმით, რომ უფლებრივი წყობილების ძირითადი ელემენტები – იურიდიული მიმართებანი – იურიდიულ სინამდვილეში განცალკევებით კი არ არიან მოცემული, არამედ გარკვეულ გაერთიანებებში, გარკვეულ კომპლექს ფორმებში. ამასთან ერთად უფლებრივი წყობილების ანალიზი იმ დასკვნასაც იძლევა, რომ ეს გაერთიანებანი თანაბარი მნიშვნელობით არ ხასიათდება; სახელდობრ, აქ მოცემულია, ერთის მხრით, ისეთი გაერთიანებანი, რომელთაც ფუძეობითი (fundierende) მნიშვნელობა უნდა მიეცეს სხვა იურიდიულ მიმართების მიმართ. ამგვარად თვით იურიდიულ მიმართებათა ფარგლებშიდაც ჩვენ ვხვდებით ძირითად იურიდიულ კომპლექსს – რომელიც Status'-ის ცნებით შეიძლება აღნიშნულ იქნეს – და დამოკიდებულ იურიდიულ მიმართებებს. ამ სხვადასხვაობაზე ეყრდნობა ზევით მოყვანილი განსხვავებულება ძირითად და დამოკიდებულ იურიდიულ რელევანტობას შორის. სამართლის სუბიექტის ცნება აღნიშნავს ძირითად იურიდიულ რელევანტობას, რომელიც გარკვეული ფაქტიური ხასიათის მოვლენებს მიეცემათ ობიექტური სამართლის მხრით. ამით უარყოფილია ტეზა-სამართლის სუბიექტის და ფიზიკური ინდივიდის გაიგივების შესახებ.
- უფლება და მოვალეობის გვერდით იურიდიული მიმართების საგანი და სამართლის სუბიექტის ცნების ანალიზით მთავრდება იურიდიული მიმართების ელემენტების და აქედან თვით იურიდიული მიმართების ბუნების გაშუქება.



იროდიონ სურგულაძე

# ხელისუფლება და სამართალი

ემდენება სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთობის პრობლემებს

პირველი ნაწილი:  
სამართლებრივი ურთიერთობის ცნება

## სარჩევი

წინასიტყვაობა	43
შესავალი	44
პირველი მონაკვეთი	56
მეორე მონაკვეთი	108

## წინასიტყვაობა

ნაშრომი, რომლის პირველი ნაწილი მე ამჟამად საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამომაქვს, მიზნად ისახავს პასუხი გასცეს იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც თანამედროვე სახელმწიფო სამართლებრივი ლიტერატურის შუაგულში დგას. პირველი ნაწილი უპირატესად სამართლებრივი ურთიერთობის ცნებას ეხება.

საკითხი, თუ საიდან ვიღებთ საწყის წერტილს ამ ცნების შექმნისას და რა მნიშვნელობა უნდა მიეცეს მას ჩვენი მეცნიერების ძირითადი პრობლემების გადაჭრის დროს, ახსნილი იქნება ნაწილობრივ ამ ნაშრომში, მაგრამ უფრო დაწვრილებით კი მეორე ტომში, რომლის გამოცემა ჩვენ უახლოეს მომავალში გვაქვს განზრახული.

ამიტომ წინამდებარე ნაშრომი, თუმცა შესავალ ნაწილად არის ჩაფიქრებული, შინაარსობრივად იგი მანძი დასრულებული სახისაა, რაც უფლებას გვაძლევს ის განხილული იქნეს იმ თეორიული მიზნებისაგან დამოუკიდებლად, რისთვისაც იგი ავტორმა დაიწყო.

ორიოდე სიტყვა უნდა ეთქვა სათაურის გამო: სიტყვა “ხელისუფლება” გამოყენებული გვაქვს ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს სოციალური ყოფიერების /"Sein"/ არსის აღსანიშნავად და ამ აზრით არის აქ ის სამართლის ცნების მიმართ დაპირისპირებული. ასეთი შეხედულების მეცნიერული გამართლება შემდეგში საგანგებოდ იქნება დასაბუთებული.

ავტორს თავის მოვალეობად მიაჩნია მადლობა გადაუხადოს სოციალ-ეკონომიკურ ფაკულტეტს, რომლის გადაწყვეტილებითაც ეს ნაშრომი დაიბეჭდა, უნივერსიტეტის საგამომცემლო კომისიას და ყველა იმ პირს, ვინც დახმარება გაუწია ამ წიგნის ბეჭდვის პროცესში.

*იროდიონ სურგულაძე*  
თბილისი. 1925 წ. ივლისი

## შესავალი

სახელმწიფო სამართლის ძირითადი პრინციპების და მათი კვლევის მეთოდის საკითხი ძლიერ სადავოა სამართლისმცოდნეობაში. დღემდე არსებული ცდები ამ საკითხის გადაწყვეტისა ისეთი განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგოა, რომ ფაქტიურად ეს ცდები გამოსახავს სურათს “bellum omnium contra omnes”, მაშინ, როცა ზოგიერთ მეცნიერს სახელმწიფო /ამავე დროს თავისი სამართლებრივი არსის ჩათვლით/ მიაჩნია მხოლოდ და მხოლოდ რეალურ, ნატურალურ წარმონაქმნად ნატურალური პროდუქტის “ფაქტიური სინამდვილის”<sup>1</sup> აზრით, ანდა უბრალოდ გაგებული აქვს, როგორც “ფაქტი”<sup>2</sup>. მეორენი მასში ხედავენ განსაზღვრულ ორმაგ ბუნებას და სახელმწიფოს, როგორც სოციალურ მოვლენას, მიჯნავენ სახელმწიფოსაგან სამართლებრივი ინსტიტუტის აზრით, თუმცა იგი მეცნიერთა ამ ჯგუფთა თვალსაზრისით მხოლოდ საბოლოო მნიშვნელობით ექვემდებარება სახელმწიფო სამართლის მეცნიერების სპეციალურ ობიექტს. ამ ორი ძირითადი მიმართულების შიგნით ჩვენი მეცნიერების ცალკეულ პრინციპულ საკითხებზე სხვადასხვაგვარი თვალსაზრისი არსებობს.

სახელმწიფოს არსის თვალსაზრისთა სხვადასხვაობას უკავშირდება აგრეთვე იმ მეთოდოლოგიურ საშუალებათა სხვადასხვაობა, რომლებიც არა მარტო ძირითადი ამოსავალი პრინციპების, არამედ აგრეთვე კონკრეტული პრობლემების დასამუშავებლადაც უნდა იქნეს გამოყენებული.

ჩვენი მეცნიერების ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება აიხსნას რაღაც შემთხვევითი გარემოებით, არამედ იგი, ერთი მხრივ, კავშირშია იმ საგნის თავისებურებასთან, რომელიც სახელმწიფო სამართალმა უნდა გამოიყვლიოს, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ციდანის საერთო ევოლუციასთან, რაც ჩვენ მეცნიერების სხვა დარგებიდან გადმოგვაქვს.

შემდგომი კვლევის პროცესში ჩვენ შევეცდებით ნათელეყოთ, რომ მოვლენები, რომლებსაც სახელმწიფოს, როგორც მთელის, შიგნით ვხვდებით, პრინციპულად თავისი ონტოლოგიური ბუნების შინაგან სხვადასხვაობას გვიჩვენებს. სახელმწიფო როგორც სოციალური ფენომენი და სახელმწიფო როგორც განსაზღვრული სამართლებრივად რეგულირებული სისტემა /თუმცა ჩვენ ეს უნდა გავიგოთ არა მარეგულირებელი პროცესის, არამედ უკვე არსებული სამართლის ერთიანობის აზრით/ გვევლინება არა უბრალოდ როგორც აღნიშნა რეალური განსხვავებისა ერთი და იმავე ონტოლოგიური რიგის საზღვრებში, არამედ როგორც აღნიშნა ყოფიერების ძირითადი კატეგორიის სხვადასხვაობისა. და მაინც ერთდროული და თანმიმდევრული მოცემულობა ამ კატეგორიებისა რეალურ სინამდვილეში ისევე, როგორც ონტოლოგიურად სხვადასხვა რიგებს შორის არსებულ ურთიერთობათა ახსნის სიძნელე გასაგებს ხდის იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს ცხოვრების ზემოთ დასახელებული მხარეების გამიჯვნა გარკვეულად მოწიფებული აზროვნების უნარისათვის არის მხოლოდ შესაძლებელი და მოითხოვს აგრეთვე მეცნიერული მეთოდოლოგიის კარგად დამუშავებულ საფუძვლებს და მასთან დაკავშირებული შესაბამისი პრობლემების გულმოდგინე ენოსიოლოგიურ ანალიზს. მაგამბ არც პირველს, არც მეორეს, ესე იგი არც მეთოდოლოგიური საკითხების გამომუშავებას, არც მეცნიერების ენოსიოლოგიური საფუძვლების ახსნას არა აქვს განსაკუთრებით დიდი ხნის ისტორია.

<sup>1</sup> Br. Schmidt, Der Staat (Jellinek-Meyer, Staate und Völker Abh.1.6) S. 1-21

<sup>2</sup> Seydel, Grundzüge einer allgemeinen Staatslehre, S. 2; Bamhak, Preussisches Staatsrecht, I, S. 65

თავისთავად გასაგებია, რომ მეცნიერული აზროვნება, რომელსაც ეს წინაპირობები აკლია, ვერ შეძლებს ახსნას ზემოთ ნახსენები განსხვავება სახელმწიფოს ცხოვრების ცალკეულ მხარეთა შორის. ასეთი აზროვნება გამოხატავს მას როგორც სრულიად ერთფეროვან უკანა პლანს, რომელიც საყვარელი და მხოლოდ რეალური "ფაქტიური" შინაარსით, სადაც არ ჩანს ამ შინაარსის შინაგანი ონტოლოგიური განსხვავება. სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ფაქტიური შინაარსის ასეთ გაგებას ემყარება იმის ცდა, რომ ეს მეცნიერება კონსტრუირებული იქნეს საბუნებისმეტყველო დისციპლინად, რეალური ფაქტების მეცნიერებად. ამ ტენდენციის როგორც რაღაც გარდაუვალ გამოვლინებას, ისტორიულ გამოხატულებას ეპოულობთ ჩვენ "სახელმწიფოს ემპირიული მოძღვრების" როგორც თანამედროვე, ისე ადრინდელ წარმომადგენელთა ნაწერებში /სადაც ისეთი შეხედულება გამოვლინდა, რომელიც არ მოითხოვდა რაიმე წინასწარ დასაბუთებას და არც შეეძლო გამოეწვია აზრთა სხვადასხვაობა/.

## I

§1. სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ისეთი კონსტრუქცია, როგორიც ზემოთ იყო მოყვანილი, იმ წინამძღვარს ეფუძნება, რომ მისი ობიექტი არსებითად არ განსხვავდება ბუნების მეცნიერების საგნისაგან, რომ სახელმწიფო, ვინაიდან ის ბუნების პროდუქტია /Gumploviez, Allg. Staatsl. S. 93/, როგორც ყველა სხვა ბუნებრივი მოვლენა ბუნებრივი წესით შეიძლება და უნდა იქნეს გამოყვლეული. უნდა შეიქმნას პოლიტიკური ფიზიკა, რომელიც უნდა ემყარებოდეს იმ მეთოდებს, რომლებსაც ფიზიკა იყენებს ბუნების მოვლენათა შესწავლის დროს იმ მეცნიერთათვის, რომლებიც სახელმწიფოს ცნებაში ისეთ ბუნებრივ ორგანიზმს ხედავენ, რომელიც მათი შემქმნელი ინდივიდებისაგან დამოუკიდებლად არსებობს და ორგანული ცხოვრების ბუნებრივი კანონებით ფუნქციონირებს, ბიოლოგია სახელმწიფო სამართლის მეცნიერების დამუშავების წინაპირობას წარმოადგენს.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ეს მეცნიერული კონსტრუქციები ღირებულებებისაგან დაცლილად გამოაცხადოთ. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ სახელმწიფოს ცხოვრების შინაარსს სოციალური მოვლენები ქმნიან და ამ აზრით არის სახელმწიფო რთული სოციალური ფენომენი, რომლის შესწავლაც, ამ მხრივ, ბუნების მეცნიერების მეთოდმა უნდა განსაზღვროს, მაგრამ სოციალური პროცესების ერთობლიობა /Summe/, რომლებიც სახელმწიფოში მიმდინარეობს, სრულყოფილად ვერ ამოწურავს მთელ მის არსებას და, სახელმწიფოს როგორც სოციალური ფენომენის ცნების გვერდით, ვლინდება იგი, მეორე მხრივ, სამართლებრივი ინსტიტუტის ფორმით. სახელმწიფოს შესწავლა ამ მეორე აზრით არ შეიძლება ბუნების მეცნიერების მეთოდების გამოყენებით განხორციელდეს; ადვილად შეიძლება იმის დამტკიცება, რომ საწინააღმდეგო თვალსაზრისს თავისი ცალმხრივობის გამო სახელმწიფო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის, უგულებელყოფისაყენ მიყვავართ.

თავისი სოციალური ბუნების მხრიდან სახელმწიფო წარმოგვიდგება მრავალრიცხოვანი სოციალური დაწესებულების სახით. მაგრამ შინაარსი ყოველი სოციალური ფენომენისა არ არის რაღაც იზოლირებულად არსებული /Dastehendes/, მოწყვეტილი /Abgetrenntes/ სოციალურ მოვლენათა დანარჩენი საშუაროსაგან. პირიქით, იგი ითქვიფება სრულიად იმ კანონზომიერ ურთიერთობათა ერთობლიობაში /in der Summe/, რომელიც ყოველ

ცალკეულ მოვლენას სოციალურ ცხოვრებასთან, როგორც მთლიანობასთან, აკავშირებს. ყოველი სოციალური ფაქტი, ვინაიდან მას არავითარი სუბსტანციური მუხყოფნა არ ახასიათებს, თავისი შინაარსის მიხედვით გამოხატავს კანონზომიერ ურთიერთობათა თავისებური შერწყმის ლოგიკურად გააზრებულ შუალედ პუნქტს. აქედან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებითაც მეცნიერებამ უნდა იხელმძღვანელოს სოციალურ მოვლენათა შესწავლის დროს. ამა თუ იმ კონკრეტული სოციალური მოვლენის სრულყოფილი ახსნისათვის აუცილებელ წინამძღვარს წარმოადგენს ყველა იმ ურთიერთობის შეცნობა, რომლებიც მოცემულ მოვლენას სოციალური ცხოვრების მთლიანობასთან აკავშირებს, და მაინც იმ მრავალი ფაქტორების სიმრავლეს თუ მივიღებთ მხედველობაში, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესებს განსაზღვრავენ, ასეთი მოთხოვნა მეცნიერული შემეცნების იდეალად წარმოგვიდგება.

იმ საშუალების აუცილებელი შეზღუდულობა, რომელიც მეცნიერებას თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე გააჩნია, სოციალური ცხოვრების შესწავლისას ძალაუნებურად თავს გვახვევენ მოთხოვნას, რომ სოციალური ფენომენების რიგიდან გარკვეული შეზღუდული წრე მოვლენებისა ვაქციოთ სპეციალური იზოლირებული განხილვის საგნად.

მოვლენების ასეთი გამოყოფა /Ausscheidung/ არ შეიძლება შემთხვევითი, თვითნებური ხასიათისა იყოს; იგი განსაზღვრულ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ხდება მეცნიერული შრომა ნაყოფის მომტანი, თუკი იგი საზოგადოებრივი ცხოვრების რაიმე სპეციალური საკითხისადმი კონცენტრირებული. იმ საყოველთაო კანონზომიერებებთან ერთად, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ სოციალური მუხყოფნისათვის, არსებობენ სპეციალური კანონზომიერებანი, რომლებიც სოციალური ცხოვრების მეტად თუ ნაკლებად შემოფარგლულ წრეს განსაზღვრავენ. სოციალური შემეცნების პრობლემათა დიფერენცირებამ ეს სპეციალური კანონზომიერებანი, საიდანაც ეს დიფერენცირება გამომდინარეობს, არ უნდა უგულვებელყოს. სოციალურ მოვლენათა განსაზღვრული ჯგუფის გამოყოფას /Die Ausscheidung/ იზოლირებული შესწავლის მიზნით შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდეს მეცნიერული ღირებულება, თუკი ეს გამოყოფა განსაზღვრულ სოციალურ კანონზომიერებასთან დაკავშირებით ხდება და ისინი, ესე იგი ეს მოვლენები ამ საფუძველზე ქმნიან განსაზღვრულ ერთიანობას. ამრიგად, ეს გამოყოფა /Ausscheidung/ არ მოსდევს სოციალურ მოვლენათა მოცემული ჯგუფის შემთხვევით და გარეგნულ დახასიათებას, არამედ იგი დაკავშირებულია ამ მოვლენათა პრინციპულ და სპეციფიურ კანონზომიერებასთან.

მაგრამ სწორედ ამ ძირითად პირობას მთლიანად უგულვებელყოფს ის, ვინც სახელმწიფოს სოციალური მოძღვრების, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის, არსებობას შესაძლებლად მიიჩნევს. რამდენადაც ამ უკანასკნელის ამოცანას მიეკუთვნება სწორედ იმ მოვლენების სპეციალური გამოვლენა, რომლებიც სახელმწიფოს ცხოვრებასთან არიან დაკავშირებული, ამდენად მან განსაზღვრული ჯგუფი მოვლენებისა განსაზღვრული სახელწოდების მიხედვით უნდა გამოჰყოს. მაგრამ ეს უკანასკნელი არ იქნება აქ იმ პრინციპულ კანონზომიერებასთან კავშირში აღებული, რომელიც ამ მოვლენების ჯგუფს თავის პრინციპულ და სპეციალურ ხასიათს აძლევს, არ იღებს აგრეთვე არც ამ მოვლენების შინაგან შინაარსობრივ თავისებურებებს, არამედ გარეგნულ თვისებებს აქცევს ყურადღებას და ამიტომაც გამოსაკვლევია მოვლენებისათვის საყუთრივ შემთხვევით

ხასიათს ატარებს. სახელმწიფოს ცნება წმინდა იურიდიული ცნებაა<sup>3</sup> და ამიტომაც ყოველი გამოყოფა სოციალურ მოვლენათა ჯგუფისა ამ ცნებასთან კავშირში, გარეგანი და შემთხვევითი სოციალური მუწყოვნის იმანენტური შინაარსისათვის, მეცნიერული მეთოდოლოგიის თვალსაზრისით სრულიად დაუშვებელია.

ამ ფორმით იზოლირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები არაერთარ ისეთ სპეციფიკურ კანონზომიერებას არ ავლენენ, რომელიც მათ ხასიათს შინაგან ერთიანობას მინიჭებდა; სახელმწიფო მათ არ აძლევს არაერთარ სპეციფიკურ შინაარსს, ვინაიდან სახელმწიფოს სოციალური ყოფიერების ძირითადი მომენტები, როგორც, მაგალითად, ხელისუფლებითი ურთიერთობანი, ბრძოლა ცალკეულ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის და ა.შ. ჯერ კიდევ წინასახელმწიფოებრივ საზოგადოებრივ წარმონაქმნებშიც კი გვხვდება.

ყოველივე აქედან აუცილებლობით გამომდინარე დასკვნა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოეყალიბოთ: სახელმწიფოს სოციალური ბუნების გამოკვლევა წარმოუდგენელია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მოვლენებთან კავშირის გარეშე და ის შეიძლება მხოლოდ ზოგადი საზოგადოებათმცოდნეობის, ესე იგი სოციოლოგიის საგანი გახდეს.

მაგრამ, თუკი ჩვენ სახელმწიფოს მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ ფენომენად გავიზრებით, მაშინ სახელმწიფოსამართლებრივი მეცნიერება დაკარგავს დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად არსებობის ყოველგვარ უფლებას.

იშვიათი თანამიმდევრობით აუთებს ასეთ დასკვნას გუმპლოვიჩი; მის ნაშრომში "Cociologie et Politique" ენახულობთ ჩვენ ასეთ ადგილს: "l'eiude de l'Etat-ამბობს იგი,-est... une partie integrante de la sosiologie; meis teutes les et illusions sur sa nature proviennent(provi) precisement de ce qu'on a voulu constituer une science particuliere de l'Etat, tandis qu'il me peut etre compris que dans L'ensemble de la sociologie, et que la sociologie peut donner une position juste du probleme et jeter une Cumiere claiere sur etude"<sup>4</sup>

გუმპლოვიჩის მოძღვრებაში ეს დასკვნა კეთდება იმის შედეგად, რომ იქ სახელმწიფო გაგებულია მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ მოვლენად; მაგრამ სწორედ საბოლოო შედეგის ასეთი ხასიათის გამო ამ კონსტრუქციის ამოსაყალმა წერტილმა სამართლიანი უნდობლობა უნდა გამოიწვიოს. თუ განსაზღვრული თეორიის სასარგებლოდ უარი უნდა ვთქვათ ადამიანის გონის ასწლოვან გამოცდილებაზე, მაშინ უფლება გვაქვს ეჭვი შევიტანოთ ამ თეორიის სისწორეში.

§2. იმ თეორიების კრიტიკული განხილვისას, რომლებიც სახელმწიფოს ცხოვრებაში, ნატურალური თუ ბუნებრივი პროცესების გარდა, ვერაფერს ხედავენ, პირველ რიგში ის საყვედური უნდა გამოვთქვათ, რომ ამ თეორიებში არ მოიპოვება არაერთარი ძირითადი საყრდენი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი სამართლებრივი მხარის მეცნიერულად ასახსნელად. ამიტომაც ხდება იმ საკითხების სრული უგულებელყოფა, რომლებიც სამართლის ძირითადი ინსტიტუტების ანალიზთან არიან დაკავშირებული, ანდა, თუ ამ საკითხების გადაჭრას ვეცდებით ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა მეთოდების

<sup>3</sup> ამით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ არსებობს არაიურიდიული დახასიათება, რომელიც სახელმწიფოს კოლექტიური ცხოვრების ყველა სხვა ფორმებისაგან განასხვავებს ან მოწყობს.

<sup>4</sup> Gumplowicz, Sociologie et Politique, Paris, 1898, p. 153

საფუძვლებზე, მაშინ აშკარადდება ამ მეთოდების სრული უსუსურობა, თავი გაართვას შესაბამის სამართლებრივ მასალას.

ყოველგვარ ეჭვსგარეშეა, რომ სამართლის ნორმათა ერთობლიობა, რომლისგანაც სამართლებრივი რეგულირების სისტემა შედგება, არაერთიანი მოჩვენება არ გახლავთ, არამედ ქმნის საეციფიურ სინამდვილეს, რომელიც ჩვენი აზროვნების უშუალო მოცემულობას წარმოადგენს. ეს სინამდვილე უნდა გამოიყვლიოს სახელმწიფო სამართლის მეტოფორიამ. არ იქნებოდა საფუძვლიანი დაკვეყერებინა, რომ სოციალური მოვლენებისა და მათი ბუნებრივი განვითარების კანონების გულდასმითი შესწავლაჲ კი ერთსადაიმანვე დროს ამ მოვლენების ნორმატიული რეგულირების პრინციპების ახსნას შეგეაძლებინებდა.

აშკარაა, რომ აქ ორი პრინციპულად განსხვავებული საკითხი დგება: ერთია, სოციალური პროცესის ბუნების საკითხი და მეორეა, მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხი.

ადვილი გასაგებია, რომ თუკი სოციალურ ელემენტთა შორის ურთიერთობებს ბუნებრივი კანონები განსაზღვრავენ, მაშინ სამართლის და სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა კაცობრიობის ისტორიაში არასოდეს არ წარმოიშობოდა; იქ, სადაც ბუნების კანონების ძალას თვითონ მიყვარათ განსაზღვრულ შედეგამდე, სისულელე იქნებოდა მის გვერდით კიდევ დაკვეყნებინა საგანგებო ნორმები.

მაგრამ, თუკი ჩვენ ყოველ საზოგადოებაში ყოველთვის აღმოვაჩინთ ასეთი ნორმების არსებობის ფაქტს, მაშინ ჩვენმა გონებამ სხვაგვარ დასკვნებამდე უნდა მიგვიყვანოს. ამან ჩვენ უნდა დაგვარწმუნოს, რომ სამართლებრივი რეგულირება ვლინდება როგორც რაღაც ისეთი, რაც გარყვეულ ხარისხამდე საზოგადოებრივ ურთიერთობათა ბუნებრივი კანონზომიერების ფარგლებს გარეთ დევს. ის გამოხატავს ნამდვილ და უწყვეტ მომენტს სოციალური ცხოვრებისა, მაგრამ ეს არ შეიძლება წარმოშობილი იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივი კანონებიდან, ვინაიდან აზრი მისი არსობისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ, ნაცვლად სოციალურ ურთიერთობათა ბუნებრივი განვითარებისა, გამოიშუამოს საზოგადოებრივ ურთიერთდამოკიდებულებათა ახალი რიგი, რომელსაც განსაზღვრული მიზნის განხორციელებისაკენ მიყვარათ.

მხოლოდ სრულ შეცნობას ამ განსხვავებისა, რომლის დეტალურ დასაბუთებას ჩვენ შემდგომში შევეცდებით, შეიძლება დაფუძნდეს სახელმწიფო სამართლის მეცნიერების დამოუკიდებელი და თავისთავადი ხასიათი. ეს უკანასკნელი, როგორც ყოველი სხვა იურიდიული დისციპლინა, შედგება სამართლებრივი ნორმების ერთობლიობისაგან, რომელიც თავისი არსით არ შეიძლება აეხსნათ სოციალურ მოვლენათა კატეგორიებით. აქედან აშკარაა: მეთოდი, რომელიც აქ უნდა გამოვიყენოთ, არსებითად უნდა განსხვავდებოდეს ბუნების მეცნიერებათა დისციპლინების მეთოდისაგან, ვინაიდან ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ მეთოდოლოგიურ საშუალებათა თავისებურებანი არაფრით სხვით არ არის განპირობებული, გარდა მოვლენათა შესაბამისი წრის საგნობრივი შინაარსისა. მეორე მხრივ, აქედან გამომდინარეობს, რომ "ემპირიული სახელმწიფოს მოძღვრება", მაშინ, როცა ის ვერ ანსხვავებს და შლის ზღვარს სახელმწიფო სამართალსა და სახელმწიფოს სოციოლოგიურ გამოკვლევას შორის ფაქტიური შინაარსის მიმართ და ამის საფუძვლებზე ორივე მეცნიერებისათვის ერთიან მეთოდოლოგიას იყენებს, ყალბ საფუძვლებზეა აგებული.



§3. თუკი სახელმწიფოსამართლებრივი მეცნიერების ბუნებისმეცნიერული კონსტრუქცია მეთოდოლოგიური საითხების გაუაზრებლობის გამო, იმის გამო, რომ ბუნებისმეცნიერული მეთოდების დოგმატიკური აღიარება, როგორც კვლევის ერთადერთი შესაძლებელი სახეობა, მცდარად უნდა ჩაითვალოს, პირიქით ხდება ფაქტების სწორი გააზრება იურიდიულ მიმართულებაში, რომელსაც თავისი მიმდევრები ჰყავს გერმანულ მეცნიერთა შორის. ამ მიმართულებაში შესაძლებელია ნაყოფიერი კვლევა იურიდიული მეცნიერების პრობლემებისა საზოგადოდ და სახელმწიფო სამართლისა კერძოდ მხოლოდ ხსენებულ მეცნიერებათა თავისებურებებთან დაკავშირებით გამოუმუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

ძირითადი დებულება, რომელსაც უნდა დაეფუძნოს სახელმწიფო სამართლისათვის სპეციფიკური მეთოდოლოგიის აუცილებლობა, გახლავთ წინააღმდეგობა არსობასა და ჯერარსობას შორის, წინააღმდეგობა ნორმასა და ბუნებისმეცნიერული აზრით გაგებულ კანონს შორის. საწინააღმდეგოდ ბუნებისმეცნიერებისა, რომელიც ივლევს რეალურ ყოფიერებასა და მიზნობრივ დამოკიდებულებას რეალური სამყაროს მოვლენათა შორის, სამართალმცოდნეობის ამოცანას შეადგენს ისეთი ნორმების, ისეთი კიპოთეტური წესების ახსნა, რომელთა შინაარსს ჯერარსობა წარმოადგენს, და ადამიანთა პრაქტიკულ ცხოვრებას არეგულირებენ. სწორედ ადამიანური მიზნებისა და ღირებულებების სამყაროში პოულობს თავის ადგილს სამართლის სისტემა. ეს უკანასკნელი შედგება იმ პრინციპებისაგან, რომლებიც სინამდვილეს ემსახურებიან არა შემეცნების, არამედ შეფასების მეშვეობით. ეს პრინციპული წინააღმდეგობა არსობასა და ჯერარსობას შორის განაპირობებს განსხვავებას, ერთი მხრივ, ექსპლიციტურ მეცნიერებასა, ესე იგი ისეთ მეცნიერებას რომელიც ყოფიერების და სინამდვილის მოვლენათა კაუზალურ ურთიერთმოქმედების ახსნისაკენ არის მიმართული და, მეორე მხრივ, ნორმატიულ მეცნიერებას შორის<sup>5</sup>. ამიტომ არსებობს მეცნიერებათა ამ ორივე ჯგუფისათვის განსხვავებული მეთოდოლოგიის აუცილებლობა.

ბუნებრივი ჩანს, რომ მეთოდოლოგიურ საშუალებათა აქ მოყვანილი განსხვავება უნდა დაეფუძნოს შესაბამის მეცნიერებათა საგნობრივ შინაარსს შორის არსებულ განსხვავებას. მაგრამ მეცნიერებათა დაყოფა ნორმატიულ და კაუზალურ მეცნიერებად მათი საგნობრივი შინაარსის ონტოლოგიურ თავისებურებათა საფუძველზე კი არ ხდება, არამედ აზროვნების იმ წესის /*Betrachtungsweise*/ თავისებურებებს ეფუძნება, საიდანაც რაიმე საგანი შეიძლება იქნეს განხილული. აქედან გარდაუვალობით გამომდინარეობს დასკვნა, რომელიც გამოჰყავთ ამ მიმართულების წარმომადგენლებს<sup>6</sup>, რომ აქ ნაჩვენები მეთოდოლოგიური თავისებურებანი შეიძლება მხედველობაში მიიღოს მხოლოდ დოგმატურმა სამართლის მცოდნეობამ. ის შეიძლება გამოყენებული იქნეს პოზიტიურ-სამართლებრივი მასალის დადგენისას და მიზნად ისახავს ამ მასალის ლოგიკურ ათვისებას ცნებების მეშვეობით<sup>7</sup>. იგი სახელმწიფოს რეალური არსის ახსნას კი არ ეწარაფვის, არამედ ცდილობს სახელმწიფო იურიდიული აზროვნების ნაყოფად აქციოს, ესე იგი მონახოს ცნება, რომელშიც სახელმწიფოს ყველა სამართლებრივი თვისება ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იქნება მოაზრებელი<sup>8</sup>,

<sup>5</sup> System, S 16.FF

<sup>6</sup> H.Kelsen, Hauptprobleme der Staatsrechtslehre, 1911, Vorrede.

<sup>7</sup> Kelsen, Vorrede, III.

<sup>8</sup> Laband, Staatsrecht des Deutschen Reiches, Vorwort, II auf.

<sup>9</sup> Jellinck, Allgemeine Staatslehre, 1900, S. 145.

მაგრამ იგივე სამართლის ნორმები, რომელიც დოგმატური ახსნისას სპეციალურ იურიდიულ მეთოდოლოგიას მოითხოვს, და წმინდა იურიდიული განხილვის საგანს ქმნის, სხვა მეცნიერებებმა უნდა გამოიყვილონ. ეს მეცნიერებებია ბიოლოგია და სოციოლოგია, რამდენადაც მათ თავიანთი გენეტიკური განვითარება ან ისეთი პროცესების ერთობლიობა აქვთ მხედველობაში, რომლებიც ამ ნორმების რეალური განხორციელების ფაქტს გამოხატავენ<sup>10</sup>. ამის მიხედვით განსხვავება კაუზალურ და ნორმატიულ დისციპლინებს შორის არის არა მატერიალურ-ონტოლოგიური, არამედ წმინდა ფორმალურ-ლოგიკური. აქედან აუცილებლობით უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ სამყარო, რომელსაც სამართალმცოდნეობა იყვლევს, არის სუბიექტური, ის მხოლოდ ადამიანურ წარმოსახვაში არსებული აზროვნების სამყაროს წარმოადგენს<sup>11</sup>. ეს არის ძირითადი დასკვნა, რომელთანაც იურიდიულმა მიმართულებამ თავისი მეთოდოლოგიური გაგებით უნდა მიგვიყვანოს.

ამ დასკვნის დეტალური, კრიტიკული განხილვა ჩვენი მიზნისათვის ზედმეტია. ჩვენ შეიძლება დაკმაყოფილდეთ ამ მიმართულების ამოსავალი პრინციპის ნაკლებ მითითებით, რომელიც თავის მხრივ შედეგის ნაკლსაც განაპირობებს.

ძირითადი ნაკლი ამ მიმართულებისა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს იურიდიულ და სოციალურ მოძღვრებათა შორის განსხვავების საფუძველია არა ამ მეცნიერებათა საგნობრივი შინაარსის თავისებურება, არამედ მხედველობაში მიიღება თვალსაზრისთა განსხვავება, გამოსაკვლევი საგნისადმი განხილვის წესის /*Beachtungswaise*/ ფორმალურ-ლოგიკური დამოკიდებულება. ეს მომენტი, მეცნიერების საგნობრივი შინაარსისაგან დამოუკიდებლად ვერ მიაღწევს თავის მიზანს, ვინაიდან ის თვითონ წარმოებული /*derivativen*/ ხასიათისაა და მთლიანად განსაზღვრულია მეცნიერების საგნობრივი შინაარსით. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ფორმალურ-ლოგიკური მხრივ, ესე იგი შემეცნების მასალისაგან დამოუკიდებლად ყოველი შემეცნების აქტის ურთიერთობა შემეცნების საგანთან, დამოკიდებულია არა შემეცნების პროცესის ფორმალურ-ლოგიკურ არსზე, არამედ მის “მასალაზე”, მის ობიექტურ-საგნობრივ შინაარსზე. თავისთავად გასაკვებია, რომ საგნის მიმართ თვალსაზრისის თავისებურება მხოლოდ იქ და მაშინ არის შესაძლებელი, როცა და სადაც თვითონ საგანში მისი არსების ახალი მხარე იქნება აღმოჩენილი. ამ აზრის საუკეთესო მტკიცებად გამოდგება ის მაგალითი, რომელსაც ელინეკი იყენებს, რათა მისი საპირისპირო მოსაზრება დაასაბუთოს. იმისათვის, რათა დაამტკიცოს, რომ სახელმწიფოს სამართლებრივ ბუნებასა და მის სოციალურ მხარეს შორის პრინციპული განსხვავება არსებობს, ელინეკს მოჰყავს მაგალითი მუსიკალურ-ესთეტიკური განცდის სფეროდან და ამ მაგალითით ხსნის განსხვავებას განხილვის ბუნებისმეცნიერულ წესსა და განხილვის ესთეტიკურ თვალსაზრისს შორის. “ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური განხილვისათვის – ამბობს ელინეკი – არ არსებობს სიმფონია, როგორც მუდმივი ობიექტი. ბუნების შემეცნების თვალსაზრისის მიხედვით ობიექტურ გარე სამყაროში და ადამიანური სუბიექტის შიგნით არსებობს მხოლოდ ჰერის რხევა და მისგან წარმოქმნილი ხმის შეგრძნება... მაგრამ სულ სხვაგვარად დგას საკითხი ესთეტიკური განხილვის დროს, იგი აელენს სიმფონიას, როგორც ობიექტს ტკბობისა, განხილვისა, მუსიკალური შემეცნებისა... როგორც ობიექტს ყველაზე უფრო

<sup>10</sup> Jellinek, System, S. 16.

<sup>11</sup> ib. S. 16-17.

ღრმა, ყველაზე უფრო ჭეშმარიტი, უმძლავრესი რეალობისა და არცერთ ბუნებისმეტყველებას და ფსიქოლოგიას არ ძალუძს ოდნავდაც კი შეარყიოს ცნობიერების ეს რეალობა<sup>12</sup>.

ხელოვნების ნაწარმოების გამოსახულება, რომელსაც თეორიული ბუნებისმეტყველებული აზროვნებისათვის მხოლოდ რთული, ფსიქოლოგიური პროცესებისათვის იყენებენ, ყოველგვარი სუბსტანციულობის გარეშე, ესთეტიკური შემეცნების ობიექტს გამოხატავს. ეს განსხვავება დასკვნებს შორის, რომლებიც გამომდინარეობს, ერთი მხრივ, ბუნებისმეტყველებული და, მეორე მხრივ ესთეტიკური შემეცნებიდან, არის ელინეკის თეალსაზრისის მიხედვით, იმის შედეგი, რომ ერთი და იგივე პროცესი მოცემულ შემთხვევაში სხვადასხვა თეალსაზრისით და სრულიად სხვადასხვა მიზნებით იქნა განხილული<sup>13</sup>. განსხვავება ამ თეალსაზრისებსა და მიზნებს შორის, რომელთა მეოხებით ხორციელდება შემეცნების პროცესი, აფუძნებს მოცემულ შემთხვევაში განსხვავებას ფსიქოლოგიასა და ესთეტიკას შორის. განხილვის სხვადასხვა წესი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, ვინაიდან ისინი ერთსა და იმავე ობიექტს სხვადასხვა თეალსაზრისით უდგებიან. ელინეკის ზემოთ მოყვანილი თეალსაზრისის კრიტიკული განხილვისას ამოსავალ დებულებად ვიღებთ ჩვენ მის მტკიცებას, რომ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში როგორც ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური, ისე ესთეტიკური შემეცნება მიმართულია ერთსა და იმავე ობიექტისაკენ და რომ განსხვავება ამ მტკიცებულებათა შორის გამოიხატება არა მათი საგნობრივი შინაარსით, არამედ განხილვის წესის ფორმალურ-ლოგიკური მომენტით. რამდენად სწორია ეს მტკიცება? უპირველეს ყოვლისა, შეჭერდეთ შემეცნების ობიექტის ცნებაზე. შემეცნების თეორიის თეალსაზრისით ეს უკანასკნელი სრულიად არ ემთხვევა ნივთს ან საგანს იმ აზრით, რა აზრითაც ის ყოველდღიურ სიტყვათმხარებაში გამოიყენება. შემეცნების თეორიის აზრით, საგანია ყოველივე ის, რისკენაც შემეცნების აქტია მიმართული. ამის მიხედვით ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს როგორც “სუბსტანცია”, ისე მისი ურთიერთობანი ერთმანეთს შორის. აქედან გამომდინარეობს, რომ “ნივთი”, რომელიც ყოველდღიურ სიტყვათმხარებაში დასრულებული ფორმით და ერთგვაროვანი ერთიანობით გვევლინება, გნოსოლოგიური აზრით შემეცნების “საგანთა” ჯამის სახით გამოდის. შემეცნების აქტი, როგორც ასეთი, იმდენად არის შესაძლებელი, რამდენადაც გვაქვს შემეცნების საგანი, რომლისკენაც ის არის მიმართული და რომელიც თავის შინაარსს ქმნის. იქ, სადაც შემეცნების საგანი შემეცნების აქტისაგან ობიექტურად არ არის მოცემული და თავისი არსით მისგან დამოუკიდებლად არ არსებობს, ამ უკანასკნელს არ შეუძლია თავის თავისგან ასეთი საგანი შექმნას, ვინაიდან შემეცნების აქტის არსი გამოიხატება არა არარსებული საგნის შექმნით, არამედ მხოლოდ ობიექტურად მოცემული საგნის შემეცნებით... მეორე მხრივ შეიძლება მოცემული საგნისავე /გნოსოლოგიური აზრით/ მხოლოდ განსაზღვრული შემეცნების აქტი იქნეს მიმართული, ვინაიდან ყველა სხვა შემეცნების აქტები, რომლებიც მისკენ არიან მიმართული, თავიანთი შინაარსით მას ემთხვევიან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის უნდა გაიმეორონ.

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ ელინეკის ზემოთ მოყვანილი მაგალითების ანალიზზე. ჩვენ საესეებით ვეთანხმებით ავტორის მტკიცებას, რომ მოცემულ

<sup>12</sup> System, S. 14-15.

<sup>13</sup> System, S. 15.

შემთხვევაში ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ განხილვას, ერთი მხრივ, და ესთეტიკურ განხილვას, მეორე მხრივ, სხვადასხვა შედეგი მოსდევს. მაგრამ დასკვნა, რომელიც აქედან გამოდის და რომელიც შემეცნების აქტის სხვაგვარ ბუნებასთან დაკავშირებით ასეთ განსხვავებას იწვევს, სრულიად დაუსაბუთებლად გამოიყურება. პირიქით, შეგვიძლია ჩვენ სრულიად დასაბუთებულად ჩავთვალოთ, რომ განხილვის წესის ფორმალურ-ლოგიკური მომენტი კი არა, ობიექტურად მოცემული, საგნობრივი განსხვავება უნდა დაესაზოთ იმ საწყის მომენტად, რომელსაც მოცემულ მეცნიერებათა განსხვავება დაეფუძნება.

თუკი ფიზიოლოგიას და ფსიქოლოგიას ხმის შეგრძნების სფეროში სხვა დასკვნებამდე მივყევართ, ესთეტიკურ განხილვასთან შედარებით, ეს არის შედეგი იმ გარემოებისა, რომ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვექონდა რთულ კომპლექსურ პროცესებთან და, რომ ყოველი მოცემული მეცნიერება ამ პროცესების სხვადასხვა ასპექტს იკვლევდა. თუკი საქმე სხვაგვარად იქნებოდა, თუკი ჩვენ სინამდვილეში აქ საქმე გვექნებოდა ერთსა და იმავე შემეცნების საგნებთან /გნოსოლოგიური აზრით/ და მთელ ამ განსხვავებას განხილვის წესის ფორმალურ-ლოგიკური მომენტით აეხსნიდით, მაშინ განსხვავება დასკვნებს შორის და ამ მეცნიერებათა დამოუკიდებლობა საზოგადოდ სრულიად გაუგებარი დარჩებოდა. სინამდვილეში ელინებს უნდა დაეთანხმოთ იმაში და ისიც მართალია, რომ ორივე ეს მეცნიერება განხილვის წესის ერთსა და იმავე ბუნებისმეცნიერულ სახეობას ექვემდებარება, ამიტომაც არის ეს სრულიად თვალსაჩინო, რომ "ფორმალურ-ლოგიკური" მომენტი ორივე მეცნიერებაში სრულიად მსგავსი ხასიათისაა. თუკი აქ რეალურ ურთიერთობაში ისეთივე იგივეობრიობა /gleichheit/ არსებობდა, მაშინ /ხმის აღქმის სფეროში მაინც/ ამ მეცნიერებათა შორის განსხვავების შესაძლებლობა გაქრებოდა და ისინი ერთმანეთს სავესებით გადაფარავდნენ. სინამდვილეში ეს, ბუნებრივია, ასე არ არის, და აქედან გამოდის, რომ განხილვის წესის "ფორმალურ-ლოგიკური" მომენტი სრულიად უფარვისია ამ მეცნიერებათა გამიჯვნისათვის და სიმძიმე გადატანილია მათ საგნობრივ შინაარსზე... ფიზიოლოგია და ფსიქოლოგია ერთმანეთისაგან იმით კი არ განსხვავდებიან, რომ ისინი საგნის განხილვის განსხვავებული წესით ხელმძღვანელობენ, არამედ იმით, რომ ხმის გამოვლენების ცნებით გამოხატულია რთული პროცესი, რომელიც თავის თავში გულისხმობს როგორც ფიზიოლოგიურ /ნერვულ გაღიზიანებას და ნერვული სისტემის მომღვერო პროცესებს/, ისე ფსიქიკური შეგრძნების პროცესის ფსიქოლოგიურ მომენტებს.

ანალოგიური დასკვნები მივიღეთ ჩვენ ესთეტიკისა და ბუნებისმეცნიერების გამიჯვნის საკითხში. აქაც უნდა შევძლოთ ჩვენ იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ხმის შეგრძნების განსაზღვრული კომპლექსი, რომელსაც ჩვენ სიმფონიას ვუწოდებთ, და რთულ პროცესად განვიხილავთ, თავის თავში, გარდა ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მომენტებისა, შეიცავს განსაზღვრულ ესთეტიკურ იდეას. იგი /ეს იდეა/ გვევლინება როგორც ობიექტურად მოცემული და შემეცნების აქტისაგან სრულიად დამოუკიდებელი და გამოხატავს სპეციფიკურ ობიექტს ანუ ესთეტიკური განსჯის საგნობრივ შინაარსს<sup>14</sup> შემეცნების სფეროში არსად არ ეხვდება იმ ჩვენ ისეთ მოვლენას, რომ შემეცნების აქტი თვითონ

<sup>14</sup> Noritz Geiger, Beiträge zur Phänomenologie des ästhetischen Genusses S. Jahrbuch f. Philosophie und Phänomenologische Forschung, B.1, S. 568, 572-73, 1922.

თავისი საკუთარი ობიექტიდან წარმოსდგებოდეს; პირიქით, ის ყოველთვის არის მიმართული მისგან დამოუკიდებლად არსებული საგნისაკენ და ესთეტიკური შემეცნებაც ამ ურთიერთობაში, ბუნებრივია, არ შეიძლება რაიმე გამოწყლის წარმოადგენდეს. ამიტომაცაა ამ უკანასკნელის სპეციფიური შინაარსი ობიექტურად არსებული და სრულიადაც არ არის შემეცნების აქტის ფორმალურ-ლოგიკური თავისებურების შედეგი. და როცა ელინეკს მოჰყავს ანალოგია მოვლენათა ესთეტიკურ განსჯათა შორის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური განსჯისაგან განსხვავებისათვის და წმინდა იურიდიულ განსჯას ანსხვავებს სოციოლოგიურისაგან და ამტკიცებს, რომ "იურისტების სამყარო... არის სამყარო საგნებისა ჩვენთვის და არა საგნებისა თავისთავად"<sup>15</sup> და რომ "იურიდიული სამყარო არის წმინდა აზროვნების სამყარო, რომელიც რეალური ხდომილების სამყაროს შესაბამისად იქცევა, როგორც ესთეტიკური გრძნობა თეორიული შემეცნების მიმართ", ესეც ისე უნდა განვიხილოთ, როგორც საფუძვლიანი გნოსეოლოგიური საკითხების სრული გაუაზრებლობა.

სინამდვილეში, როგორი მნიშვნელობა უნდა მიეანიჭოთ ჩვენ მთელი შემეცნების სამყაროს ამ უცნაურ დანაწილებას, რომელიც კანტიდან მომდინარე, თითქმის სერიოზულად არავის აღარ დაუცავს? კანტისათვის მას ღრმა აზრი ჰქონდა, ვინაიდან ის რთული ფილოსოფიური სისტემის ერთ მომენტს გამოხატავდა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მშვიდად ვამტკიცოთ, რომ ელინეკის ნაწერებში ამ იდეას აბსოლუტურად არავითარი აზრი არა აქვს. ასეთივე გაუგებრობაა აგრეთვე იმის მტკიცება, რომ იურიდიული შემეცნების სამყარო წმინდა აზროვნების სამყაროა. ჩვენ ზემოთ უკვე გავარკვიეთ საკითხი, თუ რამდენად სერიოზულად შეიძლება მივიღოთ "სამყაროების" შემეცნების შინაგანი ბუნებიდან, აზროვნების საკუთარი ძალებიდან კონსტრუირების ცდა. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ გვიინტერესებს დასკვნები, რომლებსაც აუტორი ამ მტკიცებას უკავშირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ იურიდიული შემეცნების სამყარო მხოლოდ იმიტომ უნდა ატარებდეს აზროვნების სამყაროს ხასიათს, ვინაიდან ის აბსტრაქციების სამყაროს გამოხატავს<sup>16</sup>. ვინაიდან ელინეკი ამ დებულების შემდგომად ანვითარებს, ხედავს ის აბსტრაქციის არსს იმაში, რომ მის საფუძველს ქმნის რეალური მოვლენები შინაგანი ან გარეგანი პროცესების სამყაროში.

ამ მტკიცებამ განცვიფრება უნდა გამოიწვიოს. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ არა მხოლოდ სამართლისმცოდნეობა, არამედ საზოგადოდ ყველა მეცნიერება ცნებათა ჯგუფს ანუ განსაზღვრულ კავშირს გამოხატავს. ეს ცნებები ელინდებიან, როგორც ცნობილია, არა როგორც თვითონ რეალური პროცესები, არამედ მხოლოდ როგორც აბსტრაქციები ამ რეალური პროცესების საფუძველზე. ყოველნაირად ჩანს, აგრეთვე, რომ ამ დამოკიდებულებაში ფორმალურ-ლოგიკური მომენტი არ არის საკმარისი საზოგადოდ იურიდიული მეცნიერების თავისებური ბუნების ახსნისათვის.

დასკვნები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ ეგრეთ წოდებული იურიდიული მიმართულების კრიტიკული განხილვის საფუძველზე, შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს.

განხილვის წესის ფორმალურ-ლოგიკური მომენტი და საზოგადოდ ყოველი თეორია, რომელიც მეცნიერებათა გამოიჯენს ერთმანეთისაგან შემეცნების აქტის შინაგან ბუნებაზე დაყრდნობით ახდენს, თავის მიზანს ვერ აღწევს.

<sup>15</sup> Systems, S. 15.

<sup>16</sup> Systems, S. 17.

ეს იმის გამოა, რომ ყოველი მეცნიერების თავისებურება განისაზღვრება არა შემეცნების აქტის ლოგიკური მომენტი, არამედ ამ მეცნიერების საგნობრივი შინაარსის მეოხებით.

განსაკუთრებით გარდაუვალი საჭიროებაა იმისა, რომ სამართლისმცოდნეობის ნათლად გამიჯვნისათვის ბუნებისმეცნიერებათა დისციპლინებისაგან დავეყრდნოთ თვითონ სამართალმცოდნეობის საგნობრივ შინაარსს, ვინაიდან საწინააღმდეგო მიმართულება, რომელიც ფორმალურ-ლოგიკური მომენტიდან გამომდინარეობს, უნდა იქცეს უნაყოფო და სქოლასტიკურ ცნებათა სამართალმცოდნეობად. ამიტომაც ნათელია, რომ იმ მეთოდოლოგიური საკითხების ახსნას, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადო სამართლის მეცნიერების, კერძოდ, კი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების გამოყვლევასთან, არავითარი სასარგებლო ნაყოფის მოცემა არ შეუძლია, ვიდრე არ გადაწყდება იმ მოვლენათა ბუნებისა და თავისებურების საფუძვლიანი საკითხი, რომელსაც სამართლისმცოდნეობა იკვლევს. დასასრულს უნდა ვთქვათ, რომ ყოველ მეცნიერებაში მეთოდოლოგიური პრინციპები, ვინაიდან მათ არა აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ამ მეცნიერების საგნობრივი შინაარსით განისაზღვრება და ამის გარეშე კარგავს თავის ღირებულებას.

§4. სახელმწიფო სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიის პრობლემატიკაში ამ ორი ძირითადი მიმართულების კრიტიკულ განხილვას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში შინაგანი ონტოლოგიური განსხვავების უგულებელყოფა, ერთი მხრივ, სახელმწიფოს იურიდიული მოძღვრების საგნობრივ შინაარსსა და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს სოციალურ მოძღვრებას შორის წარმოადგენს იმ ყალბი დასკვნის საფუძველს, რომლის გაკეთებასაც ამ თეორიებს უნდა ეუმალოდეთ.

აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენი მეცნიერების მეთოდოლოგიის გამოშუშებებს წინ უნდა უძღოდეს იმ მოვლენათა წრის თავისებურებათა დეტალური ახსნა, რომლებიც სახელმწიფო სამართალმა უნდა გამოიყვლიოს, ესე იგი სახელმწიფოს სამართლებრივი ყოფიერება.

სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ნორმატიულ ხასიათზე მითითება თავისთავად არ არის საკმარისი ამ მიზნისათვის, რამდენადაც სახელმწიფო სამართლის ნორმატიულობა განიხილება როგორც რაღაც, რაც სახელმწიფო-სამართლებრივ მოვლენათა განხილვის განსაკუთრებული წესიდან გამომდინარეობს. მას გარდუვალად მივყავართ ნეგატიურ დასკვნებამდე, რომლებიც ჩვენ ზემოთ უკვე გავყარით. მაგრამ ამის მიუხედავად კი, სამართლის ნორმატიული ხასიათის საკითხი არ შეიძლება მოქმედებდეს როგორც რაღაც, რაც არავითარ ეჭვსაც კი არ იწვევს.

არის თუ არა ნორმატიულობა სამართლის პრინციპის ცნებაში შინაგანი და გარდაუვალი მომენტი ან აღნიშნავს თუ არა ის სამართლის პრინციპის არსებობის სპეციფიკურ ფორმას ცნობიერებაში, – ყოველივე ეს ის საკითხებია, რომლებიც განსაკუთრებულ გამოყვლევას მოითხოვენ და არ არის მათი გამოყენების აუცილებლობა სახელმწიფო სამართლის და სახელმწიფოს სოციალური მოძღვრების გამიჯვნის დასაწყისში. ამ საკითხების გადმოცემას წინ უძღვის აუცილებლობით სამართლის ძირითადი პრინციპების

დეტალური ანალიზი, იმ საეციფიური კანონზომიერების ანალიზი, რომელიც ჩვენ აქ გვხვდება და რომელიც სამართლის სამყაროს მკვეთრად წყვეტს მასთან მოცემული სოციალური მოვლენებისაგან. მხოლოდ ამგვარად ძალგვიძს ჩვენ აეხსნათ სამართლებრივი მოვლენების საფუძვლიანი კანონზომიერება და ერთდროულად სახელმწიფოს ძირითადი დახასიათება თავისი სამართლებრივი ყოფიერების მხრიდან.

როგორც ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, სახელმწიფო თავისი სოციალური ყოფიერების მხრიდან შეიძლება დაეახასიათოთ, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ფორმათაგანი. თუკი ზიშელს დავეთანხმებით, რომ "ბრძანებლური დაქვემდებარება /'Über und Unterordnung'/ ის ფორმებია /'Arten'/, რომლებსაც საზოგადოება ეყრდნობა... ის, რასაც ჩვენ საზოგადოების კოლექტიური ან აბსტრაქტული ცნებით აღვნიშნაეთ"<sup>17</sup>, მაშინ შეგვიძლია ჩვენ წინააღმდეგობა სახელმწიფოს სოციალურ და სამართლებრივ არსს შორის ხელისუფლებისა და სამართლის ცნებების მეოხებით გამოეხატოთ. ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულების სწორად გაგებისათვის იმათ შორის, რომელთა მეოხებითაც სახელმწიფოს კონკრეტული სიცოცხლე მთლიანობაში შეიქმნა, არის, როგორც ეს უკვე იყო აღნიშნული, ახსნა ძირითადი ელემენტებისა, რომელთაგან მართლწესრიგი აიგება, და საჭიროება ძირითადი კანონისა, რომელიც ელემენტებს შორის ურთიერთყავემირს განსაზღვრავს.

მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ჩვენ გადავიდეთ მართლწესრიგის მოცემულობის დახასიათებაზე განსაზღვრულ სოციალურ სფეროში, აეხსნათ სახელმწიფოს ცხოვრებაში ის ურთიერთობები, რომლებიც არსებობენ ხელისუფლებასა და სამართალს შორის სოციალური კატეგორიების აზრით.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცდებით სწორედ ეს საკითხები გადავწყვიტოთ, მეორე ამოცანა გახდება საგანი ამ ნაშრომის შემდგომი ნაწილისა, რომლის გამოცემაც ჩვენ მომავალში გვაქვს განზრახული.

<sup>17</sup> Simmel, Soziologie der Über und Unterordnung, Archiv f. Sozialwissenschaft und Sozialpolitik, Bd. XXIV, S. 478.

## პირველი მონაკვეთი

§1. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სოციალური პროცესების ერთობლიობა, რომლებსაც სახელმწიფოს ცხოვრებაში ვხვდებით, არ ამოწურავს მის სრულ არსს და სახელმწიფო როგორც სოციალური წარმონაქმნი, როგორც განსაზღვრული ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, უნდა განვახსავათ სახელმწიფოსაგან სამართლებრივი ინსტიტუტის თვალსაზრისით. მაგრამ ასეთი გამიჯვნა წმინდა ლოგიკური ჩანს. რეალურ სინამდვილეში, როგორც თვითონ სახელმწიფოში, აგრეთვე წინასახელმწიფოებრივ სოციალურ ფორმებში, ორივე მხარე ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული და არც ერთ მათგანს არ მიეყვართ უმეტესწილად დამოუკიდებელი არსებობისაყენ. ცხადია, სახელმწიფოს ცხოვრებაში გვხვდება აგრეთვე ასეთივე ურთიერთობანი ადამიანთა შორის, რომლებიც არ არიან სამართლებრივი ურთიერთობები, ვინაიდან ისინი თავის თავში არ შეიცავენ სამართლებრივ ელემენტებს: ასეთია, მაგალითად, ყველა დელიქტური ურთიერთობანი. მაგრამ სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ მაინც არ შეიძლება ამის თქმა; ეს უკანასკნელი მათი განხორციელების პროცესში მუდამ არიან დაკავშირებული ცხოვრებისეულ ურთიერთობებთან /Lebensverhältnissen/. მიუხედავად ამისა, აქ მაინც არ შეიძლება ლაპარაკი არც კორელაციურ და არც იდენტიფიკაციურ ელემენტებზე. პირიქით, როგორც სწორად შენიშნავს ბირლინგი, "საზოგადოებრივი ურთიერთობები, თუ განვიხილავთ მათ როგორც მთელს, ისინი გარეგნულად სხვადასხვა ფორმით შეიძლება მოგვევლინონ, მაშინ, როცა განსაზღვრული სამართლებრივი ნორმები სრულიად ერთნაირი ფორმისა არიან; ისინი სრულიად განსხვავდებიან სამეურნეო მოთხოვნილებებისაგან, სოციალური შეხედულებებისაგან, რომელთა ზნეობრივი მოტივები სულ სხვაგვარია, ვიდრე ის მოტივები, რომლებიც ამოძრავებთ სამართლის ნორმების შესრულების ან აღიარების დროს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს. მაგრამ მასში გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობები მანამდე დარჩება უცვლელი, ვიდრე სამართლის სუბიექტები და მათ მიერ აღიარებული სამართლის ნორმები თვითონ არ შეიცვლება, ესე იგი ვიდრე სამართლებრივი პრეტენზიები და სამართლებრივი მოვალეობები შესაბამისი ადამიანებისა უცვლელი დარჩება"<sup>1</sup>.

ამ მითითებებიდან ადვილად ჩანს იმ მეცნიერული მოტივის სისწორე, რომ ჩვენ იძულებული ვართ ადამიანთა ურთიერთობების სამართლებრივი მხარე მოეწყვიტოთ მისსავე სოციალურ შინაარსს. და მაინც, თავისთავად, აქ აღნიშნული განსხვავება არ არის საყმარისი ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მეცნიერების დასაბუთებისათვის, რომელთა ამოცანა არის, ერთი მხრივ, სამართლებრივი მხარის, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ურთიერთობების სოციალური შინაარსის გამოყვლევა. ყოველი მეცნიერების ზღვარზე ვხვდებით ჩვენ გარკვეულ სიმრავლეს მეცნიერების მიერ შესასწავლი ობიექტებისა, რომლებიც თავისი ცალკეული ნიშნების მიმართ უეჭველად გვიჩვენებენ დიდ სხვადასხვაობას, რაც ჩვენ არ გვაძლევს საშუალებას ასეთ შემთხვევებში, ერთის ნაცვლად, მრავალი მეცნიერების აღიარებისა. ჩვენ აქედან სახელმწიფო სამართლის მეცნიერების მიმართ, რომელსაც ვიყვლეთ, უნდა დავასკვნათ, რომ ზემოთ მოხსენიებული განსხვავება სამართლებრივ ელემენტებსა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა სოციალური

<sup>1</sup> Bierling, Juristische prinzipienlehre, Erster Band, 1894, S. 191.



ცხოვრების, ესე იგი სოციოლოგიისაგან ამ მეცნიერების დამოუკიდებლობის, მისი ორიგინალობის და თავისთავადობის მტკიცებისათვის საკმარის საფუძველად. სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ისევე, როგორც მეცნიერების სხვა დარგის, ასეთი დამოუკიდებლობა არ შეიძლება ისეთ არაარსებით მომენტს დაეფუძნოს, როგორც არის ცოდნის ამ დარგში შემავალ ობიექტთა რელატიური განსხვავება. ეს განსხვავება უფრო ღრმა და პრინციპულ საფუძველს უნდა დაეყაროს. ამ საფუძველის ნათელყოფის მიზნით უნდა დაესვათ ჩვენ კარდინალური საკითხი: რას ემყარება ცალკეულ მეცნიერებათა ერთიანობა საზოგადოდ?

“მეცნიერება, უპირველეს ყოვლისა, არის ანთროპოლოგიური ერთიანობა, სახელდობრ, ერთიანობა აზროვნების აქტებისა. აზროვნების დისპოზიციები გარკვეული კუთვნილების გარეგანი ღონისძიებებით, რასაც ყველა ეს ერთიანობა როგორც ანთროპოლოგიური და სპეციალურად როგორც ფსიქოლოგიური განსაზღვრავს, აქ ჩვენ ინტერესს არ წარმოადგენს... ეს გამოდის იმის გარეთ, რაც მეცნიერებას მეცნიერებად ხდის, და იგი ყოველ შემთხვევაში, არ არის ფსიქოლოგიური და საზოგადოდ რეალური კავშირი, რომელიც აზროვნების აქტებს აწესრიგებს, არამედ ის გარკვეული ობიექტური ან იდეალური კავშირია, რომელიც მათ ერთიან საგნობრივ დამოკიდებულებას და ამ ერთიანობაში აგრეთვე იდეალურ მნიშვნელობას ანიჭებს... იმ ობიექტურ კავშირთა შორის, რომლებიც მეცნიერულ აზროვნებას იდეალურად აყალიბებს, მას, და ასევე მეცნიერებასაც როგორც ასეთს “ერთიანობას” ანიჭებს, შეიძლება ორმაგი გაგება იყოს; საგანთა შორის კავშირი, რომლებზედაც აზროვნების განცდებია... განზრახ /intentional/ მიმართული, და, მეორე მხრივ, კავშირი ჭეშმარიტებისა, რომელშიც ნიეთობრივი ერთიანობა როგორც რაღაც, რაც ის. არის, ობიექტურ მნიშვნელობას პოულობს. ერთიც და მეორეც არის a priori ერთმანეთთან მოცემული და ერთმანეთისაგან მოუწყვეტელი. არაფერი არ შეიძლება იყოს, ასეთის ან ასეთად განსაზღვრული გარეშე და რომ ეს არის ასეთის ან ასეთად განსაზღვრული. ეს არის სწორედ ჭეშმარიტება თავისთავად, რომელიც თავისთავად ქმნის ყოფიერების აუცილებელ კორელატს. მაგრამ ეს ევიდენტური /აშკარა/ მოუწყვეტელობა არ არის იდენტური...”

თუკი ჩვენ მოცემული გვექნება ეს ორივე, მხოლოდ აბსტრაქტულად ერთმანეთისაგან მოუწყვეტელი მოაზრებული ერთიანობა – ერთიანობა საგნობრივისა, ერთი მხრივ, ხოლო ჭეშმარიტებისა, მეორე მხრივ, – მსჯელობაში ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შემეცნებაში... შემეცნების კავშირები შეესაბამება იდეალურ კავშირებს ჭეშმარიტებისა. ისინი არიან, შესაფერისად თუ გაეიგებთ, არა მხოლოდ ჭეშმარიტებათა კომპლექსი, არამედ ჭეშმარიტებათა კომპლექსი, რომელიც თვითონ ამით, სახელდობრ, როგორც მთელი, ექვემდებარება ჭეშმარიტების ცნებას. აქამდე ეკუთვნის აგრეთვე მეცნიერებებსაც, ობიექტური სიტყვა რომ ვთქვათ, ამრიგად, ჭეშმარიტების გაერთიანების აზრით. საყოველთაო კორელაციის დროს, რომელიც არსებობს ჭეშმარიტებასა და საგნობრიობას შორის, ჭეშმარიტების ერთიანობა ასევე შეესაბამება ერთსა და იმავე მეცნიერებაში ერთიან საგნობრიობას: ეს არის ერთიანობა მეცნიერების დარგებისა...

თავისთავად წამოიჭრება კითხვა, რა განსაზღვრავს მეცნიერების და ამით აგრეთვე დარგის ერთიანობას. არა ყოველგვარი ერთიანობა ჭეშმარიტებათა შეკავშირებად, რომელიც აგრეთვე მთლად გარეგან ერთიანობად შეიძლება დარჩენილიყო, ქმნის მეცნიერებას.

მეცნიერებას მიეკუთვნება... გარკვეული ერთიანობა დაფუძნების კავშირებისა. მაგრამ ესეც არ იქნება საკმარისი; უინაიდან ეს თუმცა როგორც რალაც მეცნიერული იდეისადმი არსებითად კუთვნილების დაფუძნებაზე მიუთითებს, მაგრამ არ გვეუბნება ერთიანობის რომელი სახე ქმნის მეცნიერების დაფუძნებისა – იმისათვის, რათა ავხსნათ ეს საკითხი, რამდენიმე ზოგადი დებულება უნდა დაეადგინოთ წინასწარ.

“მეცნიერული შემეცნება არის როგორც ასეთი შემეცნება საფუძვლიდან, საფუძველი რალაცის შემეცნებისა, ეწოდება მის აუცილებლობას, რომ ვინმე ასე და ასე მოიტყუება, შეიცნობს, აუცილებლობა როგორც ჭეშმარიტების ობიექტური პრედიკატი... აღნიშნავს იმდენს, რამდენიც არის საქმის გარემოებათა კანონზომიერი მნიშვნელობა. ამრიგად, საქმის გარემოებები, როგორც კანონზომიერება ან მისი ჭეშმარიტება როგორც აუცილებელი მნიშვნელობის განჭვრეტას /einsehen/ და საქმის გარემოებათა საფუძვლის შეცნობა, შესაბამისად მისი ჭეშმარიტება აქეთ, ეს არის ეკვივალენტური გამოხატულება...”

...ჭეშმარიტებები იშლება ინდივიდურ და ზოგად ჭეშმარიტებად... საქმე ეხება... დასაბუთებას... ზოგადი ჭეშმარიტებისა... ასე შეგვიძლია გარკვეულ ზოგად კანონზე მითითება, რომელიც სპეციალიზირებისა და დედუქციური შედეგის გზაზე იძლევა დებულების დასაბუთებას. დასაბუთებას ზოგადი კანონისა აუცილებლობით მივყავართ განსაზღვრულ, მისი არსის მიხედვით... უკვე დაუსაბუთებელ კანონამდე.

მათ ეწოდებათ ძირითადი კანონები.

“სისტემატური გაერთიანება იდეალურად დაზუსტებული კანონებისა, რომლებიც ძირითად კანონზომიერებას როგორც თავის უკანასკნელ საფუძველს ეყარებიან და მათგან სისტემატური დედუქციის მეოხებით წარმოიქმნება, არის ერთიანობა სისტემატურად დასრულებული თეორიისა. ძირითადი კანონზომიერება წარმოსდგება ან ძირითადი კანონიდან ანდა ძირითად კანონთა ერთგვაროვანი კავშირიდან...”

“ჩვენ აქ იმ მდგომარეობაში ვართ, რომელიც ზემოთ წამოჭრილ საკითხს პასუხობს, რაც ერთიანობას ჭეშმარიტებისა მეცნიერებასთან განსაზღვრავს, რაც მათ “საგნობრივ” ერთიანობას ქმნის... არსებითია ჭეშმარიტებანი მეცნიერებისა, თუკი მათი კავშირი იმას ეყარება, რაც მეცნიერებას, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერებად ზღის; და ეს არის შემეცნება საფუძვლისა /დან/, ამრიგად, ახსნა ანდა დასაბუთება. მეცნიერების ჭეშმარიტებათა არსებითი ერთიანობა არის ახსნის ერთიანობა. მაგრამ ყველა ახსნა მიუთითებს თეორიაზე და ძირითადი კანონის, ახსნის პრინციპების შემეცნებაში პოულობს თავის დასასრულს. ერთიანობა ახსნისა ნიშნავს, ამრიგად, თეორიულ ერთიანობას, ესე იგი ერთგვაროვან ერთიანობას დასაბუთებული კანონზომიერებისა, საბოლოოდ, ერთგვაროვან ერთიანობას ახსნილი პრინციპების”<sup>2</sup>.

მთელი ეს გრძელი ციტატა, რომლის აზრსაც სრულიად ვეთანხმებით, ჩვენ აღებული გვაქვს პუსერლიდან. მასში სრული სიცხადით არის გამომუშავებული ის ძირითადი პრინციპი, რომლითაც შეგვიძლია ვიხლომძღვანელოთ ცალკეულ მეცნიერებათა გამიჯენის დროს. თუკი ჩვენ ერთი მეცნიერების ძირითად კანონზომიერებას მეორე მეცნიერებაზე გაავრცელებთ, მაშინ ამ შემთხვევაში ვერ დავსაბუთებთ ვერც ერთი ამ მეცნიერების თავისთავადობას. დამოუკიდებლად არსებობს მეცნიერება მხოლოდ მაშინ, როცა ის

<sup>2</sup> E.Husserl, Logische Untersuchungen, Erste Auf, I, S. 228-234

გამომუშაებს საკუთარ ძირითად კანონზომიერებას.

ახლა ჩვენ შეგვიძლია მიუბრუნდეთ იმ საკითხს, აელენს სახელმწიფო სამართლის მეცნიერება დამოუკიდებელი დისციპლინის ხასიათს, თუ მთელი სახელმწიფოს მოძღვრება სახელმწიფოს სოციალური მოძღვრების ფარგლებშია მოქცეული და მას უნდა მიეკუთვნოს. ამ საკითხის გადაწყვეტა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ფართოდ შეიძლება გამოყენებული იქნეს სახელმწიფოს ცხოვრების სამართლებრივი მხარის შესწავლისათვის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც სახელმძღვანელო სოციალური მეცნიერების კვლევის დროს და ის კანონზომიერება, რომელიც სოციალურ მოვლენებში ხორციელდება.

ისევე, როგორც სახელმწიფოს სოციალური გამოვლინების ფორმები, მისი სამართლებრივი მხარეც მარტივი და ელემენტარული ნიშნებისაგან შედგება. ამიტომაც არის ზემოთ აღბრუნებული საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელი მხოლოდ ძირითად ფენომენტთა ანალიზის, აგრეთვე იმ კანონზომიერებათა მიგნების გზით, რომელიც ამ ფენომენტთა შინაგან სტრუქტურას და ურთიერთმიმართებას განსაზღვრავს... ჩვენ შეუძლებელია აქ შესაბამისი პრობლემის ანალიზი.

## I

სოციალური ცხოვრების ძირითადი ფენომენი გულისხმობს იმ ურთიერთობათა სიმრავლეს, რომლებიც არსებობს საზოგადოების ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. განცალკევებული და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებული ადამიანები ჯერ კიდევ არ ქმნიან საზოგადოებას. ეს უკანასკნელი წარმოიქმნება მხოლოდ იქ, სადაც ცალკეულ პიროვნებებს შორის აღმოცენდება განსაზღვრული ურთიერთობები, რომელთა ერთობლიობა აღინიშნება სოციალური ცხოვრების ცნებით. ამ ურთიერთობათა შინაარსი შეიძლება მრავალმხრივ განსხვავებული ხასიათისა იყოს. ეს განსხვავებულობა შეიძლება გამოჩნდეს სამეურნეო ურთიერთობათა წესში, ან ურთიერთობებში, რომლებიც წარმოიშობა ცალკეულ პიროვნებებს შორის გარეგნული რელიგიური კულტისადმი მათი კუთვნილების გამო, გარკვეულ სოციალურ კლასებს, ხელოვნურად შექმნილ კავშირებს /რომლებიც ამა თუ იმ მატერიალურ თუ სულიერ ინტერესებს აკმაყოფილებენ/ და ა.შ. შორის. ეს სოციალური ცხოვრების შინაარსობრივად განცალკევებული ფენები, რომელთაგან თითოეული მათგანი სპეციფიკურ კანონზომიერებას ემორჩილება, ქმნიან საგანს სხვადასხვა მეცნიერებისა /სახალხო მეურნეობის მოძღვრება, კულტურის ისტორია, ზოგადი და ეროვნული ისტორია და ა.შ./, რომლებიც მთლიანობაში სოციალურ მეცნიერებათა ცნებით შეიძლება აღინიშნოს. ამ მეცნიერებათა შორის სოციალური ცხოვრების შესწავლა თავისი შინაარსობრივი თავისებურებების თვალსაზრისით მთლიანად და სრულიად არის დანაწილებული.

აქედან ნათელია, რომ სოციოლოგიამ, რომლის ობიექტია ადამიანის სოციალური ცხოვრება, ეს ობიექტი უნდა განიხილოს განსხვავებული კუთხით, თუკი სურს შეინარჩუნოს დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის ხასიათი. სოციოლოგიას მხოლოდ მაშინ შეუძლია დაასაბუთოს თავისი დამოუკიდებლობა, თუკი იგი სოციალური მოვლენების შესწავლას კი არ დაიწყებს, არამედ გამოიყენებს ამ მოვლენათა ძირითად ფორმებს, "რომლებშიც მიმდინარეობს ადამიანთა ურთიერთობანი... ამ მოვლენათა მატერიალური შინაარსისაგან აბსტრაქტიზებულია"<sup>3</sup>. "სოციოლოგიის აზრი", ამრიგად, არის ის, რომ "დაადგინოს ადამიანთა ურთიერთობების ფორმები და სახეები, რომლებიც სრულიად სხვადასხვა შინაარსს, მატერიასა და ინტერესს – ეკონომიკურსა და საეკლესიოს, საურთიერთოსა და პედაგოგიურს, ინტიმურსა და პოლიტიკურს – ფორმალურად, ანალოგიურ სოციალურ სურათს გამოხატავს"<sup>4</sup> მაგრამ ეს ფორმები არ წარმოადგენენ რაღაც უძრავს სოციალურ სინამდვილეში, არამედ ისინი ცოცხალი ფორმებია, რომლებიც მუდმივ მოძრაობასა და ცვალებადობაში არიან და ერთმანეთთან გარკვეულ კავშირში იმყოფებიან. ძირითადი კანონზომიერება, რომელშიც მათი განხორციელების ძირითადი ფორმები ერთმანეთს უკავშირდებიან, არის კულტურის კანონი. აქედან ადვილი გასაკვებაა, რომ კულტურული ახსნის პრინციპი ქმნის მთავარ წინამძღვარს, რომელზედაც შეიძლება აიგოს სოციალური შემეცნება.

<sup>3</sup> Soziologie der Über und Unterordnung, Arch. für Sozialwissenschaft und Sozialpolitik, 1907, Bd. XXIV, S. 477. გამოიქმა "ფორმა" და "შინაარსი" აღნიშნავს აქ როგორც სწორად შენიშნავს ზიმელი მხოლოდ შედარებას, რათა შეარბილოს წინააღმდეგობა განსხვავებულ ელემენტებს შორის. ნახე ზიმელი, Soziologie, 1903, S. 5.

<sup>4</sup> Soziologie der Über und Unterordnung, Arch. f. Soz. wissenschaft, S. 477, Bd. XXIV, Soziologie, S. 7 f.f.

ყველაზე ელემენტარულ სოციალურ მოვლენას წარმოადგენს ურთიერთობა ორ პიროვნებას შორის. სოციალური ცხოვრების ამ ელემენტარული ფორმების სოციოლოგიური ანალიზის საბოლოო მიზანი გამოიხატება იმ კაუზალურ ერთიანობაში /der kausalen Verknüpfung/, რომლითაც ურთიერთობის ცალკეული ელემენტები ერთმანეთს უკავშირდებიან. ამას, ბუნებრივია, წინ უნდა უძღოდეს ურთიერთობის ელემენტების ზუსტი აღწერა. მაგრამ აქ აღწერა არ გვეკლინება სოციალური შემეცნების ჯაჭვის საბოლოო რეოლად, არამედ ის მხოლოდ მისი მოსამზადებელი საფეხურია. კაუზალური ახსნის პრინციპით განისაზღვრება სრულყოფილი სოციოლოგიური შემეცნება ისევე, როგორც ინდივიდთა ურთიერთობის დროს წარმოშობილი განცდების გამოკვლევა /განცდები, რომლებიც ან უკვე არსებული ურთიერთობებიდან წარმოსდგებიან ანდა მხოლოდ ამ ურთიერთობის წარმოქმნას უწყობენ ხელს/, აგრეთვე ობიექტურად, ესე იგი ამ ინდივიდებისაგან დამოუკიდებლად მოცემული ფაქტები, რომლებიც აქ ასე თუ ისე ზორციელდებიან ან ურთიერთობათა ცვლილებაზე ახდენენ ზემოქმედებას. კაუზალური კავშირების ასეთი ელემენტარული ფორმების დადგენის საფუძველზე ვიღებთ ჩვენ იმ კანონზომიერი ურთიერთობების საფუძვლისა და ამავე დროს საყოველთაო ფორმების ცოდნას, რომელთა შემდგომ გადახლართვას პარალელურად მოსდევს სოციალური ცხოვრების გართულება.

ამ დასკვნის შემდეგ უნდა აეხსნათ ჩვენ, თუ რამდენად ფართოდ შეიძლება გამოყენებული იქნეს სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ზემოთ სოციოლოგიური შემეცნებისათვის აღწერეთ და რამდენად მსჭვალავს სოციალური მოვლენების სფეროში გაბატონებული ძირითადი კანონზომიერება აგრეთვე იმ ფენომენებს, რომლებიც ქმნიან სახელმწიფოს სამართლებრივ არსს. ისევე, როგორც სოციოლოგიის საგნის და იმ ძირითადი პრინციპების ახსნისას, რომელთა მეოხებით ის თავისი მასალის მეცნიერული დამუშავების ამოცანას წყვეტს, ამოსავალ პუნქტად მივიჩნით ყველაზე უფრო ელემენტარული სოციალური მოვლენების ანალიზი, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების მიმართაც, როცა გვინდა განვსაზღვროთ მისი საგანი, ყურადღება უნდა გავამახვილოთ სწორედ იმ ყველაზე მარტივ ელემენტებზე, რომელთაგან სახელმწიფო სამართლის რთული შენობაა აგებული. ამ გზით შევექმნით ჩვენ ხელსაყრელ პირობებს ამ მეცნიერებათა შედარებისთვის, ვინაიდან შედარებისათვის გამოვყოფთ იმ ელემენტებს, რომლებსაც თანაბარი ადგილი უკავიათ ამ მეცნიერებათა მთლიან სისტემაში.

ფართოდ არის გავრცელებული ის აზრი, რომ სამართლის ნორმა მიჩნეული უნდა იქნეს პირველ და ყველაზე მარტივ შემადგენელ ნაწილად ყოველი სამართლებრივი დისციპლინისა საზოგადოდ და მათ შორის სახელმწიფო სამართლის მეცნიერებისაც.

ამით თავისთავად გასაგები ჩანს ის, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნის დეფინიცია უნდა დაეწიფოთ სამართლის ნორმის ანალიზით. ჩვენ აქ მაინც არ გვინდა ამ გზით წასვლა შემდეგი საფუძვლების გამო: სამართლის ნორმა როგორც აბსტრაქტული წესი, რომელიც საზოგადოდ ადამიანთა ურთიერთობის ფორმას გამოხატავს /სახელდობრ, არა ამ ურთიერთობათა კაუზალური შეკავშირების თეალსაზრისით, არამედ სამართლებრივი ნორმის მეოხებით მათი რეგულირების აზრით, არ შეიძლება კორელაციური იყოს უმარტივესი სოციალური ურთიერთობის

ცნებისა, რომლის ანალიზი ჩვენ ზემოთ მივიჩინეთ ამოსავალ პუნქტად სოციალურ მეცნიერებათა შემეცნების ძირითადი პრინციპების ახსნისათვის, არამედ, პირიქით, იგი კორელაციური უნდა იყოს კანონის ცნებისა, რომელიც კაუზალურად განსაზღვრავს ადამიანთა სოციალური ურთიერთობების ფორმას.

მსგავსად იმისა, რომ ყოველი სოციალური ურთიერთობა გვევლინება როგორც კონკრეტული მოქმედება, როგორც ინდივიდური “განხორციელება” ამ კაუზალობის კანონისა, სახელმწიფო სამართლის სფეროშიც ანალოგიურ წანამძღვრად გვევლინება სახელმწიფოში მოქმედი მართლწესრიგის ასეთივე “კონკრეტული” არსებობა. აქედან გამომდინარეობს ის, რომ უპირველეს ყოვლისა, ჩვენ აბსტრაქტული სამართლის ნორმაზე კი არა, იმ ურთიერთობებზე უნდა შევჩერდეთ, რომლებშიც სამართლებრივი ნორმა თავის კონკრეტულ “განხორციელებას” ნახულობს. ეს ურთიერთობები სამართლის მეცნიერებაში სამართლებრივი ურთიერთობის ცნებით აღინიშნება.

ამის შესაბამისად პირველი საკითხი, რომელიც აქ უნდა დაისვას, არის სამართლებრივი ურთიერთობისა და მისი შემადგენელი ნაწილების საკითხი, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტით უნდა მოვიპოვოთ ჩვენ სწორი ამოსავალი პოზიცია სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ძირითადი პრინციპების ახსნისათვის.

§2. სამართლებრივი ურთიერთობის ჩვეულებრივი, ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული ცნება ჩვენ მოკლედ ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: სამართლებრივი ურთიერთობა არის ყოველი ცხოვრებისეული კავშირი, თუკი ის სამართლის ნორმით არის განსაზღვრული /Rechtsnorm bestimmt/.<sup>5</sup> ასეთი განსაზღვრება თავისთავად სამართლებრივი ურთიერთობის წმინდა გარეგან აღწერილობად გვევლინება; ის არ შეიცავს თავის თავში არც იმ სხვადასხვა ელემენტების აღნიშვნას, რომლებიც ჩვენ სამართლებრივ ურთიერთობებში შეიძლება აღმოვაჩინოთ, არც ხსნის იმ ძირითად კანონზომიერებას, რომელიც ამ ელემენტების არსებობას და შინაგან დაკავშირებას ემსახურება. ამ საკითხს ყურადღება მიაქცია Savigny-მ.

თავის ნაშრომში “თანამედროვე რომაული სამართლის სისტემა” განსაზღვრა მან ყოველი ცალკეული სამართლებრივი ურთიერთობა “როგორც კავშირი პიროვნებას და პიროვნებას შორის, რომელიც სამართლებრივი წესით განისაზღვრება. ეს განსაზღვრა სამართლებრივი წესის მეოხებით – განაგრძობს იგი – იმით გამოიხატება, რომ ინდივიდურ ნებას მიეჩინება სფერო /ein Gebiet angewiesen ist/, სადაც მას სხვა უცხო ნებისაგან დამოუკიდებლად შეუძლია იბატონოს. ამის მიხედვით ყოველ სამართლებრივ ურთიერთობაში ორი მომენტი შეიძლება განვასხვაოთ: პირველადი მასალა, ესე იგი ურთიერთობა თავისთავად, და მეორედ, კი სამართლებრივი განსაზღვრა ამ მასალისა. პირველი მომენტი შეგვიძლია ჩვენ აღვნიშნოთ, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მატერიალური ელემენტი ან როგორც მასში არსებული შიშველი

<sup>5</sup> შვალ., Veuner, Wesen und Arten der Privatrechtsverhältnisse, erste Aufl. S. 4 ff.; Windscheid, Lehrbuch des Pandektenrechts, 4-te Aufl. I, S. 93; Derburg, Pandekten, erste Aufl., I, S. 88. Endemann, Lehrbuch des Bürgerlichen Rechts, 6-te Aufl., I, S. 27; Regelsberger, Pandekten, I, S. 248 Stobbe, Handbuch des Deutschen Privatrechts, 3-te Aufl. I, S. 289, Hölder, Natürliche und juristische Personen, S. 157ff.; Jellinek, System der subjektiven öffentlichen Rechten, 2-te Aufl. S. 41.

ფაქტი; მეორე იქნება მისი ფორმალური ელემენტი, ესე იგი ის, რომლის მეოხებითაც ფაქტიური ურთიერთობა სამართლის ფორმად გარდაიქმნება”<sup>6</sup>.

ჩვენ აქ შეგვიძლია გვერდი აუუაროთ საეინის მტკიცებას: სამართლებრივი რეგულირების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ სამართლებრივი სფეროს გამიჯვნა აუცილებელია ცალკეული ინდივიდური ნებისაგან. ქვემოთ ჩვენ გვექნება შესაძლებლობა ამ მტკიცების ირგვლივ ვიმსჯელოთ. ამჟამად კი უნდა შევჩერდეთ იმ ცალკეულ მომენტებზე, რომლებიც საეინიმ სამართლებრივ ურთიერთობაში აღმოაჩინა. ეს უკანასკნელი, საეინის თვალსაზრისით, როგორც ჩვენ ვნახეთ, თავის თავში შეიცავს ორ განსხვავებულ მომენტს, სახელდობრ, ერთი მხრივ, მასალას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შიშველ ურთიერთობას თავისთავად, რომელიც აგრეთვე შეიძლება აღენიშნოთ როგორც შიშველი ფაქტი სამართლებრივი ურთიერთობისა და, მეორე მხრივ, სამართლებრივ განსაზღვრას ამ მასალისა. მთელ ამ მსჯელობაში ჩვენი მიზნისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოდ იმის დადგენა, თუ როგორ უნდა გავიგოთ ურთიერთდამოკიდებულება ამ ორი სამართლებრივ ურთიერთობაში მოცემული მხარისა. თვითონ საეინის იდეა, ჩანს, იქით იხრებოდა, რომ ორივე ეს მხარე გამოხატავს ერთიანი რეალური პროცესის აბსტრაქტულად გათიშულ მომენტებს. ყოველ შემთხვევაში. ასეთ დასკვნამდე მივყავართ მის მსჯელობას ზემოთ დასახელებული ნაშრომის მე-7 გვერდზე. იქ, სადაც სამართლებრივი ურთიერთობის ცნებაზე მსჯელობს, იგი პირდაპირ ამბობს, რომ ცალკეული უფლებები /die einzelnen Rechte (im subjektiven Sinne)/ ქმნიან “აბსტრაქტულად გათიშულ განსხვავებულ მხარეებს”. და თუ ჩვენ გავაცნობიერებთ იმას, რომ სამართლებრივი კატეგორიები საზოგადოდ მხოლოდ უფლების ფორმით / შესაბამისად მოვალეობის/ შეიძლება შეგვხვდეს სამართლებრივ ურთიერთობაში, მაშინ აუცილებლობით გამომდინარეობს: საეინის თვალსაზრისის მიხედვით, ყოველი ფორმალური მომენტი, რომლის მეშვეობით “ფაქტიური ურთიერთობა სამართლებრივ ფორმად გარდაიქმნება”, თვითონ როგორც რაღაც ფაქტიური, ესე იგი სამართლებრივ ურთიერთობაში /ფაქტიური ურთიერთობის აზრით/ რეალურად ჩართულად უნდა განვიხილოთ. ამაზე მიუთითებს აგრეთვე არაპირდაპირ საეინის მსჯელობა, სადაც იგი სამართლებრივი ურთიერთობის ორგანულ ხასიათს განსაკუთრებით აღნიშნავს, რომელიც გამოხატავს “თავის ურთიერთგანმსაზღვრ-რელ და ურთიერთგანმაპირობებელ შემადგენელ ნაწილთა კავშირებს”.

ამ მტკიცებათა ლოგიკურ უსუსურობაზე არაერთხელ იყო მითითებული სამართლებრივ ლიტერატურაში. ასე, მაგალითად, ბირლინგი აღნიშნავდა, რომ “ცხოვრებისეული ურთიერთობა, რომელსაც ჯერ კიდევ აკლია ფორმა, ვთქვათ, საზოგადოდ დამოკიდებულება ან ურთიერთობა, რომელიც შიშველი მასალა იქნებოდა რაღაც სხვისთვის, არა მარტო უცხოა სინამდვილისათვის, არამედ სრულიად მიუღწეველიც. მიუხედავად საეინისეული შედარებისა, თუკი ჩვენ გვინდა მხარის დაჭერა სამართლებრივი ურთიერთობის ორივე ელემენტის თვალსაზრისისათვის, აუცილებელია ამავე დროს მხედველობაში მივიღოთ, რომ პირველი ელემენტი საზოგადოდ ჯერ კიდევ სრულიად არ არის ურთიერთობა, არამედ იგი რაღაც სხვა არის. და თუკი შევეცდებით ასეთ “რაღაც” ნათელი გავხადოთ, აუცილებელია უბრალოდ შევნიშნოთ,

<sup>6</sup> v.Savigny, System, I, S. 333, Berlin, 1840.

სამართლებრივი ურთიერთობის პირველი ელემენტის თვალსაზრისით ამ ურთიერთობის მიზნისა და შინაარსის აღრევაზეა დაფუძნებული<sup>7</sup>. ეს შენიშვნები საზოგადოდ სწორია და ზუსტად ხედება მიზანს; ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ყოველ ცხოვრებისეულ ურთიერთობას თვითონ უნდა ჰქონდეს იმანენტური ფორმა, რათა საზოგადოდ განხორციელდეს. მაგრამ ეს მაინც არ არის ის ადგილი, საიდანაც ჩვენ საეინის თვალსაზრისის კრიტიკა უნდა დაეიწყოს.

სანამ აქ სიმძიმის ცენტრს იმ ურთიერთობის ხასიათზე გადავიტანდეთ, რომელიც არსებობს სამართლებრივ კატეგორიებსა და სამართლებრივი ურთიერთობის ფაქტიურ ელემენტებს შორის, ჩვენი განხილვის საგნად უნდა ვაქციოთ საეინის თვალსაზრისის სხვა მხარეები.

ზემოთ ჩვენ გაკვრით აღვნიშნეთ, რომ სწორედ სამართლებრივ ურთიერთობაში ცხოვრება და სამართალი ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან; აქედან გასაგებია, რომ უმცირესი უზუსტობაც კი ამ პუნქტში შეიძლება გახდეს როგორც საკუთრივ სამართლის, ისე სოციალურ მოვლენათა არსის არასწორი გაგების წყარო.

როგორ უნდა მივუღვეთ ამ მხრივ საეინის თვალსაზრისს? ჩვენ უკვე ვნახეთ რომ მისთვის სამართლებრივი ფორმა სამართლებრივ ურთიერთობაში ფაქტიური შინაარსის, როგორც რეალურად არსებული მომენტის, გვერდით გვევლინება.

ასეთი განსაზღვრა ურთიერთობისა სამართლისა და ფაქტიურ კატეგორიებს შორის სამართლებრივ ურთიერთობებში იწვევს უმნიშვნელოვანეს შედეგებს მთელი სამართლის მეცნიერებისათვის; აქედან ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობს დასკვნა, რომ სამართალი სოციალურ მოვლენათა რეალური შემადგენელი ნაწილია და იგი ემორჩილება იმ კანონზომიერებას, რომელიც საზოგადოდ სოციალურ სამყაროს განსაზღვრავს. ასეთი დასკვნის საფუძველზე, რომ სამართლის მეცნიერების დამოუკიდებლობა მთლიანად და სავსებით ქრება, ამაზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

სირთულე, რომელიც სამართლის მეცნიერებისათვის ასეთი შეხედულებიდან გამომდინარეობს, იმეიათი სიცხადით არის შეცნობილი. ეს სირთულე მაშინაც არ აღმოიფხვრება, თუკი ჩვენ, სოციოლოგიურის ნაცვლად, სამართლის პრობლემების ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განხილვას შევუდგებით. თითქმის უმრავლესობას იურისტებისა სჯერა, რომ სწორედ ამ საფუძველზე შეიძლება აიგოს სამართლის მეცნიერების დამოუკიდებლობა. მაგრამ მათ შორის ზოგიერთებს, რომლებსაც აეჭვებთ ფსიქოლოგიის ცნობილი სულიერი მოვლენების გამოყენების შესაძლებლობა სამართლის მეცნიერებისათვის შემუშავებული აქეთ ახალი, მეცნიერებისათვის უცნობი ფენომენები სულიერი ცხოვრებისა; სამწუხაროდ, მეცნიერულ ფსიქოლოგიას ამ ad hoc აღმოჩენილი ფსიქიკური მოვლენების არსებობა არ დაუდასტურებია. გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც იმ კონკრეტულ ფორმას კი არ უნდა მივანიჭოთ. რომელშიც "ფსიქოლოგიზმი" ვლინდება, არამედ იმ პრინციპულ საკითხს, რომელიც ზემოთ სოციოლოგიზმის მიმართ იყო დასმული, კერძოდ, ის, თუ როგორ შევძლებთ სამართლის მეცნიერების

<sup>7</sup> Bierling, Zur Kritik der juristischen Grundbegriffe, II, S. 136 (1-te Aufl.).



თავისთავადობის დასაბუთებას, თუკი შეეუდგებით მტკიცებას, რომ სამართალი ფსიქიკურ მოვლენათა სფეროს მიეკუთვნება და, როგორც ზემოთ, აქაც ამ კითხვაზე გადაჭრით უნდა გავცეთ უარყოფითი პასუხი.

არ შეიძლება რაიმე ეჭვს იწვევდეს, რომ ფსიქოლოგია არის რეალური მოვლენების მეცნიერება, რომლის საგანია მთელი ფსიქიკური სამყარო თავისი შინაგანი მრავალფეროვნებით.

აქედან გამომდინარეობს, რომ სამართალი უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე შიშველი ფსიქიკური ფაქტი, რათა შექმნას დამოუკიდებელი მეცნიერების ობიექტი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ მხოლოდ ფსიქოლოგიის ცოდნის უდავო სფერო და სამართალცოდნეობის დამოუკიდებელი არსებობა ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა. მაგრამ ზოგი აეტორი ისე, რომ არც კი აღნიშნავს ამ სირთულეს, ცდილობს სამართლის მეცნიერება ააგოს სამართლის არსის ფსიქოლოგიური გაგების საფუძველზე. აქედან აუცილებელი შედეგის სახით წარმოსდგება სრული მიჩქმალვა წმინდა სამართლებრივი პრობლემებისა და თეორიის პრინციპების აშკარა შეუთანხმებლობა სამართლის ცალკეული საკითხების ანალიზთან. ყველაზე უფრო ნათელ მაგალითს ამისათვის იძლევა ბირლინგის თეორია. ჩვენ საგანგებოდ შეეხებით ამ აეტორს, რათა ნათელვყოთ ზემოთ აღნიშნული უსუსურობა სამართლის პრობლემების წმინდა ფსიქოლოგიური განხილვისა.

§3. თავის ძირითად ნაშრომს – Die juristische Prinzipienlehre – ბირლინგი იწყებს იმის განსაზღვრებით, თუ რას წარმოადგენს სამართალი; ამ ცნებაში მას ესმის ყოველივე ის, “რასაც ადამიანები, რომლებიც რომელიმე საზოგადოებაში ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ, ამ ერთად ცხოვრების ნორმასა და წესს ერთობლივად აღიარებენ”. ამ განსაზღვრებაში ბირლინგი ნახულობს სამგვარი ჭეშმარიტების გამოხატულებას: 1. რომ ყოველი სამართლის მიზანი “ერთი ადამიანის მეორე ადამიანისადმი მიმართული განსაზღვრული გარეგნული ქცევა” არის; 2. რომ საშუალება ამ მიზნის მიღწევისათვის ის ნორმა ან იმპერატივია, რომელიც მიმართულია ადამიანის ნების მიმართ; 3. რომ “ყველა სხვა სახის ნორმებისაგან სამართლის ნორმა განსხვავდება... მხოლოდ იმით, რომ ზემოთ მოხსენიებული მიზნის განსაზღვრით, ესე იგი როგორც გარეგნული ქცევის ნორმა და წესი აღიარებული უნდა იქნეს ადამიანთა გარკვეული წრის შიგნით. სახელდობრ, ამ წრის კუთვნილი ადამიანების მიერ, როგორც ამხანაგის მიერ ამხანაგის მიმართ”.<sup>8</sup>

ყველა ამ მსჯელობაში ჩვენ ვერ კიდევ ვერ ვხედავთ მითითებას სამართლის წმინდა ფსიქოლოგიურ ბუნებაზე. აღიარების ცნება – ესე იგი ის ფსიქოლოგიური ელემენტი, რომელსაც ჩვენ ამ განსაზღვრებაში ვხედებით – აუცილებლობით უძღვის წინ უკვე მისსავე სეპარატიულ არსებობას, რაც აღიარებული უნდა იქნეს; ეს ელინდება, ამრიგად, აშკარად როგორც ფორმა ჩვენი ურთიერთობებისა გარკვეული საგნების მიმართ, თუმცა მაინც არ წარმოადგენს თვითონ საგანს. ეს განსხვავება არ დარჩენილა დაფარული ბირლინგისათვის, ის აგრეთვე მიჯნავს ერთმანეთისაგან

<sup>8</sup> Juristische Prinzipienlehre, 1894, I S. 19.

თვითონ აღიარებასა და აღიარებულს; უკანასკნელად ელნიდება, მისი მიხედვით, ადამიანთა გარეგნული ქცევის ნორმები და წესები.

ბირლინგის ფსიქოლოგიაში იწყება მხოლოდ მაშინ, როცა ის ცდილობს შეიმუშაოს ნორმის ცნების განსაზღვრება.

“რა არის ნორმა?” კითხულობს ის და პასუხობს ასე: “ნორმა არის გამოხატულება ნებისა, რომელიც თავის განხორციელებას სხვისგან ელის.”<sup>9</sup>

ამ სიტყვებით უკვე გამოხატულია სამართლის ფენომენის ბუნების ფსიქოლოგიური გაგებისაკენ გადახრა; არა მარტო აღიარება როგორც სულიერი განცდა, არამედ აგრეთვე ის, რაც ამ განცდაში არის მოცემული, ესე იგი სამართლის ნორმა თვითონ გვევლინება შიშვლად როგორც ურთიერთობა გარკვეული ფსიქიკური მოვლენებისა, ამ შემთხვევაში ნებითი პროცესებისა, აქედან ბირლინგი აუცილებლობით მიდის იმ დასკვნამდე, რომ ცნება /der Begriff des objektiven Rechts/ ობიექტურად და ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული ნორმების ერთობლიობის აზრით გადაჭრით უნდა იქნეს უკუგდებული. მოუუსმინოთ თვითონ ბირლინგს: “ჩვენი ადამიანური გონის საერთო მიდრეკილებას ეთანხმება ის, რომ – წერს იგი ზემოთ ნახსენები ნაშრომის 145-ე გვერდზე – სამართალი, უპირველეს ყოვლისა, გაეიზროთ როგორც რაღაც ობიექტური, ესე იგი თავისთავად არსებული და სამართლის სუბიექტზე მაღლა მდგომი. ამას უჭველად აქვს თავისი პრაქტიკული ღირებულება. მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ეს “ობიექტური სამართალი”, თუნდაც რომ მას წერილობით სამართალში მტკიცე ფორმა ჰქონდეს მოპოვებული, ყოველთვის დარჩება ჩვენი სამართლებრივი შეხედულებების მხოლოდ ფორმად და სამართალს თვითონ სინამდვილეში, როგორც ყოველ სხვა პროდუქტს სულიერი ცხოვრებისა, თავისი საკუთარი არსებობა აქვს მხოლოდ სამართლის სუბიექტების სულიერ სამყაროში”<sup>10</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ ნამდვილი და ჭეშმარიტი არსებობა სამართლისა კონკრეტულ სულიერ განცდებში უნდა ვეძებოთ, რომელიც თავის არსებობას ნახულობს ცალკეული ინდივიდის სულიერ ცხოვრებაში. ყოველი სამართალი ამ თვალსაზრისით უნდა გაეიგოთ როგორც ერთობლიობა უფლების და მოვალეობისა, რომლებიც თავის გამოხატულებას სამართლებრივ ურთიერთობაში პოულობს. ამას ნათლად გამოხატავს ბირლინგი, როცა ამბობს: “ყოველი სამართლის ნორმა, როგორც არ უნდა შევეცადოთ ჩვენ ის იმ სუბიექტის ნებისაგან, როგორც ობიექტურად არსებული სამართლისაგან, მოწყვეტილად წარმოვიდგინოთ, რომელიც მას აღიარებს, სინამდვილეში მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს გამოხატავს”.<sup>11</sup>

საბოლოო დასკვნები, რომლებსაც ბირლინგი აკეთებს, ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: რეალურად არსებობენ მხოლოდ ის უფლება და მოვალეობა /die subjektiven Rechte und Pflichten/, რომლებიც სამართლებრივ ურთიერთობაში მოცემული სულიერი განცდების /სახელდობრ, ნებისყოფის განცდები/ გამოხატულებად გვევლინებიან; სამართალი /das objektive Recht/, პირიქით, არის მხოლოდ ხელგონური კონსტრუქცია, რომელიც სრულიად არ ემთხვევა რაღაც რეალობას /რეალობაში ბირლინგი

<sup>9</sup> Ib., S. 27-29.

<sup>10</sup> Ib., S. 145.

<sup>11</sup> Ib., S. 156-157.

გულისხმობს საზოგადოდ ყოფიერებას, აეც./ და მხოლოდ ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია”.<sup>12</sup> ადვილად შეიძლება წარმოედგინოთ, რომ ასეთი დასკვნების გაკეთების შემდეგ ბირლინგის მთავარი ინტერესი მიმართული უნდა იყოს სამართლებრივი ურთიერთობის არსის დაწვრილებითი გამოკვლევისაკენ. ჩვენ გვინდა ბირლინგის მოძღვრების ამ მხარეს მივაქციოთ ყურადღება, საიდანაც მივაგნებთ ამოსავალ პუნქტს ჩვენს მიერ დასმული საკითხის გარკვევისათვის.

არ შეიძლება ძნელი იყოს იმის ამოცნობა, რომ პრობლემის ისე დაყენებისას, როგორც ჩვენ ზემოთ ბირლინგის მოძღვრებაში ვნახეთ, სამართალსა და ცხოვრებისეულ ურთიერთობას შორის განსხვავების არსებობის საკითხს უარით უნდა ეუქმასუხოთ; თუკი უფლება და მოვალეობა, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობის შინაგან და არსებით შემადგენელ ნაწილს ქმნიან, წარმოდგენილი გვექნება გარკვეული ფსიქიკური პროცესების აზრით, მაშინ აქედან აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა მთლიანად უნდა დაემთხვეს ცხოვრებისეულ ურთიერთობას. ეს ნათლად მტკიცდება ბირლინგის მსჯელობაში, რომელსაც აშკარად საფუძვლად უდევს მხოლოდ ის აზრი, რომ სამართალი და ცხოვრებისეული ურთიერთობა სრულ იდენტურობას გამოხატავენ და არცერთ მათგანს განცალკევებით არსებობა არ შეუძლია.<sup>13</sup> იმისათვის, რათა დაიცვას ამ თვალსაზრისის სისწორე, ბირლინგი საგანგებოდ იხილავს იმ შემთხვევებს, რომლებშიც პირველი შეხედვითაც ელინდება, რომ სამართალი და ცხოვრებისეული კატეგორიები ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ. ცალკეული მაგალითების განხილვის შემდეგ ის მიდის იმ დასკვნამდე, რომ მოჩვენებითი გამონაკლისები მისი თვალსაზრისიდან ყოველგვარი სიძნელის გარეშე შეიძლება აიხსნას.<sup>14</sup>

ამ იდეას სამართლისა და ცხოვრებისეულ ურთიერთობათა ერთარსობისა /Gleichvesenheit/ ბირლინგი გამოთქვამს აგრეთვე იმ კრიტიკაში, რომელიც მიმართული აქვს საეინის წინააღმდეგ ამ საკითხში. როცა ივლევს საეინის დებულებას, რომლის მიხედვით ყოველ სამართლებრივ ურთიერთობაში არსებობს ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ელემენტი, ესე იგი ფაქტიური მასალა და მისი სამართლებრივი რეგულირება, ბირლინგი შენიშნავს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის ის მხარეც, რომელსაც საეინი წმინდა სამართლებრივ კატეგორიად მიიჩნევს, სინამდვილეში მხოლოდ სხვა ფაქტიური ელემენტის გვერდით არსებულ განსაკუთრებულ ფაქტიურ ელემენტს წარმოადგენს. აქედან ბირლინგი აკეთებს დასკვნას, რომ სამართალი... რამდენადაც ის ნამდვილი ანუ პოზიტიური სამართალი არის, იმდენად წარმოადგენს მხოლოდ ფაქტიურის განსაკუთრებულ სფეროს. რასაც ჩვენ მიჩვეული ვართ, რომ როგორც ფაქტი მის საპირისპიროდ წარმოვადგინოთ, ზუსტად რომ ვთქვათ, არის სხვა სახის უმაღლესი ფაქტი”.<sup>15</sup>

§4. ბირლინგის თვალსაზრისის დაწვრილებითი კრიტიკა ჩვენი მიზნისათვის საკვლევლო არ არის; ჩვენი თვალსაზრისიდან გამომდინარე, ჩვენ გვჭირდება

<sup>12</sup> Jb., S. 146.

<sup>13</sup> Zur Kritik der juristischen Grundbegriffe, I, S. 52, 83-84, 86, 87-88, 89, 93.

<sup>14</sup> Juristische Prinzipienlehre, I, S. 189-190.

<sup>15</sup> Kritik, II, S. 135.

მხოლოდ მისი მსჯელობების უმნიშვნელოვანესი მხარეები<sup>16</sup>. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ აქ სრული უსუსურობა ბირლინგის მტკიცებისა, რომ ყოველი ცხოვრებისეული ურთიერთობა ერთსა და იმავე დროს სამართლებრივი ურთიერთობაც უნდა იყოს, რათა საზოგადოდ განხორციელდეს. ამ მტკიცების შეფასებისათვის ჩვენ უპირველესად კიდევ ერთხელ შევადგელობაში უნდა მივიღოთ სამართლებრივი ურთიერთობის ბირლინგისეული თვალსაზრისი. სამართლებრივი ურთიერთობის ცნებას ის განსაზღვრავს, როგორც ზემოთ ვნახეთ, როგორც ურთიერთობას უფლებასა და მოვალეობისა. თანაც მისი აზრით, როგორც პირველი ისე მეორე ელემენტი თავის საფუძველს ნახულობს სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი სუბიექტების მხრივ აღიარების ფაქტში. ასეთი დეფინიციიდან აუცილებლობით გამომდინარეობს, თუკი სამართალსა და საზოგადოებრივ ურთიერთობას შორის გვესურს იგივეობის ნიშანი დავსვათ, მაშინ არსებობა ორივე ზემოთ მოხსენებული ელემენტისა/ესე იგი უფლებებისა და მოვალეობებისა და მათი შესაბამისი აღიარება იმ სუბიექტების მხრივ, რომლებიც საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილენი არიან/, რომლებიც სამართლებრივ ურთიერთობის არსებით და აუცილებელ შემადგენელ ნაწილებს ქმნიან, საზოგადოებრივ ურთიერთობაშიც უნდა იქნეს დადასტურებული.

მაგრამ ადვილად შეიძლება იმის დასაბუთება, რომ ეს სრულიად არ არის ასე; ამის ჩვენება ჩვენ შეგვიძლია იმ შემთხვევების ანალიზის მეოხებით, რომლებსაც ბირლინგი თვითონ იშველიებს მსჯელობის დროს. უკვე მაგალითი სახელმწიფოს მიერ აკრძალული გაერთიანების /Verband/ აღძრავს აქ სერიოზულ ეჭვს, რომ ბირლინგის თვალსაზრისს ამ საკითხში აუცილებლობით მიეყვართ იმ დასკვნამდე, რომ ბანდიტური კავშირები ისეთივე სამართლებრივ ორგანიზაციად უნდა განვიხილოთ, რომელსაც თავისი საკუთარი მართლწესრიგი აქვს. ეს აშკარაა. მაგრამ ეს ისეთივე ცხადია, რომ თუკი სახელმწიფოს გარეშე აღიარებული უფლებები დასაშვებს გაზდის საგანგებო “ყაჩაღების ან ქურდების უფლებათა” არსებობას, მაშინ უნდა არსებობდეს აგრეთვე განსაზღვრული ძირითადი ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ეს სხვადასხვა სახის სამართლებრივი წარმონაქმნები ზუსტად იქნეს ერთმანეთისაგან გამიჯნული. თუკი ურთიერთობა, რომელიც სახელმწიფო სამართლით რეგულირებას ექვემდებარება, შეიძლება აღნიშნული იქნეს სამართლებრივი ურთიერთობის ცნებით, ძნელია უარი ვთქვათ, რომ ის ურთიერთობებიც, რომლებიც ყაჩაღური ბანდის სხვადასხვა წევრებს შორის წარმოიშობა, ასევე არ აღინიშნოს იმავე ცნებით.

ამ განსხვავების დასაბუთებისათვის ბირლინგის მოძღვრებაში ჩვენ ვერ ვნახულობთ ევრაეითარ საფუძველს. მის თეორიას თანმიმდევრულად მიეყვართ ორივე სახის ურთიერთობის სრულ იგივეობამდე, რომლითაც მას თავისთავად გასაგებია საკუთარი მოძღვრება *reductio ad absurdum*-დე დაჰყავს. მაგრამ კიდევ უფრო დიდი სიცხადით მტკიცდება ბირლინგის თვალსაზრისის /სამართლის და საზოგადოებრივი ურთიერთობის იდენტურობის შესახებ/ უსუსურობა ეგრეთ წოდებული დელიქტური ურთიერთობის მაგალითებით.

ეს უკანასკნელი ანსხეულებს საეხებით ყველა მნიშვნელოვან და აუცილებელ მომენტს

<sup>16</sup> ბირლინგის თვალსაზრისის კრიტიკისათვის ამ ქუჩქში ნახ. აგრეთვე Roguin, *Da regle de droit*, p. 94; *Regelsberger Pandekten*, I, S. 5.

საზოგადოებრივი ურთიერთობისა საზოგადოდ ისე, რომ არაფერს საეჭვოდ არ ხდის. ბირლინგის მიერ მოტანილი არგუმენტი, პირიქით, სახელდობრ, ამ ურთიერთობათა არახანგრძლივ ხასიათზე მითითება/ არ არის დამაჯერებელი. ჯერ ერთი, ვინაიდან ყველა სახეს დელიქტური ურთიერთობისა როდი აქვს არახანგრძლივი ხასიათი; და მეორეც, დიდი ან მცირე ხანგრძლივობის ნიშანი საზოგადოებრივი ურთიერთობის განსაზღვრისათვის უკვე თავისთავად უვარგისია და სწორედ იმიტომაც, ვინაიდან ეს სრულიად განუსაზღვრელია. ასეთი ბუნდოანი და თავისი შინაარსის მიხედვით განუსაზღვრელი ნიშნებით არ შეიძლება განხორციელდეს მეცნიერული ანალიზი მოვლენებისა, ამიტომაც სრულიად დაუსაბუთებელი იქნებოდა, რომ დელიქტური ურთიერთობა არ მიგვეკუთვნებინა საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის, მაგრამ ამავე დროს ის არ შეიძლება ჩაგვეთვალა სამართლებრივ ურთიერთობად ბირლინგის თვალსაზრისიდან გამომდინარეც კი. და ეს იმიტომაც არის ასე, რომ ხსენებული ურთიერთობა არ შეიცავს სამართლებრივი ურთიერთობის ძირითად ელემენტებს ბირლინგის მიერ მითითებული აზრით. მათ აკლია სახელდობრ, ორმხრივი აღიარება სამართლებრივი პრეტენზიისა და სამართლებრივი მოვალეობებისა იმ სუბიექტების მხრივ, რომლებიც ურთიერთობაში მონაწილეობენ. ამ სახით ხდება იმ სოციალური ურთიერთობების მთელი კლასის არსებობის დასაბუთება, რომლებსაც სამართლებრივი ელემენტების რაღაც ურთიერთობა აკლია<sup>17</sup>.

აქედან აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ ეს უკანასკნელი /ესე იგი ეს ელემენტები/ არ ქმნიან საზოგადოებრივი ურთიერთობების რეალურ შემადგენელ ნაწილს და ამიტომაც სამართლებრივი ურთიერთობა არ გამოხატავს შიშველ საზოგადოებრივ ურთიერთობას.

ბირლინგი რომ თვითონ ყოველთვის რჩებოდა ამ თვალსაზრისზე ცალკეული საკითხების ანალიზის დროს, ადვილად შეიძლება დაეამტკიცოთ მისი გამოცხადების სხვადასხვა ადგილების შედარების მეოხებით.

ჩვენ უკვე მოვიტანეთ ადგილები "der juristischen Prinzipienlehre"-დან, სადაც ბირლინგი საკინის საყვედურობს, რომ მისი მოძღვრების თანახმად ყოველ სამართლებრივ ურთიერთობაში სამართლებრივი რეგულირება და ფაქტიური შინაარსი საკმარისი საფუძვლის გარეშეა დანაწევრებული. თვითონ იგი ამ ელემენტებიდან პირველს ისევე მიიჩნევს ფაქტიურ ელემენტებად, როგორც მეორეს. თითქმის ასეთივე აზრია გამოხატული მის ნაშრომში "Kritik der juristische Grundbegriffe"<sup>18</sup>.

გამოდის, რომ ასეთი ამოსავალი პოზიციიდან წმინდა კაუზალური დამუშავების მეთოდი სამართლის საკითხებისა, კერძოდ, იმ საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებული არიან სამართლებრივი ურთიერთობის წარმოქმნასა და არსებობასთან, გარდაუვალია, სახელდობრ, ვინაიდან, თუკი ის, "რაც გარკვეულ ნორმებს სამართლებრივ ნორმებად და შესაბამისად პრეტენზიებსა და მოვალეობებს სამართლებრივად ხდის, – საზოგადოების წევრების მხრიდან აღიარება – აშკარა ფაქტია ისევე, როგორც სხვა ფაქტი სულიერი ცხოვრებისა", თუკი, ამრიგად, ყოველი სამართალი, რამდენადაც

<sup>17</sup> შეიძლება აგრეთვე დავასახელოთ საწინააღმდეგო მოვლენა, სადაც სამართლებრივი ურთიერთობა არ არის რეალურად არსებული ურთიერთობა ცალკეულ პირიქნებათა შორის /ნახ. ვინდმალი. პანდექტი, I, გვ. 93/.

<sup>18</sup> S. II, S. 135.

ის მოქმედი სამართალია, “ყოველთვის არის ფაქტიურის განსაკუთრებული სფერო”<sup>19</sup>. მაშინ აქედან გამომდინარეობს, რომ “ფაქტიურის” ამ სფეროს გამოვეყენების დროს ისეთივე მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული, რომლებსაც იყენებს მეცნიერება სხვა “სულიერი ცხოვრების ფაქტების” დამუშავებისას, ესე იგი გამოვეყენების კაუზალური მეთოდი. მაგრამ ბირლინგი “Zur Kritik juristischen Grundbegriffe”-ს იმავე მეორე ტომის სხვა ადგილას გამოთქვამს სრულიად წინააღმდეგობრივ აზრს. როცა ბუნების კანონებსა და სამართლის კანონებს შორის არსებული ანალოგიის ციტელმანისეულ თეზისს აკრიტიკებს, იგი დაასკვნის: “მაშინ, როცა ბუნების კანონები იდეალური კი არა, სინამდვილის სფეროში მოქმედებენ, ესე იგი რეალური საგნების მოქმედებას გამოხატავენ... სამართალი არასოდეს არ გამოხატავს სუბიექტთა რეალურ ქცევებს ერთმანეთის მიმართ.

პირიქით, თუკი დამოკიდებულება უფლებასა და მოვალეობას შორის თავისთავად, როგორც ეს სამართლის ნორმაში არც გვხვდება და არც გამოხატულია, მათგან ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობს წმინდა იდეალური, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, როგორც ურთიერთობა ლოგიკური კორელაციისა ზემოთ განხილული იმ შესაბამისი სუბიექტების გონით მიმართულებასთან,<sup>20</sup> რომლებთანაც ნამდვილი ქცევა /das wirkliche Verhalten/, ესე იგი მათივე ფაქტიური სურვილი და მოქმედება ხშირად საკმაო წინააღმდეგობაში ექცევა”<sup>21</sup>.

ამრიგად, მე ეს ასე მეჩვენება და მეტი დამაჯერებლობისათვის ხაზს ეუსვამ – ისევე უნებართვოდ როგორც უმიზნოდ, რომ “სამართლებრივი კანონების” არსი /Wesen/ ბუნების კანონებიდან უნდა აიხსნას და რამდენიმე გვერდის შემდეგ: “თუ ახლა გაიზიარებთ რომ... კაუზალური კანონების გამოძებნა მყარ საფუძველს უქმნის ბუნებისმეცნიერების საბოლოო და უზენაეს მიზანს, რომელიც მასში უნდა ხედავდეს თავის წილად რეალური საგნების არსს, მაშინ აქ კვლავ გამოამჟღავნება ღრმა და აუცილებელი წინააღმდეგობა ბუნების კანონსა და სამართლებრივ კანონს შორის”<sup>22</sup>.

ამრიგად, აქ მოტანილ ადგილებში უარყოფილია ყოველგვარი იდეა ბუნების კანონსა და სამართლებრივ კანონს შორის არსებული ანალოგიისა ისევე, როგორც საერთოდ სამართლის, კერძოდ, კი სამართლებრივი ურთიერთობის კაუზალური კვლევის შესაძლებლობა, თუმცა სამართლებრივი ურთიერთობის ასეთი კაუზალური კვლევა ამ ურთიერთობის ფაქტიური ბუნების ბირლინგისეული ძირითადი შეხედულებებიდან გარდუვალად გამომდინარეობს.

მეტად ფაქიზი, მაგრამ, ჩვენი აზრით, არამყარი გამიჯვნა, რომელსაც იგი აკეთებს გონით მიმართულებასა, ესე იგი, ერთი მხრივ, სამართლის სუბიექტების “მუდმივ

<sup>19</sup> S, Jb. 135.

<sup>20</sup> აქ იგულისხმება 267 გვერდზე /Kritik.II/ გადმოცემული დებულება, სადაც ბირლინგი ამბობს: “შე აღინიშნავი, რომ სამართალი როდია რაღაც, უპირველეს ყოვლისა, სამართლის სუბიექტებზე მალა მღვობი, არამედ თავისი არსის მიხედვით საესებით რაღაც შინაგანი, რომელშიც მათი შინაგანი სიყოფილე დაეინახოთ... აქედან უკვე უნდა შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი ნორმები, როგორც მათი იურისპრუდენცია აყალიბდნენ, თავისი ღრმა საუბუქლით გამოხატავენ გარკვეულ მუდმივ სიდიდეს /constanten/, გონით ქვეყას, საუთიოე გონით მიმართულებას სამართლის სუბიექტებისა”.

<sup>21</sup> II, 270.

<sup>22</sup> Jb. II, 276 ნახეთ აგრეთვე S. S. 266-268, 274, 309.

გონით ქცევებსა” /“constanten geistigen Verhalten”/, და, მეორე მხრივ, სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა ურთიერთდამოკიდებულებას შორის არ შევლის ბირლინგს თავი დაიხსნას ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობისაკენ. უნდა ითქვას, რომ ბირლინგის აზრები ამ ადგილას არ არის საკმარის ნათელი, მაგრამ ყველაფერ იმას, რასაც იგი “Zur Kritik”-ის მეორე ტომის 267-270-ე გვერდებზე ამბობს, თვალნათლივ მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ “ფაქტიურის განსაკუთრებული სფეროს” ცნებაში ბირლინგი აქ აღნიშნულ მოვლენათა მხოლოდ პირველ ჯგუფს /ესე იგი “გონითი მიმართულება სამართლის სუბიექტებისა”/ გულისხმობს. თვითონ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელშიც ბირლინგს სამართლებრივ პრეტენზიასა და სამართლებრივ მოვალეობას შორის არსებული დამოკიდებულება ესმის<sup>21</sup>, იგი განიხილავს წმინდა იდეალურად ანუ, ზუსტად რომ ვთქვათ, “შესაბამისი სუბიექტების საყოველთაო გონითი ურთიერთობის” ლოგიკური კორელაციების ურთიერთობად<sup>22</sup>.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბირლინგი გონითი ცხოვრების ფაქტებს მიაკუთვნებს იმ შინაგან ინდივიდურ განცდებს, რომლებსაც ის აღიარების ცნებით აღნიშნავს და რომლებშიც იგი სამართლებრივი მოვლენების არსს ხედავს, რომელსაც ის სამართლის არსად განიხილავს; მაგრამ თვითონ სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ამ განცდებს ლოგიკური კორელაციის აზრით ფარავს, მისი მიხედვით კი არ ეთანხმება ამ უკანასკნელს, არამედ ეწინააღმდეგება მას, როგორც რაღაც იდეალურს, “რომელთანაც ნამდვილი ქცევა, ესე იგი ფაქტიური ნება და მოქმედება სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებისა” ხშირად საკმარის წინააღმდეგობაშია<sup>23</sup>.

რომ ამ მსჯელობის მიხედვით თვითონ ბირლინგის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი სამართლებრივი და საზოგადოებრივი ურთიერთობების იდენტურობისა საეკსპედიტო წინააღმდეგობრივია, ეს აშკარად ჩანს. ადვილად შეიძლება იმის გაგება, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის ცნება გულისხმობს არა მარტო განცდებს, რომლებიც ურთიერთობაში მყოფი სუბიექტების ფსიქიკაში არის მოცემული, არამედ ისინი შეადგენენ აგრეთვე აუცილებელ და კონსტიტუციურ მომენტს ან განცდების ინდივიდურად საწინააღმდეგო მოქმედებებს შორის. ორივე ეს მხარე, ესე იგი თვითონ განცდები და საწინააღმდეგო მოქმედებები მათ შორის თავისი ხასიათით რეალურად არსებული მოვლენებია და როგორც ასეთი, ესე იგი როგორც მოვლენები, რომლებიც რეალური ყოფიერების სფეროს მიეკუთვნება, აუცილებელი სახით ემორჩილება კაუზალური სფეროს /Nexus/ კანონებს. ამრიგად, ორიდან ერთ-ერთი უნდა მივიღოთ: ან უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სამართლებრივი კატეგორიები მოცემულია სამართლებრივ ურთიერთობებში რეალური მომენტის სახით რეალურად არსებულ მოვლენებში და მაშინ ისინი აშკარად ემორჩილებიან კაუზალური კავშირების კანონს, ანდა, პირიქით, ისინი გვევლინებიან იდეალური წარმონაქმნის სახით, რაც, როგორც ასეთი შესაძლებელია მხოლოდ ბუნების კანონისა და სამართლებრივი კანონის ურთიერთგამიჯვინით; მაგრამ ამ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობები არ შეიძლება გაიგივებული იქნეს რეალურ ურთიერთობებთან. ასეთ დასკვნამდე მივალთ ჩვენ მაშინ, როცა ნათელს გავხვით, რომ სამართლის არსი უნდა მოინახოს არა მის

<sup>21</sup> ib. II, S. 196.

<sup>22</sup> II, S. 270.

<sup>23</sup> II, S. 270.

არსებობაში ცალკეული პიროვნების ინდივიდური განცდების ფორმით, არამედ თვითონ მათ შორის არსებულ ურთიერთობებში. მაგრამ, თუკი ბირლინგი ურთიერთობას სუბიექტებს შორის, რამდენადაც ამას სამართლებრივ ურთიერთობად წარმოიდგენს, ახასიათებს წმინდა იდეალურ ანდა ლოგიკური კორელაციის ურთიერთობად. მაშინ ყოველი ადამიანი აქედან მხოლოდ იმ დასკვნას გააკეთებს, რომ სამართალი არა მხოლოდ მარტივი ფაქტია, არა რეალური მოვლენების რეალური ელემენტი, არამედ რაღაც სხვა არის. ამით ჩვენ დავასკვნით: "ფსიქოლოგიზმი" ბირლინგისათვის მიუღწეველ ამოცანად არის გამხდარი. შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებსაც ჩვენ აქ ავტორის ძირითად დებულებებში აღმოვაჩინეთ, უნდა განვიხილოთ როგორც შედეგი მისი მთავარი თეზისის უეარჯისობისა. ყოველ ცდას სამართლის წმინდა ფსიქოლოგიური კვლევისა, იმის ცდას, რომ სამართლებრივი ფენომენები სრულყოფილად აიხსნას სულიერი ცხოვრების ინდივიდური მოვლენებით, რომ მათში დაენახოთ რეალური ყოფიერების რეალური ელემენტი, ლოგიკური აუცილებლობით მიეყვარათ სამართლებრივი მოვლენების კაუზალურად განპირობებულობის გაგებამდე. და ეს, ვინაიდან ყოველი რეალური მოვლენის ძირითადი კანონზომიერება საზოგადოდ პრინციპულად კაუზალურ დამოკიდებულებაში ძვეს, და თუ სამართალსაც რეალური ფაქტის სახით წარმოვიდგენთ, მაშინ ის აშკარად უნდა დაემორჩილოს იმ ძირითად კანონზომიერებას, რომელსაც ემორჩილება ფაქტების სამყარო საზოგადოდ, ესე იგი იმ მთელს რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს.

ის, ვინც სამართლის რეალურ ხასიათს აღიარებს, მან უნდა აღიაროს აგრეთვე სამართლებრივი ფენომენების კაუზალური შესწავლის პრინციპი, და, პირიქით, იმან ვინც მიდრეკილია, რომ ბუნების კანონი სამართლის კანონს დაუპირისპიროს, უარი უნდა თქვას სამართლებრივი მოვლენების რეალურ ხასიათზე. მაგრამ, თუკი ერთსა და იმავე დროს ერთ დებულებასაც ვაღიარებთ და მეორესაც, როგორც ამას ბირლინგი აკეთებს, მაშინ ჩვენ გამოუვალ წინააღმდეგობაში აღმოვჩნდებით.

§5. ამ მიმართულებაში ბევრად უფრო თანმიმდევრული გვეჩვენებიან ის ავტორები, რომლებიც სამართლის გაგების საკითხში რეალურ მოვლენებს ეყრდნობიან და სამართლის ფენომენების შესწავლისას კაუზალურ პრინციპს იყენებენ. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ასეთი ცდები სახელმწიფო სამართლის სფეროში. დროებით ჩვენ გვერდს აუუვლით ამ ცდებს, რადგანაც ყველა ძირითადი საკითხი, რომლებსაც აქ ვხვდებით, გართულებულია საგანგებო ხასიათით სახელმწიფოსი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრული ფორმისა და განსაკუთრებით ხელისუფლებისა და ბატონობის /der Macht des Herrschens/ ცნებებით, რომლებიც შემდგომი კვლევის განსაკუთრებული საგანი იქნება. მაგრამ აქ ჩვენ გვსურს ასეთი ცდა ჩაუტაროთ იმ იურიდიულ დისციპლინაში, რომელშიც სამართლებრივი მასალა, ასე ვთქვათ, წმინდად არის გადმოცემული. ეს გახლავთ სამოქალაქო სამართალი.

ჩვენ აქ საგანგებოდ ვგულისხმობთ ციტელმანის ნაშრომს "Irrtum und Rechtsgeschäft", რომელშიც მთელი თავი ეთმობა ეგრეთწოდებული "იურიდიული ფაქტების" მოძღვრებას. ამ ნაშრომის ის ნაწილი, სადაც დასახელებული საკითხია განვიხილოთ, განსაკუთრებული კვლევის ღირსია უმთავრესად იმიტომ, რომ საკითხი იქ პრინციპულად, ესე იგი წმინდად გნოსეოლოგიური თვალსაზრისის საფუძველზეა დასმული.



ციტელმანის თვალსაზრისის საყრდენ წერტილად გვევლინება აქ სამართლის არსის წმინდა ფსიქოლოგიური გაგება. ის, რასაც ჩვენ სამართალს ვუწოდებთ, – აცხადებს იგი სულ დასაწყისში ნაშრომის იმ ნაწილისა, სადაც საგანგებოდ განიხილავს ჩვენთვის საინტერესო საკითხს – “წმინდა გონითი შემოქმედების ნაყოფია. მისი ემპირიული გამოვლენის პირვანდელი ფორმა არის ნორმა: ყოველი სამართალი (jedes objektive Recht) წარმოშობით არის ნორმების ერთიანობა /Complex/. რამდენად სწორია ეს აზრი, ამაში ჩვენ სხვა მხრივ მალე შეიძლება დაერწმუნდეთ, რომ ეს ლოგიკური ფორმა სამართლის საწყისი საფეხურია, რომელიც აუცილებლად უნდა დაეძლიოთ. ნორმები მხოლოდ ის მასალაა, საიდანაც მხოლოდ უნდა აიგოს იურიდიული სამყარო. უკვე მასა ასათვისებელი მასალისა მოითხოვს ცნებების შემდგომ შესწავლას, კერძოდ, სხვა ლოგიკურ ფორმებში უნდა ჩამოისხას ეს მასალა; მაგრამ რაც აქ უფრო ახლოს დევს, არის ის, რაც სხვა შემთხვევაში მხოლოდ შესაძლებელია, რასაც ჩვენ იმავე ლოგიკური ფორმებით ვიყენებთ, რომლებშიც გრძნობადი სამყარო? როგორც სიერცის ნაწილს, რომელიც ურთიერთშემოქმედების ძალთა რიგით აღინიშნება, როგორც სხეულს ისე წარმოადგენთ, მაშინ შეგვიძლია ჩვენ აგრეთვე თავისი შინაარსის მოხედვით ერთმანეთთან დაკავშირებული სამართლის ნორმების თავმოყრა პიროვნების ნორმირებული მდგომარეობისათვის უფლების /zu einem subjektiven Recht/ მეოხებით; ეს უფლებაც უნდა გავივით ჩვენ სრულიად გრძნობადი ობიექტის ცნებით. როგორც ჩვენ კორპუსი /სხეული/ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც რაღაც სხვა, ვიდრე გარკვეული ძალებია, ასევე შეგვიძლია გავივით უფლება როგორც ნორმების გარეშე არსებული რამ: ჩვენ ვასაგნობრივებთ ნორმების წყების მეოხებით დადგენილ ურთიერთობას. ახლა მივმართოთ ჩვენ ამ შერჩეულ საგანზე ყველა სხვა აზროვნების ფორმა, რომლებსაც ვიყენებთ გრძნობადი სამყაროსათვის; სამართალი არის მთელი და დანაწილებული, ის არის დამოუკიდებელი და დამოკიდებული, ერთი და რამდენიმე; ჩვენ მათ განვიხილავთ როგორც მუდმივს /იდენტურს/, მიუხედავად მისი თვისებების ცვალებადობისა /აქედან, მაგალითად სამართალში Succession-ის ცნება/; და ბოლოს, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ეს ცალკეული კონკრეტული ჩვენ გვესმის, როგორც ნივთად წარმოსახული უფლებები სწორედ ისე, როგორც თვითონ სხეული კაუზალობის კატეგორიით. როგორც გრძნობადი სამყარო მაშინვე გადაიქცეოდა უწესრიგოდ მოძრავი ატომების უდისციპლინო მასად, თუკი აღარ გამოვიყენებდით აზროვნების კაუზალურ ფორმას, ასევე მართლწესრიგიც ამ კაუზალური კანონის გამოყენების გარეშე სრულ rudis indiges taque moles-სად გადაიქცეოდა. მაგრამ ახლა ჩვენ უფლებებს ვიპაზრებთ, როგორც წარმოშობადს, წარმავალს, ისეთსავე ცვალებადს, როგორც ბუნებრივი სხეულია, და ყოველი ასეთი ცვალებადობისათვის უფლებების სამყაროში /უფლებების სამყარო/ ჩვენ ისევე უნდა მოვინახოთ მიზნით, როგორც ჩვენს გარეშე არსებული ფიზიკური ან ფსიქიკური სამყაროს ცვალებადობისათვის; ერთი სიტყვით, ყველა ამ აზროვნების ოპერაციით ჩვენ ვქმნით მეორე სამყაროს ბუნებრივი სამყაროს მსგავსად; თვითონ ჩვენ ვქმნით ელემენტებს, რომლებისგანაც ისინი შედგება, და შემდეგ ამ ელემენტებს ერთმანეთთან ვაკავშირებთ; როგორც ეს ელემენტებია როგორღაც გააზრებული, ასევე გააზრებულია აგრეთვე მათი კავშირებიც; მაგრამ ამ უკვე შექმნილი აზროვნების სამყაროს შიგნით აქეთ მათ ჩვენი ადამიანური ხელისუფლების მეოხებით ისეთივე ადგილი და ისეთივე

ღირებულება, როგორც რეალურ სამყაროში, სამართალში საქმე ეხება ბუნებისადმი მიბაძვას /um ein Nachbildung der Natur/ აზროვნების ელემენტების მეოხებით<sup>26</sup>.

ამ ციტატაში იურიდიული ცნებების შექმნის მთელი თეორიაა მოცემული, თეორია, რომელიც იურიდიული მოვლენების მეცნიერული დამუშავების მეთოდოლოგიური პრინციპების აზრით სრულად თავისებურად გამოიყურება. ძირითადი მიზანი, რომელიც ავტორს უნდა მიაღწიოს, მდგომარეობს იმის მტკიცებაში, რომ სამართლის შესწავლისას იგივე მეთოდები შეიძლება და უნდა იქნეს გამოყენებული, როგორცავე ბუნების მეცნიერების დისციპლინებში ვხვდებით. ის ამბავი, რომ არ არსებობს იდეალურება ან უბრალოდ ნათესაობა რეალური, ბუნებისმეცნიერული მოვლენების საგნობრივ შინაარსსა ერთი მხრივ, და სამართლებრივ ფენომენებს შორის, მეორე მხრივ, ავტორს არავითარ დაბრკოლებად არ ეჩვენება, ეინაიდან იგი გადამწყვეტ მნიშვნელობას მეთოდოლოგიის საკითხში მეცნიერების ობიექტურ, საგნობრივ შინაარსს კი არ ანიჭებს, არამედ იმ ლოგიკურ ფორმებს, იმ “აზროვნების ოპერაციებს”, რომლებშიც მეცნიერების ნედლი მასალა დამუშავდება. ამ დამუშავების შედეგად იქმნება ახალი სამყარო, რომელიც თვითონ ავტორის მოწმობით, რაღაც ობიექტურად არსებული კი არ არის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ აზროვნების სამყაროა, რომლის ძირითადი ელემენტები ისევე, როგორც მათი კავშირები, “მხოლოდ აზროვნების” ნაყოფია.

საკითხის ამგვარად დაყენების დროს ავტორის მიერ წამოჭრილი პრობლემა თანამედროვე გნოსეოლოგიის ყველაზე უფრო ღრმა და პრინციპულ პრობლემებს უკავშირდება. ეს არის საკუთრივ შემეცნების ობიექტისადმი დამოკიდებულების საკითხი. ადვილი გასაგებია, რომ ავტორის თეორია ამ საკითხში სრულ თანხმობაშია ზემოთ შემოწმებული იურიდიული მიმართულების ფორმულასთან, თუმცა საბოლოო შედეგები აქ არსებითად განსხვავებული ხასიათისაა. როგორც პირველი, ისე მეორე თეორიაში სამართლის ფენომენები მათი ობიექტური საგნობრივი შინაარსის თვალსაზრისით კი არა, მათი განხილვის წესის თავისებურებების მიხედვით განისაზღვრებიან; მხოლოდ პირველ შემთხვევაში ნედლი მასალის მეცნიერული დამუშავების ლოგიკური მეთოდები სამართლის სფეროში იმის აღიარებისათვის იქნება აუცილებელი, რასაც ჩვენ გრძნობადი სამყაროს შემეცნების დროს შევხვდებით და ამის საფუძველზე შეიძლება გავიგოთ იურიდიული სამყარო როგორც “ბუნების მიბაძვა, ბუნებრივი სამყაროს მსგავსი სურათი”; მაგრამ მეორე შემთხვევაში იურიდიული კვლევის წესი უპირისპირდება ბუნების მეცნიერულ შემეცნებას და ეს საკმარისია იმისათვის, რათა “იურისტების აზროვნების სამყარო ბუნების მოვლენათა ობიექტური სამყაროსაგან” გაემიჯნოს, წინა გვერდებზე ჩვენ უკვე განვსაზღვრეთ ჩვენი დამოკიდებულება ფორმალურ-იურიდიული მიმართულებისადმი, და, რამდენადაც ამოსავალი გნოსეოლოგიური პრინციპები ორივე თეორიისა ერთნაირი ხასიათისაა, იქ მოცემული კრიტიკა თავის ძალას ინარჩუნებს აგრეთვე ციტელმანისეული კონსტრუქციის მიმართაც. მხოლოდ დამატების სახით ჩვენს მიერ უკვე ნათქვამის მიმართ გვსურს გავაკეთოთ აქ ზოგადი ხასიათის რამდენიმე შენიშვნა, რათა შემდეგ გადავიდეთ ავტორის ცალკეული თეზისების შესწავლაზე.

<sup>26</sup> Zittelmann, Irrtum und Rechtsgeschäft, S. 201 და მომდ.

არ უნდა იყოს საეჭვო, რომ შემეცნების აქტსა და მის ობიექტებს შორის არსებითი განსხვავება არის. ეს განსხვავება ჩანს ცნებებსა, როგორც მსჯელობის<sup>27</sup> საბოლოო შემადგენელ ნაწილებსა, ერთი მხრივ, და მათ შესაბამის საცნებ შორის, მეორე მხრივ, აგრეთვე მთლიან მსჯელობასა და მის შესაბამის საქმის გარემოებებს შორის. ეს ძირითადი განსხვავება შესანიშნავად დაახასიათა ფენდერმა, რომელიც ამბობს: "ცნებები არც თვითონ არიან ის საცნები, რომლებსაც ისინი გულისხმობენ, არც შეიცავენ თავის თავში ისინი ნაგულისხმე საცნებს"<sup>28</sup>. სხვა ადგილას აღნიშნავს იგივე ავტორი იმავე ძირითად განსხვავებას მსჯელობასა და საქმის გარემოებებს შორის<sup>29</sup> ალბათ ამ განსხვავების შეცნობა გნოსეოლოგიურად შესაძლებელია ყოველთვის გამოუთქმელ წინამძღვრად გახდეს ყველა კონსტრუქციისა სამართლის მეცნიერებაში, რომლებიც ამ უკანასკნელის მითითების მეოხებით "აზროვნების ფორმებსა" ან "აზროვნების ოპერაციებზე", აქ რომ გამოიყენება, განისაზღვრება. განსხვავება შემეცნების აქტისა თავისი ობიექტისაგან აქ გაიგება როგორც სრული და აბსოლუტური დამოუკიდებლობა და მხოლოდ ამ საფუძველზე აიგება "განხილვის წესის" თავისებური მეთოდოლოგია. მაგრამ განსხვავება თავისთავად ჯერ კიდევ არ ნიშნავს სრულ დამოუკიდებლობას შესაბამისი მოვლენებისა და ამიტომ აქ ნაჩვენები მეთოდოლოგიის შეფასება შეიძლება სწორი იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა შემეცნებასა და მის საგანს შორის არსებული ურთიერთობა ზუსტად არის დადგენილი. თუკი ამ საკითხის განხილვის დროს სპეციალურ ლიტერატურას მივმართავთ, თავისთავად გასაგებია არ შეიძლება ორიენტაცია ავიღოთ ცალკეულ თეორიებზე, არამედ მხოლოდ ის თვალსაზრისი უნდა გამოვიყენოთ, რომელიც შესაბამისად ფართოდ არის აღიარებული. ამ უკანასკნელი თვალსაზრისიდან გამომდინარე ზემოთ დასმული საკითხი შემდეგნაირად უნდა გადაიჭრას: ის შინაგანი წინააღმდეგობანი, რასაც ჩვენ შემეცნებისა და მის საგანს შორის აღმოვაჩინოთ, შეუძლებელს ხდის დეფინიციას ცნებისა /როგორც მსჯელობის ნაწილობრივი ელემენტი/, "როგორც ნაგულეები საცნების ასახვა"; მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ცნებები მსჯელობებსა და მის საცნებს არ ხდის ერთმანეთისაგან სრულიად იზოლირებულს. არსებობს მათ შორის აუცილებელი კავშირი, რომელიც მათ დამოუკიდებელ მოცემულობას შეუძლებელს ხდის, კავშირი, რომლის არსი იმაში გამოსჭვივის, რომ საგანი ქმნის ცნების წინასწარ დასახულ (intentional) კორელატს<sup>30</sup>. ეს აუცილებელი კავშირი, ეს კორელატობა აშკარადება არა მარტო იმაში, რომ ერთი განსაზღვრული ცნება ერთ განსაზღვრულ ფორმალურ ობიექტს შეესაბამება, არამედ იმაშიც, რომ ცალკეული "განსაზღვრულობანი ფორმალური ობიექტისა ზუსტად ემთხვევა ცნების განსაზღვრულ შინაარსობრივ ელემენტებს"<sup>31</sup>. ამ აზრით ძირითად განყოფილებებს, რომლებსაც ჩვენ ცნებებში ვპოულობთ, წმინდა ლოგიკური კი არა, ონტოლოგიური აზრი აქვთ, რომელშიც

<sup>27</sup> Pfänder, Logik, S. 271.

<sup>28</sup> Pfänder, Logik, (Husserles Jahrbuch. für Philosophie und phänomenologische Forschung, Vierter band, 1921, S. 272).

<sup>29</sup> Jb. 174-175.

<sup>30</sup> Jb. 273. auch Husserl, Logische Untersuchungen, II, S. 377.

<sup>31</sup> Jb. S. 275, 184; Husserl, Log. Unt, II, S. 388-389.

ისინი თავიანთი კორელაციური საგნების სახით განისაზღვრებიან<sup>32</sup>. ამ აზრით, როგორც სწორად შენიშნავს ჰუსერი, “ყოველ რეგიონს და კატეგორიას საპრეტენზიო საგნებისა ფენომენოლოგიურად ემთხვევა არა მარტო აზრის ძირითადი სახე, შესაბამისად პრინციპები, არამედ აგრეთვე ასეთი აზრის ორიგინალურად მოცემული შემეცნების ძირითადი სახე და მისი კუთვნილება იმ ორიგინალური ევიდენტობის / Evidenz/ ძირითადი ტიპის მიმართ, რომელიც არის შესაბამისად ასე დახარისხებული ორიგინალური მონაცემების მეოხებით არის მოტივირებული”<sup>33</sup>. ეს ზუსტი და აუცილებელი შესაბამისობა შემეცნების აქტსა და მის კორელატიურ საგნებს შორის არსებობს არა მხოლოდ განსაზღვრული საგნების მხრივ შემეცნების აზრით, არამედ შეიძლება აგრეთვე იმაში დაინახოთ, რომ ყოველი შესაძლებელი გამოთქმა, რომელიც იმავე საგანს შეეხება, უკვე წინასწარ განისაზღვრება შესატყვისი საგნის კატეგორიით.

სწორედ ამ აზრს გამოხატავს ჰუსერი, როცა ამბობს: “ყოველი შეხედულების კატეგორიის /რომელიც ყოველი საწინააღმდეგო კატეგორიის კორელატივა/ არსში განსაზღვრულად არის წინასწარ აღნიშნული, ასეთი კატეგორიის საგნების კონკრეტული... შეხედულებების რომელი ფორმებია შესაძლებელი. ცოდნის შესაბამისად ხელახლა აღინიშნება წინასწარი ყოველი არასრულყოფილი შეხედულებისათვის, თუ როგორ უნდა სრულყოფილი იყოს, როგორ უნდა შეეკავსოთ მისი აზრი, ახალი მოსაზრებით შეეკავსოთ და როგორ შევძლოთ მისი შემდგომი გამდიდრება. ყოველი საგნის კატეგორია არის საყოველთაო არსი, რომელსაც თვითონ პრინციპულად ადეკვატურ მონაცემებამდე მივყავართ. თავის ადეკვატურ მოცემულობაში ის გამოიშუშავებს კეთილგონიერულ ზოგად წესს ყოველი განსაკუთრებული კონკრეტული განცდების მრავალფეროვნებაში ცნობიერად ქცეული საგნისათვის /რომელი განცდებიც აქ ბუნებრივად უნდა მივიღოთ არა როგორც ინდივიდუური სინგულარულობანი, არამედ, როგორც არსი, როგორც ყველაზე უფრო დაბალი კონკრეტული/. იგი ქმნის წესს სახისათვის, რომელიც როგორც მისდამი დაქვემდებარებული საგანი აზრისა და მოცემულობის წესის მიხედვით სრულ განსაზღვრულობამდე, ადეკვატურ ორიგინალურ მოცემულობამდე მიგვიყვანდა, რომლის მეოხებით მოხდებოდა დანაწევრება ანდა უწყვეტი /Kontinuirlich/ ხანგრძლივობა ცნობიერების კავშირებისა და ამ კავშირების კონკრეტული არსის გაფორმება”<sup>34</sup>

ამ გამონათქვამიდან ადვილად შეიძლება გაკეთდეს განსაზღვრული დასკვნა ყოველი ცალკეული მეცნიერების მეთოდოლოგიის ძირითად პრინციპებზე. ამ უკანასკნელის თავისთავადობა განისაზღვრება არა “განხილვის წესის” მიხედვით, არამედ სწორედ გამოსაკვლევი ყოფიერების სფეროს საგნობრივი შინაარსის მეოხებით. ამიტომაც განსაზღვრული “ლოგიკური ფორმების” გადატანა ერთი მეცნიერებიდან მეორეზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, როცა ერთივე მეცნიერების საგნობრივი შინაარსი ერთნაირი ხასიათისაა; მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ეს პირობა დარღვეულია, ასეთი რამ შეუძლებელია და ყოველივე ცდა ამ მიმართულებით წინასწარვე შეიძლება უნაყოფოდ ჩაითვალოს.

<sup>32</sup> Jb. S. 281, 283; Husserl, Ideen zu einer reither Phänomenologie und Phänomenologischen Philosophie (Lehrbuch für Philosophie phänomenologische Forschung, B. I, Th. I, 1913, S. 307), Log. Unt., II, S. -93.

<sup>33</sup> Ideen, S. 289.

<sup>34</sup> Jb. S. 296-297, 6ახ. აგრეთვე 308, 311, 319 გვ.გვ.

ლოგიკური დასაბუთების გარეგნული მოჩვენებითობა შეიძლება მოგვეცეს ასეთმა ცდამ მხოლოდ ორპარტიან /Aquivoken/ საშუალებით, რომელიც ყურადღებთან ანალიზის დროს არცთუ ძნელი აღმოსაჩენია. აქ ნათქვამი შეიძლება ცალკეულ შემთხვევაში სრულყოფილად იქნეს დადასტურებული ციტელმანის მიერ მოტანილი მაგალითით, რომლის "გნოსეოლოგიური" საფუძვლის გამოწველივითი განხილვის შედეგად ადვილად გამოჩნდება, რომ არცერთი შედარების პუნქტი, რომლებსაც ავტორი სამართლებრივ და ბუნებრივ მოვლენებს შორის ავლებს, სინამდვილეს არ შეესატყვისება. ამას ადვილად დაკამპტიციებთ უბრალო ანალიზით. ციტელმანისეული მსჯელობების ამოსავალ პოზიციას წარმოადგენს მტკიცება, რომ სამართლის ემპირიული მოცემულობის პირვანდელი ფორმა არის სამართლის ნორმა; ამ აზრით "ნორმები მხოლოდ მასალაა, რომლიდანაც უნდა აიგოს იურიდიული სამყარო". ამ ემპირიულ მასალას ჩვენ მეცნიერულად დაეამუშავებთ. თუმცა იგივე ლოგიკურ ფორმებს ვიყენებთ, "რომლებითაც გრძნობად სამყაროს აღვიქვამთ. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ როგორც ჩვენ განსაზღვრულ ნაწილს სივრცისას სხეულის სახით წარმოვიდგენთ, "რომელიც ურთიერთსაწინააღმდეგო ძალების მოძრაობით აღინიშნება", "ისევე უნდა შემოვსაზღვროთ თავის შინაარსის მიხედვით ერთმანეთთან დაკავშირებული სამართლის ნორმებით გარკვეული მდგომარეობა პიროვნების უფლებით"; ამ "შემოსაზღვრის" /"Verdichtung"/ საშუალებით მიღწეულ უფლებას ჩვენ "აღვიქვამთ მთლიანად გრძნობადი ობიექტის ცნებით".

ჩვენ შეგვიძლია აქ გვერდი აუვაროთ იმ საკითხს, რომ სამართლის ემპირიული მოცემულობის პირვანდელი ფორმა არის სამართლის ნორმა და რომ ის ნედლი მასალაა, რომელზედაც იურიდიული სამყარო აიგება. ამის გარეშეც ადვილად შეიძლება იმის ჩვენება, რომ უსუსურია ციტელმანისეული შედარება სამართლებრივი სამყაროსი და მისი კვლევის მეთოდისა ბუნების მოვლენებთან და ბუნებისმეცნიერული შემეცნების მეთოდებთან.

ამ მიზნისათვის საკმარისია ყურადღება მივაქციოთ შემდეგს: ფიზიკური სხეული, რომელიც აქ შესადარებელ ელემენტად გვევლინება, "კონსტრუქციის" შედეგი კი არა, რაღაც პირვანდელი და უშუალო მოცემულობაა. მეცნიერული დაუფლება ამ უშუალოდ მოცემული სამყაროსი მომდინარეობს არა ყველაზე ელემენტარული და პირვანდელი /von der elementarsten und urspruenglich/ მოცემულობის "ურთიერთსაწინააღმდეგო ძალთა" რიგიდან აღმავლობის ფორმით, არამედ უშუალოდ მოცემული ერთიანობის დანაწევრებით, ესე იგი სხეულის ცალკეული ელემენტებით. ამიტომაც ნათელია, რომ მეცნიერული მუშაობა აქ სინთეტური კი არა, ანალიტიკური ხასიათისაა. თუკი ჩვენ ახლა ციტელმანს დავეთანხმებით, რომ სამართლის ძირითადი კატეგორიები წარმოიქმნებიან პირვანდელი მოცემულობის ნედლი მასალის "შეკრებით", მაშინ ნათელი გახდება, რომ ჩვენ აქ ანალიტიკურს კი არა, წმინდა სინთეტურ მეთოდს ვიყენებთ, რომელსაც, რასაკვირველია, აღარ ექნება მეტად ის ლოგიკური ფორმები, "რომლებითაც ჩვენ გრძნობად სამყაროს აღვიქვამთ".

მაგრამ ჩვენ გვეჩვენება, რომ ციტელმანის გამონათქვამები ამ ადგილას არა მარტო სამართლისა და ბუნებისმეცნიერების მეთოდების გაიგივების დასაბუთების თეალსაზრისით უნდა ჩაითვალოს ყალბად, არამედ ისინი უამისოდაც სამართლის

შემეცნების ლოგიკური ფორმების განსაზღვრაშიც კი შემცდარია. ამის დასაბუთება ადვილად შეიძლება, თუკი “კონცენტრაციის” /“Verdichtung”/ ლოგიკურ პროცესს, რომლის საფუძველზე ავტორის თვალსაზრისის თანახმად სამართლის ძირითადი კატეგორიები შეიძლება აღმოცენდეს, უფრო დაწვრილებით ანალიზს გავუკეთებთ; ადვილი მისახვედრია, რომ ეს “თავისებური” /“eigenumliche”/ აქცია სხვა არაფერია, თუ არ აბსტრაქციის ლოგიკური პროცესის გამოხატულება, რომელშიც სამართლის ნორმებით რეგულირებული კონკრეტული მდგომარეობა სუბიექტისა, ამ მდგომარეობის ანალოგიური ნიშნების გამოცალკევების მეოხებით, უფლების ცნებად იქცევა.

ამრიგად, თუკი ჩვენ ციტელმანის თვალსაზრისს უფრო ნათლად გაეშიფრავთ, მის არსს დაეინახათ იმ დებულებებში, რომ უფლება კი არ არის რაღაც თავდაპირველად მოცემული, რაღაც დამოუკიდებლად არსებული, არამედ მხოლოდ ლოგიკური აბსტრაქციის შედეგად არის წარმოქმნილი. მაგრამ ასეთი მტკიცების დროს საქმის ნამდვილი ვითარება თავდაყირა დგება. ამას ადვილად მიხვდებით, თუკი ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ყოველი კონკრეტული მდგომარეობა, საიდანაც ციტელმანის თვალსაზრისის მიხედვით უფლება უნდა წარმოიშვას, თვითონ უძღვის წინ ამ უფლების არსებობას, რათა საზოგადოდ იურიდიული მნიშვნელობა მიიღოს, ესე იგი შევიდეს სამართლის ფენომენთა სფეროში. ამრიგად, უფლება გვევლინება არა რაღაც ისეთად, რაც მხოლოდ “კონცენტრაციის” (“Verdichtung”) პროცესის მეოხებით წარმოიქმნება, არამედ უშუალოდ მოცემულ სამართლებრივ კატეგორიად, რომელიც შესაძლებლად ხდის ინდივიდის ყოველი კონკრეტული სამართლებრივი მდგომარეობის არსებობას და რომელსაც ის სამართლებრივ მნიშვნელობას ანიჭებს.

უფლების არსის და მისი მეცნიერული დამუშავების ყალბი გაგებიდან მომდინარეობს ციტელმანის მცდარი დებულებები სხვა მეთოდების მიმართაც, რომლებსაც იგი სამართლის შესწავლის უცილობელ წინამძღვრად თვლის. ეს დებულებები თითქმის სრულიად ორაზროვნებაზეა /auf \ quivoken/ აგებული, მაშინ, როცა შესაბამისი ცნებების საქმიანი ანალიზი ტერმინოლოგიური გათანაბრებით არის შეცვლილი. მას შემდეგ, რაც ციტელმანმა თავისი თვალსაზრისის მიხედვით დაადგინა, რომ უფლების ცნება წარმოიქმნება რაღაც “კონცენტრაციის” /“Verdichtung”/ პროცესის მეოხებით, იგი განაგრძობს: “ახლა მიემართოთ ჩვენ ხსენებული საგნის /ესე იგი უფლების/ მიმართ აზროვნების ყველა დანარჩენ ფორმას”, რომლითაც ჩვენ გრძნობადი სამყაროს შემეცნებას ვანხორციელებთ; ამ უკანასკნელის მსგავსად აღვიქვათ ჩვენ სამართალს მთლიანად და დანაწევრებულად, დამოუკიდებლად და დამოყიდებულად, უცვლელად. მიუხედავად მისი თვისებების ცვალებადობისა, და ა.შ. რომ ყველა ეს ცნება, რამდენადაც ისინი საზოგადოდ სამართლის შესწავლისას გამოიყენება, აქ სრულიად განსაკუთრებული აზრით წარმოსდგება, ეს ადვილად შეიძლება დაედასტუროთ, თუკი შევედგებით ამ ცნებების გამოწველილ ვიწრო განხილვას.

ჩვენ აქ გვერდს აუვლით ზემოთ ხსენებული ცნებებიდან ისეთებს, როგორიცაა, მაგალითად, მთელისა და ნაწილის, ერთიანობისა და სიმრავლის ცნებები, იმის გამო, რომ ისინი, როგორც აზროვნების ზოგადი კატეგორიები, გამოიყენება არა მარტო რეალური, “გრძნობადი” სამყაროს შემეცნების დროს, არამედ საზოგადოდ ცოდნის ყველა სფეროში; ამიტომაც მათი გამოყენება სამართლებრივ შემეცნებაში

არ მოწმობს სამართლისა და ბუნებისმეტყველების მეთოდოლოგიის იგივეობის აღიარებას.

სხვაგვარად უნდა შეფასდეს შედარების ის დანარჩენი პუნქტები, რომლებსაც ციტელმანი სამართლისა და ბუნების შემეცნებას შორის ავლევს, რომ ცნებებს, აქ რომ შედარებისათვის ფიგურირებენ, სამართლის მეცნიერებაში გამოყენების დროს სრულიად განსხვავებული აზრი აქვს, ცნებები, რომლებიც იგივე ტერმინოლოგიით არის შენიღბული, ეს ადვილად შეიძლება დაეინახოთ. შეეჩერდეთ, მაგალითად, დამოუკიდებლობისა და დამოკიდებულების ცნებებზე. რას უნდა ნიშნავდეს ეს ცნებები, როცა მათ რეალური მოვლენების მიმართ ვიყენებთ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რომელ შემთხვევაში შეიძლება რეალური მოვლენა სხვა მოვლენისაგან დამოკიდებულებად განისაზღვროს? თავისთავად გასაკებია, რომ ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა ამ მოვლენებს შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს.

მაგრამ სრულიად სხვა აზრი ეძლევა ამ ცნებებს სამართლის მეცნიერებაში. თუ მაგალითად, არსებობს დებულება, რომ საქმიანობა საჯარო უფლებისა გარკვეულ პირობებზეა დამოკიდებული, ვის შეუძლია სერიოზულად ამტიკოს, თითქოს ეს პირობები აღიარებული უნდა იქნეს შესაბამის სამართლის მიზეზად?

იგივე უნდა ითქვას მუდმივობის /Beherrlichkeit/ ცნების მიმართაც; სამართალში ეს ცნებაც სრულიად სხვა შინაარსით აღინიშნება, ვიდრე ეს რეალური მოვლენების სფეროშია. ამ უკანასკნელ სფეროში იგი გამოიყენება რელატიური აზრით, ესე იგი იმ საგნის კაუზალური კანონზომიერების აზრით, რომელიც არაარსებითი თვისებების ცვლილებების დროს უცვლელი რჩება. აქედან აშკარაა, რომ აქ მუდმივობის ცნება მხოლოდ მიზეზობრიობის კატეგორიასთან კავშირში იძენს თავის მნიშვნელობას. მაგრამ სწორედ ამ კატეგორიას აკლია სრულყოფა, თუკი მუდმივობის ცნებას სამართლის მეცნიერებაში გადმოვიტანთ. აქ ის აღიშნავს სამართლის მითითებული იმ პირობების ხანგრძლივ მოცემულობას, რასაც არასოდეს არ ეძლევა კაუზალური საფუძვლის მნიშვნელობა.

ნათქვამიდან აშკარაა, რომ ორივე ზემოთ დასახელებული ცნება, ესე იგი დამოკიდებულების და დამოუკიდებლობის ცნებები, ერთი მხრივ, და მუდმივობისა, მეორე მხრივ, ბუნებისმეტყველებაში მჭიდროდ არიან დაკავშირებული კაუზალობის პრინციპთან და ვისაც სურს ამ ცნებებს სამართლის მეცნიერებაშიც იგივე აზრი შეუნარჩუნოს, რაც მათ ბუნებისმეტყველებაში აქვთ, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, მან უნდა დაადასტუროს აგრეთვე კაუზალობის პრინციპის გამოყენება სამართლის კვლევის დროს. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ციტელმანი ამ გზას ადგას; იგი მიუთითებს, რომ ჩვენ ისევე უნდა გავიზაროთ სამართალი, როგორც კაუზალობის პრინციპის საფუძველზე “წარმომობილად, განვითარებულად და ცვალებადად”, როგორც ბუნებრივი მოვლენები “ბუნებრივი სხეულიდან”, და რომ ამ პრინციპის გარეშე ის “rudis indigesta moles” იქნებოდა. მაგრამ ეს თეზისი, თუმცა მას ციტელმანის კონსტრუქციისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, აქ მაინც სრულიად დაუსაბუთებელი რჩება. რომ ამ პრინციპის გარეშე მართლწესრიგი “არეულდარეულ მასად იქცეოდა”, ეს არგუმენტი ადვილად შეიძლება უკუვაგდოთ იმ მოსაზრებით, რომ კაუზალობის კატეგორია როდია ერთადერთი პრინციპი, რომელმაც განსაზღვრული ყოფიერების

სფეროს წესრიგის შესაბამისი, რეგულირებული ხასიათი შეიძლება მისცეს. ასე, მაგალითად, მათემატიკურ მეცნიერებაში მთელი მისი მასალა სრულიადაც არ ვლინდება "rudis indigestaque moles", თუმცა ეს კატეგორია აქ არ გამოიყენება. კაუზალობის გარდა, შესაძლებელია იყოს აგრეთვე სხვა მარეგულირებელი პრინციპებიც.

კაუზალობის ცნების გადატანა სამართლის კვლევის პროცესში არ შეიძლება<sup>35</sup> იმაზე მითითებით დაეასაბუთოთ, რომ აქ გამოიყენება ისეთი გამოთქმები, როგორიცაა, სამართლის "აღმოცენება" ან "გაქრობა". რომ სამართლის შემეცნებაში ზემოთ დასახელებულ გამოთქმებს თავისებური აზრი აქვს და ეს გამოთქმები არ არის ნაწარმოები კაუზალობის პრინციპისაგან, ადვილად ჩანს ცალკეული შემთხვევების გაანალიზებით. თუკი ჩვენ, მაგალითად, ვიტყვი, რომ საკუთრების უფლება შედეგად წარმოშობს განსაზღვრულ იურიდიულ ქმედებებს, მაშინ ყოველგვარი აზრი დაეკარგება ამ ქმედებებსა და შესაბამის უფლებას შორის არსებულ ურთიერთობაში კაუზალური კავშირის ძიებას, მაგრამ ციტელმანის გამონათქვამების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი კაუზალობის პრინციპს სამართლებრივ მოვლენებში განიხილავს არა რაღაც ობიექტურ მოცემულობად, არამედ სპეციალურად განხილვის წესიდან ან აზროვნების ოპერაციიდან გამომდინარედ.

იმის მიხედვით, რაც ზემოთ შემეცნების აქტსა და მის საგანს შორის აუცილებელ შესაბამისობაზე ითქვა, ზედმეტი იქნებოდა კიდევ განსაკუთრებით აღგვენიშნა ამ აღვილას ციტელმანის თვალსაზრისის უსუსურობა. შემეცნების აქტს თავის თავიდან კი არ შეუძლია შექმნას "სამყარო", არამედ "ყველა განსჯა უნდა მომდინარეობდეს ფაქტებიდან და მეთოდებიც მაშინ არის მიზანმიმართული, როცა მათ ფაქტების შესაბამის დებულებებსა და თეორიებამდე მივყავართ"<sup>36</sup>.

იმ თვალსაზრისის შედეგი, რომელიც ზემოთ არის გადმოცემული, შემდეგნაირად შეიძლება ჩამოკაყალიბოთ; სამართლებრივი ურთიერთობის ბუნების გაგებას საზოგადოებრივი ურთიერთობის აზრით, ესე იგი რეალური მოვლენების აზრით და ამ სამართლებრივი ფენომენების შესწავლის დროს იმავე მეთოდების გამოყენებას, რომლებიც ბუნებისმეცნიერებაში იხმარება, აუცილებლობით მიეყავართ შინაგან წინააღმდეგობებამდე, ანდა, რაც კიდევ უარესია, ყალბ კონსტრუქციებამდე სამართლის მეთოდოლოგიის და სამართლებრივი შემეცნების გნოსეოლოგიური წინამძღვრების საკითხში. ასეთსავე შედეგებს მივიღებთ სამართლებრივი ურთიერთობის ცალკეული შემადგენელი ნაწილების ანალიზის მეოხებით. ამ ანალიზს ჩვენ ახლა შევუდგებით.

<sup>35</sup> Felix Kaufmann, Logik und Rechtswissenschaft, 1892, S. 59 და შემდეგ.

<sup>36</sup> M.Scheier, Der Formalismus in der Ethik und die materiale Wertethik, I, S. 450 (Husserls Jahrbuch).



II

ჩვენი გამოკვლევების ამოსავალ პუნქტად მიღებული გექონდა სამართლებრივი ურთიერთობის ცნება მართლწესრიგის უმარტივესი ელემენტის აზრით. ზოგიერთი თეორიის კრიტიკულმა მიმოხილვამ დაგვარწმუნა, რომ თანამედროვე მეცნიერებაში იშვიათია ამ ცნების გაგება სასურველი სიცხადით, თუმცა ჩვენს მეცნიერებას არცერთ საკითხში არ მოეთხოვება ასეთი სიფრთხილე, ასეთი გარყვეულობა პრობლემის დაყენების დროს. სწორედ აქ ეხება ერთმანეთს ყველაზე ახლოს რეალური საზოგადოებრივი პროცესები, ერთი მხრივ, და სამართლებრივი კატეგორიები, მეორე მხრივ; ამიტომაც გასაკვირა, რომ სულ უმცირესი შეცდომის დროს ამ საკითხში მეკლესარი აუცილებლობით სცილდება სამართლის საფაროს და მის პრობლემებს და ამ უკანასკნელთა ანალიზის ნაცვლად გვაძლევს ჩვენ ის ფსიქიკური ან სხვა რეალური მოვლენების ანალიზს; თანაც სურვილი, რომ კვლევის შედეგები სამართლის შემცენების კონკრეტულ ამოცანებს მიეუსადაგოთ, თვითონ შესაბამისი რეალური მოვლენების სწორ გაგებაზე უარყოფით გავლენას ახდენს. რომ ასეთ შემთხვევაში ფაქტები ძალით მოხვდება პროგრესტეს სარეცელზე, რომ ნაცვლად შემუშავებული თეორიებისა, რომელთა ცალკეული ნაწილები შინაგანი ლოგიკური ჩარჩოებით იქნებოდა შემოზღუდული, მივიღებთ "მეცნიერულ ჰიბრიდის" სახეობას, თავისთავად გასაკები და apriori-ა. მეცნიერული აზროვნება, რომელიც დასაწყისში "შესცოდავს", შემდგომ განვითარებაში ვეღარ შესძლებს გამოჯანმრთელებას და ყოველი ცალკეული წერილი ლოგიკური მსჯელობის გაცვისა საწყის პუნქტში დაშვებული აღრევით იქნება მოწამლული. სამართლებრივი ურთიერთობის არსის სწორი გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ ცალკეული ნაწილების გულდასმითი და ზუსტი ანალიზის გზით, რომელთაგან თვითონ სამართლებრივი ურთიერთობა შედგება. მხოლოდ მაშინ, როცა შესაბამის საკითხებში მყარ შედეგებს მოვიპოვებთ, შეგვიძლია ჩვენ ნათლად გავაშუქოთ ჩვენთვის საინტერესო სამართლებრივი ურთიერთობის არსის და საზოგადოებრივი ურთიერთობების, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეალურ სოციალურ მოვლენებთან მისი დამოკიდებულების საკითხი. ყველა ეს საკითხი, რომლებიც აქ შეგვხვდება, ჩვენი შემდგომი გამოკვლევის საგანს წარმოადგენს.

§1. ადვილად შეიძლება იმის მიხედვით, რომ ყველა იმ ელემენტადან, რომლებსაც სამართლებრივი ურთიერთობის ცნება მოიცავს, ამ უკანასკნელის სწორი გაგებისათვის გამორჩეული მნიშვნელობა ეძლევა სამართლის სუბიექტის ცნებას. შემდგომში ნათელი გახდება, რომ სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის საკითხი ისევე, როგორც უმნიშვნელოვანესი საკითხი დამოკიდებულებისა, რომელიც სამართლებრივ და საზოგადოებრივ ურთიერთობას შორის არსებობს, დამოკიდებულია იმ მნიშვნელობისაგან, რაც ნების მომენტს სამართლის ცნებაში ენიჭება; მაგრამ ეს მნიშვნელობა მხოლოდ სამართლის სუბიექტის მოძებრებაში იქნება ახსნილი. აქედან ნათელია, რომ ჩვენი ინტერესი თავდაპირველად სამართლებრივი ურთიერთობის სწორედ ამ ელემენტზე უნდა იქნეს კონცენტრირებული.

სამართლის მეცნიერებაში გვხვდება განსაკვიფრებელი სიმრავლე თვალსაზრისებისა, რომლებიც ამ პრობლემის გადაჭრისადმი მიძღვნილი; ამ თეორიების გვერდით, რომლებიც სამართლის სუბიექტის ცნებას სხვადასხვაგვარ აზრს ანიჭებენ, ენახულობთ აგრეთვე ისეთ სახელგანთქმულ მეცნიერებსაც, რომლებსაც ცნება, რომელშიც სამართლის სუბიექტის

სახით არ გვევლინება ფიზიკური პირი, სურთ შექმნან მთლიანად იურიდიული აზროვნების სამყაროდან და “უსუბიექტო სამართლის” არსებობას აღიარებენ. ადვილი მისახვედრია, რომ აზრთა ეს სხვადასხვაობა იურიდიული პირის /der juristischen Persönlichkeit/ პრობლემით არის გამოწვეული.

იმისათვის, რათა პრობლემის გადაჭრის მყარი გზა მოინახოს, აუცილებელია საკითხის სწორი დაყენება; მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ გამოვალთ რამდენიმე უშუალოდ მოცემული სამართლის ფენომენიდან. თუ, ამრიგად, სამართლებრივი მასალა, რომელიც სხვადასხვა კანონმდებლობაში გარკვეულ სტაბილობას იცავს, პრობლემის გამოვლენის საწყისი პუნქტი გახდება, ასეთი იქნება ჩვენთვის დებულება, რომ იმ პიროვნების გვერდით, რომელსაც მომწიფებული და ნორმალური შეგნება და ნების გამოხატვის უნარი /Willensfähigkeit/ აქვს, სამართლის სუბიექტად ვცნობ აგრეთვე მოუწიფებელი ან არანორმალური ფსიქიკური მდგომარეობის ინდივიდი, აგრეთვე ის, ვისაც სრულიად ან ნაწილობრივ აქვს ნების გამოხატვის უნარი, შემდეგ ინდივიდი, რომელსაც რეალური კი არა, მხოლოდ შესაძლებელი არსებობა აქვს და ბოლოს სამართლის ის სუბიექტები, რომლებიც არ არიან ფიზიკური პირები. ყველა ამას ჩვენ უდავოდ ვთვლით, რადგანაც მათი უშუალო გამოხატულება თვითონ პოზიტიურ სამართალში მოიაზრება და ამდენად ეს თეორიული კონსტრუქციების ნაყოფი კი არ არის, არამედ უშუალოდ არის მოცემული და მისგან ყველა თეორია გამომდინარეობს. აქედან ადვილად შეიძლება იმის მიხედვით, რომ მეცნიერული მნიშვნელობა ცალკეული თეორიებისა, რომლებსაც აქ ეხედებით, იმის მიხედვით უნდა შეფასდეს, თუ რამდენად გამომდინარეობენ ისინი თავისი კონსტრუქციით პოზიტიური სამართლის ამ უშუალოდ მოცემული განსაზღვრულობებიდან. ამ აზრით ის თეორია საეჭვო ღირებულებისად მოგვეჩვენება, რომლებიც არსებითად დოგმატური წინამძღვრებიდან გამომდინარე, სახელდობრ, იმ მტკიცებდან, რომ სამართლის სუბიექტი მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს – ან მივიღებდით სრულ უარყოფას იურიდიული პირისა ან, პირიქით, ვაღიარებდით ამ უკანასკნელს რეალურად არსებული ფიზიკური პირების სახით, როგორც რეალურ საკანონმდებლო პირს. ამჟამად, რომ ყოველი ასეთი კონსტრუქცია სერიოზულად უნდა ეწინააღმდეგებოდეს პოზიტიურ სამართალს.

მაგრამ, ჩვეულებრივ, ამ ფაქტში არაკითარ დაბრკოლებას არ ხედავენ პრობლემის თეორიული განხილვისათვის; მაგალითად, მითითებული იყო, რომ პოზიტიური სამართლის განსაზღვრებებს სადავო საკითხის განმარტების დროს ყოველთვის როდი ენიჭება გადაწყვეტი მნიშვნელობა და რომ კანონმდებელი უბრალოდ კი არ აკანონებს წმინდა სამართლებრივ დებულებებს, წმინდა იურიდიულ მასალას, არამედ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში არსებული თეორიების ზეგავლენით შეაქვს თავის ფორმულირებაში ხშირად შესაბამისი დროისათვის გაბატონებული თვალსაზრისები; მაგრამ ამ უკანასკნელს ისეთივე მეცნიერული ღირებულება აქვს, როგორც ყოველ სხვა თეორიას. რომ ყველა ეს მსჯელობა, რომლებიც უეჭველად სწორია in abstracto, ჩვენს მიერ აქ განსახილველად დასმული საკითხის მიმართ არ შეიძლება გამოდგეს, რომ პოზიტიური სამართლის ფორმულირებებში ამ საკითხზე მცირედით კი არ არის “წმინდა თეორიული”, რომ სწორედ სხვადასხვაგვარი თეორიების საწინააღმდეგოდ და ამ უკანასკნელთა შესაბამისადაც (den Verschiedenartigsten Theorien zuwider und vor den Letzteren) კი პოზიტიური სამართალი საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვა კანონმდებლობაში ზემოთ ხსენებულ დუალიზმს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შორის ჯიუტად ატარებდა, ეს ძნელად

შეიძლება გახდეს სადავოდ. მაგრამ ამის საწინააღმდეგოს სისწორის აღიარების შემთხვევაშიც კი ზემოთ ხსენებული თეორიები /ესე იგი თეორიები, რომლებიც იურიდიულ პირს მხოლოდ ფიქტიურ პირად აღიარებს, ერთი მხრივ, და თეორიები, რომლებიც იურიდიულ პირად რეალურად არსებულ ზოგად პიროვნებას განიხილავენ/ ბევრს ვერაფერს იგებს. მათი ნაკლი მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ ისინი პოზიტიურ სამართალს ეწინააღმდეგებიან, არამედ აგრეთვე იმაშიც, რომ თეორიული წანამძღვრები, საიდანაც ისინი გამოდიან, გამოწვლილვითი განხილვის შედეგად უსუსურად გამოიყურება. ქვემოთ შევედგებით ამ საკითხის გაშუქებას.

§2. ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ამ ორი თეორიიდან პირველზე შეეჩერდებით. თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში ეს თეორია პირველად ყველაზე უფრო ნათლად ლასონმა გააშუქა. მის ნაშრომში "Prinzip und Zukunft des Völkerrechts"- ენახულობთ ადგილებს, რომლებიც იურიდიული პირის რეალურად არსებობის თვალსაზრისის დასაბუთებისადნია მიიღწილი: "ჩვეულებრივმა შეზღუდვამ რეალურობის ცნებისა იქამდე უნდა მივიყვანოს, რომ ერთ ნატეს შუა პუნს რეალური არსებობა მიეწერება... მაგრამ შილერის ლექსებზე ან ბეთჰოვენის სიმფონიებზე ამასვე ვერ ვიტყვით, ვინაიდან ისინი, უპირველეს ყოვლისა, ყოველთვის მხოლოდ ანბანური ნიშნების მეოხებით არსებობენ, საიდანაც აღმოჩენილი ამ ნიშნებით აღნიშნული ხმები და სიტყვები ან ტონები შეიძლება ერთად შეკავშირდეს, რომელთა თანმიმდევრობა შილერმა და ბეთჰოვენმა მონახეს. და პოეტს მიეკუთვნება საესებით ჯერ კიდევ ის, რომ მისი ენა გაიგო და მხოლოდ სიტყვებით შესძლო მასში აღნიშნული წარმოდგენების აღქმა, რათა ყოველჯერადი კითხვისას ტექსტის რეალურად არსებობას მიეშველოს, რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს გრძნობადი არსებობა. შეუძლებელია ამ ადგილას უფრო მეტი ითქვას რეალობის ცნებაზე. მაგრამ საკმარისი იქნება შენიშვნა, რომ მორალური პიროვნება იმავე წარით არსებობს, როგორც ფიზიკური პიროვნება. ორივენი არსებობენ როგორც გრძნობადროითი მოქმედებებიდან გამომდინარე გარდაუვალი შედეგები"<sup>1</sup>. ეს იღეა იურიდიული პირის რეალურად არსებობისა გახდა წამყვანი იღეა გერმანისტული ამხანაგობის თეორიის<sup>2</sup> /der germanistischen Genossenschaftstheorie/. მაგრამ ყველაზე უფრო დაწერილებით ეს იღეა დამუშავებული იქნა ოტო გირეეს ნაშრომებში<sup>3</sup>. ამიტომ ხსენებული თეორიის კრიტიკული განხილვისას ნაწილობრივ ამ აეტორის ნაშრომებზეც შეეჩერდებით.

ამ თეორიის საწყისს პუნქტს ქმნის, როგორც თვითონ გირეე ამტკიცებს, "persona fictia-ს ფანტომის საპირისპიროდ წამოყენებული თვალსაზრისის კორპორაციის როგორც რეალური ზოგადი პირისა"<sup>4</sup>

<sup>1</sup> Lasson, Prinzip und Zukunft des Völkerrechts, 1871, S. 128.

<sup>2</sup> Bessler, Volksrecht und Juristenrecht, 1843, S. 158 და ა.შ.; System des Deutschen Privatrechts 3-te Aufl., Bd.I, &66; Bluntschli, Deutsches Privatrecht, 2-te Aufl., &33; Dahn, Vernunft im Recht, S. 160 და ა.შ.

<sup>3</sup> გარდა კაპიტალური ნაშრომის – Das deutsche Genossenschaftsrecht, Bd.I-IV, –რომელშიც მას პრობლემის ისტორიული განვითარება აქვს გადმოცემული, ნახეთ აგრეთვე Die Genossenschaftstheorie und Deutsche Rechtsprechung, 1877; Veriene ohne Rechtsfähigkeit; 2-te Aufl., 1903; Das Wesen der menschlichen Verbände, 1902; Deutsches Privatrecht, I, &58-59; Grundzüge des deutschen Privatrechts (Holtzendorffs Enzyklopädie, 7-te Auflage, 1915, Bd. I, S. 208-218.; Die Grundbegriffe des Staatsrechts und die neuesten Staatsrechtstheorien, 1915.

<sup>4</sup> Die Genossenschaftstheorie, S. 5,25, 136, 143, 174.

ამ მტკიცებიდან გამომდინარეობს ის აზრი, რომ იურიდიული პირი თავისი არსით სუბიექტად აღიარებული რეალური კავშირ-გაერთიანება (verbandseinheit)<sup>5</sup>, რომელიც ინდივიდის მსგავსად სხეულებრივ-სულიერი სიცოცხლის ერთიანობას ქმნის, რომელსაც სურვილი და ნასურვეები შეუძლია განახორციელოს<sup>6</sup>. იურიდიული პირის თვალსაზრისიდან, იქნება ეს კორპორაცია თუ დაწესებულება<sup>7</sup>, რეალური სხეულებრივ-სულიერი არსის შეხედულებიდან გამომდინარე, იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ის ნებისა და ქმედება-უნარიანია, რაც არ არის აგრეთვე მოცლებული ერთიან ზოგად შეგნებას<sup>8</sup> ყველა ეს მტკიცება ემყარება ერთიან, გირკვეს თვალსაზრისის მიხედვით, უდავო ძირითად წანამძღვრებს, რომელთა განმარტებას ამ თეორიის სწორი გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ წანამძღვრებს, რომლებიც როგორც ამისთვის, ისე ფიქციის თეორიისთვისაც საერთოა, ვხედავთ ჩვენ იმ მტკიცებაში, რომ სამართლის სუბიექტად შეიძლება მოგვევლინოს მხოლოდ ფიზიკური, ესე იგი ნების უნარით აღჭურვილი პირი. გირკვე ამ აზრს /რომელშიც იგი საზოგადოდ სამართლის ძირითად იდეას ხედავს<sup>9</sup> ნათლად გამოხატავს, როცა იგი ამბობს: “დღევანდელი ჩვენი სამართლებრივი აზროვნების მიხედვით სამართლის სუბიექტად მიღებული უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანური ნებით აღჭურვილი არსება”<sup>10</sup>. ამ ძირითად მტკიცებასთან კავშირშია სხვა მოსაზრება გირკვისი, რომელიც სამართალსა და “ფაქტიურ საფუძველს” შორის, რომელთანაც სამართალსუბიექტობის თვისება არის დაკავშირებული, არსებობის ურთიერთობას ნახულობს /betrifft/. სამართალსუბიექტობის თვალსაზრისიდან ერთობლივი ცნების აზრით “თავისუფალი ნების უფლებამოსილების სფეროსთან დადგენილი წორმებით”<sup>11</sup> განსაზღვრავს იგი ზემოთ ხსენებულ ურთიერთობას ისე, რომ “სამართალი აღიქვამს მისგანვე პერსონალობით აღჭურვილი რეალური ნების მატარებელს გარედან”<sup>12</sup>; ობიექტური მართლწესრიგის ფუნქცია აშკარადება მხოლოდ სამართალსუბიექტობის თვისების შექმნაში, რომლის დაკავშირება “ფაქტიურ საფუძველთან” სამართლის /des objektiven Rechts/ თავისუფალი შთანთქმის და ამ უკანასკნელით შინაგანი კანონზომიერების მეოხებით კი არა, თვითონ ფაქტების ბუნებით განისაზღვრება; მისი ობიექტური შინაარსის თავისებურების ძალა უკვე თავიდანვე იყო ხელსაყრელი სამართლის სუბიექტისათვის.

ასეთი წანამძღვრების საფუძველზე იღებს გირკვეს მტკიცება იურიდიული პირის რეალური არსებობით არგუმენტირებულ ხასიათს. თუკი ევიდენტური /evidenten/ დებულების აზრით აღიარებული იქნება, რომ მხოლოდ ნებისუნარიანი არსება შეიძლება იყოს სამართლის სუბიექტი, მაშინ სრულიად ბუნებრივად გვევლინება ის შემთხვევა, როცა სამართალსუბიექტობის თვისება არაფიზიკურ პირს მიეწერება, მდგომარეობა, როცა ფიზიკური პირისაგან განსხვავებული, სხეულებრივ-სულიერი არსება დასაშვებია. მაგრამ ასეთი მტკიცების სახე არ შეიძლება მეცნიერულად საიმედო იყოს, ვინაიდან ის თავის

<sup>5</sup> Grundzüge, S. 208.

<sup>6</sup> Das Wesen, S. 12.

<sup>7</sup> Die Genossenschaftstheorie, S. 629 ff.

<sup>8</sup> Ib., S. 627.

<sup>9</sup> Ib., S. 22.

<sup>10</sup> Ib., S23, “Grundzüge”, S. 192.

<sup>11</sup> Ib., S. 22.

<sup>12</sup> Ib., S. 23.

თავში გულისხმობს *petitio principii*-ს. სინამდვილეში გვაქვს კი ის დებულება დასაბუთებული, რომ მხოლოდ ნებისუნარიანი არსება შეიძლება იყოს სამართლის სუბიექტი?

არავის, თვითონ გირკვს ვარდა, არ უჩვენებია, რომ “შესაძლებელია კულტურის განვითარების სხვა საფეხურზე ღვთაებაც და თვით ცხოველებიც კი იქნენ პერსონიფიცირებული” და რომ “ყოველთვის დასაშვებია, რომ მართლწესრიგმა უსულო საგნებსაც: მიწის ნაკვეთს, ქონების ერთიანობას, დოკუმენტს და ა.შ. პიროვნული თვისებები მიანიჭოს”<sup>13</sup>. მაგრამ ასეთ შემთხვევებს გირკვ არანორმალურ გამონაკლისებად მიიჩნევს: თანამედროვე მართლმეტყველების თეოლოგის საფუძველზე სამართლის სუბიექტად შეიძლება მიჩნეული იქნეს “მხოლოდ ადამიანური ინდივიდი და ადამიანური კავშირები” და მხოლოდ მაშინ, როცა ეს მოთხოვნა განხორციელდება, შეიძლება სამართალი “თავის იდეასთან თანხმობაში აღმოჩნდეს”. მაგრამ რა საფუძვლით უნდა ჩაითვალოს სამართლის იდეის შესაბამისად სწორედ ის, რაც თანამედროვე მართლმეტყველებას ეთანხმება, ეს ჩვენი ავტორის ნაშრომებში სრულიად თავსატეხად რჩება. ჩვენი აზრით, თვითონ ასეთი იდეის არსებობა სრულიად პრობლემატურია; სამართლის არსის დასახსიათებლად გვევლინება არა იდეის ცნება სამართლებრივი რეგულირების კონკრეტული შინაარსის აზრით, არამედ თვითონ რეგულირების ფუნქცია; თანაც სამართლებრივი კატეგორიების დაკავშირება განსაზღვრული სახის ფაქტიურ მოვლენებთან “იდევით” კი არა, კონკრეტული სამართლებრივი სისტემის მიერ განისაზღვრება.

მაგრამ ამისაგან სრულიად დამოუკიდებლად ნათელია, რომ მტკიცების მიმართულება, რომელსაც ჩვენ ამ საკითხში გირკვს ნააზრევში ვნახულობთ, არ შეიძლება უნაკლოდ ჩაითვალოს; ნაცვლად მტკიცებისა, რომ სამართლის სუბიექტის ნებისუნარიანობა საზოგადოდ წარმოშობს იურიდიული პირის რეალურ არსებობას, გირკვს ჯერ სწორედ მისი რეალური არსებობა უნდა დაესაბუთებინა და მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა გამართლებული სამართლის სუბიექტის ნებისუნარიანობის აუცილებლობის მტკიცება. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვნახულობთ გირკვს ნააზრევში იმ დებულების დასაბუთებას, რომ იურიდიულ პირს რეალური არსებობა აქვს სხეულებრივ-სულიერი არსის თეოლოგის; გულდასმითი და დაწვრილებითი ანალიზის ნაცვლად იგი საკმარისად თელის მოკლე მითითებებს იმაზე, რომ მოსაზრება – “ჩვენი გრძობადი აღქმა გვიჩვენებს მხოლოდ ცალკეულ ადამიანს” – არ გვევლინება საკმარისად იურიდიული პირის რეალურ არსებობაში დასაბუთებლად, ვინაიდან “ჩვენ ხომ მაშინაც არ დავეჭვდებით, რომ დედამიწას ბურთისმაგვარი სხეული აქვს, თუნდაც მხოლოდ მისი სულ მცირე ნაწილაკიც აღვიქვათ უშუალოდ”<sup>14</sup>.

მაგრამ ეს მითითებები არ გვეჩვენებს სარწმუნოდ. რასაკვირველია, ჩვენ ვუშვებთ რეალურ არსებობას იმ შემთხვევაშიც კი, როცა შესაბამისი მოვლენა უშუალოდ აღქმადი არ არის; მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ იმ შემთხვევაში, როცა უშუალო აღქმად გვაკვლია, ჩვენთვის უცნობი მოვლენის არსებობა ყოველთვის და აუცილებლად ივარაუდება. უშუალო აღქმადობის არარსებობას იმ შემთხვევაში, როცა შესაბამისი მოვლენის ობიექტური არსებობა მაინც დასაშვებია, შეგვცნების სხვა საშუალებები უნდა დაემატოს, თუმცა ასეთი დამატების დროს უშუალოდ მოცემულის

<sup>13</sup> Genossenschaftstheorie, S. 23.

<sup>14</sup> Das Wesen, S. 17,19.

ანალოზი ყოველთვის უნდა იყოს საწყისი პოზიციად მიღებული. მაგრამ სადაც ეს პირობა გვაკლია, როგორც ეს ამ შემთხვევაშია, შესაბამისი საგნის რეალური არსებობის წინამძღვარი სრულიად დაუსაბუთებელი გვევლინება.

მაგრამ მაშინაც კი. თუკი ზემოთ მოტანილი კრიტიკულ შენიშვნებს არ მივიღებთ მხედველობაში, თუკი, ამრიგად, ამ თეორიის მიხედვით იურიდიული პირის რეალური არსებობის მტკიცებას დაიწყებთ, ის მაინც არ მოიპოვებს არაერთარ მნიშვნელობას სამართლის მეცნიერებისათვის. იურიდიული პირის არსებობა სხვადასხვა ფორმებშია მოცემული; აქედან ცხადია, რომ თეორიის ღირებულება აქ იმზუა დამოყიდებული, რამდენად შეიძლება მის საფუძველზე ახსნილი იქნეს იურიდიულ პირთა მრავალფეროვნება ისევე, როგორც ძირითადი სამართლებრივი თვისებები, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს. მაგრამ ამ მიმართებით გირეეს თეორია სრულიად შეუსაბამოდ გვევლინება; სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა მოგვევლინოს შეგნებითა და ნების უნარით აღჭურვილი კოლექტივი, რომელიც ამ თეორიის მიხედვით იურიდიული პიროვნების არსს ქმნის. ერთ შემთხვევაში, მაგალითად, კორპორაციის, ხოლო მეორეჯერ დაწესებულებების ფორმით. სამართლებრივი განსხვავებანი, რომლებიც იურიდიულ პიროვნებათა ძირითად ფორმათა შორის არსებობს და სამართლის მეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, სრულიად აუხსნელი რჩება რეალური *საერთო* პიროვნების თეორიის საფუძველზე.

ჩვენ აქ ნათქვამით დაკმაყოფილდებით. იქიდან, რაც ზემოთ იყო მოტანილი, ჩვენნი აზრით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს თეორია უვარგისია იურიდიული პირის პრობლემების გადაჭრისათვის.

§3 ახლა გადავიდეთ სხვა თეორიაზე, რომელიც იმავე საკითხს ეძღვნება, – ეს გახლავთ ფიქციის თეორია. ეს თვალსაზრისი საპირისპიროა იმისა, რაც ზემოთ იყო გადმოცემული. მაგრამ დაწერილებითი განხილვისას ადვილად შეინიშნება სრული იდენტურობა საწყისი პოზიციებისა, საიდანაც ისინი გამომდინარეობენ; ჩვენ ენახულობთ როგორც აქ, ისე იქ ყოფიერების ცნების დოგმატურ გათანაბრებას საზოგადოდ რეალური ყოფიერების ცნებასთან; როგორც აქ, ისე იქ პრინციპი იქიდან გამომდინარეობს, რომ სამართლის სუბიექტად შეიძლება მოგვევლინოს მხოლოდ რეალური ინდივიდი. მაგრამ იდენტურობა საფუძვლებისა და, ასე ვთქვათ, გნოსოლოგიური წინამძღვრებისა ხელს არ უშლის ამ თეორიებს მოგვეცენ იურიდიული პიროვნების სრულიად განსხვავებული კონსტრუქცია.

ჩვენ შეგვიძლია აქ გვერდი აუვაროთ ამ თეორიის ისტორიულ განვითარებას<sup>15</sup>; შევიჩრდებით მხოლოდ იმ ფორმებზე, რომლებშიც ამ თეორიამ თავისი გამოხატულება ნახა თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში. მაგრამ ეს ფორმები ყოველთვის როდი ავლენენ ერთსა და იმავე ხასიათს. მაშინ, როცა ისინი ერთგული რჩებიან ამ თეორიის ძირითადი დებულებებისადმი, ცალკეული მოძღვრებები სულ სხვადასხვა დასკვნებამდე მიდიან როგორც ფიქციის ლოგიკური არსის საკითხზე საზოგადოდ, ასევე აგრეთვე იმ პრაქტიკულ და თეორიულ მოტივებზეც, რომლებიც იწვევენ მათ გამოყენებას თეორიასა და კანონმდებლობაში. ამიტომაც გვინდა ჩვენ აქ არა მხოლოდ საყოველთაო, ესე იგი ამ

<sup>15</sup> ამისათვის ნახ. O.Gierke, das deutsche Genossenschaftsrecht, B. III, S. S. 103-105, 107, 139-140, 278, 279, 363 ff; 425-435, 676, 681, 726, 732 ff; Ihering, Geist des römischen Rechts, I, S. 176, ff, 186, II, S. 366, III, S. 216, 299, 325, 541, ff; Zwek im Recht, I, S. 454-55.

თეორიის ყველა წარმომადგენლის მიერ აღიარებული პრინციპების განხილვა, არამედ შევეხებით აგრეთვე ამ თეორიის ძირითადი იდეის ნიუანსებსაც ცალკეული ავტორების ნაწერებში. ამ უკანასკნელთაგან უპირველეს ყოვლისა, შეგვირდებით რ.იერინგის მოძღვრებაზე.

იურიდიული პიროვნების ცნების უარყოფას რ.იერინგის ნაწარეში აქვს, ასე ვთქვათ, შებლდული ხასიათი, ესე იგი ის ამ ცნების მთლიანად ამოღებას კი არ ცდილობს იურიდიული პიროვნების სამყაროდან, არამედ მისი მნიშვნელობა სამართლებრივ პრაქტიკაში ტექნიკურ საშუალებამდე დაკავს. რ.იერინგის მიხედვით “სამართლის სუბიექტი არის ის, ვისაც კანონით მისივე სარგებლობა მიეწერება” /“Subjekt des Rechts ist der, dem der Nutzen desselben vom Gesetz zugeordnet ist (der Destinatar)”<sup>16</sup>: ამ თვალსაზრისით სამართლის სუბიექტად შეიძლება მხოლოდ ფიზიკური პირი მოგვევლინოს. ამ პრინციპიდან გამომკავს მას მტკიცება, რომ “იურიდიული პირი კი არაა, როგორც ასეთი, არამედ კოლექტივის ცალკეული წევრები არიან ჭეშმარიტი სამართლის სუბიექტები, ის არის გარეგნულად მოძრავი საკუთრივ გამოვლენებისა და გამუალებების ფორმა მისი სამართლებრივი ურთიერთობისა გარე სამყაროსთან; ბრუნვისათვის შინაგანად ამ ფორმას არცთუ მცირე მნიშვნელობა აქვს, აქ ცალკეული უფლების თვალსაზრისი აგრეთვე ფორმალურად სრულ მნიშვნელობას იძენს”<sup>17</sup>.

ამ მტკიცებათა კრიტიკული შეფასების დროს, უპირველეს ყოვლისა, იმაზე უნდა მივეთითოთ, რომ არცერთი მათგანი არ შეესატყვისება სინამდვილეს. ასე, მაგალითად, ახლა ძნელად თუ ვინმე დაუჭვდება იმაზე, რომ იურიდიული პირის სამართლებრივი სტრუქტურა განსაზღვრულ ზემოქმედებას ახდენს აგრეთვე “მოძრაობაზე შიგნით”, რომ ის, როგორც წევრების სამართლებრივ მდგომარეობას, ისე ურთიერთობასაც, ესე იგი უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს, რომ ის, ამრიგად, თავისი სამართლებრივი არსით არ შეიძლება გაითქვიფოს ცალკეული წევრების ან მათი ერთობლიობის უფლებამოსილებაში, არამედ აქვს მათგან დამოუკიდებელი არსებობა<sup>18</sup>. ყოველივე ამას ადვილად დავასაბუთებთ, თუკი თვალსაჩინოს გავხვდით, რომ ბევრ შემთხვევაში თვითონ იურიდიულ პირს ისეთი უფლებები აქვს, რომლებიც მის წევრებს საერთოდ არ გააჩნია.<sup>19</sup>

ყველა ეს მოსაზრება მოგვკავს სამართლებრივი სინამდვილის იერიანისეული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ. მაგრამ ასეთი მოსაზრებანი იმდენადაა არასაკმარისი, რამდენადაც ფაქტების თვალსაზრისის კრიტიკამ თვითონ ამ თეორიის გული კი არა, უმეტესად მხოლოდ მისი “ნაჭუჭი”, ესე იგი მოვლენების მიმართ მისი გამოყენება შეიძლება გვიჩვენოს. ამიტომაც ჩვენი ყურადღება უპირატესად ამ თეორიის ძირითად დებულებაზე უნდა გადავიტანოთ. ერთ-ერთ ძირითად დებულებაზე ჩვენ უკვე მივეთითეთ, სახელდობრ, იმ დებულებაზე, რომ სამართლის სუბიექტად შეიძლება მოგვევლინოს მხოლოდ რეალური ინდივიდი; იურიდიულ პირს არა აქვს რეალური არსებობა. და, თუკი ის მაინც გვევლინება სამართლის სუბიექტად, მაშინ ეს ხდება იურიდიული ფიქციის მეშვეობით, ესე იგი პოზიტიური სამართლის მხრივ

<sup>16</sup> Geist, III, S. 325, zweite Auflage.  
<sup>17</sup> Geist, III, S. 345; Zweck im Recht, 2-te Auflage, I, S. 469 ff.  
<sup>18</sup> Dernburg, Pandekten, I, S. 140 f; Gierke, die Genossenschaftstheorie, S. 222 ff; Laband, Beiträge zur Dogmatik der Handelsgesellschaften (Zeitschrift f.d. Gesamte Handelsrecht, XXX, S. 469-470.  
<sup>19</sup> ასე, მაგალითად, Feiner, Institutionen d. deutschen Verwaltungsrechts, 1919, S. 100, Anm.1.

იურიდიული პირის ისეთი გაგების დაშვების მეოხებით, თითქოს მისი სახით მოცემული გეკონდეს ნამდვილი სამართლის სუბიექტი.

პირველი საკითხი, რომელიც აქ წამოიჭრება, ისეთ მეცნიერულ საფუძვლებს ეყარება, რომლებითაც ასეთი “თითქოს” იურიდიული აზროვნება შეიძლება გამართლებული იქნეს. ამ საკითხში ფიქციის თეორიის მთავარი წარმომადგენლები სხვადასხვა დასვენებამდე მიდიან; ჩვენ აქ მხოლოდ იმ ძირითად მომენტებს დავადგენთ, რომლებიც ამ წარმომადგენლებს ერთმანეთისაგან განასხვავებს. საჭიროდ ვთვლით აგრეთვე აქ, უპირველეს ყოვლისა, იერინგის თეალსაზრისზე შეჩერებას.

იერინგი ფიქციას მიიჩნევს “იურიდიული ეკონომიის” საშუალებად: ამ უკანასკნელ ტერმინში იგი გულისხმობს კანონს ლოგიკური მომჭირნობისა, რომელიც იურიდიული ტექნიკის ძირითად პრინციპს ქმნის<sup>20</sup>, ან ხელოვნებას “მოხერხებულად მოიშველიოს მოცემული” “ახალი აზრები ან ახალი მიზნები და საჭიროებანი, რომლებსაც განათლების პროგრესი და მოძრაობის განვითარება მოაქვს, შეძლებისდაგვარად მოცემული საშუალებით ამოქმედოს”<sup>21</sup>.

სამართლის მეცნიერებაში, იერინგის აზრით, ფიქცია ასრულებს ორ არსებითად განსხვავებულ ამოცანას; ამით თვითონ ფიქციები იყოფა ორ განსხვავებულ ჯგუფად: ისტორიულ და დოგმატურ ჯგუფებად.

პირველი სახის ფიქციის მიზანი მდგომარეობს იმ სიზნელების შემსუბუქებაში, “რომლებიც დაკავშირებულია მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი სამართლებრივი დებულებების მიღებასა და გარკვეულებასთან. შესაძლებლობაში, რომ ტრადიციული მოძღვრება ფორმალურად მთლიანად დაეტოვოთ მისი ძველი სახით იმის გარეშე, რომ ახალი სახით პრაქტიკულად მისი სრულად მოქმედება ამით რაღაცაგვარად შეეაფერხოთ (zu Verklummern)”<sup>22</sup>. ამ თეალსაზრისით გაგებული, ისტორიული ფიქციები გამოხატავენ თავისებურ სახეს “ისტორიული პროგრესის ფორმალური კავშირისა ახლისა ძველთან”<sup>23</sup>. რომ ასეთი ფიქციების საშუალებით მეცნიერული შემეცნება სამართლებრივი მოვლენებისა არ შეიძლება მიღწეულ იქნეს, რომ მათი გამოყენება აქ განპირობებულ არის მეცნიერების მოუძწიფებლობის გამო, მისი უუნარობის გამო. გაიგოს სამართლებრივი ურთიერთობების ახალი ფორმები და მათ მეცნიერული ახსნა მისცეს, ეს ყველაფერი იერინგის მიერ იქნა დასაბუთებული<sup>24</sup> აქედან ადვილი გასაგებია, რომ ჩვენი მიზნისათვის, ესე იგი იმ საკითხების ახსნის დროს, რომლებიც დაკავშირებულია სამართლის მეცნიერულ შემეცნებასთან, ისტორიული ფიქციები სრულიად უმნიშვნელოა.

ამასვე ვერ ვიტყვით ეგრეთ წოდებულ დოგმატურ ანუ, როგორც ამბობენ ხოლმე,

<sup>20</sup> Geist, III S. 236.

<sup>21</sup> ib. 237-238.

<sup>22</sup> ib. 296.

<sup>23</sup> ib. 297.

<sup>24</sup> სახეთ, მაგალითად, Geist, III-1, 296-მამინ, როცა ის /ესე იგი ფიქცია/ სიმნელს ვეერლს უელის, ნაცლად იმისა, რომ ვალპრას, ამით მისთვის დამახასიათებელია, რასაკვირველია, მეცნიერულად არასრულყოფილი ფორმა ამოყანის ვადაქმნისა – იგი იმსახურებს იმავე სახელს, რასაც მოქმედებითი საქმე, ტექნიკურად აუცილებელი სურვე... გვ.297. “... მეორე მხრივ, ცხადია ყოველ ფიქციამი, ენიადან ის არასრულყოფილი საშუალებაა, მოუყვლია მეცნიერებისათვის გაფრთხილება, რომ ის შესძლებისდაგვარად მალე შეიკალოს სრულყოფილ საშუალებით. გვ.299.”... მას შემდეგ, რაც მეცნიერება მას /ესე იგი ახალ სამართლებრივ ურთიერთობებს/ შეიკრბდა იმად, რაც ის არის, ამით ფიქციის სტატუსი დაძლეული იქნა”. სახეთ აგრეთვე Unger, Die Verträge Zugunsten Dritter, S. 10-11 (Unger's Lehrbücher.X).



თეორიულ<sup>25</sup> ფიქციებზე. ამ უკანასკნელ არ მიეწერება მხოლოდ წმინდა პრაქტიკული დაუფლების საშუალების მნიშვნელობა ახლად აღმოცენებული სამართლებრივი ურთიერთობებისა ძველი, უკვე ჩამოყალიბებული ცნების ჩარჩოებში, არამედ მას აქვს სამართლის მეცნიერული დაქმნაების საშუალების მნიშვნელობა.

უნდა შევნიშნოთ, რომ თვითონ იერინგს ღოგმატური ფიქციის თეორიული მნიშვნელობის საკითხისათვის არავითარი დეტალური ანალიზი არ გაუკეთებია; მხოლოდ გაკვირით აღნიშნავს ის, რომ მისი ფუნქცია ისტორიული ფიქციისაგან განსხვავებით არ მდგომარეობს ახალი სამართლებრივი დებულების აქამდე არსებულ სამართალთან დაკავშირების შემსუბუქებაში, არამედ იურიდიული წარმოდგენის შემსუბუქებაში. მაგრამ იერინგის ნაზრევები სრულიად ღიადა ის საკითხი, თუ როგორ უნდა გაიგოთ კონკრეტულად ეს მნიშვნელობა, ესე იგი რაში უნდა გამოიხატოს იურიდიულ წარმოდგენის ეს შესუსტუქება. თუკი ჩვენ შევეცდებით ავტორის ჭეშმარიტი აზრის /die wahre Intention/ აღმოჩენას, ალბათ იმ დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ, რომ იერინგს ამ გამოთქმით ფიქცია სამართლის შემეცნების მეცნიერული საშუალების აზრით სურდა გაეგო<sup>26</sup>. ზუსტი აზრი გამოთქმისა – “იურიდიული წარმოდგენის შემსუბუქება” – სამართლის თეორიული შემეცნების ფორმებსა და საშუალებებზე კი არ მიგვანიშნებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმ ცოდნის დაუფლების შემსუბუქების საშუალებაზე, რომელიც მეცნიერების მიერ არის მიღწეული. ამ თვალსაზრისით გაგებული, ფიქციის ცნებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სამართლის მეთოდოლოგიის და სამართლის შემეცნების საკითხებისათვის; ხის კუბიც და ბურთულაც ხომ /die Holzkuben und Kugeln/ ემსახურება “გეომეტრიული წარმოდგენის” შემსუბუქებას, მაგრამ არავის მოუვა აზრად შესაბამისი მეთოდები თვალსაჩინო სწავლებისა გეომეტრიის მეცნიერებაში თვითონ შემოიღოს.

სხვაგვარად ესმით ფიქციის აზრი და მეცნიერული მნიშვნელობა ამ თეორიის სხვა წარმომადგენლებს. ამ უკანასკნელთათვის ფიქცია გვევლინება სამართლის შემეცნების არა მხოლოდ პრაქტიკულ, არამედ თეორიულ საშუალებად. და მანც ჩვენ ვერ ვხედავთ აქ თანხმობას ცალკეულ ავტორთა მოსაზრებებს შორის.

ერთი მხრივ, ვხვდებით ჩვენ აქ შეხედულებას, რომელიც სამართლებრივი ფიქციის ცნების მნიშვნელობას იმაში ხედავს, რომ ის სამართლის ცალკეული საკითხების განხილვის დროს “რალაც ბუნებრივს და მიზანშეწონილს” წარმოადგენს. ასეთია, მაგალითად, ვინდშაიდის აზრი. მაშინ, როცა იგი ამ სამართლებრივი წარმონაქმნის იურიდიული კონსტრუქციის შესაძლებლობას განიხილავს, რომელშიც სამართლის სუბიექტს არ წარმოადგენს ფიზიკური ინდივიდი, ხედავს იგი “ხსენებული პირის აღიარებით

<sup>25</sup> Unger, Die Vorfrage Zugunsten Dritter, S. 9, Anm.12.  
<sup>26</sup> ეს მტკიცება აგრეთვე იმ მსჯელობებისა, რომლებსაც მისი ნაშრომის სხვა ადგილას იურიდიული შემეცნებისა და მისი მეთოდის გამო ენახულობთ. შეად. მაგალითად, Geist II. გვ. 296, “იურიდიული მეთოდი სამართალში რაღაც გარეგან მეტანილი კი არ არის, არამედ შინაგანი აუცილებლობით თვითონ სამართლის მოვხებით დადგენილი სამართლის ბატონობის პრაქტიკულად გარანტირებული ერთადერთი სფეროა”. გვ.321; “იურისტულსკისს მეუძლია მოახდინოს ზოგადის შიხლოდ აბსტრაქტირება, ესე იგი გამოავლინოს ის. რაც არის, მაგრამ მას არ შეუძლია შექმნას”. ყოველივე ეს აშკარად ეწინააღმდეგება იმ მტკიცებას, რომ ფიქცია სწორედ რაღაც “სამართალში გარეგან მეტანილი”. რომელსაც სამართლის თეორიული შემეცნების საშუალების მნიშვნელობა აქვს.

უსუბიექტო უფლებების სუბიექტს როგორც რაღაც ბუნებრივსა და მიზანშეწონილს<sup>27</sup>. ამ თვალსაზრისის დაწერილობითი განხილვის დროს ადვილი შესაძენვეია, რომ ის გამოხატავს გარდამავალ საფეხურს ფიქციის მნიშვნელობის წმინდა პრაქტიკულ და თეორიულ თვალსაზრისებს შორის, მაგრამ სწორედ ეს განუსაზღვრელობა ართმევს მას მეცნიერულ ღირებულებას, სინამდვილეში ის ორი ცნება, რომლებითაც ვინდშიდი ფიქციის უპირატესობას გამოხატავს, არ მიუთითებენ მათი გამოყენების მეცნიერულ დასაბუთებაზე სამართლის მეცნიერებაში; ლოგიკური თვალსაზრისის მიხედვით არ არსებობს ბუნებრივი ან მიზანშეწონილი, არამედ არის მხოლოდ ჭეშმარიტი ან მცდარი მსჯელობები. აქედან ბუნებრიობა ან მიზანშეწონილობა მსჯელობისა სრულიადაც არ გამოხატავს მის ლოგიკურ ღირებულებას. ფიქციის თეორიის სხვა წარმომადგენელთა ნააზრევში ვხვდებით ჩვენ ფიქციის მეცნიერული მნიშვნელობის სხვაგვარ გაგებას, რომლებიც მის გამოყენებაში ვერ ხედავენ მხოლოდ რაღაც მიზანშეწონილს, არამედ ამ გამოყენებას ლოგიკური აუცილებლობის ხასიათს მიაწერენ<sup>28</sup>. წმინდა გარეგანი სახით ფიქციის თეორიული ფუნქცია გარკვეული სამართლებრივი მოვლენების ახსნის აზრით “აღინიშნება იურიდიული პარალელის მეოხებით. ... ცნობილ სამართლებრივ სიდიდესთან გათანაბრებით”<sup>29</sup>. მაგრამ ყოველი გათანაბრება, რომელსაც ჩვენ სამართლის სფეროში ვხვდებით, თავისთავად არ უნდა წარმოადგენდეს ფიქციას; რასაკვირველია, ფიქცია შეიძლება შეიცავდეს თავის თავში ასეთ გათანაბრებასაც, მაგრამ, როგორც სწორად შენიშნავს იერიზგი, “დამახასიათებელია ფორმა, რომელშიც იგი მას გადმოსცემს და მიზანი, რომლის გამოც იგი ამას აკეთებს. ნაცვლად სამართლის ნორმის ისე გაფართოებისა, რომ ურთიერთობა, რომელზედაც ის უნდა გავრცელდეს, ამ ნორმის მოქმედების სფეროში მოხვდეს, ხდება პირიქით, ურთიერთობა ნაძალადეგად /in gewaltsamer Weise/ ისე ვიწროვდება (so gepresst), რომ იურიდიულ წარმოდგენას წაყენოს მოთხოვნა, იგი ისეთი ფორმით მოეიზაროთ, რაც მისთვის არის დამახასიათებელი...”<sup>30</sup>.

ასეთსავე მოსაზრებას გამოთქვამს აგრეთვე ბირლინგი, როცა იგი ამბობს, რომ “გათანაბრება (gleichsetzung) მხოლოდ მაშინ არის ფიქცია, როცა მასში ამავე დროს ძვეს მოთხოვნა, რაღაც როგორღაც სხვაგვარად იქნეს გააზრებული, ვიდრე ის სინამდვილეში არის”<sup>31</sup>. ამ თვალსაზრისით გაგებული, ფიქცია იქნება აუცილებელი დამხმარე საშუალება, რომლის გამოყენება სამართლის ცალკეული პრობლემების დამუშავების დროს რაღაც შემთხვევით, ჩვენს *შეხედულებაზე* დამოკიდებულ მოვლენად კი არ წარმოგვიდგება, არამედ ობიექტურად საავალდებულო საშუალებად<sup>32</sup>; მისი გამოყენება გვეხმარება ჩვენ იურიდიული ცნებების ადვილად გადმოცემისათვის, ამ უკანასკნელთა დასაყავშირებლად ახალ ჭეშმარიტებათა

<sup>27</sup> Windscheid, Lehrbuch des Pandektenrechts, 4-te auf. I, S. 124, Anm. 5.

<sup>28</sup> Arndts, Lehrbuch der Pandekten, 7-te auf., §. 21, Anm. 1, S. 465, anm. 1; Neuner, Wesen und Arten der Privatrechtsverhältnisse, S. 105 ff; Witte, Erörterungen zum Recht der akzievereine, Zeitschrift f. Handelsrecht, VIII, S. 8-11.

<sup>29</sup> Unger, die Verträge zugunsten Dritter, S. 11, Demselben, Die Rechtsfiktion in ihrer geschichtlichen und dogmatischen Bedeutung, S. 82 ff.

<sup>30</sup> Lehning, Geist, III, 1, S. 298.

<sup>31</sup> Bierling, Kritik, II, S. 85-86.

<sup>32</sup> Unger, ib. S. 10.

მოძებნასთან და ბოლოს ის “ნათელ შუქს ქვენს ბევრ მოვლენას”; აქედან გვევლინება ის “ხელსაყრელ დამხმარე საშუალებად იურიდიული აზროვნები-სათვის”<sup>33</sup>. იმ საყვედურს, თითქოს ფიქციის დაშვება და გამოყენება მეცნიერების არსს ეწინააღმდეგება, საფუძვლიანად პასუხობენ ამ თეორიის წარმომადგენლები, რომ ფიქციები ზუსტ მეცნიერებებშიც, როგორც ამა, მაგალითად, ნატრონომია ან წმინდა მექანიკა, ფართოდ გამოიყენება, ასე რომ, სამართალმცოდნეობა ამ თვალსაზრისით რაიმე გამონაკლისს არ წარმოადგენს. ამ თეორიის კრიტიკული განხილვა მოითხოვს ფიქციის ლოგიკური არსის ზუსტ განმარტებას საზოგადოდ. მისი წარმომადგენლებიც, როგორც უკვე ვთქვით, იძლევიან მხოლოდ გარეგნულ აღწერას ფიქციისა, მაშინ, როცა ამ უკანასკნელის ლოგიკური ბუნება მათი მხრივ სრულიად ხელუხლებელი რჩება. სპეციალურ ლოგიკურ ლიტერატურაში ეს საკითხი ყველანაირად უფრო დაწვრილებით ვუნდტმა განიხილა. თავისი ლოგიკის მესამე ტომში განასხვავებს იგი ორ სხვადასხვა შემთხვევას ფიქციის გამოყენებისა: შემთხვევა, როცა ფიქცია გამოიყენება იმ მოვლენათა მიმართ, რომლებიც სამართლის ერთსა და იმავე დარგს მიეკუთვნება, და შემთხვევა, როცა ის სამართლის სხვადასხვა დარგის მოვლენებს შეეხება. ორივე შემთხვევაში, ვუნდტის მიხედვით, ფიქციის ლოგიკური არსი შემდეგნაირად გამოიხატება: “თუკი განსაზღვრული მყარი ნორმების მეოხებით რეგულირებულ სამართლებრივ შემთხვევას ახალი მიემატება, რომლის მიმართაც დასახლებული ნორმების გამოყენება გესურს, მაშინ, მყარად რომ ვთქვათ, ლოგიკურად აუცილებელი იქნებოდა, შეგვექმნა ერთი გენერალური ცნება, რომელიც ორივე შემთხვევას მოიცავდა, და შემდეგ მათ მიმართ უკვე განზოგადოებული ნორმები გამოვიყენებინა. ნაცვლად ამ გართულებული ხერხისა, ვირჩევთ უფრო მარტივ სუბსუმციას /subsumtion/ უკვე ნორმირებულ შემთხვევათა შორის, რაც მარტივი იმით ხდება, რომ პირველ შემთხვევას ფიქტიურად უთანაბრდება (identisch gesetzt wird) მეორე. ამ თვალსაზრისით ფიქცია, ამრიგად, სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ რამდენიმე სახის სუბსუმცია / subsumtion/ ადგილას ერთი საერთო მნიშვნელობის ქვეშ მოყვანილი დაქვემდებარება ერთი სახის დაქვემდებარებას მეორესთან ათანხმებს /Koordinieren/, რასაც, ბუნებრივია, მხოლოდ ახლებური ახსნა შეუძლია მოახდინოს. ეს დაქვემდებარება /subsumtion/ თეორიული აზრით არის არა ნამდვილი, არამედ “ხელოვნური” /“fingierte”/, ესე იგი ის არის მხოლოდ მხედველობაში მისაღები პრაქტიკული სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, მაგრამ არა თავისთავად როგორც შესაბამისად განხილული”<sup>34</sup>

ზემოთ აღნიშნული სუბსუმციის /subsumtion/ პრაქტიკული მნიშვნელობის მითითების შემდეგ ვუნდტი ეხება ფიქციის მნიშვნელობის საკითხს იმ შემთხვევაში, როცა ის, ერთი მხრივ, სამართლის სხვადასხვა დარგის მოვლენების მიმართ გამოიყენება, ხოლო, მეორე მხრივ, იმ თვალსაზრისის მეცნიერული საფუძვლიანობის საკითხს, რომელიც ფიქციას საზოგადოდ არა მარტო პრაქტიკულ, არამედ აგრეთვე თეორიულ მნიშვნელობასაც მიაწერს. იგი ამბობს: “მაგრამ ჯერ კიდევ სრულიად სხვაგვარადაა საქმე სამართლის ერთი სფეროდან მეორეზე იმ გადატანისას, რომლის მიზანი საზოგადოდ არ არის სხვადასხვაგვარი, როგორცაა მონათესავე ფაქტების ერთიანი სამართლის ნორმის დაქვემდებარებაში მოქცევა, და რომელსაც შესაბამისად არავითარი პრაქტიკული, არამედ

<sup>33</sup> Bierling, ib. S. 89, Unger, ib & S. 10.

<sup>34</sup> Wundt, Logik, III, Logik d. Geisteswissenschaften, S. 601.

წმინდა თეორიული ტენდენცია აქვს, რომ სამართლებრივი წარმონაქმნი ნაკლებად ცნობილიდან ცნობილი თვისებით უნდა აიხსნას... ზოგიერთი იურიისტი სწორედ მართო ამ თეორიული შემეცნების მომსახურე ფიქციაში ხედავს უფრო ღირებულს და იმ სამართლებრივ ნორმებზე დამყარებულ ფაქტიურ ისტორიულ გადატანის მიმართ, რომელიც გადატანის პროცესის შემდეგ შეიძლება გაქრეს, მუდმივ სიდიდეს. ღირებულებათა ასეთი შეფასება ხდება მაინც ორ დაბრკოლებას, ერთს გარეგანს და ერთს შინაგანს... უპირველესად ცნების დაქვემდებარება /subsumtion/ რჩება იმ ცნების ქვემოთ, რომელიც სინამდვილეში სრულიადაც არ არის მასზე ზევით მდგომი, არამედ ან გვერდზე მდგომია, ანდა საზოგადოდ სხვაგვარ ცნებებს მიეკუთვნება, ყოველთვის წარმოადგენს თეორიულად ნაკლოვან მოვლენას, რომელიც რაიმე პრაქტიკულ უპირატესობას ვერ მოიპოვებს... წმინდა თეორიული ინტერესით არასოდეს არ შეიძლება გამართლებული იქნეს<sup>35</sup>. “მაგრამ ფიქცია – ამბობს რამდენიმე გვერდის შემდეგ ვუნდტი, – რაც უფრო მეტად იქცევა ფილოსოფიურ დამხმარე საშუალებად, მით უფრო კარგავს ის იურიდიული მეთოდის მნიშვნელობას, როგორც ასეთი ის ამიტომაც დღეისათვის ჭეშმარიტად მხოლოდ ჯერ კიდევ აღიარებულია ყოველი პრაქტიკული შემთხვევის გადატანისათვის სამართლებრივი რეგულირების ამა თუ იმ დარგის შიგნით, და აგრეთვე აქაც მხოლოდ შეზღუდულ პირობებში, რომ ის განხილული იქნება გამართლებული ლოგოკური დაქვემდებარების /subsumtion/ აქტად, მაგრამ რომლის თეორიული საჭიროება არასოდეს არ წარმოიშობა, ვინაიდან ის სინამდვილეში ყოველთვის ყალბი დაქვემდებარება /subsumtion/ არის”<sup>36</sup>.

ყველა ეს მსჯელობა, ჩვენი აზრით, საკვებით სწორად გამოხატავს ფიქციის მეცნიერულ მნიშვნელობას საზოგადოდ, თუ რამდენად გამოსადეგია ის თეორიულ დამხმარე საშუალებად სამართლებრივ საკითხების დამუშავების დროს. ანალოგია, რომელსაც ავლებს ამ თეორიის ზოგიერთი წარმომადგენელი იურიდიულ ფიქციასა და სხვა მეცნიერების წინამძღვრებს შორის, სრულიადაც ვერაფერს გვიშველის, ვინაიდან აქ სინამდვილეში არავითარი ანალოგია არ არსებობს. ამაზე ვუნდტი შემდეგს მიუთითებს: “თუ ეს ავტორი – ამბობს იგი, – რამდენადაც მას მხედველობაში აქვს ბირლინგის შეხედულება ამ საკითხზე”<sup>37</sup>, – პარალელს ავლებს იურიდიულ ფიქციებს და წმინდა მექანიკის და წმინდა ბუნების მეცნიერებათა “ფაქტიურ წინამძღვრებს” შორის, მაშინ მე უნდა სადავო გავხადო ასეთი შედარების უფლებამოსილება. მექანიკაში აბსოლუტურად მყარი სხეულის ცნება, მაგალითად, იმან წარმოშვა, რომ გარკვეული თვისებები რეალური სხეულის, გეომეტრიული განზომილების და მასისა ცალკე მიიღება მხედველობაში და მათი ყველა სხვა თვისებებისაგან აბსტრაქციურად ხდება. იმავე ან სხვა დარგის კოორდინირებულ ცნებაში დაქვემდებარებაზე, ყოველი იურიდიული ფიქციის არსს რომ შეადგენს, აქ არსად არ არის ლაპარაკი, მაშინ, როცა, პირიქით, ფიქციის დროს აბსტრაქციის ის იზოლირებული ფორმა, რომელზედაც ფიზიკის ყველა აბსტრაქტული პიპოთეზა ემყარება: საერთოდ არა გვაქვს”<sup>38</sup>.

<sup>35</sup> ib. S. 603-604.

<sup>36</sup> ib. S. 603-606.

<sup>37</sup> Bierling, Kritik, II, S. 88 ff; Juristische Prinzipienlehre, I. S. 220 ff.

<sup>38</sup> Wundt, ib. S. 603-604.

დასკენები, რომლებთანაც ამ გრძელ გადახვევას აუცილებლობით მიეყვართ, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: არც იმ თეორიას, კოლექტიური ცნობიერების რეალურ არსებობას რომ უშვებს, და არც იმას, იურიდიული ფიქციის მეთოდით რომ ცდილობს ახსნას ყველა ის შემთხვევა, სადაც არაფიზიკური პირი გამოდის, არ შეუძლია მოგვცეს იურიდიული პირის არსის მეცნიერული ახსნა. ეს უკანასკნელი ქმნის განსაკუთრებულ, პოზიტიური კანონმდებლობით აღიარებულ სუბიექტს განსაზღვრული უფლებებითა და მოვალეობებით. თუ შევეცდებით იმ წყაროების მიგნებას, საიდანაც აქ მოხსენიებული თეორიების ნაყოფანება იღებს სათავეს, მაშინ უნდა ვაღიაროთ თავისი არსის მიხედვით ის დოგმატიკური მტკიცება, როგორც ასეთი, რომ მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი (სამართლის სუბიექტი და რომ ამ პირის განსაზღვრული თვისებები ქმნიან უფლების საფუძველს. აქედან აუცილებლობით გამომდინარეობს ალტერნატივა, რომ იმ შემთხვევებში, როცა პოზიტიური კანონმდებლობა არაფიზიკურ პირს უფლებებსა და მოვალეობებს მიაწერს, ეს პირი განხილული უნდა იქნეს ან როგორც "წარმოსახვითი", გამოონილი სუბიექტი, რომლის უკან რეალური ფიზიკური პირები დგანან, ანდა პოზიტიური სამართლის შესაბამის წარმონაქმნის /gebildet/ ფიზიკური პირის ყველა ის თვისება მიეწერება, რომლებიც უფლების საფუძველს ქმნიან. მეცნიერული უსუსურობა როგორც პირველი, ისე მეორე პიპოთეზისა ზემოთ უკვე იყო ახსნილი. ამით დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს როგორც იურიდიული პირის დამოკიდებულება, ისე აგრეთვე ის იდეაც, რომ იმ მინიმალურ შემთხვევებშიც, სადაც საქმე ხდება იურიდიულ პირს, მისი უფლების საფუძველად არ შეიძლება აღიარებული იქნეს ის ფსიქოლოგიური ელემენტები, რომლებსაც ინდივიდის სულიერ ცხოვრებაში აღმოვაჩენთ. რომ ეს ელემენტები უფლების საფუძველს ქმნიან, ჩვენ საეჭვოდ გვეჩვენება აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როცა სამართლის სუბიექტად ფიზიკური პირი გვევლინება. საკითხის ამ მხარეზე ჩვენ ახლა გვინდა შევჩერდეთ.

იურიდიულ მოძღვრებათა ისტორიაში არსებობს ორი ძირითადი თეორია, უფლების არსის ახსნისათვის იმ განსაზღვრული ფიზიკური ელემენტების მოშველიებას რომ ცდილობენ, რომლებსაც ჩვენ ინდივიდის სულიერ ცხოვრებაში აღმოვაჩენთ: ნების თეორია და ინტერნის თეორია. სწორედ ამ თეორიებში ვხვდებით ჩვენ იმ მტკიცების სხვადასხვა ფორმას, რომ უფლება განუყრელად არის დაკავშირებული ფსიქიკურ ყოფიერებასთან /psychischen Dasein/ და რომ ამ უკანასკნელის ყოფნა უფლების არსებობის აუცილებელ წინამძღვარს ქმნის. ამ კავშირის ხასიათი და შინაგანი არსი იურიდიულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანწილად მაინც აუხსენელი რჩება. ეს იმდენად უფრო დასანანია, რამდენადაც უდიდესი ნაწილი არეულ-დარეული და ნაყოლიანი თეორიებისა აქ სწორედ მოყლებულია ზუსტად გამომუშავებულ ცნებებს, რომ სხვადასხვა სახის ორპროვინება ერთგანზომილებიან /Einenweiten/ შესაძლებლობას გეთავაზობს. ამიტომაც პირველ რიგში აქ ზუსტად და ნათლად უნდა გავმიჯნოთ ძირითადი ცნებები, რომელთა გამოყენება იმ ურთიერთობას, რომელიც არსებობს სულიერ ცხოვრებასა და უფლებას შორის, არავითარ შემთხვევაში არ მიანიჭებს ერთნაირ აზრს. ცალკეულ ავტორთა თეორიების ანალიზი ამ მიზნისათვის საკმარისი არ იქნებოდა; ემპირიული განხორციელება რომელიმე იდეისა განსაზღვრული თეორიის ფორმაში აღმოაჩენს ერთდროულად სრულად და ამომწურავად თავის შინაარსს, თავის ლოგიკურ არსს. ჩვენთვის საინტერესო საპეციალური საკითხის

ახსნის დროს ამიტომაც ცალკეულ თეორიებს კი არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, არამედ მხოლოდ მთლიანობაში უნდა ავიღოთ, რამდენად გამოიხატება მათში უფლების მოძღვრების ფსიქოლოგიური დასაბუთების აბსტრაქტული შესაძლებლობის ფორმები.

§4. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა შევიჩინოთ იმ ფორმებზე, რომლებიც ნების თეორიამ შეიძლება გამოიყენოს უფლების მოძღვრების სფეროში.

უკიდურეს და რადიკალურ ფორმად აქ უნდა ვაღიაროთ უფლებისა და ხელისუფლების /subjktiven Recht und Macht/ სრული გაიგივება. მოძღვრებას, რომელიც ძირითად პრინციპად მიიჩნევს დებულებას “ხელისუფლება არის სამართალი”, გამოყენებულია არსებითად სამართლის არსის ახსნისათვის. იმ შინაგანი კავშირის წყალობით მაინც, რომელიც არსებობს უფლებასა და სამართალს შორის, მას ზეგავლენა უნდა მოეხდინა აგრეთვე უფლების საკითხზეც. ამ უკანასკნელ სფეროში ხელისუფლებად, როგორც ჩანს, უმთავრესად შეიძლება ვიგულისხმოთ სამართლის სუბიექტის ინდივიდური ნება და სწორედ ამ აზრით უნდა ჩაითვალოს შესაბამისი თეორიები ნების თეორიებად.

ასეთი თეორიების კრიტიკა არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს. სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალჯერ იყო მითითებული, რომ ხელისუფლებისა და სამართლის გაიგივება არა მარტო მიუღებელია, ვინაიდან ის ნაცკლად სამართლის არსის საკითხის ახსნისა, უბრალოდ აუქმებს პრობლემას, ის თვითონ სამართლის ცნებას, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების დამოუკიდებელ ელემენტს არა მარტო სპობს, არამედ სინამდვილესთან ურთიერთობის აზრითაც ყალბია. ყველაზე უფრო საუკეთესო, რაც ამ საკითხის გამო შეიძლება ითქვას, უკვე ბირლინგმა გამოთქვა. პირველ ტომში თავისი ნაშრომისა “ძირითადი იურიდიული ცნებების კრიტიკისათვის” ის დაწვრილებით ეხება ხელისუფლებისა და სამართლის ცნებათა დამოკიდებულების საკითხს. აღნიშნული თავის რამდენიმე ადგილი ანალიზის სიზუსტისა და სიცხადის გამო აუცილებელია შემოკლებულად მოვიტანოთ. ბირლინგი ჩერდება ლოგიკურად აუცილებელ დასკვნაზე, რომელიც გამოიძინარეობს დებულებიდან “ხელისუფლება არის სამართალი” /Macht ist Recht/ და შემდეგ იწყებს იმ აზრის დაწვრილებით ახსნას, რომელიც გამოიხატება ცნებით ხელისუფლება: “ხელისუფლება საზოგადოდ არის შესაძლებლობა, საქმე ისე მოაგვარო, როგორც გსურს. ხელისუფლება ადამიანების მიმართ ამის მიხედვით ორგანიზაციის სახით მოიპყრება: ხელისუფლება ადამიანების მიმართ გარეგნულად, როგორც ნიეთის მიმართ, და ხელისუფლება ნებით გამოხატული სულიერი ცხოვრების მიმართ, რომ შეგვეძლოს ამ ნების განყარვა. მე მინდა პირველს მოვლედ ვუწოდოთ “ფიზიკური”, ხოლო მეორეს “გონითი”. ეს არის ჭეშმარიტად ერთადერთი განსხვავება, რომელიც საგნის სიღრმეს ბოლომდე წვდება... ფიზიკური ხელისუფლება... განისაზღვრება არსებითად ფიზიკური და სულიერი ძალების ნაკლებად ზუსტი საზომი მასშტაბის მიხედვით, დაახლოებით ისეთი მდგომარეობა, როცა საგნებს მიეწერება შესაბამისად ბუნებრივი ძალები, რომლებიც შეიძლება ამოძრავდნენ შესაბამისი ჩამრთველის /Nhaben/ მეოხებით. აქედან უკვე გამოიძინარეობს, რომ ცალკეულის ფიზიკური ძალა იმ უშუალოდ გამოყენებული გამაძლიერებელი საშუალების მიმატების დროსაც ადამიანთა დიდი წრის მიმართ,

განსაკუთრებით რამდენადაც ის არა როგორც მოულოდნელი, ყოველ შემთხვევაში ცალკეული ობიექტისაგან იზოლირებულად გაგებული, არამედ ერთდროულად განხილული უნდა იქნეს როგორც მუდმივი ძალა ყველას მიმართ, რომელიც უფრო მეტად არა როგორც ძალას, არამედ მხოლოდ როგორც უძლეულებას /Ohnmacht/ შეიძლება გამოხატავდეს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ცალკეული მმართველის /Einzelberrscher/ ფიზიკური უპირატესობა არასოდეს არ არსებობს. ის, რასაც ჩვენ მიჩვეული ვართ, როგორც ასეთი მოვიწოდებთ, როცა ჩვენ მის ძალაზე ვლაპარაკობთ, დაიცვას თავისი მოთხოვნები ფიზიკური იძულებით, არის არა მარტო უპირატესობის დაკარგვა ქვეშევრდობის /Unterworfenen/ მიმართ საზოგადოდ, არამედ აგრეთვე ცალკეულის მიმართ ხშირად ყოველთვის მხოლოდ გონითი ძალა /Eine geistige Macht/ უცხო ნებაზე, რომელიც თავის ფიზიკურ ძალას კოლექტიურად /gemeinsam/ თავის სამსახურში აყენებს. ჩემი პრინციპია: ეს, რასაკვირველია, ტრივიალური ჭეშმარიტებაა, რომელზედაც ყოველი სიტყვა შემძლო დამჭობა, რომ დასრულებული ბატონობის ხელისუფლება /Herrscheramt/ არსებითად ნების ძალა არის, მაგრამ მე უმართლობა პიროვნების ძალისაგან მაშინათვე დიდი მანძილით მაქვს გამიჯნული. სინამდვილეში საქმე ასეა: ცალკეული ფიზიკური ძალა აწარმოებს, უპირველეს ყოვლისა, გონით ძალას მცირეზე /Uber Wenige/, ფიზიკური ძალა ამ მცირეთა აწარმოებს ერთად შემდგომ გონით ძალას რამდენიმესას /ber Mehrere/ და ა.შ.; ამრიგად, დასაწყისი მაინც არის ფიზიკური ძალა. ესეც უნდა უარყო მე აგრეთვე. მე არ შემიძლია დავუმატო, რომ ფიზიკურ ძალას ადამიანის მიმართ უნდა მოჰყვეს გონითი ძალა ნებაზე ანდა შეუძლია გამოიწვიოს განსაზღვრული გაძლიერება სუსტისა. იქ, სადაც ფიზიკური ძალა ნამდვილად უცხო ნებაზე ზემოქმედებას ახდენს, არის ეს პრესის მეოხებით /durch die Medien/ აღფრთოვანება. ან შიში. უკუკვლად მომდინარეობს ეს ორი გრძნობა არა სხვისი ფიზიკური ძალის წარმოდგენის ბუნებრივ აუცილებლობაზე. გამოცდილება პირიქით გვიჩვენებს, რომ იგივე წარმოდგენას სიჯიუტე და ჯიბრი შეუძლია წარმოშვას. ამრიგად, მისწრაფებანი, რომლებიც ზეგაულებას უცხო ნების მეოხებით ისევე მეტად ეწინააღმდეგებიან, როგორც პირველად დასახლებული მისწრაფებანი ამისათვის. და საკუთრივ იქ, სადაც აღფრთოვანება და ძრწოლა ნამდვილად უკვე აღძრულია, ამით ყოველთვის არის მოცემული მხოლოდ ერთი მოტივი განსაზღვრული ნების გადაწყვეტილებისათვის და ამასთანავე საფიქრებელია კიდევ სხვა ადგილას არსებული მამოძრავებელი მოტივები. თუკი, ამრიგად, ნება იქნებოდა უბრალო პროდუქტი ყველა მოტივისა, მაშინ ფიზიკური ძალა მაინც არ იქნებოდა უტყუარი საშუალება განსაზღვრული უცხო ნების გადაწყვეტილების მიღწევისათვის, ამრიგად, ჯერ კიდევ არ იქნებოდა ჭეშმარიტი ძალა ნებაზე /"über den Willen"/. ჭეშმარიტი ძალა უცხო ნებაზე, პირიქით, ყოველთვის მხოლოდ ისეთი იქნებოდა, რომელიც საკუთრივ ყოველთვის გადამწყვეტ მოტივს აღძრავს ან აწოდებს. და ვის შეუძლია ეს ამტიკიცოს? შემდეგ ბირლინგი იმ აზრს აეთარებს, რომ უნარი თვითგანსაზღვრისა, რომელიც ქმნის ძირითად ამოსავალ წერტილს თითქმის ყველა ხალხის პოზიტიური სამართლისათვის, უცხო ნების ძალას ამ უკანასკნელის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელს ხდის, და მერე განაგრძობს: "ყველა ნამდვილი ძალა უცხო ნებისა არის, ამრიგად, ამ ნების გარყვეული

ერთდროული შესაბამისობის /Entgegenkommen/ მეოხებით განპირობებული. ყოველივე, რაც უკვე ამ შესაბამისობის წინ ასე უნდა დაგვესახელებინა, არის მხოლოდ უფრო დიდი ან უფრო მცირე უნარი, უცხო გონს უფრო დაუახლოვოთ მოტივები, რომლებიც ყურადღებას იმსახურებენ, მაგრამ მაინც არასოდეს უბრალოდ არ უნდა იმსახურებდნენ. დიახ, უნდა მოხდეს კიდევ აშკარა წინსვლა და ვთქვათ: მუდმივი უკვე არა გაფრთხილება /Entgegenkommen/ ცალკეულ შემთხვევებში, არამედ მხოლოდ არა ცალკეული შემთხვევით შეზღუდული ნების მოწესრიგება ნების ჩამრთეულის მხრივ მესამე ნების მეოხებით აფუნებს ძალას როგორც ჭეშმარიტ და მუდმივ ძალას. მაგრამ ამით დამტკიცებულია აგრეთვე ის, რომ დებულება “ძალა არის სამართალი” სწორედ შებრუნებული უნდა იქნეს სხვა დებულებით: “არ არის ძალა სამართლის გარეშე” უკიდურეს შემთხვევაში არ არის მუდმივი ძალა უცხო ნებაზე<sup>39</sup>.

ამ მოსაზრებებს ავითარებს ბირლინგი სამართლის არსის ახსნასთან დაკავშირებით. რამდენადაც მაინც ძალადობის თეორია /Machttheorie/ არ გამოდგება სამართლის წარმოშობის პრობლემის ახსნისათვის, რამდენადაც ის სამართლის გენეზისის საკითხის ნაცვლად მიმართულია პასუხი გასცეს სამართლის არსის საკითხს, ხსენებული თეორია შინაგანი თავისებურების ძალით აუცილებლად ხდება აგრეთვე უფლების განსაზღვრულ თეორიად. რაზან აუტორიტეტულად ვიღაც ამტკიცებს, რომ ძალაუფლება /Macht/ სამართალია, ამიტომაც მან აუცილებლობით უნდა ივარაუდოს არსებობა განსაზღვრული პიროვნებისა, რომელიც აღჭურვილია ამ ძალაუფლებით და რომლის რეალური განხორციელება ამ პიროვნების უფლება ხდება. ამიტომაც ადვილი გასაგებია, რომ ამ თეორიის წინააღმდეგ სამართლის სფეროში ყველა ზემოთ მოტანილი საყვედური თავის სრულ ძალას ინარჩუნებს აგრეთვე იმ შემთხვევებისთვისაც, სადაც საქმე გვაქვს უფლებასთან. კიდევ მეტიც: ობიექტური სამართლის სფეროში, სახელდობრ, იმ შემთხვევაში, სადაც საქმე ეხება სამართლის წარმოშობას, საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობა გვევლინება როგორც საფუძველდამდები, ამხსნელი ფაქტორი, და ამასთან კავშირში ინარჩუნებს ხელისუფლების ცნება, და ამიტომაც ხელისუფლების თეორია, გარკვეულ მნიშვნელობას. უფლების თეორიაში იღებს სრულიად მცდარ ახსნას არა მარტო ამ უფლების არსის საკითხი, არამედ აგრეთვე მისი “წარმოშობის” საკითხიც აქ განსახილველი თეორიის შუქზე. მაგალითად, სასაცილო იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ გარკვეული უფლებების “წარმოშობა”, რომლებიც ზოგიერთი პოზიტიური კანონმდებლობით ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვს /დღის მუცელში/ მიეწერება, ხელისუფლების ცნებიდან შეიძლებოდა აგვეხსნა. კიდევ უფრო უაზრო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ დასახელებულ შემთხვევაში ეს უფლებები სამართლის სუბიექტის ინდივიდურ ნებასთან გაგვეიგივებინა, ვინაიდან ასეთი ნება აქ საერთოდ არა გვაქვს. იურიდიული პირის საკითხს, რომლის დამოუკიდებელი არსებობა ჩვენ ზემოთ საკმარისად დამაჯერებლად დავასაბუთოთ, აქ არ შევხვებით; თუ მაინცდამაინც მხოლოდ ფიზიკური პირი გვაქვს მხედველობაში, მაშინ ეს აშკარაა, რომ უფლება, რომლის მატარებელიც არის, ხელისუფლების არავითარი ლოგიკურ-ხელოვნური ცნებით არ შეიძლება აიხსნას და არც ამ ცნებასთან იქნეს გაიგივებული. საკუთრების უფლება, მაგალითად, მის მატარებელს ანიჭებს განსაკუთრებულ სტატუსს ყველა იმ წევრებთან მიმართებაში, რომლებიც მოცემულ სახელმწიფო

<sup>39</sup> Bierling, Kritik, I, S. 48



ორგანიზაციის შემადგენლობას მიეკუთვნება. მაინც ადვილი გასაგებია, რომ ამით სამართლის სუბიექტისათვის შექმნილი მდგომარეობა თავისი ინდივიდური ნების საქმიანობისა და ზემოქმედების სფეროსთან შედარებით სხვა სრულიად შეუსაბამო სიდიდეს გამოხატავს, მაგრამ კიდევ უფრო მწვავედ ვლინდება ეს შეუსაბამობა საჯარო უფლების სფეროში. აქ ცალკეულ პიროვნებას უპირისპირდება სახელმწიფო ხელისუფლება მთელი თავისი ძალითა და იძულების საშუალებით, რომელიც ცალკეული პიროვნების ინდივიდურ ძალას ძლიერ აღემატება. ყოველი ცდა პიროვნების საჯარო უფლების იდენტიფიცირებისა მის ინდივიდურ ძალასთან უიმედო იქნებოდა იმის გამო, რომ ამგვარი ცდა გარდუვალად მივიყვანდა ამ უფლების აშკარა არსებობის შესაძლებლობის სრულ უარყოფამდე. ჩვენ ზედმეტად გვეჩვენება ამ თეორიაზე დაწერილებით შეჩერება. მოტანილი მაგალითები საქმარისი თვალსაჩინოებით გვეჩვენებს თავის უსუსურობას იმ საკითხებში, რომლებიც სამართლის უდავო და ელემენტარულ ფენომენების ახსნას შეეხება.

შესაბამისად უფრო დასაბუთებულად ჩანს სხვა სახეობა ნების თეორიისა, რომელსაც ახალ დროში ბევრი ცნობილი ავტორი იზიარებს<sup>40</sup>. ნების და ძალაუფლების ცნება ქმნის აქ აგრეთვე უმნიშვნელოვანეს ელემენტებს და ძირითად წინამძღვარს უფლების არსებობისათვის<sup>41</sup>. ეს უკანასკნელი, ზემოთ განხილული თეორიის საწინააღმდეგოდ, აქ ვერ იქნება გაიგივებული ცალკეული პიროვნების ინდივიდურ ძალასთან; ამ აზრით უფლებად უნდა ჩაითვალოს არა ნება თავისთავად, არამედ განსაზღვრული სახით სამართლის/*das objektive Recht*/ ან მართლწესრიგის მეოხებით "აღიარებული"<sup>42</sup>, "დაფუძნებული"<sup>43</sup>, "დადასტურებული"<sup>44</sup>, მინიჭებული ნება. ამით აღმოაჩინეთ ჩვენ აქ უფლების ცნების დეფინიციაში ორ განსხვავებულ ელემენტს; ნების ცნება და მართლწესრიგის ანუ სამართლის /*das objektive Recht*/ ცნება. ზემოთ მოტანილ განსხვავებულ ტერმინებს მაინც, რომელთა მეოხებითაც გამოიხატება ურთიერთობა ორივე აქ მოხსენიებულ ელემენტებს შორის, ერთი და იგივე აზრი არა აქვთ და ცალკეულ ავტორთა შესაბამისი თეორიები ამით სრულიად არ ემთხვევიან ერთმანეთს.

<sup>40</sup> შეად. Puchta, Pandekten, S. 29; Arndts, Pandekten, S. 21; H. Witte, Erörterungen zum Recht der Aktienvereine, in Goldschmidts Zeitschrift für das gesamte Handelsrecht, VIII, S. 7; Bekker, für Lehre vom Rechtssubjekt: Genuss und Verfügung; Zwecksatzungen, Zweckvermögen und juristische Personen, in Jeringgs Jahrbücher für die Dogmatik des heutigen römischen und deutschen Privatrechts, XII, S. 5; Windscheid, Lehrbuch des Pandektenrechts, I, S. 91, f; Hegel, Rechtsphilosophie, 2-te aufl. S. 111.

<sup>41</sup> შეად. z.b. Witte, op. cit. S. 7: "Ohne Wille gibt es kein Recht" /ნების გარეშე არ არის სამართალი".

<sup>42</sup> შეად. Canstein in der Grünhuts Zeitschrift für das privat-öffentliches Recht, Bd. V, S. 737, der das subjektive Recht als "der von der Rechtsordnung anerkannte und mit ihr Einklage sich befindende concrete Willendefinier. შეად. აგრეთვე Meinz, op. cit. S. 21 Droit romain I, p. 377.

<sup>43</sup> Arlnots, op. cit. S. 21: "... das Recht im subjektiven Sinne sei eine rechtliche Macht, eine durch das objektive Recht begründete Herrschaft des Willens einer Person in Ansehung eines Gegenstande S.

<sup>44</sup> Windscheid, op. cit. S. 91: "Recht im subjektiven Sinn, subjektives Recht] ist eine von der Rechtsordnung (Recht im objektive Sinn, objektives Recht) verliehene Willensmacht oder Willensverschrit concreten Inhalteru.

ყველა ამ თეორიის კრიტიკული განსჯა ამიტომაც იმ თვისით უნდა დაეწყოს, რომელიც ყველა მათგანისათვის საერთოა. როგორც ზემოთ ითქვა, ნების ცნების ჰიპოთეზა აუცილებელი ძირითადი ელემენტია უფლების /das subjektive Rechts/ არსებობისათვის, რომ ამგვარი ჰიპოთეზა საფუძველშივე ეწინააღმდეგება პოზიტიური კანონმდებლობის დეფინიციათა მთელ წყებას, რომ უფლება /die subjektive Rechte/ ძლიერ ხშირად აგრეთვე იმ სუბიექტებს მიეწერება, რომლებთანაც ძნელად თუ შეიძლება ვინმემ ნების არსებობა იყარაულოს, ამაზე იურიდიულ ლიტერატურაში<sup>45</sup> არაერთხელ გვხვდება მითითება. ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია საყიფისის ამ მხარეზე შეჩერება. და მაინც იმ შემთხვევებშიც, სადაც სამართლის სუბიექტად ფიზიკური პირი გვევლინება, რომელსაც განსაზღვრული ნება აქვს, ადვილად შეიძლება დაკამტიციოთ, რომ ამ ნებას არანაირი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია ამ უფლებების არც მოცულობასა, არც “წარმოშობასა” ან “შეწყვეტაზე”. თავისუფლად შეგვიძლია მოვიტანოთ მაგალითები, სადაც სამართლის სუბიექტი თავისი ნების როგორც ასეთის, წინააღმდეგ გვევლინება: ასეთი იყო, მაგალითად, რომის სამართლის Jus civile-ს მიხედვით sui et necessarii heredes ანუ domestici heredes, იმ შემთხვევებში, სადაც სამემკვიდრეო ქონება /Erbgut/ hereditas domnosa იყო; მემკვიდრეობის უარყოფითი ხასიათი ხდიდა მის მიღებას სრულიად არასასურველს, თუმცა მემკვიდრე ვალდებულია მიიღოს მემკვიდრეობა, ესე იგი თავისი ნების საწინააღმდეგოდ გახდეს სუბიექტი განსაზღვრული უფლება-მოვალეობისა, რომლებიც სამემკვიდრეო მამულთან იყენენ დაკავშირებული. ადვილი შესაძენეია, რომ მოტანილ მაგალითებში ნების ელემენტი სრულიად არ ჩანს, მაგრამ შესაბამისი უფლებები აბსტრაქტირებულად მაინც არსებობენ<sup>46</sup>.

ჩვენ განზრახ მოვიყვანეთ ეს მაგალითი კანონმდებლობიდან, რომელიც პერსონალური თავისუფლებისა და პერსონალური ნების ავტონომიის პრინციპის თანმიმდევრული გატარების იშვიათ ნიმუშს გამოხატავს. მაგრამ თუ გადავხედავთ თანამედროვე პოზიტიურ სამართალს, ადვილად შეიძლება შევნიშნოთ, რომ ნებისყოფის თეორია არა მარტო ცალკეული მაგალითების მიმართ ვერ ამართლებს, არამედ აგრეთვე თანამედროვე მართლშეგნებისა და კანონმდებლობის უღრმეს ტენდენციებსა და საკუთრივ თანამედროვე მართლშეგნების სულისა და კანონმდებლობის წინააღმდეგობრიობას გვიჩვენებს. პერსონალური თავისუფლება და პერსონალური ნებისყოფის თვითგანსაზღვრა კი არ ქმნიან აქ ძირითად წანამძღვარს, რომლითაც პოზიტიური კანონმდებლობა უფლების შექმნისას /beim Aufbau der subjektiven Rechte/ ხელმძღვანელობს; პირიქით, ამოსავალ პუნქტად აღიარებული უნდა იქნეს აქ სწორედ ის იდეა, რომ ყოველი უფლება ერთსა და იმავე დროს გვევლინება განსაზღვრულ სოციალურ ფუნქციად, განსაზღვრულ მოვალეობად საზოგადოების

<sup>45</sup> შეად. Ihering, Geist, III, S. 321; Ihon, Rechtsnorm u. Subjektives Recht, S. 220 ff; Demung, Pandekten, I, S. 87; E. Roguin, La Regie de droit, p. 85.

<sup>46</sup> Im Römischen Rechte kann man auch einen umgekehrten Fall anführen, wo bestimmte Personen, die Vollkommenen einen Willen beizien, nämlich die sklaven, Eigentum (Peculium) besaßen “worüber sie in gewissen Grenzen verfügten ohne das ihnen irgend eine Rechtsfähigkeit zuerkannt wurden. vrgl. I. S. Gambarof, “kursus der bürgerlichen Rechtes”, Bd. I, S. 373; Becker, Goldschmidts Zeitschrift; Demburg, Pandekten, P. S. 86-87.

მიმართ, რომლის შესრულება სამართლის მხრივ ამ უფლების მატარებლის სუბიექტური ნების უზრუნველყოფას კი არა, განსაზღვრული საზოგადოებრივი ცხოვრების მიღწევას ისახავს მიზნად. ამ თვალსაზრისით ნების დოგმა გვეკლინება დღეისათვის მოძველებულ ანაქრონიზმად, რომელიც არა მხოლოდ სამართლის შესაბამის თეორიებს<sup>47</sup>, არამედ საბაძვროვე პოზიტიურ კანონმდებლობასაც<sup>48</sup> მკვეთრად ეწინააღმდეგება. და თუკი სამართლის თეორიების მკინიერული ღირებულება იმით განიზომება, თუ რამდენად ემთხვევა ეს თეორიები პოზიტიური სამართლის დეფინიციებს, მაშინ ნების თეორიის პრესტიჟიც სრულიად ეცემა სწორედ მისი უწინარობის გამო იმ დეფინიციების ახსნის საკითხში, რომლებიც გამოხატულია ზემოთ დასახელებულ საკანონმდებლო განსაზღვრებაში.

შემდეგ ჩვენ შეგვიძლია მრავალი მაგალითის მოტანა როგორც რომაული, ისე თანამედროვე პოზიტიური სამართლიდან, სადაც ნების ქონა – არქონას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს შესაბამისი უფლების არსებობისათვის. ასე, მაგალითად, იმ ქვეყნებში, სადაც არჩევნებში მონაწილეობა საეაღდებულოა, უფლება მოცემულ შემთხვევაში, ამრიგად, უფლება არჩევნებში მონაწილეობისა ხშირად ზოგიერთი კონკრეტული ამომრჩევლის<sup>49</sup> ნების წინააღმდეგაც არის მიმართული.

საბოლოოდ ძნელი არ არის იმის დამტკიცება, რომ ფსიქოლოგიური ელემენტები, რომლებსაც ჩვენ ინდივიდის სულიერ ცხოვრებაში ვნახულობთ, და უფლებები, რომელთა მატარებლადაც ეს ინდივიდი გამოდის, ერთმანეთს არ ემთხვევა. ზუსტად აღნიშნავს ამის გამო ადოლფ რაინახი: “არაფერი არ არის უფრო საიმედო, ვიდრე ის, რომ მე მეტად ვაღიდეებულად შემეძლოს ვიგრძნო თავი, იმის გარეშე, რომ ვაღიდეებულება ნამდვილად არსებობს, და რომ მორე მხრივ შემიძლია მქონდეს უფლება იმის გარეშე, რომ ყოველ წაშში ვიგრძნო მე თავი უფლებამოსილად. აქ უკვე საკსებით ნათელი ხდება, თუ როგორ უსუსურია ყოველი თეორია, რომელიც შეეცდება უფლება (Anspruch) და ვაღიდეებულება ფსიქოლოგიურად განიხილოს, ვინაიდან უფლება ან მოვალეობა ყოველთვის რაღაც ერთი სახისა უნდა იყოს. ამიტომ ჩვენ თითქმის შესაბამისი განცდები უნდა გვექონდეს. მაგრამ ასეთი განცდები შესაძლოა ჩვენ ვერ აღმოვაჩინოთ. შეიძლება აგრეთვე თავიდანვე ითქვას, რომ ეს მათ არც შეიძლება მოგვცენ. კიდევ ერთხელ გაუუსვათ ხაზი: უფლება და მოვალეობა შეიძლება უცვლელი

<sup>47</sup> შვად. Z.B. Comto, Systeme de politique positive, 1890, t. I, p. 361; Duguit, L.Ktat, Le droit objectif et la Loi positive, 1901, ch. I-II; desselben “droit social, droit individuelle et transformation de L.ktat, Hugo Ginzheimer “Grundzüge des Arbeitsrechts”, 1921, S. VI; Nussbaum, das neune deutschen Wirtshafts recht, 1922, S. 2-3; Hedermann, Das bürgerliche Recht u. die neue zeit, 1919, S. 12; desselben “Die Umwandlung des Eigentumsbegriffs in “Recht und Wirtschaft” N10, 1922; “Die Bedeutung der neuen Verfassung Für das bürgerliche Recht”, “Deutsche Juristenzeitung”, 1919, S. 772; Mayer, über die nächtigen Aufgaben der Justizgesetzgebung “Deutsche Juristenzeitung”, 1919, S. 616; Pokrowsky, “Grundprobleme des bürgers ichen Rechts” < 1917, Tal, “der Arbeitsvertrag”, II, S. 120, 1918; Goichlbarg, Das Wirtschaftsrecht der RSFSR, Bd.I., 61-65.

<sup>48</sup> Zivikodex, d.SSRG, Art'I und die entsprechen S. den Artikel in den Kodexen der RSFSR, USSR, BSSR; die Deutsche Konstitution, Art, 153, 155, 156.

<sup>49</sup> Andere Beispiele vergl. bei Magasiner, Allgemeine Lehre vom Staate, 1922, S. 77.

დარჩეს, მაგრამ ამ სახის განცდები არ იყოს”<sup>50</sup>.

ნებისყოფის თეორიის სერიოზული დაცვა ყველა შემთხვევაში დასახელებული საყვედურებისაგან მეტად საძნელო ამოცანად გვეჩვენება. ჩვენ მიჩვეული ვართ მართლწესრიგი, რომლის ელემენტებს უფლებები წარმოადგენენ, წარმოვიდგინოთ რაღაც დადგენილად, რაღაც ისეთად, რომელიც სახელმწიფოებრივი ერთობის /einer Staatsgemeinschaft/ ყოველი ცალკეული წევრის კონკრეტული და ინდივიდუალიზებული განცდებისაგან დამოუკიდებელია. ნებისყოფის თეორია შეუძლებელს ხდის დადგენას მართლწესრიგის ზოგიერთი ზოგადი ელემენტისა, რომელთა არსებობა ცალკეული პიროვნების განცდისაგან დამოუკიდებელი იქნებოდა იმით, რომ მას სიმბიოზის ცენტრი ცალკეული ინდივიდის ინდივიდუალიზებული განცდების სფეროში გადააქვს. ამ თვალსაზრისით ვერც იმის ახსნა ვერაფერს გვიშეუძლია, რომ სამართლის სუბიექტის ნება მხოლოდ ობიექტური სამართლის მიერ “დაფუძნებული”, “მინიჭებული” ან “აღიარებული” უფლებების არსებით ელემენტად იქნეს განხილული; ყველა სხენეულ ტერმინს, თუ მათ დაწვრილებით განვიხილავთ, ექნებათ უფრო ხატოვანი, ვიდრე ზუსტი, მკაცრი, მეცნიერული მნიშვნელობა, ძნელია იმის წარმოგვჩვენება, თუ როგორ შეუძლია /ობიექტური/ სამართალს ინდივიდუალიზებული ნების დაფუძნება ან მისი მინიჭება. გასაკვებად გვეჩვენება მართლწესრიგის მიერ აღიარებული ნებისყოფის ცნება; მაინც ორიდან ერთი უნდა ვაღიაროთ: ან ნება ყველა შემთხვევაში ისეა აღიარებული, როგორც ის ყოველი ინდივიდის სიცოცხლეშია და ამ სიცოცხლის სხვადასხვა მომენტში კონკრეტულად არსებობს და მაშინ ქრება სრულიად მართლწესრიგის ცნება, რადგანაც წარმოუდგენელია ერთი და იგივე მართლწესრიგის ან სამართლის ნორმის მიერ კონკრეტული ნების დაუსრულებელი სხვადასხვაგვარი აღიარების შესაძლებლობა; ანდა, პირიქით, არა ნება თავისთავად, არა კონკრეტულად მოცემული ნება, არამედ განსაზღვრული ნების მიმართულება ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ობიექტური მართლწესრიგის მიერ აღიარებული განსაზღვრული ნების შინაარსი; მაგრამ ასეთ შემთხვევაში ნებისყოფის თეორია de facto გაუქმდებოდა, სახელდობრ, იმ საფუძველზე, რომ ნების შინაარსი ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგივე რაზედაც ნებისყოფის აქტი არის მიმართული, თვითონ ნასურვები /das Gewollte selbst/ არ არის რაღაც ფსიქიკური, სულიერი ცხოვრებისაგან დამოუკიდებლად არსებული.

§5. ასეთი მოკლე ის მოსაზრებები, რომლებიც შეიძლება მოყვანილი იქნეს უფლების სტრუქტურის წინააღმდეგ ნებისყოფის თეორიიდან გამომდინარე. ეს მოსაზრებები არსებითად შეიცავს უმთავრესად იერიზის მიერ შექმნილი ინტერესის თეორიის ყველა ნიშანს, თუ ასეთი მტკიცება ერთი შეხედვით შეიძლება საეჭვოდ მოგვეჩვენოს, ეს აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ იმ მნიშვნელობათა სხვადასხვაობით, რომლებიც ინტერესის ცნებით გამოიხატება. აქ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ ტერმინის /dieses Ausdrucks/ ორი ძირითადი მნიშვნელობა. უპირველეს ყოვლისა, ინტერესის ცნებაში შეიძლება გაეიგოს რაღაც ობიექტური, ცალკეული პიროვნების ინდივიდუალიზებული განცდებისაგან დამოუკიდებელი. ამ თვალსაზრისით ლაპარაკობენ “სწორად გაგებულ ინტერესზე” ყალბად გაგებულის საწინააღმდეგოდ: ასეთი ურთიერთდაპირისპირება

<sup>50</sup> A.Reinach, Die apriorischen Grundlagen d. ps bürgerlicchen Rechtes, in Husserls Jahrbuch, Bd. I, TH, II, 2-er Abdruck, 1922, S. 696.

შესაძლებელია აშკარად მხოლოდ იმ წინამძღვრის არსებობისას, რომ მოცემული პიროვნების სუბიექტური თვალსაზრისები სასურველია არ დაიფაროს გარკვეულ შემთხვევაში იმით, რაც ნამდვილი ვითარების თვალსაზრისზე დაყრდნობით მის რეალურ ინტერესს გამოხატავს. მეორე მნიშვნელობა ინტერესის ცნებისა მოცულია იმით, რაც ერთსა და იმავე დროს ინდივიდის სუბიექტური თვალსაზრისიდან სასურველად ჩანს. ამ აზრით ინტერესი არის სწორედ ის, რაც მოცემული პიროვნების ინდივიდურ შეგნებაში ასეთად გვეჩვენება.

ინტერესის ცნების ამ ორი მნიშვნელობიდან რომელი შეიძლება გამოვიყენოთ უფლების სტრუქტურისათვის? გულდასმითი განხილვის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ინტერესის ცნების აქ უპირველესად მოხსენიებული მნიშვნელობა ამ მიზნისათვის არ გამოადგება. უფლებები, რომელთა ძირითადი შინაარსი ამ თეორიის თვალსაზრისით ინტერესს ქმნის, სამართლის ცალკეულ სუბიექტს ობიექტური მართლწესრიგის მიერ ენიჭება. De lege ferenda მუდმივად მოცემულ სამართლებრივ ორგანიზაციად დაჯგუფებული ცალკეული პიროვნებები იმ თვალსაზრისს უნდა მისდევდნენ, რომ უფლებებისა და მოვალეობების დანაწილება ამ სამართლებრივი ორგანიზაციის მილიან პიროვნებათა ნამდვილი, ობიექტური ინტერესების შესაბამისად ხდებოდეს. მაინც ადვილად შეიძლება იმაში დარწმუნება, რომ De lege lata უფლების დანაწილება სრულიად საწინააღმდეგო ფაქტორებისაგან არის განპირობებული, სახელდობრ, გათვალისწინებული უნდა იქნეს ის უღაგო ფაქტი, რომ ყოველი სამართლებრივი ორგანიზაცია მისი სოციალური სტრუქტურის აზრით კლასობრივი ორგანიზაცია არის, ორგანიზაცია კლასობრივი ბატონობისა, რომელშიც "სამართალშემოქმედებითი საქმიანობის" დროს სოციალურ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების საკითხში განსაზღვრული კლასების ინტერესები უპირატეს /vorherrschend/ მნიშვნელობას იძენს. თუ უფლების შინაარსის, მასში განხორციელებული ინტერესის საკითხს შევხებით, ცხადი გახდება, რომ ყველა დანაგრული კლასის წარმომადგენელი თავისი რეალური ინტერესის სფეროში აღმოჩნდება. ამიტომაც სიყალბე იქნებოდა იმის მტკიცება, რომ შესაბამისი პიროვნების უფლება მის ნამდვილ და ობიექტურ ინტერესს ახორციელებს. ამით საკითხი მნიშვნელოვანი ზომით უკვე გადაწყდება იმ შემთხვევისათვის, სადაც ინტერესის ცნება თავისი სუბიექტურ-ინდივიდური თვალსაზრისით იქნება ალებული. რასაკვირველია, ჩვენ უკვე მიუთითეთ იმაზე, რომ ეს ყოველთვის არ მოიცავს მოცემული პიროვნების რეალურ ინტერესს. ასეთი გათიშვა არავითარ შემთხვევაში არ არის საყოველთაო და ნორმალური მოვლენა, ძნელი არ არის ისეთი შემთხვევის მოტანა, სადაც ინდივიდურად შეცნობილი ინტერესი ამავე დროს მოცემული პიროვნების რეალურ ინტერესსაც გამოხატავს. მაგრამ მაშინ ყველა დასკვნა, რომელიც ჩვენ გაუაყეთებთ ინტერესის ცნების ობიექტური მნიშვნელობისათვის, ასეთსავე მნიშვნელობას შეინარჩუნებენ ამ ცნების ინდივიდურ-სუბიექტური გაგების შემთხვევაშიც.

ეს მოსაზრებები ლოგიკურად გარდღეულია საკითხის სოციალ-პოლიტიკური თვალსაზრისით განხილვის დროსაც. იურიდიული და სოციალ-პოლიტიკური თვალსაზრისების აღრევის საყვედურს ჩვენ ადვილად ავიცილებთ იმაზე მითითებით, რომ საკითხის განხილვის ჩვენს მიერ შერჩეული წესი აქ განხილული თეორიის შინაარსის მეოხებით წინასწარ დაწერილად გვევლინება; ვინც უფლების პრობლემის ახსნას სამართლებრივი ორგანიზაციის წევრთა შორის ინტერესთა გამიჯნაზე მითითებით ფიქრობს, და უფლებები ესმის მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთისაგან გამიჯნული ინტერესების გამოხატულებად, მას

საერთო წმინდა იურიდიული განხილვის სფეროდან სოციალ-პოლიტიკური თვალსაზრისის სფეროში გადააქვს. თუმცა წმინდა იურიდიული თვალსაზრისითაც თუ განვიხილავთ, არავითარ შემთხვევაში არ იქნება თეორია სრულყოფილი. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ინტერესს თავის სუბიექტურ-ინდივიდუალურ თვალსაზრისით “მხოლოდ მაშინ შეუძლია შექმნას უფლება, თუკი ის /ინტერესი/ სასურველად მოჩანს, და თუ მხოლოდ იმ პირობებისათვის არის სასარგებლო, რომელსაც ის სურს”. დუგუიტი აქედან საესებით სწორად დასკვნის, რომ თვალსაზრისი, რომელიც უფლებას იურიდიულად დაცულ ინტერესად მიიჩნევს, აუცილებლობით უნდა მოიცავდეს ნებისყოფის ცნებას და ამიტომაც მკვეთრი დაპირისპირება ნებისყოფის და ინტერესის თეორიებისა გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს<sup>51</sup>. ამიტომაც გასაგებია, რომ დასკვნები, რომლებიც ჩვენ ნებისყოფის თეორიის განხილვის დროს გაეკეთეთ, აქაც უნდა იქნენ გამოყენებული. არსებობს კიდევ სხვა მოსაზრებებიც, რომლებიც განსაკუთრებით შეეხება ინტერესის თეორიას.

უძრავლეს შემთხვევაში უფლების თეორიები აშუქებენ მხოლოდ და მხოლოდ იმ უფლებათა არსს და სრულიად აუხსნევენ ტოვებენ ამ უფლებების შესაბამისი მოვალეობების ცნებას. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ცალმხრივი თეორია მივიღოთ, თეორია, რომელსაც არ შეუძლია მოგვცეს ერთიანი პრინციპი როგორც უფლების, ისე მისი შესაბამისი მოვალეობისა. მაგრამ ამავე დროს ამ ცნებების /ესე იგი უფლებისა და მოვალეობის ცნებების/ კორელაციურობას თავისთავად მივყავართ იმ აზრამდე, რომ ამ ცნებათა ახსნა არ შეიძლება მოხდეს მოწყვეტილად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად; კორელაციურობა მუდამ იმავე მიუთითებს, რომ შესაბამისი ცნებები ერთმანეთთან ლოგიკურად აუცილებელია; და თუ ეს ასეა, მაშინ ნათელია, რომ ასეთი ცნებები მუდამ საყოველთაო მათი სინთეზით შემადრთებული პრინციპით უნდა აიხსნას. თუკი ახლა უფლებებს ისეთი ცნებების მეოხებით ავხსნით, რომლებიც შესაბამისი მოვალეობების ასახსნელად გამოუსადეგარი იქნება, მაშინ თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ჩვენ აქ ყალბ კონსტრუქციასთან გვექონია საქმე<sup>52</sup>. ეს სამართლის მეცნიერებაში ხშირად დაეიწყებოდა; უფლების არსის ახსნა გვევლინება აქ საქმარისად და მთელი საერთო ამოწურულად. ცნებათა კორელაციურობა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს მათ იდენტურობას; აქ არავითარი იდენტურობა არა გვაქვს შესაბამისი ცნებების შინაარსისა, რომლებიც შეგვაძლებინებდა ორივე ცნების ანალიზის ნაცვლად ერთ-ერთი ცნების ანალიზით შემოვფარგლულიყავით, პირიქით, ორივე ცნება შინაარსის მიხედვით ლოგიკურად ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, საიდანაც შეუძლებელია, რომ ისინი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად განვიხილოთ.

საყვედური, რომელიც აქ სამართლის მეცნიერების მიმართ გამოითქმის, მთელი თავისი მოცულობით მიმართულია აგრეთვე ინტერესის თეორიის წინააღმდეგ, შემდეგში ჩვენ შევეცდებით დაწვრილებით ავხსნათ ის საერთო, თუ რა ზომით უნდა იქნეს განხილული ინტერესი უფლების ცნების არსებით შემადგენელ ნაწილად. და მაინც ამისაგან დამოუკიდებლად უნდა ავხსნათ აგრეთვე ისიც, რომ ინტერესის ცნება უფლების შესაბამისი

<sup>51</sup> Duguit, La Droit Social et le Droit individuel, p. 12 etsuiv; შუაღ. აგრეთვე Saleilles, p. 501; Kelsen, Hauptprobleme, S. 586.

<sup>52</sup> E. Rougin, Laregle de Veott, p. 87; Sellinck, System d.subjt. sfentl. Rechte, 2-te Auf, S. 196; Kelsen, Hauptprobleme der Statsrechtslehre, 1911, S. 311-512, 568.

მოვალეობის არსის ასახსნელად სრულიად გამოუსადეგარია; ადვილი გასაგებია, რომ იმ შემთხვევაში, როცა ვინმე სამართლის სუბიექტის მიმართ განსაზღვრული მოვალეობების მატარებლად გვევლინება, მისი მდგომარეობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოიხატოს როგორც დაქაფოფილება რაღაც თავისი საკუთარი ინტერესისა. შეიძლება ამაზე გვიპასუხონ, რომ უფლება იმ ფორმით, რომლითაც იერინგის აქ განხილული თეორია გამოიხატება, უბრალოდ ინტერესად კი არა, არამედ იურიდიულად დაცულ ინტერესად განისაზღვროს; მაგრამ იურიდიული დაცვის ცნება განსაზღვრავს არა მხოლოდ უფლებას, არამედ, თუ პირდაპირ არა, უკიდურეს შემთხვევაში, არაპირდაპირ მაინც სამართლებრივი მოვალეობის მქონე პიროვნების მდგომარეობასაც. ამ საყვედურს ჩვენ ასე უნდა ვუპასუხოთ: ცხადია, რომ ასეთ დეფინიციაში ორი განსხვავებული ელემენტი უნდა გავარჩიოთ: თვითონ ინტერესი და მისი იურიდიული დაცვა. პირველი ამ ელემენტთაგანი გვიჩვენებს, როგორც უკვე მოხსენიებული გვექონდა, რომ იგი გამოუსადეგარია სამართლებრივი მოვალეობის არსის ასახსნელად. გვჩრება ამით იურიდიული დაცვის ცნება, რომელიც გამოდგება საყოველთაო ახსნის პრინციპად როგორც უფლების, ისევე მოვალეობისთვისაც. მაგრამ, თუ დაწერილებით განვიხილავთ, ადვილად შეიძლება დაერწმუნდეთ, რომ უკანასკნელად დასახელებული ელემენტი უფლების არსის ასახსნელად სრულიად არასაკმარისად გვეჩვენება. ამ მომენტს განსაკუთრებით ნათლად უსვამს ხაზს საღივით. იერინგის თეორიის ნაყლზე როცა ლაპარაკობს, იგი აღნიშნავს: "...vous savez...qu'identifier le droit et l'interet qu'il aen Velie, c'est le confronde avec son objet... c'est montrer le but sans indi quer le mouyen de l'atteindre, ce mouen, direz-vous, c'est la protection juridique, implicitement, contenue, d' ailleuns, dans la definitien de Kering. mais c'est precisement cette identifikation du droit comme mayen quelconque de protection juridique qui en constiue le danger. des lors, en effet, tout mouen de protection juridique va devenir un droit subjectiv, procedes de police eu administratifs par exemple; car il y a bien de facons, dans leriche arsenal du droit objectif, de protege les interets dignes de protection. J l y a d'abord la repression penale, il y des interventions de policie, il y a des procedes de droit administratif. or, ce qui fait la caracteristique de tous ces procedes, ressortissant du droit public, C'est qu'ilis Laissent, soitn L'initiative, soit la mise en penvie, des moyens de protection, non pas au beneficiaire et a celut dont Z'interet est a en causa, mais a la communaute ellememe, representee par les pouvoirs publics. G'est le contraire de ce que l'on entend par L'expression de droits subjektifs, laquell fait allusion a des moyen de protection laisses a la fois a l'initiative et a l'autonomie des interesses".<sup>53</sup> თუკი ამით იურიდიული დაცვის ცნებას უფლების მოძღვრების სფეროში მხოლოდ დაცვის საშუალების მნიშვნელობას მივცემთ, "laissez \\\La fois \\\a l'initiative et a l'autonomie des interesses"; მაშინ ნათელია, რომ ხსენებული ცნება ამ თვალსაზრისით შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ უფლებისადმი და ის ვერაფრით ვერ ახსნის სამართლებრივი მოვალეობის იურიდიულ ბუნებას. ამიტომაც ძალაში რჩება საყვედური, რომელიც ჩვენ ცოტა ზემოთ ინტერესის თეორიის წინააღმდეგ გამოეთქეით. მოდი მაინც განზუ დაეტოვოთ სამართლებრივი მოვალეობის არსის საკითხი; იქნებ შეუძლია ინტერესის თეორიას უკიდურეს შემთხვევაში უფლების მეცნიერულად დამაკმაყოფილებელი ახსნა მაინც

<sup>53</sup> R. Saleilles, De la personnalite juridique, 1910, p. 536-537.

მოგვცეს? ჩვენ ესეც შეუძლებლად გვეჩვენება. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ იქნა იმაზე მითითებული, რომ უფლება და ინტერესი ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევიან<sup>54</sup> და ამიტომაც ერთი მეორისაგან არ წარმოიშობა, შეიძლება მრავალი ფაქტი დავასახელოთ, რომლებიც სრულყოფილად დაგვიდასტურებენ, რომ გარკვეულ შემთხვევებში ისეთი პიროვნება გვევლინება სამართლის სუბიექტად, რომელიც ამ უფლების ფლობის გამო არავითარ უპირატესობას არ იპოვებს, მაგრამ, მეორე მხრივ, არიან ისეთებიც, რომლებსაც შესაბამისი უფლებების განხორციელება უპირატესობას ანიჭებს, თუმცა თვითონ არ არიან ამ უფლების სუბიექტები. ზუსტად შეინიშნავს ამის გამო სალიელი: "le droit positif nous offre des exemples varies de drits subjectifs appartenant \la d'autres qu'aux beneficiaires; et je ne parlie pas ist des cas de representation legale, qui constituent le phenomene inverse, le droit reetant au beneficiaire, al' oppse de celui qui en dispose. Meis je fais allusion a la plupartides varietes de proprietes d'affectation, en prenant le not au sens le plucs large et par exemple aus Li-beral; tes sub modo. le destinataire est le beneficiaire de lacharge; et cepedant, meme Jorsque la chage absorbe tout le benefise de la liberalite, c'est le donataire ou le legataire qui restens Jes suiets du droit".<sup>55</sup>

სხვა მაგალითებს შორის ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით თვალში საცემია ინგლისური სამართლის ეგრეთწოდებული "ტრესტის"<sup>56</sup> იურიდიული სტრუქტურა. ჩვენ შეგვეძლო აქ არ გაგვეხილა ის თავისებურება, რომლებიც ახასიათებს ამ თავისებურ დაწესებულებას, და მიგვეითებინა იმათზე, რომლებიც ინტერესდებიან მაიტლანდის უპირატესი დებულებით; მაგრამ რომ ტრესტის იურიდიული ბუნება არ შეიძლება ინტერესის თეორიის მეოხებით აიხსნას, ამაზე ლიტერატურაში არაერთხელ იქნა მითითებული<sup>57</sup>. ყველა ხსენებული მოსაზრება შეიძლება უცვლელად გადაგვეტანა უფლების თეორიის სხვა ფორმულირებებზე, რომლებსაც ჩვენ იერინგთან ვნახულობთ და უფლების როგორც იურიდიულად დაცული ინტერესის თვალსაზრისისაგან როგორღაც განსხვავდებიან; ამ მეორე ფორმულირებაში უფლების არსებით მომენტად იერინგი მიიჩნევს არა ინტერესს, არამედ დამაყოფილების იურიდიულ უზრუნველყოფას<sup>58</sup>. თუ ინტერესის ცნება თავის სუბიექტურ-ინდივიდუარი თვალსაზრისით წარმოგვიდგება, მაშინ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ინტერესი და განსაზღვრული საკითხის გამოყენების უზრუნველყოფა ერთმანეთს მნიშვნელოვანი ზომით ფარავენ; რასაკვირველია, მნელი არ არის იმის გაგება, რომ სარგებლობის შესაძლებლობის მოთხოვნა განსაზღვრული პიროვნების მიერ ერთდროულად ყოველთვის წარმოქმნის ამ პიროვნების ინტერესს, სიმწელები, რომლებზეც ჩვენ ზემოთ მიუთითებდით, ამიტომაც რჩება უფლების ცნებისათვის გამოყენების უზრუნველყოფის აზრით. აქაც არ შეიძლება აგრეთვე აგვეხსნა ფაქტები, სადაც სამართლის სუბიექტები ისეთი პიროვნების სახით გამოდიან, რომლებიც ამ უფლებებისაგან არავითარ უპირატესობას არ იღებენ. მეორე მხრივ, არიან ისეთებიც, რომლებიც, თუმცა თვითონ არ არიან

<sup>54</sup> Gambaroff I. S. "Kursus des Zivilrechts", Bd.I, S. 374, Ausg. 1911.

<sup>55</sup> Salleilles, op. cit.p. 537-538.

<sup>56</sup> შედ. Maitland, Trust und Korporation, in Grünhuts Zeitschrift fur d.privat und öffentliche Recht der Gegenwart, 1905, S. I.f.

<sup>57</sup> შედ. Z.B. Salaiilles, op. cit. p. 611.

<sup>58</sup> ორივე ფორმულირება იერინგთან ერთსა და იმავე ადგილას არის მოტანილი; თვალსაჩინოა, რომ იერინგი ორივე გამოთქმას ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებს. შედ. Geist, III, S. 328.



შესაბამისი სამართლის სუბიექტები, მაგრამ გამოყენება უზრუნველყოფილი აქვთ. ამ აზრით გამოყენების მომენტი უფლების არსის ახსნისათვის ისეთივე უვარგისია, როგორც ინტერესის მომენტი<sup>59</sup>. განსაკუთრებით ნათლად გამოდის ეს დღის სინათლეზე საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში. სინამდვილის სრული დამახინჯება იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ის უფლებები, რომელთა მატარებლადაც სახელმწიფო საჯარო სამართალში მისი ორგანოს სახით გვევლინება, წინამძღოლის პერსონალური ინტერესის გამოხატვას ემსახურება და მათ გარკვეულ სიყვითლად ინდივიდური გამოყენებით დაქმყოფილების შესაძლებლობებს მისცემს; რომ თანამედროვე ადმინისტრაციულ სისტემაში გაბატონებული ძირითადი პრინციპი, საჯარო სამსახურის პრინციპად იქცევა, ამით საფუძველშივე იქნება განადგურებული<sup>60</sup>. ზემოთ მოტანილი მაგალითები სრულყოფილად ადასტურებენ უჭველ განსხვავებას, რაც სამართლის სუბიექტია და Destinataires-ის ესე იგი არა სუბიექტის ცნებათა შორის არსებობს; ისინი ნათლად გვიჩვენებენ, რომ უმრავლეს შემთხვევაში, რომლებიც უშუალოდ პოზიტიური კანონმდებლობიდან არის აღებული, სამართლის სუბიექტები ასეთი უფლებების ქონის შედეგად არაეითარ უპირატესობას არ იძენენ. შეიძლება მაინც მოვიტანოთ ამის საწინააღმდეგო მაგალითებიც; ჩვენ მხედველობაში გვაქვს აქ ისეთი შემთხვევები, სადაც მოცემული პიროვნების ან პიროვნებათა გაერთიანებისათვის ადმინისტრაციის დადგენილებით, საკანონმდებლო აქტით ან უბრალო არაიურიდიული ფაქტით სარგებლობის შესაძლებლობაა მოცემული ისევე, როგორც გარკვეული უფლებების განხორციელების შედეგად მესამე პირისა, რომელთა სამართლის სუბიექტად იგი არ გვევლინება. ეს არის შემთხვევები ეგრეთ წოდებული სამართლის რეფლექსური მოქმედებისა. საჭიროა გავიხსენოთ, რომ სწორედ თვითონ იერინგმა პირველმა მოახდინა ამ შემთხვევათა სპეციალური იურიდიული ანალიზი და მათ მთელი მონოგრაფიაც მიუძღვნა. და მაინც სიბნელები, რასაც ეს ფაქტები იერინგის თეორიას უქმნიან, მაინც არ არიან აღმოფხვრილი. ყველაზე უფრო ნათლად ეს კელზენმა გვიჩვენა, საიდანაც ჩვენ შესაბამის ადგილებს მთლიანად მოვიტანთ აქ:

“უფლების იერინგისეული დეფინიცია – ამბობს კელზენი – რომელიც ინტერესის მატერიალური მომენტის გვერდით, დაცვის ფორმალურ მომენტსაც შეიცავს, მარცხს განიცდის არა მარტო იმიტომ, რომ იერინგი ისეთ უფლებას აღიარებს, რომელიც არ შეესაბამება არაეითარ კონკრეტულ ინტერესს, არამედ იერინგი თავის საკუთარ დეფინიციანზე თვითონვე ამბობს უარს იმით, რომ მას არცერთი სამართლით დაცული ინტერესი არ მიაჩნია უფლებად”. იგი ამბობს: “არა ყველა კანონი, რომელიც, ინტერესს იცავს, უქმნის დაინტერესებულ პირს უფლებას”, და უშუალო კავშირში ამასთან აღნიშნავს იგი უფლებას, როგორც, ამ დაცვის სამართლებრივი მოთხოვნილების დაქმყოფილებას. ამით შეიძლება გავიგოთ სარჩელი /actio/ და ეს სრული გაუგებრობაა, რატომ შემოიფარგლა იერინგი ამ დებულებაში უფლების ცნების ფორმალური ელემენტით. ეს დებულება აშკარა წინააღმდეგობაშია იერინგის საკუთარ დეფინიციასთან; მასთან უშუალო კავშირში

<sup>59</sup> Ihon, Rechtsnorm und subjektives Recht, 1878, S. 289: “სამართლით დაცული სიტყვის დაქმყოფილება არასდროს არ მოეკუთვნება სამართლის შინაარსს”.

<sup>60</sup> über das Prinzip des öffentlichen Dienstes, Hauriou, Précis de droit administratif, 5-eme ed, 1914, p. 11-12.

ამბობს იერინგი: “კანონი, რომელსაც წარმოების გარკვეული დარგის ინტერესისათვის დაცვითი ბაჟი შემოაქვს, მოაქვს მეწარმეთათვის მოგება, ის ხელს უწყობს, იცავს მათ თავიანთ საწარმოში და მაინც არ ანიჭებს მათ არავითარ უფლებას”. თავისი დეფინიციით იერინგს სჯერა, ეს ფაქტი იმით მოიყვანოს შესაბამისობაში, რომ იგი ამბობს: “აქ გვაქვს მხოლოდ შიშველი რეფლექსური მოქმედება, ურთიერთობა, რომელსაც სამართალთან ყოველგვარი მსგავსება აქვს, მაგრამ ასეთივე გულმოდგინებით მისგან გამოთიშული უნდა იქნეს”.<sup>61</sup> ეს გათიშვა იერინგისათვის, რასაკვირველია, მაინც არ რჩება სავალდებულოდ. როცა იგი ამტკიცებს, სახელმწიფო კანონს იღებს სინამდვილეში თავისი ინტერესისათვის, რომელიც აქ, რასაკვირველია, მეწარმისათვისაც ხელსაყრელია, მაშინ აქ არავითარი განსაკუთრებული ნიშანი არ არის დაცვითი ბაჟის კანონისა, რადგანაც ყოველი კანონი შეიძლება გამოცემული იქნეს როგორც საზოგადოების /Gesamtheit/ /და არა სახელმწიფოს, რომელსაც, როგორც იურიდიულ პირს, არავითარი ფსიქიკური ინტერესი არა აქვს, ისე ცალკეული ადამიანის ინტერესისათვის. საბოლოოდ იერინგი ახასიათებს ამ “რეფლექსურ მოქმედებას” იმით, რომ იგი ამბობს: მეწარმეს არა აქვს არავითარი პრეტენზია დაცვითი ბაჟის კანონის აღსრულებისა, ამ კანონის გამოყენება მათი ნების თუ არანებისაგან სრულიად დამოუკიდებელია, ის მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი ხელისუფლების საქმეა. უნდა დავეთანხმოთ იმას, რომ განსხვავება სამართლით დაცულ ინტერესსა, რომელიც უფლებას გულისხმობს, და იმ ინტერესს შორის, რომელიც არ არის უფლება, შესაძლებელია დაცვის ფორმაზე დამყარებით, რომ დაცვას დამოკიდებულება საკუთარ ნებასა და უნებობაზე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებითად უფლების კერძო სარჩელია. ეს თვალსაზრისი იერინგს ფაქტიურად დასაწყისში ჰქონდა შემუშავებული. მაგრამ თავისი ნაშრომის შემდგომ გამოცემებში, ალბათ საჯარო სამართლის თეორიის ძლიერი დაწოლით, უფლების ცნების actio-საგან განთავისუფლების გამო გადაწყვიტა მან, შეეცვალა ძველი თვალსაზრისი. კატეგორიული დაყრდნობით საჯარო უფლების არსებობაზე, რომელსაც არავითარი სარჩელი არ უშველის, აცხადებს ის: “კერძო სარჩელი და უფლება ამრიგად, ერთმანეთს არ ემთხვევა” მაგრამ ამით ის ხელახლა დგება იმ კითხვის წინაშე, თუ საკუთრივ სამართლით დაცული ინტერესი, რომელსაც ის უფლების მნიშვნელობას აძლევს, როგორ განსხვავდება იმისაგან, რომელიც მხოლოდ რეფლექსური მოქმედება არის. და იერინგი ამბობს: “მე ვხვდავ განმასხვავებელ ნიშანს ინდივიდუალური სამართალდარღვევის კონსტატირების შესაძლებლობაში”. ახლა ეს ნიშნავს, ზუსტად რომ ვთქვათ, აშკარა *circulus vic iohannis*! ასეა ეს, ვინაიდან კითხვაზე, თუ როდის გვაქვს უფლება ანუ ინდივიდუალური სამართალი, მზად არის პასუხი: როცა შეიძლება დარღვეული იქნეს უფლება! მაგრამ იერინგი ალბათ სრულიადაც არ ფიქრობს იმას, რაც მან თქვა: მას ალბათ მხედველობაში არ ჰქონდა არავითარი ინდივიდუალური “სამართალდარღვევა”, არამედ გულისხმობდა ინდივიდუალური ინტერესის დარღვევას. ეს გამომდინარეობს შემდეგი დებულებიდან: “თუკი მფარველობითი ბაჟი სწორად არ იქნება დამოყენებული, მაშინ მართო განსაზღვრული ფაბრიკანტი ან ფერმერი კი არ დამარადდება, არამედ კანონის დარღვევის შედეგად ზარალს ნახავს ყველა – მთელი საზოგადოება განუსაზღვრელად. მაგრამ სრულიად სხვაგვარად მოხდება,

<sup>61</sup> Lhering, Die Reflexwirkungen oder die Rückwirkung rechtlicher Tatsachen auf dritte Personen, in den Jahrbüchern für die Dogmatik, X, S. 245 ff.

თუკი ვინმე საკუთარ საარსიენო უფლებას არ გამოიყენებს ან თავისთვის აღუკვეთავს თავისუფლებას” და ა.შ. ამ კრიტერიუმის უსუსურობა თავიდანვე აშკარაა. თუკი ვინმე ბაჟის დაცვის კანონის ცუდი გამოყენებით თავის მალაინდივიდურ ინტერესს დარღვეულად განიცდის, ეს მაინც მუდამ იქნება *quæstio facti*, რომელიც თავიდანვე სრულიადაც არ არის გამორიცხული; ყოველი პროტესტი ფაბრიკანტის ან ფერბერის მხრიდან კანონის დარღვევის საწინააღმდეგოდ საბაჟოს ხელისუფალთა მიერ აუცილებელს ხდის მიღებას ინდივიდური სამართალდარღვევისა და ამით უფლების დარღვევისა იერიზის აზრით. მაგრამ იერიზი ისევ აყენებს უხეშ ფიქციას! იგი *præsumier*/ მარტივად როგორც არარსებულად ვარაუდობს იმას, რასაც იგი იურიდიულად ირევეანტურად თვლის, იგი ამტკიცებს, ეს არის არა ყოფიერების სამყაროში, სინამდვილეში, ვინაიდან „ა“ მას თავის კონსტრუქციაში არ შეუძლია გამოიყენოს. ფაქტიურად ეს პროცესი ამტკიცებს მხოლოდ იურიდიულ *უმნიშვნელობას* */juristische Bedeutungslosigkeit/* ინტერესს მომენტისა თვითონ იერიზს თეორიისათვის. მაგრამ ფიქცია, რომელიც არღვევს მიკონსტრუქციას, მით უფრო მკვეთრად მოქმედებს, რაც უფრო გაეათანადოვლებს სამეურნეო ცხოვრების ფაქტებს! უბრალოდ უაზრობა იქნებოდა, არაფერი გვეთქვა ინდივიდურ დარღვევაზე, თუკი მაგალითად, საბაჟო კანონის დებულებათა საწინააღმდეგოდ ერთ მუხლს გაეათავისუფლებდით ბაჟისაგან, რომელიც მხოლოდ ერთ ფორმას ან ერთ კარტელს შეეხება. ვინც იმ მრავალრიცხოვან სიძნელეს იცნობს, რომლებიც ამ საფუძველზე საბაჟო სასწახურებს წარმოექმნებათ, მას, რასაკვირველია, აზრადაც არ მოუვა, რომ აქ უარყოფს არსებობას და უდარებს ინდივიდური ინტერესის დარღვევას. ის ფაქტი, რომ საბაჟო კანონი უამრავ ფაბრიკანტს შეეხება, ასე, მაგალითად, თუ მუხლი, რომელსაც ბევრი ფორმა შეიმუშავებს, ან საეხებით არ აწესებს ან ძალიან დაბალ ბაჟს აწესებს, არ არის საფუძველი იმისათვის, რომ უარი ვთქვათ აქ ინდივიდური ინტერესის დარღვევაზე! აქ იმავე უფლებით უნდა ითქვას, რომ უთვალავი ინდივიდური ინტერესია დარღვეული, ანდა შეიძლება დარღვეული იქნეს, როგორც მაგალითად, საარჩევნო წესრიგის დარღვევისას მრავალი ამომრჩევლის საარჩევნო სიებში შეუტანლობის მეოხებით შეიძლება ვილაპარაკოთ ინდივიდური ინტერესების დარღვევაზე. იერიზი ცდება, როცა მას საბაჟო კანონის დაცვის ცუდ გამოყენებასთან დაკავშირებული შესაძლებლობა, უთვალავი ინდივიდური ინტერესის დარღვევისა, გამოჰყავს დარღვეული ინტერესის განუსაზღვრელობისა და ნაკლოვანი ინდივიდურობიდან<sup>62</sup>.

ამით გვინდა ჩვენ დაკამთავროთ იერიზის თეორიის კრიტიკული მიმოხილვა. აქ არ შეუდგებით უფლების მოძღვრების სფეროში არსებული იმ თეორიების საგანგებო განხილვას, რომელთა არსი ისეთი ძირითადი ელემენტების სხვადასხვაგვარ კომბინაციაში გამოიხატება, რომლებსაც ჩვენ ნების და ინტერესის თეორიაში აღმოვაჩენთ<sup>63</sup>. შეიძლება უკვე *apriori* ვივარაუდოთ, რომ სიძნელები, რომლებზეც ჩვენ ზემოთ ამ თეორიების ცალკეული განხილვის დროს მივუთითეთ, თავის მნიშვნელობას იმ შემთხვევაშიც ინარჩუნებენ, როცა უფლების არსის ახსნა არა მარტო ინტერესს ან ნებას ცალკეულად, არამედ ამ ელემენტების გარკვეულ გაერთიანებასაც ედება საფუძველად.

<sup>62</sup> H. Kelsen, Hauptprobleme der Staatslehre, S. 578-581.

<sup>63</sup> Bernatzik, Kritische Studien über den begriff der juristischen Person und über die juristische Persönlichkeit der Behörde insbesondere, Arch. f. öffentl. Recht, Bd. v, S. 169 ff; Sellinck, System d.Subjek. öffentl. Rechte.

## მეორე მოწაკვეთი

§1. ამოსავალ წერტილად ჩვენი ნაშრომისა ჩვენ მივიღეთ სამართლებრივი ურთიერთობის ცალკეული ელემენტების ანალიზი. უპირველეს ყოვლისა, შეგვეძლო ჩვენ მიგვეთითებინა უფლებისა და მისი შესაბამისი მოვალეობის ცნებებზე, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის უდავო ელემენტებზე. მაგრამ უდაობა ამ ელემენტებისა იმით გამოიხატება, რომ უკვე შიშველი ცნებით სამართლებრივი ურთიერთობისა ლოგიკური აუცილებლობით, ესე იგი არა უბრალოდ გამოცდილების ან დაკვირვების საფუძველზე, არამედ *a priori* იგულისხმება როგორც უფლების, ასევე მოვალეობის ცნება; ყოვლად შეუძლებელია სამართლებრივი ურთიერთობა ერთ-ერთი ამ ელემენტთაგანის გარეშე მაინც წარმოვიდგინოთ. მეორე მხრივ, ნათელია, რომ აქ მოხსენიებული ნორმალური მოქმედება თავისთავად /*Selbstverständlichkeit*/ დასახელებული ელემენტების არსებობის აუცილებლობაზე მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობის ცნებაში მიუთითებს; მაგრამ ასევე უდავოა ის, რომ ამ ფაქტზე მითითების მეოხებით სამართლებრივი ურთიერთობის ცნებაში შემავალი ელემენტების არსის საკითხი არ შეიძლება გათვალისწინებული იქნეს უფრო მეტად დაწერილმანებულად. ამიტომაც სრულიად გასაკებია, რომ ჩვენ სამართლებრივი ურთიერთობის დანარჩენი ელემენტების ანალიზი, სახელდობრ, სამართლის სუბიექტისა, უფლებისა და მისი შესაბამისი მოვალეობის მიხედვით უნდა მოვახდინოთ; ამ თვალსაზრისით თუ წარმოვიდგენთ, არ შეიძლება ეს საკითხი გადაწყდეს შიშველი მითითებით სამართლებრივი ურთიერთობის ცნებაში ზემოთ დასახელებული ელემენტების არსებობის აუცილებლობაზე; სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის ცნებასთან კავშირში მოთხოვის იგი, პირიქით, უფლებისა და მისი შესაბამისი მოვალეობის არსის ახსნას. ორი მამოძრავებელი საფუძველია ამ თვალსაზრისით გადაწყვეტი. ერთი მხრივ, თავისთავად გასაკები ჩანს: სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის ცნება თავისი არსებითი შინაარსით იმით არის დამახასიათებელი, რომ ის განსაზღვრულ ურთიერთობაში დგას უფლებასთან; ამიტომაც შეიძლება მხოლოდ ამ უკანასკნელის ახსნის მეოხებით როგორც ამ ურთიერთობის არსის, ისე იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ ვინ იქნებოდა სამართლის სუბიექტი; მეორე მხრივ, შეიძლება აგრეთვე სამართლებრივი ურთიერთობის ცნება თვითონ თავისი ძირითადი შინაარსის მიმართ მხოლოდ უფლება-მოვალეობის არსის აღმოჩენის მეოხებით ყოფილიყო ახსნილი.

ზემოთ ნათქვამით ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა ის სიძნელეები, რომლებიც გვხვდება უფლების წმინდა ფსიქოლოგიური გაგების გზაზე<sup>1</sup>. ვფიქრობთ, ძირითადი ნაკლი უფლების მთელი მოძღვრებისა ის არის, რომ უფლების ცნების მთავარი შინაარსი იმ სხვადასხვა ელემენტებში უნდა ვეძიოთ, რომლებსაც ჩვენ ინდივიდის სულიერ ცხოვრებაში აღმოვაჩინებთ; არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ჩვენ სულიერი ცხოვრების მოვლენათა ყველაზე უფრო დაწერილობითი და ფაქტობრივი ანალიზითაც კი ვერასოდეს ვერ შევძლებთ უფლების მსგავსი რაიმეს აღმოჩენას, არამედ ვნახავთ მხოლოდ ინდივიდურ-ფსიქოლოგიურ განცდას ამ

<sup>1</sup> რომ ინტერესის თეორიაც იმავე "ფსიქოლოგიზმით" არის დაავადებული, როგორც ნების თეორია. ამაზე უკვე იყო ლიტერატურაში მითითებული. შედ., მაგალითად, Kelsen, op. cit. S. 573-577; ... "ინტერესი არის წმინდა ფსიქიკური ფაქტი და ამგვარი /აქ იგულისხმება იერინგის თეორია/ ინტერესის თეორია იქნებოდა საეკლესიო მაგალითი უჩვეულო თანმიმდევრულობისათვის ფსიქოლოგიის სფეროში დაბნეული იურისპრუდენციისა".

უფლებებისა; მაგრამ რომ ეს ორივე მომენტი, უფლება და ინდივიდურ-ფსიქოლოგიური განცდა ამ უფლებისა, მეკეთრად არიან ერთმანეთს მოწყვეტილი, ამას საკმარისი სიცხადით ვეჩივებებს ის, რომ თითოეული ეს მომენტი განცალკევებით და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიძლება არსებობდეს. შეიძლება მოუიყვანოთ იმის მრავალი მაგალითი, როცა უფლების განცდა სრული უეჭველობით დასტურდება ამ უფლების ნამდვილად არსებობის გარეშე; ყოველი სასამართლო პროცესი, რომელზედაც პროცესის მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობის საკითხი განიხილება, მთავრდება ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ, და ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება მუდამ იმის დამადასტურებელია, რომ ერთ-ერთი მხარე თავის უფლებას შეცდომით აკიჟებდა /irrig aufgefasset hat/ და რომ მისი ინდივიდურ-ფსიქოლოგიური განცდა მისთვის სამართლებრივ პრეტენზიას ობიექტურად სრულიადაც არ ეთანხმება. ეს ორი მომენტი რომ ყოველთვის ერთმანეთს ემთხვეოდეს, მაშინ სამართლებრივი დეა და მისი სასამართლო განხილვა სრულიად შეუძლებელი და, მამასადამე, საჭიროც არ იქნებოდა; სწორედ ამ მომენტების გათიშვა /auseinandergehen/ ააშკარავებს შესაბამისი უფლებამოვალეობის ობიექტურად, ნამდვილად არსებობის აუცილებლობას და უპირისპირებს მათ ცალკეულ პიროვნებათა ინდივიდურ შეხედულებებს. მეორე მხრივ, არცთუ იშვიათია ამის საპირისპირო შემთხვევები, როცა სრულიად უეჭველობით, უდავოდ მოცემულია რაიმე უფლება, მაგრამ არა გვაქვს შესაბამისი ინდივიდურ-ფსიქოლოგიური განცდა, von Roguin-ის ზუსტად შენიშვნის თანახმად "le propre titre peut ne pas user de sa propriete, meme ne pas la connaitre sans cesser de la posseder"<sup>2</sup>. ამის ნიშნად გამოდგება იმ პირის უფლება, რომელსაც ნების გამოვლენის უნარი საერთოდ არ გააჩნია, მაგალითად, უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვს. ყველა მოტანილი მაგალითი საკმარისად დამაჯერებელია იმის საჩვენებლად, რომ უფლება, ერთი მხრივ, და ინდივიდურ-სულიერი განცდა, მეორე მხრივ, ერთმანეთთან ურთიერთობაში incommensurable და გარკვეული აზრით ინდიფერენტული სიდიდეებია; ყოველ ამ მომენტს აქვს თავისთავადი და განცალკევებული არსებობა. და როცა სამართლის ამ თეორიის განვითარების მსვლელობაში, რომლის მოძღვრება იმდენად მნიშვნელოვანად არის განვითარებული, რომ უფლებები სულიერი ცხოვრების განსაზღვრულ ელემენტებთან არის დაკავშირებული, მაშინ მიზნები ამისა ამ თეორიების შინაგან მეცნიერულ სრულყოფილებაში კი არა, წმინდა პოლიტიკური ხასიათის მამოძრავებელ საფუძველში უნდა ვეძიოთ.

წმინდა მეცნიერული თვალსაზრისიდან გამომდინარე, მოძღვრება, რომელიც ინდივიდს მიაწერს უფლებას და ისეთი თანდაყოლილი უფლების არსებობას აღიარებს, ადამიანს რომ არ შეიძლება წაერთუას, უფლება, რომელიც ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს და მისი, როგორც განსაზღვრული სულიერი არსების თვისებას წარმოადგენს, იმგვარ მნიშვნელოვან დაბრკოლებებს აწყდება, რომ ის სრულიად მიუღებელი უნდა იქნეს. ამავე დროს, ასეთი წარმოდგენებისაგან, ბუნებითი სამართლის მოძღვრების ბატონობის დროიდან რომ განვითარდა, არსებითად არ განსხვავდებიან ის თანამედროვე მოძღვრებები, რომლებიც უფლების არსს ინდივიდის სულიერი ცხოვრების ელემენტებში ხედავენ.

ამრიგად, უფლება არ არის ის თვისება, რომელიც ჩვენ სულიერი ცხოვრების შემქმნელ

<sup>2</sup> Koguin, La regle da droit, p. 92; შეადარეთვე Reinach, Die apriorischen Grundlagen des Bürgerlichen Rechts, S. 696; Kelsen, op. cit. S. 574.

სხვადასხვა ელემენტებში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ. რაში მდგომარეობს აბა ამ ცნების ჭკმარტივი შინაარსი?

§2. იმისათვის, რათა საკითხს სწორად მივუდგეთ, უნდა მივაქციოთ ყურადღება შემდეგ გარემოებას: ზემოთ ჩვენ მივუთითეთ იმაზე, რომ უფლება წმინდა კორელაციური ცნებაა, რომელსაც მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ჩვენ მისი შესაბამისი მოვალეობის არსებობას ვივარაუდებთ; უფლება, რომელიც არ ემთხვევა არავითარ მოვალეობას, კარგავს ხასიათს იურიდიული ცნებისა და თავისი რეალური განხორციელების დროს იქცევა შიშველ ძალად, შიშველ იძულებად, რასაც ერთი პიროვნება მეორის წინააღმდეგ იყენებს. ამიტომაც ნათელია, რომ მხოლოდ აქ მოხსენიებული კორელატურობის არსის ახსნის მეოხებით, მხოლოდ უფლებას და მის შესაბამის მოვალეობას შორის არსებული ურთიერთობის აღმოჩენის მეოხებით შეგვიძლია სწორად გავიგოთ უფლება-მოვალეობის ცნების შინაარსი; რადგან ეს ცნებები ერთმანეთისაგან მოწყვეტილად არ არსებობენ, და მათ შორის არსებულ ურთიერთობას ობიექტურად არსებული კავშირის ხასიათი აქვს, ამიტომ ეს ურთიერთობა აშკარად განხილული უნდა იქნეს როგორც რაღაც თვითონ ურთიერთობის ელემენტების შინაარსისაგან წარმოქმნილი; აქედან გამომდინარეობს აუცილებელი დასკვნა, რომ ჩვენ ეს შინაარსი მხოლოდ ურთიერთობების ბუნების აღმოჩენის მეშვეობით შეგვიძლია ავხსნათ.

ვიდრე ამ საკითხს მივუბრუნდებოდეთ, უნდა შევნიშნოთ, რომ ცნება კორელაციურობისა, რომელსაც ჩვენ აქამდე ვიყენებდით უფლება-მოვალეობას შორის ურთიერთობების ბუნების აღნიშვნისათვის, იმდენად ხელსაყრელია, რამდენადაც ამ ცნებასთან ჩვეულებრივ განსაზღვრული შინაარსია დაკავშირებული, რომელიც მთლიანად არ მოიცავს იმას, რაც უფლება-მოვალეობის ცნებაში უნდა ვივულისებოდით. ამაში შეიძლება ადვილად დავარწმუნდეთ კორელაციურობის ცნების უფრო ზუსტი ახსნის მეოხებით. რასაკვირველია, აგრეთვე ეს ურთიერთობა, ესე იგი ურთიერთობა კორელაციურობისა ისევე აუცილებელია, როგორც უფლება-მოვალეობას შორის არსებული ურთიერთობა. და მაინც აქ აღნიშნული აუცილებლობა ბევრ შემთხვევაში წმინდა ანალიტიკური ხასიათისაა; იგი წარმოიშობა არა ურთიერთობაში მყოფი ელემენტების თავისებური შინაარსიდან, არამედ ერთი ელემენტის ცნება თავისთავად მოიცავს უკვე ანალიტიკურად მეორე ელემენტის ცნებას. ასეთია, მაგალითად, ურთიერთობა ნაწილისა და მთელის ცნებათა შორის; კორელატურობა აქ უყრდნობა არა ამ ცნებათა შინაარსის თავისებურებას, ვინაიდან ჩვენ აქ ყოველი კონკრეტული შინაარსის აბსტრაქტიზების დროს კორელაციური ურთიერთობის დადგენა შეგვიძლია, არამედ ისინი უკვე წმინდა ანალიტიკურად მოცული არიან ყოველი აქ დასახელებული ცნებით; ნაწილის ცნება წმინდა ანალიტიკური თვალსაზრისით თავის თავში შეიცავს მთელის ცნებას და, პირიქით. ამიტომაც ამგვარი ურთიერთობის შემთხვევაში ეს უკანასკნელი ურთიერთობის ერთი ელემენტის შინაარსის წმინდა ანალიტიკური გზით ახსნის მეოხებით შეიძლება იქნეს დადგენილი.

მაგრამ სწორედ ეს პირობა არ არის საკმარისი იმ ურთიერთობისათვის, რომელსაც ჩვენ უფლება-მოვალეობას შორის აღმოვაჩინეთ. აქაც კავშირი /ამ/ ელემენტებს შორის ატარებს აუცილებლობის ხასიათს; თუმცა ეს არის აქ არა ანალიტიკური, არამედ, თუკი ჩვენ ჰუსერლის გამოთქმას გამოვიყენებთ, სინთეზური აუცილებლობა. ეს გამოთქმა იმ იდეის აღნიშვნას ემსახურება, რომ ურთიერთობისი და აუცილებელი ურთიერთობა

ელემენტებს შორის აქ ეფუძნება მათი შინაარსის თავისებურებას. რასაკვირველია, აქ ერთი ელემენტის ახსნა მეორის ახსნის გარეშე შეუძლებელია; თუცა ამის სრულყოფილად ახსნა იმით შეიძლება, რომ აქ აუცილებლობა კავშირისა ურთიერთობის ელემენტების შინაარსის თავისებურებიდან მომდინარეობს. მაგრამ აქ აუცილებელი კავშირიდან არ გამოდინარეობს (როგორც ეს ანალიტიური კორელაციურობის შემთხვევაში გვხვდება), რომ ერთის არსებობა მეორის ცნებაში “ანალიტიკურად დასაბუთებული” იქნებოდა. ეს არის, მაგალითად, სრულიად ნათელი, რომ ანალიტიკური აღმოჩენა უფლების ცნებისა არ გააძლევს საკმარის ნიშნებს, რომლებიც სამართლებრივი მოვალეობის დამახასიათებელი იქნებოდნენ ან პირიქით. ეს ამიტომაც სრულიად ნათელია, რომ კავშირის ამ ელ. უნტებს შორის არსებული აუცილებლობა წმინდა ანალიტიკური ხასიათისა კი არ არის, აქ იქნება ის ამ ელემენტების შინაარსის სხვა თავისებურებას ეფუძნება.

აქ გატარებული განსხვავება ურთიერთობის ელემენტების კავშირის ანალიტიკურ და სინთეზურ აუცილებლობას შორის ამავე დროს მიუთითებს იმ საფუძვლის განსხვავებულობაზე, რომელიც ამ აუცილებლობის ორივე შემთხვევაში განსაზღვრავს. ანალიტიკური აუცილებლობის თვალსაზრისით ჩვენ უკვე მივუთითეთ იმაზე, რომ იგი თავის ახსნას პოულობს შემდეგ ფაქტში: ურთიერთობის ყოველი ერთი ელემენტის ცნება ანალიტიკურად მოიცავს ელემენტის ცნებას. ამის საპირისპიროდ კავშირის სინთეზური აუცილებლობის შემთხვევაში მისი საფუძველი ურთიერთობის ელემენტების შინაარსის თავისებურებაში უნდა ვიპოვოთ. ამით მივიღეთ ჩვენ მანც მხოლოდ ამოსავალი წერტილი; ახლა კი უნდა შევედგეთ საკითხის შემდგომ გაღრმავებას.

პირველი, რაც ჩვენ უნდა შევნიშნოთ, ის არის, რომ აქ მხედველობაში მიღებული კავშირი მკაცრად ობიექტური ხასიათისაა; იგი არ არის რაღაც შემქმნელებელი სუბიექტისაგან მოტანილი, რაღაც შემქმნების სუბიექტურ ფორმებსა და პირობებზე დაფუძნებული, არამედ გამოსატყვის ობიექტურ, ონტოლოგიურ ბუნებას ნივთისა, იმას, რაც შეიმქმნება როგორც რაღაც ობიექტური, შემქმნებად რაღაც თავისთავად არსებული<sup>3</sup>. სწორედ ეს იდეა არის იმ მტკიცებაში გამოსატყვლი, რომ კავშირის სინთეზური აუცილებლობა თავის დასაბუთებას ნახულობს ელემენტების შინაარსის თავისებურებაში, ამ თავისებურების ახსნისათვის ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ იმ ნიშნების ანალიზს, რომლებიც ურთიერთობის ელემენტების შინაარსს გამოსატყვენ. ერთ-ერთ ძირითად ნიშნად უნდა განვიხილოთ ყოველი თითოეული ელემენტის დამოუკიდებლობა; ეს უკანასკნელი იმდენად არიან დამოუკიდებელი, რამდენადც ურთიერთობას თვითონ აქვს a priori აუცილებელი ხასიათი, და მოწყვეტილი და დამოუკიდებელი არსებობა ყოველი მათგანისა ერთმანეთისაგან მათი შინაარსის შინაგანი თავისებურების მეოხებით გამორიცხულია; ამ ელემენტების არსებობა მათი ურთიერთკავშირის გარეშე შეუძლებელია არა უბრალოდ de facto, არამედ a priori<sup>4</sup>.

<sup>3</sup> Husserl, log. Unter S., II, S. 246.

<sup>4</sup> Husserl, Log.Unter S., II, S. 235-36, 276.

<sup>5</sup> აქ მხედველობაში მისაღები კავშირი არ მოიცავს მოვლენათა მიმდებარე კავშირს. ეს უკანასკნელი არის აუცილებელი გამოსატყვლება მოვლენათა კავშირისა დროში /in die Zeitfolge/; მაგრამ პირველი აღნიშნავს, პირიქით, საგნობრივ შინაარსზე დაფუძნებულ კავშირს, შუად ამისათვის აგრეთვე Husserl, Log. Unt.II, S. 223 ff; A. Pfänder, Logik, S. 283, რომელიც “ონტოლოგიურ წესრიგზე... საგნებისა” კავშირის კავშირის ცნებისაგან დამოუკიდებულებასა და მოწყვეტის გარეშე ლაპარაკობს.

ურთიერთობის ელემენტების აქ მითითებული დამოუკიდებლობა გვაძლევს ჩვენ შემდგომ ნიშანს, რომელიც როგორც ყოველი მათგანის შინაარსს, ისე აგრეთვე მათი ობიექტური მოცემულობის არსს გვიჩვენებს; თუკი ელემენტების დამოუკიდებლობა აქ იმით გამოიხატება, რომ ისინი განცალკევებულად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ შეიძლება არსებობდნენ, მაშინ აშკარაა: ამან უნდა მოგვცეს განსაზღვრული მთელი, რომელთანაც კავშირში ეს ელემენტები შეიძლება გამოვიდნენ.

§3. ზემოთ ჩვენ მიუთითეთ ამაზე, რომ აქ მხედველობაში მიღებული კავშირი ობიექტურად აუცილებელი ხასიათისაა; მაგრამ ობიექტური აუცილებლობა "ნიშნავს", როგორც ამას სწორად ამბობს კუსერლი, უმთავრესად სხეას არაფერს, გარდა ობიექტური კანონზომიერებისა, შესაბამისად ფიფიერებისა და საფუძელის ობიექტურ კანონზომიერებას<sup>6</sup>. იმ კანონზომიერი დამოკიდებულების საფუძველზე, რომელიც განმსჭვალავს მთელს, რომელშიც ცალკეული ელემენტები ურთიერთობისა გამოდიან როგორც დამოუკიდებელი ნაწილები, ეს ელემენტები შინაგანი და ობიექტურად აუცილებელი კავშირების მეოხებით არიან ერთმანეთზე გადაჯტკვეული; ურთიერთობის ელემენტების ერთმანეთზე დამოკიდებულება დაფუძნებულია აქ მთელში განმსჭვალულ კანონზომიერებაზე. აქედან აშკარაა, რომ მთელის ანალოზი ასეთ შემთხვევაში ლოგეურად განსაზღვრავს ურთიერთობის როგორც ცალკეულ ნაწილთა, ისე აგრეთვე მათ შორის არსებული კავშირის გაგებას.

დასვენებს, რომლებიც ჩვენ აქ მივიღეთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს უფლება-მოვალეობათა პრობლემის ახსნისათვის. სწორედ სრული უგულებელყოფა თეზისისა, რომ ურთიერთობა უფლებასა და მოვალეობას შორის ობიექტურად აუცილებელი ხასიათისაა, არის წყარო მრავალგვარი შეცდომების უფლების მოძღვრებაში. ამ კავშირის მხედველობაში მიღებამ ბუნებრივად უნდა მიგვიყვანოს იმ აზრამდე, რომ უფლება და მოვალეობა თავიანთ არსებობაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან; და ვინაიდან მათ შორის არსებული ურთიერთობა როგორც რაღაც სამართლებრივ სინამდვილეში უშუალოდ მოცემულის უარყოფა არ შეიძლება, მაშინ სამართლის მეცნიერება ამ ურთიერთობის აგებისათვის სხვაგვარ და, როგორც ეს ჩვენ გვეჩვენება, ყალბ გზას უნდა დაადგეს; დამოკიდებულება უფლებისა და მოვალეობისა იმაში კი არ უნდა იქნეს მონახული, თითქოს ისინი მუდმივად შეიძლება ვლინდებოდნენ მხოლოდ ერთმანეთთან კავშირში, როგორც ნაწილები მათგანვე შედგენილი მთელისა, არამედ იმაში, რომ თითოეული ეს ელემენტი წანამძღვრის სახით გულისხმობს "მატარებელს" /"Träger-s"/, რომლის თანახმად ურთიერთობა მათ შორის გაგებული უნდა იქნეს, როგორც შედეგი, რომელიც მხოლოდ უფლება-მოვალეობების მატარებელთა შორის წარმოქმნილი რეალური დამოკიდებულების წყალობით არსებობს. მატარებლის /"Trägerschaft"/ ცნებიდან აქ მოხსენიებული აზრით აუცილებლობით გამოზღინარეობს იდეა უფლებისა და მოვალეობის უწყვეტი კავშირისა პიროვნების ინდივიდურ განცდასთან; მაგრამ ამ ცნებებიდან ისევ ელი გამოზღინარეობს, რომ თავდაპირველად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ცალკეული პიროვნების სულიერი განცადების ფორმით არსებული უფლება და მოვალეობა მხოლოდ იმ შედეგში ეხებიან ერთმანეთს, რომელსაც თავდაპირველი და ობიექტურად აუცილებელი კი არა, არამედ მხოლოდ წარმოებული, გარკვეული. აზრით შემთხვევითი ხასიათი აქვს და უფლება-მოვალეობათა მატარებელთა შორის რეალური /wirklichen/ დამოკიდებულების მეოხებით

<sup>6</sup> Log. Unt., II, S. 235.



განისწავლურებიან. საბოლოო აზრით აქედან გამომდინარეობს სამართლებრივი ურთიერთობის ცნების თავისებური სტრუქტურა, სახელდობრ, მისი გაგება როგორც პიროვნებათა შორის წარმოშობილი რეალური, სოციალური ურთიერთობისა, რომლის სამართლებრივი ბუნება იმით გამოიხატება, რომ ამ ურთიერთობის შემადგენელი ნაწილებია ინდივიდურ-ფსიქიკური განცდები უფლება-მოვალეობისა, რომლებიც პიროვნებებს შორის არსებულ ურთიერთობაში ვლინდება. ზემოთ ჩვენ ყველა აქ მოხსენიებული თეზისი საკმაოდ სრულად გავყარითყეთ. ჩვენ შევეძლია დაგვედგინა, რომ უფლების დაფუძნება ფსიქოლოგიური ელემენტის მეოხებით, რომელიც ინდივიდის სულიერ ცხოვრებაში აღმოჩნდება, ბევრ გადაულახავ სირთულეს აწყდება; ჩვენ ყურადღება მივაქციეთ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ სამართლებრივი ურთიერთობის გაგება რეალური ურთიერთობის აზრით, როცა მისი ელემენტები უფლებრივი პრეტენზიის /des Rechtsanspruches/ და მოვალეობის განცდების სახით ვლინდება, პრობლემის არა მარტო წმინდა იურიდიული თვალსაზრისით ახსნას ვერ იძლევა, არამედ მას საერთოდ არც კი ეხება. მაგრამ ჩვენ აქ ყველა ამ მტკიცებას ახალი თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ, რომ უფლებისა და მოვალეობის ცნებებს შორის ობიექტურად აუცილებელი და უწყვეტი /unlösbarer/ კავშირის არსებობა თვალსაჩინო და უდავოა. უფლება, რომელიც არავითარ მოვალეობას არ ემთხვევა, აღარ არის უფლება; ასეთი უფლება არასოდეს არ შეიძლება იურიდიულად იქნეს აღიარებული და კანონის მეშვეობით განხორციელებული. ფაქტიურმა განხორციელებამ მას არასოდეს არ შეიძლება მიანიჭოს სამართლებრივი ხასიათი, ვინაიდან იგი ასეთ შემთხვევაში ვლინდება როგორც შიშველი ძალა, ესე იგი როგორც წმინდა სოციალური და არა როგორც იურიდიული მოვლენა. სამართლებრივი მოვალეობის მომენტი სწორედ ის მომენტია, რომელიც სამართლის ცნების ძალის ცნებისაგან გამიჯვნის შესაძლებლობას იძლევა, რამდენადაც ეს მომენტი უფლების ცნების განსაზღვრის /დეფინიციის/ დროს ლოკურად აუცილებელია. იგივე უნდა ითქვას სამართლებრივი მოვალეობის მიმართაც; იურიდიულ ხასიათს იძენს იგი მხოლოდ მაშინ, როცა მისი შესაბამისი უფლება არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უკვე სამართლებრივი კი არა, მორალური მოვალეობაა. აღიარება ორივე მომენტის ურთიერთშესაბამისი და აუცილებელი კორელაციურობისა აუცილებელი პირობაა უფლების ცნების მეცნიერული განსაზღვრის /დეფინიციის/ შესაძლებლობისა, ესე იგი მისი გამიჯვნისათვის, ერთი მხრივ, ძალის /Kraft/ ცნებისა, ხოლო, მეორე მხრივ, მორალური მოვალეობის ცნებისაგან. მაგრამ ასეთი აღიარება შეუძლებელი იქნება. თუკი გამოვალთ მატარებლობის თეორიიდან /Trägerschaftstheorie/ და აუცილებლობით გამოვიყვანოთ იქიდან სამართლებრივი მოვლენების წმინდა ფსიქოლოგიურ გაგებას; ასეთი გაგების დროს უფლება და მოვალეობა განიხილება როგორც ცალკეული ადამიანის სულიერ ცხოვრებაში იზოლირებულად არსებული და მათი აუცილებელი დამთხვევა სულ ბევრი თავისებური პარამონის /preetablie/ გზაზე შეიძლება იქნეს დადგენილი. რომ უფლებისა და მოვალეობის ცალკეული “მატარებლის” განცდაში ასეთი დამთხვევა არ არსებობს, შეიძლება დაეადანსტურით სამართლებრივი სინამდვილიდან აღებული ბევრი ფაქტის მეოხებით. როგორც, მაგალითად, ნებისმიერი სასამართლო პროცესი /მხარეთა აშკარა არაკეთილსინდისიერების შემთხვევათა გამოვლენით/ გვიჩვენებს, თუ როგორი სხვადასხვაგვარი წარმოდგენა შეიძლება ჰქონდეთ ცალკეულ პიროვნებებს ერთმანეთის უფლება-მოვალეობებზე; მიუხედავად ასეთი განსხვავებისა ჩვენ ყოველთვის ვანსხვავებთ უფლების განცდას თვითონ უფლებისაგან, ვინაიდან თვითონ

უფლების ასეთი გამოიყენების გარეშე მისივე განცდისგან არცერთი სასამართლო განხილვა /ძიება/ არ იქნებოდა შესაძლებელი. აქედან აშკარაა, რომ ურთიერთობა უფლებასა და მოვალეობას შორის უმრავლეს შემთხვევაში ცალკეული "მატარებლის" სულიერი ცხოვრების სურათს არ მოიცავს და რომ იგი დახასიათებული უნდა იქნეს არა, როგორც რეალური შეხება კონკრეტული პიროვნების სულიერ ცხოვრებასთან, არამედ, როგორც ურთიერთობა a priori აუცილებელი კორელატურობისა. ამ აუცილებლობის დასაბუთებას ეხმადვლით ჩვენ ურთიერთობის ელემენტების საგნობრივ შინაარსში და იმ კანონზომიერებაში, რომელიც მთელს განმსჭვალავს და ამ ელემენტებს, როგორც შემადგენელ ნაწილებს, მოიცავს. მთელის ცნება აქ გამომდინარეობს თავის თავიდან, თუკი ურთიერთობას უფლებასა და მის შესაბამის სამართლებრივ მოვალეობას შორის აუცილებლობის ხასიათი მიეწერება; ადვილი გასაგებია, რომ ასეთი ურთიერთობიდან სამართლებრივი ურთიერთობის ცნება თავისთავად უნდა გამომდინარეობდეს. თუკი საკითხს ამ თელსაზრისით მიუვადებთ, მაშინ აშკარა იქნება, რომ სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშობა არა აქ მოხსენიებული ელემენტების შეხების მეოხებით, რომლებსაც ამ გაერთიანებამდე (vor dieser Vereinigung) დამოუკიდებელი არსებობა აქვთ, არამედ, პირიქით, ცალკეული ელემენტების ცნება მხოლოდ მთელის – ესე იგი, მოცემულ შემთხვევაში, სამართლებრივი ურთიერთობის – ცალკეულ ნაწილებად "დაშლის" /"Zerlegung"/ მეოხებით შეიძლება მიღებულ იქნეს. ერთი ქმნის მეორესთან ურთიერთობაში როგორც ლოგიკურ, ისე აგრეთვე ონტოლოგიურ ღირებულებას. აქ აღძრული საკითხის ამგვარი გაგების დროს როგორც მატარებლობის /Trägerschaft/ ცნება, ისე აგრეთვე უშუალოდ ამ ცნებიდან გამომდინარე ძირითადი იურიდიული კატეგორიების ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია თავის აზრს კარგავს.

მატარებლობის ცნების, ესე იგი უფლებისა მოვალეობის აუცილებელი მატარებლის ცნების დაძლევის /Beseitigung/ შემდეგ გარდაუვალად მივიღებთ იმ დასკვნამდე, რომ უფლება /და მოვალეობაც/ თვისება კი არა, მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთობაა. ამ გამოთქმით აღვნიშნავთ ჩვენ არა მხოლოდ იმას, რომ უფლებაც და მოვალეობაც ორი არა დამოკიდებული /Unselbstständige/, ერთმანეთთან აუცილებელ ურთიერთობაში /რომელსაც ჩვენ ლოგიკური კორელატურობის ურთიერთობას ვუწოდებთ/ მყოფი ელემენტებია, არამედ აგრეთვე იმასაც, რომ ყოველი ამ ელემენტის ცნების ლოგიკური აზრი სწორედ ურთიერთობის ცნების მეოხებით საესებით ამოიწურება. ჩვენ ვწყვეტთ ამ ცნებებს პირველ და მეორე შემთხვევაში ერთმანეთისაგან, ვინაიდან ჩვენ თითოეულ შემთხვევაში განსხვავებულ აზრს ვაქსოვთ. პირველ მნიშვნელობაში აღვნიშნება, in abstracto ცალკეულად და იზოლირებულად აღებული, არა ურთიერთობის ელემენტების შინაგანი შინაარსი, არამედ, ასე ვთქვათ, მათი გარეგნული ყოფიერება, მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი. ბუნებრივია, რომ ამ დამოკიდებულების ხასიათი ურთიერთობის ელემენტების შინაარსის მეოხებით განისაზღვრება. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს ურთიერთობის შინაარსის სრული იდენტურობა თვითონ მისი ელემენტების შინაარსთან. პირიქით, აქ პირველსა და უკანასკნელს შორის შესაძენევი ზდება განსხვავება საპირისპირო ფორმაში განმაპირობებელსა და განპირობებულს შორის, რაც იმით გამოიხატება, რომ ერთ შემთხვევაში ურთიერთობის ცნებასთან ურთიერთობის ელემენტებს შორის არსებული გარეგნული კავშირი აღვნიშნება, ხოლო მეორე შემთხვევაში ეს კავშირი ურთიერთობის ელემენტებს შორის შინაგანი, იმანენტური აზრით გამოიხატება;

ერთ შემთხვევაში ამიტომაც ეს “შორის” ცნებასთან განუყრელად არის დაკავშირებული, რამდენადაც ეს ურთიერთდამოკიდებულება უკვე მოცემულ ელემენტებს აღნიშნავს, მეორე შემთხვევაში იგი აღნიშნავს ყოველი ელემენტის ცნების შინაგან ლოგიკურ არსებობას /Bestand/, რომელსაც ყოველი კავშირის გარეშე “შორისის” ცნებასთან თავისი საკუთარი აზრი აქვს. და მაინც არც პირველი, არც მეორე მნიშვნელობით ურთიერთობის ცნება არ ემთხვევა პიროვნებებს შორის /von Person zu Person/ არსებულ რეალურ ურთიერთობას; ჩვენ უკვე მიუვითითებ იმაზე, რომ რეალური ურთიერთობა პიროვნებებს შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს დადგენილი, როცა ამ პიროვნებათა სულიერ ცხოვრებას შორის არსებობს განსაზღვრული შეხება, განსაზღვრული ურთიერთობა; ჩვენ ამავე დროს იმაზეც მიუვითითებ, რომ უფლება იქაც შეიძლება არსებობდეს, სადაც შესაბამისი სულიერი ცხოვრების არარსებობა უდავოდ ჩანს. ამის დამადასტურებელი მაგალითია ეგრეთ წოდებული აბსოლუტური უფლება; ამის დამახასიათებელი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ადგენს არა ცალკეული პიროვნების ან პიროვნებათა განსაზღვრული ჯგუფის, არამედ ყველა პიროვნების<sup>7</sup> მოვალეობას, რომ ასეთ შემთხვევებში არ შეიძლება ლაპარაკი იყოს უფლება-მოვალეობის მატარებელთა შორის არსებულ რეალურ დამოკიდებულებაზე, და ამით აგრეთვე უმთავრესად შესაბამისი სულიერი ელემენტების რეალურ არსებობაზე. ამის გახსენება ზედმეტად მიგვაჩნია.

რაც ზემოთ უფლების /შესაბამისად მოვალეობის/ მიმართ ითქვა, სრულიადაც არ არის საკმარისი; საჭიროა შემდგომი ანალიზი, რამაც უნდა გვიჩვენოს არანაყლებ მნიშვნელოვანი მომენტი უფლების ცნებისა. ამოსავალ წერტილად უნდა მივიღოთ დამოკიდებულება, რომელიც ერთი მხრივ, უფლებასა და, მეორე მხრივ, ობიექტურ მართლწესრიგს შორის არსებობს. რომ ასეთი დამოკიდებულება ნამდვილად არსებობს, იმის მეოხებით მტკიცდება, რომ უფლების არაეითარნი დფინიცია არ შეიძლება საჭიროებდეს მასზევე მითითებას. არც ნების, არც ინტერესის თეორიის მიხედვით, როგორც უკვე ვთქვით, ასეთი გამონაკლისის გარეშე, არ ქმნის ნება ან ინტერესი თავისთავად უფლების “არსს”, არამედ ის იქნება მხოლოდ მასაში, როცა ის “აღიარებული” ან “დაცული” იქნება ობიექტური მართლწესრიგის მიერ. ძირითადი ამოსავალი წერტილის ზეგაყენებით ორივე თეორიას, ჩვენი აზრით, როგორც ელემენტებს შორის არსებული ურთიერთობის დადგენის, ისე თვითონ ურთიერთობის არსებითი შინაარსის დადგენის საკითხში, ყალბ დასკვნამდე მივყავართ. პირველმა ამ კითხვათაგანმა შემდეგი დებულების ზეგაყენებით – მხოლოდ ადამიანია სამართლის სუბიექტი – უნდა მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ ჩვენთვის აქ საინტერესო ურთიერთობა არსებობს ობიექტურ მართლწესრიგსა და ფსიქიკურ პიროვნებას შორის; ამ დებულების თვალსაზრისით უფლება გვესახება ადამიანის როგორც ასეთისათვის რაღაც თანდაყოლილი<sup>8</sup>. ასე, რომ ობიექტური მართლწესრიგის როლი შემოიფარგლება ამ უფლების მხოლოდ უბრალო რეგისტრირებით.

<sup>7</sup> Roguin, La regle de droit, p. 209 et suiv; Windscheid, Lehrbuch des Pandektenrechts, 6-te Aufl. I. S. 106; Stoble, Handbuch d. deutschen Privatrechts, III, S. 1-5; Merkel, Juristische Enzyklöpedie, S. 537-538.

<sup>8</sup> ეს გამომდინარეობს “აღიარების” ან “დაცვის” ცნებიდან, რომლებმაც დაყენებული იყო ორივე თვალსაზრისიდან ობიექტურ მართლწესრიგსა და ფიზიკურ ინდივიდს შორის არსებული ურთიერთობა გამოსატყლი. ამაყარა, რომ აღიარება შეიძლება იმისა, რაც აგრეთვე აღიარების ან დაცვის წინ არსებობს.

მწელი არ არის მტკიცებებში, იმგვარი თეორიებისათვის ლოგიკურად რომ გარდაუვალია, რომლებიც უფლებას სულიერი ცხოვრების ცალკეულ ელემენტებთან აიგივებენ, დაეინახოთ ფარული ზეგავლენა ბუნებითი სამართლის თეორიისა, რაც ამის საფუძველზე უკვე გარკვეულ უნდობლობას აღძრავენ. სინამდვილეში აუხსნელი რჩება სამართლებრივი ცხოვრების ბევრი ფაქტი. თუკი სულიერ მოვლენებში უფლების "სუბსტანციურ" შინაარსს ვაღიარებთ, ამის ირგვლივ ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი წინა გვერდებზე. ამიტომაც აქ უნდობლად გვეჩვენება კიდევ ერთხელ ამ საკითხზე მსჯელობის გამართვა. მხოლოდ ზემოთ მოხსენიებული დებულების ირგვლივ – მხოლოდ ადამიანის სამართლის სუბიექტი – უნდა ითქვას ცოტა რამ. შემდეგ შეეცადებით ჩვენ დაწვრილებით დავასაბუთოთ იდეა, რომ პიროვნება იურიდიული აზრით არ მოიცავს მთლიანად ფიზიკურ პირს; რასაკვირველია, უამრავ შემთხვევაში სწორედ ეს უკანასკნელი გვევლინება სამართლის სუბიექტად. მაგრამ უდავოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ სამართალი /objektive Recht/ ბევრ შემთხვევაში იქ არ აღიარებს სამართლის სუბიექტს, სადაც მხოლოდ ფიზიკური პირი იგულისხმება. სხვა შემთხვევაში კი, პირიქით, დაწესებულებას ან კორპორაციას, რომლებიც არ არიან ფიზიკური პირები, ობიექტური მართლწესრიგი იურიდიული პირის თვისებას ანიჭებს. მაგრამ თუნდაც პიროვნებების იმ წრითაც კი რომ შემოვიფარგლოთ, რომლებიც ერთსა და იმავე დროს იურიდიული და ფიზიკური პირები არიან. მაშინ მწელი არ უნდა იყოს იმის აღმოჩენა, რომ მათივე იურიდიული მდგომარეობა არავითარ ურთიერთობაში არ დგას თავისთავად თვისებასთან, რომელსაც ისინი როგორც ფიზიკური პირები ფლობენ, უფლების სხვადასხვა მოცულობა სხვადასხვა სამართლებრივი სფერო ცალკეულ პიროვნებათა, რომლებსაც ჩვენ თითქმის ყოველ სამართლებრივ სისტემაში ვხვდებით, თვალნათლივ განისაზღვრება არა ანატომიური, ფიზიოლოგიური თავისებურებების მეოხებით კონკრეტული "მატარებლისა", არამედ მოქმედი სამართლებრივი მოწესრიგების სისტემის ინდივიდუალური სტრუქტურის მეოხებით. სამართლის სუბიექტის თვისება არის ამით არა რაღაც ფიზიკური ინდივიდუალიდან, როგორც განსაზღვრული, დამოუკიდებლად არსებული ცენტრიდან წარმოქმნილი, რაღაც თანდაყოლილი (angeborenes), შინაგანად და განუყოფლად ამ ცენტრთან დაკავშირებული, არამედ რაღაც გარედან მოტანილი /auswärts hergebracht/ ობიექტური მართლწესრიგისაგან "მინიჭებული". თანაც მინიჭებული თვითონ იმ თვისებას როდი ემთხვევა, რომელიც ფიზიკურ პირს როგორც ასეთს, ესე იგი როგორც ფსიქოფიზიკურ პიროვნებას კი არა. არამედ ახასიათებს შესაბამისად მოქმედი სამართლის სისტემაში დადგენილ ძირითად პრინციპებს საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისა. სწორედ ეს პრინციპი სოციალური ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგებისა, რომელიც თავისი შინაარსის მიხედვით საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ძლიერ განსხვავებულია, უნდა იქნეს გამოყენებული უფლების არსის ახსნისათვის: სახელდობრ, იმპეტომაც, ვინაიდან სამართალი, რომლის ფესვები ადამიანის საზოგადოებრივ არსებობაში /Existenz/ დევს, არასოდეს არ შეიძლება იქნეს ახსნილი იმ თვისებებზე მითითებით, რომლებიც მხოლოდ ინდივიდუალური ცხოვრების დახურულ წრეში არსებობს?

თუკი იერინგის მტკიცებასაც მოვიშველიებთ, "ყოველი სამართალი... იმისათვის არის, რომ უზრუნველყოს ადამიანის რაიმე სიკეთე /Vorteil/, დაკმაყოფილოს მისი მოთხოვნილება,

<sup>9</sup> Binder. Das Problem der juristischen Persönlichkeit, 1907, S. 43.

მის ინტერესებს, მიზნებს ხელი შეუწყოს<sup>10</sup>. ამის მიხედვით ცხადი იქნება, რომ ამ თვალთახედვით საკითხის განხილვის დროს ჩვენ საკუთრივ უფლების არსს კი არა, იმ მიზანს აღმოვაჩინეთ, რომელიც სამართლის მეშვეობით შეიძლება იქნეს განხორციელებული. ის, რომ ჩვენ აქ მისი ორი არსის მიხედვით იმ სხვადასხვა საკითხებთან უნდა გვეკონფეს საქმე, რომლებიც ცოდნის სხვადასხვა სფეროში დევს საქმარ სიცხადით ჩანს უკვე იქიდან, რომ, ერთი მხრივ, ერთიადიგივე მიზნები სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებებით შეიძლება მიღწეული იქნეს, მეორე მხრივ, იგივე სამართლებრივი საშუალებები სულ სხვადასხვა მიზნებისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული<sup>11</sup>. მაშინ, როცა ჩვენ მოვითხოვთ ამ ორი საკითხის მოწყვეტას, უნდა შევნიშნოთ, რომ მიზნის ცნება სამართლის ნორმის განვითარების სოციალური პირობების საკითხის ახსნისათვის განსაკუთრებით ღირებულია, ხოლო სამართლის არსის თეორიული გაშუქების დროს გამოუსადეგარი ჩანს. და სახელდობრ იმიტომ, რომ სამართალი მიზანი კი არა, მხოლოდ საშუალებაა განსაზღვრული მიზნის მისაღწევად<sup>12</sup>.

სამართლის გაგება როგორც სისტემისა, რომელიც განსაზღვრული მიზნის მიღწევის საშუალებაა, გასაგებს ხდის იმ ფაქტს, რომ უფლება ხშირად არ არის დაკავშირებული ფიზიკურ პირთან. ამის ახსნა მდგომარეობს შემდეგში: ბევრი ამოცანა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგებისა მხოლოდ იმის მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს, რომ შესაბამისი /betreffender/ უფლებები იმ სუბიექტებს მიენიჭებათ, რომლებსაც არ გააჩნიათ ფიზიკური ეგზისტენცია; აქ იგულისხმება ეგრეთ წოდებული იურიდიული პირები. ასეთი მინიჭება უფლებებისა იმიტომაც არის შესაძლებელი, რომ ფიზიკური პირი ობიექტური მართლწესრიგის მიერ განიხილება არა მისთვის დამახასიათებელი იმანენტური თვისების აზრით, არამედ წმინდა გარეგნულად, როგორც საყრდენი წერტილი სისტემის საშუალებებისა, რომლის მეშვეობითაც კანონმდებლის მიერ დასახული მიზანი შეიძლება იქნეს განხორციელებული. ასეთი საყრდენი წერტილის როლი ასევე კარგად შეუძლია შეასრულოს იურიდიულმა პირმა, რამდენადაც ამისთვის არ არის აუცილებელი ის თვისებები, რომლებიც ფიზიკურ პირს, როგორც ფსიქო-ფიზიკურ არსებას ახასიათებს.

აქ ნათქვამიდან, რასაც ჩვენ შემდეგში კიდევ დაუბრუნდებით, გამომდინარეობს ის, რომ ობიექტურ მართლწესრიგსა და ფიზიკურ პირს შორის რეალურად /wirklich/ გარკვეული ურთიერთობა არსებობს. მაგრამ იგი არაუიოთარ შემთხვევაში არ არის შინაარსობრივად იდენტური იმ ურთიერთობებისა, რომელიც ჩვენ ობიექტურ მართლწესრიგსა და უფლებას შორის აღმოვაჩინეთ. ამაზე ის ფაქტიც კი მიუთითებს, რომ ურთიერთობა მეორე შემთხვევაში დგინდება წმინდა სამართლებრივ კატეგორიათა შორის, ხოლო პირველ შემთხვევაში, პირიქით, ურთიერთობის მხოლოდ ერთი ელემენტი /მართლწესრიგი/ ატარებს სამართლებრივ ხასიათს, მაშინ, როცა მეორე ელემენტი არაიურიდიულ მოვლენათა სფეროს მიეკუთვნება (Art gehört). ამ ორი სხვადასხვა სახის ურთიერთობის აღრვეით აიხსნება აგრეთვე ის, რომ როგორც ნების თეორია, ისევე აგრეთვე ინტერესის თეორია აქ ჩვენთვის საყურადღებო ურთიერთობას /ობიექტურ მართლწესრიგსა და უფლებას

<sup>10</sup> Geist, III. S. 528.

<sup>11</sup> Geny, Methode d'interpretation et sources en Droit pelve positif, Pari S. 1899. p. 471.

<sup>12</sup> Binder, Das Problem der Juristischen Persönlichkheit, S. 57.

შორის/ განიხილავს ობიექტურ მართლწესრიგსა და ფიზიკურ პირს შორის არსებულ ურთიერთობად. სწორედ ამ აღრევის წყალობით ორივე აქ მოხსენიებული თეორია ელემენტების ურთიერთობის საკითხში, მოცემულ შემთხვევაში, ყალბ დასკვნამდე მიდის.

ზემოთ ჩვენ მიუთითეთ იმაზე, რომ ეს თეორიები აგრეთვე ურთიერთობის არსის საკითხშიც ყალბ დასკვნამდე მიდიან. რაზან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ურთიერთობის ხასიათი განისაზღვრება ურთიერთობის ელემენტების საგნობრივი შინაარსის მეოხებით, აშკარაა, რომ ყალბმა გაგებამ ურთიერთობის ელემენტებისა ზემოთ დასახელებულ თეორიებში ზემოქმედება უნდა მოახდინოს აგრეთვე ობიექტურ მართლწესრიგსა და უფლებას შორის არსებული ურთიერთობის ჭეშმარიტი არსის განსაზღვრაზე. ეს ურთიერთობა დასახელებულ თეორიებში დახასიათებული უნდა იქნეს ან აღიარებით ან დაცვით ურთიერთობად. ორივე გამოთქმა /beinde Ausdrücke/ გასაგები ხდება მხოლოდ ორივე თეორიაში მოცემულ აზრთა განსაზღვრულ სტრუქტურასთან კავშირში, რომელსაც ჩვენ ნაწილობრივ უკვე ზემოთ გავეცანით. უფლება ან უფლების ფაქტობრივი წანამძღვრები ნების /ნების თეორიის თვალსაზრისით/ ანდა ინტერესის /ინტერესის თეორიის თვალსაზრისით/ ფორმაში ობიექტურ მართლწესრიგს გარედან აქვს მიღებული. ამ უკანასკნელის როლი შემოიფარგლება მხოლოდ მათი აღიარებით ან მათი დაცვით. რასაკვირველია, ობიექტური მართლწესრიგი თვითონ განსაზღვრავს ვისი ნება უნდა აღიაროს და ვისი ინტერესი უნდა დაიცვას; მაგრამ იგი იმ აზრით არის შებოჭილი, რომ მას არ შეუძლია მხოლოდ ნება ან ინტერესი აღიაროს ან დაიცვას, უფლებების ფაქტობრივი და აუცილებელი წანამძღვრების აზრით. ამ დებულებებიდან თვითონ გამომდინარეობს, რომ იქ, სადაც ეს ფაქტობრივი ელემენტები გვაკლია, ასევე არ შეიძლება არსებობდეს არაეითარი უფლება. წინამდებარე გვერდზე ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ ეს შედეგი არ დასტურდება იმ მოვლენების მეოხებით, რომლებიც ჩვენ სამართლებრივ სინამდვილეში გვხვდება; აქ შეგვიძლია დავადანსტუროთ აგრეთვე უფლების არსებობა იმ შემთხვევაში, როცა არა გვაქვს ნება ან ინტერესი როგორც ამ უფლების შინაგანი მომენტები. ამით სადავო ხდება არა მხოლოდ უფლების როგორც იურიდიული არსის თვალთახედვით, ისე აგრეთვე შინაარსობრივად ნებასთან ან ინტერესთან გაიგივების შესაძლებლობა, არამედ აგრეთვე აღიარების ან დაცვის ცნებებში ობიექტურ მართლწესრიგსა და უფლებას შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრის შესაძლებლობაც.

სწორი გადაწყვეტა ამ საკითხისა /ობიექტურ მართლწესრიგსა და უფლებას შორის დამოკიდებულების ხასიათი/ დამოკიდებულია როგორც ობიექტური მართლწესრიგის ცნების, ისევე უფლების ცნების ზუსტ ახსნაზე. ამოსავალ წერტილად შეგვიძლია ჩვენ მივიღოთ ზემოთ შემუშავებული დებულება, რომ სამართალი თავის ერთიანობაში მიზანს კი არა, იმ საშუალებების გარკვეულ სისტემას გამოხატავს, რომლებიც საზოგადოებრივი ურთიერთობების კონკრეტულ-იურიდიული მოწესრიგებისათვის კანონმდებლის მიერ დასახული მიზნის განსაზღვრისთვის და არიან განსაზღვრული. ამ მიზნის განხორციელება ხდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოცემული საფეხურისათვის საზოგადოებრივი ურთიერთობების შესაბამისი ფორმების დადგენის მეოხებით; თანაც იურიდიული გამოხატულება ამ ურთიერთობებისა ხდება უფლება-მოვალეობათა გარკვეული სისტემის შექმნის ფორმით, უფლება-მოვალეობისა, რომლებიც

სამართლებრივი ურთიერთობების კონცეფციაში იმანენტურად იქნებიან გაერთიანებული. ამ დებულებიდან გამომდინარეობს ბევრი დასკვნა, რომელთა განვითარებას ჩვენ აქ უნდა შევეცადოთ. სამართალი, რომელიც თავისი განსაზღვრებით გამოხატავს საშუალებების კომპლექსს, გულისხმობს განსაზღვრულ მიზნებს; ამ მიზნებს ჩვენ ვხედავთ საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებაში და მათი განსაზღვრული მიმართულებების შექმნაში. ამ დეფინიციას უფლების პრობლემის სწორად განხილვისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს; აქედან გამომდინარეობს ის, რომ პრინციპი, რომელიც სამართალშემოქმედების სოციალური პროცესისათვის განმსაზღვრელია, ინდივიდური კი არა, საზოგადოებრივი ხასიათისაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უშუალო მიზანი, რომელსაც სამართალშემოქმედება ისახავს, მდგომარეობს არა დაკმაყოფილებაში გაერთიანებული პიროვნებებისადმი (Vereinigung), ცალკეული პიროვნების ინდივიდური ინტერესისა მოცემულ საზოგადოებაში, არამედ განსაზღვრული ფორმის საზოგადოებრივი ურთიერთობების შექმნაში თავისთავად, ესე იგი თავისი შინაარსის მიხედვით საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგების ცნება არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს თავის თავში ვისმეს რაიმე ინტერესის განხორციელების მომენტს; ამ ცნების აზრი ამოიწურება კონკრეტული საზოგადოებრივი ფორმების შექმნის სრულყოფის იდეის მეოხებით. მხოლოდ რეალური განხორციელება ამ ფორმებისა, მათი რეალური გარდაქმნა სოციალურ სინამდვილეში გამოიწვევს შემდგომად სოციალურ ეფექტს, ცალკეული პიროვნების ან ჯგუფების ინტერესის დაკმაყოფილებას; ასეთი რეალური განხორციელების შედეგად იქმნება ახალი რიგი სოციალური პროცესებისა, რომელთა შორის ფაქტობრივი განხორციელება კონკრეტული ინტერესისა ცალკეულ ელემენტად გვეკლინება. ინტერესის და ნების ძალა<sup>11</sup> კმნიან ამით არა მიზანს სამართლებრივი მოწესრიგების მოქმედი სისტემისა, არამედ წარმმართველ სოციალურ მომენტს /hergeleiteten sozialen Momente/ ამ სისტემის რეალური განხორციელების პროცესში. უშუალო მიზანი ამ უკანასკნელისა, რომელიც კონკრეტულ სამართლებრივ სისტემას თუ წერილობანებში არა, თავის ძირითად პრინციპებში მაინც განსაზღვრავს, მდგომარეობს მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრული ფორმის შექმნაში. ამით, როგორც ეს ჩვენ გვეჩვენება, ნებისა და ინტერესის თეორია არა მხოლოდ, წმინდა იურიდიული თეალსაზრისით ხდება სადაკო, არამედ აგრეთვე თავისი ფუნდამენტური სოციალ-ფსიქოლოგიური წანამძღვრების მიხედვითაც, ხანდახან ნათლად გამოხატული, მაგრამ ზოგჯერ აგრეთვე მისი მარტვად ნაერაუდევი შინაარსი მდგომარეობს მტკიცებაში, რომ ერთადერთი და უშუალო მიზანი სამართლისა არის ცალკეული პიროვნების ნების ძალაუფლების უზრუნველყოფის შესაძლებლობა ან უკანასკნელის ინტერესის განხორციელება; ამ წანამძღვრის შესაბამისად კეთდება დასკვნა, რომ იურიდიული ფორმა იმ მიზნის განხორციელებისა, რომელიც უფლება-მოვალეობათა დადგენაში გამოიხატება, "ინტერესის აღიარების მეოხებით..." იქმნება; უკანასკნელ რგოლს ამ პაექრობისა ჩვენ იმ მტკიცებას ვუპირისპირებთ, რომ არსებითი (essenziale) მომენტი უფლებისა ნებაში ამ ინტერესში უნდა იქნეს დასახული. ამ უკანასკნელი მტკიცების

<sup>11</sup> შემდეგში ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ სოციალ-ფსიქოლოგიური თეალსაზრისით ნების მომენტსა და ინტერესის მომენტს შორის არა მხოლოდ არ არსებობდა პრინციპული ერთმანეთის გამომრიცხველი წინააღმდეგობა, არამედ, პირიქით, ისინი სოციალურ რიგში ერთმანეთს მოიხიზვენ და ურთიერთის აესებენ.

წმინდა იურიდიული შეფასება ჩვენ უკვე გვქონდა წინა გვერდზე აღნიშნული. ახლახან ნათქვამიდან გამომდინარეობს მხოლოდ ის, რომ აგრეთვე ძირითადი წინამძღვრები, რომლებიდანაც ეს დასკვნები კეთდება, არ შეესაბამება სინამდვილეს; ჩვენ ვხედავთ აქედან, რომ ინტერესი ან ნების ძალა /Willensmacht/ არ შეიძლება განხილული იქნეს უშუალო მიზნად სამართლებრივი წესრიგისა და რომ განხორციელება აქ აღნიშნული მომენტებისა /ნების ძალა და ინტერესი/ სოციალური ეფექტის თვალსაზრისითაც კი სამართლებრივი ფორმების განხორციელების დროს არ არის უშუალო, არამედ მხოლოდ წარმოებული ხასიათისაა და ზოგ შემთხვევაში სრულყოფაც კი შეიძლება აყლდეს /მაგალითად, nudum jus-ის შემთხვევაში/.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა დასკვნაც, რომელიც გამომდინარეობს მართლწესრიგის გაგებიდან იურიდიული დამხმარე საშუალებების სისტემის აზრით საზოგადოებრივი ურთიერთობათა განსაზღვრული ფორმების შექმნისათვის. აქედან შეიძლება უკვე a priori დავასკვნათ, რომ მართლწესრიგი, როგორც მისი ძირითადი ელემენტების თვალთახედვით, ასევე მისი შინაგანი კანონზომიერების მიხედვით არ შეიძლება განსაზღვრული იქნეს როგორც რაღაც იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების შესაბამისად, რომლებიც თავისი რეალური განხორციელების დროს ადამიანის სოციალური ყოფიერებიდან მომდინარეობენ. ეს, სახელდობრ, იმიტომაც არის ასე, რომ ანტითეზისი საშუალება-მიზანი გულისხმობს როგორც განსხვავებას ორივე ჯგუფისა /ესე იგი, ერთი მხრივ, საშუალებებს მიუთვინებულ მოვლენები, მეორე მხრივ, მიზნის შემქმნელი მოვლენები/ მათი საგნობრივი შინაარსის მიხედვით, ასევე აგრეთვე განსხვავებას, რომელიც არსებობს თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ /vorherschenden/ კანონზომიერებას შორის. თავისთავად აქ მოხსენიების საშუალებასა და მიზანს შორის არსებული წინააღმდეგობიდან გამომდინარე განსხვავების მეოხებით ჯერ კიდევ სრულიადაც არაფერია ნათქვამი ამ ჯგუფების წინააღმდეგობაზე სხვადასხვა განსხვავებული /ონტოლოგიური/ რიგებისადმი, მათი კუთვნილების აზრით. ორივე საგნობრივ ჯგუფს შორის შესაბამისად ღრმა განსხვავების დადგენის დროს მათი ონტოლოგიური დახასიათება ამოსავალ წერტილად უნდა მივიღოთ. ამ უკანასკნელი აზრით მართლწესრიგის გამიჯვნა რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან იმით უნდა იქნეს დასაბუთებული, რომ სოციალური ყოფიერება ონტოლოგიურად უმთავრესად რეალურ ყოფიერებას ახასიათებს და მისი არსებობა უკანასკნელისათვის ძირითადი კაუზალური კანონზომიერების მეოხებით განისაზღვრება, მაშინ, როცა მართლწესრიგი, პირიქით, ონტოლოგიურად იდეალური ყოფიერების ფორმით ხასიათდება, რომლის შინაგანი კანონზომიერება გამოირიცხავს კაუზალობის პრინციპს. ამით წინააღმდეგობრიობა მართლწესრიგსა და სოციალურ ურთიერთობებს შორის საშუალებასა და მიზანს შორის არსებული წინააღმდეგობით კი არ ამოიწურება, რამდენადაც ეს წინააღმდეგობა ერთი და იმავე ონტოლოგიური რიგის მოვლენებს შორის არსებობს, რომელშიც მოვლენათა ყოველი ჯგუფის სპეციფიური კანონზომიერება /ესე იგი საშუალებასა და მიზანს შორის/ აუცილებლობით არის დაფუძნებული რიგის ძირითად კანონზომიერებაზე. არამედ ის არის გამოხატულება ძირითადი ონტოლოგიური წინააღმდეგობისა იდეალურს და რეალურს შორის და ამით, აგრეთვე მეორე ფუნდამენტურ კანონზომიერებათა შორის განსხვავებას გამოხატავს.



ასეთ დასკვნებთან კავშირით აიხსნება მართლწესრიგის როგორც მოქმედი სამართლებრივი ნორმების სისტემასა და რეალურ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა ურთიერთობის გარეგნულად არსებული დიდი მნიშვნელობა. ჩვენ ამიტომაც აქ ერთი გადახვევა უნდა გავაკეთოთ, რათა სრულიად ზოგადად შევეხოთ ამ საკითხს.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ დადგენა ამ ურთიერთობისა სამართალსა და სოციალურ ცხოვრებას შორის, ერთი მხრივ, ზოგიერთი სტრუქტურული ცვალებადობის მეშვეობით თვითონ მართლწესრიგში ხდება, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ხდება ზოგიერთი ფაქტორით მოცემულობის ჩართვის მეშვეობით სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმში. მაგრამ უთუოდ შესაძლებელია, რომ ძირითადად, წმინდა იურიდიულმა ელემენტმა მართლწესრიგისა ასეთი ცვალებადობის შემდეგ თავის ონტოლოგიურ არსებობაში არავითარი ცვლილება არ განიცადოს; ასეთი მოახლოება სამართლისა რეალურ სოციალურ მოვლენებთან ამიტომაც არა თუ არ აუქმებს ზემოთ განხილული ურთიერთობის საკითხს, არამედ აყენებს მას კიდევ უფრო მწკვივედ.

რომ ასეთი ურთიერთობა ნამდვილად არსებობს, ამაში ოდნავი ეჭვიც კი არ შეიძლება შეგეპაროს; ყოველი ახლად გამოცემული კანონი, რომელიც კონკრეტულ სოციალურ გარემოში შექმნილ პირობებს შეესაბამება, არა მარტო მიზნად ისახავს შექმნას ამ გარემოებაში საზოგადოებრივი ურთიერთობების ახალი ფორმები, არამედ “ქმნის” კიდევ ამას ნამდვილად და აძლევს ბიძგს ახალ სოციალურ პროცესებს. საკითხისადმი არასაკმარისი ყურადღების მიქცევის შემთხვევაში საქმე აქ შეიძლება ისე მოგვეჩვენოს, თითქოს თვითონ მართლწესრიგი თავისი რეალური განხორციელების დროს გარდაიქმნება შესაბამის სოციალურ პროცესებად და ვინაიდან გარდაქმნის /Verwandlung/ ცნებაში აუცილებლობით იგულისხმება კაუზალობის პრინციპი, მაშინ ურთიერთობა სამართალსა და აქ მოხსენიებულ სოციალურ პროცესებს შორის უნდა განისაზღვროს როგორც კაუზალური ურთიერთობა, მაგრამ ამ თვალსაზრისის უსწორობა შეიძლება იმით დამტკიცდეს, რომ ურთიერთობის ელემენტები აქ სხვადასხვა ონტოლოგიურ რიგებს მიეკუთვნებიან, რომელთა შორის კაუზალური ზემოქმედება თვითონ გამორიცხული ჩანს. საჭიროა მხოლოდ საკითხის სწორად დასმა და მთელი იმ შედეგების გათვალისწინება, რომლებიც სამართალსა და სოციალურ ცხოვრებას შორის კაუზალური კავშირის აღიარებიდან /aus der Annahme/ გამომდინარეობს, რათა სწორედ ამ დასკვნამდე მივიდეთ. სოციალური სამყარო არის ერთობლიობა იმ კაუზალური ურთიერთობებისა, რომლებიც სოციალური ცხოვრებისათვის ძირითად იმანენტურ კანონზომიერებას გარეყველ ერთიანობად უყრის თავს. სამართალსა და სოციალურ პროცესებს შორის უშუალო ურთიერთზემოქმედების შესაძლებლობით ვიღებთ ჩვენ ერთდროულად აგრეთვე კაუზალური ურთიერთობის ჯაჭვის გადაწყვეტის შესაძლებლობას სოციალურ სინამდვილეში და ამით ფაქტიურად უარყვით კაუზალურ კანონზომიერებას, ესე იგი ჩვენ აშკარა წინააღმდეგობაში ვეარდებით სოციალურ მეცნიერებათა შემეცნების ძირითად წინამძღვრებთან.

საკითხის სწორად გადაჭრისათვის ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგს: იმისათვის, რათა სოციალურ ცხოვრებაზე ზემოქმედება მოახდინოს, სამართალი შეცნობილი უნდა იქნეს; ამიტომაც აქ არსებობს უშუალო ურთიერთობა არა სამართალსა და სოციალურ ცხოვრებას შორის, არამედ მასსა /ესე იგი სამართალსა, მთარგ./ და იმ ცალკეულ პიროვნებათა ინდივიდურ შემეცნებას შორის, რომლებიც მოცემულ სოციალურ მთელს

ქმნიან. თუკი ჩვენ ამ ურთიერთობის შინაარსს მივმართავთ, ადვილად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ის არის კაუზალური ურთიერთობის დამახასიათებელი; შეცნობა "რალაციას" არასოდეს არ არის განპირობებული ამ "რალაციის" კაუზალური ზემოქმედების მეოხებით, არამედ გარეგნულად თავისებური ხასიათის ურთიერთობაა, რომლის დაწერილობითი მომენტების განხილვის შესაძლებლობა ჩვენ აქ არა გვაქვს. ამ ურთიერთობის მეოხებით აიხსნება სამართალი როგორც განსაზღვრული საგნობრიობა შემეცნებაში, თუმცა ფორმა, რომელშიც იგი აქ ვლინდება ქმნის სამართალს არა როგორც ობიექტურად მოცემულ საგნობრიობას, არამედ მხოლოდ როგორც მისსავე შემეცნების კორელატს. ძირითადი მომენტები, რომელსაც ჩვენ სამართლის წარმოსახვის აქტების დროს შემეცნებაში ეპოულობთ არიან, არა მხოლოდ ამ უკანასკნელის სამართლის კატეგორიებისადმი დამოკიდებულებისათვის დამახასიათებელი; ასეთსავე მომენტებს ვხვდებით ჩვენ აგრეთვე შემეცნების თეორიული თუ ესთეტიკური ურთიერთობებისას ობიექტურ საგნობრიობასთან. ამიტომ ცხადია, რომ საყოველთაოს გვერდით უნდა არსებობდნენ აგრეთვე სპეციალური მომენტებიც, რომლებიც შემეცნებაში სამართლის მოცემულობის სპეციფიურ ხასიათს განსაზღვრავენ. ეს თავისებურება ადვილი დასანახია, თუკი მხედველობაში მივიღებთ რომ ურთიერთობა შემეცნებისა სამართლის მიმართ მოცემულ შემთხვევაში<sup>14</sup> სრულიადაც არ არის თეორიული, რომ ამრიგად ის ჭეშმარიტების ახსნას ისახავდეს მიზნად, არამედ ეს ურთიერთობა პრაქტიკულია, რომელშიც სამართალი ვლინდება არა როგორც საგანი დაინტერესებული "შემეცნებისა", არამედ როგორც საგანი, რომელსაც პრაქტიკულ მნიშვნელობაზე ექნება პრეტენზია. ფსიქოლოგიური ხელახალი ასახვა ამ მნიშვნელობისა მქადავდება თავისებურ განწყობილებაში, რომელიც ჩვენ შეგვიძლია ღირებულების ფართო აზრით სამართლებრივ განცდად დაეახასიათოთ. განწყობილება, რომელიც თავის განტვირთვას ნახულობს ცნობიერებაში არსებული სამართლებრივი ნორმის ინდივიდის ქცევის წესზე განსაზღვრულ მოტივაციურ ზემოქმედებაში. ის, რაც ახლახან მოხსენიებული მოტივაციური ზემოქმედების ზეგავლენით ხორციელდება ჩვეულებრივ განისაზღვრება სამართლის ნორმის რეალურ განხორციელებად. მაგრამ ასეთი განსაზღვრების დროს გამოხატვის უხეში უზუსტობის დამუშავა ხდება; მასში საეკვიპო მხედველობის გარეშე რჩება გამაშუალებელი საფეხური, რომელიც ახასიათებს სამართლის მოცემულობას ცნობიერებაში, და შესაბამისი ხელახალი ასახვა ამ მოცემულობისა სულიერ განცდებში, რომლებიც ნამდვილ ამოსავალ წერტილს ჩვეულებრივ სამართლის "განხორციელების" განმსაზღვრელ რეალურ პროცესებს ქმნიან. თუკი ამას ყურადღებას მივაქცევთ, მაშინ ცხადი იქნება, რომ "განხორციელების" ცნებას აქ სრულიად თავისებური აზრი ეძლევა; ის ოდნავადაც არ ადასტურებს თვითონ სამართლის ცვალებადობას, მისი "გარდაქმნის" აზრით რეალური სოციალური პროცესების ფაქტიურ მომენტად, არამედ არის მხოლოდ გამოხატულება საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და სამართლის კატეგორიებს შორის არსებული თანხმობისა; თანაც თანხმობის ცნება იმავე აზრით

<sup>14</sup> ესე იგი იმ შემთხვევაში, როცა მოქმედი სამართლის ნორმების მოცემულობა შემეცნებაში ივლისსება. სახელდობრ, არა მარტო თეორიული შემეცნების თვალსაზრისით, არამედ სამართლის ნორმების შემეცნების კორელატის მოტივაციური ზემოქმედების თვალსაზრისით აღმანის საპირისპირო ქცევაზე. ბუნებრივია, შეიძლება აგრეთვე ეს /ესე იგი მოტივაციური ზეგავლენა გასდეს თეორიული შემეცნების საგანი, მაგრამ უკვე გავების სხვა ფორმაში.

უნდა იქნეს გაგებული, როგორც აღნიშნული ფიგურა თავის გეომეტრიულ ცნებას ემთხვევა<sup>15</sup>.

აქ ნათქვამის შედეგად კიდევ უფრო ძლიერად გვახსოვდეს, რომ მართლწესრიგი გამოხატავს ონტოლოგიურად მოწყვეტილი ყოფიერების სფეროს საკუთარი კანონზომიერებით. თავისი შემადგენლობის მიხედვით ის ყველაზე უფრო მარტივი ყოფიერების სახე როდია, არამედ კომპლექსური ხასიათისაა. შემადგენელ ნაწილებად ეხედებით ჩვენ აქ სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელთა ერთობლიობა მთელ მართლწესრიგს ქმნის. რამდენადაც ეს უკანასკნელი მხოლოდ მოქმედ მართლწესრიგს გულისხმობს, ესე იგი მართლწესრიგს, რომელიც ჯერ კიდევ არ გადასულა იურიდიულად შესაძლებელი განხორციელების სტადიამი. ამდენად აგრეთვე ცალკეული ნაწილები ნაწილები, ყოველი წმინდა ფორმაში, ესე იგი არა იურიდიულ მოვლენებთან კავშირის გარეშე გამოვლენილი სამართლებრივი ურთიერთობანი ხასიათდებიან მარტივად როგორც ობიექტურად აუცილებელი ურთიერთობა უფლება-მოვალეობებისა, როგორც განსაზღვრული ერთიანობა ამ ელემენტებისა ისინი გამოხატავენ ყველაზე უფრო წმინდა და ამავე დროს ყველაზე უფრო ელემენტარულ ფორმას სამართლებრივი რეგულირებისა, რომლიდანაც ყოველი კონკრეტულობა, ყოველი "hie et nunc" გამოდევნილია<sup>16</sup>.

ამ დასკვნების შუქზე ადვილად შეიძლება გადაწყდეს უფლებასა და ობიექტურ მართლწესრიგს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათის ზემოთ დასმული საკითხი.

<sup>15</sup> განსაკუთრებით უნდა ითქვას, რომ "ფორმაც" და "შინაარსიც" სამართლებრივი ურთიერთობების ემთხვევა სამოვალეობრივი ურთიერთობების "ფორმასა" და "შინაარსს".

<sup>16</sup> რომ სამართლებრივი ურთიერთობები წმინდა ფორმამი, რომელშიც ჩვენ მათ არსს ეხედავით, ერთმანეთს ერთნაირი ერთობლიობით როდღ ერწყმებიან /verschmelzen/, არამედ, პირიქით, ყოველი მათგანი თავის ინდივიდუალობას იცავს, ადვილად შეიძლება დაღვინდეს, თუკი საგნის არსსა და მის იდეას შორის არსებულ განსხვავებას ყურადღების გარეშე არ დაეტოვებთ. როგორც იერინგმა სწორად აღნიშნა, "ორ სრულიად ერთნაირ /ინდივიდურ/ ობიექტს ორი სრულიად ერთნაირი არსება აქვთ. მაგრამ თვითიულის არსება არ იქნება იდენტური შორისა: ორი ერთნაირი ყვეაილადან, ორი კონკრეტული საქუთისუდიან, - ყოველ მათგანს თავისი არსება აქვს. რამაქ აქ ადვილად შეიძლება შეგეაქლინოს, - განაგრძობს იგი - არის მრავალმნიშვნელოვანი სმარება pronomen possessivum-ისა, შესაბამისად, გენიტისის სიტყვით: მისი /საგნის/ არსება, ორ ყვეაილზე მუსტად იგივე შეიძლება ითქვას: 1. მათ ექნებოდათ ერთნაირი ფერები ანდა 2. ფერი ერთი მათგანისა იგივეა, რაქ მქორე ყვეაილის ფერი. საფუქვალდებელი Acquivokation როგორც ასეთი ნათელი იქნება, თუკი შესდევ ფორმულირებას აქორქეთ: 1. მათი ფერები ერთნაირია. 2. მათი ფერები იგივეა. შესაბამისად მე, მაგალითად, ორი მსგავსი მათემატიკური საქუთისუდი უნდა შეეარჩიო მათ ერთნაირ ფორმებს შორის და იდენტურები საერთო ფორმების დროს. რეალურ საგნებს ეხება საქქმ თუ იდეალურს, ამას ამრიგად, აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს/. პირველ დებულებაში ჩვენ ელასარკობით პირველი ყვეაილის ინდივიდური ფერის მომენტზე და იმავე ფერის მომენტზე მქორე ყვეაილისა, რომელთაგან ყოველი ფერი სწორედ ერთიან გეგვლება და არა მქორესთან. მქორე დებულებაში, პირიქით, ელასარკია იმაზე, რაქ ინდივიდურად არსებობს და ორივე შემთხვევაში განსაქვევებულია /sich vereinzelt/. მუსტად ასევეა ეს ზუნებრივად შესაძლებელი, ა-ს არსების გარეშე, როგორც მისი ინდივიდური არსებისა, ელასარკობით ა-ს სახებზე. ასეთი სტრუქტურა შეიძლებაო განსხვავებულ არსებად /არსება ა-ს, არსება aI-სა და სხვ/ დაგვეცალკევეთა. მაგრამ ეს იქნებოდა თვითონ იდეა ამ არსისა და არა თვითონ არსი ა-სი ან aI-ისა. მაგრამ აქ ელასარკობით ჩვენ არა არსებულ იდეაზე ა-ს არსისა, არამედ ა-ს არსზე თვითონ. და ეს შეიძლება ა-ს არსების თუქსა სრულიად თანაბარი იყოს, მაგრამ მას საესებით იდენტურად არასოდეს არ დაემთხვეს. ენაიდან ისევე მქორედ, როგორც ის ფაქტი, რომ ნიეთის წითელი ფერი იდეაში შეიძლება აისახოს, ამ წითელი ფერის ინდივიდუალობაზე (სქოლიოს გაგრძელება იხ. შემდეგ გვერდზე)

ეს დახასიათებული უნდა იქნეს შუალობით ურთიერთობად; აქ არსებობს უშუალო კავშირი არამართლწესრიგა და უფლებას /შესაბ. მოვალეობას/ შორის, არამედ მართლწესრიგა და სამართლებრივ ურთიერთობებს შორის. უფლება და მოვალეობა ქმნიან მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობის შემადგენელ ნაწილებს და მხოლოდ ამ უკანასკნელის საშუალების მეოხებით ჩაერთვებიან ისინი აუცილებელ მომენტებად სამართლებრივი მოწესრიგების მოქმედ სისტემაში.

აქ ნათქვამმა აგრეთვე უფლების /შესაბ. მოვალეობის/ არსის საყითხი ახალი კუთხით უნდა გააშუქოს. იმით, რომ ჩვენ მათში ვხედავთ სამართლებრივი მოწესრიგების სისტემის შინაგან მომენტებს, რომ ყოფიერებისაგან რეალური სოციალური ფორმები ონტოლოგიურად არის გამიჯნული, აღმოვფხვრით ჩვენ ამ უფლების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას ნებასთან და ინტერესთან, როგორც სოციალურ კატეგორიებთან, შინაგანი აზრი და შინაარსი ამ უფლების არ შეიძლება აქედან ნების ძალის "აღიარებაში" ან "დაკმაყოფილება უზრუნველყოფაში" მდგომარეობდეს, არამედ იგი სრულქმნილად დახასიათებული იქნება თავის აღიარების მეოხებით, როგორც ყველაზე უფრო მარტივი და საფუძვლიანი კატეგორიები სამართლებრივი მოწესრიგების სისტემისა, რომლის იდეაც გამოხატავს ადამიანთა რეალურ და შესაძლებელ ურთიერთდამოკიდებულებას. ამ იდეაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ რაღაც საკუთარი და დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რაღაც მხოლოდ რეალურ პროცესებში ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებანი როგორც აბსტრაქტულად არსებული განმასხვავებელი ელემენტი ამ პროცესისა. არამედ სრულყოფილად დამოუკიდებელი /ამ პროცესის მიმართ/ წმინდა იურიდიული კატეგორია, რომელიც შინაგანად სამართლებრივი მოწესრიგების სისტემის არა შემდგომად მონაწილე მომენტს გამოხატავს.

ზემოთ ჩვენ ობიექტური მართლწესრიგი, რამდენადაც ის მოქმედი მართლწესრიგის სახით ვლინდება, განვსაზღვრეთ იურიდიულ ურთიერთობათა ისეთ სისტემად, რომელიც არ არის თავისუფალი სამართლებრივი კატეგორიებისაგან. ამ გაგებით ქმნის ის სამართლის

უქმდება, არამედ ის, პირიქით, ივარაუდება, ასევე ვაქუნებოდა საუბარი არსზე, როგორც ა-ს ეს აქვს ან იმაზე, ვივარაუდოთ ყველა იმ ა-ს არსი, რაც ჩვენ აქ დასახელებული გვაქვს, ა-ს არსი, ესე იგი ცალკეული არსი ამ ინდივიდუალური ა-ს. R.Jhering, Bemerkungen über das Wesen, die Vesenheit u.d. Idee. E.Husserls Jahrbuch f. Philosophie u. phänomenologische Forschung, 1921, Bd., IV, S. 498-499. ამჟრავა, ავტორის მიერ აქ გამოთქმული დებულებები სრული სახით აგრეთვე იმ აზრის დასასაბუთებლად შეიძლება იქნეს გამოყენებული, რომ სამართლებრივი ურთიერთობები თავის რეალურ ფორმაში, ესე იგი უფლება-მოვალეობათა ობიექტურ-აუცილებელი ერთიანობის აზრით, რომელშიც მათი არსი გამოისატება, საკუთარი ინდივიდუალობის კონკრეტული შინაარსისაგან განთავისუფლების შედეგად არ დამარაღდებიან. აქ გამოირიცხეთ ჩვენ, რომ სამართლებრივი ურთიერთობები კონკრეტული შინაარსისაგან განმარტველი ფორმით კი არ შეერწყმან ერთიანეთს განუსხვავებელი ერთიანობით, არამედ, ასე ვთქვათ, ერთიანეთის გვერდით არჩებიან და ქმნიან განსაზღვრულ სისტემას, რომელსაც ჩვენ მოქმედი მართლწესრიგის ცნებით აღვინაოთ. ამ თვალსაზრისით გაგებული და მოქმედი მართლწესრიგის ფარგლებში განსაზღვრული ერთობლიობით შეკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების ერთიანობიდან იქმნება ჩვენგან ობიექტური მართლწესრიგის ცნებით აღინიშნული იურიდიული კომპლექსი. ამ მართლწესრიგს შეეციძლია ჩვენ სამართლებრივი წესრიგის აბსტრაქტული სისტემა ეწყოლოთ, რომელიც იურიდიული ძალის მისთვის დამახასიათებელი ხასიათის მეოხებით ასეთი რეგულირების ყველა შესაძლებელი ფორმისაგან განსხვავდება. ამ სისტემის შესადგენელ ნაწილად ენახებოდა ჩვენ, როგორც ითქვა, სამართლებრივი ურთიერთობებს. ეს ახლა თავის წმინდა ფორმაში დასასაბუთებელი იქნება როგორც უფლება-მოვალეობათა ობიექტურად აუცილებელი ურთიერთობა.

არსებობის ძირითად ფორმას, სახელდობრ, აქედან, ვინაიდან სხვა აქ არსებული ელემენტები უმთავრესად დამხმარე როლს ასრულებენ და იმ ძირითად პირობებს განსაზღვრავენ, რომლებიც აუცილებელი არიან მხოლოდ მოქმედი მართლწესრიგის გადასვლისათვის არსებობის სხვა სტადიაში. ესე იგი იურიდიულად შესაძლებელი ან რეალური განხორციელების მდგომარეობაში. იურიდიულად შესაძლებელი განხორციელების მდგომარეობის ქვეშ ჩვენ გვესმის მართლწესრიგის ძირითადი ელემენტების არსებობის ფორმა. ესე იგი სამართლებრივი ურთიერთობები წარმოადგენენ არა უბრალოდ აბსტრაქტულ სქემას დამოკიდებულებისა უფლებასა და მოვალეობას შორის, არამედ გართულებული არსებობის ფორმას იმ სამართლებრივი ურთიერთობებისა, რომლებისთვისაც, უფლება-მოვალეობათა წმინდა იურიდიული კატეგორიების გარდა, დამახასიათებელია სხვადასხვა ფაქტიური ელემენტები; ეს ფაქტიური ელემენტები თავისთავად მოკლებული არიან სამართლებრივ ხასიათს. მაგრამ სწორედ განმსაზღვრელი სამართლებრივი ნორმების "bestimmenden Rechtssätzen" წყალობით იურიდიული მნიშვნელობა აქეთ შექმნილი. აქ უმთავრესად ნაგულისხმევია სამართლებრივი ურთიერთობის როგორც კონკრეტული სუბიექტები, ისე მისი კონკრეტული საგანი. ამ ფორმაში მოცემული სამართლებრივი ურთიერთობა გულისხმობს თავის თავში მისი განხორციელებისათვის საფუძვლიან იურიდიულად მნიშვნელოვან მომენტებს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იმყოფება რეალური განხორციელების მდგომარეობაში; ამისათვის, ზემოთ მითითებულთა გარდა, აუცილებელია კიდევ ნაწილობრივ იურიდიული, ხოლო ნაწილობრივ წმინდა ფაქტიური ხასიათის ახალი მომენტები, რომელთა მეოხებით იურიდიული ურთიერთობის რეალური "განხორციელება" ხდება.

აქ ნათქვამიდან ადვილად შეიცნობა ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ჩვენ განმსაზღვრელ სამართლებრივ ნორმებს მართლწესრიგის ცხოვრებაში უნდა მივაწეროთ. მათ გარეშე დარჩება მართლწესრიგი უმოქმედობის მდგომარეობაში /im Zustande der Ruhe/ სოციალურ ცხოვრებაზე აქტიური ზემოქმედების გარეშე და მხოლოდ ამ სამართლებრივი ნორმების მეშვეობით ობიექტური მართლწესრიგი ცოცხლდება და იძენს სწორ მნიშვნელობას საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების სფეროზე.

ასეთი გადასვლა ობიექტური მართლწესრიგისა სამართლებრივი ურთიერთობის აბსტრაქტულ ფორმებში ყოფნიდან /aus dem Sein/ იურიდიულად შესაძლებელი განხორციელების მდგომარეობაში. როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, გულისხმობს განსაზღვრულ ზოგიერთ ფაქტიურ ელემენტს, რომლებითაც ძირითადი ელემენტები სამართლებრივი ურთიერთობისა, ესე იგი უფლება და მოვალეობა სამართლის /des objektive Rech/ მეოხებით ერთმანეთს უკავშირდებიან (in Berührung gebracht werden). მაგრამ ამ შემხებლობას (Berührung) აღმოვაჩინეთ ჩვენ მეტად განსხვავებულ ფორმებში. ერთი მხრივ, გვხვდება ჩვენ აქ სოციალურ პროცესებსა და სამართალს შორის /სამართლის განმსაზღვრელ პრინციპებთან და მართლწესრიგთან ერთად ვიწრო აზრით, ესე იგი სამართლებრივი ურთიერთობების ერთობლიობის აზრით/ არსებული ურთიერთობა, რომელიც ამით, ბუნებრივია, არ შეიძლება განხილული იქნეს თვითონ სამართლის მიერ შექმნილად. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, როცა დამოკიდებულება სამართლებრივ და არასამართლებრივ ელემენტებს შორის სამართლის /vom objektiven Rechte/ შექმნილად ელინდება, ეამჩნევთ ჩვენ კავშირის ცალკეულ ფორმებში სხვადასხვაობას როგორც

ცალკეული ფაქტების იურიდიული განსჯის, ისე თვითონ კავშირის შინაგანი არსისა და დამახასიათებელი თავისებურების თვალსაზრისით. სხვადასხვაობა აქ დღის სინათლეზე ვლინდება აგრეთვე იმ ფუნქციების თვალსაზრისით, რომლებსაც მართლწესრიგის ცხოვრებაში თვითოეული აქ მითითებული იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი ასრულებს: ზოგიერთი მათგანი იურიდიულად აღნიშნავს სამართლებრივი ურთიერთობების წინასწარ განსაზღვრულ ხელყოფის პუნქტს in abstracto კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიკეთეზე, სხვები კვლავ ვლინდებიან, პირიქით, როგორც გარეგანი და საპირისპირო მომენტები, რომლებთანაც, ზატოვანად რომ ვთქვათ, სამართლებრივი ურთიერთობები თავისი ორივე ბოლოთ არიან მიმაგრებული; საბოლოოდ ზოგიერთი ამ ფაქტებიდან ასრულებს ცალკეულად არსებული სამართლებრივი ურთიერთობების კრებადობის ფუნქციას განსაზღვრული კომპლექსური ერთიანობისადმი, ანდა ცალკეული იურიდიული ურთიერთობის ან მათი კომპლექსის "აღმოცენების", "შეცვლის" ან "შეწყვეტის" ფუნქციას.

ამ ადგილას ჩვენ არ შეგვიძლია აქ წამოჭრილი ყველა საკითხის დაწვრილებითი განხილვა. ანალოზი ზემოთ დასახელებული სხვადასხვა ფორმის კავშირისა სამართალსა და ფაქტიურ ელემენტებს შორის შეგვიძლია ჩვენ აქ ისეთი დასკვნების თვალსაზრისით დავიწყოთ. რომლებიც აქ შეიძლება მიღებულ იქნეს სამართლებრივი ურთიერთობების ცნებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრისათვის. ამ შეზღუდული თვალსაზრისიდან ჩვენ უნდა გადავიდეთ კავშირის სხვადასხვა ფორმის ძირითადი განსხვავების ახსნაზე, რომელიც არსებობს სამართლებრივ კატეგორიებსა, ერთი მხრივ, და სამართლის გარეშე ელემენტებს შორის, მეორე მხრივ.

იმ ურთიერთობათა ფორმების მრავალფეროვნება, რომლებსაც ჩვენ აქ ვხვდებით, სამ ფუნდამენტურ სახედ შეიძლება დავაჯგუფოთ: 1. საზოგადოების სოციალურ-სამეურნეო სტრუქტურებსა და სამართლებრივი რეგულირების მოქმედ სისტემას შორის არსებული ურთიერთობა; 2. ყოველ სამართლებრივ ურთიერთობაში მისსავე წმინდა იურიდიულ ელემენტებსა და სამართლებრივი ურთიერთობის საგანს შორის არსებული დამოკიდებულება და 3. იურიდიული მნიშვნელობის /Relevanz/ ურთიერთობა.

ვიდრე თითოეული მათგანის თავისებურების დაწვრილებით დახასიათებას გადმოცემდეთ, აუცილებელია იმაზე მითითება, რომ განსხვავებანი, რომლებსაც ჩვენ მათ შორის აღმოვაჩინებთ, არ შეიძლება აიხსნას სრულყოფილად ურთიერთობის ელემენტების შინაარსის თავისებურების მეოხებით. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ცალკეულ შემთხვევებში ურთიერთობები თვითონ ელემენტების იდენტურობის მიუხედავად მაინც სხვადასხვა შინაარსით ვლინდებიან. ეს გარემოება გარეგნულად დამახასიათებელია და მან აუცილებელია იმ ზრამედ მივიყვანოს, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ურთიერთობასთან sui generis. ყოველი ურთიერთობა ჩვეულებრივ თავისი შინაარსის საყოველთაო გაგებით და დამახასიათებელი თავისებურებით, როგორც ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, განისაზღვრება ურთიერთობის ელემენტების შინაარსის მეოხებით; ეს წესი მაინც მხოლოდ მაშინ ინარჩუნებს თავის ძალას, როცა ურთიერთობის ელემენტები ერთსა და იმავე ონტოლოგიურ რიგს მიეკუთვნება; ურთიერთობას თვითონ მხოლოდ მაშინ შეუძლია ურთიერთობის ელემენტების შინაგანი არსის და მისი დამახასიათებელი მომენტების განვითარება /die Entfaltung/ ამ ელემენტების შინაარსის ანალიზის მეოხებით სრულყოფილად ახსნას. იმ შემთხვევაში, სადაც ეს პირობა აკლია, სადაც, მამასადამე, ონტოლოგიურად სხვადასხვა ელემენტებს შორის გარკვეული ურთიერთობა არსებობს,

ურთიერთობის არსი უკვე მეტად აღარ შეიძლება ელემენტების შინაარსის მეოხებით იქნეს ახსნილი; ეს არ შეიძლება, ვინაიდან შინაარსს მხოლოდ მაშინ შეუძლია განსაზღვროს ურთიერთობის ბუნება, როცა ელემენტებს შორის რეალური საპირისპირო ზემოქმედება არსებობს. თავისთავად გასაგებია, რომ ურთიერთობის ელემენტების სხვადასხვა ონტოლოგიური რიგისადმი კუთვნილების შემთხვევაში ასეთი ზემოქმედება სრულიად გამორიცხულია და ამიტომაც მათ ასეთ შემთხვევაში არ შეუძლიათ აგრეთვე ახსნან ურთიერთობის არსი.

აქედან ამკარაა, რომ იმ ურთიერთობათა შორის, რომლებიც ელემენტების ერთმანეთზე რეალური საპირისპირო ზემოქმედების შედეგად აღმოცენდებიან, წინა პლანზე დგება განსაკუთრებული კატეგორია, სადაც ეს პირობა აქვია და ამიტომ ის უნდა განსაზღვრული იქნეს ურთიერთობად *sui generis*. იმისათვის, რათა იგი ავხსნათ, ნაცვლად ურთიერთობის ელემენტების შინაარსისა, სხვა მომენტები უნდა იქნეს გამოყენებული. ამ ურთიერთობათა ცალკეული სახეობის ყურადღებით განხილვის დროს ადვილად შევნიშნავთ, რომ ურთიერთობა აქ ორივე ელემენტის შინაგანი ბუნების გამოვლენის აუცილებელი შედეგი კი არ არის, არამედ, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი იმ ელემენტით განისაზღვრება, რომლის შინაგან თავისებურებაში ჩვენ აღმოვაჩინეთ ურთიერთობას როგორც შემადგენელ ნაწილს მეორე ელემენტის მიმართ<sup>17</sup> ამ თავისებურებას აღმოვაჩინეთ ჩვენ, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ იქ, სადაც სხვადასხვა ონტოლოგიური რიგის ელემენტებს შორის ურთიერთობა არსებობს. ძირითადი ჯგუფი ამ ურთიერთობებისა ქმნიან ეგრეთწოდებულ ინტენციონალურ /*intentionalen*/ ურთიერთობებს, რომლებიც განსაზღვრულ აქტებსა და საგნებს შორის არსებობს; დამახასიათებელი თავისებურებანი ამ ურთიერთობებისა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ სწორედ თვითონ აქტებში, მათივე შინაგანი თვისებების აზრით, ინტენაციონალობის მომენტს, ესე იგი საგანზე მიმართების /*auf den gegenstand Gerichtetseins*/ მომენტს აღმოვაჩინეთ, რაც ამ აქტებში გარეშე არსებობს<sup>18</sup>. თავისებურებით გამოირჩევა ურთიერთობის შესაბამისი იშვიათი შემთხვევები, სადაც იმ ელემენტების სახით, რომელიც ურთიერთობას განსაზღვრავს, აქტები კი არა, განსაზღვრული იდეალური წარმონაქმნები ელინდებიან, თუმცა ურთიერთობა აქ ამ წარმონაქმნებით განმსჭვალული შინაგანი კანონზომიერების სისტემის მეოხებით არის განპირობებული. ერთი ნიშნად ამ სახის ურთიერთობებისა ქმნის ზოგიერთ სახეს იმგვარი ურთიერთობებისა, რომლებსაც ჩვენ სამართალსა და სამართლის გარეშე კატეგორიებს შორის აღმოვაჩინეთ; აქ როგორც ხასიათი ურთიერთობებისა თვითონ, ისე სხვა ელემენტები, რომლებითაც ურთიერთობის დადგენა ხდება, განსაზღვრულია თვითონ სამართლებრივი ფორმების შინაგანი კანონზომიერების მეოხებით. ამაში ჩვენ მომდევნო გვერდზე დაერწმუნდებით, ახლა კი წინასწარი ორიენტაციისათვის უნდა მიუთითოთ იმ საკითხებზე, რომელთა დაწვრილებით ანალიზს აქ უნდა შეეუდგეთ.

ურთიერთობათა ზემოთ აღნიშნული სამი ჯგუფიდან სამართალსა და სამართლის გარეშე მოვლენებს შორის, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა განვიხილოთ, რომელიც მოქმედი სამართლებრივი მოწესრიგების სისტემაზე საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური

<sup>17</sup> შეად. შესაბამისად ამ ურთიერთობის ერთ-ერთი სახე Husserl, *Log. Unt.*, II, S. 351 ff; *Ideen*, S. 64 ff; Pfänder, *Logik*, S. 146 ff.

<sup>18</sup> S. Husserl, *Log. Unt.*, II, S. 352-354.

/sozialwirtschaftlichen/ სტრუქტურის ზეგაულებრივი ფაქტით გამოიხატება. ამ ურთიერთობათა კუმპარატივი აზრი სრულიად არ იქნება ნათელი, თუკი ვეცდებით ამ ურთიერთობების აგებას მიზნულ-შედეგობრივი ფორმით. მიუხედავად მისი დიდი პოპულარობისა, ეს თვალსაზრისი მთლიანად ყალბად უნდა იქნეს მიჩნეული. ძნელი არ არის ამის დამტკიცება, თუკი ყურადღებას მივაქცევთ შემდეგ გარემოებას: მართლწესრიგი სამართლებრივი ურთიერთობების ერთობლიობის შიგნით არის არა რაღაც რეალურად არსებული, არამედ შესაძლებელი ფორმები საზოგადოებრივი ურთიერთობების იურიდიული მოწესრიგებისა. არარეალური ხასიათი მართლწესრიგისა საკმარისი ზომით წარმოჩნდა მთელი წინამორბედი მსჯელობის მეოხებით. აქედან უკვე შეიძლება a priori იმ დასკვნის გაკეთებაც, რომ მიზნობრიობის კატეგორია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რეალური პროცესების დროს გამოიყენება, თავის მნიშვნელობას კარგავს, თუკი ურთიერთობის ერთი ელემენტი რეალურად აღარ არსებობს. მაგრამ მეორე მხრით შეიძლება ის ფაქტი, რომ სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურა საზოგადოებისა და მართლწესრიგი ერთმანეთს ნიადაგ /stats/ გარკვეულ ზომამდე ემთხვევა, ყოველგვარი ვარაუდის გარეშე ადვილად იქნეს ახსნილი უშუალო მიზნობრივი კავშირი, ერთი მხრივ, სოციალური ცხოვრების ფაქტორებსა და, მეორე მხრივ, სამართალს /dem objektiven Rechte/ შორის; მიზნობრივი კავშირი, რომელიც ასეთი ანალოგიის აუცილებლობას ხსნის, ნამდვილად არსებობს, მაგრამ არსებობს იგი აქ არა ობიექტურ მართლწესრიგსა და საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ /sozialwirtschaftliche/ სტრუქტურას შორის, არამედ სხვა ელემენტებს შორის, რომელთა კუმპარატივი ბუნება ჯერ კიდევ ახსნას მოითხოვს. ასეთ ელემენტებს წარმოშობენ, ჩემი აზრით, ის რეალური სოციალური პროცესები, რომელთა ურთიერთმოქმედება კონკრეტულ სოციალურ სტრუქტურას ქმნის. იმისათვის, რათა მოცემულ შემთხვევაში სხვა ელემენტი კაუზალური კავშირისა მიგნახოთ, აუცილებელია ჯერ ყურადღება მივაქციოთ შემდეგს: ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ ის, რომ ობიექტური მართლწესრიგი გამოხატავს მოქმედ ფორმას სამართლებრივი მოწესრიგებისა; დაწერილობითი განხილვისას იგი აღმოჩნდება მხოლოდ როგორც ერთ-ერთი შესაძლებელი, დასაშვები ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებისა. ამ თვალსაზრისით ის არ არის რეალური მოვლენა, არამედ მხოლოდ სქემა, რომლის მიხედვით კანონმდებლის გამიზნულების შესაბამისად უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ურთიერთობები. როგორც ერთი შესაძლებელი, იდეალური სქემა საზოგადოებრივი ურთიერთობებისა, ითმენს იგი თავის გვერდით აგრეთვე სხვა /ასევე იდეალური/ ფორმების არსებობას ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად; საკანონმდებლო პროცესი /der Gesetzgebungsprozess/ შედგება ამ თვალსაზრისით მხოლოდ იურიდიულად ფიქსირებული ერთ-ერთი ამ დასაშვები ფორმისაგან. ასეთი შერჩევისას საზოგადოებრივი მოწესრიგების სხვადასხვა იდეალურ შესაძლებელ სისტემათა შორის, რომელიც გამოიხატება ან საკანონმდებლო პროცესით ან ბუნებრივი "შერჩევით" გარკვეული ნორმების ჩვეულებითი სამართლის ფორმაში, შეიძლება სხვადასხვა ძალები ურთიერთმოქმედებდნენ. აქედან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ სოციალურ მოვლენათა რიგს სამართლებრივი ნორმების ფორმირების დროს მხოლოდ და მხოლოდ ის პროცესი "შერჩევისა" მიეკუთვნება, რომელიც მოცემული საზოგადოებრივი სტრუქტურის მეოხებით განისაზღვრება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ მიეკუთვნება არჩეული, ესე იგი სამართლებრივი ფორმა საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისა. აქედან ნათელია, რომ ზემოთ აღნიშნული მიზნობრივი კავშირი არსებობს არა ობიექტურ მართლწესრიგსა



და კონკრეტულ სოციალურ ეკონომიკურ ურთიერთობას შორის, არამედ ამ უკანასკნელსა და სამართლებრივი მოწესრიგების შესაძლებელი ფორმის არჩევის ხასიათს შორის ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სოციალურ ძალთა ურთიერთობებსა და საკანონმდებლო პროცესს შორის<sup>19</sup>. ასეთი წინასწარი შენიშვნის შემდეგ თუ შევეცდებით ავხსნათ ობიექტურ მართლწესრიგსა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას შორის არსებული ურთიერთობის არსი, მაშინ შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ის რეალურ და იდეალურ ყოფიერებას შორის არსებულ ურთიერთობის ერთ სახეს გამოხატავს და თავის თავში შეიცავს ინტენციური (intentionalen) ურთიერთობის ძირითად მომენტს. სხვა დამახასიათებელი თავისებურება ამ ურთიერთობისა კლინდება იმაში, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ სამართლის ნორმების ფორმირების მომენტთან კავშირში იმყოფება და სწორედ ამიტომაც შემდგომი ბედი სამართლის პრინციპებისა, რამდენადაც ის სოციალური ცხოვრების რეალურ მოვლენებთან კავშირში გამოიხატება, უკვე სხვა ფორმებში განხორციელდება. ერთ-ერთი ასეთი ფორმა არის, როგორც ჩვენ უკვე მოვისხენით, სამართლებრივი ურთიერთობასა, როგორც სამართლებრივი მოწესრიგების სისტემის ძირითად ელემენტსა და მის ობიექტს შორის არსებული ურთიერთობა. უფრო მეტი სიცხადისათვის აქ წინასწარ იმაზე უნდა მივეუთოთ, რომ საგანი სამართლებრივი მოწესრიგებისა ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საგანი, რომლის გამოც ზორციელდება სამართლებრივი მოწესრიგება, სრულიადაც არ არის აუცილებელი იყოს აბსოლუტურად რეალური საგანი; მას შეიძლება იდეალური საგანიც კი მიეკუთვნოს, რამდენადაც ეს საგანი ან თითონ აკმაყოფილებს გარკვეულ ინტერესს, ანდა თუ ის ასეთი დაკმაყოფილებისათვის საჭირო პირობებს ქმნის.

აქ განსახილველი ურთიერთობის არსის უფრო ზუსტად გარკვევისათვის საჭიროა ზღვარის გაკლება იმ საგანსა, რომლის გამოც ხდება სამართლებრივი მოწესრიგება, და, ასე ვთქვათ, თითონ სამართლებრივი მოწესრიგების უშუალო საგანს შორის, რომელიც ქმნის სამართლებრივი ურთიერთობის საგნობრივ შინაარსს. აქ არსებული განსხვავება შეიძლება ნებისმიერი მაგალითითაც კი ადვილად დამტკიცდეს. თუ, მაგალითად, განვიხილავთ საარჩევნო უფლებას დაინახავთ, რომ შესაბამისი ზეგავლენა ცალკეული საზოგადოებრივი კლასისა კანონმდებლობაზე და საზოგადოდ სახელმწიფო მმართველობაზე სიტყვის ფართო გაგებით ქმნის საგანს, რომლის გამოც განხორციელდება სამართლებრივი მოწესრიგება; მაგრამ უშუალო საგანი სამართლებრივი მოწესრიგებისა აქ არის არჩევნებში ყოველი პიროვნების მონაწილეობის ფორმა /art/. განსხვავება აქ განსაკუთრებით ცხადი იქნება, თუკი ყურადღებას მივაქცევთ, რომ პირველ შემთხვევაში ნაგულისხმევია საკანონმდებლო ნორმის უახლოესი მიზანი /უზრუნველყოფა განსაზღვრული სოციალური ჯგუფის ზეგავლენისა/, ხოლო მეორე შემთხვევაში განსაზღვრული სისტემა სამუალებებისა, რომლებიც ქმნიან ამ მიზნების განხორციელების იურიდიულ ფორმას. ამ განსხვავებიდან, მეორე მხრით, თავისთავად გამომდინარეობს, რომ აქ სამართალსა და სამართლის გარე ელემენტებს შორის არსებული ურთიერთობის არსი თითოეულ ამ შემთხვევაში ერთი და იგივე არ არის; ეინაიდან ადვილი გასაგებია, რომ პირველ შემთხვევაში სამართლის მიზნის განსაზღვრა კლინდება, მეორე შემთხვევაში მინც ნაგულისხმევია სამართალი

<sup>19</sup> საკანონმდებლო პროცესი რომ სოციალურ მოვლენებს მიეკუთვნება, ამაზე დაწერილობით ლაპარაკობს კელზენი, ნახეთ, მაგალითად, Hauptprobleme, S. 410-411; Das Problem der Souveränität und die Theorie des Völkerrechts, 1920, S. S. 33, 93, 97.

არა თავისი მიზნის განსაზღვრის თვალსაზრისით, არამედ თავისი შინაგანი შემადგენელი ნაწილების თვალსაზრისიდან გამომდინარე დასახული მიზნის მხედველობაში მიუღებლად. შემდეგში ჩვენ ამ მეორე თვალსაზრისს უფრო დაწერილობით განვიხილავთ, მაგრამ ახლა უნდა აეხსნათ იმ ურთიერთობის დამახასიათებელი მომენტები, რომელიც არსებობს სამართლებრივ მოწესრიგებასა და იმ საგანს შორის, რომლის გამო ის არის დადგენილი. ზემოთ ჩვენ უკვე მიუუთითეთ იმაზე, რომ აქ წარმოდგენილი /Vorliegende/ ურთიერთობა დახასიათებული უნდა იქნეს, როგორც ურთიერთობა საშუალებებისა მიზნისადმი. სამართლებრივი მოწესრიგება ნიდაც არის დაკავშირებული განსაზღვრული მიზნის იდეასთან, რომელიც ქმნის ამ თვალსაზრისით გარდაუვალ და აუცილებელ წანამძღვარს სამართლის ნორმის დადგენის დროს; სწორედ ამ მიზნის განხორციელების გამო იქმნება განსაზღვრული სისტემა სამართლებრივი საშუალებისა, სისტემა იურიდიული ფორმებისა, რომელიც განსაზღვრავს ამ მიზნის განხორციელებას მთელი სოციალური ცხოვრების მოცულობაში. აქედან ადვილი გასაგები ხდება ის არსებითი განსხვავება, რაც არსებობს მოცემულ ურთიერთობასა /ესე იგი ურთიერთობასა სამართლებრივ მოწესრიგებასა და იმ საგანს შორის, რომლის გამოც ეს მოწესრიგება ხდება/ და ზემოთ განხილულ ურთიერთობას შორის, რომელიც ჩვენ საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ სტრუქტურასა და მასში მოქმედი სამართლებრივი მოწესრიგების სისტემას შორის აღმოვაჩინეთ. უკანასკნელ შემთხვევაში ურთიერთობის ელემენტების ურთიერთ ზეგავლენა იმაში ვლინდება, რომ კონკრეტულად მოცემული სოციალ-ეკონომიკური პირობების წყალობით საზოგადოებრივი ურთიერთობების იურიდიული მოწესრიგების სფეროში ვლინდება მხოლოდ განსაზღვრული ფორმა ამ მოწესრიგებისა და მხოლოდ ამ ურთიერთობის ნიდაცაზე ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გასაგები ხდება თავისებური თვისებები განსაზღვრულ საზოგადოებრივ გარემოში მოქმედი მართლწესრიგისა. ამას ეთანხმება აგრეთვე ის ფაქტი, რომ ურთიერთსაპირისპირო მდგომარეობა ურთიერთობის ელემენტებისა დახასიათდება როგორც ურთიერთობა წინამორბედისა მომდევნოსადმი (des Vorhergehenden zum Folgenden), თუმცა წინამორბედი აქ სოციალ-ეკონომიკურ ფაქტორებს გულისხმობს; აქედან აიხსნება კიდევ ის ფაქტი, რომ აქ აღნიშნული ურთიერთობა მხოლოდ სამართლის ნორმის დადგენის მდგომარეობას, სამართლებრივი მოწესრიგების განსაზღვრული ფორმის "აღმოცენების" სტადიას მიეკუთვნება, მაგრამ არაკითარ შემთხვევაში შემდგომ ზემოქმედებას /ფუნქციონირებას/ უკვე მოქმედი სამართლებრივი სისტემისა. სხვა ნიშნების მეოხებით ხასიათდება ის ურთიერთობა, რომელიც ობიექტურ მართლწესრიგისა და იმ საგანს შორის არსებობს, რომლის გამოც დადგენილია სამართლებრივი რეგულირება. ახლა გადავალთ ცალკეულ საკითხებზე და აღვნიშნავთ აქ იმ ძირითად განსხვავებას, რომელიც იმაში ვლინდება, რომ მოცემულ შემთხვევაში ურთიერთობა სამართლებრივი რეგულირების პირველი დადგენის სტადიასთან კი არ იმყოფება კავშირში, არამედ კავშირშია უკვე მოქმედი სამართლის ფორმების შემდგომ სიცოცხლესთან /mit dem weiteren Leben/, იმ ზემოქმედებასთან, რომელსაც მოქმედი მართლწესრიგი ახდენს საზოგადოებრივი ურთიერთობების მიმართულებასა და ბუნებაზე. დატოვით აქ აგრეთვე განუხილველად გართულებული მექანიზმი ფსიქიკური მოტივაციისა, რომლის მეოხებითაც მართლწესრიგის ელემენტები, როგორც "მამომრავებელი ღერძი" /"treibende Hebel"/ ჩაწნულია სოციალური ცხოვრების ხვეულებში. აქ მაინც ყურადღება უნდა მიექციოთ ერთ გარემოებას: მიუხედავად აქ მოხსენიებულ ურთიერთობათა სახეების თავისებურებისა

მათი შინაგანი ნიშნების მხედველობაში მიღებით, ისინი ერთმანეთისაგან იზოლირებული კი არ არიან, არამედ მათ შორის მჭიდრო კავშირია. თუკი უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ამ ურთიერთობების სამართლის გარეშე არსებულ ელემენტთა კატეგორიას, მაშინ ადვილად შეგვიძლია ამოვიცნოთ, რომ ეს ელემენტები ერთმანეთთან როგორც პირველ, ისე მეორე ურთიერთობაში სუკცესიურ /succesiven// კავშირში იმყოფებიან. არჩევა სამართლებრივი მოწესრიგების განსაზღვრული ფორმისა განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის ხდება, მაგრამ, მეორე მხრივ, აღნიშნული მიზნები მართლწესრიგის უკვე მოქმედ სისტემაში აღმოჩნდებიან, როგორც საგნები, რომელთა გამოც ეს მოწესრიგება მყარდება. განსხვავება ამ ელემენტებს შორის ამიტომაც აქ არ შეიძლება მათი შინაარსის მიხედვით იქნეს დადგენილი, არამედ ის შეიძლება დადგინდეს იმ ადგილის მიხედვით, რომელიც ყოველ მათგანს ურთიერთობაში უჭირავს: თუკი ეს ელემენტები აქ მოხსენიებული ორი ურთიერთობიდან პირველში აღმოჩნდებიან როგორც ძირითადი მოტივი სოციალური ბრძოლისა, რომელიც გარკვეული სამართლებრივი ნორმების საკანონმდებლო ფორმირებას უძღვის წინ, იგივე მოტივი აღმოჩნდება მეორე შემთხვევაში როგორც სამართლებრივი რეგულირების იურიდიულად დადგენილი მომენტი; ორივე შემთხვევაში ეს ელემენტები თავისი შინაარსის მიხედვით ხელს უწყობენ გარკვეულ მიზანსწრაფულობას; პირველ შემთხვევაში ეს ელემენტები მაინც აღნიშნავენ კანონმდებლობის სოციალური პროცესების ძირითად ფაქტორებს, იმ პროცესებისა, რომლებიც მუდამ წინ უძღვის შეჩვენებას სამართლებრივი მოწესრიგების განსაზღვრული ფორმისა; მაგრამ მეორე შემთხვევაში ეს ელემენტები გამოდიან უკვე არა როგორც წინასწარი სოციალური ფაქტორები, არამედ როგორც იურიდიულად დადგენილი მიზნები უკვე მოქმედი მართლწესრიგისა.

მაგრამ არის სხვა მომენტიც, რომელიც ზემოთ განხილული ორივე ტიპის ურთიერთობისათვის ერთნაირი მნიშვნელობისაა. ეს მომენტი ვლინდება იმაში, რომ ამ ურთიერთობათა არასამართლებრივი ელემენტები სამართლებრივი მოწესრიგების შინაგანი მექანიზმის გარეშე დგანან. ამ ელემენტების ადგილი ურთიერთობაში მართლწესრიგისადმი პრინციპულად შეიძლება დავახასიათოთ, როგორც წმინდა გარეგანი, რომელიც პირველ შემთხვევაში პირობის ცნებით გამოიხატება, რაც სამართლებრივი ნორმების "არჩევას" განსაზღვრავს, მაგრამ მეორე შემთხვევაში ის განსაზღვრავს სამართლებრივი ნორმების მიზნებს; ურთიერთობა აქ გარეგნული აზრითაა, მაშინ, როცა ელემენტები ურთიერთობისა ერთმანეთს არ განმსჭვალავენ და კავშირი მათ შორის ურთიერთობის ერთ-ერთი ელემენტის შინაარსის თავისებურებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ დგინდება კლასობრივი ნების და კლასობრივი ინტერესის გამოვლინების პროცესში, ესე იგი ელემენტის გარეშე არსებული ფაქტორის მეოხებით. ურთიერთობის ელემენტები არ განიცდიან არავითარ ცვალებადობას ამ კავშირის ზეგავლენის მეოხებით, არამედ ინარჩუნებენ იმავე ხასიათს, რაც მათ ამ ურთიერთობის დასაწყისში ჰქონდათ.

ხსენებული მომენტის მეოხებით დგინდება პრინციპული განსხვავება აქ განხილულ ურთიერთობათა სახეებს შორის და იურიდიულად რელევანტურ ფაქტებსა და არსებულ ურთიერთობათა სამართლებრივ ელემენტებს შორის. იურიდიულად რელევანტური ფაქტები აღნიშნავენ ამავე დროს რაღაც "ფაქტიურს"; მაგრამ ეს "ფაქტიური", ერთი მხრივ, მთლად განზე კი არ დგას სამართლის ნორმებისაგან, არამედ გარკვეული ზომით სამართლებრივი მოწესრიგების შინაგან მექანიზმშია ჩართული, მაგრამ მეორე მხრით,

იგი სწორედ ამ უკანასკნელი გარემოების წყალობით განიცდის თავისი პირვანდელი ბუნებრივი შინაარსის გარკვეულ ცვალებადობას. მხოლოდ ასეთი ცვალებადობის გამო ფაქტიურს შეუძლია შეასრულოს სამართლებრივი მოწესრიგების შემადგენელი ნაწილის ფუნქცია. ჩვენ ახლა უნდა აეხსნათ ამ პროცესის /ესე იგი ჩართვის და ცვალებადობის პროცესის/ მთელი აზრი.

სამართალი თავის ობიექტურ არსებობაში შეიძლება განისაზღვროს როგორც გარკვეული სისტემა ურთიერთობებისა; იმ შემთხვევაში მაინც, რომელშიც ჩვენ ობიექტურ მართლწესრიგს ვგულისხმობთ, ეს სისტემა ურთიერთობებისა არ უნდა იქნეს გაგებული თავისი რეალური მოცემულობის აზრით, არამედ ის უნდა გავიგოთ იურიდიულად შესაძლებელი განხორციელების სტადიაში მყოფი სისტემა ურთიერთობებისა. აქ ისლა უნდა გაეიხსენოთ, რომ ეს მდგომარეობა ყოველთვის არ მოიცავს საზოგადოებაში რეალურად არსებულ ურთიერთობებს; მითითება საკმარისია, რომ ასეთი ურთიერთდამთხვევის აღიარების შემთხვევაში სოციალური ცხოვრების სამართლებრივი მოწესრიგების მთელი პროცესი ყოველგვარ აზრს დაეარაგება. ასეთი წინამძღვრის დროს საზოგადოებრივი ცხოვრების შინაგანი, იმანენტური ფაქტორები სრულიად საკმარისი იქნებოდა, მაგრამ სამართლებრივი მოწესრიგება წინამორბედი პროცესების შინაგანი კანონზომიერების წყალობით ზედმეტი და არასაჭირო აღმოჩნდებოდა. მაგრამ იმ შემთხვევებშიც, როცა საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათი სამართალში გამოსაყენებელ მოთხოვნებს ემთხვევა, ობიექტური სამართლის ნორმებში იურიდიულად დადგენილი ურთიერთობების სისტემა არ მოიცავს რეალურ სოციალურ პროცესებს, არამედ ინარჩუნებს თავის განცალკევებულ /gesondente/ არსებობას. ამჟებ ნათლად მივითითებს ის ფაქტი, რომ ასეთ შემთხვევებში ნადავ არსებობს გარკვეული ურთიერთობა სამართლის პრინციპსა და რეალურად განხორციელებულ ურთიერთობას შორის. უმეტეს შემთხვევებში ამ დამოკიდებულებას აქვს მოტივსა და შედეგს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათი; მაგრამ ზოგ შემთხვევაში არა გვაქვს ასეთი მოტივაციური ზეგავლენა და მაშინ ჩვენ აღვნიშნავთ ობიექტურ დამთხვევას სამართალში გამოხატულ და რეალურ ურთიერთობას შორის. თუკი ვივარაუდებთ, რომ იმ შემთხვევაში, როცა რეალური საზოგადოებრივი პროცესები სამართლის მოთხოვნებს ეთანხმება, სამართლის ნორმები სავესებით ერწყმინან რეალურ მოვლენებს, მაშინ ზემოთ დასახელებულ ურთიერთობათა სახეები სრულიად არ შეიძლება ახსნილი იქნეს, ვინაიდან არ შეიძლება ვიგულისხმობთ, რომ ასეთი შერწყმის დროს მოცემული საგნობრივი ერთიანობა თავის თავთან ამყარებს ურთიერთობას. ამით მტკიცდება აგართვე სამართლებრივი ურთიერთობების, როგორც რეალურად მოქმედი /einen realen lebending/, სამართლის ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობის განსაზღვრების /definition/ ნაკლოვანება. შეიძლება დარწმუნებით ვამტკიცოთ, ეს განსაზღვრება ისევეა გავრცელებული, რამდენადაც განუსაზღვრელია. ჩვენ, მაგალითად, არ ვიცით, რა მნიშვნელობა უნდა მიეცეს ამ განსაზღვრებაში ცხოვრებისეული ურთიერთობების მოწესრიგების ცნებას სამართლის ნორმების მეოხებით. თუ ვიგულისხმებთ სამართლებრივი ნორმების რეალურ ზემოქმედებას საზოგადოებრივი გაერთიანების /gesellschaftlichen Gemeinschaft/ წევრთა ურთიერთობებზე, მაშინ გადავიდოდა საკითხი თვითონ სამართლებრივი ელემენტების ანალიზის სფეროდან ამ ელემენტების მოტივაციური ზემოქმედების სფეროზე, ადამიანის სამართლებრივი

ფსიქიკაზე; ასეთი გაგება მართლაც იქნებოდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შემცველი, უპირველეს ყოვლისა, აქ სამართლებრივი ურთიერთობების ძირითადი ელემენტების არსის ახსნა შეიცვლებოდა ამ ელემენტების ფუნქციებზე მითითებით რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებში. სამართლის ნორმის მოტივაციური ზეგავლენის საკითხი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაგრამ ის თავისი არსის მიხედვით მიეკუთვნება ფსიქოლოგიის სფეროს და არა წმინდა სამართლის კატეგორიის მოძღვრებას. რასაკვირველია შეგვიძლია ჩვენ რიგი შემთხვევებისა დაქვასახლოთ, სადაც ისეთი ფორმები რეალური */lebendig/* ურთიერთობებისა არსებობენ, რომლებიც სამართალში გამოხატული მოთხოვნებს ემთხვევა, მაგრამ რომლებსაც აკლია სამართლის ნორმების მოტივაციური ზეგავლენა. მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, ჩვენ მინც მივიჩნევთ ამ დამოკიდებულებებს სამართლებრივი ურთიერთობების შესაბამისად. სამართლებრივი მოწესრიგების ცნებას შეიძლება აგრეთვე მიეცეს სხვა აზრიც. მათ შორის არ შეიძლება გავიგოთ სამართლის ნორმების ზემოქმედება ცხოვრებისეულ ურთიერთობებზე, არამედ ობიექტური შესაბამისობა ამ და ურთიერთობების იურიდიულ ფორმას შორის, რომელიც სამართლის ნორმაშია გამოხატული. ასეთ ფორმულირებაში უნდა დაეინახოთ ნამდვილად ზუსტი ასახვა */Wiedergabe/* იმ დამოკიდებულებისა, რომელიც არსებობს სამართლებრივ ურთიერთობასა და ცხოვრებისეულ ურთიერთობას შორის; აქედან გამომდინარეობს აუცილებელი დასკვნა, რომ სამართლებრივი ურთიერთობების ელემენტები არასოდეს არ ერწყმიან */verschmelzen/* რეალურ ცხოვრებისეულ ურთიერთობებს და რომ ყოველ მათგანს დამოუკიდებელი და განსხვავებული ყოფიერება გააჩნია. ეს დასკვნა აუცილებელია, თუ ჩვენ ვივარაუდებთ, რომ დამოკიდებულება სამართლებრივ ურთიერთობასა და ცხოვრებისეულ ურთიერთობას შორის უნდა გამოიხატოს შესაბამისობის ცნებაში; იგი მუდამ გულისხმობს გარკვეულ “პარალელიზმს” ორი თავისთავად გასაგები რიგის ელემენტებს შორის, ასეთი პარალელიზმი არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა ცხოვრებისეული ურთიერთობა სამართლის ნორმაში გამოხატულ ფორმას “ახორციელებს”. მაგრამ წსწორედ ასეთ შემთხვევებში არის დამოუკიდებელი განცალკევებული არსებობა სამართლებრივი ურთიერთობისა აუცილებელი წინამძღვარი. სინამდვილეში, თუ ვიგულისხმებთ, რომ ასეთი “განხორციელების” შემთხვევაში ორივე რიგი სრულიად ერწყმის ერთმანეთს, მაშინ შესაბამისობის ცნება ფაქტიურად საესებით იქნება აღმოფხვრილი, ვინაიდან ასეთი შერწყმის დროს სხვა რიგი ელემენტებისა, რომლებიც დაემთხვეოდა რეალურ ცხოვრებისეულ ურთიერთობებს, მეტად აღარ არსებობს, რადგანაც დამთხვევა შეიძლება */მოხდეს/* არა თვითონ, არამედ არსებულის გარეშე რაღაცისა, რომელიც იზოლირებულ ყოფიერებას ფლობს, აქედან მომდინარეობს იმ თვალსაზრისის უსწორობა, რომლის მიხედვით სამართლებრივი ურთიერთობა არის მომენტი რეალური ცხოვრებისეული ურთიერთობისა, შინაგანი წვერი სოციალური ერთობის წვერთა შორის არსებული ურთიერთმოქმედების რეალური პროცესებისა. ზუსტი აზრი ასეთი დეფინიციისა შეიძლება ასე გამოიხატოს: რეალური ცხოვრებისეული ურთიერთობა შედგება რეალური ელემენტების გარკვეული რაოდენობისაგან; მათ გადაქცევას სამართლებრივ ურთიერთობად სჭირდება ის, რომ რეალური პროცესების ამ რიგს მიემატოს კიდევ ერთი მომენტი, სახელდობრ, “სამართლებრივი ნორმით მოწესრიგებულობის” მომენტი; ამ ახალი ელემენტის მიმატება აძლევს მთლიან მდგომარეობას */dem ganzen Bestand/*, როგორც ქიმიური რეაქცია, სხვა, სახელდობრ, სამართლებრივ შეფერილობას. ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ის, რომ

ასეთი მიმატება სამართლებრივი ელემენტებისა რეალური ურთიერთმოქმედებისათვის ცხოვრებაში შეიძლება განხორციელდეს, როგორც მოტივაციური ზემოქმედება სამართლებრივი ნორმებისა. მაგრამ ჩვენ იმაზეც მივუთითებთ აგრეთვე, რომ ცხოვრებისეულ ურთიერთობათა მთელ რიგში არ შეიძლება შეინიშნული იქნეს ისეთი ზემოქმედება, რომლის სამართლებრივი ხასიათი მასსა და სამართალს შორის არსებული შესაბამისობის თვალსაზრისით არავითარ ეჭვს არ ტოვებს. მაგრამ, ამას გარდა, არის აგრეთვე მოსაზრებები, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობების ასეთი დეფინიციის წინააღმდეგ შეიძლება იქნეს მოტანილი. ყოველი სამართლებრივი ნორმა /Rechtssatz/ თავისი შინაარსის მიხედვით არ არის მარტივი და ერთგვაროვანი, იგი თავის თავში შეიცავს ერთმანეთისაგან განსხვავებულ ელემენტებს, რომლებიც მათ შორის არსებული გარკვეული შინაგანი კავშირის საფუძველზე არიან გაერთიანებული. თავისებური გაერთიანება ამ ძირითადი ელემენტებისა, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში უმეტესად იმ საგნის მიხედვით, რომელთანაც ისინი "დაკავშირებული" იქნენ /ნიეთობრივი, პერსონალური, პოლიტიკური უფლებები/, განსხვავებულია, ქმნის სამართლებრივი ნორმის /rechtssatzes/ არსს. თუკი გავშლით სამართლებრივ ნორმაში გამოხატულ შინაარსს, მაშინ ადვილად შეგვიძლია დავინახოთ, რომ ის შეიძლება ახსნილი იქნეს სამართლებრივი ურთიერთობით, ესე იგი უფლებებისა და მოვალეობების დადგენით მოწესრიგების განსაზღვრული საგნის გამო. ძირითად ელემენტებს, რომლებსაც ჩვენ აქ ვხვდებით, ესე იგი უფლება-მოვალეობებს არა აქვს არავითარი რეალური ხასიათი; ამიტომაც თავსატეხს ქმნის ის, თუ უეცრად როგორ გადაიქცევა რეალობად ეს არარეალური ყოფიერების მქონე ელემენტები სწორედ იმ შემთხვევებში, სადაც ისინი რეალურ ცხოვრებისეულ ურთიერთობათა წევრებად გვევლინება. მაგრამ მარტო ამან არ შეიძლება აქ ეჭვი აღძრას. თუკი ჩვენ სამართლებრივ ურთიერთობას ცხოვრებისეულ ურთიერთობად განვსაზღვრავთ, რომელიც სხვა სახის ცხოვრებისეული ურთიერთობისაგან განსხვავდება "სამართლის ნორმის მეოხებით მოწესრიგებულობის" მომენტის არარსებობით, მაშინ ამით ჩვენ თავიდანვე ვგულისხმობთ ამ მომენტის გამარტივებულ, მონოლითურ ხასიათს. აქედან უკვე აშკარაა ის, რომ რთული საგანი, რომელიც შინაარსობრივად ელემენტთა რიგისაგან შედგება, ბუნებრივია, "ელემენტები" კი არა, მხოლოდ მათი ერთობლიობა შეიძლება იყოს. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ყოველი სამართლებრივი ნორმა სწორედ ასეთი რთული შინაარსით გამოირჩევა. ამიტომაც ცხადია ის, თუ ცნება მოწესრიგებულობისა გულისხმობს სამართლებრივი ურთიერთობების განხორციელებას ცხოვრებისეულ ურთიერთობებში. ამით დასაშვებია იქნება აგრეთვე, რომ ყოველი ელემენტი სამართლებრივი ურთიერთობების ადამიანთა შორის ურთიერთმოქმედების /Wechselbeziehungen/ რეალური პროცესების შესაბამის ელემენტებს ერწყმოდეს. ასეთი ვარაუდი უდავოდ გულისხმობს იმას, რომ ყოველ ცხოვრებისეულ ურთიერთობაში უნდა არსებობდეს ელემენტები, რომლებიც როგორც რაოდენობის, აგრეთვე შინაარსის მიხედვით სწორედ იმ ელემენტების იგივეობრიობას გამოხატავენ, რომლებიც სამართლებრივ ურთიერთობებში არიან ნაგულისხმევი. სამწუხაროდ, სინამდვილე ოდნავადაც არ ემთხვევა ამ თვალსაზრისს. თუკი ჩვენი თვალსაზრისის მიხედვითაც კი უდავო დებულებას არ დავეთანხმებით, რომ ძირითად ელემენტებს სამართლებრივი ურთიერთობებისა /უფლება-მოვალეობებს/

არავითარი რეალური ყოფიერება არ გააჩნიათ, თუკი მათ რეალური არსებობაც კი მიეწერებათ, მაშინ ადვილად შეიძლება დასაბუთებული იქნეს, რომ სინამდვილეში არავითარი დამხვევა არა გაქაქეს მოცემული სამართლებრივი ურთიერთობის შემადგენელ ნაწილებსა და მათ ცხოვრებისეულ ურთიერთობათა შორის. ამაზე ნათლად მიგვიანიშნებს ის ფაქტი, რომ ბევრ შემთხვევაში სრულიად სხვადასხვა სოციალური შინაარსის ურთიერთობები ერთი და იგივე სამართლებრივი ნორმის მეოხებით წესრიგდება<sup>20</sup>. თუკი ყოველივე ზემოთ ნათქვამს მხედველობაში მივიღებთ, მაშინ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ იმ დამოკიდებულებისათვის, რომელიც არსებობს სამართლებრივ ურთიერთობასა და კონკრეტულ ცხოვრებისეულ ურთიერთობას შორის, დამახასიათებელია არა "მიყუთენებადობა" /"Zugehörigkeit"/ რეალური ცხოვრებისეული ურთიერთობებისადმი, როგორც მისი ერთ-ერთი წევრისა, არამედ ობიექტური შესაბამისობა ორივე ამ განსხვავებული რიგის ელემენტებს შორის. კატეგორია შესაბამისობისა, რომელიც ჩვენ ამ დამოკიდებულების /dieser Beziehung/ აღსანიშნავად ვიყენებთ, ერთსადაიმევე დროს სრულიად გადაჭრით იმაზეც მიუთითებს, რომ ყოველი ეს რიგი ურთიერთობებისა თავისთავად და დამოუკიდებელ შინაარსს გამოხატავს. სამართლებრივი ურთიერთობის ცნება, როგორც ერთ-ერთი განსაკუთრებული ფორმა უფლებასა და მოვალეობას შორის არსებული დამოკიდებულებისა, ქმნის ამ თვალსაზრისით კონკრეტული ცხოვრებისეული ურთიერთობების შინაარსთან შედარებით სავსებით თავისთავად საგნობრივ ერთიანობას. თავისთავადობა საგნობრივი შინაარსისა, ბუნებრივია, არ გამოირიცხავს გარკვეული დამოკიდებულების შესაძლებლობას მათ შორის, გარკვეულ ურთიერთმოქმედებას რეალურ ცხოვრებისეულ პროცესებსა და წმინდა სამართლებრივი ელემენტებს შორის, რომლებსაც ჩვენ სამართლებრივ ურთიერთობაში აღმოვაჩინებ. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ის, რომ სამართალი არასოდეს არ წარმოადგენს თვითმიზანს, არამედ მხოლოდ საშუალებაა განსაზღვრული მიზნისადმი, და რომ მთელი აზრი და დანიშნულება სამართლისა სოციალური ცხოვრების მოწესრიგებაა. იმისათვის, რათა ახლა მართლწესრიგმა, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობების ერთობლიობას გამოხატავს, ამ ამოცანის შესრულება შეძლოს, საჭიროა, რომ ის, ასე ვთქვათ, კონკრეტული სოციალური ცხოვრებისაგან სრული მოწყვეტილობის მდგომარეობიდან ახალი არსებობის სტადიაში გადავიდეს, რომელსაც ჩვენ იურიდიულად შესაძლებელი განხორციელების მდგომარეობას /Zustand der juristisch möglichen Erfüllung/ ვუწოდებთ. ასეთი გადასვლა, რომლის ნამდვილი მოცემულობა არავითარ ეჭვს არ შეიძლება იწვევდეს, იმიტომაც ხორციელდება, ვინაიდან სამართალი სოციალურ ცხოვრებაში თვითონ გარკვეულ საყრდენ წერტილებს ირჩევს, რომლებიც შემდეგ იურიდიული მოწესრიგების მექანიზმში საზოგადოებრივ ურთიერთობებს ჩართავს. ერთი შემთხვევა ასეთი დამოკიდებულებისა სამართალსა და ფაქტს შორის ჩვენ აღვნიშნეთ, როცა "საგნობრივ" შინაარსზე, ესე იგი სამართლებრივი მოწესრიგების საგანზე ვლაპარაკობთ; მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მაგალითია, ერთი ზოგადი მოვლენა, რომელიც მართლწესრიგის ცხოვრებაში ბევრად უფრო ფართოდ გამოიყენება. ასეთი შეხების წყალობით წმინდა იურიდიული კატეგორიებისა სამართლის გარეშე არსებული ელემენტების სახეებთან აღმოცენდება თავისებური შუალედი საფეხური /Zwischenstufe/ სამართალსა და ცხოვრებას შორის, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების შესაძლებლობას ქმნის.

<sup>20</sup> შესაბამისი მაგალითები ნახეთ Körner-თან, Die soziale Funktion der Rechtsinstitute, S. 10.

ასეთი კავშირის ერთ-ერთ ძირითად ფორმას ჩვენ იურიდიული რელევანტობის ცნებით აღვნიშნავთ. მაგრამ იურიდიულად რელევანტურ ფაქტებს შორის გვესმის ჩვენ ერთობლიობა სამართლის გარეშე არსებული სახის ელემენტებისა, რომლებთანაც განსაზღვრელი / bestimmender/ სამართლებრივი ნორმების მეშვეობით მუდმივად იქნება დაკავშირებული გარკვეული უფლებები და მისი კომპლექსი და მათი ცვალებადობა გამოიწვევს განსაზღვრულ სამართლებრივ ეფექტს, რომელიც “წარმოშობს”, “შეცვლის” ან “შეწყვიტავს” განსაზღვრულ უფლებებსა და, მაშასადამე, აგრეთვე მათ შესაბამის მოვალეობებს. ამ ფორმის გვერდით ვგვხვდება ჩვენ აგრეთვე სხვა ძირითადი ფორმა სამართალსა და სამართლის გარეშე არსებულ ელემენტებს შორის დამოკიდებულებისა, რომელიც მოითხოვს სამართლებრივი ნორმების გადასვლას იურიდიულად შესაძლებელი აღსრულებითობის მდგომარეობაში და რომლის დამახასიათებელი თვისებაა აგრეთვე სამართლის გარეშე ელემენტების ჩართვა სამართლებრივი მოწესრიგების სისტემაში; ასეთი დამოკიდებულება იურიდიული ურთიერთობის წმინდა სამართლებრივ ელემენტებსა და მათ საგნობრივ შინაარსს შორის. სანამ ჩვენ გადავიდოდეთ იურიდიული რელევანტობის ცნების ანალიზზე, აუცილებელია მოკლედ განვიხილოთ ამ კავშირის თავისებურებანი. არის რიგი ძირითადი ნიშნებისა, რომელთა მეოხებით კავშირის ხასიათი ან მკვეთრად იქნება გამოჯნული იმ ურთიერთობისაგან, რომელსაც ჩვენ აღმოვაჩენთ სამართლის ნორმასა და მისი დადგენის /Aufstellung/ წინამორბედ სოციალ-ეკონომიურ მოვლენებს შორის, ან სამართლებრივ მოწესრიგებასა და ამ საგანს შორის არსებული ურთიერთობიდან, რომლის გამოც იგი ხდება. ერთ-ერთი ამ თავისებურებათაგანი უეჭველად არსებობს იმ ელემენტების ერთმანეთთან დაპირისპირებულობაში /in der Auseinandergesetztheit/, რომლებიც ურთიერთობათა ორივე უკანასკნელად დასახელებული ტიპისათვის არის დამახასიათებელი. ეს ერთმანეთთან დაპირისპირებულობის ცნება არ შეიძლება აეურიოთ ელემენტების ლოგიკურ განსხვავებულობაში, რომელიც ყოველი ურთიერთობის დროს აუცილებლობით ივარაუდება; იგი აღნიშნავს არა მხოლოდ ლოგიკურ განსხვავებას ცალკეული ელემენტების შინაარსში, არამედ აგრეთვე მათ მიუთითებდალობას /Zugehörigkeit/ მოვლენათა ორი თავისთავად არსებული, რეალური ან იდეალური რიგისადმი, რომელთა შორის გარკვეული დამოკიდებულება მყარდება. ასეთ შემთხვევებში არსებობს ურთიერთობა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, არა ყოველი ცალკეული რიგის ახლახან განსხვავებულ ელემენტებს შორის, არამედ ამ ელემენტების კომპლექსებს შორის, თუმცა ყოველი კომპლექსი შინაგანი, სპეციფიური კანონზომიერების საფუძველზე განსაზღვრულ ხარისხამდე გამოჯნულ ერთიანობას ქმნის. ამიტომაც ასეთ ურთიერთობებში ზემოთ დასახელებული ელემენტები ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც თავისთავადი ყოფიერების ელემენტები, რაც, ბუნებრივია, არ გამოირიცხავს გარკვეული, მთელი საგან გაშუალებული ურთიერთშემოქმედების /Wechselwirkung/ შესაძლებლობას ამ ელემენტებს შორის ამა თუ იმ ფორმით. ჩვენ ადრე უკვე გვქონდა საუბარი სამართალსა და ახლახან ზემოთ მოხსენიებულ სამართლის გარეშე არსებულ კატეგორიებს შორის წარმოქმნილი ურთიერთობის თავისებურებაზე. ამ საკითხის დაწვრილებითი განხილვის გარეშეც შეგვიძლია ჩვენ იმაზე მითითება, რომ ახლახან ზემოთ ნახსენებ ურთიერთობათა ორივე ტიპისათვის ასე დამახასიათებელი თავისებურება სწორედ იმ შემთხვევაში არ არსებობს, როცა ჩვენ მხედველობაში გვაქვს დამოკიდებულება იურიდიული ურთიერთობის წმინდა სამართლებრივი ელემენტებსა და მათ საგნობრივ შინაარსს შორის. იურიდიული



ურთიერთობის საგანი არ არის რაღაც იზოლირებულად და მოწყვეტილად არსებულად. თუკი იურიდიული ურთიერთობა საზოგადოდ სხვა არაფერია, ვიდრე სამართლის ძირითადი კატეგორიაში გამოხატული ურთიერთობის ფორმა, მაშინ საგნის ცნება უნდა წარმოვიდგინოთ როგორც შინაარსი ამ ურთიერთობისა, როგორც ობიექტი, რომელიც სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევებში ნიდაგ სამართლებრივი რეგულირების შუაგულში იმყოფება. შინაარსი არ არის ამიტომაც გარედან დაკავშირებული იურიდიული მოწესრიგების პროცესთან, არამედ ის არის ამ მოწესრიგების შინაგან მექანიზმში ჩართული ელემენტი, რომელიც მოწესრიგებისათვის იმ თვალსაზრისით არის არსებითი და ძირითადი (konstitutiv), რამდენადაც იურიდიული ურთიერთობა კონკრეტულ ფორმაში არასოდეს არ შეიძლება არსებობდეს ამ ელემენტის გარეშე. იურიდიული ურთიერთობის წმინდა სამართლებრივ ელემენტებსა და მათ საგნებს შორის არსებულ კავშირს აკლია ურთიერთდაპირისპირებულობა /Auseinandergesetztheit/, რომელიც ურთიერთობის ახლახან განხილული სახეებისათვის არის დამახასიათებელი, სახელდობრ, საფუძვლიდან, ვინაიდან ურთიერთობის ელემენტები აქ ცალკე არსებულ რიგებს კი არ მიეკუთვნებიან, არამედ თავის მთლიანობაში მხოლოდ ერთიან რიგს ქმნიან, რომელიც ჩვენ მოგვეცემა სამართლებრივი ურთიერთობის სახით, რამდენადაც ეს უკანასკნელი იურიდიულად შესაძლებელი აღსრულებითობის მდგომარეობაში (Erfüllbarkeit) არის ნაგულისხმევი. ამ ელემენტის იურიდიული ურთიერთობის შინაგან სტრუქტურაში ჩართვის ფაქტი გასაგებს ხდის აგრეთვე იმ შემდგომ განსხვავებას, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობასა და მის საგანს შორის დამოუიდებულებას არსებითად მიჯნავს სამართალსა და სამართლის გარეშე მოვლენათა ურთიერთობის სხვა სახეებისაგან. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელია ის, რომ ურთიერთობის წევრები განსაზღვრული ურთიერთმოქმედების შემთხვევაში ერთმანეთს შორის თავიანთ შინაარსში მხოლოდ ფუნდამენტური, ასე უთქვამთ, ონტოლოგიური ფორმების სფეროში განვიდიან ცვალებადობას. საქმარისია იმის მითითება, რომ რეალური სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედება სამართალზე ან უკანასკნელს რეალურად ვერ აქცევს; მისი ონტოლოგიური ბუნება რჩება არსებულად და ის მხოლოდ თავისი არსებობის ძირითადი ფორმების სფეროში განიცდის ცვალებადობას. იგივე უნდა ითქვას სამართლებრივი ფორმების უკუშემოქმედებაზე “ეკონომიკური ბაზისის” მიმართ, ცალკეულ წევრთა შორის ურთიერთობა აქ არა მხოლოდ იმ აზრითაა გარეგნული, თითქოს ურთიერთობის ელემენტები ორ განსხვავებულ რიგს მიეკუთვნებიან, არამედ აგრეთვე იმითაც, რომ ცვალებადობა, რომელსაც ეს ელემენტები მათი ურთიერთმოქმედების გამო ემორჩილებიან, ყოველი რიგის შიგნით ცალკე: სახელდობრ, იმ კანონზომიერების სფეროში თვითონ იმოქმედოს /vorsichgehen/ , რომელიც ყოველი რიგის საგნობრივ /gegenständlichbegrenzte/ ერთიანობას ქმნის; ამიტომაც აქ არ არსებობს ურთიერთგამსჭვალავი ელემენტები, რომლებიც ერთმანეთზე ზემოქმედების მომხდენ რიგებს მიეკუთვნებიან, არ არსებობს მათ შორის უშუალო კონტაქტი; არა მხოლოდ რიგები თვითონ, არამედ აგრეთვე მათი ცალკეული ელემენტები დგანან სრულიად იზოლირებულად ერთმანეთისაგან აქ და ექვემდებარებიან მხოლოდ მასში ცვალებადობას, როგორც ცვალებადობა მთელისა ზემოქმედებას ახდენს მის ნაწილებზე.

ზემოთ ჩვენ მიუთითეთ იმაზე, რომ სამართლებრივი ურთიერთობის საგანი სამართლებრივი მოწესრიგების შინაგან მექანიზმშია ჩართული; ეს თავიდანვე უდავოდ შეიძლება იქნეს

განხილული, რომ მისი მდგომარეობა ამის გამო არსებითად სხვა არის. ის აქ კვლინდება არადამოუკიდებელ წევრად და სამართლებრივი ურთიერთობის, როგორც მთელის, შინაგანი კანონზომიერების ზეგავლენით უნდა განიცადოს თავისი საწყისი "ნატურალური" შინაარსის გარკვეული ცვალებადობა. როგორც მთელში ჩართული ელემენტი, იგი იძენს ისეთ თვისებებს, რომელთა მატარებლადაც ის სამართლებრივი ურთიერთობის გარეშე ეერ იქნება. ეს ფაქტი, რომლის ცალკეულ მაგალითებს ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ, ადვილი ასახსნელია, თუკი ყურადღებას მივაქცევთ, რომ სამართალი სამართლებრივი ურთიერთობის საგანს მუდამ იყენებს მხოლოდ როგორც ერთ-ერთ ელემენტს საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგების პროცესში; ამიტომაც ამ საგნებს მიემართათ არა შემეცნების ინტერესის თვალსაზრისით სადაც მთავარი მიზანია ობიექტის შინაგანი თვისებების ახსნა, არამედ, ერთი მხრივ, მათი სოციალ-ეკონომიკური ფუნქციების თვალსაზრისით და, მეორე მხრივ, იურიდიული დანტერესების თვალსაზრისით ამ საგნების როგორც სამართალურთიერთობის ელემენტებისადმი /commerce juridique/. აქედან ადვილი გასაგებია, რომ ამ თვისებების ერთობლიობიდან, რომლებიც ახასიათებს საგნის პირვანდელ "ბუნებრივ" შინაარსს, მხოლოდ ისეთ თვისებებს აქვს სამართლისათვის მნიშვნელობა, რომლებსაც არსებული ობიექტური მართლწესრიგი /მოცემული სოციალ-ეკონომიკური საზოგადოებრივი სტრუქტურისაგან დამოკიდებულებამში/ იურიდიულად ღირებულ ხასიათს ანიჭებს, მაგრამ ამ საგნის სხვა თვისებები უყურადღებოდ რჩება. ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც მათ შეუძლიათ შეასრულონ აგრეთვე საგნის თეორიული ახსნის დროს, სამართლისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგებისათვის სრულიად ინდფერენტულია. იურიდიული ღირებულების მომენტს ამით საგნის ჩართვისათვის სამართლებრივი მოწესრიგების შინაგან მექანიზმში გადამჭრელი მნიშვნელობა აქვთ; ამიტომ აუცილებელია, რამდენიმე სიტყვით მაინც აეხსნათ მისი არსი.

ნიეთი იძენს იურიდიულ ღირებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი მოქმედი მართლწესრიგის თვალსაზრისით სამართლებრივი ურთიერთობების შესაძლებელი საგანი შეიძლება გახდეს. ეს ღებულება შეიძლება განვიხილოთ როგორც რაღაც თავისთავად გასაგები: საგანს, რომელიც თავისი ობიექტური ნიშნების წყალობით /როგორცაა, მაგალითად, ვარსკვლავები, მზე და ა.შ./ ან პოზიტიური სამართალი, დეფინიციის გამო უუნაროა სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად მოგვევლინოს, რასაკვირველია, არ შეუძლია იყოს იურიდიულად ღირებული საგანი /juristisch wertvoller Gegenstand/. საგნის ღირებულება სამართლის თვალსაზრისით ამით წარმოებულ სიდიდეს (abgeleitete Grösse) წარმოადგენს. ის /ე.ი. საგნის ღირებულება, მთარგ./ ემთხვევა არა თვითონ საგნის შინაგან თვისებას, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების ხასიათის, ისევე როგორც არსებული სამართლებრივი სისტემის კონკრეტული სტრუქტურის /Aufbau/ განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპების მეოხებით მას გარედან ექნება შეძენილი /Wird... Von aussen herbeigelegt/. ზემოთ ჩვენ მიუუთითეთ იმაზე, რომ მართლწესრიგი მისი განსაზღვრის თვალსაზრისით, მისი მიზნის მიხედვით განხილული არის იმ საშუალებათა სისტემად, რომელთა დანიშნულებაა საზოგადოებრივი ხასიათის განსაზღვრული მიზნების განხორციელება. საზოგადოებრივი ხასიათი ამ მიზნებისა გამომდინარეობს თავისთავად სამართლის არა როგორც სოციალური ორგანიზაციის ყოველი წევრის ინდივიდური ცხოვრების მოწესრიგების, არამედ, როგორც საზოგადოების

წევრთა შორის ურთიერთობების იურიდიული ფორმების მოწესრიგების გაგებიდან. თუკი ჩვენ საგანს ამ მოწესრიგების პროცესის შინაგან წევრად განვიხილავთ, მაშინ მისი იურიდიული ღირებულების საკითხის გამო აუცილებლობით უნდა მივიღოთ შემდეგ დასკვნამდე: პირველი ის, რომ ბუნებრივმა იმანენტურმა თვისებებმა საგნის ამ მხოლოდ მასაში შეიძლება შეიძინოს მნიშვნელობა სამართლისათვის, ანდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იურიდიულად ღირებული ხასიათი მიიღოს, რამდენადაც ეს თვისებები უნარიანი აღმოჩნდება, მოქმედი მართლწესრიგის კონკრეტული ხასიათის შესაბამისად საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების ელემენტად გამოდგეს; თავისთავად გასაგებია ის, რომ ამ ნიშნების იურიდიული ღირებულება ასეთ შემთხვევაში მათი ობიექტური შინაარსით კი არ განისაზღვრება, არამედ მოქმედი სამართლებრივი სისტემის იურიდიული თავისებურებების მეოხებით; აქედან აუცილებლობით გამომდინარეობს ის, რომ იურიდიული ღირებულება სამართლებრივი ურთიერთობის საგნისა არათუ არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ თვითონ საგნის ობიექტური შინაარსის მეოხებით, არამედ ისიც, რომ საზოგადოებრივი ხასიათი მიზნებისა, რომლებისთვისაც სამართლებრივი ურთიერთობის ერთობლიობა საზოგადოდ საშუალებების სისტემას ქმნის, შეუძლებელს ხდის ეს ღირებულება ცალკეული პიროვნებების სუბიექტურ და ინდივიდურ დამოკიდებულებათა ბუნებაში საგნების სახით წარმოვიდგინოთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ღირებულება იმ ინდივიდუალურ სარგებლობის /Nutzens/ მომენტში დაეინახოს, რომელიც მას ცალკეული პიროვნებისათვის მოაქვს. ინდივიდუალური სარგებლობის მომენტი სამართლებრივი ურთიერთობის საგნის იურიდიული ღირებულების დასაბუთებისათვის არა მარტივ იმ შემთხვევაში აღმოჩნდება ღირებულების არმქონედ /vertlos/, როცა სამართლებრივი ურთიერთობისაგან ფაქტიურად არაავითარი სარგებლობა არ მოაქვს, არამედ აგრეთვე მაშინაც, როცა ფაქტიური სარგებლობა საგნისა ერთ-ერთი მხარისათვის რეალურად არსებობს, ხოლო სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული ბუნებისათვის სრულიად უმნიშვნელო /irrelevantes/ ელემენტია; აქედან საკმაოდ ნათელია, რომ განსხვავება საგნის ინდივიდუალურ სარგებლობის ხარისხებში იურიდიული ურთიერთობის ელემენტების ბუნებასა და ურთიერთმდგომარეობაზე არაავითარ გავლენას არ ახდენს. საგნის ინდივიდუალური სარგებლობის მომენტი ახასიათებს თავის სხვადასხვა სახით არა იურიდიულ ურთიერთობას, არამედ ინდივიდის ურთიერთობას თვითონ ნივთისადმი, ურთიერთობას, რომელიც, ზოგიერთი სამართლისმცოდნის მტკიცებათა მიუხედავად, სამართლისათვის სრულიად უმნიშვნელოა /irrelevant ist/. თუკი საგნის იურიდიული ღირებულება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აუცილებელი სახით თავის მოცემულობას, როგორც შინაგანი ელემენტი, საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების სისტემაში აელენს, მაშინ აშკარაა ის, რომ საგნის ინდივიდუალური სარგებლობის მომენტი, რომელიც საზოგადოების ყოველი წევრის იზოლირებულ ურთიერთობას გულისხმობს განსაზღვრული სიკეთისაგან, იურიდიული ღირებულების ცნების ახსნის დროს არ შეიძლება გამოდგეს ამოსავალ წერტილად; იქ საქმე ეხება საგანს, როგორც პიროვნებათა შორის არსებული იურიდიული ურთიერთობის ელემენტს. მაგრამ აქ მხედველობაშია საგანი, როგორც ინდივიდუალური საჭიროების ობიექტი; ამრიგად, ელემენტი, რომელიც არა ამ პიროვნებათა საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში, არამედ მათ /შინაგანი/ ინდივიდურ, იზოლირებულ ყოფიერებაში დევს. აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების

პროცესში საგანი განიხილება არა ცალკეული პიროვნების ინდივიდური დაინტერესების თვალსაზრისით მისდამი, არამედ, ასე ვთქვათ, მისი საზოგადოებრივი ფუნქციების და მისი მნიშვნელობის შესაბამისად ცალკეულ პიროვნებათა შორის არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

ასეთი დასკვნების დროს შეიძლება თავისთავად გასაგები იქნეს, რომ საგნის იურიდიული ღირებულება შინაარსობრივად სრულიად იდენტური გახდეს თავისი ეკონომიკური /wirtschaftliches/ ღირებულებისა; ამ უკანასკნელში ინდივიდური დაინტერესება ცალკეული პიროვნებებისა როდი თამაშობს განსაზღვრელ როლს, არამედ ეკონომიკურ ბრუნვაში არსებული საზოგადოებრივი ფაქტორები განსაზღვრავენ საბოლოო ანგარიშით საგნის ღირებულებას ეკონომიკური თვალსაზრისით. და მიუხედავად ამისა, ასეთ მტკიცებაში ჩვენ მოჩვენებითი თავისთავადი გასაგებობა უნდა დაეინახოს; არის მოსაზრებები, რომლებიც ასეთი იდენტუფიციების შესაძლებლობის წინააღმდეგ ლაპარაკობს. შეიძლება მოვიყვანოთ შემთხვევები, როცა იურიდიული ღირებულება საგნისა შესაბამის ეკონომიკურ ღირებულებას არ დაემთხვეს; ნიმუშად შეიძლება დაგვესახელებინა არა მხოლოდ საგნები, უსაფუძვლოდ დაწუნებული ევრეთ წოდებული უფლებები, რომლებიც პიროვნებას კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ემსახურებიან, არამედ აგრეთვე უდავო სფერო საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობებისა, რომლებშიც საგანი უმეტესად არ მიეკუთვნება ეკონომიკურ მოვლენათა კატეგორიას. მეორე მხრით, ეხედვით ჩვენ აგრეთვე საპირისპირო მოვლენასაც, რომელიც იმით გამოიხატება, რომ ბევრი საგანი და ურთიერთობა, რომლებსაც უეჭველად აქვთ ეკონომიკური ღირებულება, სამართლის თვალსაზრისით იმდენად ინდიფერენტულად გვევლინებიან, რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ არ მიეკუთვნებიან იმ მოვლენათა კატეგორიას, სამართლებრივ მოწესრიგებას რომ საჭიროებენ. სანიმუშოდ შეიძლება გამოვძგეს ის ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებსაც სამართალი არ აღიარებს, თუმცა ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეალურად ხორციელდებიან. მაგრამ მაინც, თუ იმ მაგალითებს მხედველობაში არ მივიღებთ, რომლებიც მათი დიდი რაოდენობის გამო არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განვიხილოთ როგორც უბრალო გამოწყლისები საერთო წესიდან, და მხოლოდ იმ შემთხვევებს მივიღებთ მხედველობაში, სადაც იურიდიული ურთიერთობის საგანი ეკონომიკური ბრუნვის საგანს ემთხვევა, მაშინ იურიდიული შერობა /Betonung/ არ ღვსა საგნის ეკონომიკურ ღირებულებაზე, არამედ ის ნიადაგ ემყარება მისდამი იურიდიული ურთიერთობის ფორმას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ ფორმას, რომელიც ამ ელემენტების მდგომარეობისათვის არის დამახასიათებელი იურიდიულ ურთიერთობებში.

ამ მითითებებიდან არ შეიძლება ძნელი იყოს იმ დასკვნის გაკეთება, რომ საგნის იურიდიული ღირებულება წმინდა იურიდიული კატეგორიაა, რომლის დასაბუთება საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების ძირითად პრინციპებს ეყრდნობა. ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს იმ ზრს, რომ იურიდიული ურთიერთობის სტრუქტურა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ურთიერთობის საგნის ნიშნების მეოხებით შეიძლება განისაზღვროს. მაგრამ ეს ნიშნები უმეტეს შემთხვევაში ობიექტური მართლწესრიგის მეოხებით აქვს მიმატებული /beigefügt/, რომლებიც ნივთს ისეთ თვისებებს ანიჭებს, რაც მას ბუნებრივად არ გააჩნია. თავისთავად გასაგებია ის, რომ ეს მიმატება არ არის სუბიექტური ან თვითნებური ისევე, როგორც არაფერია სუბიექტური იმაში,

როცა საგანს ეკონომიკურ ბრუნვაში ისეთი ნიშნები /ფასის, გაცვლის უნარი და ა.შ./ ემატება, რომლებიც მას ეკონომიკურ ბრუნვასთან მისი ურთიერთობის გარეშე არ გააჩნია. ისევე, როგორც, მაგალითად, ეკონომიკური ღირებულება გარკვეული ეკონომიკური ურთიერთობების ასახვას წარმოადგენს, საგნის ღირებულება იურიდიული აზრით ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტული სამართლებრივი ფორმების ასახვად გვევლინება. ამის მეოხებით აიხსნება ის, რომ საგანს ობიექტური მართლწესრიგის მხრივ გარკვეული თვისებები შეიძლება მიეწეროს /zugeschrieben/; სამართლებრივი მოწესრიგების პროცესში საგანი განიხილება არა თავისი იმანენტური შინაარსის თვალსაზრისით, ამრიგად, მართლწესრიგის მიერ დადგენილი სამართლებრივი ფორმებისაგან მოწვევტილად, არამედ მისდამი იურიდიული დანიტერესების /თანაც ეს გამოხატულება, ბუნებრივია, არ უნდა გავიგოთ როგორც ცალკეული პერსონის ინდივიდური იურიდიული ინტერესი/, მისი იურიდიული ფუნქციების თვალსაზრისით. მაგრამ საგნის იურიდიული ფუნქცია გამოიხატება უნარში, გამოვიდეს სამართლებრივი მოწესრიგების სისტემის ერთ-ერთ ელემენტად, ერთ-ერთ წევრად იმ იურიდიული რიგისა, რომელიც ობიექტურ მართლწესრიგში სპეციფიკურ კანონზომიერებას ექვემდებარება. ეს კანონზომიერება სპეციფიკურად უნდა იწოდოს იმ აზრით, რამდენადაც ის იურიდიული მოვლენების თავისებური ბუნების გამოხატულება არის. სამართლებრივი მოწესრიგების სისტემას ზემოთ ჩვენ საშუალებების სისტემა ვუწოდეთ, რომლის დანიშნულებაა საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრული მიზნების განხორციელება. სამართლის ფორმის ამ ღეფინიციაში მისი მიზნის თვალსაზრისით უკვე ის იდეა იგულისხმება, რომ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი მოწესრიგების პროცესში საგნისადმი არავითარ თვორიულ დამოკიდებულებას არ ვხედავთ, საიდანაც მასში არსებული კანონზომიერება არ შეიძლება იქნეს დახასიათებული, როგორც თვორიული კანონზომიერება, რომლის ძირითადი ფორმა კაუზალური ურთიერთობის ფორმა ან ლოგიკური ფორმა საფუძვლისა და შედეგისა იქნება; მეორეც, ის, რომ იმ ღეფინიციაში ნათლად გამოიხატება განსხვავება სოციალურ და სამართლებრივ კანონზომიერებათა შორის. მათ შორის არსებული განსხვავება შეიძლება დახასიათებული იქნეს როგორც განსხვავება მიზნისა და საშუალების კანონზომიერებათა შორის, შესაძლებელი სოციალური ურთიერთობანი, რომელთა რეალური განხორციელება მოქმედი ობიექტური მართლწესრიგის თვალსაზრისით სასურველი ჩანს, ამ უკანასკნელთან შედარებით ქმნიან მიზანს, რომელიც უნდა განხორციელდეს. აქედან გამომდინარეობს, რომ როგორც ურთიერთობების ელემენტების ბუნება, ასევე ამის შესაბამისად მოვლენათა ამ ურთიერთმომიჯნავე რიგებში, ესე იგი, ერთი მხრით, რეალურ სოციალურ ურთიერთობებში, მაგრამ, მეორე მხრით, სამართლის ფორმებში, როგორც საშუალებათა განსაზღვრულ სისტემაში არსებული კანონზომიერება არსებითად განსხვავებული იქნება. ამ დებულების საუკეთესო დამამტყიცებელ საბუთად შეიძლება გამოდგეს ის ფაქტი, რომელიც სამართლის ფორმების ისტორიულ განვითარებას გამოხატავს, რომ, სახელდობრ, აქ მოხსენიებული აზრით ერთნაირი მიზნები ისტორიულად განსხვავებული სამართლებრივი ფორმების მეშვეობით ხორციელდებიან, მაგრამ, მეორე მხრით, გარკვეული სამართლებრივი ფორმები ხშირად არ ასრულებენ ერთნაირ სოციალურ ფუნქციებს. პირველი კატეგორიის შემთხვევათა ნიმუშად შეიძლება გამოდგეს წარმომადგენლობის ინსტიტუტი ეკრძოსამართლებრივ ურთიერთობებში, რომელიც, როგორც ცნობილია, სრულიად არ

არსებობს ძველ რომაულ სამართალში<sup>21</sup>, მაგრამ ერთსადაიმავე დროს რეალური ინტერესები საზოგადოებრივ ურთიერთობებში, რომლისთვისაც თანამედროვე სამართალში წარმომადგენლობა არსებობს, სხვა იურიდიული ფორმების საშუალებით ხორციელდებოდნენ. მითითებას ამ სახის სხვა მაგალითზე ვნახულობთ ჩვენ Pomice-თან;<sup>22</sup> რეალურ კონტრაქტს რომ განიხილავს ძველ რომაულ სამართალში, იგი ამბობს: "იდეა, რომ რაღაც, რაც სხვის ხელში იმყოფება, უნდა დაბრუნებულ იქნეს, როცა სარგებლობის დრო და ა.შ. ვასული არის, ისე მიღებულია, რომ ძნელი წარმოსადგენია, თუ იგივეს ვილაცასთან ერთ დროს არაეითარი სამართლებრივი გამოხატულება არ უნდა ეპოვა. თუმცა შეიძლება სხვა მოდუსის მოფიქრებაც, ფაქტიურად იგივე მიზნის მიღწევისათვის: შეიძლება კონსტრუირება კერძო დელიქტური მდგომარეობისა ნდობის გამოყენების გამო... ეს იქნებოდა ამის მიხედვით, სახელდობრ, შედეგი ამ სარჩელით, რომლითაც მიიღწევა ხელშეკრულების გასაჩივრება"<sup>23</sup>. საბოლოოდ მრავალრიცხოვანი მაგალითებიდან, რომლებიც შეიძლებოდა მოგვეტანა ზემოთ განხილული დებულების დასადასტურებლად, გვინდოდა ჩვენ მიგვეთითებინა იმ გამონათქვამებზე, იერიანგის წიგნში "Der Geist des römischen Rechtes" რომ ეპოულობთ /იხ. III ტ./; 157-ე გვერდზე (III, 1/ ნათქვამია: "ახალი რომაული სამართალი იცნობს გარკვეულ ურთიერთობებს, რომელთა დროს ორი ძირითადი მომენტი სამართლისა, რომელიც ჩვეულებრივ რომ ფართოდ გამოიშინარებენ ერთმანეთისაგან, სანიეთო და ვალდებულებითი სამართალი, სისტემატური ერთიანობით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, სახელდობრ, pignus-ი, superficies-ი და emphytheusis-ი, ორივე მხარე ამ ურთიერთობებისა: სანიეთო /das jus in re/ და ვალდებულებითი /der Contract/ ერთი და იმავე აქტის მეოხებით რომ იყო გამოწვეული, ცხოვრებაში იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს. ასეა ახალ სამართალშიც. მაგრამ სრულიად სხვაგვარად იყო ძველ სამართალში. ურთიერთობა, რომლის დროსაც ძველ სამართალში, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთს უპირისპირდება სანიეთო და ვალდებულებითი ელემენტები, იყო უზუფრუქტი /Usufructus/. საშუალება, რომლითაც ეს კომბინაცია ტექნიურად ხორციელდება, ახალ სამართალში სრულიად უარყოფილია; ნაცვლად იმისა, ორივე უკანასკნელი ელემენტი ერთიან აქტად იყოს შერწყმული, რამდენადაც ისინი ცნებაში ერთმანეთისაგან შინაგანად დაცილებული იყვნენ. გარიგებაშიც ეს ელემენტები გარეგნულად ცალ-ცალკე არიან წარმოდგენილი, ესე იგი თითოეული მათგანისათვის საჭიროა განსაკუთრებული აქტი, jus in re-სათვის in jure cessio, ხოლო ვალდებულებითი ურთიერთობისათვის შეიანხმება /cautio usufructuarial/. აქ მოტანილ მაგალითებში ნათლად არის გამოხატული ის ფაქტი, რომ ერთნაირი მიზნები სამოქალაქო ბრუნვაში, სამართლის ფორმების ისტორიულ განვითარებას თუ თვალს გაავადენებთ, იურიდიული საშუალებების მრავალგზის განსხვავებულად კონსტრუირებული სისტემის მეოხებით ხორციელდებოდა. ამის საპირისპიროდ შეიძლება აგრეთვე საწინააღმდეგო მოვლენაზეც მივეუთითოთ, სადაც განსაზღვრული იურიდიული ფორმა სხვადასხვა სოციალური მიზნებისათვის არის გამოყენებული. აქ მოხსენიებულ დაშორებას სამართლის ფორმასა და მის სოციალურ ფუნქციას შორის გარდაუვალად მივეყვართ იმ ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპამდე,

<sup>21</sup> ნახეთ აგრეთვე Regelsberger, I, S. 46.

<sup>22</sup> ნახეთ Pomice, Labeo, I, S. 488-489; Ihering, Geist, III, I, S. 175; Demburg, Pandekten, I, S. 869 ff; Windscheid, I, S. 186-187.

<sup>23</sup> Pomice, I, S. 423-424.

რომ სოციალური შედეგი ყოველი სამართლებრივი ნორმისა მისი იურიდიული არსისა და ამიტომაც აგრეთვე სამართლებრივი სისტემატიკის ამოცანების გარეთ დევს ისევე, როგორც თამბაქოს გამოყენება ბოტანიკის გარეთა<sup>24</sup>.

ეს მაგალითები, რომელთა რიცხვი სურვილისამებრ შეიძლება გავამრავლოთ, იმ დებულების საუკეთესო დამამტიციებელი საბუთია, რომ ძირითადი ელემენტები, რეალურ ცხოვრებისეულ ურთიერთობებში რომ გვხვდება, როგორც აგრეთვე მათი ურთიერთკავშირის განმსაზღვრელი კანონზომიერება იმ ელემენტებთან და კანონზომიერებასთან შედარებით, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში ბატონობენ, სრულიად განსხვავებული ხასიათისაა. ეს თავისებური კანონზომიერება, რომელსაც ჩვენ სამართლის ფორმების არსებობასა და განვითარებაში აღმოვაჩინეთ, გასაგებს ხდის იმ ფაქტს, რომ საგნის “ბუნებრივი” შინაარსი, რომელიც მის მიმართ შემეცნების თეორიული მიდგომის დროს გადაჭრელი მნიშვნელობისაა, საგნის ჩართვისას სამართლის ფორმების თავისებურ კანონზომიერებაში ინდიფერენტულ სიდიდეს წარმოადგენს. ბუნებრივია, საგანი, როგორც ასეთი, არ ექვემდებარება ამ კანონზომიერებას; მაგრამ საგანი შესაძლებელი სამართლებრივი ფორმების მიმართ, სახელდობრ, ამ ურთიერთობის მხრივ, ბუნებრივი კანონზომიერებით კი აღარ განისაზღვრება, არამედ სამართლებრივი ფორმების სპეციფიური კანონზომიერებით. თვითონ საგანი რჩება მოცემულ შემთხვევაში გარეყვეული ზომით “ბუნებრივი” საყრდენი წერტილი, მაგრამ ჩართული */beizufügen/* ნიშნები ახასიათებენ მის დამოკიდებულებას საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების იურიდიული ფორმებისადმი. მრავალრიცხოვანი მაგალითების მოტანა შეიძლება იმის დასამტიციებლად, რომ საგანს ემატება განსაზღვრული ნიშნები, რომლებიც მას “ბუნებისაგან”, ესე იგი არსებული მართლწესრიგისადმი დამოკიდებულების გარეშე არ გააჩნია და რომლებიც საგანს ამ მართლწესრიგისადმი დამოკიდებულებაში გვიჩვენებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი გამოხატავენ ამ საგნის, როგორც სამართლებრივი რეგულირების ელემენტის მდგომარეობას. ასეთებს მიეკუთვნება არა მხოლოდ საგნის და ნიშნები, რომლებშიც კვალი თავდაპირველად ბუნებრივი შინაარსისა მთლად წაშლილია */ausgebeizigt sind/* და ამიტომაც წმინდა იურიდიულ კეგმად */konzept/* არის გადაქცეული, როგორცაა, მაგალითად, *immanbles par leur destination*<sup>25</sup> ფრანგული Code civile (Art.517), *res futurae, res nullius* და ა.შ., არამედ აგრეთვე ისეთი ნიშნებიც, რომლებიც ერთი შეხედვით არ შეიძლება მივიჩნიოთ საგნისათვის რაიმეს მიმატებად, არამედ აქ იგულისხმება იმანენტური თვისებები, როგორცაა, მაგალითად, დანაწილება ნივთისა *res corporales*-ად და *incorporales*-ად, მოძრავად და უძრავად, გაყოფად და გაუყოფად და ა.შ. დაწერილებითი განხილვისას აღვიღად შეიძლება დაეადგინოთ, რომ აგრეთვე ამ ნიშნებს იურიდიული აზროვნების წესისათვის არა აქვთ მნიშვნელობა ნივთის ბუნებრივი თვისებების აღსანიშნავად და იურიდიული აზრი ამ ნიშნებისა არავითარ შემთხვევაში არ ემთხვევა მათ შინაარსს შემეცნების თეორიული თვალსაზრისით; ამისათვის საკმარისია იმაზე მითითება, რომ, მაგალითად, დანაწილება ნივთისა *res coprolare*-დ და *incorporale*-დ რომაულ სამართალში მხოლოდ საკუთრების უფლების გამიჯვნას ემსახურება სხვა უფლებებისაგან<sup>25</sup>. კიდევ უფრო ნათლად ვლინდება ეს იმ იურიდიული აზრის ახსნის დროს, რომლის

<sup>24</sup> Karrer, S. 9.

<sup>25</sup> S. Hölder, Pandekten, S. 134-135; Planiol, Treite.

მიხედვით ნიუთის დაყოფა ხდება მოძრავად ან უძრავად ან გაყოფად და გაუყოფად. პირველი ანტითეზის თელსაზრისით ძნელია რაიმე ეჭვი აღიძრას, რომ საგნის ბუნებრივი თვისებები მასში არაერთარ როლს არ ასრულებს; არსებითა აქ ისეთი წმინდა იურიდიული ნიშნები, როგორცაა განსხვავება ხანდაზმულობის ვადებს შორის, სხვადასხვაობა დაცვის ფორმების შესაბამისი უფლებებისა, გასხვისების წესი, უფლებამოსილება /Zuständigkeit/ და ა.შ.<sup>26</sup>. იგივე უნდა ითქვას გაყოფადობის და გაუყოფადობის იურიდიული ცნების თელსაზრისით, რომელსაც თავისებური, წმინდა იურიდიული მნიშვნელობა აქვს<sup>27</sup> სამართლებრივი ურთიერთობის საგნისათვის განსაზღვრული ნიშნების ჩართვის /beifügung/ გარდა, ვნახულობთ ჩვენ იურიდიული ურთიერთობის ობიექტის მიმართ აგრეთვე შემდგომ პროცესს, რომელიც ცალკეული საგნის თვისებური შეერთებით განსაზღვრულ ერთიანობას აამოქმედებს /geltend machen/, როგორცაა, მაგალითად, ქონება იურიდიული აზრით, peculium და ა.შ. ასევე ისეთი ერთიანობის წარმოქმნისას ცალკეულ ელემენტებს შორის ბუნებრივი კავშირი კი არ არის განსაზღვრული, რომელიც განპირობებულია ან კაუზალური ურთიერთობის ანდა საფუძვლისა და შედეგის ურთიერთობის მეოხებით, არამედ ის კავშირი, რომელიც სამართლის მიერ იქნება დამყარებული.

ყველა ზემოთ მოტანილ მაგალითში საგნის ბუნებრივი შინაარსი ქმნის ისეთ საყრდენ წერტილს, ისეთ საყრდენ მდგომარეობას, რომელზედაც ის სხვადასხვა ნიშანი აღმოცენდება, რომლებიც განსაზღვრავენ საგნის მდგომარეობას არსებულ სამართლებრივ ბრუნვაში /Rechtsverkehr/ და მისი ფუნქციები განისაზღვრება სამართლებრივი ურთიერთობების მოქმედი სისტემის შინაგან ელემენტებად, და მხოლოდ ასეთ დეფორმირებულ, შეცვლილ მდგომარეობაში გამოდის საგანი სამართლებრივი ფორმის თავისებურ კანონზომიერებაში.

საგნის დეფინიცია, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ახალი ელემენტი, მიუთითებს იმ არსებით განსხვავებაზე, რომელიც არსებობს სამართლებრივი ურთიერთობის საგანსა და იურიდიულად რელევანტურ ფაქტს შორის. ეს განსხვავება სხვადასხვა მდგომარეობით გამოიხატება, რომლებიც ორივე შედის სამართლებრივი მოწესრიგების სისტემაში. იურიდიული ურთიერთობის საგანი არსებითად იმის მეოხებით ხასიათდება, რომ ის სამართლებრივი ურთიერთობის ერთი შინაგანი ელემენტი; თუკი უფლება-მოვალეობა იურიდიული ურთიერთობის გარეგანი პუნქტებია, მაშინ თვითონ საგანი ქმნის მათი შეხების წერტილებს. ბუნებრივია, უფლება-მოვალეობათა შეერთება სამართლებრივ ურთიერთობასთან პირველად არ ხდება ამ პუნქტის მეოხებით; ზემოთ ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ ის აზრი, რომ სამართლებრივი ურთიერთობის ცნება, უფლება-მოვალეობათა ურთიერთობის აზრით, ერთ ლოგიკურ კავშირს წარმოადგენს /prius ist/, რომელშიც უფლება და მოვალეობა თავიდანვე მოცემულია, როგორც ურთიერთყოველიური ელემენტები. მთელ ამ მსჯელობას მხედველობაში აქვს სამართლებრივი ურთიერთობის ცნება, როგორც აბსტრაქტულად დასაშვები ელემენტი მართლწესრიგისა, როგორც აბსტრაქტული სქემა საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგებისა; ამ სქემის გადასვლა იურიდიულად შესაძლებელი

<sup>26</sup> Planiol, ib. p. 691-692.

<sup>27</sup> Gambaroff (ლამბაროვი), op. cit. S. 607 ff.



აღსრულებითობის მდგომარეობაში მოხდეს მხოლოდ უფლებისა და მოვალეობის წმინდა სამართლებრივი კატეგორიისათვის ახალი ელემენტის, ესე იგი სამართლებრივი ურთიერთობის საგნის ჩართვის მეხებით /durch Beitung/. ცხოვრებისაგან სრულიად აბსტრაქტირებული ელემენტები უფლებისა და მოვალეობის მიიღებენ ამით ამ ახალ ელემენტში საყრდენ წერტილს, საყოველთაოდ ხელსაყრელ ადგილს, რომელშიც ისინი კვლავ გაერთიანდებიან, მაგრამ არა როგორც აბსტრაქტული ერთიანობა, რომელიც თავის საფუძველს ლოგიკური კორელაციურობის ცნებაში პოულობს, არამედ, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მოქმედი ელემენტების ერთიანობა. არსებითად სხვაგვარ ფუნქციას ასრულებენ ის ფაქტები, რომლებსაც იურიდიულად რელევანტური ხასიათი აქვთ.

ეს უკანასკნელნი არასოდეს არ არიან იურიდიული ურთიერთობის შინაგანი ელემენტები, არამედ ღვანან ამ ურთიერთობის დასურული წრის მიღმა და არ არიან ისეთები, რომელზეც მიმართულია უფლებები და მოვალეობები, არამედ რომლებითაც სამართალი თავის “წარმოშობას” და არსებობას შეაკავშირებს. თუმცა ეს ფაქტები იურიდიული ურთიერთობის მიღმა იმყოფება, ამის გამო ისინი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისათვის როდია ნაკლებად აუცილებელი; საგნის თანაბრად ქმნიან ისინი აგრეთვე ძირითად პირობას სამართლებრივი ურთიერთობის გადასვლისათვის აბსტრაქტული სქემის მდგომარეობიდან იურიდიულად შესაძლებელი აღსრულებითობის მდგომარეობაში. მაგრამ იმ სხვადასხვა მდგომარეობის შესაბამისად, რომლებსაც თითოეული მათგანი, ესე იგი სამართლებრივი ურთიერთობის საგანი და იურიდიულად რელევანტური ფაქტი, სამართლებრივი მოწესრიგების სისტემაში დაიყავებენ; განსხვავებულია აგრეთვე ის როლიც, რომელსაც თითოეული მათგანი ამ სისტემაში ასრულებს. ამ განსხვავების ერთ მხარეზე ახლახან უკვე იქნა მიითებული; მაგრამ არსებობს აქ აგრეთვე განსხვავება სხვა ურთიერთობაში, რომელიც აქ უნდა განვიხილოთ.

იურიდიული ურთიერთობის საგანი, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, არის სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიულად შესაძლებელი აღსრულებითობის მდგომარეობაში გადასვლისათვის აუცილებელი მომენტი. მაგრამ ამ ელემენტების შემოტანისათვის ჯერ კიდევ არ არის ყველა ის პირობა შესრულებული, რომლებიც მართლწესრიგის, ასე ვთქვათ, აქტიურ მდგომარეობაში, “მოძრაობაში” მოსაყვანად არის აუცილებელი. ამ ელემენტების არსებობით, რასაკვირველია, სამართლებრივი ურთიერთობის ყველა შემადგენელი ნაწილია მოცემული; მაგრამ ამის მიხედვით ინარჩუნებს მართლწესრიგი აგრეთვე მყარ ხასიათს. საგნობრივი შინაარსი იურიდიული ურთიერთობებისა ანიჭებს ამ უკანასკნელს, რასაკვირველია, გარკვეულ კონკრეტულობას იმით, რომ იგი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ადგენს საყრდენ წერტილს, ხელსაყრელ ადგილს. მაგრამ გადასვლა ერთი შემთხვევიდან მეორეზე, რომელშიც მართლწესრიგის ნიადაგ უწყვეტი სიცოცხლის მოძრაობა გამოიხატება, მუდმივი ცვალებადობა კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობებისა შეიძლება არ განხორციელდეს იურიდიული ურთიერთობის საგნების საშუალებით. საესებით გასაგებია, რომ ერთი სამართლებრივი ურთიერთობის მეორის მემულობით შეცვლა ყოველთვის გამოიხატება სწორედ იმ საყრდენ ადგილის შეცვლით, რომელსაც ქმნის იურიდიული ურთიერთობის საგნობრივი შინაარსი; აქედან ადვილად

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ასეთი ცვალებადობა, ასეთი გადასვლა ერთი საგნიდან მეორეზე არ შეიძლება განხორციელდეს თვითონ სამართლებრივი ურთიერთობის საგნისაგან და რომ სწორედ ამ მიზნისათვის აუცილებელია ის ფაქტორი, რომელიც თვითონ სამართლებრივ ურთიერთობაში კი არა, მის მიღმა დევს.

ამ როლს მართლწესრიგის ცხოვრებაში ასრულებენ იურიდიულად რელევანტური ფაქტები. ზემოთ ნათქვამის მეოხებით ჩვენ აღნიშნული გვაქვს ის ძირითადი მომენტები, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობის საგნის ფუნქციებს და მართლწესრიგის ცხოვრებაში იურიდიულად რელევანტურ ფაქტებს ერთმანეთისაგან წყვეტს. თავისთავად გასაგებია, რომ ეს მომენტები მხოლოდ არაპირდაპირ და შორიდან ახასიათებენ ამ ფაქტების შინაგან ბუნებას და უკვე ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სრულიად არასაკმარისია მტკად თუ ნაკლებად სრული ახსნისათვის იმ თვისებისა, მათ რომ ახასიათებს, როგორც აგრეთვე თავისებურ კანონზომიერებას ისევე, როგორც ურთიერთაქემის მათ შორის, აგრეთვე ურთიერთობას, რომელსაც ჩვენ, ერთი მხრით, მათსა და მეორე მხრით, იურიდიული ურთიერთობის წმინდა სამართლებრივ ელემენტებს შორის აღმოვაჩენთ.

ჩვენ ახლა უნდა შევუდგეთ ყველა ამ საკითხის ახსნას. თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში იურიდიულად რელევანტური ფაქტების მოძღვრება არა მარტო არ არის გამომხატული სრულყოფილად, არამედ აგრეთვე არასაკმარისად არის ახსნილი ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც მას საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების სისტემაში უჭვჭვლად აქვს. აუხსნელი რჩება აქ არა მხოლოდ ძირითადი დანაწილება, რომლებშიც ჩვენ მთელი ჯამი ამ ფაქტებისა შეგვიძლია დავანაწილოთ. არამედ ჯერ კიდევ დიდი ზომით აუხსნელი, უფრო უკეთ რომ ვთქვათ, ხელუხლებელი რჩება იმ შინაგანი კანონზომიერების საკითხები, რომელიც ამ ფაქტების ცალკეულ სახეთა შორის არსებულ კავშირს განსაზღვრავს, იმ თავისებური კავშირების საკითხი, რომლებშიც ისინი ზოგიერთ შემთხვევაში ვლინდებიან. და ასეთი კავშირების იურიდიული შედეგების საკითხი. ასეთი ნაკლოვანებების დროს არ არის გასაკვირი, რომ დეფინიცია, რომელშიც იურიდიულად რელევანტური ფაქტებია /ან იურიდიული ფაქტები, როგორც ჩვეულებრივ ტრადიციული დოქტრინა გამოთქვამს/ მოცემული, გამოირჩევა უზუსტობითა და განუსაზღვრელობით.

ტრადიციული დოქტრინა, როგორც ცნობილია, ადგენს იურიდიული ფაქტების ორ ძირითად სახეს: იურიდიული ხდომილება და იურიდიული მოქმედება. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ჩვეულებრივ იყოფა გარიგებად და დელიქტად. მაგრამ ძნელი არ უნდა იყოს იმის ჩვენება, რომ ეს თანამედროვე დოქტრინაში მიღებული კლასიფიკაცია არასაკმარისია, ვინაიდან ის შინაარსობრივად არ მოიცავს ყველა განსხვავებულ ფორმას, რომლებშიც ჩვენ იურიდიულად რელევანტურ ფაქტებს ვხვდებით. ლიტერატურაში მითითებულია იმაზე, რომ მგზავრობას ან სიარულს განსაზღვრული დროის განმავლობაში უცხო მიწის ნაკვეთზე სერვიტუტის უფლების წარმოქმნა შეუძლია, თუმცა ეს მოქმედებები არც გარიგებაა და არც დელიქტს წარმოადგენს<sup>29</sup>. შემდეგ ვხვდებით ჩვენ შემთხვევებს, როცა ერთი და იგივე მოქმედება ერთდროულად გარიგებაცაა და დელიქტსაც წარმოადგენს. სანამუშოდ ჩვენ შეგვიძლია მოვიტანოთ შემთხვევა დეკონინგული ნიეთის მითვისებისა. საბოლოოდ ამ კლასიფიკაციის დაუშვებლობაზე მიუთითებს გაუთავებელი დავა იურიდიული

<sup>29</sup> ნახეთ Schlossmann, Der Vertrag, S. 199.

მოქმედებისა და დელიქტის განსაკუთრებული თვისებების გამო. ყველა ამ მაგალითად ჩვენ აუცილებლად უნდა მიგვიყვანოს იმ აზრამდე, რომ ყოველ ამ ნაკლოვანებაში სრულიადაც არ შეიძლება დაინახოთ შედეგი ტრადიციული კლასიფიკაციის არასაკმარისად სწორი გამოყენებისა კონკრეტულ შემთხვევაზე, არამედ, პირიქით, ეს მაგალითები თვითონ მიგვანიშნებენ კლასიფიკაციის ნაკლულუოვანებას თავის საფუძველში. თავის მხრივ მიღებული კლასიფიკაციის ნაკლულუოვანება უეჭველად კავშირშია იურიდიული რელევანტობის ცნების ყალბ დეფინიციასთან, რადგანაც არავითარ ეჭვს არ აღძრავს ის, რომ კლასიფიკაციის სისწორე პირველ რიგში ყოველთვის განისაზღვრება კლასიფიკაციისათვის განკუთვნილი საგნების ცნების სწორი დეფინიციის მეოხებით, იმ ძირითადი თვისებების დადგენის მეოხებით, რომლებიც მას ახასიათებენ და რომლებიც ქმნიან საფუძველს მათი მეცნიერული დანაწილებისა ცალკეულ კლასებად.

დეფინიცია, რომელიც იურიდიულ ფაქტებს განსაზღვრავს ტრადიციულ დოქტრინაში, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: იურიდიულ ფაქტებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი ფაქტები, რომელთა საფუძველზე წარმოიშობა, შეიცვლება და შეწყდება უფლების განხორციელება. ამავე აზრით აღინიშნება ისინი ერთსადაიმევე დროს ფაქტორებად, რომელთა მეოხებით განისაზღვრება ამ უფლებათა ბედი<sup>29</sup>. ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხედვრა, რომ ამ დეფინიციაში სიმძიმის ცენტრი ობიექტური სამართლიდან, რომელიც განსაზღვრულ რეალურ ან სამართლებრივ მოვლენებს იურიდიული რელევანტობის ხასიათს ანიჭებს, თვითონ იმ მოვლენებზე გადადის, რომლებიც, როგორც ფაქტორები, შინაგანი, იმანენტური ბუნების წყალობით შესაბამის სამართლებრივ ეფექტს იწვევენ. იშვიათი თანმიმდევრობით გამოთქვა ეს იდეა დერნბურგმა, რომელიც თავისი პანდექტების იმავე გვერდზე /გვ.177/ ამბობს: “სესხის აღებას, მაგალითად, მოსდევს მისი უკან დაბრუნების მოვალეობა, პოზიტიური სამართალი მხოლოდ აღიარებს ამ ბუნებრივ მოვალეობას და აქცევს მას სამართლებრივ ვალდებულებად /Rechtsverbindlichkeit/. როცა გარდაიცვლება ვინმე, ვინც მემკვიდრეობა დატოვა, ეს შემადგენლობა თავის თავში შეიცავს მემკვიდრეობის უფლებას, თუკი ის მართალია აგრეთვე, რომ იგი მხოლოდ საყოფლთაო ნების მეოხებით მოიპოვებს უფრო ზუსტ განსაზღვრას და სამართლებრივ აღიარებას”. დერნბურგის აზრით, იურიდიული ფაქტი მხოლოდ ფორმალურად იღებს სამართლებრივად სავალდებულო ძალას მართლწესრიგის მხრივ: “მაგრამ – ამბობს იგი – ესენი როდი არიან ინდიფერენტული მომენტები, რომლებთანაც დაკავშირებულია უფლების წარმოშობა ან შეწყვეტა. პირობით იურიდიულ ფაქტებს აქვთ შინაგანი სამართლის შემქმნელი ძალა, რომელიც იწვევს უფლების აღიარებას”<sup>30</sup>. აქედან ადვილად შეიძლება იმის მიხედვრა, რომ ძირითადი მნიშვნელობა უფლების არსებობისათვის ამ დოქტრინის მიხედვით ეძლევა თვითონ ფაქტებს და მათ ობიექტურ შინაარსს და არა იმ სპეციფიურ იურიდიულ მდგომარეობას, რომელიც მათ სამართლის მეოხებით ენიჭებათ. ამიტომაც კლასიფიკაციას საფუძველად ედება აგრეთვე სწორედ ეს ობიექტური შინაარსი და არა განსხვავება შესაბამისი მოვლენების იურიდიულ სტატუსში.

<sup>29</sup> ასე მაგალითად, H. Demburg, Pandekten, I, S. 177, “უფლების ფაქტორებია ფაქტები, ესე იგი დროსა და სივრცეში მომხდარი, ვარძობით აღქმადი ხდომილებანი”. ნახეთ აგრეთვე Zittelmann, Irrtum und Rechtsgeschäft, S. 280.

<sup>30</sup> ib. S. 177.

განსხვავება, რომელიც მართლწესრიგის მეოხებით ღვინდება<sup>31</sup>.

რომ ასეთი ამოსავალი პოზიციის დროს შედეგები, რომლებიც როგორც იურიდიული ფაქტების კლასიფიკაციას, აგრეთვე საზოგადოდ თვითონ იურიდიული რელევიანტობის ცნებას შეეხება, არასაკმარისი უნდა იყოს, შეიძლება წინასწარ გამოვიცნოთ, და ეს ხდება იმიტომ, რომ ამოსავალი პოზიცია აქ სრულიად ყალბია. არ არსებობს ქვეყნად ისეთი ფაქტები, რომლებსაც მათ ობიექტური შინაარსის წყალობით იურიდიული თვისება გააჩნდეთ. საწინააღმდეგოს მტკიცება უთუოდ უსაფუძვლოა და არავითარი დასაყრდენი არ გააჩნია, ის მაგალითებიც კი, რომლებიც ერთი შეხებით ზოგიერთი ფაქტის ობიექტური შინაარსის სამართლებრივი ძალის დასადასტურებლად შეიძლება გამომდგარიყო, ყურადღებით განხილვის დროს სწორედ საწინააღმდეგოს გვიმტკიცებენ. მტკიცე ასოციაციური დაკავშირება ზოგიერთ ამ ფაქტსა და განსაზღვრულ სამართლებრივ ეფექტს შორის თავის არსებობას უნდა უმაღლოდეს არა შინაგან, თვითონ ფაქტების, როგორც ასეთისათვის, შინაგანად დამახასიათებელ სამართალქმედობის ძალას, არა მათ შინაარსს, აღებულს მართლწესრიგის კავშირითიერობის გარეშე, არამედ მათი იურიდიული რელევიანტობის იმავე დეფინიციას ობიექტური მართლწესრიგის მხრივ სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში. რომ ჩვენ გადამწყვეტი მნიშვნელობა ასეთ შემთხვევებში უნდა მივაწეროთ არა ფაქტების ობიექტურ შინაარსს, არამედ მათი იურიდიული რელევიანტობის დეფინიციას სამართლის მხრივ, ყველაზე უფრო ნათლად იმით მტკიცდება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, როცა წყდება კავშირი ფაქტებსა და მათ იურიდიულ ეფექტს შორის, რაიმე ცვალებადობა თვითონ ფაქტების შინაარსში კავშირის გაწყვეტას არ მოსდევს. ეს, რასაკერაველია, არასოდეს განხორციელდებოდა, თუკი თვითონ ფაქტები თავის "შინაგან" შესაბამისი იურიდიული უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი იქნებოდნენ. ამის დასადასტურებლად გვსურს ჩვენ შეჭერდეთ იმავე მაგალითებზე, რომლებსაც დერნბურგი მიუთითებს. სესხის აღება, ამბობს ის, უკვე თავისთავად გულისხმობს მისი უკან დაბრუნების ვალდებულებას. ეს უკანასკნელი, ესე იგი ეს ვალდებულება, არის არა მხოლოდ სამართლებრივი, ესე იგი სამართლისაგან განსაზღვრული, არამედ ბუნებრივი ვალდებულება, თითქოს იგი სამართალმდე არსებულებიყოს. ამ მტკიცების საპირისპიროდ შეიძლება მივუთითოთ იმ შემთხვევებზე, რომლებშიც, მიუხედავად შესაბამისი ფაქტების არსებობისა, უკან დაბრუნების არავითარი ვალდებულება არა გვაქვს, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, შესაბამისი ვალდებულება სამართლის მეოხებით გაუქმებულია. ასეთი შემთხვევები გვხვდება ჩვენ არა მხოლოდ სახელმწიფოთა საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში /უარის თქმა საერთაშორისო ვალდებზე, მაგალითად, საფრანგეთის მხრიდან დიდი რევოლუციის დროს/, არამედ აგრეთვე კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში<sup>32</sup>. ასევე შეიძლება განვიხილოთ კიდევ უფრო დიდი ზომით სხვა მაგალითებიც, რომლებიც მოჰყავს დერნბურგს. ისეთი მართლწესრიგი, რომელიც სრულიად არ იცნობს სამემპვიდრო სამართალს, არა მხოლოდ

<sup>31</sup> ეს მოჩვენებით წინააღმდეგობრივი ჩანს მოქმედების დანაწილება /იურიდიული ფაქტების ამრივ/ გარიგებლად და დელიქტად. მაგრამ სინამდვილეში ამ ორი კატეგორიის დანაწილებისას ტრადიციული დოქტრინის თეალსამრისით გადამწყვეტია არა მათ მიმართ სამართლის განსხვავებული დამოკიდებულება. არამედ თვითონ ქმედების შინაგანი და ობიექტური მომენტები, სახელდობრ, ამ ქმედების შინაგანი მოტივები, ნახეთ Dernburg, ib. 178.

<sup>32</sup> ნახეთ, მაგალითად, რსფსრ-ის სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესავალი კანონი, მუს.2.

ლოგიკურად არის საეარაულო, არამედ ასეთი დებულების ზოგიერთ ელემენტს ენახულობთ ჩვენ საბჭოთა სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალშიც, რომელიც ადგენს ზუსტად ფიქსირებულ მაქსიმუმს სამეკვიდრო ქონებისა, რაც მეკვიდრემ სამეკვიდროს დამტოველის გარდაცვალების შემდეგ შეიძლება მიიღოს; დანარჩენი სამეკვიდრო მასა მინც გადადის სახელმწიფოზე და შესაბამისად კავშირი მის მიმართ იურიდიულ ფაქტსა და შესატყვისი უფლების წარმოშობას შორის ქრება /vernichtet/.

მაგრამ, რასაკვირველია, საქმე როდი ეხება ცალკეულ მაგალითებს. საქმე იმ თვალსაჩინო ჭეშმარიტებაშია, რომ უფლებები და მოვალეობები ლოგიკურად კორელაციური ელემენტებია სამართლებრივი ურთიერთობის ცნებისა<sup>33</sup>. ასეთი კორელაცია სრულიად აუხსნელი იქნებოდა, თუკი მათ /ესე იგი ამ ელემენტებს/ შინაგანი, შინაარსით განსაზღვრული მოცემულობები ექნებოდა მიმატებული. კავშირი უფლებებსა და მოვალეობებს შორის მაშინ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოიშობოდა ფაქტებს შორის რეალური ურთიერთობის მეოხებით და ერთსადაიმავე დროს გაქრებოდა /erlöschen/ თვითონ ურთიერთობების შეწყვეტით. სამართლებრივი ურთიერთობის ცნება მაშინ იქნებოდა თვითონ ფაქტების არეკლა. სამართლებრივი ურთიერთობების განვითარება მაშინ იმ ცვლილებების პარალელურად წარმართებოდა, რომლებიც თვითონ ფაქტებს ემორჩილება. მაგრამ ეს პარალელიზმი გადაჭრით უგულებელყოფა იმ მსჯელობით, რომ ხშირად ერთსა და იმავე ფაქტიურ მოცემულობას სხვადასხვა იურიდიული ეფექტი უკავშირდება /მაგალითად, ხანდაზმულობა შეიძლება საფუძველი გახდეს საკუთრების მოპოვებისათვის, სერვიტუტის უფლების ან ვალდებულების შეწყვეტისათვის და სხვ./ ანდა, პირიქით, სხვადასხვა ფაქტიურმა მოცემულობამ ერთი და იგივე იურიდიული შედეგი გამოიწვიოს /მაგალითად, საკუთრების მოპოვება ყიფით, ჩუქებით ან ანდერძით/. ეს მითითებები საბოლოოდ არღვევენ იმის შესაძლებლობას, რომ ფაქტიური მოცემულობის ობიექტურ შინაარსში, რომელიც სამართლის /objektiven Recht/ გარეშეა აღებული, სამართალქმნადობის ძალა დაინახოთ. მაგრამ ფაქტის იურიდიული მნიშვნელობის მოძღვრება შეიძლება უფრო ვიწრო აზრით გაევიგოთ, როცა ეს მნიშვნელობა ნაწილობრივ ფაქტის ობიექტური შინაარსით არის განსაზღვრული, ხოლო ნაწილობრივ მართლწესრიგით. აზრი ამ კომპრომისული გადაწყვეტისა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ, მაშინ, როცა ამა თუ იმ ფაქტის იურიდიული რელევანტობის ფორმულირებისას /bei der Aufstellung/ სამართლის დეფინიციებს გადაწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა, ის /ესე იგი გადაწყვეტ/ ამ მიმართულებით თვითონ ფაქტის ობიექტური შინაარსის სპეციფიურობის მეოხებით - მართლწესრიგის ფორმულირებებს გარკვეულ ხარისხამდე შეზღუდულად განიხილავს. იურიდიული რელევანტობა ასეთი თეორიის თვალსაჩინო განხილული უნდა იქნეს, როგორც შედეგი ერთად თავმოყრილი ორი სხვადასხვა ჯგუფის ფაქტორებისა, ესე იგი, ერთი მხრივ, მოქმედი სამართლებრივი სისტემის, ხოლო, მეორე მხრივ, ფაქტის ობიექტური შინაარსისა. ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხედვრა, რომ აგრეთვე ასეთი ფორმულირების დროს ამ თეორიისათვის ზემოთ მოხსენიებული მითითებები სავსებით ინარჩუნებენ თავის ძალას. იმის მითითება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ერთსა და იმავე ფაქტიურ მოცემულობას სამართალი სხვადასხვა იურიდიულ ეფექტს უკავშირებს, ამსხვრევს

<sup>33</sup> სწორ გაცებას ამ ფაქტისა ენახულობთ ჩვენ უნგერთან, ნასეთ System des österreichischen Privatrechts, S. 154.

აგრეთვე ამ შემთხვევებში შედეგის ყოველგვარ პერსპექტივას. დერნბურგის თეალსზრისის საწინააღმდეგოდ, ფაქტის ობიექტური შინაარსი თავის "თავში" /in seinem "Schosse"/ არა მარტო არ შეიცავს სამართალქმნადობის ძალას, არამედ სამართლისათვის იგი გვევლინება სრულად ინდიფერენტულ სიდიდედ, ინდიფერენტულად იმ აზრით, რომ ის უმცირესი ხარისხითაც კი არ განსაზღვრავს მასთან დაკავშირებული იურიდიული რელევანტობის ხასიათსა და შინაარსს. ამაზე შეიძლება გვიპასუხონ, რომ ფაქტური მოცემულობის ობიექტურ შინაარსს იმ კონკრეტული სამართლებრივი ეფექტის გარეშე თუ განვსაზღვრავთ, რომელიც მასთან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაკავშირებულია სამართლის მეოხებით. ის მაინც განისაზღვრება ისეთი უფლებების ძირითადი ტიპის თავისებურებათა წყალობით, რომელთა საფუძველზეც მას /ესე იგი ფაქტური მოცემულობას/ შეიძლება მიეღოს იურიდიულად რელევანტური ხასიათი. მაგალითად, გარეგნულად ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ისეთი ფაქტი, როგორიცაა ყიდვა ან გაყიდვა, შეიძლება გახდეს საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი. მაგრამ საკითხის ყურადღებით განხილვისას აღმოჩნდება, რომ თუკი საზოგადოდ ასეთი დაკავშირება სამართლის არსებობს, იგი მოსაწესრიგებელი ფაქტების შინაარსით კი არ არის გამოწვეული, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი მოწესრიგების კონკრეტული სისტემის ხასიათით.

ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხედვით, რომ ობიექტურ შინაარსს ფაქტური მოცემულობის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების სისტემაში თავისთავად შეიძლება აქონდეს მნიშვნელობა არა ამ შინაარსის შინაგანი თავისებურების გამო, არამედ მხოლოდ მისი შესაძლებელი გამოყენების თეალსზრისით სამართლებრივი სისტემის გადასვლისათვის იურიდიულად შესაძლებელი შესრულებადობის მდგომარეობაში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაინტერესების თეალსზრისით სამართლებრივი მოწესრიგების მხრივ. ამაზე ჩვენ შემდეგში უფრო დაწვრილებით ვიმსჯელებთ, ახლა კი ნათქვამიდან აუცილებლად უნდა გაეკეთოს შემდეგი დასკვნა: კლასიფიკაცია იურიდიული ფაქტებისა, რომლებიც ობიექტური შინაარსის თავისებურებაზეა ორიენტირებული, დაწვრილებული უნდა იქნეს. იგი არ იძლევა იურიდიული ფაქტების სხვადასხვა ჯგუფების სწორი გამოჯენის შესაძლებლობას და ამიტომაც ის გამოუსადეგარია, რადგანაც როგორც საწყისი პოზიცია იგი იურიდიული განხილვის წესისათვის საგნის სრულიად ინდიფერენტულ თვისებებს მიიჩნევს. თუკი იურიდიული ფაქტების არსი სამართლის თეალსზრისით მართლწესრიგის განსაზღვრებებში უნდა დაეინახოთ, რომელიც ადგენს მათ იურიდიულ მნიშვნელობას, მაშინ ცხადია, რომ აქ საწყისი წერტილი უნდა იყოს სწორედ ეს განსაზღვრება და არა თვითონ ფაქტების ობიექტური შინაარსი.

კლასიფიკაცია საგანს აქ ქმნის, ამრიგად, არა თავისთავად თვითონ ფაქტების განსხვავება, არამედ განსხვავება მათი იურიდიული რელევანტობის, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, განსხვავება მათი წმინდა იურიდიული ადგილისა, რომელიც მიეკუთვნება საგანს სამართლის დებულებების მეოხებით ამ საგნისათვის მიცემული მნიშვნელობის მიხედვით უფლების ცალკეულ სახეთა წარმოშობაში.

საგნის ასეთი დეფინიციის დროს, რომლის კლასიფიკაციასაც ვაპირებთ, თავისთავად ცხადია, რომ კლასიფიკაციის საფუძველი მოცემულ შემთხვევაში უნდა დაეინახოთ თვითონ იურიდიულ ინტერესში, რომელიც ქმნის იურიდიული რელევანტობის ცნებას.

იმის შემდეგ, რაც ჩვენ ამ ინტერესის შინაარსი გავაშუქეთ, უფრო ადვილია აგრეთვე იმ სხვადასხვა ფორმების გაგება, რომლებშიც კონკრეტული ფაქტიური შემადგენელი ნაწილების იურიდიული რელევანტობა ჩანს.

სამართლის მიზანი მდგომარეობს საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრული სისტემის წარმოქმნაში. თვითონ სამართალი, როგორც ჩვენ არაერთხელ გვქონდა მითითებული, არის რთული სისტემა საშუალებებისა, რომლებიც ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება. ჩვენ შეგვიძლია აქ გვერდი აუუაროთ იმ ფაქტორების საკითხს, რომლებიც ნაწილობრივ ფსიქოლოგიური, ნაწილობრივ სხვა ხასიათისაა და განსაზღვრავენ სამართლებრივი ფორმების არეკლას რეალურ ცხოვრებისეულ ურთიერთობაში. სამართლის თეორიაში არსებითია არა განმარტება ამ ფაქტორებისა, არამედ ახსნა სამართლებრივი მოწესრიგების სისტემის ძირითადი ელემენტებისა, იმ შინაგანი კანონზომიერების ახსნა, რომელიც განსაზღვრავს ამ ელემენტების ურთიერთობას. ასეთ ძირითად ელემენტად გვევლინება სამართლებრივი ურთიერთობა, რომელშიდაც ჩვენ აღმოვაჩინებთ ლოგიკური ურთიერთყოველაციური უფლებისა და მოვალეობის მომენტები. სამართლებრივი ურთიერთობის ცნება მხოლოდ ამ ორი მომენტის კავშირის აზრით არის აბსტრაქტული სქემა შესაძლებელი იურიდიული ურთიერთობისა საზოგადოდ. კონკრეტულ ხასიათს შეიცავს ის /ესე იგი სქემა/ მხოლოდ განსაზღვრული საგნობრივი შინაარსის მიმატების წყალობით. ეს უკანასკნელი აყენებს იმ ფორმების სხვადასხვაობის საფუძველს, რომლებშიც სამართლებრივი ურთიერთობები იურიდიულ ბრუნვაში ვლინდება. მაგრამ შეიძლება ერთი ფორმის გადასვლა მეორეში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუდმივი "ცვლა"<sup>34</sup> ერთი იურიდიული ურთიერთობისა მეორეთი არ ხორციელდება ამ საგნობრივი შინაარსის მეოხებით. ამაზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა მითითებული, როცა ავხსენით, რატომ არის ეს შეუძლებელი. იქ ხომ ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ სწორედ იურიდიულად რელევანტური ფაქტები ასრულებენ მართლწესრიგის ცხოვრებაში ამ რთულ ფუნქციას.

იურიდიული ურთიერთობები მოძრაობაში მოდის მხოლოდ იმ ფაქტორების წყალობით, რომლებიც იურიდიული ურთიერთობების წმინდა სამართლებრივი ელემენტების დახშული წრის მიღმა იმყოფება, როგორცაა, მაგალითად, მათი საგნობრივი შინაარსი. მეორე მხრივ, შესასრულებელი ფუნქციის ხასიათი აუცილებელს ხდის ამ ფაქტების გარკვეულ ურთიერთობას დროის კატეგორიასთან; მათ არსში უცვლელი მოვლენები გარეგნულად არ შეიძლება გამოდგეს სხვა მოვლენებში მიმდინარე ცვლილებების საფუძველად<sup>35</sup>. ეს

<sup>34</sup> აქ, ბუნებრივია, საქმე ეხება არა "ცვლას" რეალური პროცესების კაუზალური განვითარების თვალსაზრისით, არამედ სამართლებრივი ურთიერთობების აბსტრაქტული სქემის გამოუღუნის აზრით იურიდიულად შესაძლებელი განსორციელების სფეროში და, ამრიგად, მეორე მხრივ აგრეთვე ამ სფეროდან იმ სამართლებრივი ურთიერთობების გამოსვლის თვალსაზრისით, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ ფორმა შესაძლებელი იურიდიული განხორციელებისა.

<sup>35</sup> ამას არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში იურიდიულად რელევანტური ხასიათი, როგორც შემდეგ იქნება ნაჩვენები, იურიდიულ ფაქტებს შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, პრივილეგიების დაწესების შემთხვევაში. მაგრამ ასეთ შემთხვევაში აგრეთვე იურიდიული ფაქტები დაკავშირებული არიან განსაზღვრულ ფაქტურ მოცულობასთან და ამიტომაც ვეველინებთან აგრეთვე შესაბამის უფლებებთან კავშირში, თუ უშუალოდ არა, დროში მიმდინარე მოვლენებთან მან.

ნიშანი, ესე იგი, ერთი მხრივ, იურიდიული ურთიერთობების მიღმა ყოფნა და აუცილებელი ურთიერთობა დროის კატეგორიასთან, მეორე მხრივ, არის საყოველთაოდ დამახასიათებელი იურიდიულად რელევანტური ფაქტებისათვის და მათ არ შეუძლიათ, რასაკვირველია, გახდნენ ამ ფაქტების ცალკეულ სახეებად კლასიფიკაციის საფუძველი. ამ მიზნით, ესე იგი იურიდიული ფაქტების კლასიფიკაციისათვის საჭიროა მიემართოს იმ ძირითადი ფორმების განსხვავებას, რომლებშიც იურიდიულ ბრუნვაში არსებული იურიდიული რელევანტობა ჩანს. განსხვავება ამ ფორმებისა, თავის მხრივ, მოხდება იურიდიულ ინტერესთა განსხვავების მეოხებით, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრულ ფაქტებს იურიდიულ ხასიათს მიანიჭებენ; ასე, რომ ისინი, ესე იგი ეს ფორმები არააპირდაპირ აგრეთვე *principium divisionis* შეუძლიათ მიანიჭონ ჩვენთვის საინტერესო მოვლენებს.

ამ ფორმების მრავალფეროვნების თვალსაზრისით შეგვიძლია ჩვენ განვასხვავოთ იურიდიული რელევანტობის ორი ძირითადი სახე: ერთი უშუალო და ერთი წარმოებული /*abgeleitet*/. არსი ამ განსხვავებისა მდგომარეობს, ასე ვთქვათ, კავშირის არათანაბარ უშუალობაში რელევანტურ ფაქტებსა და შესაბამის იურიდიულ ეფექტს შორის. ზოგიერთ შემთხვევაში იურიდიული ეფექტი პირდაპირ და უშუალოდ არის დაკავშირებული საგნობრივ შინაარსთან. ამ უკანასკნელის არსებობა ასეთ შემთხვევებში სრულიად საკმარისი საფუძველია შესაბამისი იურიდიული ეფექტის გამოვლინებისათვის. სხვა შემთხვევებში, პირიქით, მარტივი მოცემულობა განსაზღვრული ფაქტებისა თავისთავად ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევებში საჭიროება მოითხოვს, რომ არსებული ფაქტები ისეთ სხვა ფაქტებთან იყვნენ დაკავშირებული, რომლებსაც უკვე აქვთ მიღებული იურიდიულად რელევანტური ხასიათი. ასე, მაგალითად, ნების მონაწილეობა გარიგების დადების დროს. იურიდიული ეფექტის დაკავშირებისათვის ამ უკანასკნელთან მხოლოდ ნება, როგორც სულიერი ცხოვრების ერთი ელემენტი, როდია საკმარისი, არამედ აუცილებელია სწორედ სამართალუნარიანი და ქმედუნარიანი პიროვნების ნება, ესე იგი ნება დაკავშირებული ფიზიკურ ინდივიდთან, რომელსაც განსაზღვრული იურიდიული სტატუსი გააჩნია. განსაკუთრებით ბევრია მაგალითები ასეთი უშუალო რელევანტობისა საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის სფეროში, განსაკუთრებით ადმინისტრაციულ ორგანოთა მოქმედებაში. იურიდიული ეფექტი ადმინისტრაციული აქტისა, მაგალითად, იქმნება არა მხოლოდ ფაქტიური ოპერაციის საშუალებით, ამ სიტყვის ფართო გაგებით, რომელსაც ჩვენ ადმინისტრაციული მოხელის მოქმედებებში ეხვდებით. არამედ, ამის გარდა, მისი იურიდიული ადგილის მიხედვით, ესე იგი იმ სამართლებრივი სფეროს მეოხებით, მის კომპეტენციას რომ წარმოშობს. ამ შემთხვევაში რელევანტობა ადმინისტრაციული მოხელის მოქმედებას კი არ მიეწერება, როგორც ასეთს, ესე იგი არა უბრალოდ ფიზიკური პირის მოქმედებას, არამედ ამ პიროვნების მოქმედებას იმდენად, რამდენადაც მას თვითონ განსაზღვრული, სახელდობრ, საჯაროსამართლებრივი სტატუსი აქვს მიანიჭებული. ამ შემთხვევაში, სადაც ეს პირობა არ არსებობს, სრულიად სამართლიანად უკვე ვერ ვილაპარაკებთ ადმინისტრაციულ აქტზე, არამედ *fait personnel du fonctionnaire*-ზე და ამ განსხვავებას აქვს არა მხოლოდ თეორიული ინტერესი, არამედ აგრეთვე მეტად დიდი და პრაქტიკული მნიშვნელობა, მაგალითად.



იმ საკითხში, რომელიც მოხელის სასამართლო დევნის ფორმებს შეეხება კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენის დროს<sup>36</sup>.

ზემოთ მოტანილი განსხვავება უშუალო და შუალობით რელევანტობას შორის თვითონ წარმოებული ხასიათისა და ამის მეოხებით მიუთითებს უფრო ღრმა და პრინციპულ გამიჯნაზე, რომელსაც ჩვენ იურიდიული რელევანტობის ფორმებში აღმოვაჩინეთ. სინამდვილეში აღნიშნული დანაწილება მიუთითებს არა რაღაც განსაზღვრულ პრინციპზე, რომელიც გასაგებს გახდიდა ამ გამიჯნის იურიდიულ აზრს. ამიტომ საჭიროებს ის თვითონ ჯერ კიდევ დასაბუთებას, ახსნას იმ ძირითად მომენტისა, რომელიც ჩვენთვის არა მარტო ასეთი გამიჯნის შიშველი ფაქტის არსებობას გახდის გასაგებს, არამედ აგრეთვე იმ იურიდიული ინტერესის არსებობასაც, რომელიც მის ყოფიერებას იწვევს. ამ მომენტის ნათელსაყოფად საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ დაუბუთონდეთ იმას, რაც ზემოთ იურიდიული რელევანტობის ბუნების გამო ვთქვით. იქ ჩვენ მიუთითეთ, რომ ის თავის დადასტურებას ნახულობს არა ფაქტიური მოცემულობის ობიექტურ შინაარსში, არამედ სამართლის /des objektiven Rechtes/ დეფინიციებში. აქედან ჩვენ ვაკეთებთ დასკვნას, რომ იურიდიული ფაქტების კლასიფიკაცია სამართლებრივი მოწესრიგების სისტემაში მათი შესაძლებელი გამოყენების განსხვავებასთან თანხმობით უნდა მოხდეს. რადგან ჩვენ კვლავ მიუბრუნდით იურიდიული რელევანტობის ფორმების მრავალფეროვნების თვალსაზრისს, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ სამართლის დეფინიციების გადამწყვეტი მნიშვნელობის შესაბამისად იურიდიული რელევანტობის წარმოშობისათვის ამ უკანასკნელის ფორმების ნაირგვარობამ თავისი დასაბუთება იმავე სამართლის დეფინიციებში უნდა იპოვოს, რომლებიც თანხმობაშია იმ ცალკეული სამართლებრივი ურთიერთობის ან მისი კომპლექსის სტრუქტურასთან, იურიდიულად რელევანტურ ფაქტებთან რომ არის დაკავშირებული.

ფაქტიური მოცემულობის ობიექტური შინაარსი ასეთ შემთხვევაში გვევლინება არა იურიდიული წარმონაქმნების კომპლექსის სტრუქტურაში აღმოჩენილი განსხვავების საფუძველად, არამედ ის წმინდა გარეგანი მომენტია, რომელთანაც ეს უკანასკნელი პოზიტიური სამართლის მეოხებით არის დაკავშირებული. სამართლებრივი მოწესრიგების დადგენილი სისტემის სპეციფიური სტრუქტურა, ერთი მხრივ, და ამ იურიდიული წარმონაქმნების სტრუქტურა, მეორე მხრივ, განსაზღვრავენ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი ფაქტური შინაარსის არჩევას, რომელთანაც უნდა იყოს დაკავშირებული უფლება-მოვალეობათა კომპლექსი. აქედან ადვილი გასაგებია, რომ ფაქტიური შინაარსის განსხვავება ამ უკანასკნელის იურიდიული მნიშვნელობის თვალსაზრისისაგან ნაწარმოებ სიდიდედ გვევლინება, რომელიც ემყარება ძირითადი იურიდიული ელემენტების შესაბამისი კავშირების სტრუქტურის განსხვავებულობას, ესე იგი უფლება-მოვალეობას. ამ ფაქტების მნიშვნელობა, მამასადავამ, მდგომარეობს არა იმაში, რომ ისინი ზემოთ მოხსენიებული ძირითადი იურიდიული ელემენტების კომპლექსთა კავშირების ფორმების განსხვავებას ასაბუთებენ, – ეს კავშირები, რომელთა გამო ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი, წარმოიქმნებიან სამართლებრივი მოწესრიგების სისტემის შინაგანი კანონზომიერების წყალობით, – არამედ ეს მნიშვნელობა ჩანს იმაში, რომ იურიდიული

<sup>36</sup> ნახეთ ამ საკითხზე M.Hauriou, *Précis de droit administratif et droit public*, 1914, p. 94; Laferrière, *Traité de La juridiction administrative* 2-te edit, I, p. 647, suiv.

ფაქტები თავისებური გზის მანქანებელია კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების და მათი კომპლექსების მოძრაობისა, ამ კომპლექსების გადაადგილების ცენტრებისა სამართლებრივ ბრუნვაში /Rechtssverkehr/ მათი მუდმივი ცვალებადობის დროს,

ნათქვამიდან ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხედვრა, რომ იურიდიულად რელევანტური ფაქტების მნიშვნელობა არ შეიძლება სრულყოფილად იქნეს გააზრებული იმ ძირითადი სამართლებრივი ელემენტების კომპლექსთა კავშირების წინასწარი ახსნის გარეშე, რომლებიც ჩვენ არაერთხელ მოვიხსენიეთ ზემოთ. ჩვენ ახლა გადავალთ ამ კომპლექსთა ფორმების ახსნაზე<sup>37</sup>.

მართლწესრიგის ცხოვრებაში ამ უკანასკნელის ძირითადი ელემენტები, ესე იგი იურიდიული ურთიერთობები არასოდეს არ ვლინდებიან სრულიად მხოლოდებულად. ეს შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ეს ელემენტები, როგორც მათი სპეციფიური მნიშვნელობით სამართლებრივი მოწესრიგების სისტემაში, ისევე აგრეთვე მათი შინაგანი კანონზომიერების მიხედვით სრულიად თანაბარი ღირებულების მქონე სიდიდეები იქნებოდნენ. თუმცა უკვე სამართლებრივი ურთიერთობის საგნობრივი შინაარსი ყოველ შემთხვევაში აძლევს მას თავისებურ სახეს. გარდა ამისა, ამას ემატება კიდევ ცალკეულ შემთხვევებში სამართლებრივი ურთიერთობის წმინდა სამართლებრივი ელემენტების განსხვავება, განსხვავება თვითონ უფლება-მოვალეობისა, რომელიც ვლინდება ამ ელემენტების გამოყენების სფეროების განსხვავებაში /მაგალითად, უფლება ყველასადმი ურთიერთობაში და უფლება ინდივიდთა შუბლდული წრისადმი ურთიერთობაში/ ანდა სხვა თავისებურებებში /მაგალითად, გარდამავალი და გარდაუვალი უფლებები, გაყოფადი და გაუყოფადი უფლებები და ა.შ.<sup>38</sup>

საბოლოოდ აქ არსებული განსხვავებების საფუძვლად შეიძლება მოგვევლინოს შესაბამისი უფლებების მოდალობა. მოდალობა აქ გაგებული იქნება არა, ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიური მოდალობის აზრით, რომელიც სამართლის თეორიისათვის სრულიად რელევანტურია, არამედ ამ ნიშნის ობიექტურ-იურიდიული მნიშვნელობის აზრით შესაბამისი უფლებების დახასიათებისათვის<sup>39</sup> ყველა ახლახან მოხსენიებული მომენტების გამო ძირითადი იურიდიული ელემენტები სამართლებრივ ბრუნვაში ვლინდებიან მეტად სხვადასხვა

<sup>37</sup> მაგრამ სრულიადაც არა ფაქტორების, როგორც ამას ფიქრობდა ლერნბურგი, S. op. cit. 177; როლი "ფაქტორებისა", რომლებიც იწვევს იურიდიულ ვეფექსს, როგორც უკვე გვექონდა მეძით მათივე უფლები. მდგომარეობის არა ფაქტების ობიექტურ შინაარსში, არამედ სწორედ იმაში, რომ მათი ამ უკანასკნელთა იურიდიული რელევანტობა უნდა მიეწეროს, ესე იგი მათთვის ობიექტური მართლწესრიგის მიერ შექმნილი იურიდიული მდგომარეობა.

<sup>38</sup> აქ აღნიშნული განსხვავებები არ შეიძლება ყოველთვის შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის საგნობრივი შინაარსის თავისებურებით აიხსნას; ეს უკვე იქიდან გამომდინარეობს, რომ ერთსა და იმავე საგნობრივ შინაარსზე მისი არის მიხედვით შეიძლება მიმართული იყოს სხვადასხვა უფლება. მაგალითად შეიძლება დაეასახლოთ "ფიდეიკონური საკუთრება" (ბრინკის აღნიშვნის მიხედვით, Pandekten, erste Auflage, S. 177; ნახეი აგრეთვე Pemice, Labeo, I, S. 109) და ჩვეულებრივი საკუთრება, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა თავისი საგნობრივი შინაარსის მიხედვით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი უფლებების ხასიათით.

<sup>39</sup> აქ აღნიშნული განსხვავება ფსიქოლოგიური და ობიექტურ-იურიდიულ მოდალობას შორის გარკვეული აზრით არის ანალოგი დაწესებული, რომელიც ტარდება ლოევაში წმინდა ლოევერ და ფსიქოლოგიურ მოდალობას შორის. მაგალითად, A.Pfänder, Logik, in Husserls Jahrbuch für philosophie und phänomenologische Forschung, vierter Band, 1921, S. 234 ff.

მნიშვნელობით როგორც ინდივიდური სიდიდეები სამართლებრივი მოწესრიგების სისტემისა. მაგრამ როგორც ყოველი სისტემა, იურიდიული მოწესრიგების სისტემაც გარდაუვალად გულისხმობს რთული ურთიერთობების არსებობას ამ ელემენტებს შორის. საეციალურად სამართლებრივ ბრუნვაში ეს კავშირი მართლწესრიგის ელემენტებს შორის აუცილებლობით იმისათვის არის ნაგულისხმევი, რომ ამოცანები, რომლებსაც ჩვენ აქ ვხვდებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს არა თითოეული ამ ელემენტების განცალკევებული მოქმედებით, არამედ გარკვეული სახის შემოსაზღვრული კომპლექსის ერთდროულად მოძრაობაში მოყვანის მეოხებით. შინაგანი კავშირი იმ ელემენტებს შორის, რომელიც ასეთი გაერთიანებული მოძრაობისათვის შეიძლება იყოს მოცემული, სრულიადაც არ ატარებს შემთხვევით ხასიათს. ამ დამოიდებულებაში დევს შინაგანი ლოგიკა, რომელიც მას მუდმივ ხასიათს ანიჭებს. აქ არსებობს შინაგანი კანონზომიერება, რომელიც როგორც იმ კავშირის ხასიათს, რომელშიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეული სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება გამოვლინდნენ, ასევე, აგრეთვე. მათ შორის რანგობრივი განსხვავების ურთიერთობას /Rangordnungverhältnis/ განსაზღვრავს.

ძირითად გამოვლინებად მართლწესრიგის ცხოვრებაში, რომელიც უკვე იურიდიულად შესაძლებელი აღსრულებითობის მდგომარეობაშია გადასული, უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ ზოგიერთი სახე სამართლებრივი ურთიერთობისა აქ ერთმანეთისაგან განსაზღვრული სახით გამოიჯნულ იურიდიულ ცენტრად ჯგუფდებიან. ეს ცენტრები ჯერ კიდევ არ აერთიანებენ ყველა შესაძლებელ იურიდიულ ურთიერთობას, რომლებსაც ჩვენ სამართლებრივი ბრუნვის მუდმივ ცვალებადობაში ვხედავთ. მაგრამ ისინი გამოხატავენ ჩონჩხებს, მართლწესრიგის ძირითად იურიდიულ საყრდენ ადგილებს, რომლებზეც სამართლებრივი ბრუნვის შემდგომი ცვალებადობის დროს სამართლებრივი ურთიერთობის ახალი სახეები აღმოცენდებიან. ურთიერთობა "აღმოცენებასა" და საფუძველს შორის ხასიათდება აქ არა მხოლოდ დროის Succession-ის<sup>40</sup> მეოხებით, არამედ უმთავრესად როგორც შემგომი ფენების დაფუძნების ურთიერთობა ზემოთ აღნიშნული ძირითადი ცენტრების მეშვეობით. დაფუძნების უფრო დაწვრილებითი განხილვისათვის, რომელსაც ჩვენ აქ ვხვდებით, საჭიროა მივუთითოთ, რომ ძირითადი ცენტრები აუცილებელი იურიდიული პირობაა იურიდიული ურთიერთობის წარმოებული /abgeleitet/ ფორმების აღმოცენებისათვის. თუმცა ეს ცენტრები საესებით საქმარისი არ არის, მათ ჯერ კიდევ უნდა ჩაერთოს /hinzugefugt/ გარეგანი ფაქტორი, იურიდიულად რელევანტური ფაქტის ფორმით. მაგრამ მათი გადაწყვეტი მნიშვნელობა ნათლად გამოითქმება იმით, რომ მათი არსებობის დროს წარმოუდგენელია შესაბამისი იურიდიული ეფექტის მიღწევა. იურიდიული ფაქტების როლი აქ აღნიშნულ პროცესებში მდგომარეობს უმთავრესად იმაში, რომ წარმოშობილი იურიდიული ურთიერთობების უფრო მეტად დაკონკრეტებას მოემსახუროს. მაგრამ სამართლებრივი მოწესრიგება ამ უკანასკნელებისა მანინც საესებით ეფუძნება სამართლებრივი ბრუნვის მათ მიერ დაფუძნებულ ძირითად ცენტრებს.

ძირითადი უფლებების კავშირებსა და სამართლებრივი ურთიერთობის მათზე დაშენებულ (aufbauenden) ფორმებს შორის აქ არ უნდა გავაიგიოთ თვითონ გამოიჯნა, არ უნდა

<sup>40</sup> ზოგ შემთხვევაში შეიძლება პირიქით იყოს. მაგალითად, შეგვიძლია დავასახელოთ "Postliminium"-ი რომელი სამარიალისა, ნახეთ Pernice, Labeo, I, S. 575 ff.

გავაიგივოთ თვითონ გამიჯენის პრინციპის მიმართ უმთავრესად სამოქალაქო სამართალში მიღებულ განსხვავებასთან jus cogens-სა და ინდივიდური ავტონომიის სფეროს შორის. ეს უკანასკნელი ანტითეზა მხედველობაში იღებს განსხვავებას ცალკეულ იურიდიულ წარმონაქმნებს შორის მათი ჩამოყალიბების თვალსაზრისით და როგორც ასეთი იღებს ის როგორც ამოსავალი მომენტის ისეთ ხასიათს, რაც წმინდა იურიდიული ანალიზისათვის სრულიად არაარასებითია. თუკი სამართლებრივი ურთიერთობა საყანონმდებლო ან ინდივიდური სამართალშემოქმედების გზით არის წარმოშობილი, ყველა ამ შემთხვევაში თვითონ წარმოშობის /Herstellung/ პროცესის მიმართ ჩვენ საქმე გვაქვს წმინდა სოციალურ მოუღებებთან, რომლებიც წმინდა იურიდიული მოძღვრების წრის მიღმა დგანან და ყველა შემთხვევაში არ წყვეტს ეს განსხვავება შესაბამისი სამართალწარმოქმნის შინაგანად წმინდა იურიდიული თავისებურებების საკითხს. ეს თავისებურებანი არ შეიძლება იყოს სამართლებრივი ურთიერთობის აღმოცენების პროცესის განსხვავებულობაში, არამედ ის მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობის და მათი კომპლექსის უკვე არსებული ფორმების შინაგან სტრუქტურაშია საძიებელი. სტრუქტურის განსხვავებულობის თვალსაზრისით, ბუნებრივია, სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც, ერთი მხრივ, jus cogens და, მეორე მხრივ, ინდივიდურ ავტონომიას ეფუძნება, ერთმანეთისაგან იზოლირებულია, მაგრამ ეს იზოლირება ხდება უკვე არა წარმოშობის ნიშნის მიხედვით, არამედ ერთი სამართლებრივი ურთიერთობის ან მისი კომპლექსის მეორის მეოხებით დაფუძნების პრინციპის მიხედვით, ამიტომაც არის სამართლებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სახეების გამიჯენა მათი კუთვნილების ნიშნის მიხედვით ან ურთიერთობის კატეგორიად, რომელიც jus cogens-ს ეფუძნება, ანდა ურთიერთობის კატეგორიად, რომელსაც, როგორც მოუღენას, ინდივიდური ავტონომია ახასიათებს, არასაკმარისი, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, ვინაიდან აქ დანაწილების საფუძვლად მიიღება ის თვისება, რომელიც არ არის არსებითი იურიდიული კემირების ცალკეული სახეების სტრუქტურული განსხვავებისათვის; მეორეც, იმიტომ, ვინაიდან თითოეული ეს ჯგუფი სამართლებრივი ურთიერთობისა, რომლებიც იქმნება აქ მოყვანილი პრინციპის მიხედვით გამიჯენის შედეგად, სრულებით არ გამოხატავს ერთიან სიდიდეს; პირიქით, თითოეული მათგანი გვიჩვენებს თავის ფარგლებში ბევრ ურთიერთობას დაფუძნებისა.

ამისათვის სრულიად საკმარისია მიემართოთ სტრუქტურების განსხვავებებს, რომლებსაც ჩვენ აღმოვაჩინეთ იურიდიული ურთიერთობების მოცულობაში, რაც jus cogens-ს ეფუძნება. რომ ეს ურთიერთობები ბევრ შინაგან და პრინციპულ წინააღმდეგობას გამოხატავენ, ადვილად შეიძლება უამრავი მაგალითით ნათელვყოთ. საოჯახო ურთიერთობები, მაგალითად, თავისი იურიდიული ფორმის მიხედვით უჭკველად მიეკუთვნება jus cogens-ის ტიპის ურთიერთობებს; და უფრო ნაკლებად შეგვიძლია ჩვენ ისინი არ ვაღიაროთ პრინციპულ იურიდიულ ურთიერთობად, რომლებიც არაერთარ შემდგომ იურიდიულ დაფუძნებას არ საჭიროებენ. ძირითად პირობად გვეკლინება აქ არა მარტო იურიდიულად რელევანტური ფაქტები, როგორც, მაგალითად, გარკვეული ასაკის მიღწევა, თავისუფალი ნების გამოვლინება და ა.შ., არამედ აგრეთვე განსაზღვრული იურიდიული სტატუსი პიროვნებისა, რომელიც ქორწინდება, ესე იგი სტატუსი, რომელზეც აღმოცენდება საოჯახო სამართლებრივი ბუნების იურიდიული ურთიერთობა. ასეთივე ხასიათისაა ურთიერთობა, რომელიც სამემკვიდრეო სამართლის საფუძველზე წარმოიშობა, ურთიერთობა, წარმოშობილი შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, რამდენადაც მასში

განხორციელებულია შრომითი ურთიერთობის პირობებისა და ფორმების იძულებითი რეგლამენტაციის პრინციპი; და ბოლოს ამას მიეკუთვნება მეტ წილად საჭირო სამართლებრივი ურთიერთობები, რამდენადაც ეს უკანასკნელი თავისი არსებობისათვის გარდაუვალად საჭიროებენ იურიდიულად დაფუძნებას /juristische Fundierung/ საჯარო-სამართლებრივი ხასიათის პრინციპული წარმონაქმნების (bildungen) მხრივ.

ყოველივე აქედან და მსგავსი შემთხვევებიდან ძნელი არ უნდა იყოს იმ დასკვნის გაკეთება, რომ მიეკუთვნება /festigung/ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობისა *ius cogens*-ის ტიპის ურთიერთობისადმი ან იმ ტიპის ურთიერთობისადმი, რომელიც ინდივიდუური ავტონომიის პრინციპს ემყარება, ისტორიულად განპირობებული ხასიათისაა, რომლის მიზნება ამა თუ იმ ეპოქაში გაბატონებული ის წმინდა პოლიტიკური შეხედულებები, თუ რომელი ურთიერთობა შეიძლება გადაეცეს კერძო ინიციატივას და რომელი ურთიერთობა, პირიქით, საჭიროებს იძულებით რეგლამენტაციას. ეს განსხვავება სოციალ-პოლიტიკურ განსჯაში გარკვეული ზომით ბუნებრივად აირეკლება, აგრეთვე სამართლებრივი ურთიერთობების თითოეული ამ ჯგუფის იურიდიულ თავისებურებებზე; მაგრამ ის გვიჩვენებს იურიდიული დახასიათებისათვის შესაბამისად უმნიშვნელო თვისებაში უმთავრესად შინაარსისა და მოცულობის მიხედვით იმ სხვადასხვა რეგულაციების გამოვლინებას, რომელსაც ნების მომენტიც ემატება.

მიუხედავად ამ განსხვავებისა, ორივე ჯგუფი დაფუძნების მიმართ ერთსა და იმავე საფუძველზე დგას. იურიდიული ურთიერთობის ზემოთ მოტანილი მაგალითები *ius cogens*-ისა არავითარ შემთხვევაში არ ქმნიან გარდაუვალ შუალედურ საფეხურებს /Zwischenstufe/ პრინციპულად დაფუძნებულ ცენტრუზენტრებსა და იმ იურიდიულ ურთიერთობებს შორის, რომლებიც ინდივიდუური ავტონომიის პრინციპს ეფუძნებიან. პირიქით, ორივე ჯგუფი საჭიროებს თანაბარი ზომით დაფუძნებულ საფუძველებს და ორივე თანაბარი სახით უნდა აიხსნას ამით. თუკი ისინი შესაბამისად არაარსებითი ნიშნებით განსხვავდებიან, სამაგიეროდ ორივე ეს ჯგუფი იმ ძირითად მომენტში ერთმანეთს ეთანხმებიან, რომ ისინი აუცილებლად წარმოადგენენ იურიდიულად განპირობებულ და წარმოებულ /abgeleitet/ სიდიდეებს.

ამაზე დაფუძნებული ცენტრების მოძღვრებას ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრინციპული იურიდიული საკითხების ახსნის დროს. კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ იგი იურიდიულ ლიტერატურაში სრულიადაც არ იპყრობს საჭირო ყურადღებას. ჩვენ შეგვეძლო დაგესახელებინა მიზეზები, რომლებმაც ამას ხელი შეუწყვეს, მაგრამ მთავარი როლი აქ იმ წარმოდგენას უნდა მიეწეროს, რომ ადამიანის პიროვნება, როგორც ასეთი, ესე იგი, როგორც ფიზიკური ინდივიდი, როგორც ბუნებრივი სუბიექტი სამართლისა გვევლინება, ესე იგი იმ ცენტრად, რომელშიც იურიდიული ურთიერთობების სხვადასხვა სახეები გვეხდება. ასეთი გაგების დროს შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ საკითხი ძირითადი ცენტრებისა, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობების წარმოებულნი /abgeleitet/ ტიპების ამოსავალ წერტილად გვევლინებიან სამართლებრივ ბრუნვაში, ადვილი გადასაწყვეტია. მაგრამ საკითხის ასეთი გადაწყვეტა მხოლოდ მოჩვენებითია. წინა გვერდზე ჩვენ დაწვრილებით შეჩერდით იმ სიძნელეებზე, რომლებიც წინ ეღობება ასეთ თეორიას. სპეციალურად მივუთითეთ ჩვენ იურიდიული პირების მაგალითზე, რომლებიც დამოუკიდებელი სამართლის სუბიექტის თვისებას

ფლობენ, რაც არ მიეწერება ფიზიკურ პირებს<sup>41</sup>. ამ თეორიის უუნარობამ, რომ ახსნას იურიდიული სინამდვილის სხვადასხვა საყთხები, აიძულა ზოგიერთი გველეჯარი, მაშინ, როცა ისინი ძირითად პრინციპს – მხოლოდ ადამიანია სამართლის სუბიექტი – ხელუხლებელს ტოვებენ, ადამიანის, როგორც სამართლის სუბიექტის ცნება განსაზღვრული მიმართულებით განავითარონ. დამახასიათებელია ამ თვალსაზრისით ციტელმანის კონსტრუქცია<sup>42</sup>. დებულება, რომ მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს პიროვნება იურიდიული აზრით, მისთვის უჭვს არ იწვევს. მაგრამ ადამიანის, როგორც სამართლის სუბიექტის ცნებისათვის მნიშვნელობა აქვს არა მისი არსებობის სხეულებრივ მხარეს – ეს უკანასკნელი გვევლინება სამართლისათვის ირელევანტურ სიდიდედ, არამედ ნებისუნარიანობას, რომელიც სხეულის გარეშეც არის წარმოსადგენი. ამ აზრით ადამიანი სხეულებრივი მხარის გარეშეც არის სამართლის სუბიექტი. ბრინცი სწორად მიუთითებს იმაზე<sup>43</sup>, რომ ამ იდეის პრაქტიკული განხორციელების დროს “კეთდება ნახტომი ნებისუნარიანობიდან სასურველში”; სხვა სიტყვებით პრაქტიკულად რომ ვთქვათ, არა მარტო სრულიად ეწყვეტთ კავშირს ადამიანის “სხეულთან”, არამედ აგრეთვე მის სულთანაც. ამოსავალი პრინციპი: მხოლოდ ადამიანია სამართლის სუბიექტი – გადაიქცევა სინამდვილედ დებულებაში: მხოლოდ ადამიანი, მაგრამ სწორედ ადამიანი, სხეულისა და სულის გარეშე გვევლინება სამართლის სუბიექტად.

რომ ფიზიკური მხარე ინდივიდისა სამართლისათვის სრულიად ინდეფერენტული სიდიდეა იმ შესაძლებლობის თვალსაზრისით, რომ მასში უფლების საფუძველი და ცენტრი დაინახოთ, ეს რაიმე უჭვს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ აგრეთვე ფსიქიკური პროცესები, რომელსაც ჩვენ ინდივიდის სულიერ ცხოვრებაში ვხვდებით, არსაყმარისია ამ მზნისათვის. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია ჩვენ მოუხზოთ ნების თეორიის გამოჩენილ წარმომადგენელს ვინდშიდს. ვინაიდან იგი უფლების არსს ნება-შესაძლებლობაში ხედავს, იძულებულია ამავე დროს დაუმატოს, რომ “სამართალი რეალური ნება კი არ არის, არამედ ნების შესაძლებლობა”<sup>44</sup>. ამ უკანასკნელ ცნებაში შეიძლება ვიგულისხმოთ ნასურვები, ნების შინაარსი, და, როგორც ჩანს, ვინდშიდი თვითონ აქ ამ თვალსაზრისისაკენ იხრება<sup>45</sup>, და ამის შემდეგ ის აუცილებელი კავშირი სამართალსა და ფსიქიკურ ინდივიდს შორის, რომელიც ნების თეორიიდან გამომდინარე ნების მომენტით არის გაშუალებული, ირლევანა და მტად აღარ არსებობს; ანდა, პირიქით, როგორც ამას უნვერი აკეთებს, უნდა ვაღიაროთ, რომ “იქ, სადაც არის შესაძლებლობა, უნდა იყოს აგრეთვე შესაძლებელი” /Durfendes<sup>46</sup>, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა ვაღიაროთ, რომ შესაძლებლობის მომენტის მიმატებით ნების მომენტისათვის, ეს უკანასკნელი არ ამოვარდება სულიერი ცხოვრებიდან, ფიზიკური ინდივიდის აუცილებელი კუთვნილების სფეროდან და მაშინ დავიცავთ ჩვენ დოგმას, რომ მხოლოდ ფიზიკური ინდივიდი გვევლინება უფლების საფუძველად, თუმცა მასში ჩვენ გაგვიჭირდება სამართლებრივი ცხოვრების

<sup>41</sup> როგორც ამას იერიწი ფირობდა, Geist, III, I, 342 იერიწის მოსაზრებების წინააღმდეგ ნახეთ ამ საყთხებზე ლერნბურგის საფუძვლიანი შენიშვნები, Pandekter, I, S. 140 ff.

<sup>42</sup> Zittelmann, Begriff und Wesen der sogenannten juristischen Personcn, erste Auflage, S. 21 ff.

<sup>43</sup> Brinz, Pandekten, I, S. 199.

<sup>44</sup> Pandekten, I, S. 49 შენიშ. 2, შესამე გამოცემა.

<sup>45</sup> ნახ. Pandekten, I, S. 91 /მეოთხე გამოცემა, შენიშ. 2/.

<sup>46</sup> ციტირებულია ბრინცის მიხედვით, S. 201.

სფეროს ბევრი შემთხვევის ახსნა<sup>47</sup>. თუ ჩვენ მოვლედ შევიჩრდებით სხვა ძირითად ნაყოფანებებზე იმ თეორიისა, რომელიც ფიზიკურ ინდივიდში ხედავს უფლებისა და სამართლებრივი ურთიერთობის საყრდენს /den Mittelpunk/ და ბუნებრივ ამოსავალ წერტილს, იმ ძირითად ნაყოფანებებზე, რომელთა ახსნას ჩვენ წინა გვერდებზე საქმარა ყურადღება დაუეთეთ, შევიძლია იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ამ მოძღვრებაში იურიდიულ ფუნდამენტზე დაფუძნებული სამართლებრივი ურთიერთობებისაგან წარმოებული ფორმებისათვის ფიზიკური პირის ცნება გამოუსადეგარია. ძნელი არ უნდა იყოს აგრეთვე იმის მიხვედრა, თუ რატომ არის ეს ასე. ფიზიკური ინდივიდის ცნება იურიდიული კატეგორია კი არა, ბუნებრივი მოვლენაა, რომლის მნიშვნელობა სამართლებრივი რეგულირების სისტემაში არა იმანენტური ნიშნით, არამედ იურიდიული რელევატობის მეოხებით განისაზღვრება, რომელიც სამართლის მეშეობით უკავშირდება ფიზიკურ ინდივიდს როგორც ფაქტიურ მოცემულობას.

სულ უფრო უახლოვდებით სამართლის სუბიექტის პერსონალური სტატუსის თეორიების ჩვენთვის საინტერესო საკითხს. ამ თეორიებში არის იდეა, რომ უფლებათა ჯამი /die Summe/ განსაზღვრულ სისტემას წარმოადგენს, რომელშიც ვაჟულობთ, სწორად ამოვიცნობთ სხვისი მეოხებით სამართლის და სამართლებრივი ურთიერთობების დაფუძნებას. ეს ნათლად დაგვანახა რეგელსბერგერმა<sup>48</sup>, რომელიც იმ უფლებებში, სუბიექტის იურიდიულ სტატუსს რომ შეადგენენ, ანდა, როგორც თვითონ რეგელსბერგერი გამოხატავს, სამართალში პიროვნების პირველ და უმნიშვნელოვანეს უფლებას ხედავს. ანალოგიური აზრი შეიძლება ვნახოთ აგრეთვე სხვა ავტორებთანაც<sup>49</sup>. სამწუხაროდ, შეხედულებებს, რომლებსაც ჩვენ აქ ვხედებით ორი ძირითადი ნაკლი აქვთ. პირველია ის, რომ ჩვენ მათში ვერ ენახულობთ ზუსტ ახსნას იურიდიული სტატუსის ცნებისა, ახსნას იურიდიული ურთიერთობის ნაწარმოები ფორმების მნიშვნელობისა; მეორეც ის, რომ აქ სრულიად აუხსნელია ან ყალბად არის გაშუქებული იმ ურთიერთობების ბუნება, რომელიც სამართლის სუბიექტის იურიდიული სტატუსისა და სამართალუნარიანობის ცნებებს შორის არსებობს. ყველა ამ საკითხს აუცილებლად უნდა შეეხებოთ ახლა.

პირველ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ უნდა მოვანახოთ ის განსხვავება, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, პიროვნების უფლებებსა და მეორე მხრივ, სამართლის სუბიექტის იურიდიულ სტატუსს შორის. ეს განსხვავება მხოლოდ იმით აიხსნება საკმარისი სისრულით, რომ იურიდიული სტატუსი დამახასიათებელია არა მარტი ფიზიკური, არამედ იურიდიული პირისათვის, მაშინ, როცა უფლებები პიროვნებისა, როგორც ეს ლიტერატურაშია აღნიშნული, უმეტესწილად მხოლოდ ფიზიკურ პიროვნებასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. რასაკვირველია, აღნიშნული უნდა იქნეს, რომ ეგრეთ წოდებული პერსონალური უფლებების საფუძველი და დამახასიათებელი თავისებურება მათი საგნობრივი შინაარსით განისაზღვრება, რომლის მეოხებითაც ისინი სხვა უფლებებისაგან უნდა განსხვავდებოდნენ. აქედან, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს ის, რომ

<sup>47</sup> ეინდშაიდს თვითონ ეს დასკვნა არ გამოჰყავს; ეინაიდან იგი ამით აღიარებს უსუბიექტო უფლების არსებობას. Pandekten, I S. 122, 125, შენიშ. 5, იღებს ის ამით აგრეთვე უფლების არსებობას ფიზიკურ პირთან მისი აუცილებელი კუთვნილების გარეშე.

<sup>48</sup> Regelsberger, Pandekten, I S. 42.

<sup>49</sup> S. Bruns, Die heutige römische Recht, Holzendorfs Enzyklopädie, III, Aufl. S. 554.

ყოველი სხვა ამ უფლებებისა, ასე ვთქვათ, იურიდიული ერთიანობის დამოუკიდებლობასა და თავისებურებას გამოხატავს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არსებობს არაერთიანი ერთიანი ნიშანი, რომელიც საერთო იქნებოდა ყველა ამ უფლებისათვის და რომლის საფუძველზე ისინი სამართლებრივი მოვლენების განსაზღვრულ კატეგორიას შექმნიდნენ. ეს საერთო ნიშანი შეიძლება იმაში კი არ დაეინახოთ, რომ ამ უფლების დამახასიათებელი იქნება რომელიმე სამართლის სუბიექტისადმი კუთვნილება, როგორც ამას სწორად შენიშნავს უნგერი<sup>30</sup>, ისინი იქნებიან არა მხოლოდ პერსონალური უფლებები, არამედ უპირატესად ყოველგვარ უფლებას შეიძლება ახასიათებდეს ეს თვისება. შეიძლება ეს თვისება აგრეთვე დაცვის ფორმების აბსოლუტური დაცვა თავისებურებაში დაეინახოთ, ვინაიდან ეს უკანასკნელი არასოდეს არ შეიძლება გახდნენ სამართლებრივი მოვლენების მეცნიერული გამოიჯენის საფუძველი<sup>31</sup>. საბოლოოდ არ შეიძლება ეს ნიშანი დაეინახოთ მის გადატანითობაში /in ihrer Unubertragbarkeit/, ვინაიდან ეს ნიშანი, ერთი მხრივ, არ შეიძლება ახასიათებდეს ყველა უფლებას, რომლებიც ჩვეულებრივ პერსონალურ კატეგორიას მოიცავს, ხოლო მეორე მხრივ, სხვა უფლებებსაც არ შეიძლება ჰქონდეს იგივე ხასიათი.

მეორეც, აქედან აუცილებლობით გამომდინარეობს ის, რომ თუ პერსონალური უფლებების სხვა უფლებებისაგან გამოიჯენის საფუძველად აღებული იქნება მათი საგნობრივი შინაარსის თავისებურება, რომ თუკი მოხერხდება ყველა უფლებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშანი აღმოჩენილი იქნეს ამ საგნობრივ შინაარსში, ეს უკანასკნელი მაინც სტრუქტურების ახსნისას, თვითონ უფლებების წმინდა იურიდიული განსხვავებისა და ამიტომაც აგრეთვე იურიდიული ურთიერთობისათვის საყმარისი არ იქნებოდა; მაგრამ ამ უკანასკნელში არის სამართლებრივი ურთიერთობის ნაწარმოები ფორმებისაგან იურიდიული სტატუსის გამოიჯენის ძირითადი ინტერესი. საგნობრივი შინაარსი არ გვეკლინება, როგორც ჩვენ წინა გვერდებზე უკვე გვაქვს მითითებული, ასე ვთქვათ, საწყისი სიდიდედ, რომელიც განსაზღვრავს შესაბამისი სამართლის და სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიულ ბუნებას. პირიქით, მისი ხასიათი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თვითონ სამართლებრივი რეგულირების არსებული სისტემების თავისებურების მეოხებით განისაზღვრება. ამიტომაც გასაკებია, რომ ის არ შეიძლება იყოს წმინდა შინაგანი და სტრუქტურული განსხვავების საფუძველი მის მიერვე განსაზღვრულ სამართლებრივ ფენომენებს შორის.

ნათქვამიდან აუცილებელია გავაყოთოთ ის დასკვნა, რომ რამდენადაც პიროვნების უფლებათა დამახასიათებელი თავისებურება მათსავე საგნობრივ შინაარსში ჩანს, ისინი არ შეიძლება გამოვილინდეს ურთიერთობის ნაწარმოები ფორმების დამაფუძნებელ ცენტრებად. ზოგიერთი უფლების მიმართ, რომლებიც ჩვეულებრივ პერსონალურ უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნებიან<sup>32</sup>, ეს თავისთავად გასაკებია.

მაგრამ იმ შემთხვევებშიც, სადაც უფლებები რომლებიც პერსონალურ უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნებიან, დამაფუძნებელ ფუნქციას ასრულებენ. ამ უკანასკნელს თავისი საფუძველი მიღებული აქვს არა ამ უფლებათა საგნობრივი შინაარსის

<sup>30</sup> ნახ. Unger, System des österreichischen allgemeinen Privatrechts, vierte Auflage, I, S. 505.

<sup>31</sup> იხ. Unger, ib. I, S. 512-515. Bierling, Kritik, II, S. 155; Regelsberger, S. 421, შენიშვნა 5. იგივე: Ihering, Geist, III, შენიშვნა 447a.

<sup>32</sup> იხ. S. Regelsberger, I, S. 42. Gambaroff, I, S. 420.



თავისებურებაში, არამედ თავისი იურიდიული სტრუქტურის თავისებურებაში, იმ თავისთავადობაში, რომელიც მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც ეს უფლებები შესული არიან როგორც ერთ-ერთი ელემენტი თვითონ იურიდიული სტატუსის შინაარსში. პერსონალური უფლებების ცალკეული სახეების ანალიზის დროს ადვილად შეიძლება დაერწმუნდეთ, რომ არა ყველა, არამედ ზოგიერთი მათგანი ისეთ სამართლებრივ ფორმებს უახლოვდება, რომლებიც ჩვენ სტატუსის ცნებით გვაქვს აღნიშნული და დამაფუძნებელი ფუნქცია ამ უკანასკნელისა ამიტომაც იმით არ არის განსაზღვრული, რომ ისინი პერსონალური უფლებები არიან, არამედ იმის მეოხებით, რომ ისინი იურიდიული სტატუსის ცნებასთან განსაზღვრული ფორმით არიან დაკავშირებული. ამის შესაბამისად მას /ესე იგი ფუნქციას/ პერსონალურ უფლებებში პრინციპული /grundsatzlichen/ კი არა, წარმოებული /abgeleiteten/ ხასიათი აქვს.

იურიდიული სტატუსის ცნების ახსნისათვის იმ აზრით, როგორც იგი ჩვენ გვესმის, უნდა გაემიჯნოთ ის აგრეთვე სტატუსის ცნებისაგან, რომელიც ჩვეულებრივ მიღებულია თანამედროვე ლიტერატურაში. სხვათაშორის, ამ უკანასკნელის ძველი რომაული გაგება status hominis rezipierte<sup>33</sup> ხედავს მასში ინდივიდისთვის საზოგადოებაში მიყუთუნებულ სამართლებრივ მდგომარეობას, სპეციალურ როლს, რომელსაც იგი აქ ასრულებს<sup>34</sup>. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ცნება აიხსნება "სახელმწიფოსთან ინდივიდის კვალიფიციციური ურთიერთობის"<sup>35</sup> აზრით. ამისათვის ზოგიერთი ავტორი იურიდიულ სტატუსს უმატიებს აგრეთვე შემდგომ დახასიათებას, რომელიც იმით ელონდება, რომ მასში პიროვნების კონკრეტული უფლება კი არ ჩანს, არამედ ასე ვთქვათ (sozusagen) საუბუკველი, რომელსაც შეიძლება ისეთი ცალკეული უფლებაც დაუკავშირდეს, რომელიც თვითონ ის უფლებაც არ ჩაითვლება<sup>36</sup>.

ყველა ეს დეფინიცია შეუძლებელია მიღებული იქნეს არსებითი სრულყოფის გარეშე. უფრო დაკვირვებული განხილვის შედეგად ჩვენ შეგვიძლია იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ სწორი მტკიცებები ამ ყალბ მტკიცებებს გადაეყრება ხოლმე და ამიტომაც საჭიროა ამ მასაში ნამდვილი მტკიცება ყალბისაგან გამოეარჩიოთ.

<sup>33</sup> ასეთი გაგება ნახ. Parnice, Labeo, I, S. 576 f.  
<sup>34</sup> Wächter, Handbuch des im Königreich Württemberg geltenden Privatrechts, II, S. 288 ff. Bruns (Holtzendorfs Enzyklopädie) S. 355; Baugarten, Wissenschaft vom Recht und ihre Methode, 1922, Th. II, S. 153. Bandry, Lacantineric, Precis de droit civil, septième édition, I, P. 59> "...situation juridique particuliere de la personne ce role special qu'elle joue dans la societe, c'est ce qui constitue son etat, status". ფრანგი ავტორები ხედავენ ამ სტატუსში პიროვნების განსაკუთრებულ უფლებას, საკუთრების უფლების მსგავსს, რომლის დაკვა ხდება განსაკუთრებული მოთხოვნების მეოხებით. სტატუსის ცნების შემდგომი ანალიზიდან ცხადი უნდა გახდეს, რომ არ არსებობს საკუთრივ არაერთი სტატუსის სამართალი, არამედ არის მხოლოდ სტატუსისა, როგორც განსაზღვრულ იურიდიულ ფორმასა და განსაზღვრულ ინდივიდს როგორც იურიდიულ რეუენატორ სიდიდეს შორის კავშირის აღიარების უფლება, ამ რეუენატობის აღიარების უფლება. შესაბამისი მოთხოვნები არიან მხოლოდ ამ უფლების იურიდიული დაკვის ფორმები. საწინააღმდეგო აზრი არის მხოლოდ შესაძლებელი საფუძველი იმისა, რომ ფიციური ინდივიდი თავისთავად მართლწარმოცხადების დამოუკიდებელი სიდიდისა და იურიდიული სტატუსი მისი აუცილებელი ატრიბუტია. ნალოვანება ასეთი მტკიცებისა, რომელიც სინამდვილის მრავალ ფაქტს ეწინააღმდეგება, შემდგომში ახსნილი იქნება.

<sup>35</sup> Jellinck, System der subjektiven öffentlichen Rechte, Zweit. auf. S. 83.  
<sup>36</sup> Jellinck, System, S. 65-84; იხ. აგრეთვე Bandry, Lacantineric, I, p. 59; @Des droits et des devoirs decoulaent ponr chaque personne de son etat... აგრეთვე გვ. 60. ამაში ნათლად ჩანს საჭირო უფლების ცნებისა და სამართლებრივი სტატუსის ცნებას შორის არსებული განსხვავება.

სწორია ის მტკიცება, რომ იურიდიული სტატუსი სამართლის სუბიექტისა ქმნის საფუძველს, რომელზეც უნდა იქნეს დამყარებული ცალკეული უფლებები<sup>57</sup> მაგრამ ყალბია ის მტკიცება, რომელიც ამ საფუძველში ხედავს "ხანგრძლივ ურთიერთობას ინდივიდისა სახელმწიფოსთან"<sup>58</sup>, იმ თვისებები ჯამს, რომლებითაც ინდივიდზე ზრუნავს სახელმწიფო, უფლების საჯარო კვალიფიკაციას ამ უკანასკნელისა<sup>59</sup> კიდევ უფრო მყარო დეფინიცია იურიდიული სტატუსისა იმ სამართლებრივი მდგომარეობის აღნიშვნის აზრით, რომელიც ფაქტიურად უჭირავს კონკრეტულ ინდივიდს მართლწესრიგის ურთქციონირების ამა თუ იმ მომენტში. ასეთი გაგების დროს სტატუსის ცნება შეიძლება მხოლოდ მუდმივად ცვალებადი სამართლებრივი ურთიერთობების ჯამს აღნიშნავდეს. ერთობლიობა, რომელთანაც დაკავშირებული იქნება ეს სამართლებრივი ურთიერთობები, თავის არსებობას უნდა უმაღლოდეს წმინდა გარეგან მომენტს, სახელდობრ, მიერთება /Anheftung/ ერთსა და იმავე "მატარებელთან" /Träger/. აქედან აქვს მას აგრეთვე ერთიანი ხასიათი, რომელიც ემყარება სამართლებრივი ურთიერთობების ცალკეული სახეების შინაგან განსხვავებულობას, ურთიერთობების ერთმანეთზე დაფუძნებას. ნათქვამიდან ადვილად შეიძლება გავიგოთ, რომ სტატუსის ცნება ინდივიდის კონკრეტული სამართლებრივი მდგომარეობის აღნიშვნის აზრით სრულიად გამოუსადეგარია იმ იურიდიული ურთიერთობების ცალკეული სახეების სტრუქტურული სხვადასხვაობის ახსნისათვის, რომლებიც დაკავშირებული არიან ამ სამართლებრივ მდგომარეობასთან. და ეს ხდება იმიტომ, რომ აქ ამოსავალ წერტილად სტატუსის განსაზღვრის დროს აღებულია არა წმინდა იურიდიული მასშტაბი, არა საფუძვლადღებული იურიდიული ელემენტის თავისებურება, არამედ აქ, პირიქით, სტატუსის ცნებაში იგულისხმება ყველა იმ ელემენტის ერთობლიობა, რომლებიც წმინდა გარეგნული, წმინდა იურიდიული ანალოგის თვალსაზრისით არაარსებითი ცენტრის გარშემოა კონცენტრირებული. ბუნებრივია, ასეთი გაგების დროს იურიდიული ურთიერთობების ცალკეული სახეების შინაგანი განსხვავების საკითხი ჩრდილში უნდა დარჩეს. თუკი კონკრეტულ ინდივიდში სტატუსის იურიდიული ბუნების საყრდენს დაინახავთ, მაშინ ჩვენ თვითონ მოვიჭრით გზას სტატუსის იურიდიული მნიშვნელობის ახსნისათვის. ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხედვრა, რომ იმ იურიდიული ურთიერთობების კონკრეტული "მატარებლის" საკითხი, რომლებიც თავის ერთობლიობაში ქმნის სტატუსს აქ მიღებული მნიშვნელობით, იმ საყრდენის საკითხი, რომელსაც განამყარებს /befestigt/ ყველა ეს ურთიერთობა, არცთუ ნაკლებად არის მოწყვეტილი იმ იურიდიული ურთიერთობების ბუნებაში შინაგანი განსხვავებულობის საკითხს, რომლებიც აქ გარეგანი და გარკვეული აზრით შემთხვევითი ერთობლიობით არიან დაკავშირებული. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ ამ "მატარებლის" ცნების აბსტრაქტიზებას მოვახდენთ იმ ცნებისაგან, რომელიც არა მარტივ იურიდიული წარმონაქმნების განსხვავებული ფორმების დანაწევრების, არამედ, პირიქით, ამ განსხვავებათა წაშლის პრინციპადაც შეიძლება იქცეს, მაშინ, როცა იმ იურიდიული ურთიერთობების ცალკეული სახეები, ასე ვთქვათ, მოყვანილი იქნეს ერთი /წმინდა

<sup>57</sup> Jellinek, S. 56 "...რომლის საფუძველზე ხდება მხოლოდ შექმნა და დაცვა ცალკეული უფლებისა... მუდმივი კონკრეტული სამართლებრივი მდგომარეობის ცვალებადობაში".

<sup>58</sup> ib. S. 6.

<sup>59</sup> ib. S. 56, 58, 81.

გარეგნული/ საერთო მნიშვნელობის ქვეშ, აღმოვაჩინეთ ჩვენ მხოლოდ იურიდიული საფუძვლების და მათი გაერთიანებების შინაგანი სტრუქტურული განსხვავებულობის პრობლემას.

შემდგომი ანალიზის შედეგად ცხადი უნდა იქნეს, რომ სტატუსის ცნება ზემოთ განხილული აზრით როგორც შედეგი უკეთ ფუნქციონირებისათვის გამზადებული სამართლებრივი სისტემის დანაწევრებისა მასში, მისი ყოველ მოცემულ მომენტში წარმოქმნილი, კონკრეტული წესით გამიჯნული /ესე იგი გამიჯნული არა შესაბამისად იურიდიული ელემენტების ბუნებაში ობიექტური განსხვავებულობისაგან, არამედ უმთავრესად უფლებამოვალეობათა კონკრეტული "მატარებლის" შესაბამისად/ სამართლებრივ კომპლექსში აღმოცენდება. მაგრამ სამართლებრივი რეგულირების სისტემაში, რამდენადაც ეს უკანასკნელი უკვე იურიდიულად შესაძლებელი აღსრულებითობის სტადიაში იმყოფება, მართლწესრიგის ისევე დაფუძნებული იურიდიული წარმონაქმნები იგულისხმება, როგორც აგრეთვე სამართლებრივი ურთიერთობების ნაწარმოები სახეები. და თუკი აქ გამიჯნის საფუძვლად მიიღება იურიდიული ურთიერთობის კონკრეტული გაერთიანება მისი კონკრეტული მატარებლის ირგვლივ, მაშინ თვალსაჩინო უნდა იყოს ის ერთიანობები, რომლებსაც ჩვენ ვიღებთ აქ როგორც შედეგს ასეთი გამიჯნისა, რომლის საზღვრებში ასახულია ის სტრუქტურული განსხვავებულობა, რომელიც თავის საფუძველს ცალკეული ელემენტების იურიდიული ბუნების თავისებურებაში ფლობს, რომლებისგანაც იქმნება თითოეული ეს ერთიანობა. შეცდომა აქ იმაშია, რომ სტატუსის ცნება უკვე მოქმედი /funktionierenden/ სამართლებრივი სისტემის /და თანაც არა თვითონ მისივე იურიდიული ელემენტების თავისებურების თვალსაზრისით/ თავის შემადგენელ ნაწილებად დაშლის მეოხებით გესურს მივიღოთ, მაშინ, როცა აღნიშნული ცნება იმ ძირითად მომენტს, იმ ძირითად იურიდიულ პირობებს წარმოადგენს, რომელმაც პირველად სამართალბრუნვის /Rechtsverkehr/ ცალკეული, წმინდა იურიდიული ელემენტები იურიდიულად შესაძლებელ აღსრულებადობაში უნდა მოიყვანოს. აქედან ადვილი გასაგებია, რომ სტატუსის ცნების აზრი უნდა იქნეს კონკრეტული "მატარებლის" მიხედვით სამართლებრივი რეგულირების მოქმედი სისტემის დანაწევრებასთან კავშირის გარეშე.

აქ მითითებული ნაკლი, სახელდობრ, ის მიდრეკილება, რომ იურიდიული სტატუსის ცნების არსი განსაზღვრული მატარებლის პიროვნებაში დაეინახოთ, შეიძლება ადვილად აღმოვაჩინოთ აგრეთვე სამართლებრივი სტატუსისათვის შემუშავებულ მოძღვრებაში. რომელიც ელინეკის თეორიიდან გამომდინარეობს. ამ ავტორის თვალსაზრისით სტატუსის ცნება ემთხვევა პიროვნების ცნებას, მაგრამ ეს უკანასკნელი სხვა არააფერია, თუ არა "ინდივიდის კვალიფიცირებული ურთიერთობა სახელმწიფოსთან"<sup>50</sup>. სამართლებრივი სტატუსი ამ თვალსაზრისით არ წარმოადგენს არავითარ თავისთავად და პიროვნებისაგან დამოუკიდებელ კატეგორიას, არამედ მხოლოდ ინდივიდის დახასიათებას თავის დამოკიდებულებაში სახელმწიფოსთან. გარდა ამისა, რამდენადაც აღნიშნული ცნება ელინეკის თვალსაზრისით იურიდიულად ემთხვევა პიროვნების ცნებას, არ წარმოადგენს იგი აგრეთვე დამოუკიდებელ ცნებას იმ აზრით, რომ იგი თავდაპირველად და

<sup>50</sup> Jb. S. 85.

<sup>51</sup> Jb. S. 82.

სრულყოფილად თვითონ სახელმწიფოსაგან წარმოიშობა<sup>61</sup>. დასასრულ შემდგომ დახასიათებას ამ ცნების ავტორი მიყავს იმ დასკვნამდე, რომ იურიდიული სტატუსი უფლება კი არა, მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობაა<sup>62</sup>; ინდივიდის იმ განსაკუთრებული მდგომარეობიდან რომელსაც სტატუსს უწოდებენ, წარმოშობილი იურიდიული შესაძლებლობები, თუ კონკრეტულად გვესურს გამოვხატოთ, ატარებს არა უფლებით ხასიათს ამ სიტყვის ზუსტი აზრით, არამედ ის მხოლოდ საჯაროსამართლებრივი პრეტენზია<sup>63</sup>. ყველა იმ პრინციპის კრიტიკა, რომლებიც მოკლედ გამოხატავენ ელინეკის კონსტრუქციის არსს ჩვენთვის აქ საინტერესო საკითხში, შეიძლება პირველ რიგში წმინდა იმანენტური თვალსაზრისით. სწორედ ამ თვალსაზრისით შეიძლება მივეუთოთ, რომ რამდენადაც პიროვნების ცნების არსი იმ თვისებათა ერთობლიობაში უნდა იქნეს დანახული, რომლებსაც სახელმწიფო ინდივიდს ანიჭებს, უკვე თვითონ სახელმწიფო იურიდიული პირის სახით, როგორც ამას თვითონ აკეთებს ელინეკი<sup>64</sup>, არ შეიძლება კონსტრუირებულ იქნეს. დებულება – “სახელმწიფო ქმნის პიროვნებას”<sup>65</sup>, რამდენადაც მასში უნდა დავინახოთ სახელმწიფოს მიერ შექმნილად აღიარებული პიროვნების ყოფიერების პირობა, რამდენადაც, ამრიგად, პიროვნება ამ დებულების აზრის მიხედვით, როგორც რაღაც წარმოებულად სახელმწიფოს მიერ უნდა იქნეს გაგებული, გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ამ უკანასკნელში, ესე იგი თვითონ პირობაში სამართლის სუბიექტის იურიდიული პირის წარმოშობა დაეინახოს. სახელმწიფოსათვის იურიდიული პირის ხასიათის მინიჭებაზე უარის თქმა აუცილებლობით უნდა მივეყვანოს იმ დასკვნამდე, რომ ხანგრძლივი ურთიერთობა ინდივიდისა სახელმწიფოსთან, რომელშიც ელინეკი ხედავს საფუძვლს როგორც იურიდიული სტატუსისა, ისევე აგრეთვე იურიდიული პირისა, არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივი ურთიერთობად.

აქედან აუცილებლობით გამომდინარეობს აგრეთვე ის, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ზემოთაღნიშნული ურთიერთობა ინდივიდისა სახელმწიფოსთან არ მიეკუთვნება სამართლის კატეგორიას, აშკარაა, მას თავისთავად არ შეიძლება ჰქონდეს იურიდიული მნიშვნელობა; ისეთი არსებითი სამართლებრივი ფენომენები, როგორც იურიდიული პირი და იურიდიული სტატუსია, იმით, რომ ზემოთ აღნიშნულ ურთიერთობას სახელმწიფოსთან იურიდიული ურთიერთობის ხასიათი ეძლევა, მასინ სამართლებრივი ურთიერთობის ცნების ანალოზის დებულებით იმ დასკვნამდე მივდივართ, რომელიც არსებითად არ შეესაბამება ავტორისეულ დებულებას. ყოველი იურიდიული ურთიერთობა აუცილებლობით გულისხმობს ურთიერთყოველმხრივ ელემენტების – უფლებებისა და მოვალეობების – არსებობას. იურიდიულად შესაძლებელი განხორციელების სტადიაზე ეს ელემენტები თავისი კუთვნილების მიხედვით განსაზღვრული სუბიექტებისადმი, ანდა უფრო ზუსტად რომ გამოვხატოთ, იურიდიულად რელევანტური ფაქტებისადმი ერთსა და იმავე სუბიექტის ხელში კი არ უნდა იყოს კონცენტრირებული, არამედ სულ მცირე ორ სუბიექტს შორის უნდა განაწილდეს. არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი უფლება, რომელიც ერთსა და

<sup>61</sup> იბ. S. 58, 84.

<sup>62</sup> იბ. S. 58.

<sup>63</sup> იბ. S. 28-35.

<sup>64</sup> იბ. S. 82.

იმევე სამართლის სუბიექტისათვის მოვალეობაც იქნებოდა<sup>66</sup>. ყოველი სამართლებრივი ურთიერთობა აღნიშნავს არა სამართლებრივ მდგომარეობას ინდივიდისა, არამედ ურთიერთდამოკიდებულებას მათთან /ესე იგი ინდივიდებთან/ დაკავშირებული უფლებებისა და მოვალეობებისა. ამ გარეგან კუთვნილებას /Zugehörigkeit/ “მატარებლისადმი” /“Trägern”/ აქვს, როგორც ზემოთ უკვე იყო მითითებული, მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობის გადასვლის პირობის მნიშვნელობა იურიდიულად შესაძლებელი აღსრულებადობის სტადიაში და თავისი არსის მიხედვით მიეკუთვნება სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული განხორციელების საკითხს და არა შინაგან, წმინდა იურიდიული თავისებურებებისა და სტრუქტურული განსხვავებულობის, ამ სახით განხორციელებული იურიდიული ფორმების საკითხს. აქედან ნათელია, რომ წმინდა იურიდიული შინაარსი როგორც ყოველი სამართლებრივი ურთიერთობისა კონკრეტულ შემთხვევაში, ისევე აგრეთვე მისი კომპლექსისა მათ კონკრეტულ “მატარებელთან” /“Trägern”/ ყოველგვარი კავშირის გარეშე შეიძლება იქნეს და უნდა იქნეს ახსნილი დამოუკიდებლად ამ მატარებლისადმი კუთვნილების საკითხისა, ესე იგი იმ საკითხებთან კავშირის გარეშე, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ დამოკიდებულება აქვთ სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიულად შესაძლებელი განხორციელების პირობებისადმი. აქ ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის ცნება თავისი შინაარსის მიხედვით არ ემთხვევა ინდივიდის სამართლებრივი მდგომარეობის ცნებას. თუ ჩვენ სამართლებრივ ურთიერთობას თავისი წმინდა ფორმითაც, ესე იგი უფლებისა და მოვალეობის დამოკიდებულობის აზრითაც კი ამ მივიღებთ, არამედ მივიღებთ მისი განხორციელების იმევე სტადიაზე. თუ ეს გამოვიხილავთ დახასიათებული იქნეს ამ მატარებელთან სამართლებრივი მდგომარეობის აზრით, ეინაიდან ეს ამ შემთხვევებში განსაზღვრავს არა დასრულებულ და ყოველი ამ მატარებლისათვის შეზღუდულ /abgegrenzte/ სამართლებრივ სფეროს, არამედ იურიდიულ ფორმას მათი ორმხრივი /gegenseitigen/ ურთიერთობისა.

ძირითად დასკვნას, რომელიც ჩვენ ზემოთ გაკეთებული ანალიზის შედეგად მივიღეთ, მიეყვარათ სამართლებრივი სტატუსის ცნებიდან ისეთი არაიურიდიული ელემენტების განდევნისაკენ /Ausmerzung/, როგორც არის ინდივიდის მატარებლის ცნება და ა.შ. ასეთი გამოჯენის შედეგად მივიღებთ ჩვენ, ასე ვთქვათ, წმინდა იურიდიულ ძირითად დებულებას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ისეთი სამართლებრივი ელემენტებისაგან შედგება, რომელთაგანაც შეიძლება იქნეს კონსტრუირებული სტატუსის ცნება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იურიდიულ კატეგორიად შეიძლება იქნეს კონსტრუირებული. მხოლოდ შემდგომი, სახელდობრ, ამ ელემენტების გაერთიანების მიხედვით განსაზღვრული წესით შემოფარგლული კომპლექსის ერთიანობაში, ერთიანობაში, რომელშიც თავმოყრილია იურიდიული სტატუსის ცნების აზრი და შინაარსი, ვლინდება მნიშვნელობა სამართლის სუბიექტისა, როგორც იურიდიულად რელევანტური სიდიდისა, რომელიც ქმნის

<sup>66</sup> ლიტერატურაში ხშირად მოყვანილი მაგალითი, რომ საჯარო უფლებები ერთსა და იმავე დროს მოვალეობებია, დამყარებულია აშკარა გაუგებრობაზე. დაწერილებითი განხილვისას ძნელი დასადგენი არ უნდა იყოს, რომ ჩვენ აქ უაქტიურად უფლებებისა და მოვალეობების დამთხვევასთან არა უნდა გავკონდეს საქმე, არამედ ორ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომლებზე, თუკი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული, არსებითად მაინც განსხვავებულია როგორც მათი ადრესატების, ისევე აგრეთვე საგნობრივი შინაარსის მიხედვით.

გარდევალად საჯარო პირობებს შერღვეული იურიდიული კომპლექსის /ესე იგი სტატუსის/ გადასვლისას იურიდიულად შესაძლებელი აღსრულებითობის სტადიაში.

მნიშვნელობა ამ სტატუსისა სამართლებრივი რეგულირების სისტემაში ჩანს უმთავრესად სამართლებრივი ურთიერთობის წარმოებული ფორმების დაფუძნებაში. ამ როლის ახსნა შესაძლებელია მხოლოდ სტატუსის იურიდიული არსის ახსნის გზით, იმ კანონზომიერებაში შედრევის გზით, რომელიც განსაზღვრავს ურთიერთკავშირის სხვადასხვა სახის იურიდიულ წარმონაქმნებს შორის სტრუქტურული თვალსაზრისით.

რომ იურიდიული ურთიერთობის ნაწარმოები ფორმებისაგან სტატუსის გამიჯვნისას არ შეიძლება სამართლებრივი ურთიერთობების ლიტერატურაში მიღებული დანაწილების გამოყენება ურთიერთობებად *ius cogens*-ად და *ius dispositum*-ად, ამაზე უკვე იყო მითითებული წინა გვერდებზე. ჩვენ დაეინახეთ, რომ იმ სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში, რომლებიც ატარებენ *ius cogens*-ის ხასიათს, ნაკლებად გვხვდება შინაგანად დაფუძნებული ურთიერთობები და აქედან აუცილებლობით გამომდინარეობს დასვენა, რომ არა ყველა ურთიერთობა *ius cogens*-სა მარტო მისივე წყალობით იურიდიულად დაფუძნებულ ცენტრებად არ შეიძლება განხილულ იქნეს. ამის მეოხებით, რომ ბუნებრივია, არ არის გამორიცხული იდეა, რომ სამართლებრივი ურთიერთობის ცალკეული სახეების გამიჯვნის დროს ნების მომენტს, თუ ყოველთვის არა, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც დიდი მნიშვნელობა უნდა მიეწეროს. ფაქტიურად თუკი *ius cogens*-ის ურთიერთობის გამიჯვნისას *ius dispositivum*-ის ურთიერთობისაგან ამოსავალ წერტილად ნება იქნება მიღებული, ეს უკანასკნელი აქ მაინც გამოიყენება მხოლოდ როგორც აღნიშნა ინდივიდური ავტონომიისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს გამოიყენება როგორც აღნიშნა სოციალ-პოლიტიკური განსჯისა იმაზე, რომელი ურთიერთობა შეიძლება გადაეცეს ცალკეული პიროვნების ინდივიდურ ინიციატივას და რომელი, პირიქით, საჭიროებს იძულებით რეგლამენტაციას. ასეთი გაგებისას, ბუნებრივია, ნების მომენტს არასოდეს არ შეუძლია მიუთითოს იმ შინაგან, წმინდა იურიდიულ განსხვავებაზე, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობების ცალკეული სახეებისათვის არის დამახასიათებელი. მაგრამ ნების მომენტი არის იურიდიულად რელევანტური ფაქტი, რომელთანაც სამართლის /*das objektive Recht*/ მეოხებით განსაზღვრული, წმინდა იურიდიული შედეგები იქნება დაკავშირებული. და რამდენადაც იურიდიულ რელევანტობას თვითონ როგორც სამართლებრივ კატეგორიას, რომელიც სამართლებრივი რეგულირების მოქმედი სისტემის აუცილებელ ელემენტად გვევლინება, იმდენადვე შეუძლია აგრეთვე თვითონ ნებას, სახელდობრ, "ფაქტიური საფუძვლის" აზრით ამ რელევანტობის მნიშვნელობა მიიღოს, რომელიც მიუთითებს შინაგან, სტრუქტურულ განსხვავებაზე სამართლებრივი ურთიერთობების ცალკეულ სახეთა შორის. როგორც მათი მოცულობის, ისევე აგრეთვე მათი არსის მიხედვით განსხვავებული იურიდიული რელევანტობა ნების მომენტისა ამოსავალ წერტილად შეიძლება გახდეს იმ განსხვავების ფორმირების დროს, რომელიც არსებობს იურიდიულ ურთიერთობათა შორის. ეს განსხვავებები ძირითადად შემდეგნაირად შეიძლება აღნიშნულ იქნეს: კერძოსამართლებრივი ხასიათის გარიგებათა უმრავლესობაში კონტრაქტების ნება თითქმის განუსაზღვრელ როლს ასრულებს, და ამასთანავე როგორც თვითონ გარიგების ფორმირების დროს, ისევე აგრეთვე მისივე ფორმასთან დამოკიდებულებაში. ჩვენ ვამბობთ ამიტომ "თითქმის", ვინაიდან აქ აგრეთვე

კონტრაპენტებისათვის არავითარი აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს. თავისუფალი გარიგება კი უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ მოთხოვნებს: როგორც მისი შინაარსი /ეს არ შეიძლება, მაგალითად, კეთილ ზნეობას ეწინააღმდეგებოდეს/, ისევე აგრეთვე ზოგიერთი პრინციპული და იურიდიულად აუცილებელი ელემენტის მიმართ /მაგალითად, გარიგება, რომლის დროსაც არც მოვალეობა და არც უფლება არ იქნებოდა განსაზღვრული, ანდა მხედველობაში არ იქნება მიღებული არც განსაზღვრული ქმედება და არც განსაზღვრული საგანი გარიგებად ვერ ჩაითვლებოდა/. ამიტომ შეიძლება ამ გარიგებებს მხოლოდ რელატიურად თავისუფალი ეწოდოს. თავისუფლება აქ ელინდება, ერთი მხრივ, გარიგების დადებით და თავისი საგნის არჩევით /ბუნებრივია, უპირატესად სამართლის მიერ ნებადართული რიცხვიდან/. მეორე მხრივ, პირობების და მათი ფორმის დადგენით აგრეთვე კანონით ნებადართულ ჩარჩოებში.

უფრო დიდ შებლდვას შევნიშნავთ ჩვენ იმ იურიდიულ ურთიერთობებში, რომლებსაც ნახევრად თავისუფალი შეგვიძლია ვუწოდოთ და რომლებსაც მიეკუთვნებიან ზემო დასახელებული ურთიერთობები jus coe gens-ის წარმოებული ტიპისა. აღნიშნვის ღირსი თავისებურება ამ უკანასკნელისა მდგომარეობს იმაში, რომ მათში სამართლის მეოხებით იქნება დადგენილი, თანაც კონკრეტულად განსაზღვრული წესით, როგორც საგანი ურთიერთობებისა, ისევე აგრეთვე მათი ფორმა. სხვა დანარჩენი ელემენტი თავისუფლებისა აქ ელინდება მხოლოდ თვითონ ურთიერთობის თავისუფალი დამყარებით. ამ უკანასკნელ /ესე იგი დამყარების თავისუფლებაში/ დახასიათებაში მოხსენიებული ტიპის იურიდიული ურთიერთობა ემთხვევა იურიდიულ ურთიერთობათა ზემოთ აღნიშნულ ტიპებს. სხვა საერთო ნიშანი მათ შორის მქლავანდება იმაში, რომ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში იურიდიული ურთიერთობები, ეინაიდან მათი დადგენა თვითონ მართლწესრიგის მიერ იძულების წესით არ ხდება, ეს უკანასკნელი მათ მხოლოდ იცავს. თანაც მეორე ტიპის სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ ეს დაცვა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული, კონკრეტულად განსაზღვრული ფორმით შეიძლება გამოვლინდეს. ზოგ შემთხვევაში შეიძლება ეს დაცვა სისხლისსამართლებრივი სანქციით და სისხლისსამართლებრივი აკრძალვით იყოს აღჭურვილი. სხვა შემთხვევაში დადგენილი ფორმის დაუცველობას უბრალოდ მოსდევს შესაბამისი იურიდიული ურთიერთობის სამოქალაქო სამართლებრივი ეფექტის აულიარებლობა.

დასასრულ, სამართლებრივი ურთიერთობის ზემოთ აღნიშნული ტიპებისაგან განსხვავებით ენახულობთ ჩვენ კიდევ მესამე სახეს ამ ურთიერთობისა, რომლის არსებითი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის კონკრეტულად განსაზღვრული და იძულებითი წესით არის დადგენილი თვითონ სამართლის მიერ. აქ ინდივიდურ ნებას მოყლებულია არა მარტო საგნობრივი შინაარსი და იურიდიული ფორმა, არამედ აგრეთვე შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობების დადგენას არავითარი დამოყიდებულება არა აქვს ცალკეული პიროვნების ან პირთა ჯგუფის ინდივიდურ ნებასთან. ამით ურთიერთობაში ნების მომენტს, რამდენადაც უმთავრესად ზოგიერთ შემთხვევაში ის უკავშირდება ამ ურთიერთობის ცალკეულ სახეებს, აქ აქვს არა იურიდიულად რელევანტური ფაქტის მნიშვნელობა, არამედ მას ეძლევა ერთ-ერთი ფაქტორის მნიშვნელობა სამართლის რეალური განხორციელების პროცესში და მხოლოდ ამ აზრით მიიღება მხედველობაში ობიექტური მართლწესრიგის მიერ.

ზემოთ აღნიშნული განსხვავება სამართლებრივი ურთიერთობების სამ კატეგორიას შორის ეფუძნება სხვადასხვა მნიშვნელობას, რომელსაც ჩვენ თითოეულ მათგანში ნებას ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმ იურიდიული რელევანტობის სხვადასხვა მოცულობას ვანიჭებთ, რომელიც მათში ნების მომენტს მიეწერება. თავისთავად ეს განსხვავებები არ მიუთითებს ერთი იურიდიული ურთიერთობის დაფუძნებას მეორეს მეოხებით. ისინი გვაძლევენ ჩვენ მხოლოდ შესაძლებლობას იურიდიული ურთიერთობების კლასიფიკაცია მოვახდინოთ მათი ცალკეული ძირითადი ჯგუფების მიხედვით, ისე, რომ ერთი სიტყვაც რომ არ ვთქვათ იმაზე, რომელ მათგანს უნდა მიეწიროს ძირითადი მნიშვნელობა და რომელს "სტრუქტურის" მნიშვნელობა. უკანასკნელი საკითხის გადაჭრის დროს ორი მომენტი შეიძლება იქნეს მხედველობაში მიღებული: უპირველეს ყოვლისა, იურიდიული ურთიერთობის ცალკეული სახეები შედარებითი სამყაროს /Beharrlichkeit/ მომენტი და, მეორეც ერთი სამართლებრივი ურთიერთობის მეორის მეოხებით უშუალო ან გაშუალებული განპირობებულობის მომენტი. პირველი ამ მომენტთანავე თავის მხრივ მჭიდროდაა დაკავშირებული ცვალებადობის ცნებასთან თავისებურად, არაფერი რომ საერთო არ აქვს რეალური ცვალებადობის მქონე მნიშვნელობის ცნებასთან, რომელშიც /ლაპარაკია მნიშვნელობაზე, მთარ./ ის სამართლებრივი კატეგორიის, სპეციალურად სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება. რამდენადაც ამ უკანასკნელში რაღაც რეალური კი არა, ცალკეულ პიროვნებათა ერთმანეთს შორის რეალურად არსებული პროცესი კი არ იგულისხმება, არამედ მხოლოდ წმინდა იურიდიული გამოხატულება შესაძლებელი სოციალური ურთიერთობისა უფლებისა და მოვალეობის კორელაციურ ცნებებში, თვალსაჩინოა, რომ ცვლილებანი შეეხება არა თვითონ სამართლებრივ ურთიერთობებს, არამედ მხოლოდ იმ ფაქტიურ მოცემულობებს, რომლებთანაც ისინი დაკავშირებული არიან და რომლებსაც ჩვენ რელევანტური ფაქტების ცნებით აღვნიშნავთ.

სამართლებრივი ურთიერთობის ცვლილება ამ თვალსაზრისით სხვა არაფერია, თუ არა მისი გადატანა ერთი ფაქტიური გარემოებიდან მეორეში.

თუკი ამას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ ადვილად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ როგორც სიმყარის ცნება, ისევე აგრეთვე ცვლილების ცნება სინამდვილეში მიმართულია არა თვითონ იურიდიულ ურთიერთობაზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იურიდიულად რელევანტურ ფაქტებზე.

ყველა შესაძლებელი შემთხვევა ცვლილებისა უმთავრესად ფაქტების შესაბამისად შეგვიძლია ჩვენ ორ ძირითად სახედ დაყოთ: ცვლილებანი, ერთი მხრივ, განპირობებული ნების პროცესის მეოხებით და ცვლილებანი, რომლებიც ნებისაგან დამოუკიდებლად, ფორმის მიხედვით ბუნებრივ და აუცილებელ ცვლილებებად იქნება დანახული, მეორე მხრივ. პირველმა, ისევე, როგორც მეორემ, ესე იგი ნებითა აქტმა და ბუნებრივმა და აუცილებელმა ცვლილებებმა შეიძლება იურიდიულად მნიშვნელოვანი ხასიათი მიიღოს იმდენად, რამდენადაც სამართალი მათ იურიდიულ რელევანტობას აღიარებს. ამ უკანასკნელთა შესაბამისი სიმყარე ანიჭებს "მუდმივ" ხასიათს თვითონ სამართლებრივ ურთიერთობას ანდა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მის გამოყენებას კონკრეტულ ცხოვრებისეულ ურთიერთობასთან. სწორედ ამ აზრით ალებული მნიშვნელობა სამართლებრივი ურთიერთობების ცალკეულ სახეთა სხვადასხვაგვარი სიმყარისა, ჯერ კიდევ არ გამოხატავს იმ ურთიერთობის დაფუძნებას, რომელიც მათ შორის არსებობდეს



ეს ხდება იმიტომ, რომ სიმყარე აქ აღნიშნული მნიშვნელობით განისაზღვრება არა თვითონ სამართლებრივი ურთიერთობის შინაგანი სტრუქტურული განსხვავებით, არამედ მისი გამოყენების სიმყარით კონკრეტულ ურთიერთობებთან. ამიტომაც შეიძლება ცნების მნიშვნელობა სამართლებრივ ურთიერთობებს შორის დაფუძნების ურთიერთობის ახსნის დროს მხოლოდ არაპირდაპირი იყოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითონ დაფუძნების ურთიერთობის გარეშე თუ გამოვხატავთ, შეიძლება მან მხოლოდ გარეგანი ნიშანი მოგვცეს ასეთი ურთიერთობის არსებობა.

ზემოთ ნათქვამი გასაგებს ხდის, რომ დაფუძნების ურთიერთობის ახსნისას მთავარი ყურადღება მიმართული უნდა იყოს ცალკეულ სამართლებრივ ურთიერთობათა შინაგან სტრუქტურულ განსხვავებულობაზე ერთი მათგანის მეორის მეოხებით განპირობებულობის თვალსაზრისით. ეს განსხვავებანი ადვილად შეიძლება აღმოვაჩინოთ მთლიანობაში მართლწესრიგზე ყურადღებით დაკვირვების დროს; ამ უკანასკნელის მთლიანობაში, როგორც ჩვენ უკვე გვექონდა მითითებული, ეხვდებით ჩვენ განსაზღვრულ იურიდიულ წარმონაქმნებს, იმ ცენტრების როლს რომ ასრულებენ, რომელთა გარეშე მოგვუფლებიან სამართლებრივი ურთიერთობების წარმოებული ფორმები.

ერთმანეთის საპირისპირო ურთიერთობას ამ იურიდიულ წარმონაქმნებს შორის, ერთი მხრივ, და წარმოებულ სამართლებრივ ურთიერთობებს შორის, მეორე მხრივ, განესაზღვრავთ ჩვენ დამფუძნებელ ურთიერთობად. ახლა ჩვენ უნდა შევჩერდეთ იმ თვისებაზე, რომელიც ამ ურთიერთობას ახასიათებს, უფრო დეტალურ განხილვაზე მისი შინაგანი შინაარსისა. და სწორედ ამასთან დაკავშირებით, ესე იგი ურთიერთობის ანალიზის დროს გამოყენებული უნდა იქნეს ზემოთ მოყვანილი ნების მომენტი, რომლის მოცულობის მიხედვით განსხვავებული იურიდიული რეგულაციონა, როგორც უკვე მითითებული იქნა, ერთი მხრივ, არის იურიდიული წარმონაქმნების ცალკეულ სახეთა შინაგანი სტრუქტურული განსხვავებულობის ასახვა და ამიტომაც გარკვეული აზრით აგრეთვე გვეკვლინება მათ შორის დამფუძნებელი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ ნიშნად. სწორედ ეს უნდა იყოს ადვილად გასაგები, რომ ის ურთიერთობები, რომლებიც დადგენილი არიან სამართლის მიერ კონკრეტულ-განსაზღვრული წესით, რომლებშიც, ამრიგად, კონტრაქტების ინდივიდუალური თვითგანსაზღვრის შესაძლებლობა გამოიციხულია, წანამდევრულ ხასიათს იმ იურიდიული ურთიერთობებისათვის ატარებენ, რომლებიც ინდივიდუალური ნების გამოვლინების საფუძველზე აღმოცენდებიან. და ეს ხდება იმიტომ, რომ ნების გამოვლინების იურიდიული ფუნქტი მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც თვითონ ნების მატარებელი /Träger/ სამართლის მიერ უკვე როგორც იურიდიული ურთიერთობების იმავე სამართლის მიერ დადგენილ საფუძველბთან განსაზღვრულ დამოკიდებულებაში მყოფად არის აღიარებული. აქედან ჩვენ ვამბობთ, რომ არა მარტო ის იურიდიული ურთიერთობები, რომლებშიც ნების გამოვლინება კონტრაქტებისა განსაზღვრულია როგორც თვითონ სამართლებრივი ურთიერთობების დადგენაში, ისე აგრეთვე მისი საგნისა და ფორმის მიმართ, არამედ აგრეთვე ის ურთიერთობებიც, რომლებშიც ნების შეზღუდულობა მხოლოდ ურთიერთობების დადგენაში /Jus cogens-ს სამართლებრივი ურთიერთობების წარმოებული სახეებისა/ შეღავანდება, წარმოებულ ხასიათს ატარებენ და მხოლოდ მასში შეიძლება არსებობდნენ, მაშინ, როცა ადრე ისინი დამაფუძნებელ იურიდიულ ცენტრებად არიან მოცემული. ისინი გამოხატავენ, ასე

ეთქვათ, შემდგომ დეტალიზირებას მართლწესრიგისას, ზემოთ აღნიშნულ იურიდიულ ცენტრების საფუძველზე წარმოშობილ ახალ, პოტენციურად უკვე ადრე განსაზღვრულ, სხვადასხვა ფორმებს იურიდიული ურთიერთობისა, რომლებიც მართლწესრიგის კონკრეტულ სიციცხლეს შეადგენენ. მაგრამ თითოეულ მათგანში აუცილებელი წესით იგულისხმება მათი დამაფუძნებელი ძირითადი ცენტრი, რომელიც წარმოადგენს "მუდმივს კონკრეტული სამართლებრივი მდგომარეობის ცვალებადობაში"<sup>67</sup>.

დამფუძნებელი ფუნქცია ამ ცენტრებისა მელანდება იმაში, რომ მხოლოდ გარკვეულ, მათ მიმართ ინდივიდის ნების გამოვლინების იმ ურთიერთობას მიენიჭება იურიდიულად რელევანტური ხასიათი, რომელთანაც დაკავშირებულია განსაზღვრული იურიდიული ეფექტი; მხოლოდ მას შემდეგ არის ინდივიდი უკვე განსაზღვრულ ცენტრთან დაკავშირებული, ესე იგი მისი მდებარეობა აქვს განსაზღვრული იურიდიული საფუძველი /Grundstellung/, როცა მისი ქმედებები იურიდიულად რელევანტურ ხასიათს მიიღებენ იმ კონკრეტული სტატუსის შესაბამისად, რომლებშიც ის ჩაყენებული არის.

აქედან აიხსნება აგრეთვე ისიც, რომ არა მარტო იურიდიული ურთიერთობები, არამედ აგრეთვე იურიდიული რელევანტობაც ყოველთვის არ ავლენს ერთ განსაზღვრულ იურიდიულ შინაარსს და რომ იურიდიული ურთიერთობების მსგავსად იურიდიულად რელევანტური ფაქტებიც საფუძვლიან და წარმოებულ ფაქტებად შეიძლება იქნეს დანაწილებული. ზემოთ მოყვანილი იურიდიული ურთიერთობების წარმოებული სახეები, როგორც ჩვენ დავინახეთ, არიან ინდივიდის ნების გამოვლინებასთან, როგორც იურიდიულად რელევანტურ ფაქტებთან დაკავშირებული; მაგრამ ამ ფაქტების რელევანტობა ატარებს თვითონ წარმოებულ ხასიათს, განისაზღვრება სუბიექტის სამართლებრივი მდგომარეობის მეოხებით, ესე იგი განისაზღვრება იმით, რომ ძირითადი ფუნქციონი, როგორც მისი გამოვლინება /ესე იგი ეს ფაქტი – მოცემულ შემთხვევაში ნების გამოვლინება/, უკვე იურიდიული რელევანტობით არის აღჭურვილი. ყოველივე ამან ადვილად შეიძლება წარმოშვას იდეა, რომ რელევანტური ფაქტების ცალკეულ სახეთა შორის არსებობენ დამაფუძნებელი ურთიერთობები, მსგავსად იმ დამაფუძნებელი ურთიერთობებისა, რომლებიც არსებობენ სამართლებრივ ურთიერთობებსა და მათგან სრულიად დამოუკიდებელ ურთიერთობებს შორის, და მანაც ასეთი ანალოზი ოდნავადაც არ ემთხვევა სინამდვილეს. ეს აუცილებლობით გამოდინარეობს იქიდან, რომ ფაქტებს შორის ურთიერთობები თავისთავად გვევლინებიან არა როგორც დამაფუძნებელი ურთიერთობები, არამედ მუდამ მხოლოდ როგორც კაუზალური ურთიერთობები. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ერთმანეთთან კავშირში მყოფი იურიდიულად რელევანტური ფაქტები /და სახელდობრ მათი რელევანტობის საფუძველზე/ უმრავლეს შემთხვევაში კაუზალურად არ არიან დაკავშირებული და, პირიქით, უმეტეს წილად არ არსებობს კავშირი მათ შორის /მათი რელევანტობის თვალსაზრისით/ მაშინაც კი, როცა ისინი მიზეზობრივად არიან დაკავშირებული. ყოველივე ეს ადვილად აიხსნება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ერთმანეთის განმაპირობებელი ურთიერთობა მოცემულ შემთხვევაში იურიდიულად რელევანტურ ფაქტებს შორის კი არა, არამედ ფაქტების იურიდიულ რელევანტობას შორის არსებობს, ესე იგი იმ თვისებებს შორის, რომელთა მატარებლად ფაქტიური მოცემულობანი არა თავისთავად, მათი ობიექტური შინაარსის წყალობით გვევლინებიან.

<sup>67</sup> Jellinek, System, S. 56.

არამედ მხოლოდ რამდენადაც ისინი სამართლის მიერ ამ თვისებებით ხდებიან აღჭურვილი. ბუნებრივი კაუზალური კავშირი ცალკეულ ფაქტებს შორის მხოლოდ იმდენად ხდება მხედველობაში მისაღები სამართლის მიერ იურიდიული რელევანტობის განსაზღვრული კლასიფიკაციის დადგენის დროს, რამდენადაც ეს მოქმედი სამართლის სისტემისათვის არის საჭირო, რამდენადაც კონკრეტული სისტემა სამართლებრივი რეგულირებისა თავისი შინაგანი კანონზომიერების გამო ასეთი კავშირებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მაგრამ იურიდიული რეგულირების ამ მოთხოვნებმა შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ ერთი რელევანტობის მეორეს მეოხებით სუქცესიური დაფუძნების საფუძველად აღებული იქნება ის ფაქტები, რომლებიც ერთმანეთთან კაუზალურად არ არიან დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში არარსებული ფაქტიური კავშირები მოვლენებს შორის დამატებული იქნება იმ ურთიერთობის მეოხებით, რომ ამ მოვლენებს შორის ეს კავშირი თვითონ სამართლის მიერ იქნება შექმნილი<sup>68</sup>. ამ ფაქტს აქვს უზარმაზარი მნიშვნელობა ბევრი სამართლებრივი ინსტიტუტის ახსნის დროს, კერძოდ, ლეგალური წარმომადგენლობის, საჯაროსამართლებრივი წარმომადგენლობის იურიდიული ანალოზის დროს, სამართლებრივი ორგანოს ახსნისათვის და ა.შ.

ყველა ამ საკითხზე ჩვენ განზრახული გვაქვს შეეჩერდეთ ჩვენი ნაშრომის მეორე ნაწილში. ახლა კი მივუბრუნდეთ სხვაგვარ განსხვავებას, რომელიც ძნელი შესაძინევი არ უნდა იყოს იურიდიული რელევანტობის ცალკეულ სახეთა შორის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამ უკანასკნელის დანაწილება მარტივად და რთულად. მოცემულ შემთხვევაშიც ეს დანაწილება არ ემთხვევა ობიექტურ განსხვავებას მარტივ და რთულ ფაქტებად. ეს ჩანს ნათლად იმ შემთხვევებში, როცა მარტივი იურიდიული რელევანტობა მარტივ ფაქტებთან კი არა, მათ კრებადობასთან იქნება დაკავშირებული. ამის ნიმუშად აქ შეიძლება გამოდგეს კოლექტიური ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც თავისი ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით იმ ცალკეულ ინდივიდთა და ფიზიკურ განცდათა ერთობლიობისაგან შედგება, რომლებიც ამ ორგანოს ქმნიან, მაგრამ რომელთაგან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ ერთი, მკაცრად განსაზღვრული რელევანტობა არის დაკავშირებული. სხვა მხრივ გვხვდება ჩვენ აგრეთვე ისეთი შემთხვევებიც, როცა მათი არსის მიხედვით მარტივი ფაქტი შეიძლება გამოდგეს სხვადასხვა რელევანტობის "საფუძველად". ამის ნიმუშად შეიძლება გამოდგეს განსაზღვრული ასაკის მიღწევა, რომელიც როგორც საჯაროსამართლებრივ /საარჩევნო უფლება/, ისევე აგრეთვე კერძოსამართლებრივ /საქორწინო ურთიერთობის დამყარება/ ურთიერთობაში რელევანტურ ფაქტად შეიძლება მოგვევლინოს.

მართლწესრიგის ცხოვრებაში გვხვდება სწორედ ზემოთ მოყვანილი განსაზღვრულ სახედ ერთმანეთთან შეკავშირებული იურიდიული რელევანტობის ცალკეული სახეები, რომელთა მეოხებით ყოველი მართლწესრიგისათვის ჩამოყალიბდება ინდივიდური სისტემა, ფაქტიურ

<sup>68</sup> დიდი შეცდომა იქნებოდა კავშირის ასეთ დადგენაში სამართლის მიერ შექმნილი ფიქცია დაგვენახა. ასეთი კავშირი თუმცა არ იქნებოდა ფაქტიური სინამდვილე, მაგრამ ის სრულიად შესაძინევი იურიდიულ სინამდვილეს. ნაყოფანება ფაქტიური კავშირისა მოვლენათა შორის ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ შორის კავშირის შესაძლებლობის უარყოფას საზოგადოდ, ენაიდან ფაქტიური კავშირი არ არის ერთადერთი შესაძლებელი და საყარაულო კავშირი საგანთა შორის.

“ძირითად ფონდს” რომ ქმნის, რომელზედაც სამართლებრივი ურთიერთობების ძირითადი ფორმები განვითარდება. დამაფუძნებელი ურთიერთობანი, რომლებიც ჩვენ ამ იურიდიული ფორმების ფარგლებში ზემოთ გვაქვს აღნიშნული, იმყოფებიან აუცილებელ ურთიერთობაში იმ კანონზომიერებასთან, რომელიც განსაზღვრავს ურთიერთკავშირის იურიდიული რელევანტობის ცალკეულ სახეთა შორის. ეს აუცილებელი ურთიერთობა ვლინდება იმაში, რომ ძირითადი იურიდიული ფორმები შეიძლება დაკავშირებული იქნეს ძირითად იურიდიულ რელევანტობასთან, რომლის წარმოებული ფორმები მანც იმ ფაქტიური ურთიერთობების აუცილებელ ცვლილებებთან არის დაკავშირებული, რომელთა ძირითადი რელევანტობა აღიარებულია, ცვლილებებთან, რომლებსაც, თავის მხრივ, /წარმოებულ/ რელევანტური ხასიათი აქვთ, ანდა ნების გამოვლინებებთან, რომლებსაც ცალკეულ შემთხვევებში განაპირობებს სხვადასხვა რელევანტური ხასიათი როგორც თვითონ ნების მატარებლის იურიდიული რელევანტობის მეოხებით, ისევე აგრეთვე ზემოთ აღნიშნული აუცილებელი და ერთსა და იმავე დროს რელევანტური ცვლილებების მეოხებით მათში. ახლახან ნათქვამიდან ვხედავთ ჩვენ, რომ ნების მომენტი, რომელიც ზემოთ წარმოდგენილი იყო იურიდიული ურთიერთობების ცალკეულ სახეთა განმასხვავებელ პრინციპად მათი სუქცესიური /successive/ დაფუძნების მიმართ, თავის მნიშვნელობას იმაში ამჟღავნებს, რომ ის წარმოადგენს იურიდიულ ურთიერთობათა ერთობლიობისაგან განსაზღვრული ჯგუფის გამიჯვნის საფუძველს, რომელიც /ესე იგი ჯგუფი/, ასე ვთქვათ, ერთმანეთზე ამყნებული იურიდიული ფორმების პირამიდის მწვერვალზე დგას. ამ ჯგუფის გამორიცხვის შემდეგ დარჩენილი იურიდიული ურთიერთობები თავის ფარგლებში გვიჩვენებენ შინაგან განსხვავებებს, შინაგან დამაფუძნებელ ურთიერთობებს, რომელთა საფუძველში დევს განსხვავება იმ ფაქტიური მოცემულობების ძირითად რელევანტობასა და იურიდიულ რელევანტობებსა და აუცილებელ ცვლილებებს შორის, რომელთა ძირითადი რელევანტობა აღიარებულია. ასეთი შინაგანი განსხვავების მეოხებით ხდება აქ ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ამრიგად, იურიდიულ ურთიერთობათა წარმოებული სახეებისა, ერთი მხრივ, და მათი დამაფუძნებელი იურიდიული ფორმებისა, მეორე მხრივ.

ზემოთ ჩვენ მიუვითეთ ნების მომენტზე როგორც ამოსავალ წერტილზე იურიდიული ურთიერთობების ცალკეულ სახეთა principium divisionis-ის ახსნის დროს. დასკვნები, რომლებიც ჩვენ ახლა მივიღეთ, გვიჩვენებენ, რომ აღნიშნული მომენტი შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ იურიდიული ურთიერთობების განსაზღვრული ჯგუფების გამიჯვნის საფუძველს. მაგრამ ის შინაგანი განსხვავებანი, რომლებსაც ჩვენ დარჩენილი იურიდიული ურთიერთობების ერთობლიობის ფარგლებში აღმოვაჩინეთ, სხვა მომენტს უნდა საჭიროებდნენ, სახელდობრ, იმ ფაქტიური მოცემულობების აუცილებელი და იურიდიულად რელევანტური ცვლილებების მომენტს, რომელსაც სამართლის მიერ ძირითადი რელევანტობის ხასიათი აქვს მინიჭებული. ორივე ეს მომენტი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს მათი მნიშვნელობის მიხედვით ერთი იურიდიული ურთიერთობის მეორის მეოხებით დაფუძნების პროცესში, არამედ შეიძლება საკვებით იქნეს ახსნილი ერთი ძირითადი ცნებით. და ეს ხდება იმიტომ, რომ ნების მომენტი აქ თავისი შინაგანი, წმინდა ფსიქოლოგიური მდგომარეობის მიხედვით კი არ იქნება აღებული, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმ ცვლილებების თეალსაზრისით, რომლებსაც ის მისთვის სამართლებრივ ბრუნვაში მინიჭებული იურიდიული რელევანტობის მეოხებით ასრულებს. მხედველობაში მიიღება ის როგორც რელევანტური ფაქტორი. ამ

ცვლილებებისა და ამ ურთიერთობაში /ესე იგი სამართლებრივ ბრუნვაში მის მიერ შესრულებული ფუნქციის თვალსაზრისით/ ის არაფრით განსხვავდება ზემოთ აღნიშნული ფაქტიური მოცემულობების აუცილებელი და რელევანტური ცვლილებებისაგან. თუ აქედან გამოვალთ, შეიძლება მივიღოთ დასკვნამდე, რომ ურთიერთდაფუძნების მიმართ, ნაცვლად სამგვარი დანაწილებისა, საზოგადოდ უნდა მოხდეს იურიდიული ურთიერთობების ორ ძირითად ჯგუფად დანაწილება: იურიდიული ურთიერთობები, რომლებიც ფაქტიურ მოცემულობებთან ძირითადი რელევანტობის ხასიათით არიან დაკავშირებული და ურთიერთობები, რომლებიც წარმოებულ რელევანტურ ფაქტებთან არიან დაკავშირებული.

პირველ კატეგორიას ამ ურთიერთობებისა ქმნის სწორედ ის, რაც ჩვენ ზემოთ დამაფუძნებელი ძირითადი იურიდიული ცენტრების ცნებით აღვნიშნეთ, რაც უცვლელი "კონკრეტული სამართლებრივი მდგომარეობის ცვალებადობაში", რაზედაც ელინეკი ლაპარაკობს, ის ამოსავალი იურიდიული დებულებაა, რომელზედაც აშენებულია სამართლებრივი ურთიერთობების წარმოებული სახეები და რომლებიც ქმნიან სტატუსის ნამდვილ იურიდიულ მდგომარეობას ამ სიტყვის ზუსტი გაგებით. თავისთავად ეს მდგომარეობა /dieser Bestand/ თავისი წმინდა იურიდიული შინაარსის მიხედვით გამოხატავს უფლება-მოვალეობის ურთიერთობის მოქმედ იურიდიულ ფორმას. იმ ფაქტიურ მოცემულობებთან კავშირის მეოხებით, რომლებსაც ძირითადი რელევანტობა მიეწერება, ეს ფორმები, უპირველეს ყოვლისა, როგორც ზემოთ უკვე იქნა მითითებული, გადადიან იურიდიული მოქმედების მდგომარეობიდან იურიდიულად შესაძლებელი აღსრულებადობის მდგომარეობაში და შეიძენენ ისინი, ამრიგად, ამ ფაქტებში იმ "საყრდენ პუნქტებს", რომელთა წყალობით მხოლოდ მოქმედი სამართლის სისტემის კონკრეტულ სინამდვილესთან შემხებლობას ვიღებთ. ერთსა და იმავე დროს ასრულებს ეს კავშირი აგრეთვე სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან ფუნქციას მართლწესრიგის ცხოვრებაში, ფუნქციას არსებულ სამართლებრივი ფორმების დიფერენცირებისა განსაზღვრულში წესით გამიჯნულ სამართლებრივ კომპლექსებად. რელევანტურ ფაქტებს, რომლებთანაც სამართლებრივი სტატუსია დაკავშირებული, აქვთ მუდამ რთული ხასიათი /უფრო სწორად - აქვთ რთული რელევანტობა/, თანაც მხოლოდ მათი ცალკეული ელემენტების /თავისთავად აგრეთვე რელევანტურის/ გარკვეული კომბინირების წყალობით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოიქმნება ინდივიდური ხასიათის სტატუსი როგორც განსაზღვრული ძირითადი იურიდიული ურთიერთობების შემოფარგლული სფერო /einer abgegrenzten Sphäre/. ყოველი ასეთი ინდივიდური წარმონაქმნი იწყებს თავისით იურიდიულად კონკრეტულ რიგს დაფუძნებულ. ესე იგი წარმოებულ ფორმებს სამართლებრივი ურთიერთობებისა. თანაც ძირითადი ცენტრის ძირითადი რელევანტური ფაქტების მდგომარეობაში გადასვლა სხვა წევრებად აუცილებლად განპირობებულია გარკვეული ცვლილებების მეოხებით, იმ ცვლილებების მეოხებით, რომლებიც, თავის მხრივ, სამართლის განსაზღვრების ძალით, აგრეთვე იურიდიული რელევანტობის ხასიათისა.

ნათქვამიდან ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხედვრა, რომ იურიდიული სტატუსის კონკრეტული შინაარსი, ესე იგი იმ იურიდიული ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც მასშია ნაგულისხმევი, განსაზღვრული სამართლებრივი სისტემის ფარგლებშიც კი, ერთმანეთისაგან გამიჯნული იურიდიული სტატუსებისათვის არაერთარ სრულყოფილად თანაბარ ხასიათს არ ატარებს. ამის მიუხედავად, აქ ზოგიერთი საერთო ელემენტის არსებობა აუცილებელია, სახელდობრ, იმ ძირითადი იურიდიული ურთიერთობებისა,

რომელთა არსებობა ჩვენ გვაძლევს საფუძველს იურიდიული სტატუსის აღიარებისათვის ყოველი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში. კონკრეტული შინაარსი ამ ძირითადი მინიმუმისა, რომლის შემდგომი განაწილება, ესე იგი მიმატება იმ ძირითადი იურიდიული ურთიერთობების ახალი სახეებისა, რომლებიც ცალკეული სტატუსის სხვადასხვა იურიდიულ მოცულობას ქმნიან, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების ფარგლებში, სხვადასხვა ხასიათის, რომელიც განისაზღვრება იმ საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო ეკონომიკური და კულტურული პირობების მეოხებით, რომლებშიც შესაბამისი სამართლებრივი სისტემა აღმოცენდება. მიუხედავად ამისა, არსებობს მაინც ერთი განსაზღვრული საზომი /Masstab/, რომლის გამოყენების მეოხებით შესაძლებელია ყოველ კონკრეტულ სამართლებრივ სისტემაში ზემოთ აღნიშნული ძირითადი მინიმუმის ახსნა. ამ საზომის აზრით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს იურიდიული ურთიერთობების განსაზღვრულ სახეთა შემდგომი დაუფუძნებლობის მომენტი, ერთი მხრივ, და ამ უკანასკნელთა ერთიანობა ცალკეული ინდივიდური სტატუსის შინაარსისათვის, რომელიც მოცემულ სამართლებრივ სისტემაში ფუნქციონირებს, მეორე მხრივ.

იურიდიული სტატუსის ცნება, რომელიც ჩვენ ახლახან ზოგადად აეხსენით, გამოდგება იმ საფუძვლად, რომელზედაც იურიდიული პიროვნების პრობლემა უნდა გადაიჭრას. თანაც ამ უკანასკნელში ჩვენ გვეხმის როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. ამ ცნებით ჩვენ აღვნიშნეთ ზემოთ ისეთი იურიდიული წარმონაქმნები, რომლებიც, ასე ვთქვათ, იურიდიულ საყრდენებს მართლწესრიგისა, ლოგიკურად აუცილებელ წანამძღვრებს წარმოადგენენ სამართლებრივი რეგულირების ყოველი სისტემისა, რომელზედაც შინაგანი, წმინდა იურიდიული კანონზომიერების წყალობით კონკრეტული სამართლებრივი ბრუნვა განვითარდება..

იმისათვის, რათა აეხსნათ დიდი მნიშვნელობა ამ ცნებისა, იურიდიული სტატუსის ცნებისა იურიდიული პიროვნების პრობლემისათვის, საკმარისია იმაზე მითითება, რომ ამ უკანასკნელის ძირითადი შინაარსი არაფრით სხვით არ განისაზღვრება, გარდა ურთიერთობის მეოხებით იურიდიული სტატუსისადმი, იმ დაფუძნების მეოხებით, რომელიც სამართლის მიერ დადგენილია მასსა და ამ უკანასკნელს შორის. პიროვნება იურიდიული აზრით შეიძლება მხოლოდ ის იყოს, რომელიც განსაზღვრულ ურთიერთობაში იმყოფება სტატუსთან. ამ ურთიერთობის ხასიათისა და შინაარსის ზუსტ ახსნას აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა მრავალი იურიდიული პრობლემისათვის, უპირველეს ყოვლისა კი, იურიდიული პირის პრობლემისათვის, იმით, რომ მნიშვნელოვანი ზომით მისი გადაჭრა ამ თუ იმ აზრით წინასწარ განსაზღვრულია. ის, ვინც ამ ურთიერთობის არსს "ქონებაში" /'im Haben"/ ხედავს, თუკი ის თავის მსჯელობას ლოგიკაზე დაყრდნობით განავითარებს. იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ მხოლოდ ფიზიკური ინდივიდი შეიძლება იყოს პიროვნება იურიდიული აზრით. მაგრამ ქონების ცნებას იმ ნივთის ფაქტიური ფლობის მნიშვნელობით, რომელიც ინდივიდის გარეშე იმყოფება, არავითარი აზრი არ შეიძლება ჰქონდეს იურიდიული სტატუსის მიმართ<sup>69</sup> ამას თავისი საფუძველი აქვს იმით, რომ იურიდიული სტატუსი, მაშინ, როცა ის საგანი გნოსეოლოგიური აზრით, მაგრამ არ წარმოადგენს ასეთს ჩვეულებრივ სიტყვათხმარებაში, რომლის დროსაც საგანში ყოველთვის მხოლოდ ნივთი იგულისხმება, მაგრამ აშკარაა, რომ მხოლოდ ეს უკანასკნელი შეიძლება

<sup>69</sup> S. Julius Binder, Das Problem der Juristischen Persönlichkeit, S. 46 ff.

გახდეს ფაქტიური ფლობის ობიექტი. აქედან გასაგებია, რომ იმ თეორიისათვის, რომელიც ფიზიკური ინდივიდის სამართლისადმი საზოგადოდ და კერძოდ იურიდიული სტატუსისადმი დამოკიდებულების შინაარსს "ქონაში" /"im Haben"/ ხედავს, მხოლოდ ერთი გზა რჩება, სახელდობრ, უფლების მატერიალიზირების გზა: "თუ პიროვნებას აქვს ან ატარებს უფლებას, მაშინ პიროვნება ქონების ან ტარების შემძლებელია, უფლება საქონელი ან სატარებელია" /so muss die Person ein Haben oder Tragen-könnendes, das Recht ein Hab-oder Tragberes sein/.<sup>70</sup> თუმცა ასეთი განიხილება საფუძვლიანად ამახინჯებს ჭეშმარიტ ბუნებას უფლების, როგორც სამართლებრივი რეგულირების სისტემის ერთ-ერთი შინაგანი ელემენტისა. როგორც სწორად შენიშნავენ ბინდერი, "ნაცვლად დაეჭვებისა, რომ უფლება მხოლოდ საშუალებაა, რომელმაც ჩვენ უმაღლესი მგრძობელობის ობიექტის ქონების შესაძლებლობა მოგვცა, ამ თეორიამ ეს უფლება სიყუთესთან გააიგივა და ამით ის თავის საყუთარ ობიექტად აქცია"<sup>71</sup>. ამ თეორიის სიყალბე მდგომარეობს შესაბამისად არა მხოლოდ იმაში, რომ ის ცვლის ჭეშმარიტ შინაარსს სამართლის ცნებისა, რომელიც თავის მეოხებით მხოლოდ ურთიერთობას გამოხატავს, ერთი დამოუკიდებელი და ცალკეული ნივთის ცნებით, არამედ უმთავრესად იმაში, რომ ის საეხებით ჭეშმარიტ ბუნებას სამართლისას საზოგადოდ, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების საშუალებათა ერთობლიობას გვერდს უვლის. საერთის ამ მხარეს ჩვენ ჯერ კიდევ წინა გვერდებზე მივაქციეთ ყურადღება.

ამრიგად, თუკი ურთიერთობა, რომელიც ფიზიკურ ინდივიდსა და იურიდიულ სტატუსს შორის არსებობს, არ შეიძლება "ქონების" ცნებით იქნეს გამოხატული, რისი მეოხებით მოხდება მაშინ დახასიათება ამ ურთიერთობისა? წინა გვერდებზე ჩვენ შევჩერდით სამ საფუძვლიან და ერთადერთ შესაძლებელ ფორმზე ურთიერთობისა წმინდა სამართლებრივ ელემენტებსა და არაიურიდიული ხასიათის გამოვლინებებს შორის. თუ ჩვენ ყოველივე იქ ნათქვამს გავიხსენებთ, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ინდივიდის დამოკიდებულება სტატუსისადმი, რამდენადაც ის /ინდივიდი/ იურიდიული პიროვნების ფორმით გვევლინება, არ შეიძლება დახასიათებული იქნეს არც ურთიერთობად სოციალ-ეკონომიკური პირობებისა სამართლებრივი რეგულირების დადგენილი ფორმებისადმი და არც ურთიერთობად სამართლებრივი ურთიერთობების წმინდა იურიდიული ელემენტებისა ამ უკანასკნელის საგნობრივი შინაარსისადმი. ეს გვესახება ჩვენ ისე უდავოდ და თავისთავად გასაგებად, რომ ზედმეტად მიგვაჩნია ამ საერთისზე დაწერილებითი მსჯელობა.

გერჩება მესამე ფორმა ურთიერთობისა /სამართალსა და არასამართლებრივ ელემენტებს შორის/, რომელიც ჩვენ იურიდიული რელევანტობის ცნებით აღვნიშნეთ. აქედან თვალსაჩინოა, რომ ეს ურთიერთობა, რომელიც არსებობს ფიზიკურ ინდივიდს როგორც სამართლებრივ სუბიექტსა და იურიდიულ სტატუსს შორის, სწორედ ამ ფორმაში უნდა იქნეს გამოხატული. ნამდვილად, თუ უფრო დაწერილებით განვიხილავთ, იმას, რაც ჩვენ პიროვნებად სამართლებრივი ჯრით გვეხმის, მაშინ ძნელი არ იქნება იმ დასკვნის გაკეთება, რომ შინაარსი ამ ცნებისა საეხებით ამოიხსნება იურიდიული რელევანტობის ცნებაში. საფუძველი და საყოველთაოდ აღიარებული დახასიათება სამართლის სუბიექტისა, რომელშიც იურიდიული პირის შინაარსი უნდა დავინახოთ, გამოიხატება

<sup>70</sup> Binder, op. cit, S. 48.

<sup>71</sup> Binder, ib.

უფლებადუნარიანობის ცნებაში. და თუ ამ ცნების შინაარსს სწორად წარმოვიდგენთ, არ შეიძლება არ მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ ის, რაც ამით ჩვეულებრივ სამართლის მეცნიერებაში აღინიშნება, საესეებით ემთხვევა ძირითადი იურიდიული რელევანტობის ცნებას – სამართალუნარიანობა ამ თვალსაზრისით სხვა არააფერია, თუ არა უნარი /რომელიც სამართლის მიერ არის მინიჭებული/ იყოს ზემოთ აღნიშნულ ძირითად იურიდიულ ცენტრებთან სამართლის მიერ აღიარებულ ურთიერთობაში. მაგრამ შინაარსს ამ ურთიერთობისა, მის სპეციფიკურ ხასიათს არ შეიცავს არც “ქონება” და არც “ტარება”, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სამართლის მიერ დადგენილი და განსაზღვრულ ფაქტიურ მოცემულობებთან დაკავშირებული ძირითადი რელევანტობა, რომლითაც დაფუძნებული სამართლებრივი ურთიერთობების შესაძლებელი ფორმები შედიან იურიდიულად შესაძლებელი აღსრულებადობის სტადიაში. სამართლის სუბიექტად გვევლინება ამ თვალსაზრისით ის, ვინც ამ ურთიერთობაში იმყოფება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის, ვისაც სამართლის მიერ ძირითადი იურიდიული რელევანტობის ხასიათი მიეწერება. სამართლის სუბიექტის ან პიროვნების თვისება იურიდიული აზრით არის ამიტომაც არა აღნიშვნა ფიზიკური ინდივიდის იმანენტური თვისებებისა, არამედ აღნიშვნა სამართლის განსაზღვრული ურთიერთობისა განსაზღვრულ ფაქტიურ მოცემულობებთან, ურთიერთობასთან, რომლის სპეციფიკური შინაარსი იმაში ვლინდება, რომ ამ უკანასკნელს იურიდიული რელევანტობის ძირითადი ხასიათი მიენიჭება. ამიტომაც გვეჩვენება ჩვენ საესეებით სწორად ზოგიერთი ავტორის მითითება<sup>72</sup>, რომ პიროვნების ცნება იურიდიული აზრით თავისი შინაგანი შინაარსის მიხედვით სხვა არააფერია, გარდა ურთიერთობის ცნებისა და ამასთანავე /ჩვენი თვალსაზრისით/ ორმაგი მიმართულებით: უპირველეს ყოვლისა, ურთიერთობის აზრით იურიდიული სტატუსისადმი, რომლის /ესე იგი ურთიერთობის/ შინაარსს შეიცავს იურიდიული რელევანტობის ცნება და, მეორეც, იურიდიული ურთიერთობის აზრით სხვა სამართლის სუბიექტთან იურიდიული სტატუსის საფუძველზე, რომელთანაც კავშირი დამყარებული იქნება პირველი კატეგორიის ურთიერთობით.

ზემოთ მეტად ზოგადად და ძირითად ხაზებში გადმოცემული იყო იურიდიული პირის ცნების აზრისა და მნიშვნელობის მოძღვრება, რომლის ახსნა განსაზღვრული ფაქტიური მოცემულობის იურიდიული რელევანტობით ერთი შეხედვით შეიძლება პარადოქსალად მოგვეჩვენოს. თავისთავად გასაკები ჩანს, რომ უფლება, რომლითაც ესა თუ ის პიროვნება არის აღჭურვილი, ყველაზე უფრო უშუალო, ყველაზე უფრო ინტიმური კავშირში უნდა იდგეს სამართალუნარიანი პიროვნების ნებასა და ინტერესებთან და, ასე ვთქვათ, იურიდიულმა პირმა ამ უკანასკნელთა არსებობისა უნდა გამოხატოს და ამიტომაც გარდაუვალი ჩანს ის დასკვნა, რომ მხოლოდ პირი, რომელიც უნარიანია ჰქონდეს ნება და ინტერესი, ესე იგი მხოლოდ ფიზიკური ინდივიდი შეიძლება იყოს სამართლის სუბიექტი. ამით ნამდვილად შეიძლება აეხსნათ ძირითადი აზრი გაბატონებული მოძღვრებისა იურიდიული პირის საკითხზე. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ თუ ამ მტკიცების პირველ ნაწილს დავეთანხმებით, დასკვნაც გარდაუვალი ჩანს, და ეს მოხდება იმიტომ, რომ ესა თუ ის დეფინიცია უფლების ცნებისა საფუძველშივე უკვე წინასწარ განსაზღვრავს იურიდიული პირის შინაარსის წინასწარ გაგებას. მაგრამ ჩვენ სწორედ ზემოთ მოტანილ

<sup>72</sup> S. Binder, op. cit. 3.



მტკიცებათა პირველი ნახევარი საფუძველშივე ჩათვალეთ ყალბად. წინა გვერდებზე ჩვენ დაწერილებით შეგწერდით იმის ახსნაზე, თუ რატომ არის, რომ არც ნება და არც ინტერესი არ შეიძლება გამოდგეს თვითონ უფლების შინაგანი შინაარსის გამოხატულებად და ამიტომაც ვერ ვხედავთ აქ ვერაფერს საჭიროებას ხელახლა დაუბრუნდეთ ამ საკითხს. მაგრამ თუ უარს ვიტყვით უფლების გათავისებების შესაძლებლობაზე ნებასთან ან ინტერესთან, ვერ შევძლებთ იმის უარყოფას, რომ ამ მოვლენებს შორის გარკვეული კავშირი არსებობს. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ მართლწესრიგის ფუნქციონირების შედეგად ცალკეული პიროვნების თუ გარკვეული ჯგუფის ესა თუ ის ინტერესი თავის რეალურ განხორციელებას პოულობს და რომ ყველაზე პირველად აქამდე მიიყვანს მოქმედი სამართლის სისტემის ყველა განსაზღვრებას. ამიტომ არ შეიძლება არცერთი თეორია, როგორც არ უნდა იყოს ის აგრეთვე დაცული ამ ელემენტების სრული გათავისებების იდეისაგან, რომელსაც აქ მოტანილი ფაქტები გვერდს აუვლიან და აუცილებლად უნდა ახსნას კავშირი, სამართალსა და ნებას ან ინტერესს შორის რომ არსებობს. წინა გვერდებზე ეს ჩვენთვის შეუძლებელი იყო იმდენად, რამდენადაც ჩვენი საკუთარი თვალსაზრისი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ აქ აღნიშნული ფაქტების მიმართ ამა თუ იმ ავტორის დამოკიდებულება შეიძლება მხოლოდ უკვე გარკვეული თეორიის მიხედვით იქნეს განხორციელებული. ამიტომაც ჩვენ ახლა საკვებით ზოგადი სახით მინც უნდა შევჩერდეთ ამ საკითხზე. ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ ნების მომენტები და ინტერესის მომენტები, რომელთაგან ყოველი ცალ-ცალკე და ორივე ერთად უფლების არსის დეფინიციის დროს ირელევანტურ სიდიდეებად გვეჩვენება, სოციალურ ურთიერთობაში, ესე იგი მათი გავების თვალსაზრისით როგორც ინდივიდური ან კოლექტიური მიზნების განხორციელების სოციალური პროცესების შემადგენელი ნაწილები, არაერთი წესით არ გამოირჩევიან ერთმანეთს და ისინი ორივე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ აქ მოხსენიებული პროცესების განხორციელებისათვის. ამიტომაც ის დაუა, რომელიც სამართლის მკვლევარის სფეროში, ერთი მხრივ, ნების თეორიისა და მეორე მხრივ, ინტერესის თეორიის მომხრეთა შორის არის დაწყებული, სოციალური თვალსაზრისით უაზროა, და ამ მომენტების შეფასების დროს, როგორც წმინდა სოციალური კატეგორიის მომენტებისა, ორივე მათგანი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და ორივეს მიმართ განსაზღვრული დამოკიდებულება უნდა გატარდეს ჩვენი საკუთარი თვალსაზრისის მიხედვით. ჩვენ აქ დაწერილებით არ შევხვებით იმ ცალკეულ თეორიებს, რომლებმაც ეს მომენტები სამართლებრივი ფენომენების ახსნისათვის მოიშველიეს. მხოლოდ იმ მნიშვნელობის ახსნისათვის, ჩვენ რომ მათ მივაწეროთ, შეგწერდებით ცალკეულ ავტორებზე, რომლებიც, ერთი მხრივ, ნათლად და თანმიმდევრულად აყალიბებენ თავის თვალსაზრისს, და რომლის გადმოცემა /თვალსაზრისის/, მეორე მხრივ, შესაძლებლობას გვაძლევს უფრო რელიეფურად ავხსნათ ჩვენი საკუთარი შეხედულება.

ნების მომენტის მნიშვნელობა და აზრი როგორც სოციალური, ისევე აგრეთვე სამართლებრივი თვალსაზრისით ყველაზე უფრო სრულყოფილად ჩამოაყალიბა ელინეკმა; ყველაზე უფრო სრულყოფილად იმ აზრით, რომ ამ თეორიაში, ერთი მხრივ, თვითონ ნების მომენტის ბუნებად არის ახსნილი და ეს უკანასკნელი აქ არ არის /როგორც ვინდმოდითან/ აღრეული თავის შესაძლებელ შინაარსთან /ნასურვები, Gewalt/ მეორე მხრივ, იმ აზრით, რომ აქ სწორად აიხსნება ნებისა და ინტერესის ურთიერთშემავსებელი ხასიათი. ეს ორმხრივი შეხედულების თვალსაზრისი ელინეკისა ჩანს

იმში, რომ ყოველი ნებისმიერი აქტი, როგორც ასეთი, მხოლოდ განსაზღვრული შინაარსით მოიპოვება: “შეიძლება არა უბრალოდ სურვილი, არამედ ყოველთვის მხოლოდ რაღაცის სურვილი...” “მაგრამ ეს რაღაც, – აგრძელებს ელინეკი რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, – დგება მსგავს ურთიერთობაში ინდივიდთან თავისი ვარგისიანობის გამო ინდივიდური მზნებისათვის. ეს რაღაც არის ის, რაც მართლწესრიგის თვალსაზრისის მიხედვით ინდივიდის აუცილებელ ან აღიარებულ მზნებს მოითხოვს ან ასრულებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის სიყვითე, რაც ობიექტურად გაგებულ სიყვითელ გვევლინება, სუბიექტურად ინტერესად იქცევა. ინტერესი არის სიყვითე სუბიექტურ ღირებულებათა შეფასების მიხედვით ადამიანური მზნებისათვის”<sup>73</sup>. მას შემდეგ, რაც ელინეკი ამრიგად, ნების, ერთი მხრივ, და სიყვითის ან ინტერესის შინაგან კავშირს, მეორე მხრივ, ახსნის, გადადის იგი სპეციალურად იმ როლის ახსნაზე, რომელსაც აქ ნების მომენტი ასრულებს. ძირითად მნიშვნელობას ამ უკანასკნელისა იგი იმაში ხედავს, რომ მხოლოდ ნების შესაძლებელ შინაარსად ობიექტი ხდება გარე სამყარო ან რეალაცია ადამიანი ადამიანისადმი ადამიანური სიყვითის ან ინტერესის სამყაროს შემადგენელი ნაწილი. შეიძლება, ერთი მხრივ, მხოლოდ რაღაც ვისურვოთ, მაგრამ, მეორე მხრივ, რაღაც უნდა იქნეს ნასურვები ან შეიძლება იქნეს ნასურვები, რათა გახდეს სამართლებრივი ბრუნვის საგანი, ნება არის აუცილებელი საშუალება, რომლის მეოხებით “რაღაც სიყვითელ ან ინტერესად იქცევა”<sup>74</sup>. აქედან ელინეკი აკეთებს თავისი თვალსაზრისით აუცილებელ დასკვნას, რომ “რათა სიყვითე ან ინტერესი დავიცვათ, უნდა... მართლწესრიგმა, პირველ რიგში, ადამიანური ნების მომენტი აღიაროს და დაიცვას”. მაგრამ ეს დასკვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის გარდაუვალი, თუკი მტკიცებათა პირველ ნახევარს დავეთანხმებით, სახელდობრ, იმაში, რომ მართლწესრიგის ამოცანა მდგომარეობს პიროვნების სიყვითის ან ინტერესის დაცვაში. შემდგომში ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ ეს ასე არ არის. ახლა უნდა აეხსნათ ჩვენი შეხედულებებიდან გამომდინარე ელინეკის მიერ ზემოთ მოტანილი სხვა თვალსაზრისების მნიშვნელობა სამართლებრივი ფენომენების გაგებისათვის. ნების მომენტის მნიშვნელობა მართლწესრიგის ცხოვრებაში შეიძლება სხვადასხვა ფორმებში აღმოჩნდეს და ამ უკანასკნელის ახსნა აუცილებელია ზემოთ მოტანილი თვალსაზრისის სწორი განსჯისათვის. ჩვენ შეიძლება დავეთანხმობთ ავტორის იმ მსჯელობას, რომ ნება “არის აუცილებელი საშუალება, რომლის მეოხებით “რაღაც” სიყვითელ ან ინტერესად იქცევა”; ასე აბსტრაქტულ ფორმაში აღებული, გამოხატავს იმ თვალსაჩინო ჭეშმარიტებას, რომ ინტერესი და სიყვითე ყოველთვის ქმნიან საგანს, თუ მოცემულ ინდივიდურ ნებას არა, საზოგადოდ ნების შესაძლებელ შინაარსს მაინც. თუკი მართლწესრიგისათვის ნების მომენტის მნიშვნელობის საკითხს სწორედ ამ თვალსაზრისით მივუდგებით, მაშინ აშკარაა, რომ ნება, რომელშიც აქ აღნიშნულს გაეიკებთ, მხოლოდ საშუალება შეიძლება იყოს იმ მოვლენათა ერთობლიობის ახსნისათვის, რომელთან კავშირშიც შესაძლებელია დაინტერესებულის ურთიერთობის დამყარება. ნება /ან უფრო უკეთ, “საშუალო ნება” ინდივიდური ნებლობითი განცდების სიმრავლის საგნობრივი შინაარსის თავმოყრის აზრით/ აღნიშნავს აქ, სახელდობრ, მართლწესრიგისათვის მისი მნიშვნელობის მხრივ საშუალებას განსაზღვრულ მოვლენათა დადგომისათვის შესაძლებელი დაინტერესებულობის წრეში. იგი გვევლინება აქ აბსტრაქტულ და მხოლოდ შესაძლებელ ნებად იმ აზრით,

<sup>73</sup> Jellinek, System, S. 42-43.

<sup>74</sup> ib. S. 43-44.

რომ "რადაც სურვილად იქცეს ან... სურვილად ქცევის შესაძლებლობა ჰქონდეს, რათა სამართლებრივი ზრუნვის საგანი გახდეს". ამ აბსტრაქტული და მხოლოდ შესაძლებელი ნების საწინააღმდეგოდ მართლწესრიგის კონკრეტული ფორმის დადგენისას ელინდება ნება /და აგრეთვე "სამშაღი ნება" ზემოთ ნაჩვენები მნიშვნელობით/, რომელიც განსაზღვრავს "არჩევანს" სწორედ სამართლებრივი რეგულირების სისტემის ამ კონკრეტული ფორმისა. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ნების მომენტი განმსაზღვრელია არა თვითონ სამართლებრივი ფორმების შინაგანი სტრუქტურისათვის /რომელიც თავის შინაგან კანონზომიერებას ემორჩილება/, ესე იგი ის გვევლინება არა მომენტად, რომელიც სამართლებრივი სისტემის შიგნით შეაღწევს, არამედ მხოლოდ მომენტად, რომელიც სამართლებრივი რეგულირების კონკრეტული ფორმის "არჩევანს" განსაზღვრავს, ესე იგი მომენტად, რომელიც წინ უძღვის მართლწესრიგის დამყარებას და ამიტომაც მნიშვნელობა არა აქვს შინაგანი კანონზომიერების ახსნის დროს უკვე არსებულ სამართლებრივ ფორმებს.

იმ ნების მომენტის ახლაბან აღნიშნული მნიშვნელობის გარდა, რომელსაც მოჩვენებით მხოლოდ ელინეკი იღებს მხედველობაში, შეგვიძლია ჩვენ კიდევ ორ სხვა ფორმაზე მივუთითოთ, რომლებმაც მისი მნიშვნელობა მართლწესრიგის ცხოვრებაში შეიძლება გამოავლინონ. ერთ-ერთ მათგანზე ჩვენ ზემოთ უკვე შევაჩერეთ ყურადღება, როცა ვლაპარაკობდით ნებაზე, როგორც იურიდიულად რელევანტურ ფაქტზე. მეორე ფორმა ელინდება იმ როლში, რომელსაც ასრულებს ნება სამართლის რეალური განხორციელების დროს. ორივე ამ ფორმიდან ენახულობთ ჩვენ, რომ პირველი ჩართულია სამართლებრივი რეგულირების შინაგან მექანიზმში, მაგრამ მეორე ფორმა, რომელიც ასრულებს ნების მომენტის როლს სამართლის რეალური განხორციელების პროცესში მიეკუთვნება /რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ნება არა რელევანტური ფაქტის მნიშვნელობით იურიდიულ ფორმებში უფლების ამოქმედებისა, არამედ იმ რეალური პროცესის მნიშვნელობით, რომლებშიც განსაზღვრული მოვლენები ელინდება/ მხოლოდ და მხოლოდ სოციალური მოვლენების სფეროს, სამართლებრივი ფორმების ფუნქციონირების "სოციალური ეფექტის" სფეროს და არაერთი გზით არ შეუძლია ხელი შეუწყოს თვითონ ამ ფორმების იურიდიული აზრის ახსნას; და ეს ხდება იმიტომ, რომ ყველა ძირითადი თვისება, რომლებიც სამართლის შინაგან არსს არ ახასიათებენ, ამკარად არსებითი უნდა იყოს უკვე მისი რეალური განხორციელების პროცესის წინა მომენტისათვის, ახალი ნიშანი, რომელიც სამართალს განხორციელების პროცესში მიემატება, შეიძლება დამახასიათებელი იყოს თვითონ პროცესისათვის, მაგრამ ის საკვებით არ არის დამახასიათებელი სამართლისათვის, რომელიც ამ ნიშნის მიმართ უკვე დასრულებული ფორმით არსებობს განხორციელების პროცესის წინ. ამრიგად, რჩება მხოლოდ ნების მომენტის მნიშვნელობის მესამე ფორმა მართლწესრიგისათვის, რომელიც ელინდება მისადმი იურიდიულად რელევანტური ხასიათის აღიარებაში. ამ უკანასკნელზე /ესე იგი ნების რელევანტობაზე/ ჩვენ უკვე შევჩერდით წინა გვერდებზე, სადაც აღნიშნული გვაქვს, რომ იურიდიული რელევანტობა საზოგადოდ და ნებისა, კერძოდ, ფაქტობრივ მოცემულობათა ობიექტური და "ბუნებრივი ნიშნის" დახასიათებას კი არ წარმოადგენს, არამედ, ასე ვთქვათ, ამ უკანასკნელის იურიდიულ დახასიათებას, ესე იგი ის არის ჯამში იმ წმინდა იურიდიული თვისებებისა, რომლებითაც განსაზღვრული ფაქტები ან მათი

კომპლექსი სამართლის მიერ აღიჭურვება. აქედან ნათელია, რომ მნიშვნელობა ნების მომენტისა ამ ფორმაში განისაზღვრება არა თვითონ ნების, როგორც ფსიქიური ფენომენის მიერ, არა მისი ფსიქოლოგიური არსებობის მიერ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სამართლის მიერ, და ამიტომაც ნება, როგორც ასეთი, როგორც წმინდა ფსიქიური აქტი ამ თვალსაზრისითაც მოყვებულია ყოველგვარ მნიშვნელობას სამართლის არსის გაგებისათვის.

ამრიგად, ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ ნების მომენტი თავისი მნიშვნელობის გამოვლინების არცერთი ფორმით არ არის დამახასიათებელი თვითონ სამართლებრივი რეგულირების სისტემისათვის, ამ სისტემის წმინდა იურიდიული ძირითადი ელემენტებისათვის ისევე, როგორც აგრეთვე იმ სპეციალური კანონზომიერებისათვის, რომელიც ამ ელემენტების ურთიერთდამოკიდებულებას განსაზღვრავს. ის კავშირი, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, მართლწესრიგსა დახურული და შინაგანი კანონზომიერების საფუძველზე შემოსაზღვრული მთელის აზრით და, მეორე მხრივ, ნებას შორის, ვლინდება მხოლოდ და მხოლოდ იმ მნიშვნელობით, რომელიც ამ უკანასკნელს აქვს ან სამართლის რეალური განხორციელების სოციალურ პროცესში, ან იმ სოციალურ პროცესებში, კონკრეტული სამართლებრივი სისტემის დამყარებას არ უძღვის წინ, ანდა საბოლოოდ ნების, როგორც ფაქტის მნიშვნელობაში, რომელთანაც იურიდიული რელევანტობა არის დაკავშირებული. ყველა სამ შემთხვევაში აღნიშნავენ ეს ფორმები მართლწესრიგის გარეგანი შეხების პუნქტებს იმ სოციალურ მოვლენებთან, რომლებიც ქმნიან მისი არსებობის "ფაქტიურ ფონს". სწორედ ასეთი შეხების მიმართ, ესე იგი კონკრეტული სამართლებრივი სისტემის "შერჩევის" თვალსაზრისით, ერთი მხრივ, და სოციალურ ურთიერთობებში მისი რეალური განხორციელებით, მეორე მხრივ, შეიძლება გაზომილი იქნეს ნების მომენტის ღირებულება და მნიშვნელობა სამართლის მეცნიერებისათვის. მაგრამ იმ კანონზომიერების გარდა, რომელიც განსაზღვრავს სამართლებრივი სისტემის "არჩევის" სოციალურ პროცესს და მის რეალურ განხორციელებას, არსებობს კიდევ სპეციფიური და განსაკუთრებული კანონზომიერება, უკვე "შერჩეული" სამართლებრივი სისტემის ძირითადი იურიდიული ელემენტების იმ შინაგან კანონზომიერებას რომ განსაზღვრავს, რომელიც დამოუკიდებლად უნდა იქნეს ახსნილი.

მას შემდეგ, რაც ზემოთ ნებასა და მის საგნობრივ შინაარსს შორის არსებულ შინაგან და აუცილებელ კავშირზე ითქვა, დაგვჩნდა მხოლოდ მცირედანი სათქმელი საგანგებოდ სიკეთის ან ინტერესის მნიშვნელობაზე სამართლის მეცნიერებისათვის. არა სპეციალური ანალიზის მიზნით, არამედ მხოლოდ იმის ილუსტრირებისათვის, რომ ამ საკითხშიც აუცილებლად არსებითად იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომელიც ჩვენ ახლახან ნებასა და მართლწესრიგის ურთიერთდამოკიდებულების საკითხში მივიდეთ, სასურველად მიგვჩნია ორიოდე სიტყვით შევეხოთ დერნბურგს, რომლის შეხედულება ამ საკითხზე გარკვეული ვარიაციაა ინტერესის თეორიისა. თავის პანდექტებში ის უფლებას განსაზღვრავს როგორც "ინდივიდისათვის მართლწესრიგის მიერ მიყუთვნებული ცხოვრებისეული სიკეთის ნაწილს"<sup>75</sup>. რომ არაფერი ვთქვათ ამ დეფინიციის ნაკლოვანებებზე სხვა ურთიერთობებში,

<sup>75</sup> Pandekten, I, S. 86.

ხაზი გვინდა გავუესეთ აქ იმას, რომ მასში ურთიერთდამოკიდებულების ბუნება უფლების ცნებასა, ერთი მხრივ, და სიყვითის ცნებას შორის, მეორე მხრივ, ყალბად არის გაშუქებული. ძნელი არ უნდა იყოს იმის შემჩნევა, რომ უფლება თავისი შინაგანი, წმინდა იურიდიული შინაარსის მიხედვით ცხოვრებისეულ სიყვითეს ნაწილი კი არა, მართლწესრიგის ელემენტია /უფლება როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტი/, რომელიც მისი ფუნქციონირების შედეგად ინდივიდს ნაწილად /მაგრამ არა ყოველთვის თვითონ "უფლების მატარებლის" ან უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ მარტო მისი/ სამართლებრივ სიყვითეში განხორციელებდა. ეს ნაწილი თვითონ არის არა იურიდიული, არამედ წმინდა ფაქტიური კატეგორია<sup>76</sup>.

ორივე ამ თეორიის ძირითადი შეცდომა აქ ისაა, რომ მთავარი იდეა, რომელიც მართლწესრიგს განმსჭვალავს, მხედველობიდან არის გამოშვებული; ეს უკანასკნელი სრულიადაც არ მდგომარეობს იმ ცალკეულ ინდივიდთათვის ინდივიდურ სიყვითესა უზრუნველყოფაში, რომლებიც საზოგადოებას შეადგენენ, და არც თითოეული მათგანის ნებისყოფის ძალის /Willensmacht/ სფეროს აღნიშვნაში, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების განსაზღვრული სისტემის დამყარებაში. რომ მიზანი ამ რეგულირებისა ყოველთვის არის ის, რომ სოციალურ ურთიერთობებს განსაზღვრული მიმართულება მისცეს, ეს ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. მაგრამ სამართალი ამის გამო არ წყვეტს სამართლად ყოფნას /das Recht hört deswegen nicht auf ein Recht zubleiben/, ესე იგი ის კვლავ რჩება საყოველთაო ცხოვრების სოციალური შინაარსისაგან განცალკევებულ /abgegrenzte/ სახედ ყოფიერებისა, ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭირო საშუალებათა განსაზღვრულ ერთიანობად, ერთიანობად, მისი საკუთარი და სპეციალური კანონზომიერებით, რომელიც სრულიადაც არ ემთხვევა იმ კანონზომიერებას, თვითონ სოციალური ცხოვრების მოძრაობას რომ განსაზღვრავს. რომ მართლწესრიგის ფუნქციონირებას, რომელიც უშუალოდ სოციალური ურთიერთობების განსაზღვრულ ფორმაზე მიმართული, ცალკეული პიროვნების ინდივიდული სიყვითეს უზრუნველყოფამდე და ამ პიროვნების ინტერესის განხორციელებამდე შეუძლია და უნდა მივიყვანოს, ეს აგრეთვე ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. მაგრამ ეს შედეგი არის არა შინაგანი წვერი თვითონ სამართლებრივი რეგულირების სისტემისა, არამედ მხოლოდ ერთი მომენტი იმ სოციალური პროცესის დინამიკაში, რომელიც გამოწვეულია მართლწესრიგის ფუნქციონირების მეოხებით; სამართლებრივი რეგულირების სისტემისადმი ურთიერთობაში გვევლინება ის, ასე ვთქვათ, როგორც "კვლავ ამსახველი ეფექტი" ამ უკანასკნელისა, როგორც ეფექტი, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობასა და ცხოვრებისეულ დამოკიდებულებას შორის არსებული თავისებური "პარალელისმის" პრინციპის მიხედვით ხორციელდება. ეს ეფექტი გვევლინება ასახვად იმდენად, რამდენადაც მართლწესრიგის უშუალო მიზანი არ გულისხმობს ინდივიდური ინტერესის ან ინდივიდური ნებისყოფის დაცვას, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობათა /der gesellschaftlichen Beziehungen/ განსაზღვრული მიმართულების შექმნით /in der "Schöpfung"/ იმ თავისებური პროცესის შექმნით, რომლის ახსნას ჩვენ აქ გვერდს აუვლით/ ამ დამოკიდებულებათა რეალური განხორციელების პროცესში შეიძლება რეალურად განვახორციელოთ აგრეთვე ცალკეული პიროვნების ინტერესები საზოგადოებრივი ცხოვრების შემადგენელი მომენტის აზრით.

<sup>76</sup> 148 გვ. მომღვენო ორი სტრიქონი წიგნის ავტორისეულ ეგემპლარში წამოლია /ზთარჯ./

ამიტომაც გვეჩვენება ნებისა და ინტერესის თეორიები ყალბად არა მარტო იურიდიული თეორიის აზრით, რომელიც უნდა შეეცადოს ახსნას მართლწესრიგის ძირითადი ელემენტი – უფლება, არამედ აგრეთვე სოციალური პროცესის შემცენების სფეროში, მართლწესრიგის ფუნქციონირების მეოხებით რომ არის გამოწვეული, აღნიშნავენ ისინი არა პირველად, არამედ ნაწარმოებ სოციალურ ფაქტს.

ზემოთ ნათქვამი აშკარად ხდის, რომ უფლება საზოგადოდ არის არა თვითმიზანი, არამედ მხოლოდ ერთი მომენტია საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების იურიდიულ სისტემაში; ამიტომაც მისი დადგენა და განსაზღვრული პირის ამ უფლებით აღჭურვა /Anheftung/, სამართლებრივი ფორმების იურიდიულად შესაძლებელი აღსრულებადობის სტადიაში გადასვლის შემთხვევაში, სრულიადაც არ გულისხმობს ამ პიროვნების ინდივიდური ინტერესის დაკმაყოფილებას, არამედ მიზნად აქვს მხოლოდ სოციალური ცხოვრების ფორმების სამართლებრივი რეგულირება. სამართლებრივი რეგულირების აზრი ელინდება, როგორც ზემოთ უკვე გვექონდა მითითებული, წმინდა იურიდიული საშუალებების განსაზღვრული ერთობლიობის შექმნაში, რომელიც იურიდიულად შესაძლებელი აღსრულებადობის მდგომარეობაში შესული მოქმედი მართლწესრიგის ხასიათს იღებს. ამ უკანასკნელის უშუალო მიზანი არის იმ განსაზღვრული მიმართულების დადგენა საზოგადოებრივ ურთიერთობებში, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობების და მათი კომპლექსის “ასახვის” მეოხებით განხორციელდება სოციალურ ცხოვრებაში. მაგრამ ასეთი ასახვა არ წარმოადგენს სამართლებრივი ფორმების გარდაქმნას ცხოვრებისეულ ურთიერთობებად, არამედ უბრალოდ თავისებური შესაბამისობის აღნიშვნას, თავისებურ “პარალელიზმს” მათ შორის ისევე, როგორც დაფაზე გაელებული ხაზი არ ნიშნავს გეომეტრიული ხაზის მატერიალურ სიდიდედ გარდაქმნას, არამედ გულისხმობს მხოლოდ მის განხორციელებას რეალური სიბრტყის პირობებში. სწორედ ზემოთ აღნიშნულ საშუალებათა ერთიანობის ფარგლებში გვხვდება ჩვენ უფლება სამართლის სისტემის შინაგანი მომენტის მნიშვნელობაში. იურიდიულად შესაძლებელი აღსრულებადობის სტადიაში ელინდება ეს ელემენტები განსაზღვრულ ფაქტიურ გარემოებებზე მიმაგრებულად; მაგრამ განმტკიცება /Befestigung/ აქ აღნიშნავს არა რეალურ კავშირს ან გარდაქმნას ამ ელემენტებისა, როგორც მართლწესრიგის შემადგენელი ნაწილებისა, რეალურ ნიშნებად ან თვისებებად ფაქტიური მოცემულობებისა. მთელი აზრი ამ კავშირისა, პირიქით, გამოიხატება იურიდიული რელევანტობის ცნებაში, რომელიც აღნიშნავს არა ობიექტურ და “ბუნებრივ” თვისებებს ფაქტიური მოცემულობებისა, არამედ მათ იურიდიულ დახასიათებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითონ სამართლებრივი ფორმების შინაგან მომენტებს, რომელიც გამოხატავს ამ უკანასკნელის დამოუიდებულებას კონკრეტული ფაქტებისადმი, როგორც შედეგი ასეთი შეხებისა, სამართლებრივი ელემენტები გარდაიქმნება არა რეალურ პროცესებად, არამედ, პირიქით, ეს უკანასკნელი შეიძენენ ისეთ იურიდიულ მნიშვნელობას, რაც თავისთავად მათ არ მიეკუთვნება. ზემოთ აღნიშნული ურთიერთობა სამართლისა ფაქტიური მოცემულობები-სადმი თავისი შინაარსით არის არა ორმხრივი, არამედ ცალმხრივი ურთიერთობა, რომელიც თავის მეოხებით ფაქტიური მოცემულობებისადმი სამართლის დამოუიდებულებას გამოხატავს და ამიტომაც მხოლოდ და მხოლოდ თვითონ სამართლებრივი ფორმების ინდივიდური სტრუქტურის და მისი შინაგანი კანონზომიერებისგანაა განპირობებული. ამაზე მიუთითებს ნათლად ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა სამართლის სისტემაში სხვადასხვაგვარ იურიდიულ

მნიშვნელობას იღებს, რაც ბუნებრივად არ შეიძლება მომხდარიყო, თუკი ამ მნიშვნელობის განმსაზღვრელი ფაქტორი თვითონ ამ ფაქტიურ მოცემულობის შინაარსი იქნებოდა.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სამართალუნარიანობის ცნება სხვა არაფერია, თუ არა სამართლის მიერ დადგენილი იურიდიული რელევანტობის განმსაზღვრელი ფაქტიური მოცემულობანი, სახელდობრ, ძირითადი იურიდიული რელევანტობა. ამ თვალსაზრისის მიხედვით სამართლებრივი პიროვნება, რომლის იურიდიული არსი სწორედ უფლებუნარიანობაში ვლინდება, არის დახასიათება იმ ფაქტიური მოცემულობებისა, რომლებიც სამართლის მიერ ძირითადი იურიდიული რელევანტობით არიან აღჭურვილი. სამართალსუბიექტობის თვისება, მაშასადამე, არის არა აღნიშვნა ფაქტიური მოცემულობების ობიექტური დახასიათებისა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იურიდიული დახასიათება ამ უკანასკნელისა, რომელიც როგორც თავისი შინაარსით, ისევე აგრეთვე შესაბამისი ფაქტების და კომპლექსის შერჩევით, სამართლებრივი რეგულირების სისტემის საეციფოური ხასიათის მიხედვით განისაზღვრება. თუ საკითხებს ასე დავსვით, გარდუვალად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ უფლების მსგავსად, პიროვნება იურიდიული აზრით ვლინდება, როგორც ერთი შინაგანი მომენტის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმში, როგორც საშუალებათა განსაზღვრული სისტემა საზოგადოებრივ ურთიერთობებში კონკრეტული მიმართულების დადგენისათვის.

და თუკი ბევრ შემთხვევაში ფიზიკური ინდივიდი როგორც სამართლის სუბიექტი, როგორც პიროვნება იურიდიული აზრით ფიგურირებს, მაშინ ეს ხდება, ბუნებრივია, არა იმიტომ, რომ იგი როგორც ასეთი დამოუკიდებლად, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ფაქტიური მოვლენის აზრით ინდივიდის გამოყენება /ხდება/ მისი ძირითადი იურიდიული რელევანტობის აღიარების მიზნით უმრავლეს შემთხვევაში განხორციელების ყველაზე უფრო მისაღები ფორმით სამართლის, როგორც იმ საშუალებათა სისტემის მეოხებით, რომლებიც მისგან დასმულ კონკრეტულ სოციალ-ეკონომიკურ მიზანს გამოხატავს. ჩვენ ვთქვით "უმრავლეს შემთხვევაში" მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე სამართლებრივი სისტემის შესაბამისად; სოციალური განვითარების წინამორბედ საფეხურებზე შეგვიძლია ჩვენ, პირიქით, აგრეთვე ვნახოთ სამართლებრივი რეგულირების ისეთი ფორმები, რომელთა დროსაც ინდივიდს არ მიენიჭებოდა იურიდიული რელევანტობის, ესე იგი სამართალუნარიანობის ხასიათი. როგორც სწორად შენიშნავს რუდ. სომი, "განვითარების დასაწყისში ბატონობს პრიმიტიული კომუნისმი, რომელიც ნაციონალურ ქონებას როგორც საყოველთაო ქონებას ხალხის სრულუფლებიან კუთვნილებად (მეომრების) განიხილავს და საჯარო სამართლის მეოხებით ზრუნავს შესაბამისი ეკონომიკური სიკეთის დანაწილებისათვის. ძველ დროებში არსებობდა მხოლოდ ხალხი. საჯარო სამართალი ყველაფერია. მხოლოდ თანდათანობით აღმოცენდება კერძო სამართალი და მასთან ერთად კერძო საკუთრება, რათა გამოიწვიოს ცალკეული პიროვნებისათვის კუთვნილი დამატებითი ხელისუფლების წრე. კერძო საკუთრების აღმოცენება უთანაბრდება ინდივიდის წარმოშობას /mit dem Auftreten/, ესე იგი პიროვნების ცხოვრების გამოცალკავება ჯოგური ცხოვრებიდან"<sup>77</sup>. აქ აღნიშნულ ფაქტებს აქვს უზარმაზარი მნიშვნელობა, საიდანაც ჩვენ არაერთი დასკვნა შეგვიძლია გავკეთოთ. ის უეჭველად მიუთითებს, რომ ფიზიკური ინდივიდის სამართალუნარიანობის აღიარება არ გვევლინება საზოგადოებრივი

<sup>77</sup> Sohm, Bürgerliches Recht, in systematische Rechtswissenschaft, 1913, S. 66-67. ნახ. აგრეთვე Cambaroff, op. cit., I, S. 448

ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების ერთადერთ შესაძლებელ ფორმად. ზემოთ მოტანილი საზოგადოებრივი ფორმები ადასტურებენ სინამდვილეში, პირიქით, ისეთი სამართლებრივი ფორმების ისტორიულ არსებობას, რომლებშიც სამართლის ერთადერთ სუბიექტად გვევლინება იურიდიული პირი; რომ აგრეთვე ასეთ ფორმებს ცალკეული პიროვნების ინდივიდური ინტერესის დაკმაყოფილება უძღვის წინ, ეს ყოველგვარ ეჭვს გარეშე შეიძლება იყოს და აქედან უნდა გაეკეთათ დასკვნა, რომ ინტერესის ცნება წმინდა სოციალურ კატეგორიად გვევლინება, რომელიც ცალკეული ფიზიკური პირის უფლების აღიარების გარეშე ხორციელდება, და ამიტომაც შინაარსის მიხედვით ის არ დგას ამ უკანასკნელთან აუცილებელ და შინაგან კავშირში. აქედან საბოლოოდ გამომდინარეობს აგრეთვე აუცილებლად, რომ სამართლებრივი პიროვნების ცნება გვევლინება არა შესაბამის ფაქტიურ მოცემულობათა იმანენტურ თვისებად, არამედ ის არის სამართლის მხრივ ამ უკანასკნელისადმი დამოკიდებულების ხასიათის გამოხატულება, დამოკიდებულებისა, რომელიც როგორც თვითონ ფაქტიურ მოცემულობათა შერჩევა, ისევე აგრეთვე მისი შინაარსი, ესე იგი იმ იურიდიული რელევანტობის მოცულობა, რომელიც ამ უკანასკნელს მიეწერება, მოქმედი სამართლებრივი სისტემის ინდივიდურ ხასიათთან კავშირში იცვლება<sup>78</sup>.

სწორედ ამ მნიშვნელობით არის პიროვნების ცნება იურიდიული ჯარით სამართლებრივი რეგულირების სისტემის იმ მომენტის აღნიშვნა, რომელიც თავისი შინაარსით კონკრეტული სამართლებრივი ფორმების შინაგანი და სპეციფიური კანონზომიერებით განისაზღვრება. ამ თვალსაზრისიდან ნათელია, რომ პიროვნება იურიდიული ჯარით შეიძლება იყოს აგრეთვე კორპორაცია ან ინსტიტუტი /Institution/, რამდენადაც აღიარება მისი იურიდიული რელევანტობისა გამოწვეული შეიძლება იქნეს, ესე იგი მისი დაკავშირება განსაზღვრულ უფლებებთან საზოგადოებრივი ურთიერთობების იურიდიული რეგულირების ინტერესების მეოხებით, იმ ინტერესების მეოხებით, რომლებიცმეტი ან ნაკლები სირთულეებით შეიძლება განხორციელებული იქნეს ფიზიკური პირის ამ უფლებებით აღჭურვის მეოხებით. თუკი ამას ვაღიარებთ, თუკი იმას დავეთანხმებით, რომ სამართლის სუბიექტი (Die rechtliche pers/önlichkeit) ფიზიკური პირი ეფუძნება მის აღიარებას მართლწესრიგის მხრივ,<sup>79</sup> მაშინ ნათელი ხდება, რომ ფიზიკური პირის იურიდიული პირისაგან განსხვავების საკითხი და ამასთან დაკავშირებით ყველა შესაძლებელი დავა ამ საკითხის ირგვლივ სამეცნიერო ლიტერატურაში წმინდა იურიდიული თვალსაზრისით უაზრობაა. მასაში, როცა იურიდიული პირის ცნების ძირითადი შინაარსი თვითონ სამართლებრივი ფორმების შინაგანი კანონზომიერების მეოხებით განისაზღვრება, შეიძლება იმ იურიდიულ მოცემულობათა ობიექტურ შინაარსში განსხვავებას, რომელთა იურიდიული რელევანტობა აღიარებულია, არავითარი ზეგავლენა არ ჰქონდეს სხვადასხვა იურიდიულ გარემოებათა სამართალუნარიანობის იურიდიულ კონსტრუქციასზე.

აქ გამოთქმული შეხედულების წინააღმდეგ ასეთი პასუხი შეიძლება გაეცეს: 1) იურიდიულ პირს არასოდეს არ შეიძლება ჰქონდეს ყველა ის უფლება, რომლებითაც აღჭურვილია ფიზიკური პირი; 2) იურიდიული პირი არ შეიძლება ფლობდეს ქმედუნარიანობას,

<sup>78</sup> ნახ. Kohler, Lehrbuch des Bürgerlichen Rechts, I, S. 320. Kühlenbeck, Von den Pandekten zum BCB, I, S. 74; Biemann, Bürgerliches Recht, I, S. (97, 210).

<sup>79</sup> Heirich Gehmann, Allgemeiner Teil des Bürgerlichen gesetzbuches, 1922, s. 176



რომელსაც სამართალი /გარკვეული პირობების არსებობისას/ ფიზიკური პირის მიმართ აღიარებს; 3) სამართალუნარიანობის აღიარებისას, ესე იგი ფაქტიურ მოცემულობათა იურიდიული რელევანტობისას, სამართალი გასცემს /verfügt/ არა სრულიად თავისუფლებას, არამედ შეზღუდვას თვითონ ფაქტიური მოცემულობების შინაარსის მეოხებით. ამ პასუხებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია უკანასკნელი და ამიტომაც გვინდა ჩვენ პირველ რიგში მასზე შეჩერდეთ.

საკითხი ფაქტიურ მოცემულობათა ობიექტური შინაარსის ზეგავლენისა მათი რელევანტობის ხასიათის აღიარებაზე შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ზუსტად გავმიჯნავთ იურიდიული რელევანტობის აღიარებას კონკრეტული ფაქტიური მოცემულობებისადმი. ეს განსხვავება ჩნდება უკვე საკმაო სიცხადით იმაში, რომ ჩვენ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს განსაზღვრული ცნების შინაგან შინაარსთან, მაგრამ მეორე შემთხვევაში განსაზღვრული ურთიერთობის დადგენასთან ამ ცნებასა და რაღაცას შორის, რომელიც ამ ცნების გარეთ იმყოფება; პირველ შემთხვევაში საქმე ეხება იმ ძირითადი იურიდიული მომენტების საკითხს, რომლებიც რელევანტობის ცნების შინაარსს გამოხატავენ, მაგრამ მეორე შემთხვევაში თავისებურ კანონზომიერებას, რომელსაც განსაზღვრული კატეგორიის ფაქტიური მოცემულობებისათვის რელევანტობის მინიჭებამდე მივყავართ. თუკი ჩვენ ამიტომაც ვაღიარებთ, რომ აქ აღნიშნული პროცესი /ესე იგი განსაზღვრული ფაქტიური მოცემულობებისათვის იურიდიული რელევანტობის აღიარების პროცესი/ ამ უკანასკნელთა ობიექტური შინაარსის მეოხებით განისაზღვრება, მაშინ აგრეთვე რელევანტობის ცნების იურიდიული არსი, მისი შინაარსი არ შეიძლება დავახასიათოთ როგორც მარტივი გამორება იმავე თვისებებისა, რომლებსაც ჩვენ შესაბამის რეალურ მოვლენებსა ან პროცესებში აღმოვაჩინებთ. მას შემდეგ, რაც ჩვენ ზემოთ ვთქვი, ადვილად შეგვიძლია გავიგოთ, რომ იურიდიული რელევანტობა ისეთი წმინდა იურიდიული ნიშნებით აღჭურვას ნიშნავს, რომლებსაც ფაქტიურ მოცემულობათა ობიექტური შინაარსის დეტალური ანალიზის დროსაც კი ვერასოდეს ვერ შევძლებთ მასში აღმოვაჩინოთ და ამიტომაც რელევანტობა გვევლინება არა როგორც საგნის თვისებების დახასიათება საზოგადოდ, არამედ ის დახასიათება მისი ადგილისა სამართლის მიერ დადგენილ /და, რომელიც შინაარსის მიხედვით არ ემთხვევა რეალურ ცხოვრებისეულ ურთიერთობებს/ იურიდიულ ურთიერთობებში.

ყველაზე უფრო დიდი, რაც ზემოთ პირობითი დაშვებიდან /ესე იგი იმ წინამძღვრიდან, რომ იურიდიული რელევანტობის აღიარების პროცესი ფაქტიურ მოცემულობათა ობიექტური შინაარსის მეოხებით განისაზღვრება/ შეიძლება მივიღოთ, არის იდეა გარკვეული შესაბამისობისა, გარკვეული "პარალელიზმისა" ფაქტიურ მოცემულობასა და მათ ობიექტურ ნიშნებს შორის, ერთი მხრივ, და იურიდიული რელევანტობის ცნების შინაარსს შორის, მეორე მხრივ. მაგრამ შესაბამისობა არის არა დამთხვევა, არამედ, პირიქით, ის აუცილებლად გულისხმობს დამოუკიდებელ შინაარსს ყოველი "პარალელური" ელემენტისა. ამიტომაც ნათელია, რომ ასეთი "პარალელიზმის" დროს წმინდა იურიდიული არსი რელევანტობის ცნებისა, მისი გამოიჯენა იმ ფაქტიური მოცემულობების შინაარსისაგან, რომლებიც მას აღიარებენ უდავოა.

მაგრამ ჩვენ მივდივართ წინ და ვამტკიცებთ, რომ არა მხოლოდ შინაარსი რელევანტობის ცნებისა, არამედ აგრეთვე მისი მიყუთუნება /Befestigung/ განსაზღვრული

ფაქტიური მოცემულობებისათვის სრულიად არ შეიძლება განისაზღვროს ამ უკანასკნელთა ობიექტური თვისებებისაგან. თუკი იმ სოციალური პროცესებიდან გამოვალთ, რომელიც კონკრეტული სამართლებრივი სისტემის დადგენამდე მიგვიყვანს და ამ საზღვრებში ჩვენ განსაზღვრული ფაქტიური მოცემულობებისათვის იურიდიული რეგულაციების მიუთვნებას /Befestigung/ ყურადღებას მივაქცევთ, თუკი ჩვენ ამ პროცესის ძირითად მოტივზე შეეჩრდებით, მაშინ ადვილად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ მოტივის შინაარსს ცალკეული პიროვნების ინდივიდური ინტერესის უზრუნველყოფამდე კი არა, საზოგადოებრივ ურთიერთობებში განსაზღვრული მიმართულების შექმნამდის მივყავართ; ამ პროცესში ყურადსაღებია არა საზოგადოების თითოეული წევრის ინდივიდური მიზნები, არამედ საზოგადო ინტერესი, განსაზღვრული საზოგადოებრივი კლასის ინტერესი დომინირებს, რომელიც განსაზღვრული სამართლებრივი სისტემის დადგენის მეოხებით გადაწყდება; ინდივიდური მიზნები, რომლებიც ამ პროცესის უშუალო ამოცანას არ ქმნიან, თავიანთ დაკმაყოფილებას იღებენ სოციალური ურთიერთობების შექმნილი ფორმების წარმოებული ფუნქციის აზრით, მათი ასახული ეფექტის აზრით.

სამართლებრივი რეგულირების კონკრეტული სისტემა ქმნის, როგორც არაერთხელ იქნა ზემოთ მითითებული, იმ იურიდიულ საშუალებათა ჯამს, რომელთა "განხორციელება" სოციალურ ურთიერთობებში ამ უკანასკნელთა განსაზღვრულ სტრუქტურას წარმოშობს. მასაში, რომელშიც მართლწესრიგის /როგორც საშუალებათა სისტემის/ მიზანი სწორედ რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობების ამ კონკრეტული ფორმის "წარმოშობით" გამოიხატება, განპირობებული უნდა იქნეს<sup>80</sup> მართლწესრიგის კონკრეტული ფორმის მიერ დასახული მიზნის მეოხებით, ესე იგი იმ სოციალური ფორმების ხასიათის მეოხებით, რომელთა წარმოქმნა მხედველობაში იყო მიღებული. ამრიგად, მართლწესრიგის კონკრეტული სტრუქტურისათვის განსაზღვრულია არა ცალკეული პიროვნების ინდივიდური ინტერესი, არამედ სწორედ საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების ინტერესები, ინტერესები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტული სოციალური ფორმების რეალურ განხორციელებასთან; და ამის მეოხებით განისაზღვრება აგრეთვე გარკვეული ფაქტიური მოცემულობებისათვის იურიდიული რეგულაციების მიუთვნება /Befestigung/. ამ უკანასკნელთა ობიექტურ შინაარსს აქვს სამართლისათვის არა თავისთავადი მნიშვნელობა, არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათი იურიდიული რეგულაციების აღიარება შესაბამება სამართლებრივი რეგულირების

<sup>80</sup> განპირობებულობის ცნება გვეძმის ჩვენ მოცემულ შემთხვევაში არა კუმალური განპირობებულობის აზრით და არა ერთი საფენის შინაარსის მეორის მეოხებით განპირობებულობის აზრით, რომელიც თავის გამოხატულებას დაფუძნებით ურთიერთობაში ნახულობს, არამედ უბრალოდ იმ აზრით, რომელშიც კონკრეტული მიზანი საზოგადოდ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წინასწარ განსაზღვრავს განხორციელებისათვის საჭირო საშუალებათა ერთობლიობას. თუკი წინა გვერდებზე გამოთქმული იღვა სწორია, რომ ერთსა და იმავე მიზნისათვის სხვადასხვა საშუალება შეიძლება იქნეს გამოყენებული, მაშინ, მეორე მხრივ, არანაკლებ სწორია აგრეთვე ისიც, რომ ეს სხვადასხვაობა არ არის უსამართლო და ყოველ მიზანი თვისი შინაარსის მეოხებით წინასწარ განისაზღვრება, თუ კონკრეტულად არა. ზოგადად მაინც განსაზღვრული სარგებლობით შესაბამისი საშუალებისა, რომლის ფარგლებში შესაძლებელია კონკრეტული ვარიაციები.

მიზანს, ესე იგი საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრული სტრუქტურის "შექმნის" მიზანს. ზოგ შემთხვევაში ეს მიზანი მიიღწევა ფიზიკური ინდივიდის რელევანტობის აღიარების მეოხებით; სხვა შემთხვევაში ეს მიზანი რელევანტობის მიუთუნებია ფაქტიური მოცემულობებისათვის კარნახობს სხვაგვარ წესრიგს და სხვაგვარი ობიექტური შინაარსით. ნათქვამის მეოხებით ჩვენ, ამრიგად, უარყავით ზემოთ მოტანილი საყვედურები.

ასეთივე მსჯელობის მეოხებით ადილად აიხსნება აგრეთვე ის, რომ არა ყველა კონკრეტული უფლება, რომლებითაც ფიზიკური პირი აღიჭურვება, შეიძლება მიეწეროს იურიდიულ პირს. რამდენადაც ობიექტური შინაარსი ფაქტიური მოცემულობებისა იმ "საყრდენ პუნქტს" ქმნის, რომლებითაც სამართალი კონკრეტულ უფლებებს უკავშირდება. იმავე ზომით ბანალობამდე ცხადია, რომ პირველი პირობა ასეთი "კავშირის" საზოგადოდ ამ შინაარსის არსებობა უნდა იყოს. ადილად შეიძლება იმის გაგება, რომ იურიდიულ პირს არ შეიძლება მიეწეროს ის კონკრეტული უფლებები, რომლითაც ფიზიკური პირი აღიჭურვება, რამდენადაც როგორც განსაზღვრული, მხოლოდ ფიზიკური პირისათვის დამახასიათებელი თვისებები, რომლებთანაც სწორედ ეს უფლებები კონკრეტული სამართლებრივი სისტემის ფარგლებშია დაკავშირებული, იურიდიული პირს მისი ფაქტიური შინაარსის მიმართ არ გააჩნია. ასეთივე მსჯელობის მეოხებით აიხსნება აგრეთვე, მეორე მხრივ, საპირისპირო ფაქტი, იურიდიული პირისათვის იმ განსაზღვრული უფლებების აღიარების ფაქტი, რომელთა მატარებელი კონკრეტული მართლწესრიგის თვალსაზრისის მიხედვით არ შეიძლება იყოს ფიზიკური პირი. ასეთ ფაქტებს ეხედვით ჩვენ, მაგალითად, იმ შემთხვევებში, როცა იურიდიული რელევანტობა სამართლის მიერ მიეწერება არა ნების ინდივიდურ გამოვლინებას, არამედ განსაზღვრულ ურთიერთობას პიროვნებათა ჯგუფის ნებელობით აქტებს შორის. ყველა ამ საკითხს მანამ არა აქვს არავითარი მნიშვნელობა ფიზიკური და იურიდიული პირის ძირითადი იურიდიული რელევანტობისათვის; ის შეეხება მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობის ნაწარმოებ ფორმებს და არა მის დამფუძნებელ ძირითად იურიდიულ ცენტრებს, რომელთა ახსნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იურიდიული პირის პრობლემისათვის.

იგივე უნდა ითქვას აგრეთვე ზემოთ გაცემულ მესამე პასუხზე /Erwiderung/, რომელიც იურიდიული პირის ქმედუნარიანობის ნაკლებობაზე მიუთითებს. ქმედუნარიანობის ცნება, რომელიც ჩვენ სამართლის განხორციელების სამართლებრივი ფორმების მოძღვრებაზე გადავიტანეთ, დაწერილებით იქნება ახსნილი ჩვენი ნაშრომის მეორე ნაწილში. მოცემულ კავშირში საკმარისია იმაზე მითითება, რომ ქმედუნარო არა მხოლოდ იურიდიული, არამედ გარკვეულ შემთხვევაში ფიზიკური პირიც არის. აქედან ცხადია, რომ ეს ცნება არ შეიძლება გამოდგეს იურიდიული პირის ფიზიკური პირისაგან გამიჯვნის ან დაპირისპირების საფუძვლად.

## დასკვნა

წინა გვერდებზე დაეასრულეთ ჩვენ სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი ელემენტების ანალიზი. შედეგები, რომლებიც ჩვენ იქ მივიღეთ, უფლებას გვაძლევს გაეკეთოთ განსაზღვრული დასკვნების სამართლებრივი ურთიერთობის ზოგადი ბუნების მიმართ.

პირველი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ არა მხოლოდ წმინდა იურიდიული კატეგორიები სამართლებრივი ურთიერთობისა – უფლება და მოვალეობა – არ შეიძლება დაეყვანოს რეალურ ფსიქოლოგიურ პროცესებამდე, არამედ აგრეთვე ერთი შეხედვით წმინდა “ფაქტური” ელემენტები – სუბიექტები და საგანი სამართლებრივი ურთიერთობისა – საბოლოოდ /in letztere/ არ არიან მოცემული ფორმაში /in der Gestalt/, როგორც ის ბუნებიდან გამომდინარეობს, ესე იგი არ არიან ბუნებრივი კანონზომიერების ვითარებაში, რომელიც მის მუწყოფნას და ურთიერთდამოკიდებულებას განსაზღვრავს, არამედ სწორედ როგორც ელემენტები სამართლებრივი რეგულირების სისტემისა, რომლებიც “ბუნებრივ გარემოს” უკვე მოწყვეტილი და მისგან იზოლირებული არიან. შესაძლებლობა ასეთი იზოლირებისა იმაზეა დაფუძნებული, რომ სამართლებრივი რეგულირების სისტემაში რეალური შემადგენლობები მხედველობაში მიიღება არა მათი იმანენტური თვისებების მიხედვით, არამედ მათი იურიდიული ფუნქციების თვალთახედვით; ამ უკანასკნელი თვალსაზრისით ისინი ბუნებრივ კაუშალურ კანონზომიერებას კი არ ექვემდებარებიან, არამედ წმინდა სამართლებრივს. “ბუნებრივი” შინაარსი ამ შემადგენლობებისა ქმნის ასეთ შემთხვევებში მხოლოდ “საყრდენ წერტილს”, რომელზეც ახალი წმინდა იურიდიული თვისებები აშენდება, რომელთა წყალობითაც “ბუნებრივი საგანი” შედის სამართლებრივი ფორმების კანონზომიერებაში.

აქედან გამომდინარეობს აგრეთვე სხვა დასკვნა იმ ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობასა და რეალურ ცხოვრებისეულ ურთიერთობას შორის არსებობს. ზემოთ ჩვენ მიუთითეთ იმ სხვადასხვა ფორმებზე, რომლებშიც ეს ურთიერთობები შეიძლება გამოვლინდნენ; მაგრამ არცერთ მათგანში არ ჩანს იმის აღნიშვნა, თუ როგორ გარდაიქმნება სამართლებრივი ფორმები რეალურ ცხოვრებისეულ ურთიერთობებად და პირიქით; აქ ურთიერთობის ყოველ ელემენტს აქვს სრულიად დამოუკიდებელი და იზოლირებული არსებობა და ექვემდებარება სხვადასხვა კანონზომიერებას.

სწორედ ეს უკანასკნელი დასკვნა არის დიდი მნიშვნელობის სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ძირითადი პრობლემების გაშუქებისათვის, სახელმწიფოს სოციალური მოძღვრებისაგან ამ მეცნიერების დამოუკიდებლობის დადგენისათვის. რამდენადაც სახელმწიფოს სოციალური მოძღვრების ამოცანა სოციალურ მოვლენათა სტადიებში მდგომარეობს, რომლებსაც ჩვენ სახელმწიფოს ცხოვრებაში ეხედავთ, სახელმწიფო სამართლის მოძღვრებას, როგორც უკვე ჩვენი გამოვლევების დასაწყისში აღვნიშნეთ, თავის დამოუკიდებლობის დაფუძნება მხოლოდ იმ შემთხვევაში ძალუძს, თუკი სახელმწიფოს არსებობაში მისი სოციალური შინაარსის მიმართ თავისი სამართლებრივი ყოფიერების ფორმაში განსაზღვრული პლიუსის მოპოვება შეიძლება. მაგრამ ეს შეიძლება დადასტურებული იქნეს მხოლოდ რეალური სოციალური პროცესებისაგან სამართლებრივი ფორმების დამოუკიდებლობის დადგენის მეოხებით. ერთადერთ სწორ მეთოდოლოგიად ამ მიმართებაში შეიძლება მიჩნეული იქნეს მხოლოდ ელემენტარული სამართლებრივი

კატეგორიების ანალიზი და მათი დამოცილებულება შემადგენლობებისადმი. მხოლოდ შემდგომში ელემენტარული სამართლებრივი წარმონაქმნების გაშუქების საფუძველზე მიღებული შედეგების მეოხებით გახდება შესაძლებელი, ერთი მხრივ, რთულ სამართლებრივ ფორმებსა და, მეორე მხრივ, იმ სოციალურ გარემოს /Milieu/ შორის, რომელშიც ეს ფორმები არიან მოცემული, არსებული ურთიერთდამოცილებულების ახსნა. ამ უკანასკნელმა სახემ ურთიერთობებისა, რომლებსაც ჩვენ სახელმწიფოს ცხოვრებაში ვხედავთ, უნდა შექმნას ჩვენი ნაშრომის მეორე ნაწილის დამოუკიდებელი კვლევის საგანი.

# იურიდიული ვითოდოლოგიისთვის

## კასუხი ბ. ნანეიშვილს

“ფრიად საინტერესოა ი. სურგულაძის ნაშრომის, – ხელისუფლება და სამართალი მეთოდოლოგიური ნაწილის განხილვა”. ასე იწყებს გ. ნანეიშვილი თავის სარეცენზიო წერილს<sup>1</sup>. ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო საინტერესოა იმ ძალიან თავისებური მეთოდის განხილვა, რომლითაც აღნიშნული რეცენზიაა დაწერილი. ეს თავისებურება, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ რეცენზენტს შესაძლებლად მიაჩნია ავტორს მიაწეროს ბევრი ისეთი აზრი, რომლის საწინააღმდეგოც წიგნში საესეებით გარკვევით არის აღნიშნული. ასე, მაგ., რეცენზენტი სწერს:

სამართალსა და სოციალურს ჩვენი ავტორი უყურებს, როგორც ორ სრულიად დამოუკიდებელ საგანს; ავტორის სისტემაში ისინი ორ პარალელურ ხაზს წარმოადგენენ, რადგანაც მათ შორის გაწყვეტილია ლოგიკური კავშირი და ისეა გაწყვეტილი, რომ აღარც სამართალს აქვს დასაყრდნობი ფუძე სოციალურში და აღარც სოციალურს სამართალში (გვ. 211).

გვ. 209: ...რადგან თვით ავტორის მეთოდის თანახმად შეუძლებელია ნორმათა სისტემა, ე. ი. სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი, წარმოვიდგინოთ იმ ერთი მთლიანობის ცალკე მხარედ, რომლის აზრიც სამართლის შინაარსით საესეებით ვერ ამოიწურება.

გვ. 216: “ავტორის მეთოდით კავშირი სამართალსა და ხელისუფლებას შორის საბოლოოდ გაწყვეტილია, მათ შეუძლიათ მხოლოდ ერთმანეთის უარყოფა.

სარეცენზიო ნაშრომში - კი აღნიშნულია:

სახელმწიფო, როგორც სოციალური მოვლენა (Gebilde) უნდა განსხვავებულ იქმნას სახელმწიფოსაგან, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტისგან. მაგრამ ასეთი განსხვავება ატარებს მხოლოდ ლოგიკურ ხასიათს. რეალურ სინამდვილეში სახელმწიფოს ორივე მხარე (ე. ი. სოციალური და სამართლებრივი) მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთი მეორესთან” (გვ. 16).

ასეთივე აზრი გატარებულია სარეცენზიო ნაშრომის მე-9 გვერდზე, სადაც სამართლებრივი სისტემის შესახებ (Rechtsregulierung)<sup>2</sup> აღნიშნულია: “იგი (ე.ი. სამართლებრივი სისტემა) წარმოადგენს სოციალური ცხოვრების ნამდვილსა და გაუთიშველ მომენტს”.

სარეცენზიო ნაშრომის 92-ე გვერდზე აღნიშნულია:

“დამოკიდებულებათა ფორმების სხვადასხვაობა, რომლებსაც ჩვენ აქ (სამართლებრივ კატეგორიებსა და არა სამართლებრივ მოვლენებს შორის) ეხედებით, სამ ძირითად სახედ შეგვიძლია გავყოთ: 1. დამოკიდებულება, რომელიც არსებობს საზოგადოების სოციალ-ეკონომიურ სტრუქტურასა და სამართლის მოქმედ სისტემას შორის”.

უშუალოდ ამის შემდგომ სარეცენზიო ნაშრომი ვრცლად ჩერდება ამ საკითხის განხილვაზე; სახელდობრ, ამ საკითხს მიძღვნილი აქვს 93-120 გვერდები და, გარდა ამისა, სათანადო

<sup>1</sup> იხ. მნათობი №3, 1928 წ. გვ. 205-218.

<sup>2</sup> ენება “Rechtsregulierung” სარეცენზიო ნაშრომში გაგებულია როგორც Rechtseinheit, ე.ი. როგორც Rechtsordnung. იხ. გვ. 2.

მითითებანი წიგნის დანარჩენ ნაწილებშიაც ბლომად არის გაბნეული (იხ. მაგ. გვ. 86-87, 140-141, 148, 152-153, 155).

რეცენზიის 215 გვ. დაწერილია:

ავტორის დებულებათა მიხედვით, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ იურიდიული პირის ბუნება მთლიანად სამართლის შინაარსით და მნიშვნელობით უნდა ამოიწეროს. სამართლის სუბიექტის იდეა ავტორმა გაანთავისუფლა ყოველივე იმისგან, რაც სამართალს არ წარმოადგენს.

სარეცენზიო ნაშრომი-კი ამბობს:

ზევით მითითებული იყო, რომ უფლება-უნარიანობის ცნება წარმოადგენს გარკვეული ფაქტიური მოვლენების (tatsächlichen Gegebenheiten) იურიდიულ რელევანტობას, რომელიც სამართლისგან არის დაწესებული... ამ თვალსაზრისით სამართლის სუბიექტი, რომლის იურიდიული არსება (wesen) უფლება-უნარიანობის ცნებაში მკლავდებდა, არის იმ ფაქტიურ მოცემულობათა აღნიშვნა, რომელნიც ობიექტური სამართლით ძირითადი იურიდიული რელევანტობით არიან აღჭურვილი". (გვ. 149-150).

ასეთია ის პირველი თავისებურება, რომელიც რეცენზიას ახასიათებს. ჩვენ საჭიროდ მივიჩნით ამ გარემოებისთვის ამთავითვე მიგვექცია ყურადღება, ვინაიდან მთავარი დასკვნები, რომლებსაც რეცენზენტი აკეთებს, სარეცენზიო ნაშრომის ზევით მოყვანილი აზრების დამახინჯებით გადმოცემას ემყარება. ეს გარემოება საესებით თვალსაჩინო გახდება შემდგომიდან.

მეორე თავისებურება, რომელიც რეცენზიას ახასიათებს, იმაში მდგომარეობს, რომ რეცენზიის ავტორს შესაძლებლად მიაჩნია მსჯელობის მიმდევრობაში ერთი ცნება მეორეთი შესცვალოს და ტერმინოლოგიური მსგავსებით ცნებათა შინაარსობრივი სხვადასხვაობა მიაფუჩქროს. რეცენზიის ავტორისათვის წერის ასეთი მანერა საჭიროა, ვინაიდან მხოლოდ აღნიშნული განსხვავების გვერდის ახვევით მას შეუძლია თავის ძირითად კრიტიკულ შენიშვნებს გარეგნულად მაინც მსჯელობის ხასიათი მისცეს.

აღნიშნულის ილუსტრაციისთვის მაგალითები ბლომად არის გაბნეული რეცენზიაში, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ისეთებზე შევჩერდებით, რომლების განხილვასაც მნიშვნელობა ექნება რეცენზიის ავტორის დასკვნების შეფასებისთვის.

რეცენზიის თითქმის დასაწყისშივე (208 გვ.) ჩვენ შემდეგ დებულებებს ვხვდებით:

"იურისტს არ შეუძლია მოსწყდეს თავის ინტენციონალურ საგანს... იურისტმა თავისი მსჯელობიდან უნდა განდევნოს ყოველივე ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს. სწორედ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი"- "Einstellung"-ი, რომელიც, ჰუსერლის აზრით, არის მეთოდოლოგიური ხერხი, რის საშუალებითაც სწარმოებს საგანზე მთელი შემეცნებითი გულისყურის მიპყრობა". "სოციალური რამ არ შეიძლება განხილულ იქნეს სამართლის თვალსაზრისით... არც სამართალი შეიძლება შესწავლილი იქნეს იმ მეცნიერების საშუალებით, რომლის საგნობრივ შინაარსს სოციალურ ურთიერთობათა სამყარო... წარმოადგენს".

ამ გამოთქმების აზრი საესებით გარკვეულია: აშკარაა, რომ აქ ლაპარაკია "მეთოდოლოგიურ მომენტებზე", ლაპარაკია იმ მეთოდზე, რომლითაც იურიდიული აზროვნება უნდა

ხელმძღვანელობდეს კვლევა-ძიების დროს.

უშუალოდ ამის შემდეგ რეცენზენტი ასეთ დასკვნებს აკეთებს:

“ამიტომ ის, ვინც სახელმწიფოს სამართლოვან მხარეს იყვლება... უნდა მოშორდეს იმ აზრს, რომ არასამართლოვანში სამართლის გაგრძელება ებიოს, რადგანაც წარმოუდგენელია სამართალი შეესებულ იქნეს იმით, რაც სამართალი არ არის. “ავტორის მეთოდის თანახმად შეუძლებელია ნორმათა სისტემა, ე.ი. სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი წარმოვიდგინოთ იმ ერთი მთლიანობის ცალკე მხარედ, რომლის აზრაც სამართლის შინაარსით სავსებით ვერ ამოიწურება”.

ამ უკანასკნელ დასკვნას რეცენზენტი აღნიშნავს, როგორც “ავტორის მეთოდიდან” გამომდინარეს; მით უფრო გასაკვირველია, როდესაც იგი რამდენიმე სტრიქონით ქვევით ამავე აზრებს უკვე თავის სახელით აცხადებს, ე.ი. სცილდება იმანენტური კრიტიკის საფუძველს:

“მე დასაშვებად მიმაჩნია, – ამბობს იგი, – რომ ხელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სამართლის კონკრეტული სისტემიდან შეიძლება იქცეს უნივერსალური სამართლის სისტემად... მაგრამ არც ერთი ნაწილი სამართლის ამ სისტემისა არ შეიძლება დაკავშირებული იყოს (მეთოდოლოგიურად) იმასთან, რაც სამართალს არ წარმოადგენს; ამიტომ... სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსს არ შეგვიძლია შევხედოთ, როგორც მთლიანობის ისეთ მხარეს, რომლის შინაარსი სავსებით არ ამოიწურება სამართლებრივი აზრით”<sup>3</sup>.

“ამიტომ იურისტს რამდენადც იგი თავისი საგნის, ე. ი. სამართლის, ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს, არ შეიძლება სამართლოვანი ეჩვენოს არა სამართლოვანის ერთ მხარედ... მაგრამ რა-კი შეუძლებელია (მეთოდოლოგიურად), რომ იურისპრუდენციის,

<sup>3</sup> ამ დებულების რაიმე დასაბუთების ნაცვლად რეცენზენტს ასეთი არასერიოზული და უშინაარსო არგუმენტი მოჰყავს: “შას, ვინც მტკიცედ შეითვისა სახელმწიფო სამართლის მეცნიერების... ამოყანა და მის გამოსავალ წერტილად სთვლის სამართალს, რომელზედაც დაფუძნებულია ამ თეორიული მეცნიერების მნიშვნელობა (Geltung), არ შეუძლია სხვანაირად იმსჯელოს” (ე.ე. 209). არასერიოზულია ეს არგუმენტაცია იმიტომ, რომ ასეთი არგუმენტით ყოველგვარი უაზრობის მტკიცება და გამართლება არის შესაძლებელი; რომ, სახელდობრ, არ არის საქმარისი თქმა – “არ შეუძლია სხვანაირად იმსჯელოს”, არამედ საჭიროა სწორედ იმის დამტკიცება, თუ რატომ არ შეუძლია სხვანაირად იმსჯელოს. მაგრამ ამისა, რეცენზენტის ამ მსჯელობაში არ შეიძლება უკრძალუბა არ მიეცეს შემდეგ გამოთქმას: “... სამართალს, რომელზედაც დაფუძნებულია ამ თეორიული მეცნიერების მნიშვნელობა (Geltung). რას ვლინსმობს რეცენზენტი ამ გამოთქმაში. სიტყვა Geltung შეიძლება იხმარებოდეს ან იმ საეციფოური მნიშვნელობით, რომელიც მას სამართლის მეცნიერებაში ეძლევა და რომლითაც აღინიშნება სამართლის ნორმის მოქმედობის ერთ-ერთი სახე; ცხადია, რომ რეცენზენტი ამ ტერმინს აქ ვერ იხმარდა ასეთი მნიშვნელობით, ვინაიდან Geltung აქ ნაჩვენებია გავებით ახასიათებს არა სამართლის მეცნიერებას, არამედ საპატირის ნორმებს. ეს მითითება იმდენად ელემენტარულია, რომ ზედმეტად მიგვაჩინა აქ კიდევ რაიმე დამატებითი მოსაზრების მოყვანა. ან კიდევ სიტყვა Geltung შეიძლება იხმარებოდეს, როგორც კუმპარატების პრელუატის აღმნიშვნელი ცნება. მაგრამ ამ მნიშვნელობითაც ეს ტერმინი უაღილოა რეცენზენტში, ვინაიდან, რეცენზენტის საეუთარი გამოთქმის თანახმად, სამართლის მეცნიერების Geltung დაფუძნებულია სამართალზე, ე. ი. ამ მეცნიერების საგანზე: Geltung-კი, გავებული, როგორც კუმპარატ დებულებათა პრელუატია, არ შეიძლება წარმოადგენილი იქნეს, როგორც დაფუძნებული საგანზე, რომელსაც კუმპარატი დებულება ეხება; ამიტომ რეცენზენტის მხეით მოყვანილ არგუმენტაციაში და, სახელდობრ, იმ კონსტექსტში, რომელშიც ეს ცნება არის ნახმარი, იგი მოკლებულია ყოველგვარ აზრს.



საერთოდ, და, კერძოდ, სახელმწიფო სამართლის საგნობრივი შინაარსი მივიღოთ, როგორც ნაწილი ან ცალკე მხარე იმისა, რომლის სხვა ნაწილებიც სამართალს ან სამართლის განხორციელებას არ წარმოადგენენ და სახელმწიფო-ი, ჩვენი ავტორის თეორიის თანახმად, არ არის თანაბარი სამართლისა... ცხადია, რომ სახელმწიფოც, როგორც ასეთი... არ შეიძლება სახელმწიფოს სამართლის მეცნიერების საგანს წარმოადგენდეს”.

ჩვენ განზრახ ასე დეტალურად მოვიყვანეთ რეცენზენტის შეხედულებანი, ვინაიდან სწორედ ის, რაც აქ არის აღნიშნული, მთელი რეცენზიის კინტესენციას ქმნის; რეცენზიის დანარჩენი ნაწილი ზევით მოყვანილი დებულებების ახალი ვარიაციებით განმეორებას წარმოადგენს და არსებითად არაფერს იძლევა ახალს, არც შინაარსობრივ და არც დასაბუთების მხრით. გასაგებია აქედან, რომ აღნიშნული დებულებების კრიტიკულ განხილვაზე ჩვენ შედარებით დეტალურად შეეჩერდებით.

1. პირველი, რაც აქ უნდა იქნეს აღნიშნული, იმაში მდგომარეობს, რომ ზევით მოყვანილი დებულებანი ორ განსხვავებულ ჯგუფად იყოფიან, რომელთა შორის (წინააღმდეგ რეცენზენტის ინტენციისა, რომლის თანახმად ეს დებულებანი ერთიმეორის დასყენას უნდა წარმოადგენდენ) რაიმე ლოგიკური კავშირის აღმოჩენა შეუძლებელია და ეს სწორედ იმიტომ, რომ ისინი სრულებით სხვადასხვა საგანს შეეხებიან. ჩვენ უკვე მიუთითეთ ზევით, რომ პირველი ჯგუფი დებულებათა, რომელსაც ჩვენ აქ ვხვდებით, მეთოდოლოგიური ხასიათის მომენტებს ეხება. მიუხედავად ამისა, უშუალოდ ამ მეთოდოლოგიური მოსაზრებებიდან გამოყვანილ დასკვნებში რეცენზენტი ლაპარაკობს უკვე არა იმ Einstellung-ზე, რომელიც, მისივე გამოთქმის თანახმად, იურიდიულ ჯაროვნებას უნდა ახასიათებდეს მისი საგნისადმი “სრული შემეცნებითი გულისყურის მიპყრობის” უზრუნველსაყოფად, არამედ იმაზე, რომ სახელმწიფო სამართლის საგნობრივი შინაარსი შეუძლებელია მივიღოთ, როგორც ნაწილი ან მხარე იმისა, რომლის სხვა ნაწილებიც სამართალს არ წარმოადგენს; მასმასაღამე, ლაპარაკობს უკვე არა “მეთოდოლოგიაზე”, არამედ იურისპრუდენციის საგნის დამოკიდებულებაზე სხვა სახის საგნებთან, ე.ი. აქ მხედველობაში მიღებულია *ordo et connexio rerum*.

რომ ამ ორი სახის დებულებათა შორის ლოგიკური გადასვლა შეუძლებელია და რომ ამიტომ დასკვნები, რომლებსაც რეცენზენტი აქ აკეთებს, სერიოზულ სახეს არ ატარებენ, ამაზე ჩვენ ქვევით შეეჩერდებით, ეხლა-კი საჭიროა გაკერით მაინც აღვნიშნოთ ერთი გარემოება, რომელსაც შეუძლია გაუგებრობა გამოიწვიოს. რეცენზენტი ზევით მოყვანილ დასკვნებს ასაღებს, როგორც სარეცენზიო ნაშრომის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე. ეს არ არის სწორი სხვადასხვა მხრით.

ჯერ ერთი, არ არის სწორი, თითქოს სარეცენზიო ნაშრომი მეთოდოლოგიური საკითხების გადაჭრას სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსის გამორკვევისთვის და იურისპრუდენციის საგნის სხვა სახის საგნებთან დამოკიდებულების შესახებ რაიმე დასკვნების გაკეთებისთვის წინასწარ პირობად სთვლიდეს. პირიქით, სარეცენზიო ნაშრომის შესაავალნივე გარკვევით არის აღნიშნული, რომ “მეთოდოლოგიური საკითხების გაშუქებას, რომელნიც, საერთოდ, იურიდიულ მეცნიერებათა და, კერძოდ-კი, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების კვლევა-ძიებასთან არანა დაკავშირებული, არ შეიძლება რაიმე დადებითი შედეგი მოჰყვეს, თუ წინასწარ გადაჭრილი არ იქნა ძირითადი საკითხი იმ მოუღენათა

თავისებურების შესახებ, რომლებსაც იურისპრუდენცია სწავლობს”, რომ “ყოველ მეცნიერებაში მეთოდოლოგიურ პრინციპებს არ აქვთ თავისთავადი (selbständige) მნიშვნელობა და ამ მეცნიერების საგნობრივი შინაარსით განისაზღვრებიან” (იხ. გვ. 13, 14, 38, 43).

ამ დებულებით აღნიშნულია არა მარტო სარეცენზიო ნაშრომის ავტორის შეხედულება მეცნიერების მეთოდოლოგიისა და საგნობრივი შინაარსის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, არამედ ის გზაც, რომელსაც საესეებში გარკვევით მისდევს სარეცენზიო ნაშრომი. ამიტომ რეცენზენტის მტკიცება, თითქოს რეცენზიაში მოყვანილი (გვ. 208-209) დასკვნები სარეცენზიო ნაშრომის თავისებური მეთოდიდან გამომდინარეობდნენ, უსაფუძვლოა იმ უბრალო მოსაზრებით, რომ აღნიშნულ ნაშრომში ზოგად მომენტებშიც კი არ არის მოცემული იურიდიული მეთოდოლოგიის გამოშუქებების ცდა და ეს სწორედ იმიტომ, რომ ნაშრომის ავტორის აზრით, მეცნიერული მეთოდოლოგია, საერთოდ, და, კერძოდ კი, იურისპრუდენციაში უნდა წარმოადგენდეს არა წინასწარ საფეხურს, არამედ მას, პირიქით, წინ უნდა უსწრებდეს მეცნიერების საგნობრივი შინაარსის თავისებურების გაშუქებას. ამიტომ გაუგებარია, თუ რა აქვს მხედველობაში რეცენზენტს, როდესაც იგი სარეცენზიო ნაშრომის მეთოდოლოგიაზე ლაპარაკობს. მართალია, რეცენზიაში სიტყვა “მეთოდოლოგია” და “მეთოდი” ასეთ კონტექსტში არის ნახმარი: “ავტორის მეთოდის თანახმად იურისპრუდენციის საგანს მხოლოდ სამართალი წარმოადგენს” (გვ. 208); მაგრამ აშკარაა, რომ აქ ეს ცნება სრულებით უადგილოა და რაიმე გასაკებ აზრს მოკლებულია, ვინაიდან უდაოა, რომ ამა თუ იმ მეცნიერების საგნის აღნიშვნა შორეულადაც კი არ წარმოადგენს მეთოდოლოგიური წყების მსჯელობას; ასეთი დებულებიდან, ე.ი. გარკვეული მეცნიერების საგნობრივი შინაარსის გათვალისწინებიდან, შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება ამ მეცნიერების მეთოდის შესახებ, მაგრამ თავისთავად მეცნიერების საგნის აღნიშნული მსჯელობა ვერაერთარი გზით ვერ მიეკუთვნება მეთოდოლოგიურ მსჯელობათა რიცხვს.

ამიტომ, ვინაიდან მოყვანილ კონტექსტში სიტყვა “მეთოდი” უადგილოდ და უშინაარსოდ არის ნახმარი, ჩვენ საფუძველი გვაქვს დასკვნისთვის, რომ ყველა ის ადგილი, სადაც რეცენზენტი გარკვეულ დასკვნებს ასაღებს, როგორც სარეცენზიო ნაშრომის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, რაიმე აზრსა და ლოგიკურ დასაბუთებას მოკლებულია.

2. მაგრამ დავანებოთ ამას თავი და გადავიდეთ რეცენზენტის მსჯელობის არსებით განხილვაზე, ე.ი. გავაშუქოთ, თუ რამდენად სისწორით გამოკაყვანს მას თავისი დასკვნები იმ დებულებებიდან, რომლებსაც იგი სარეცენზიო ნაშრომის მეთოდოლოგიის სახით ასაღებს. ზევით უკვე იყო აღნიშნული, რომ ჩვენ აქ ორი სახის დებულებებს ვხვდებით, რომელთა შორისაც ლოგიკური კავშირი არ არსებობს. ეს არა მარტო იმ ზოგადი მოსაზრებით, რომ, საერთოდ, მეთოდოლოგიური Einstellung არ წარმოადგენს საშუალებას სხვადასხვა სახის საგნებს შორის არსებულ დამოკიდებულებათა შესახებ რაიმე დასკვნების გაკეთებისთვის, არამედ რეცენზენტის მიერ წამოყენებული დებულებების განხილვაც ამავე შედეგს იძლევა. მართლაც, დიდი გონებამახვილობა არ არის საჭირო იმის გასაკებად, რომ დებულებიდან: “იურისტს არ შეუძლია მოსწყდეს თავის ინტენციონალურ საგანს, ე.ი. სამართალს”, “იურისტმა თავისი მსჯელობიდან უნდა განდევნოს ის, რაც

სამართალს არ წარმოადგენს," არავითარი გზით არ გამოდინარეობს რაიმე დასკვნა იმის შესახებ, თუ რა სახის დამოკიდებულება არსებობს სამართლისა (როგორც იურისპრუდენციის კლევეა-ძიების საგნის) და სხვა სახის საგნებს შორის; სხვანაირად აღნიშნული დებულებიდან ლოგიკურად შეუძლებელია იმ დასკვნის გაკეთება (რომელსაც რეცენზენტი აკეთებს), თითქოს შეუძლებელი იყოს "ნორმათა სისტემა, ე.ი. სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი, წარმოადგინოთ იმ ერთი მთლიანობის ცალკე მხარედ", - რაც სამართალს არ წარმოადგენს; ასეთი დასკვნა აშკარად ყალბია, ვინაიდან მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა მოვლენების წრე ქმნის ამა თუ იმ მეცნიერების საგნობრივი შინაარსს შორეულადაც კი არ იძლევა რაიმე დასკვნებს იმ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც აღნიშნული მეცნიერების საგანსა და სხვა საგნებს შორის უნდა არსებობდეს. უკანასკნელი საკითხი სრულებით დამოუკიდებელი ხასიათისაა და წყდება არა მეცნიერების საგნობრივი შინაარსის წინასწარი შემოფარგვლით, არამედ თვით იმ მოვლენების შესწავლის შედეგში, რომლებსაც ესა თუ ის მეცნიერება იკვლევს. უდაოა, რომ აქ ორ განსხვავებულ საკითხთან გვაქვს საქმე: 1. საკითხი, თუ რა ქმნის ამა თუ იმ მეცნიერების საგანს და 2. აღნიშნულ საგანსა და სხვა საგნებს შორის რა სახის დამოკიდებულება არსებობს. ამ ორ საკითხს შორის განსხვავება იმდენად ღიძია, რომ ესა თუ ის პასუხი პირველზე არავითარ დასკვნებს არ იძლევა მეორის გადასატრეულად.

კერძოდ, სახელმწიფო სამართლის შესახებ მსჯელობა, რომელიც აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს ნორმათა სისტემა, სამართალი წარმოადგენს, არავითარ დასკვნებს არ იძლევა იმ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც სამართალსა და სხვა მოვლენებს შორის უნდა არსებობდეს ან უფრო ზოგადად იმ საკითხზე, არსებობს თუ არა საერთოდ, ასეთი დამოკიდებულება.

3. ყოველივე ეს იმდენად ელემენტარული და ადვილი შესათვისებელია, რომ რეცენზიის საწინააღმდეგო მტკიცებებს შეუძლია მხოლოდ გაკვირება გამოიწვიოს. ალბათ, ჩვენი კრიტიკოსიც გრძნობდა ამ ლოგიკურ შეუსაბამობას და შესაძლებელია ამით იყო გამოწვეული, რომ იგი ხშირად თითქოს შეუსაბამობის მისაჩქმალადად, საკვირველ გამოთქმებს მიმართავს. ასე, მაგ., 209-ე გვერდზე იგი ამბობს: "არც ერთი ნაწილი სამართლის... სისტემისა არ შეიძლება დაკავშირებული იყოს (მეთოდოლოგიურად) იმასთან, რაც სამართალს არ წარმოადგენს". ან კიდევ 210-ე გვერდზე: "მაგრამ რაყი შეუძლებელია (მეთოდოლოგიურად), რომ იურისპრუდენციის საგნობრივი შინაარსი მივიღოთ, როგორც ნაწილი... იმისა, რომლის სხვა ნაწილებიც სამართალს... არ წარმოადგენენ"... და სხვ. ორივე აქ მოყვანილს გამოთქმაში ყურადღებას იპყრობს სიტყვა მეთოდოლოგიურად", რომელიც თუმც მორცხვად ფრჩხილებშია მოყვანილი, მაგრამ რომელსაც, ალბათ, მიუთვინილი აქვს ზევით აღნიშნული ლოგიკურ შეუსაბამობის მიმჭქმალველი ტერმინის როლი. ამ, თითქოს სასხვათაშორისოდ ნახმარმა ტერმინებმა, ალბათ, უნდა შექმნან შთაბეჭდილება, რომ როგორც ძირითადი დებულებანი, რომელნიც რეცენზენტს მოჰყავს 208-ე გვერდზე, ისე დასკვნები, რომელსაც იგი აკეთებს ამ დებულებებიდან, მეთოდოლოგიურ მსჯელობათა წყებას ეკუთვნიან და რომ ამიტომ აქ თითქოს არ არსებობს ის შეუსაბამობა, რაზედაც ზევით იყო მითითებული.

მაგრამ ეს ცდა ამაოა და ზევით აღნიშნულ ლოგიკურ შეუსაბამობის ამ გზით გაფანტვა შეუძლებელია, ვინაიდან ადვილი შესაძინეია, რომ სიტყვა "მეთოდოლოგიურად" აქ

სრულებით უადგილოდა ნახმარი. გამოთქმა “დაკავშირებული იყო”, რომელსაც უშუალოდ თან მოსდევს სიტყვა “მეთოდოლოგიურად”, შეიძლება გაგებულ იქნეს ან თვით მოვლენებს შორის (ამ შემთხვევაში სამართალსა და არასამართლებრივ მოვლენებს შორის) არსებული დამოკიდებულების გამომხატველი მსჯელობის მნიშვნელობით და ასეთ შემთხვევაში აშკარაა, რომ აქ ტერმინი “მეთოდოლოგიურად” უადგილო და უაზროა, ვინაიდან თვით მოვლენებს შორის შეიძლება არსებობდეს მრავალი სხვადასხვა სახის დამოკიდებულება, მაგრამ არასოდეს არ შეიძლება, რომ მათ შორის არსებული დამოკიდებულება დახასიათებული იქნეს, როგორც მეთოდოლოგიური და ეს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ მეთოდოლოგიური დაკავშირება შესაძლებელია თვით მსჯელობებს შორის და არა იმ მოვლენებს შორის, რომლებსაც ესა თუ იმ მსჯელობა ჰგულისხმობს.

ან კიდევ ზევით მოყვანილი გამოთქმა შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც დაკავშირება სხვადასხვა სახის მსჯელობებს შორის; ამ გაგებით ტერმინი “მეთოდოლოგიურად” თუმცა უაზრო აღარ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი იმ ლოგიკურ შეუსაბამობის გასაბათილებლად, რომელზედაც ზევით იყო მითითებული, გამოუსადეგარია, ვინაიდან აშკარაა, რომ, თუკი სამართალსა და არასამართლებრივ მოვლენებს შორის სინამდვილეში არსებობს კავშირი, ვერავითარი მეთოდოლოგია წინ ვერ აეღობება ასეთი კავშირის აღნიშვნას და სათანადო მსჯელობებში გამოხატვას და ასეთი კავშირის აღნიშვნის მეთოდოლოგიურ შეუძლებლობაზე ლაპარაკი კურიოზული იქნებოდა.

ამგვარად, ორივე შესაძლებელი მნიშვნელობით ტერმინი “მეთოდოლოგიურად” ან უაზროა, ან კიდევ სრულებით უადგილოდ არის ნახმარი.

4. მაგრამ საქმე მართლაც ზოგიერთ ტერმინებთან უადგილო ან უმინაარსოდ ხმარებაში როდია. რომ მართლაც ეს ნაკლი ახასიათებდეს რეცენზიის ამ ადგილს, სადაც გამოთქმულია ჩვენი კრიტიკოსის ძირითადი დებულებები, ამას კაცი ადვილად შეურიგდებოდა. სამწუხაროდ, დეფექტები, რომლებსაც ჩვენ აქ ვხვდებით, გაცილებით უფრო ძირითადი ხასიათისაა, და ამიტომ ისინი რეცენზიის ამ მთავარ დებულებებს ყოველგვარ მნიშვნელობას უკარგავენ.

სარეცენზიო ნაშრომის იმ დებულებიდან, რომლის თანახმად სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად ნორმათა სისტემა უნდა იქნეს ცნობილი, რეცენზენტი ორ დასკვნას აყვებდა: ა) “იურისტს არ შეუძლია მოსწყდეს თავის ინტენციონალურ<sup>4</sup> საგანს, ე.ი.

<sup>4</sup> არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ აქ ტერმინი “ინტენციონალური” სრულებით უადგილოდაა ნახმარი, თუკი ინტენციონალური საგანი არის “კორელატი” sinngebender Akte, თუკი “jedes intentionale Erleben hat sein intentionales Objekt” (Husserl, Ideen, s. 185); თუკი მეორეს მხრივ, ინტენციონალური ობიექტი იგივეა, რაც gegenständlicher Sinn (იხ. Husserl, ib.), აშკარაა, რომ ამა თუ იმ მეცნიერების საგნის და ინტენციონალური საგნის გაიგივება შეუძლებელია. ასეთ გაიგივებას სხვათა შორის წინ ეღობება 1. ის მოსაზრება, რომ ინტენციონალური საგანი თვითიყოფილი შემეცნებითი აქტისთვის არის მოქმედი როგორც მისი კორელატი და რადგანაც მეცნიერება (რამდენადაც იგი პრიმიტიულად წარმოადგენილია, როგორც ანტროპოლოგიური, როგორც შემეცნებითი აქტების მთლიანობა) ერთ შემეცნებით აქტში არ შეიძლება მოქმედი იქნეს, შეუძლებელია, რომ მას ერთი ინტენციონალური საგანი ჰქონდეს. 2. მეცნიერების ობიექტური მთლიანობა შესაძლებელია გაგებულ იქნეს არა როგორც შემეცნებითი აქტების მთლიანობა (თუ გვითვლით აღნიშნულ პრიმატიულ შეხედულებაზე არ დაერქვით), არამედ, როგორც მთლიანობა, რომელიც ჰუმანიტეტბათა შეკავშირებას ემყარება

(სქოლიოს გაგრძელება იხ. შემდეგ გვერდზე)

სამართალს" და ბ) რომ "იურისტმა თავისი მსჯელობიდან უნდა განდევნოს ყოველივე ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს".

შენიშვნაში მოყვანილი მოსაზრებებიდან აშკარაა, რომ ტერმინი "ინტენციონალური" რეცენზენტის მიერ ნახმარ კონტექსტში მოყვებულია რაიმე აზრს და ამიტომ, რეცენზენტის მსჯელობის შეფასებისთვის ყველაზე უფრო უკეთესი პირობების შესაქმნელად ვიგულისხმობთ, რომ აღნიშნული ტერმინი აქ შემთხვევით არის ნახმარი და ნამდვილად-კი რეცენზენტს მხედველობაში ჰქონდა არა ინტენციონალური, არამედ მეცნიერების საგანი. ასეთი გაგებით თუ მიუვლდებათ ეჭლა რეცენზენტის მსჯელობას იმის გასაშუქებლად,

(Zusammenhang der Wahrheiten, Husserl, *hog. Unt. I*, 228). ასეთ გაგებაში კი მეცნიერების დახასიათების დროს უარყოფილია ორიენტაცია შემეცნებით აქტზე და, მაშასადამე, მის კორრელატზედაც, ე. ი. ინტენციონალურ საგანზე. 3. მაგრამ შთავარი, რაც აქ უნდა აღნიშნულ იქნეს, შემდგომში მდგომარეობს: რეცენზიის იმ ნაწილის განხილვა, სადაც რეცენზენტი ინტენციონალურ საგანს ესება, უდაოდ ადასტურებს, რომ რეცენზენტი არ ანსხვავებს ერთიმეორისაგან საგანსა და ინტენციონალურ საგანს. ასეთი არე-დარევა კი დაუმეებელია რეცენზიისათვის, რომელიც მეცნიერულობის პრეტენზიებს აცხადებს. ჯერ თვით პუსსერლის შეხუდულებებში (რომლებსაც, ალბათ, რეცენზენტი ემაჩრება ადვილად შესაძრწევია განსხვავება საგნის ამ ორ ცნებას შორის და ამიტომ საესებთი საფუძვლიანად იყოს აღნიშნული ერთ-ერთი მყლეუარისგან, რომ "die Unterscheidung von Gegenstand als, Leitfaden" und Gegenstand als korrelat" sinngebender Akte... ist fur des Verstandnis der Anschauungen Husserls sehr wesentlich (იბ. A. Metzger, *Der Gegenstand der Erkenntnis*, *Iahrb. f. Phil. u. phan. Forsch.* 1925 B. VII, s. 627. ასეთი განსხვავება, შემდეგ, გატარებულია მთელ რიგ ნაშრომებში, რომელნიც პუსსერლის იდეების მტავალენის ქვეშ იმყოფებიან (იბ. მაგ. Pfander, *Logik*, s. 273, R. Ingarden, *Essetiale Fragen*, *Iahrb. f. Phil. u. phan. Forsch.* B. VII, s. 127 ff.). მაგრამ ამ განსხვავების ყველაზე უფრო მყაფო და დეტალური ანალიზი მოყმული აქეს N. Hartmann-ის ჩვენთვის აქ მედმეტი იქნებოდა იმ ოთხი სხვადასხვა შინაარსის აღნიშვნაზე შექრება, რომლებსაც ეს აეტორი გულისხმობს საგნის ცნებაში: ჩვენთვის საყმარისაა მიუთითოთ იმ მყაფო განსხვავებაზე, რომელიც ამ აეტორს გაყკეს ინტენციონალურ საგანსა და, საერთოდ, საგნის ცნებებს შორის. ეს განსხვავება, პარტმანის აშრით, იმდენად დიდი და პრინციულია, რომ ინტენციონალური საგანი არც კი შეიძლება ვიყნოთ საგნად ამ სიტყვის ნამდვილი შინაშეულობით. იგი, პირიქით, წარმოადგენს საგნის სახეს შეგნებაში (Bewusstsein) და თავისთავად არსებული საგნისგან არსებითად განსხვავებულია. (Hartmann *Grundzuge einer Metaphisik d. Erkenntnis*, 1925, s. 104 ff.). ამიტომ შემეცნების ფუნდამენტის დამახასიათებელია არა შემეცნებითი აქტის შინაართვა ინტენციონალური საგნისადმი, არამედ შინაართვა თავისდათავად არსებულ საგნისადმი და შემეცნებასაც მხოლოდ იმდენად აქეს ადვილი, რამდენად იგი ამ თავისდათავად არსებულ საგანს სწენება (იბ. s. 106). გეითი დასახელებული აეტორების შეხუდულებებს შორის სხვადასხვაობა არსებობს, მაგრამ ერთი რამ საერთოდ მიიწე არის აქ მოყმული. სახელდობრ, განსხვავება ინტენციონალურ საგანსა და საგანს შორის. საერთოდ ამ აეტორებისთვის აგრეთვე ის აშრიც, რომ შემეცნებისთვის და, მაშასადამე, თვით მეცნიერებისთვისაც დამახასიათებელია არა ინტენციონალური, არამედ თავისდათავად არსებულ საგანთან, ან როგორც სხვა აეტორები აღნიშნავენ, *objectum materiale*-სთან დამოილებულება. ეს აშრი დამახასიათებელია არა მარტო პარტმანისთვის, არამედ იმავე აშრს გამოსიტყმას, მაგ. Pfander, როდესაც აღნიშნავს, რომ თითოეული მსჯელობა აუცილებლად შინაართულია *objectum materiale*-სადმი და სწორედ ამამი მდგომარეობის მსჯელობის ის ძირითადი კონსტრუქციური მომენტია, რომელსაც იგი აღნიშნავს, როგორც *Anspruch auf Wahrheit*. შემდეგ, იმავე აშრს გამოიყენას M. Scheler, როდესაც აღნიშნავს, რომ თითოეული მსჯელობა აუცილებლად ახასიათებს ეს *Anspruch auf Wahrheit*-ს და იმისათვის, რომ იგი ჯემმარტი იქნეს, მან "mit irgendwelchen Tatsachen Ubereinsimmung zeigen muss", რომ, აშეკარად, ამა თუ იმ შემეცნებითი აქტის ჯემმარტება, ამ აეტორის აშრით, მოყმულია "wenn ein satzartig formierter Bedeutungsgehalt eines urteils, mit dem Bestand eines Sachverhaltes ubereinstimmt" (Scheler, *der Formalismus*, II, s. 48-49).

თუ რამდენად აქ მოყვანილი დასკვნები გამომდინარეობენ სარეცენზიო ნაშრომში მოყვანილი დებულებიდან, დაეინახათ, რომ აქ საჭირო ლოგიკური კავშირი მოცემული არ არის. სახელდობრ გაუგებარია, თუ რატომ არ შეუძლია იურისტს, რომელიც სამართალს სწავლობს, სამართლის გარდა სხვა სახის ობიექტებსაც მიააჟრას თავისი შემეცნებითი აქტები, ან რატომ უნდა განდევნოს იურისტიმა თავისი მსჯელობიდან ყოველივე ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს. სამართლის ასეთი აბსოლუტური იზოლაცია არამც თუ უდაო არ არის, როგორც ამას რეცენზენტი ფიქრობს, არამედ სამართლის მეცნიერების დეტალური დამუშავების ინტერესები სრულებით საწინააღმდეგოს გულისხმობენ. თუ ამა თუ იმ საგნის შესწავლა აუცილებლად გულისხმობს არა მხოლოდ იმ მომენტების აღნიშვნას, რომლებიც საგანში შესაძენვეი არიან მისი სრულებით განცალკევებით წარმოდგენის დროს, არამედ იმ თვისებების აღნიშვნასაც, რომლებიც საგანს ახასიათებენ მის დამოიდებულებებში სხვა სახის საგნებთან და თვით ამ დამოიდებულებების, როგორც ფორმის მხრით, ისე შინაარსობრივად გაშუქებას – ეს დებულება კი უდაო ხასიათს ატარებს, – აჟარაა, რომ, რამდენადაც დამოიდებულების ცნება აუცილებლად გულისხმობს minimum ორ წევრს დამოიდებულებისას, ამა თუ იმ მეცნიერების საგნის გაშუქების დროს შემეცნების რეალში ნაწილობრივ მანაც აუცილებლად ჩათრეული იქნება სხვა სახის მოვლენები, რომლებთანაც მეცნიერების საგანი დამოიდებულებაში იმყოფება. ასეთ მდგომარეობას ჩვენ თითქმის ყველა მეცნიერებაში ვხვდებით, მაგრამ განსაკუთრებით ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია სამართლის მეცნიერებისთვის<sup>5</sup>. და ეს იმიტომ, რომ აქ არა მარტო სხვა მეცნიერებათა Forshungsgebiet წარმოდგენს იმ “სხვა მოვლენებს” – რომლებთან სამართლის დამოიდებულება სამართლის ცნების სრული გაშუქების მიზნით უნდა გამოირევეულ იქნეს, არამედ იმიტომაც, რომ თითქმის

<sup>5</sup> თუ მხედველობაში მივიღებთ, ერთი მხრით, ყოველივე ამას, მეორე მხრით, კი გვეით მოყვანილ დებულებას, რომ მეცნიერება შეიძლება გაეგებულ იქნეს, როგორც ჰემმარნიტ დებულებათა მთლიანობა, აუცილებელი გახდება დასკვნა, რომ მეცნიერების საგანი არ შეიძლება დახასიათებულ იქნეს, როგორც ინტენციონალური საგანი. ამ გარემოებაზე შეჩერება საჭირო იყო, ერთის მხრით, იმიტომ, რომ ზოგიერთნი იმ დასკვნებისგან, რომელსაც რეცენზენტი აუთიებს, ეჟარებთან მეცნიერების საგნის, როგორც ინტენციონალური საგნის გაგებას. მეორე მხრით, კი ამ გარემოებაზე საჭირო იყო მითითება იმ მოსაზრებითაც, რომ უაღვილოდ ამა თუ იმ ტერმინის ხმარება შემთხვევით მოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ ჩვენი რეცენზენტისთვის სისტემალ არის ქვეული. ასე, მაგალითად, 210-ე გვ. რეცენზენტი, ეხება რა სახელმწიფოს, როგორც სახ. სამ. მეცნიერების საგანს, ამ აზრის გამოსახატავად ხმარობს გამოთქმას: “... მან უნდა სცნოს სახელმწიფო როგორც Noema der Noesis des Rechtsurteils. ტერმინი Noema პირველად ჰუსერლის მიერ ხმარებაში სრულებით გარეველის აზრით არის შეტანილი და იგი სრულებით არ არის საგანი და, მამასადამე, არც ამა თუ იმ მეცნიერების საგანი. ამის ნათელსაყოფად საქმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი ჰუსერლის Ideen-იდან: “Alsoauch das Noema bezieht sich auf einen Gegenstand” (s. 269). ან “Ledes Noema hat einen, Inhalt, namlich seinen, Sinn” und bezieht sich durch ihn auf Gegenstand” მოყვანილი ადგილები არ სტოვებენ იმის ეჭვს, რომ Noema და საგანი არსებითად ერთი მეორისგან განსხვავებული არიან. ამიტომ რეცენზიაში ეს ტერმინი (Noema) უაღვილოდ და უაზროდ არის ნახმარი. რაიმე გარევეულ აზრს მოსულებულია აგრეთვე 210-ე გვერდზე ნახმარი გამოთქმა, სადაც სახელმწიფო აღნიშნულია, როგორც Symbol der Kechtsgegenstande, ე. ი. როგორც სიმბოლო სამართლის ობიექტებისა. ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რატომ უნდა იქნეს გაგებელი სახელმწიფო, ჯერ ერთი, როგორც სიმბოლო და შემდეგ როგორც სიმბოლო სწორად სამართლის ობიექტებისა. ასეთი გამოთქმებისგან არ შეიძლება კაცმა არ მიიღოს შთაბეჭდილება, რომ რეცენზენტი სერიოზულ მეცნიერულ მსჯელობის ნაცვლად უშინაარსო ფრაგმენტოლოგიას იძლევა.

სამართლის თითოეული კატეგორია შინაგან ორბუნებოვნობას გვიშლის, რომელშიც წმინდა სამართლოვანი მომენტების გვერდით მოცემულია არასამართლოვანი მატერია და ამ შინაგანი სტრუქტურის გაშუქება, ე.ი. აქ არსებულ დამოყიდებულებათა აღნიშვნა, სამართლის შესწავლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. საწინააღმდეგოს მტკიცება მხოლოდ მას შეუძლია, ვინც ჩვენი რეცენზენტით ერთი-მეორეში აურევს მეცნიერების საგანსა და ინტენციონალურ საგანს; მხოლოდ მას შეუძლია ამტკიცოს, რომ იურისტი თითქოს მიჯაჭვული იყოს თავის საგანთან და ეს "მიჯაჭვა" იმ აზრით გაიგოს, რომ სამართლის მეცნიერების ფარგლებში შეუძლებლად ჩასთვალოს იმ დამოყიდებულებათა აღნიშვნა, რომელშიც სამართალი სხვა სახის მოვლენებთან იმყოფება და ამ დამოყიდებულებათა აღნიშვნის დროს ამ მოვლენებზე ნაწილობრივი შეჩერება. მაგრამ ზევით მოყვანილი მოსაზრებებიდან უდაოა, რომ ასეთი შეხედულება აშკარად ყალბია, ვინაიდან სწორედ სამართლის ცნების მთლიანი გაშუქება აბსოლუტურად შეუძლებელი ამოცანა გახდება იმისთვის, ვინც ჩვენი რეცენზენტის მეთოდოლოგიას გაკვეცება. უბრალო მაგალითს შეუძლია ამ დებულების ილუსტრაცია. მაგალითად, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სამართალზე, როგორც "ზედნაშენზე" აშკარაა, ამით აღნიშნულია არა სამართლის ისეთი მომენტი, რომელიც მას ახასიათებს მისი (ე.ი. სამართლის) განცალკევებითი წარმოდგენის, ე. ი. სამართლის სრული შემეცნებითი იზოლიაციის დროს, სხვა სახის მოვლენებისგან, არამედ ამით სწორედ ის თვისებაა აღნიშნული, რომელიც სამართალს ახასიათებს მის დამოყიდებულებაში სხვა მოვლენებთან, - კერძოდ, ამ შემთხვევაში ეკონომიურ მოვლენებთან. აშკარაა, რომ სამართლის "ზედნაშენად" ცნობა შეუძლებელი იქნებოდა იმისთვის, ვინც რეცენზენტის მეთოდოლოგიას დაუჯერებს, ვინაიდან ამ მეთოდოლოგიის თანახმად იურისტს შეუძლია მხოლოდ სამართალი გახადოს თავისი მსჯელობის საგნად. მსჯელობა კი, რომელიც სამართალს დაახასიათებს, როგორც "ზედნაშენს", აუცილებლად უნდა შეეხოს იმ მოვლენებსაც, რომელთა მიმართ სამართალი ცნობილია, როგორც "ზედნაშენი" და კერძოდ კი, ამ მოვლენების იმ თვისებებს, რომელნიც მათ ახასიათებს სამართალთან დამოყიდებულებაში; მაგრამ მეორეს მხრივ ისიც აშკარაა, რომ სამართლის "ზედნაშენად" ცნობა სამართლის მეცნიერებისთვის არამც თუ არ წარმოადგენს უმნიშვნელო და მეორე ხარისხოვან მსჯელობას, არამედ ისეთ მსჯელობას, ურომლისოდაც სამართლის ბუნების მთლიანი გაგება მიუღწეველი იქნებოდა; ამიტომ სამართლის მეცნიერების ფარგლებიდან განსაღვენია არა ეს მსჯელობა, (რომელშიც ჩვენი რეცენზენტის შეხედულების საწინააღმდეგოდ ნაწილობრივ აუცილებლად უნდა იქნეს გაშუქებული არასამართლოვანი - ეკონომიური მოვლენებიც) როგორც ამას რეცენზენტი მოითხოვს ("იურისტმა თავისი მსჯელობიდან უნდა განდევნოს ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს"), არამედ იურისპრუდენციის ფარგლებიდან უნდა განდევნილ იქნეს სწორედ რეცენზენტის მეთოდოლოგია, რომელსაც შეუძლია ჩვენს მეცნიერებას მხოლოდ ის სამსახური გაუწიოს, რომ სამართლის ბუნების გაშუქება შეუძლებელ ამოცანად აქციოს.

ამგვარად, საკითხი სრულებით არ არის ისე მარტივი, როგორც ეს ჩვენს რეცენზენტს ჰგონია. რასაკვირველია, სწორია ის დებულება, რომელიც ჩვენს წიგნში არის მოყვანილი და რომლის თანახმად სახელმწიფო სამართლის, ისე როგორც სხვა სამართლის მეცნიერების საგნად თვით სამართალი ანუ სამართლის ნორმათა გარკვეული სისტემა შეიძლება იქნეს ცნობილი. მაგრამ სწორედ ამ საგნის შესწავლა, მისი ბუნების მთლიანი

გამუშევა აუცილებლად გულისხმობს იმ დამოკიდებულებათა აღნიშვნასაც, რომელშიც სამართალი იმყოფება სხვა სახის მოვლენებთან და ნაწილობრივ ამ უკანასკნელთა თვისებების აღნიშვნასაც (სახელდობრ, რამდენადაც ეს საჭიროა სამართალსა და არასამართლოვან მოვლენებს შორის არსებულ დამოკიდებულებათა გასაგებად). ამიტომ რეცენზენტის მოსაზრება, თითქოს სამართლის მეცნიერების საგნად ნორმათა სისტემის ცნობა იმ შედეგს იძლეოდეს, რომ იურისტმა თავისი მსჯელობიდან უნდა განდევნოს ყოველი ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს, უსაფუძვლოა, ვინაიდან იგი არ გამომდინარეობს სარეცენზიო ნაშრომის დებულებიდან და, გარდა ამისა, სამართლის შესწავლას შეუძლებლად ხდის.

5. საფუძველს მოკლებულია აგრეთვე დანარჩენი დასკვნებიც, რომელსაც რეცენზენტი ზევით მოყვანილ მსჯელობიდან აკეთებს 208-213 გვ. ამ დასკვნების შეფასებისას წინასწარ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის უსისტემობა, რომელსაც აქ ეხედებით; სხვადასხვა დებულებანი აქ ერთი-მეორეს გვერდით არიან მოყვანილი რაიმე ლოგიკური კავშირის გარეშე. ასე, მაგალითად, ერთი მხრით, ჩვენ აქ ეხედებით დასკვნას, რომელიც აღნიშნავს, რომ თითქოს სარეცენზიო ნაშრომის დებულება – სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი – სამართალია – შეუძლებლად ხდიდეს სამართალი წარმოადგინოთ ისეთი მთლიანობის ცალკე ნაწილად, რომლის სხვა ნაწილებიც სამართალს არ წარმოადგენენ; უშუალოდ ამის გვერდით კი ჩვენ ეხედებით სრულებით სხვა შინაარსის დასკვნას: “რაკი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სახელმწიფოს შინაარსს ვერ ამოსწურავს – ცხადია, რომ სახელმწიფო, როგორც ასეთი, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს აღარ წარმოადგენს”. ადვილი შესაძენეა, რომ ეს ორი დასკვნა შინაარსობრივად არსებითად განსხვავებიან ერთი-მეორისგან და რაიმე ლოგიკური კავშირი მათ შორის ძნელი აღმოსაჩენია. მაგრამ დაეანებოთ ამას თავი და გადავიდეთ თითოეული დასკვნის განცალკევებით შეფასებაზე.

ა) იმ მოსაზრებათა შემდეგ, რომელიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ, რეცენზენტის პირველ დასკვნაზე დიდხანს შეჩერება არ დაგვჭირდება. თქმა იმისა, რომ სამართალი ისეთი საგნის ნაწილს წარმოადგენს, რომლის მთლიანი შინაარსი მარტო სამართლებრივით არ ამოიწურება, არის მსჯელობა იმ დამოკიდებულების შესახებ, რომელშიც სამართალი სხვა საგნებთან იმყოფება (კერძოდ, ამ შემთხვევაში იმ საგანთან, რომლის ნაწილს სამართალი წარმოადგენს და ამავე საგნის დანარჩენ, არასამართლებრივ ელემენტებთან), ვინაიდან ამკარაა, რომ ნაწილად ყოფნა დამოკიდებულებაში ყოფნას ნიშნავს. და რადგანაც (ზევით მოყვანილ მსჯელობათა თანახმად) სამართლის მთლიანი გამუშევა აუცილებლად გულისხმობს იმ დამოკიდებულებათა აღნიშვნასაც, – რომელშიც სამართალი იმყოფება არასამართლებრივ მოვლენებთან, ამკარაა, რომ იურისტს, წინააღმდეგ რეცენზენტის მტკიცებისა, არამც თუ შეუძლია წარმოადგინოს “თავისი საგანი იმის ნაწილად, რაც სამართალს არ წარმოადგენს, არამედ სწორედ ასე უნდა მოიქცეს, თუ სურს, რომ მის მსჯელობას რაიმე მეცნიერული ღირებულება ექნეს; ამით იგი სრულებით არ გასცილდება თავისი მეცნიერების ფარგლებს, ვინაიდან ამ შემთხვევაში იგი იყვლევს იმავე სამართალს, მხოლოდ მის (ე.ი. სამართლის) სხვა საგნებთან დამოკიდებულებათა მხრით. ამ მოსაზრებებით სახეებით გაბათილებულია რეცენზენტის პირველი დასკვნა. აქ რეცენზენტს ვერ უშველის ის დამატებითი მითითებანი, რომლებსაც იგი თავისი დასკვნების გას-



ამაგრებლად აკეთებს 210-ე გვერდზე. აქ რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ნაწილის შესწავლით მთლიანობის შინაარსის გამოკვლევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაწილები ერთმანეთის შემავსებელ<sup>4</sup> ურთიერთობაში არიან, ხოლო სარეცენზიო ნაშრომში კი, რეცენზენტის მტკიცებით, სამართალი და სოციალური ორ სრულიად დამოუკიდებელ საგანს წარმოადგენენ, რომელთა შორის გაწყვეტილია “ლოგიური კავშირი”. რეცენზენტის ამ უკანასკნელ მითითებას ლოგიური კავშირის გაწყვეტის შესახებ – ჩვენ საკვებით ვიღებთ, ვინაიდან, ჩვენი აზრით, ლოგიური კავშირი შესაძლებელია მხოლოდ მსჯელობებს შორის და არა საგნებს შორის, სამართალი კი ისე, როგორც სოციალური, არ წარმოადგენს მსჯელობას, არამედ საგანს. სამაგიეროდ, ჩვენ სრულებით ვერ შევუერთდებით რეცენზენტის მტკიცებას, თითქოს სარეცენზიო ნაშრომი უარყოფდეს სამართალსა და სოციალურ მოვლენებს შორის კავშირს. აქ საკამათო არაფერია, საკმარისია მხოლოდ ის, რაც სარეცენზიო ნაშრომში შავით თეთრზე არის დაწერილი, სისწორით იქნეს წაითხული და ამით აშკარა გახდება, რომ რეცენზენტი სრულებით დამახინჯებულად გადმოსცემს სარეცენზიო ნაშრომის დებულებებს ამ საკითხში. სათანადო ადგილები სარეცენზიო ნაშრომიდან, რომელნიც რეცენზენტის ზევით მოყვანილ მტკიცებას საკვებით აბათილებენ, მოყვანილია ჩვენი წერილის დასაწყისშივე და იქ დაწერილის განმეორება ზედმეტია. ამგვარად, რეცენზენტის ზევით მოყვანილი მსჯელობა სარეცენზიო ნაშრომის დებულებათა ყალბად გადმოცემაზე ემყარება და ამ უკანასკნელის გამოაშკარაებასთან ერთად მას ეკარგება დასაყრდენი ფუძე.

მაგრამ ამავე მსჯელობას ახასიათებს კიდევ მეორე გაუგებრობა. რეცენზენტის აზრით, სამართალი და სოციალური, სხვათა შორის, იმიტომ არ უნდა წარმოვიდგინოთ მთლიანობის ცალკე მხარეებად ანუ ნაწილებად, რომ ნაწილად ყოფნა ნიშნავს *Ergänzungsbedürftig*-ად ყოფნას, “ხოლო სამართალი და სოციალური კი აუტორის გამოკვლევაში არსებობენ, როგორც ორი საგანი ორი დამოუკიდებელი მეცნიერებისა” (გვ. 211), ე.ი. რეცენზენტს ჰქონდა, რომ თუ მოვლენების გარკვეული კომპლექსები ორი სხვადასხვა მეცნიერების საგანს შეადგენენ, მათ შორის შეუძლებელია რაიმე დამოკიდებულების არსებობა. ასეთი შეხედულება აშკარად შეცდარია, ვინაიდან ამა თუ იმ მეცნიერების მიერ მოვლენათა გარკვეული კომპლექსის თავის საგნად დასახვა, აშკარაა, ვერაფერით ცვლილებას ვერ გამოიწვევს თვით მოვლენებში და, კერძოდ კი, ვერ მოსპობს იმ დამოკიდებულებებს, რომელნიც აღნიშნულ მოვლენებსა და სხვა მოვლენებს შორის არსებობენ; ამიტომ ამა თუ იმ საგნის განსაზღვრული მეცნიერების შესწავლის ობიექტად ცნობა შორეულადაც კი არ იძლევა რაიმე საფუძველს აღნიშნული საგნის სხვა მეცნიერებათა საგნებთან დამოკიდებულების უარსაყოფად.

ბ) გადავიდეთ ეხლა რეცენზენტის მეორე დასკვნის შეფასებაზე, რომლის თანახმად “რაკი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სახელმწიფოს შინაარსს ვერ ამოსწურავს... სახელმწიფო, როგორც ასეთი, სახ. სამ. მეცნიერების საგანს აღარ წარმოადგენს”. ამავე დასკვნას რეცენზენტი იმეორებს 210-ე გვერდზე, მაგრამ კიდევ უფრო გარკვეული ფორმით. აქ ნათქვამია: “რაკი სახელმწიფო ჩვენი აუტორის თეორიის

<sup>4</sup> სიტყვა *Ergänzungsbedürftig*, რომელსაც რეცენზენტი სმარობს, აქ იმავე გარემოების ენოსეოლოგიურ ასახვას წარმოადგენს, რომელიც, ონტოლოგიის ენაზე გადატანილი, დამოკიდებულების ცნებით აღნიშნება; სწორედ ამიტომ უპირატესობას ჩვენ ამ უკანასკნელ ტერმინს ვაძლევთ.

თანაბმად არ არის თანაბარი სამართლისა, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ერთადერთი საგნობრივი შინაარსია, ცხადია, რომ სახელმწიფო, როგორც ასეთი (როგორც მთლიანობა, ე.ი. როგორც საგანი) არ შეიძლება სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს წარმოადგენდეს". აღნიშნული დასკვნებიდან რეცენზენტს შემდეგ ის დებულება გამოჰყავს, რომ იურისტს, რომელიც სამართალს სწავლობს, არ შეუძლია იფიქროს თითქოს ის სახელმწიფოს სწავლობდეს და რომ, ის, ვინც სახელმწიფო სამ. მეცნიერების საგანს ნორმათა სისტემაში ხედავს, მაგრამ სახელმწიფოსა და სამართალს არ გააიგივებს, დაუკარგავს სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას თავის საგანს, ე.ი. სახელმწიფოს.

მთელი ეს არგუმენტაცია ზოგიერთი ცნების ორაზროვანად ხმარებას ემყარება და საკმარისია ამ ორაზროვნების გამოაშკარავება, რომ მას დასაყრდენი ფუძე გამოეცალოს. განვიხილოთ უფრო დაახლოებით, თუ რაშია საქმე. როდესაც რეცენზენტი ხმარობს გამოთქმას "სახელმწიფო, როგორც ასეთი" საკითხავია, თუ რას გულისხმობს ის აქ. თუ ამ გამოთქმით ნაგულისხმევა სახელმწიფოს მთლიანი შინაარსი, მაშინ რეცენზენტი ღია კარებს არახუნებს, ვინაიდან სარეცენზიო ნაშრომი სწორედ იმ დებულებიდან გამოდის, რომ სამართალი ან, უკეთ, სახელმწიფოს სამართლებრივი მხარე, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს შეადგენს, არ ამოსწურავს საესებით სახელმწიფოს ბუნებას. ამ დებულების უარსაყოფად საჭირო იყო ან იმის დამტკიცება, რომ სახელმწიფოს მთლიანი შინაარსი სამართლით ამოიწურება და, რომ ამიტომ სახელმწიფო და სამართალი ერთი და იგივე საგნის აღმნიშვნელი ტერმინებია; ან იმის დამტკიცება, რომ სახელმწიფოს მთლიანი შინაარსი მარტო სოციალური ამოიწურება და სამართლებრივი მომენტი აქ მოცემული არ არის, არც ერთს და არც მეორე საკითხს რეცენზენტი არც კი ეხება და ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ რეცენზენტი გამოთქმით – "სახელმწიფო, როგორც ასეთი" ან "სახელმწიფო, როგორც მთლიანობა" – სახელმწიფოს მთელ შინაარსს გულისხმობდა, მის არგუმენტაციას ყოველგვარი ზარი ეკარგება, ვინაიდან სწორედ სარეცენზიო ნაშრომის დებულება არის, რომ სახელმწიფოს მთლიანი შინაარსი არ შეისწავლება მარტო სახ. სამ. მეცნიერებით და ამ დებულებაზე მითითება არ წარმოადგენს რაიმე ნაკლის აღმოჩენას სარეცენზიო ნაშრომში, სანამ არ იქნება დამტკიცებული საწინააღმდეგო, ე.ი. ის, რომ სახელმწიფოს მთლიანი შინაარსი შეიძლება გაშლილ იქნეს მხოლოდ სახ. სამართლის მეცნიერებაში. ალბათ, გონიერებამ უკარნახა ჩვენს კრიტიკოსს ასეთი რამის მტკიცებას მორიდებოდა, ვინაიდან აშკარაა, რომ ის პანიურიდობში, რომელიც ამ მტკიცების ლოგიკურად აუცილებელ შედეგს წარმოადგენს, ყველაზე უფრო გამოუსადეგარი და უნაყოფო გზა სახელმწიფო სამართლის პრობლემების დამუშავებისას.

მაგრამ გამოთქმით – "სახელმწიფო, როგორც ასეთი, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს აღარ წარმოადგენს" – შეიძლება ნაგულისხმევი იყოს არა სახელმწიფოს მთელი შინაარსი და, მაშასადამე, ის ზარი, რომ სახელმწიფოს მთლიანი შინაარსს არ ამოსწურავს სახელმწიფო სამართლის მეცნიერება, არამედ ის ზარი, რომ სახელმწიფო სრულებით არ შეისწავლება სახ. სამ. მეცნიერებისგან, რომ მართლაც რეცენზენტს ეს ჰქონდა მხედველობაში, ამას თითქოს ზეერთ აღნიშნული გამოთქმის შემდგომ უშუალოდ თანამომდევნო სტრიქონები ადასტურებს. აქ ნათქვამია: "იურისტს, რომელიც ივლევს ნორმათა სისტემას... არ ძალუძს იფიქროს, რომ იგი თითქოს სახელმწიფოს ივლევს".

რეცენზიის ასეთი დასკვნა აშკარად უსაფუძვლოა, ვინაიდან ელემენტარული დებულებაა, რომ ამა თუ იმ კომპლექსის მთლიანობის ცალკე მხარის, ანუ ამ კომპლექსის მთლიანობის შინაარსიდან ნაწილის შესწავლა თვით მთლიანობის (ნაწილობრივ) შესწავლას ნიშნავს. საწინააღმდეგოს მტკიცება იმ აბსურდ დასკვნამდე მიგიყვანდა, რომ, მაგ. ანატომია, რომელიც ადამიანს იკვლევს არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ (ადამიანის ორგანიზმის აგებულებას) თითქოს ადამიანს არ უნდა სწავლობდეს.

ალბათ, რეცენზენტი თვითონვე გრძობდა თავისი დასკვნის აბსურდობას და მდგომარეობის გამოსასწორებლად მას შემდეგი მოსაზრება მოჰყავს: “ამ შემთხვევაში მითითება იმაზე, რომ სახ. სამ. მეცნიერება თითქოს მხოლოდ სახელმწიფოს სამართლებრივ მხარეს იკვლევს და სოციოლოგია კი სოციალურ მხარეს, ვერ გადაარჩენს ჩვენი ავტორის ძირითად დებულებებს, რადგანაც თვით ავტორის მეთოდის თანახმად, შეუძლებელია ნორმათა სისტემა, ე. ი. სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი, წარმოვიდგინოთ იმ ერთი მთლიანობის ცალკე მხარედ, რომლის აზრიც სამართლის შინაარსით საესებით ვერ ამოიწურება”.

ჩვენი აზრით კი, სწორედ ამ არგუმენტაციის გადარჩენა არის შეუძლებელი საქმე. ადვილი შესაძრწევია, რომ მთელი ეს არგუმენტაცია ემყარება ისეთ დებულებას, რომელიც ზევით საუბაროდ ვრცლად იყო განხილული და მისი სრული უნიდაგობა გამოაშკარაებულა: ეს არის დებულება იმის შესახებ, თითქოს შეუძლებელი იყოს სამართალი წარმოვიდგინოთ ისეთი მთლიანობის ცალკე მხარედ, რომლის შინაარსი სამართლის საესებით არ ამოიწურება და რომ თითქოს ასეთი შეუძლებლობა გამოძინარობდეს სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად იმ სამართლებრივი შინაარსის ცნობისგან, რომელიც სახელმწიფოს მთლიანობაში სოციალურის გვერდით არის მოცემული. ამ დებულების შეფასებასა და მისი უსაფუძვლობის გამოაშკარაებაზე ვრცლად შექჩერდით ზევით და ხელმეორედ ამავე საკითხს აღარ დაუბრუნდებით.

ამრიგად, ზევით მოყვანილ მოსაზრებათა მიხედვით, ჩვენი რეცენზენტის მეორე დასკვნაც – თითქოს სარეცენზიო ნაშრომის მეთოდოლოგია შეუძლებლად ხდიდეს სახელმწიფოს ცნობას სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად – გაუგებრობას წარმოადგენს და მას სერიოზული ანგარიში არ გაეწევა.

ანგარიშგასაწევი არ არის აგრეთვე არც ის მოსაზრებანი, რომლებიც რეცენზენტს ზევით აღნიშნულ დასკვნებთან დაკავშირებით მოჰყავს 211-ე გვერდზე. აქ რეცენზენტი შემდეგნაირად მსჯელობს: “რაკი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი არ შეიძლება ჩათვალოთ მთლიანობის ცალკე მხარედ, 2. რაკი ეს საგნობრივი შინაარსი იგივე არ არის, რაც სახელმწიფო და 3. რაკი იგი წარმოადგენს არა ნორმათა განსაზღვრულ სისტემას, არამედ საერთოდ ნორმებს... ცხადია, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება ჩვენი ავტორის მეთოდის თანახმად არის არა მეცნიერება სახელმწიფოზე, არამედ უბრალო მოძღვრება სამართლისა და ნორმების შესახებ და თანაც ისეთი მოძღვრება, რომელიც თავის საგნად ვერასოდეს სახელმწიფოს ვერ ჩასთვლის”.

აქ მოყვანილი სამი დებულებიდან პირველი უსაფუძვლოა იმ მოსაზრებებით, რომელიც ზევით (4-5) ვრცლად იყვნენ განვითარებულნი. მესამე დებულება აშკარად ყალბია,

ვინაიდან სარეცენზიო ნაშრომის არც ერთ გვერდზე სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად ცნობილი არ არის, საერთოდ, ნორმები; პირიქით, აღნიშნული ნაშრომის სხვადასხვა ადგილას ის, რასაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერება უნდა სწავლობდეს, დახასიათებულია, როგორც იურიდიული მოწესრიგების ("rechtlicher Regulierung") სისტემა (გვ. 26), ე.ი. როგორც სამართლებრივი წესრიგი (Rechtsordnung), ან როგორც Rechtssein. რჩება, ამგვარად, მხოლოდ მეორე დებულება, რომლიდანაც ვერაერთი გზით ვერ გამოიყვანება დასკვნა, თითქოს სახელმწიფოს შესწავლა სახელმწიფო სამართლის მეცნიერების კვლევა-ძიების რეალს მიღმა რჩებოდეს, ვინაიდან ამკარაა, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება, რომელიც სახელმწიფოს სამართლებრივ მხარეს იკვლევს, ამით თვით სახელმწიფოსაც (ნაწილობრივ) სწავლობს, ისე როგორც, მაგ., ფსიქოლოგია, იკვლევს რა ადამიანის ფსიქიურ მოვლენებს, სწავლობს ადამიანს, თუმცა ფსიქიური მთლიანად არ ამოსწურავს ადამიანის შინაარსს; და ეს იმიტომ, რომ სამართლებრივი მოცემულია, როგორც შემადგენელი ნაწილი სახელმწიფოს მთლიან შინაარსში და მისი შესწავლა, ცხადია, თვით სახელმწიფოს შესწავლაა.

ამგვარად, ჩვენ იმ უდაო შედეგებამდე მივდივართ, რომ რეცენზენტის ზევით მოყვანილი დასკვნა ისეთ დებულებებს ემყარება, რომელთაგან პირველი უსაფუძვლოა, მესამე ყალბია და მეორე კი ისეთი შინაარსისაა, რომ დასკვნისთვის შორეულ საფუძველსაც კი არ იძლევა. ამიტომ თვით დასკვნაც ჰაერში რჩება დაკიდებული.

მაგრამ კიდევ უფრო კუროზულია დანარჩენი მოსაზრებანი, რომელიც რეცენზენტს იმავე 221-ე გვერდზე მოჰყავს. აქ ნათქვამია: მაგრამ, თუ ამ დასკვნის წინააღმდეგ გვიპასუხებენ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება... სწავლობს რა სამართლებრივ მხარეს ნამდვილად იკვლევს იმ ფენომენს, – რომელსაც სახელმწიფო ეწოდება და სოციაოლოგია სწავლობს რა მხოლოდ სოციალურს... იკვლევს იმავე სახელმწიფოს, მაშინ პირველ შემთხვევაში სახელმწიფოს მთელი შინაარსი აუცილებლად გაივსება სამართლის შინაარსით, ე.ი. სამართალსა და სახელმწიფოს შორის თანასწორობის ნიშანი დაისმის"...

ადვილი შესამჩნევია ის ელემენტარული ლოგიკური შეცდომა, რომელიც ამ მსჯელობაშია დამკვიდრებული და რომელიც მას ყოველგვარ ღირებულებას უკარგავს. სახელმწიფო, ამკარაა, რომ თუ სამართლის მეცნიერება სწავლობს სახელმწიფოს სამართლებრივ მხარეს, ის იმ ფენომენს, რომელსაც სახელმწიფო ეწოდება, იკვლევს არა მთლიანად (როგორც ეს ნაგულისხმევი აქვს რეცენზენტს), არამედ ნაწილობრივ (მხარეს) და ამიტომ აქ არაერთი საფუძველი არ არსებობს არც იმისთვის, რომ სახელმწიფოს მთელი შინაარსი გაივსოს სამართლის შინაარსით და არც იმისთვის, რომ სახელმწიფოსა და სამართალს შორის თანასწორობის ნიშანი დაესვათ. შეცდომა რეცენზენტის არგუმენტაციაში აქ იმდენად თვალსაჩინოა, რომ ზედმეტად მიგვანია კიდევ რაიმე მოსაზრების მოყვანა. მაგრამ, თუ ეს არგუმენტაცია უსაფუძვლოა, რეცენზენტის მითითება რაღაც ორ სახელმწიფოზე, რომელთაგან ერთი სამართლებრივი, მეორე კი სოციალური შინაარსით ამოიწურება, ან რაღაც უხელისუფლებო სახელმწიფოზე, მითითება, რომელსაც რაიმე აზრი აქვს მხოლოდ ამ არგუმენტაციასთან დაკავშირებით, ერთ დიდ გაუგებრობას წარმოადგენს და იმ თავისებური ლოგიკის შედეგია, რომლის ნიმუშებიც რეცენზიაში ასე უხვადაა გაბნეული.

6. ჩვენი რეცენზენტი უფრო სხვა შეხედულებისაა ზევით დაყენებულ საკითხზე და, ალბათ, ამიტომ არის, რომ იგი სხვა სახის მოსაზრებებით სცდილობს დაამტკიცოს ის დებულება, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად ნორმათა სისტემის აღიარებით სახელმწიფოს გამოცელება ყოველივე ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს, ე.ი. სახელმწიფო მთლიანად სამართლებრივი შინაარსით გაივსება. რეცენზენტი აქ შემდეგნაირად მსჯელობს:

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იურისტს შეუძლია იმსჯელოს მხოლოდ სამართალზე, სრულიად უეჭველი იქნება, რომ სახ, სამ, მეცნიერების საგნობრივ შინაარსს იგი მიაყუთენებს მხოლოდ სამართალსა და იმას, რაც სამართლის განხორციელებას წარმოადგენს. მხოლოდ სამართლის ეს განხორციელება ან განსაკუთრებული ნორმების სისტემის Wirkuns-ი შეუძლია იურისტს აღიაროს სახელმწიფოს სოციალურ რეალობად.

რამოდენიმე სტრიქონს ქვევით რეცენზენტი განაგრძობს:

იურისტს არ შეუძლია სახელმწიფოს შინაარსს მიაყუთენოს სოციალურ ურთიერთობათა ყველა ფორმები, არამედ მხოლოდ ის ფორმები, რაც მოცემულია სამართალში. ე.ი. წარმოადგენს იმ სამართლის განხორციელებას, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსად არის აღიარებული. მაგრამ: თუნდაც დაეუშვათ, რომ სახელმწიფოს შინაარსს შეადგენს არა სოციალურ ურთიერთობათა განსაზღვრული ფორმები, არამედ საერთოდ სოციალური, ამ შემთხვევაშიაც შემდეგი დებულება უნდა გაეზიაროთ: იმისათვის, რომ საერთოდ სოციალური ვაღიაროთ, როგორც ნაწილი სახელმწიფოსი, რომელსაც სამართლებრივი მხარეც აქვს, საჭიროა მთლად სოციალური განხილულ იქნეს სამართლის თვალსაზრისით". "იმ სოციალურის მოსაპოვებლად, რომელიც სამართალთან ერთად სახელმწიფოს შეადგენს, იურისტს შეუძლია მხოლოდ სამართლის კრიტერიუმით იხელმძღვანელოს. მაგრამ განა წარმოსადგენია, რომ სამართლის კრიტერიუმით სხვა რამ მოინახოს, თუ არა სამართალი? არა მგონია. ამიტომ ის სფერო, რომელიც ავტორის აზრით სახელმწიფოს სოციალური მხარეა, ან სრულიად უნდა მოსწყდეს სახელმწიფოს, ანდა ეს სოციალური მხარე უნდა წარმოვიდგინოთ როგორც სამართალი ან როგორც განხორციელება სამართლისა", როგორც "სამართლებრივი მხარე სახელმწიფოსი, უფრო სწორედ: ეს სოციალური მხარე არის განხორციელება სახელმწიფოს სამართლებრივი მხარისა", აღსრულება (Befolgung) ნორმათა იმ სისტემისა, რომელიც სახ. სამ. მეცნიერების საგნობრივ შინაარსს წარმოადგენს (გვ. 212-213).

ჩვენ განზრახ ასე ვრცლად მოვიყვანეთ რეცენზიტიდან ადგილები, ვინაიდან აქ ძალიან ბევრი რამ არის ყურადღების მისაქცევი. პირველ ყოვლისა, ის გარემოება, რომ რეცენზენტი არსებითად განსხვავებულ ცნებებს, ერთი მეორის ნაცვლად ხმარობს. ცნებათა ასეთი არეუ-ღარევის შედეგად კი სათანადო მოვლენები დამახინჯებულად არის გაშუქებული. ასე, მაგალითად: სამართლის განხორციელება, სამართლის Wirkung და სამართლის ნორმატივ Befolgung რეცენზიაში ერთი-მეორესთან გაიფარებულია, მიუხედავად არსებითი განსხვავებისა, – რომელიც მათ შორის არსებობს. სამართლის განხორციელების ქვეშ შესაძლებელია ვიგულისხმოთ სამართლის შეფარდება ანუ სამართლის ზოგადი ნორმების რეალიზაცია ორგანოების აქტებში – გადაწყვეტილება – სისრულეში მოყვანის აქტებში

Entscheidungs und Vollzugsakte<sup>7</sup>. მხოლოდ ასეთის გაგებით, რომელშიც სამართლის განხორციელების ცნება გაიგივებულია სამართლის რეალიზაციისკენ მიმართულ ორგანოს აქტის ცნებასთან, იგი შედის სამართლის შინაგან სისტემაში, როგორც შემადგენელი ელემენტი და იგი დაპირისპირებულია არა სამართალთან საერთოდ, არამედ მხოლოდ სამართლის ზოგად ნორმებთან; მაგრამ ასეთი გაგებით შეუძლებელია სამართლის განხორციელება ცნობილ იქნეს სოციალურ რეალობად, რამდენადაც საერთოდ დაშვებულია განსხვავება სამართალსა და სოციალურ რეალობას შორის.

ყოველივე ეს არ შეიძლება ითქვას დანარჩენი ორი ცნების – Befolgung და Wirkung Befolgung-ის შესახებ, რომლებსაც რეცენზენტი რაღაც გაუგებრობით სამართლის განხორციელებასთან აიგივებს. ნორმის Befolgung, ე.ი. ნორმისადმი დაქვემდებარება, ნორმით ხელმძღვანელობა მოქმედებაში, არ წარმოადგენს სამართლის განხორციელებას ზევით ნახსენები მნიშვნელობით, ვინაიდან იგი არ არის სამართლის ზოგადი ნორმების რეალიზაციისკენ მიმართული ორგანოს აქტი. ამიტომ ლიტერატურაში სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ თუ სამართლის განხორციელებაზე მითითებით ჩვენ არ ეცილებით სამართლის სფეროს, ნორმის Befolgung უკვე ისეთ ცნებას წარმოადგენს, რომელსაც მეტასამართლებრივ, ე.ი. არასამართლებრივ სფეროში გადაეყვართ და ეს იმიტომ, რომ იგი (Befolgung) წარმოადგენს არა სამართლის მთლიანი სისტემის შინაგან რგოლს, არამედ სამართლის რეფლექსს სოციალურში<sup>8</sup>.

იგივე უნდა ითქვას სამართლის Wirkung-ის, ე.ი. სამართლის ნორმების მოქმედების, შესახებ. უკანასკნელი ცნების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ან ის, რომ სამართლის ნორმა მოქმედებს. ან კიდევ ის ზეგაყენა, ის სოციალური ეფექტი, რომელსაც ნორმა იწვევს. ამკარაა, რომ როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მოვლენებთან, რომელნიც სამართალს არ მიეკუთვნებიან: განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მეორე შემთხვევის შესახებ, ვინაიდან ნორმის მოქმედების სოციალური ეფექტი ძალიან ხშირად სრულებით საწინააღმდეგოა ნორმის შინაარსთან და ასეთ შემთხვევებში, ცხადია, რომ სამართლის ნორმის Wirkung-ი ვერაფერითაა გზით ვერ იქნება ცნობილი სამართლის განხორციელებად და ამიტომ ვერც ამ უკანასკნელთან გაიგივებული, როგორც ამას რეცენზენტი სჩადის.

ამგვარად, როგორც ნორმის Befolgung, ისე ნორმის Wirkung არ წარმოადგენენ სამართლებრივ კატეგორიებს და ისინი სოციალურს მიეკუთვნებიან; მაგრამ, თუ ეს იქნება მიღებული მხედველობაში, რეცენზენტის დასკვნა – თითქოს იურისტს სახელმწიფოში მხოლოდ სამართლისა და სამართლის განხორციელების აღმოჩენა შეეძლოს, არ არის სწორი, ვინაიდან თვით რეცენზენტიც კი იძულებულია დაინახოს სახელმწიფოში ნორმის Befolgung და ნორმის Wirkung, რომელთაგან, როგორც ზევით იყო დასაბუთებული, არც ერთი არ წარმოადგენს არც სამართალს და არც სამართლის განხორციელებას. მართო ეს ერთი მოსაზრებაც კი სავსებით არღვევს რეცენზენტის ზევით მოყვანილ მსჯელობებს. მაგრამ აქ საჭიროა რამოდენიმე სიტყვით მეორე საკითხზე შეჩერება.

თვით მსჯელობაში რეცენზენტი აღნიშნავს, რომ სოციალურის აღმოსაჩენად იურისტს

<sup>7</sup> *ib. Verdross, Die Einheit des rechtlichen Weltbides, 1923, s. 80 ff.*

<sup>8</sup> *ib. Verdross, loc. cit. s. 81-82; Kelsen, Hauptprobleme, s. 48; მისივე – Das Problem der Souveränität, s.88 ff.*

შეუძლია იხელმძღვანელოს მხოლოდ სამართლის კრიტერიუმით, ამ უკანასკნელით კი შეიძლება მოინახოს მხოლოდ სამართალი. რით ასაბუთებს რეცენზენტს ამ მსჯელობას? არაფრით, გარდა ერთი უშინაარსო გამოთქმისა, რომელიც რეცენზენტს, ალბათ, აქსიომატიურ დებულებად მიაჩნია: “რომ იცოდე რა გყვია, უნდა იცოდე რა გაქვს”. საკვირველი დასაბუთებაა! ჯერ ერთი, ეს რეცენზენტის “აფორიზმი” სწორი არ არის, ვინაიდან მარტო იმის ცოდნით, თუ რა გვაქვს, ჩვენ მხოლოდ იმას გავიგებთ, თუ რა არ გვაკლია, მაგრამ არასდროს არ გვეცოდინება ის, რაც გვაკლია; მაგრამ ყოველივე ამას რა კავშირი აქვს სამართლის კრიტერიუმით სოციალურის ძებნის საკითხთან? ან, მეორე მხრით, რას ნიშნავს სამართლის კრიტერიუმით სოციალურის ძებნა? განა სოციალური “მოსაპოვებელი” რამ არის, რომელიც მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, თუ სამართლის კრიტერიუმს მოვიმარჯვებთ? რა შინაარსი იგულისხმება თვით სამართლის კრიტერიუმის ცნებაში? აი, ყველა ის საკითხი, რომლების გაშუქებაც რეცენზენტისათვის საკვალდებულო იყო, თუ მას არ სურდა, რომ მის მსჯელობას რეცენზიის ამ ნაწილში უშინაარსო ფრაზეოლოგიის ხასიათი მიეღო. თავისთავად ცხადია, რომ სოციალური უშუალოდ არის მოცემული და სწორედ ამიტომ არავითარი კრიტერიუმები მის “მოპოვებისათვის” საჭირო არ არის; მეორე მხრით, ვერავითარი, და მით უმეტეს, სამართლის კრიტერიუმი (რომლითაც თურმე მარტო სამართლის აღმოჩენა ყოფილა შესაძლებელი, კარგი კრიტერიუმი, რომელიც თუმც სოციალურის “მოსაპოვებლად” არის განკუთვნილი, მაგრამ, რომელიც სწორედ იმ თავისებურებით ხასიათდება, რომ სოციალურს ვერასოდეს “მოგვანახებებს”!) სინამდვილიდან ვერ ამოშლის იმ სოციალურ რეალობას, რომელიც სახელმწიფოს მთლიან შინაარსში უშუალოდ არის მოცემული. შესაძლებელია, რომ იურიისტს უფრო სხვა ინტერესები ჰქონდეს ამ სოციალურის შესწავლის დროს; შესაძლებელია, მას აინტერესებდეს არა მთლიანად სოციალური, არამედ სახელმწიფოს სოციალური შინაარსის ის ფენა, რომელიც სამართალთან უფრო ახლოს სდგას, რომელიც სამართალთან უშუალო დამოკიდებულებას გვიჩვენებს, მაგრამ საკითხთან ასეთი (იურიდიული) მისვლით, ცხადია, არც ის არის დამტკიცებული, რომ სახელმწიფოს მთელი სოციალური შინაარსი ამ ფენით ამოიწურებოდეს, და არც ის, რომ, საერთოდ, სოციალურის “მოპოვება” შესაძლებელი იყოს საკითხთან ასეთი “იურიდიული კრიტერიუმით” მისვლით. აშკარაა, რომ ამ გზით ჩვენ პირველი კი არ ვპოულობთ სოციალურს, არამედ გარკვეულ ფენას, გარკვეულ ნაწილს გამოვყოფთ უშუალოდ მოცემული სოციალურიდან, რომელშიც, ცხადია, სხვა “ნაწილებიც” იგულისხმება.

ამგვარად, რეცენზენტის ზევით ვრცლად მოყვანილი არგუმენტაცია შორს არის დაცილებული სერიოზულ მეცნიერულ მსჯელობას და ასეთი არგუმენტაციით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს რეცენზიაში წამოყენებული დებულება, თითქოს სახ. სამართლის მეცნიერების საგნად სამართლის აღიარება, შეუძლებლად ხდიდეს სახელმწიფოს მთლიან შინაარსში სოციალურის აღმოჩენას. მიუხედავად ამისა, რეცენზენტს მთელი ეს ჭიქის ფეხებზე შეყენებული არგუმენტაცია მტკიცე და ურყევი მიაჩნია!

რეცენზიის მთავარი დებულებანი ჩვენს მიერ უკვე განხილულია. დარჩა რამდენიმე დამატებითი მოსაზრება, რომელიც რეცენზენტს ზევით განხილულ მსჯელობათა გასამაგრებლად მოჰყავს და რომელზედაც მოკლედ შევჩერდებით.

214-ე გვერდზე რეცენზენტი შემდეგ საყვირეულ დებულებებს აყენებს:

თუ ავტორს არ სურდა, რომ მისი მეცნიერება სახელმწიფო სამართლისა ყოფილიყო ხან სისხლის სამართლის, ხან სამოქალაქო სამართლის, ხან საფინანსო სამართლის, ხან კიდევ სხვა რომელიმე სამართლის მეცნიერება (რადგანაც სამართალს ეს მეცნიერებანიც იყვლევენ), მას სამართლის საერთო სისტემა უნდა წარმოედგინა, როგორც მთელი რიგი საფეხურებისა (Rechtsstufen), რომელთაგან ერთი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს შეადგენს... მაგრამ ვინ, ან რა აწყობს სამართლის საფეხურებს თუ არა სახელმწიფო? რამდენიმე სტრიქონით ქვევით:

ამგვარად, იმისთვის, რომ სამართლის სისტემაში თავისებური საფეხურიანობა შეექმნათ და ამით სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას განსაზღვრული საფეხური მივაკუთვნოთ, საჭიროა ორიენტაცია სახელმწიფო აქტის იდეაზე და, მაშასადამე, საჭიროა ვაღიაროთ ამ აქტების მატარებელიც, ე.ი. სახელმწიფო იურიდიულ პირად უნდა ჩავთვალოთ.

აქედან რეცენზენტს გამოჰყავს დასკვნა, რომ სარეცენზიო ნაშრომისთვისაც (რამდენადაც იგი სახ. სამ. მეცნიერების საგანს ნორმათა განსაზღვრულ სისტემაში ზედაეს) სავალდებულო იყო სახელმწიფოს იურიდიულ პირად აღიარება, ვინაიდან “თუ ჩვენ არ მივიღეთ სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირი, შეუძლებელი იქნება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სახ. სამართლის მეცნიერება ნორმათა განსაზღვრულ სისტემას იყვლევს”.

განვიხილოთ ვერაჯერობით, თუ რამდენად სწორია აქ მოყვანილი დებულებანი. ვინც იმ თეორიას იცნობს, რომელსაც ჩვეულებრივ აღნიშნავენ, როგორც Stufentheorie des Rechtes, ე.ი. თეორიას სამართლის საფეხურებრივ აგებულების შესახებ, მას არ შეიძლება განსაკუთრებულად არ მოეჩვენოს ერთი მხრით, ის გარემოება, რომ რეცენზენტი სამართლის საფეხურებრივ დანაწილებას უკავშირებს იურიდიულ მეცნიერებათა დღეს არსებულ სისტემატიკას, ხოლო მეორე მხრით კი, ის ლოგიკური კავშირი, რომელიც რეცენზენტის მტკიცებით აუცილებლად არსებობს აღნიშნულ თეორიას და სახელმწიფოს იურიდიულ პირად აღიარებას შორის. ორივე ეს დებულება გაკვირვებას იწვევს, ვინაიდან არც ერთი მათგანი შორეულადაც კი არ ჩამოჰყავს სინამდვილეს.

შევიწერდეთ პირველ დებულებაზე. სამართლის საფეხურებრივი წყობის თეორია გამოუმუშავებულია, როგორც რეაქტია გაბატონებული შეხედულების წინააღმდეგ, რომლის თანახმად სამართალი კანონით ან კანონისმაგვარი აქტებით ამოიწურება. ამის საწინააღმდეგოდ აღნიშნული თეორია უთითებს<sup>9</sup>, რომ კანონი სამართლის სხვადასხვა მოვლენებს შორის მხოლოდ ერთ სახეს წარმოადგენს, რომლის გვერდით მოცემულია სხვა სახეები, როგორცაა მაგალითად, რეგლამენტი, ადათი, კონსტიტუციონალური აქტები, სასამართლოს გადაწყვეტილება, აღმინისტრაციული აქტი, კერძო უფლებრივი გარიგებანი. ყველა ეს სამართლებრივი მოვლენა საფეხურებრივ, ე. ი. ცალკე ფენებად არის მოცემული, სადაც უმაღლეს საფეხურს, ე.წ. ძირითადი ნორმა (Ursprungsenform) წარმოადგენს, ხოლო ყველაზე უფრო დაბალ საფეხურს, ე.წ. ფაქტიური ხასიათის აქტები (rein tatsächlichen Akte).

<sup>9</sup> იხ. სხვათა შორის Merkl, die Lehre v. der Rechtskraft, 1923, s. 181 ff; Merkl, Allgemeines Urwaltungsrecht, 1927, s. 157, ff; Verdross, Die Verfassung der Völkervereinigung, 1926, 42 ff.



ამ თეორიიდან, სხვათა შორის, ზოგიერთ ავტორს ის დასვენა გამოკაცეს, რომ იურიდიულ მეცნიერებათა არსებული სისტემატიკა, რომელიც სამართალს ჰყოფს "nachinhaltlich-praktischen Gesichtspunkten" და ამ თეალსაზრისით სამართალდებულებათა (Rechtssatz) ნაწილს სახელმწიფო სამართალს, ნაწილს ადმინისტრაციულ სამართალს, სამოქალაქო სამართალს და სხვ. აუთენებს, უნდა უარყოფილ იქნეს და მის ნაცვლად უნდა გამომუშავდეს ახალი სისტემატიკა; უკანასკნელს სურს არსებულ სისტემატიკაში "von aussen her erfolgte Einteilung durch eine aus dem Innern des Rechts stammende ersetzen...".

ამგვარად, სამართლის საფეხურებრივი წყობის თეორია არამც თუ არ უკავშირდება იურიდიულ მეცნიერებათა არსებულ სისტემატიკას, არამედ არსებითად უარყოფს მას. რეცენზენტი კი აღნიშნავს: "თუ ავტორს არ სურდა, რომ მისი მეცნიერება სახელმწიფო სამართლისა ყოფილიყო ხან სისხლის სამართლის, ხან სამოქალაქო სამართლის, ხან საფინანსო სამართლის... მეცნიერება, მას სამართლის საერთო სისტემა უნდა წარმოედგინა, როგორც მთელი რიგი საფეხურებისა, რომელთაგან ერთი სახ. სამ. მეცნიერების საგანს შეადგენს", ე.ი. რეცენზენტი ამბობს, რომ სამართლის მეცნიერებათა არსებული სისტემატიკის ფარგლებში (სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი და სხვ.) სახ. სამართლის მეცნიერების სხვა სამართლის მეცნიერებათაგან გამიჯვნისთვის, საჭირო იყო სამართლის საფეხურებრივი წყობის თეორიის გამოყენება. სინამდვილეში კი ეს თეორია, როგორც ნახსენები იყო, საერთოდ უარყოფს არსებულ სისტემატიკას და უკანასკნელის ფარგლებში მეცნიერებათა ერთმეორისგან გამიჯვნის დროს, ცხადია. სახელმძღვანელოდ აღებული ვერავითარი გზით ვერ იქნება. ეს არის პირველი გაუგებრობა, რომელიც რეცენზენტის ზევით მოყვანილ დებულებებს ახასიათებს.

მაგრამ დამოუკიდებლად ამისა, საერთოდ, რა შუაშია აქ სამართლის საფეხურებრივი თეორია? ვისაც კი სარეცენზიო ნაშრომი წაითხული აქვს, უნდა იცოდეს, რომ იქ არსად დასმული არ არის საკითხი სახ. სამ. მეცნიერების სხვა სამართლის მეცნიერებათაგან გამიჯვნის შესახებ და ეს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ამ ნაშრომის ძირითადი დებულების თანახმად სახ. სამ. მეცნიერების საგნის სწორი განმარტება მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი, რაც წინასწარ გაშუქებული იქნება ის თავისებურება, რომელიც სამართალს საერთოდ ახასიათებს. სწორედ ამიტომ არის, რომ სარეცენზიო ნაშრომი მთლიანად ამ წინასწარი ამოცანის გადაჭრას აქვს მიძღვნილი, ე.ი. მასში დასმულია საკითხი იმ ძირითადი ელემენტების შესახებ, რომელთაც სამართალში ეხედებით ამ ელემენტების ბუნებისა და იმ დამოკიდებულებათა შესახებ, რომელიც სამართლისა და არა სამართლებრივ (სოციალ-ეკონომიურ და სხვ.) მოვლენებს შორის არსებობენ. გასაგებია აქედან, რომ აქ არამც თუ არ არის დასმული საკითხი სახ. სამ. მეცნიერების სხვა იურიდიულ მეცნიერებათაგან გამიჯვნის შესახებ, არამედ ასეთი საკითხი აქ ვერც დაისმება. ამიტომ არც სამართლის საფეხურებრივი წყობის თეორიისადმი მიმართვა იყო საჭირო სარეცენზიო ნაშრომის ავტორისთვის, როგორც ამას რეცენზენტი ფიქრობს, მაგრამ, თუ ეს ასეა, ყველა დასვენა, რომელსაც ჩენი კრიტიკოსი აკეთებს 215-216-ე გვერდებზე, ჰაერში რჩება დაკიდებული.

ეხლა გადავიდეთ ამ დასვენების შინაგანი ლოგიკის შეფასებაზე. ე.ი. იმაზე, თუ რამდენად გამომდინარეობენ ერთი მეორისგან რეცენზენტის სხვადასხვა დებულებანი.

მას შემდეგ, რაც რეცენზენტმა სარეცენზიო ნაშრომის ავტორისთვის სავალდებულოდ

სცნო სამართლის საფეხურებრივი თეორიისადმი მიმართვა, იგი განაგრძობს: აღნიშნული თეორიის განხილვა აუცილებლად გულისხმობს სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობას. ამ უკანასკნელი დებულების დასამტკიცებლად რეცენზენტს ორი მოსაზრება მოჰყავს: ა) ის, რომ სამართლის საფეხურებს სახელმწიფო აწყობს და ბ) რომ სამართლის საფეხურებრივი თეორია აუცილებლად საჭიროებს ორიენტაციას სახელმწიფო აქტის იდეისაკენ და ამიტომ ამ თეორიისთვის აუცილებელია ამ აქტების მატარებლის აღიარებაც, ე.ი. სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობა.

ორივე ეს მოსაზრება უსაფუძვლოა. შეიწერდეთ პირველ მოსაზრებაზე. სხვას რომ თავი დაეწებოთ, ეს მოსაზრება უსაფუძვლოა მარტო იმიტომ, რომ სამართლის საფეხურებრივი თეორიის თანახმად, ყველაზე უმაღლესი საფეხური სამართლის ფენებში ეგრეთ წოდებული Ursprungsnorm, ე.ი. ძირითადი ნორმა, საერთოდ არ ატარებს დადგენილ (Gesetz) ანუ დაწესებული ნორმის ხასიათს<sup>10</sup>, და ამიტომ მის მიმართ ყოველ შემთხვევაში უაზროა იმის თქმა, თითქოს მას სახელმწიფო "აწყობს".

მაგრამ უკანასკნელი გამოთქმა უაზროა აგრეთვე სამართლის სხვა დანარჩენი საფეხურების მიმართ, ვინაიდან იმ ავტორების თვალსაზრისით, რომელნიც საფეხურებრივი თეორიის საფუძველზე სდგანან ამა თუ იმ მოქმედების სახელმწიფოს მოქმედებად ცნობა შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულ სამართალდებულების (Rechtssatz) საფუძველზე, მაშასადამე, იმ მოქმედებისაც, რომელიც, რეცენზენტის გამოთქმით, სამართლის საფეხურების "აწყობაში" მდგომარეობს; ე.ი. ეს უკანასკნელი მოქმედება უკვე გულისხმობს სამართლის ცალკე ფენების წინასწარ მოცემულობას და ამიტომ სრული უაზრობა იქნებოდა მტკიცება, თითქოს იგი, ე.ი. ეს მოქმედება, პირველად "აწყობდეს" სამართლის საფეხურებს.

გადავიდეთ ეხლა რეცენზენტის მეორე მოსაზრებაზე, რომლის თანახმად სახელმწიფო აქტის იდეისკენ ორიენტაცია, რომელიც აუცილებლად საჭიროა სამართლის საფეხურებრივი თეორიისთვის, გულისხმობს ამ აქტების მატარებელსაც, ე.ი. სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობას. ეს მოსაზრებაც უბრალო გაუგებრობას წარმოადგენს. ასეთი გაუგებრობის შესაძლებლობას თითქოს გრძნობდა საფეხურებრივი თეორიის წარმომადგენელი მერული (სწორედ ის მერული, რომელსაც რეცენზენტი უთითებს) და ამიტომ იგი ერთ-ერთ თავის ნაშრომში გარკვევით აღნიშნავს<sup>11</sup>, რომ გამოთქმას "staatsakt" (სახელმწიფოებრივი აქტი) იგი ხმარობს "nur als Mittel der Verständigung mit dem Leser" და რომ პრეციზული აღნიშვნისთვის უნდა ხმარებულ იქნეს ტერმინი "Rechtserscheinung", ე.ი. სამართლებრივი მოვლენა. ამ მითითებებიდან აშკარაა, რომ ტერმინი "staatsakt" სამართლის საფეხურებრივი თეორიის ფარგლებში იხმარება, როგორც ტექნიკური ტერმინი და არა როგორც იმ გარემოების აღმნიშვნელი ცნება, თითქოს სახელმწიფო აქტის "მატარებელი" იყოს. ჩვენი რეცენზენტის მთელი მსჯელობა კი მხოლოდ ასეთს "ტერმინოლოგიურ საფუძველს" ემყარება და ხედავთ "სახელმწიფოებრივი აქტის" ნაცვლად ვიხმაროთ ტერმინი "სამართლებრივი მოვლენა", რომ მას დასაყრდენი ფუძე გამოეცალოს.

ზევით მოყვანილი მოსაზრების გარდა, რეცენზენტი, სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობის აუცილებლობის დასამტკიცებლად, შემდეგ საკვირველ არგუმენტაციას მიმართავს: თუ ავტორი ფიქრობდა, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი

<sup>10</sup> ob. Merkl, op. cit. s. 179 ff.; Kelsen, Allgemeine staatslehre, 1925, s.104 ff.

<sup>11</sup> ob. Merkl, Die Lehre von der Rechtskraft, s. 218.

ნორმათა ერთგვარი განსაზღვრული სისტემა, მას სახელმწიფო აუცილებლად იურიდიულ პირად უნდა ელიარებინა და რამდენიმე სტრიქონით ქვევით: თუ ჩვენ არ მივიღეთ სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირი, შეუძლებელი იქნება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სახ. სამ. მეცნიერება ნორმათა განსაზღვრულ სისტემას იყვლევს (გვ. 214-215).

ამგვარად, ჩვენი კრიტიკოსის აზრით, ნორმათა გარკვეული სისტემის სამართლის სხვა ნორმებიდან გამოყოფა და სახელმწიფო სამ. მეცნიერების ობიექტად დასახვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობთ. ამ არგუმენტაციაში საყვირველია ერთი რამ: რატომ მართლ სახ. სამ. მეცნიერებას უნდა ახასიათებდეს ასეთი მდგომარეობა? ან შესაძლებელია რეცენზენტი ფიქრობს, რომ სხვა იურიდიულ მეცნიერებებში მდგომარეობა ანალოგიურია, ე.ი. რომ იქაც ნორმათა სისტემის ჩამოყალიბებისა და გამოყოფისთვის საჭიროა იურიდიული პირის იდეისადმი მიმართვა? მაშინ ჩვენთვის ძალიან საინტერესო იქნებოდა რეცენზენტის აზრი იმის შესახებ, თუ რომელი იურიდიული პირის იდეა უძევს საფუძვლად იმ ნორმათა სისტემას, რომელიც სამოქალაქო სამართლის მეცნიერებისა ან ადმინისტრაციული, სისხლის და სხვ. სამართლის მეცნიერებათა საგანს შეადგენს. აშკარაა, რომ არც ერთ აქ დასახელებულ მეცნიერებაში ნორმათა გარკვეული სისტემა, რომელიც თითოეული მათგანის შესწავლის საგანს შეადგენს, არ ემყარება იურიდიული პირის იდეას და თუკი აღნიშნულ მეცნიერებებში ნორმათა გარკვეული სისტემის თითოეული მათგანისათვის გამოყოფა შესაძლებელია იურიდიული პირის იდეის გარეშე, აშკარაა, რომ ასეთ შესაძლებლობას მოყვებული არ იქნება არც სახ. სამ. მეცნიერება. ამგვარად, არც ერთი ზევით მოყვანილი მოსაზრებით არ არის დამტკიცებული სახელმწიფოს იურიდიულ პირად აღიარების აუცილებლობა, ამიტომ ყველა ის დასკვნა, რომელიც რეცენზენტს ზევით მოყვანილ დებულებიდან ამოიპყავს პაერშია დაკიდებული. რეცენზენტის მთელი მსჯელობა რეცენზიის ამ ნაწილში შემდეგნაირია: 1) სარეცენზიო ნაშრომის ავტორისთვის აუცილებელი იყო სამართლის საფუხურებრივ თეორიაზე დაყრდნობა; 2) აღნიშნული თეორია მოითხოვს სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობას; 3) სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობა საჭიროა აგრეთვე იმისთვის, რომ სახ. სამ. მეცნიერების საგნად ნორმათა სისტემა დაესახოს; 4) ამიტომ, სარეცენზიო ნაშრომისთვის აუცილებელი იყო სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობა; 5) იურიდიული პირი სარეცენზიო ნაშრომის თანახმად საესებით სამართლის შინაარსით ამოიწურება; 6) მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ სარეცენზიო ნაშრომის დებულებას, რომლის თანახმად სახელმწიფოში ორი მხარეა - სოციალური და სამართლებრივი, აუცილებელია დასკვნა, რომ სახელმწიფო, რამდენადაც სახელმწიფოს მხოლოდ სამართლებრივი მხარე შეიძლება განსახიერებულ იქნეს სახელმწიფოს, როგორც იურიდიული პირის ცნებაში, ერთი თავის ნაწილით გვევლინება, როგორც იურიდიული პირი, მეორე ნაწილით კი იგი ასეთ პირს არ წარმოადგენს.

მთელი ეს მსჯელობა თავიდან ბოლომდე ყალბსა და უნიადგო დებულებებზეა აგებული. სახელდობრ, ამ მსჯელობის პირველი დებულების საწინააღმდეგოდ ზევით დამტკიცებულია, რომ სამართლის საფუხურებრივი თეორიისადმი მიმართვა სარეცენზიო ნაშრომისთვის საჭირო არ იყო; შემდეგ, დამტკიცებულია ისიც, რომ აღნიშნულ თეორიასა და სახელმწიფოს იურიდიულ პირად აღიარებას შორის არავითარი ლოღოური კავშირი არ არსებობს; დამტკიცებულია ისიც, რომ სახ. სამ. მეცნიერების საგნად ნორმათა სისტემის დასახვა არ მოითხოვს სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობას. ყოველივე ამით კი ის

არის დამტკიცებული, რომ სარეცენზიო ნაშრომისთვის საჭირო არ იყო სახელმწიფოს იურიდიული პირის იდეისადმი მიმართვა, ე.ი. ის, რომ რეცენზენტის საბოლოო დასკვნას ნიადაგი არ აქვს.

დაგვრჩა კიდევ სათქმელი ორიოდე სიტყვა რეცენზენტის იმ დასკვნების შესახებ, რომელიც მას მოყვანილი აქვს 216-217-ე გვერდებზე და სადაც აღნიშნულია, თითქოს სარეცენზიო ნაშრომის ძირითადი დებულებების მიხედვით შეუძლებელი იყოს ხელისუფლებისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის დაყენებაც კი. თავის დასკვნას აქ რეცენზენტი ორ მოსაზრებას ამყარებს: 1) იმას, რომ თითქოს “აეტორის მეთოდით კავშირი სამართალსა და ხელისუფლებას შორის საბოლოოდ გაწყვეტილი იყოს” და 2) რომ თითქოს სარეცენზიო ნაშრომში გატარებული არ იყოს განსხვავება ხელისუფლებასა და ძალის ცნებებს შორის; რომ, სახელდობრ, ხელისუფლება უნდა გაგებულ იქნეს, როგორც “სამართლით მოწესრიგებული ძალა” ან როგორც “სამართლის მიერ მოწესრიგებული შესაძლებლობა სამართლის განხორციელებისა, ასეთი გაგებით კი იგი აუცილებლად შეერთვის სამართლებრივს”.

ამ მოსაზრებებიდან პირველი ანგარიშგასაწევი არ არის, ვინაიდან იგი სარეცენზიო ნაშრომში გამოთქმული აზრების ვალბად გადმოცემას ემყარება (როგორც ეს ჩანს ჩვენი წერილის დასაწყისში მოყვანილი ადგილებიდან).

ანგარიშგასაწევი არ არის არც მეორე მოსაზრება. რაიმე დამაჯერებელი ძალა მას ექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცებული იქნებოდა, რომ ხელისუფლება ან უფრო სწორედ Gevalt (ვინაიდან სარეცენზიო ნაშრომის სიტყვა Gevalt-ს ხმარობს და მას ქართულად ტერმინი “ხელისუფლება” სავსებით ადეკვატურად არ გადმოსცემს, უნდა გაგებულ იქნეს, როგორც “სამართლის მიერ მოწესრიგებული შესაძლებლობა სამართლის განხორციელებისა”. მაგრამ სად ან ვინ დაამტკიცა, რომ ამ ცნებას სწორედ ასეთი შინაარსი უნდა მიეცეს? თვით რეცენზენტს ამის დასამტკიცებლად უკეთი მოსაზრებაც კი არ მოჰყავს, ხოლო ლიტერატურას თუ მიემართავთ, დაეინახავთ, რომ Gevalt-ის ცნებით, უძრავლეს შემთხვევაში, სწორედ ძალა იგულისხმება, რამე სამართლებრივი მომენტებისგან გამიშვლებული, ამიტომ ამ ცნების ხმარება სოციალურის აღსანიშნავად და უკანასკნელის სამართლისგან განსხვავების მიზნით სავსებით ეთანაბრება ამ ცნების გაერცხლებულ ხმარებას და იგი სრულიად გამართლებულია.

ბოლოს საჭიროა კიდევ ერთი მომენტის აღნიშვნა: რეცენზენტი ფიქრობს, რომ სარეცენზიო ნაშრომის მეთოდის მიხედვით, თითქოს შეუძლებელი იყოს ხელისუფლებისა და სამართლის ურთიერთობის პრობლემის დაყენება. ჩვენ აქ არ შეუვადგებით იმ მოსაზრებათა დეტალურ განხილვას, რომელნიც რეცენზენტს 217-ე გვერდზე აქვს მოყვანილი, ვინაიდან ეს რეცენზიის რეცენზია იქნებოდა. აქ აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ამ მოსაზრებათა მიხედვით რეცენზენტი ხელისუფლების და სამართლებრივის გაიგივებამდე მიდის, მაგრამ, თუ ამას გაკეთვალისწინებთ, უდაო გახდება, რომ ხელისუფლებისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი სწორედ ჩვენი რეცენზენტისთვის არის გადაქცეული შეუძლებელ პრობლემად.

*იროდიონ სურგულაძე*

## დასკვნა გ. ნანეიშვილის სადისერტაციოდ წარმოდგენილ ნაშრომზედ “სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა”

(დაწერილია სოც.-ეკონ. ფაკულტეტის დაკავლების თანახმად)

გ. ნანეიშვილის სადისერტაციო შრომა ეძღვნება ნორმატიული ფაქტების პრობლემას. უკანასკნელის შესახებ, ჩვენი ავტორის მტკიცებით, ბევრი რამ არის თქმული სამართლის მეცნიერებაში, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ავტორის აღნიშნული პრობლემა მიაჩნია ყველაზე ნაკლებად დამუშავებულად “მეთოდოლოგიურად გამართულად და თეორიულად დასაბუთებულად” (გვ. 3). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ავტორის პრეტენზია პირველი სხივი შეიტანოს სამართლის მეცნიერების იმ წყვილადით მოცულ დარგში, რომელსაც “ფაქტიურის ნორმატიული ძალის” პრობლემა აღნიშნავს – არც მეტი, არც ნაკლები. სამწუხაროდ, ასეთი დიდი პრეტენზია წიგნის შინაარსით გამართლებული არ არის არც პრობლემის დაყენების, არც მისი გადაჭრის, და ბოლოს, არც ამ გადაჭრის ორიგინალობის მხრივ. ყოველივე ამის შესახებ ერცლად იქნება მოხსენებული ქვევით, ახლა კი საჭიროა, წიგნის წინასწარ ზოგადი დახასიათების მიზნით, სხვათა შორის აღვნიშნოთ, რომ გარდა იმ ნაწილებისა, რომელნიც ნაშრომის ძირითად ინტენციასთან დაკავშირებული არ არიან ასეთია, მაგალითად კელზენ-მერკლის თეორიები სამართლის საფუძვლებრივი აღნაგობის შესახებ, Vaihinger-ის ფილოსოფიის განხილვა და სხვ. მიუხედავად ამისა, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ნაშრომის ამ ნაწილებზედაც შეჩერება, ვინაიდან ძალიან ხშირად ის დასკვნები, რომლებსაც ჩვენ აქ ვხვდებით, სრულებით შეუსაბამო და უსაფუძვლო ხასიათს ატარებენ. ახლა კი გადავიდეთ წიგნის ძირითადი დებულებების განხილვაზედ.

### I

ნორმატიული ფაქტების პრობლემის სისწორით დაყენების მიზნით, ავტორი წიგნის დასაწყისშიდვე სცდილობს გააშუქოს ფაქტიურის და სამართლებრივის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. (ავტორის აზრით, ეს უკანასკნელი სამართლის და ფაქტის დაპირისპირებაშიდ მდგომარეობს, ვინაიდან ასეთი დაპირისპირება გამოსავალი წერტილია ყველა იმ თეორიებისთვის, რომელნიც ნორმატიული ფაქტების პრობლემას იხილავენ). ეს უკანასკნელი ავტორისათვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომის ერთ შესამდგმედ მეტი მისი გაშუქების ცდას აქვს მიძღვნილი და სამართლის სინამდვილის (ან როგორც ავტორი ამბობს – ნამდვილობის) პრობლემა, რომელიც სწორედ ამ საკითხის გადაჭრასთან დაკავშირებით არის წიგნშიდ მოყვანილი, ნაშრომის სათაურშიდაც კი არის შეტანილი. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ პირობებშიდ ავტორისათვის საკვლადებულო იყო როგორც თვითეული დებულების განვითარების დროს საქვებით დამაკმაყოფილებელი გარკვეულობა, ისე თითოეული ტერმინის ხმარების დროს განსაკუთრებული პრეციზობა (სიზუსტე). არც პირველი და არც მეორე მოთხოვნილება ნაშრომში დაცული არ არის, ამის მაგალითებს ჩვენ ახლავე დავინახავთ.

ავტორის აზრით, ნორმატიული ფაქტების პრობლემის დაყენება აუცილებლად გულისხმობს სამართლის და ფაქტის დაპირისპირებას და ეს იმ თეორიებისთვისაც კი, რომელნიც სამართალს, როგორც რაღაც სოციალურს, ე. ი. ფაქტიურს უცქერიან, ეს იმიტომ, რომ ავტორის მტკიცებით ყოველივე ის, რაც სამართალი არ არის, სამართალს უპირისპირდება. ასეთი მტკიცება აშკარად უსაფუძვლოა, ვინაიდან ყველაფერი ის, რაც სამართალი არ არის, მხოლოდ განსხვავდება სამართლისაგან. აქედან აშკარაა, რომ იმ თეორიისათვის, რომელიც სამართალშიღ სოციალურ მოვლენას ხედავს, ნორმატიული ფაქტების პრობლემის დაყენების დროს არავითარი ლოღიკური აუცილებლობა არ არსებობს სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირებისათვის, პირიქით, აქ სავეებით დასაშვებია ისეთი კონსტრუქცია, რომელიც სამართალს გამოჰყოფს, როგორც ფაქტიურის ერთ-ერთ სახეს, ხოლო ნორმატიული ფაქტების სამყაროდ ფაქტიურის მეორე სახეს მიიჩნევს. ის დაპირისპირება კი, რომელსაც ავტორი უთითებს, ბუნებრივი და ლოღიკურად აუცილებელია სამართლის იდეალისტური (ნორმატიული) კონსტრუქციის ფარგლებში. აქედან აშკარაა, რომ სამართლის და ფაქტიურის დაპირისპირება, რომელიც ავტორის ნორმატიული ფაქტების პრობლემის დაყენებისას გამოსავალ წერტილად აქვს აღებული და რომელიც გასაგებია სამართლის ნორმატიული (იდეალისტური) კონსტრუქციის ფარგლებში, აქედან აშკარაა, რომ სამართლის და ფაქტიურის დაპირისპირება, რომელიც ავტორის ნორმატიული ფაქტების პრობლემის დაყენებისას გამოსავალ წერტილად აქვს აღებული და რომელიც გასაგებია სამართლის ნორმატიული (იდეალისტური) კონსტრუქციის ფარგლებში, ლოღიკურად დასაბუთებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტორი დაგვანახებდა, რომ სამართლის სწორედ ასეთი კონსტრუქცია არის ერთადერთი სწორი და მისაღები.

სამწუხაროდ, ნაშრომშიღ ეს საკითხი არამც თუ არ არის გადაჭრილი, იგი მას არც კი ეხება და აქედან პრობლემის დაყენება, რომელსაც ავტორი იძლევა, როგორც დოგმატიური (ე. ი. კრიტიკულად შეუმოწმებელი) დებულებიდან გამომდინარე უსაფუძვლო და მიუღებელია.

ეს რაც შეეხება პრობლემის დაყენების სისწორეს. ახლა გადავიდეთ იმ მომენტების განხილვაზე, რომელნიც ავტორის აზრით ფაქტს და სამართალს ერთი მეორეს უპირისპირებენ. ავტორისაგან ასეთი დაპირისპირებისათვის გამოყენებულია არა შინაარსობრივი მომენტები, არამედ, ის, თუ რა სახის სინამდვილე ახასიათებს ერთის მხრით ფაქტს, ხოლო მეორე მხრით კი სამართალს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ავტორი ჩერდება ფაქტის და ფაქტიურის სხვადასხვა გაგებაზე, ავტორის აზრით არ შეიძლება განიარებულ იქნეს არც ის შეხედულება, რომელიც ფაქტიურს ყოფის მნიშვნელობით იღებს (ჰეგელი), არც ის შეხედულება, რომლის ფარგლებშიღ ფაქტიური უშუალო მოცემულობით არის დახასიათებული, არც ის შეხედულება, რომლისთვისაც ფაქტი ირრაციონალურის ცნებით იფარება და არც შეხედულება, რომელიც ფაქტს დროშიღ მომხდარის ან წარმოშობილის მნიშვნელობით გაიგებს. სამწუხაროდ, ფაქტის ცნების ამ სხვადასხვა ინტერპრეტაციის საწინააღმდეგოდ ავტორის მხოლოდ ერთი არგუმენტი მოჰყავს, რომელსაც არავითარი დამაჯერებელი ძალა არა აქვს, სახელდობრ, ავტორის აზრით, დასახელებულ შეხედულებას თუ გაეზიარებთ, ნორმატიული ფაქტის პრობლემა იხსნება, და სწორედ ამიტომ აღნიშნული შეხედულებები უნდა

უარყოფილ იქნენ. ეს არგუმენტაცია მეტად უცნაურია, ვინაიდან ნორმალური ლოლიური მსჯელობა სწორედ საწინააღმდეგო გზით უნდა მიდიოდეს, უკანასკნელისათვის ფაქტის და ფაქტიურის ინტერპრეტაციის საკითხი სწავლება არა იმის მიხედვით, თუ რამდენად უზრუნველყოფს ეს ინტერპრეტაცია ამა თუ იმ პრობლემის – კერძოდ ამ შემთხვევაშიდ ნორმატიული ფაქტების პრობლემის – დაყენებას, არამედ თვით ფაქტის შინაგანი, იმპანენტური შინაარსის ანალიზით, მისი არსებითი თვისებების გათვალისწინებით. ამიტომ ფაქტის სხვადასხვა გაგების კრიტიკა ნორმატიული ფაქტების პრობლემის თვალსაზრისით უსაფუძვლოა, მიზანს ვერ აღწევს და სხვადასხვა შეხედულებები, რომელნიც ავტორს მოჰყავს, სინამდვილეში უარყოფილი არიან ყოველგვარი კრიტიკის გარეშე.

თვით ავტორის განსხვავება ფაქტიურის და სამართლებრივის შორის ძალიან ბუნდოვანია და მეცნიერული საფუძვლიანობის მხრივ ბევრს სტოვებს სასურველად. მაგალითისათვის შეეჩრედეთ იმ მსჯელობაზედ, რომელიც ამ საკითხის შესახებ მოცემულია ნაშრომის მეხუთე გვერდზედ. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ავტორისათვის ფაქტიურის და სამართლებრივის დაპირისპირებისათვის გამოსავალ წერტილად მათი სინამდვილის სახეობის საკითხია აღებული. ეხება რა ამ საკითხს ავტორი შემდეგნაირად ახასიათებს იმ სინამდვილეს, რომელიც ეკუთვნის ერთის მხრივ ფაქტიურის, მეორეს მხრით კი სამართლებრივ (... “სამართალში ნამდვილობა არის ის, რაც არაეითარ შემთხვევაში არ შეიძლება ფაქტის ნამდვილობად ჩათვალოს... ხოლო ფაქტის ნამდვილობა მდგომარეობს სწორედ იმაშიდ, რომ წარმოადგენს რა ყოველთვის რაღაც მომხდარს, მას სრულიად სხვა ქმედობა და ტენდენცია აქვს, ვიდრე ნამდვილ სამართალს. ფაქტი მიზნუბორივად გამოწვეულია და იგი ყოველთვის თვით იწვევს რაღაცას, რაც არსებითად სხვა არის, ვიდრე თვით გამომწვევი ფაქტი. ამიტომ ამ შემთხვევაშიდ ის, რაც მომხდარია, როგორც აბსოლუტურად რეალიზებული, საეხებით და მთლიანად ინდივიდუალურია და მამასადამე ისტორიულიცაა; ამ სიტყვებშიდ მოყვანილია ის ძირითადი მომენტები, რომლების მიხედვით ავტორი ფიქრობს ფაქტიური დაუპირისპიროს სამართალს. ფაქტიურის დახასიათებისთვის ავტორი აქ შემდეგ მომენტებს უთითებს: 1) ფაქტიური არის რაღაც მომხდარი, 2) მიზნუბორივად არის გამოწვეული და თვით იწვევს რაღაცას, რაც არსებითად სხვა არის, ვიდრე თვით გამომწვევი ფაქტი, ბ) იგი ინდივიდუალურია და ისტორიული. რაც შეეხება სამართალს, მისი ნამდვილობის დახასიათებას ავტორი შემდგომისათვის გვირდება და ამ საკითხებზედ ჩვენც ქვევით შეეჩრედებით, ახლა კი განვიხილოთ, თუ რამდენად უპირისპირებენ აქ დასახელებული მომენტები მართლაც ერთმანეთს ფაქტიურს და სამართლებრივს.

პირველს აქ დასახელებულ მომენტს, სადაც მითითებულია დროის კატეგორიაზედ, როგორც ფაქტისათვის საეციფურად დაძახასიათებელზედ, არ შეუძლია განკვიფრება არ გამოიწვიოს, ვინაიდან სწორედ იგივე მომენტი ავტორის მიერ გამოყენებულია პოზიტიური სამართლის დახასიათებისას, ეს გარკვევით არის აღნიშნული მესამე თხისშიდ (გვ. 114) და ნაშრომის სხვა ადგილებზედაც ამხედ ყოველგვარი ორანროვნების გარეშე არის მითითებული (იხ. მაგ. გვ. 99, 18, 16, 15 და სხვ.). მართალია, ავტორი სამართლის აზრს ან სამართლის იდეას უცქერის, როგორც დროშიდ უცვლელს, ე. ი. როგორც ისეთ რამეს, რაც დროის კატეგორიას არ ექვემდებარება, მაგრამ ჯერ ერთი, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, ავტორის ნაშრომის მიხედვით შეუძლებელია რაიმე გარკვეული

წარმოდგენა მივიღოთ იმის შესახებ, თუ რა არის ეს სამართლის აზრი ან იდეა, რა თვისებებით ხასიათდება იგი, მთავარი კი იმაშიდ მდგომარეობს, რომ დამოუკიდებლად იმისაგან, თუ როგორ გაიგებთ სამართლის იდეას, ხომ უდავოა, რომ პოზიტიური სამართალი, ისე როგორც სამართლის ესა თუ ის კონკრეტული ნორმა სამართლებრივის დარგს ეკუთვნის და როდესაც ავტორი ამტკიცებს, რომ პოზიტიური სამართალი დროშიდ ცვალებადია, მას უკვე აღარ შეუძლია ცვალებადობის მომენტი ფაქტიურის და სამართლებრივის დაპირისპირებისათვის გამოიყენოს.

აქედან კი დანარჩენი მომენტებიც, რომლებსაც ავტორი უთითებს სამართლის და ფაქტის დაპირისპირების დროს, იმავე შინაგანი წინააღმდეგობის მაჩვენებელი არიან ავტორის კონსტრუქციაშიდ, სახელდობრ როგორც მიზეზობრივი დამოკიდებულება, ისე ისტორიულობაც. აშკარად გულისხმობენ დროის კატეგორიას და რამდენადაც ეს უკანასკნელი ავტორის კონსტრუქციაშიდ ერთნაირად შეფარდებულია როგორც სამართლებრივად, ისე ფაქტიურად, აშკარაა, რომ თვით ავტორის იმმანენტური თვალსაზრისით ვერც მიზეზობრიობა და ვერც ისტორიულობა გამოყენებული ვეღარ იქნება სამართლებრივის და ფაქტიურის არამც თუ დაპირისპირებისათვის, უბრალო განსხვავებისთვისაც კი.

ავტორის შეხედულებაშიდ ასეთი შინაგანი წინააღმდეგობისაგან განთავისუფლების ცდა შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთი მიმართულებით, – სახელდობრ, თუ ავტორი პოზიტიური სამართლის და სამართლის აზრის აბსოლუტური იგივეობის დებულებას წამოაყენებდა, ან უფრო სწორად რომ ვსთქვათ, თუ იგი პოზიტიურ სამართალს სამართლის აზრთან გააიგივებდა. მაგრამ, როგორც ზევით იყო აღნიშნული, გაიგივების ნაცვლად ავტორი ამ ორი ობიექტის დაპირისპირებიდან გამოდის (იმ საკითხშიდ, რომელიც ამ ობიექტების დამოკიდებულებას შეეხება დროის კატეგორიისადმი). ამის საილუსტრაციო დებულებები ბლომად არის გაბნეული ნაშრომშიდ, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი ადგილის მოყვანით დავკმაყოფილდებით. მაგალითად, ნაშრომის მე-15 გვერდზედ ავტორი ეხება რა განმარტებას, რომელიც ფაქტად იმას სთვლის, რაც დროში მოხდება ან წარმოიშობა, მიუღებლად სთვლის ასეთ განმარტებას იმ მოსაზრებით, რომ “ჯერ ერთი – ამბობს ავტორი – ფაქტად აღიარებულია არა მარტო კონკრეტული სამართალი, რომელიც დროში წარმოიშობა, მოქმედობს და დროშივე სწყვეტს თავის არსებობას, არამედ სამართლის ის აზრიც, რაც ყოველ კონკრეტულ ნორმაშია რეალიზებული, ხოლო, მეორეს მხრით, თითქოს არაერთი განსხვავება არ არსებობს პოზიტიური სამართლით მომხდარსა და იმ სამართლის აზრს შორის, რომელიც პოზიტიური სამართლის დამოუკიდებლად არსებობს. ვინ უარყოფს, რომ სამართალი დროში წარმოიშობა და მოქმედობს, მაგრამ ამასთან ერთად იმ აზრის შესახებ, რომელიც ყოველ კონკრეტულ ნორმაშია მოცემული, შეუძლებელია ვთქვათ ის, რასაც დროში მომხდარი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ ვამბობთ”.

აქ ყველაფერი მკაფიოდ არის აღნიშნული, პოზიტიური სამართალი გარკვევით გამოყოფილია სამართლის აზრიდან და დროის კატეგორიას დაქვემდებარებული. ასეთ პირობებშიდ კი იმ შინაგანი წინააღმდეგობის გაბათილება, რომელზედაც ზევით იყო მითითებული, ავტორისათვის შეუძლებელ ამოცანას წარმოადგენს.



## II

როგორც კერძოდ ამ საკითხისათვის, ე. ი. იმისათვის, თუ რამდენად უპირისპირდებიან დროის კატეგორიის მიხედვით ერთმანეთს ფაქტიური და სამართლებრივი, ისე სხვა, ავტორის ძირითადი დებულებებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ დაპირისპირებას, რომელიც ავტორს გაჰყავს პოზიტიური სამართლის და სამართლის აზრის ან იდეის შორის, სხვა პრინციპული დებულებების გვერდით სამართლის სინამდვილის საკითხის, ე. ი. იმ პრობლემის გადაჭრა, რომელიც ნაშრომის სათაურშიდაც კი არის შეტანილი და რომელსაც ამიტომ ავტორისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ლოდიკურად აღნიშნულ განსხვავებას (პიზ. სამართლის და სამ. იდეის შორის) ემყარება და ამიტომ თავისთავად იგულისხმება, რომ აქ ავტორისათვის განსაკუთრებული სიზუსტე, საფუძვლანობა და გარკვეულობა იყო საჭირო. არის ეს მოთხოვნილება მინიმალურად მაინც დაცული ნაშრომში? ჩვენ ვამბობთ, რომ არა. ჩვენ გავკრით, უკვე აღვნიშნეთ ზევით, რომ ავტორის ნაშრომის მიხედვით შეუძლებელია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ რა ესმის მას სამართლის იდეის ქვეშ. ის, რაც ნაშრომში ამ საკითხის ირგვლივ არის ნათქვამი არსებითად უარყოფითი მომენტების დასახელებით ამოიწურება, აქ მითითებულია ერთის მხრით იმაზე, რომ სამართლის იდეა არ არის პოზიტიური სამართალი და უკანასკნელისაგან დამოუკიდებლად არსებობს, (16) ხოლო მეორე მხრით იმაზე, რომ იგი (იდეა) დროშიც ცვალებადი მიღწევების კატეგორიას არ ეკუთვნის. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ასეთი განმარტება სინამდვილეში არავითარ განმარტებას არ წარმოადგენს, ვინაიდან იმისათვის, რომ სამართლის იდეის ან აზრის შესახებ შორეული წარმოდგენა მაინც შეეკმნათ, საჭიროა არა ისეთი მომენტების დასახელება, რომელნიც მხოლოდ იმას გვიჩვენებენ, თუ რას არ წარმოადგენს სამართლის იდეა, არამედ ისეთი მომენტების დასახელება, რომელნიც დაგვანახებენ – თუ რას წარმოადგენს იგი თავის პოზიტიურ თვისებებში. ეს არის ელემენტარული ლოდიკური მოთხოვნილება, რომელიც ყოველი მეცნიერული განმარტების დროს დაცული უნდა იქნეს, სარეცენზიო ნაშრომში კი ასეთი განმარტების ნაცვლად ცარიელი ადგილია დატოვებული, რომელიც ბუნდოვანობის და გაურკვევლობის ელფერს სდებს ბევრს, ავტორისათვის ძალიან მნიშვნელოვან დასკვნას. ან შესაძლებელია ავტორი ამ სიცარიელის შევსებას იმ უშინაარსო და აბსოლუტურად არადამაჯერებელი ანალოგიის საშუალებით ფიქრობდა, რომელიც მას ესთეტიურ და სამართლის იდეის შორის გაჰყავს? მაგრამ ასეთი იმედი ხომ საეხებით გაუმართლებელია არა მარტო იმ მოსაზრებით, რომ მოყვანილ ანალოგიაში ჩვენ ვხვდებით ერთი უცნობის განმარტების ცდას მეორე უცნობის საშუალებით, არა მარტო იმ მოსაზრებით, რომ ესთეტიური იდეა თვითონ ატარებს პრობლემატურ ხასიათს, არამედ, რაც მთავარია, იმიტომ, რომ ის დებულება, თითქოს ესთეტიური და სამართლებრივი ერთგვარ ან ანალოგიურ კანონზომიერებას ექვემდებარებოდეს, არსად არასდროს დამტკიცებული არ ყოფილა, უამისოდ კი ყოველგვარი ანალოგია აქ უსაფუძვლო და არადამაჯერებელია. არსებობს ერთი მომენტი, რომლის მიხედვით ალბათ ჩვენი ავტორი ფიქრობდა აღნიშნული ანალოგიის გატარებას: ეს არის ღირებულების მომენტი, რომელიც ერთის მხრით ესთეტიური შემეცნების ობიექტის განმარტებაშია შეტანილი (იხ. Ком. Общая Эстетика, 14 пел), მეორეს მხრით კი ზოგი ავტორის მხრივ გამოყენებულია სამართლის ლეფინიციის დროს. მაგრამ კიდევაც რომ დავეთანხმით სამართლის განმარტებაში ღირებულების მომენტის შეტანას (რაც

პირადად ჩვენ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია), ხომ უდავოა, რომ ღირებულების ცნებას ესთეტიურის და სამართლებრივის განმარტების დროს არსებითად განსხვავებული შინაარსით იგულისხმება, სახელდობრ კონის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, პირველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ინტენსიურ, მეორე შემთხვევაში კი კონსექუტურ ღირებულებასთან (იხ. Общ. Учет. стр. 28-29).

ჩვენ შედარებით ვრცლად შეეჩრდით იმ ანალოგიაზე, რომელიც ავტორს სამართლებრივ და ესთეტიურის შორის გაკავს, ამას არ შეუძლია განციფრება არ გამოიწვიოს, ენაიდგან ყველას საფუძველი აქვს იყითხოვს, თუ რა საჭირო იყო ასეთი ყურადღების მიქცევა ამ ანალოგიისათვის, რომელსაც ნაშრომში მხოლოდ შემთხვევითი შედარების ხასიათი აქვს და რომლის ლოღიური საფუძვლიანობა არამც თუ გამუქებული არ არის, ასეთი გამუქების ცდასაც კი ვერ ვხვდებით ნაშრომში, ხომ აშკარაა, რომ ასეთ შემთხვევით შედარებას ლოღიური მტკიცების ხასიათი შორეულადაც კი ვერ მიეწერება და მისი არასაფუძვლიანობის გამოშკარება ხომ დროს უნაყოფოდ დაკარგვა არის. ყველაფერი ეს სწორია და თუ ჩვენ მანც შეეჩრდით ამ ანალოგიის განხილვაზე ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ერთადერთი ცდაა, რომელსაც ავტორი იძლევა სამართლის იდეის ან სამართლის აზრის განმარტების ხაზით. სხვა რასმეს ჩვენ ამ საკითხის ირგვლივ ნაშრომში ვერაფერს ვიპოვით.

შესაძლებელია ავტორი სამართლის იდეას იმდენად ყველასათვის თვალსაჩინოდ და თავის შინაარსში გარკვეულად სთვლიდა, რომ აქ რამე ორანზოვანობის შესაძლებლობა შეუძლებლად ჩასთვალა და ამიტომ საკითხის გაშუქებასაც თავი აარიდა? მაგრამ ასეთი გზა ავტორისათვის აშკარად უიმედო იყო. ჩვენი ავტორი პირველი არ არის და ალბათ არა უკანასკნელი, რომელსაც სამართლის იდეა შეკავს სამართლის დეფინიციამდე. სამართლის ფილოსოფიის ისტორიული განვითარების გასწვრივ განსაკუთრებით კი ამ ისტორიული ევოლუციის იდეალისტურ სექტორზე, ჩვენ არაერთხელ ვხვდებით ასეთ კონსტრუქციას, დეტალურ ლიტერატურულ მითითებებს რომ თავი დაეანებოთ, მაგალითისათვის საემარისია აღვნიშნოთ, რომ სულ უკანასკნელ დროს ამ საკითხის ირგვლივ ბევრი რამ გვაუწყა რუდოლფ შტამმლერმა და იულიუს ბინდერმა. მერე ეს ავტორები განა ერთ და იგივე განმარტებას აძლევენ სამართლის იდეას? სრულებითად არა! სხვა ძირითად და პრინციპულ განსხვავებებს რომ თავი დაეანებოთ, საემარისია გავიხსენოთ ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო შინაარსი, რომლის აღსანიშნავად იხმარება სამართლის იდეის კონცეპტი – სამართლის იდეა რეგულიატიური და კონსტიტუტიური მნიშვნელობით სამართლის იდეა, როგორც პოზიტიური სამართლის შეფასების მასშტაბი, ე. ი. სამართლის იდეის ისეთი კონცეფცია, რომელიც გასაგებია იმ იდეალისტური მიმდინარეობის ფარგლებში, რომელიც სამართლებრივის დასაბუთების ცდას წარმოადგენს ზნობრივად ჯერარსობრივ სამყაროში, რომელიც მასსადამდე დადებითი სამართლის და სამართლის იდეის დაპირისპირებიდან გამოდის, აშკარად განსხვავებულია სამართლის იდეის იმ განმარტებისაგან, სადაც იდეა დაპირისპირებული კი არ არის პოზიტიური სამართლისადმი, არამედ თვით უკანასკნელში არის შეტანილი, როგორც მისი Wesen', როგორც კონკრეტული სამართლის მრავალ სახეობაში მოცემული ესენციალური ნაღვეი. და როდესაც არსებულ ლიტერატურაში სამართლის იდეის გაგების ასეთი მრავალნაირობა არის მოცემული, განა ავტორისათვის აბსოლუტურად საუკვლავლო არ იყო იმ შინაარსის ზუსტი შემოფარგვლა, რომლის აღსანიშნავად იგი

ამ ცნებას ხმარობს<sup>1</sup> და ეს მით უმეტეს, რომ როგორც ზევით იყო მითითებული, სარეცენზიო ნაშრომშიდ სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირება, რომელიც ავტორის მიერ ნორმატიული ფაქტების პრობლემის დაყენებისთვისაც კი აუცილებელ პირობად არის ნაცნობი, ამისდა მიუხედავად სამართლის იდეის საშუალებით ხდება.

ჩვენ ქვევით კიდევ უფრო მეტს ვიტყვი: ნაშრომშიდ სამართლის იდეის შინაარსის განსაზღვრის ცდასაც კი არ ვხვდებით. სანამ იმის გამოუქებას შეუვადგებოდეთ, თუ რა დასკვნები გამოდინარეობს აქედან ავტორის ზოგიერთი ძირითადი დებულების შეფასების საკითხში, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ როგორი მნიშვნელობითაც არ უნდა გავგორ ავტორის სამართლის იდეის ცნება, იგი გამოუსადეგარი იქნებოდა სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირებისათვის. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ თუ სამართლის იდეას პოზიტიური მასშტაბის მნიშვნელობას მიეცემთ, იგი, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ჩვენ მოგვევლინება როგორც ისეთი რამ, რაც სამართლის შინაგანი კონსტიტუციის გარეშე დგას და ასეთ შემთხვევაში იგი აშკარად ვერ გამოდგება სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირებისათვის, ვინაიდან უდავოა, რომ უკანასკნელი თვით დასაპირისპირებელი ობიექტების შინაგანი მომენტებიდან უნდა გამოდიოდეს. თუკი, წინააღმდეგ ამისა, სამართლის იდეის ქვეშ პოზიტიური სამართლის Wesen-ს ვიგულისხმებთ, ჩვენი ცდა ფაქტიურის და სამართლებრივის დაპირისპირებისათვის უნაყოფო დარჩება, ვინაიდან სწორედ იმ ფილოსოფიური მიმდინარეობის თვალსაზრისით, რომლის ფარგლებშიდ გამოუმუშავებულია Wesen'-ის ცნება, ფაქტიურის და ეიდეტურის (Eidos) განუყრელობა ძირითადი ფენომენია, რომელსაც ჩვენ ვხვდებით შემეცნებითი მიმართების ანალიზის დროს (იხ. Husserl Ideen s. 8-9); და რადგანაც ფაქტიურისათვის ამდენად დამახასიათებელია ეიდეტური სტრუქტურა, აშკარაა, რომ ამ მომენტს, ე. ი. Wesen'-ის ან Eidos'-ის მომენტის მიხედვით ჩვენ ველარ დაუპირისპირებთ ერთმანეთს სამართლებრივის და ფაქტიურს.

ამგვარად, ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მივიღვართ: ავტორის გაშუქებული არა აქვს თუ რა შინაარსი უნდა ვიგულისხმოთ სამართლის იდეის ქვეშ, მაგრამ რა შესაძლებელი მნიშვნელობაც არ უნდა მიეცეს ცნებას, იგი გამოუსადეგარია სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირებისათვის, ე. ი. სწორედ იმ მიზნისათვის, რომლისთვის იგი გამოყენებულია სარეცენზიო ნაშრომშიდ.

მაგრამ ავტორის მსჯელობის საწინააღმდეგოდ შესაძლებელია მოვიყვანოთ არა მარტო ის, რაც ზევით იყო აღნიშნული, ეს მსჯელობა მიუღებელი და უსაფუძვლოა არა მარტო იმიტომ, რომ ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა, რომლის საფუძველზედ ავტორის გამოკვეთს თავისი ძირითადი დასკვნები, თავის შინაარსშიდ გაშუქებული არ არის, არამედ იმ მოსაზრებითაც, რომ ავტორი არც კი შეეცადა გაეშუქებია, თუ რამდენად

<sup>1</sup> ყველაფერი, რაც აქ აღნიშნულია სამართლის იდეის შესახებ, ცხადია, შეეხება ნაშრომის იმ ადგილებსაც, სადაც სამართლის იდეის ნაყელად ნახმარი არის ტერმინი "სამართლის აზრი", ვინაიდან ავტორის მიერ ეს ორი ტერმინი ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარება (იხ. გვ.34, მე-4 და მე-5 თემისი). ჩვენი აზრით, აღნიშნული ტერმინების გაიგივება გუგავრობას წარმოადგენს, ვინაიდან რა მნიშვნელობითაც არ უნდა ვიხმაროთ აზრის (Sinn) ცნება – გაიგივებით მას როგორც ამა თუ იმ არსებობის მწიბორი, ან უფრო მოვალად, ღირებულებითი გამართლების აღმნიშვნელ ტერმინს, თუ როგორც შემეცნებითი მიმართებაშიდ შემაჯალ ერთ-ერთ მომენტს (იხ. Husserl Ideen s.188 ff, 298. ), უდავოა, რომ იდეას და აზრს შორის იგივეობის გატარება შეუძლებელია.

საფუძვლიანია პოზიტიური სამართლის გვერდით და მისგან დამოუკიდებლად სამართლის იდეის არსებობის მტკიცება; თქვენ შეგიძლიათ სარეცენზიო ნაშრომი თავიდან ბოლომდე გადაფურცლოთ, მაგრამ აქ თქვენ ვერსად იპოვით რაიმე მსჯელობას ამ საკითხის ირგვლივ. მაგრამ ვანა ეს საკითხი მიდენად თვალსაჩინო და გარკვეული იყო, რომ აქ რაიმე მტკიცების მოყვანა ზედმეტი იყო? განა სამართლის იდეის პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებელი ხასიათი და საერთოდ მისი არსებობა ისეთი უდავო ჭკუშმარიტებაა, რომ სათანადო მტკიცების მოყვანა ზედმეტად მიეჩინოთ? სრულებითაც არა! პირიქით, უშუალო მოცემულობის ხასიათს სწორედ პოზიტიური სამართალი ატარებს, სამართლის იდეის ცნება კი, რომელიც ერთგვარი მისტიური ბურუსისაგან სრულებით არ არის თავისუფალი, ბუნებრივი და გასაგებია მხოლოდ ასევე მისტიურად განწყობილ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა ფარგლებში.

რომ სამართლის იდეის ცნება, როგორი მნიშვნელობითაც არ უნდა გავიგოთ იგი, გამოუსადეგარია ფაქტიურის და სამართლებრივის დაპირისპირებისათვის, ამზღედ უკვე ვრცლად იყო მითითებული ზევით. მაგრამ სარეცენზიო ნაშრომში, თუმცა უფრო მკრთალად, მოცემულია სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირების ცდა სხვა მხრით. სახელდობრ, ნაშრომის მე-19 და მე-20 გვერდებზე სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირებისათვის ჯერ არსის Sollen-ის კატეგორია არის გამოყენებული. სამართლის მეცნიერებაში სამართლის და არასამართლებრივის განსხვავებას Sein-Sollen-ის კატეგორიების საფუძველზე ფართო ტრადიცია აქვს, მაგრამ ავტორს ისიც უნდა სცოდნოდა, რომ ლიტერატურაში საწინააღმდეგო მიმდინარეობაც საქმოდ საგანძობლად არის წარმოდგენილი და ამიტომ მისთვის აქ საქმარისი არ იყო N. Hartmann-იდან ამონაწერის მოყვანა, არამედ უფრო დამაჯერებელი არგუმენტაცია იყო საჭირო. სხვათა შორის Hartmann-ის სიტყვები, რომელიც ავტორს მოჰყავს, სრულებით არ ამართლებენ იმ დასკვნებს, რომლებსაც ავტორი აკეთებს ნაშრომის მეორე გვერდზე. პარტმანი მხოლოდ იმას უთითებს, რომ ჯერად მყოფადი და არსებული განსხვავებული არიან ერთმანეთისაგან და რომ ამიტომ თეორიული და ეთიური ერთ და იგივეს არ წარმოადგენენ. ავტორის მტკიცებიდან, რომ სამართლის ნორმის ობიექტი არ არსებულის, ჯერარსის კატეგორიას მიეკუთვნება, არავითარი დასკვნა არ გამოდინარეობს თვით სამართლის და ფაქტის დაპირისპირებისათვის. ადვილი გასაგებია, რომ იურიდიული ნორმის ობიექტის ჯერარსობრივი ხასიათი, შორეულადაც არ ამტკიცებს თვითონ ამ ნორმის ჯერარსობრივობას, ნორმის ობიექტი, ე.ი. ის, რაც ნორმის მიერ გათვალისწინებულია, როგორც განსაზოცივლებლად ჯერ არსი, შესაძლებელია არ არსებობდეს, მაგრამ აქედან შეუძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, თითქოს თვით ნორმაც არარსებულის კატეგორიას ეკუთვნოდეს. რაკი ეს ასეა, ამკარაა, რომ სამართლის ნორმის ობიექტის ჯერარსობრივ ხასიათზე მითითებით ჩვენ შეიძლება დაუპირისპიროთ ერთი მეორეს ფაქტი და სამართლის ნორმის ობიექტი<sup>2</sup>, მაგრამ ამის მიხედვით

<sup>2</sup> პირადად ჩვენ ეს დაპირისპირებაჲ ძალიან პრობლემატურად მიგვაჩნია, როდესაც ჩვენს ავტორი ამბობს – "თუ ჩვენ დაეუშვებთ, რომ ნორმის ობიექტი არსებობს, ე.ი. დაეუშვათ, რომ ის, რაც უნდა იყოს უკვე არის, მაშინ ნორმაც, როგორც ასეთი, უაზრობად უნდა ჩავთვალოთ"-ო (გვ.19) (ან იგი ჩვენის ამრით, ჭკუშმარიტებას შორეულადაც ვერა სწელება. ავტორის კატეგორიული განსაზღვრების საწინააღმდეგოდ ჩვენ უდავოდ მიგვაჩნია, რომ აბსოლუტურად არ არსებული შეუძლებელია სამართლის ნორმის ობიექტად გახდეს. სამწუხაროდ, ჩვენ საუთისის ამ მხარეზედ მეტს ვერ შევირდებით, მით უმეტეს, რომ ამას აქ ჩვენთვის არც მნიშვნელობა აქვს.

შეუძლებელია ფაქტიურის და თვით სამართლის ნორმის ე.ი. სამართლებრივის დაპირისპირება.

ასეთი დაპირისპირება არ შეიძლება არც იმ მომენტების მიხედვით, რომლებსაც ავტორი სარეცენზიო ნაშრომის მე-17-მე-18 გვერდებზედ უთითებს. ავტორის მსჯელობა აქ აშკარა გაუგებრობას ემყარება, ვინაიდან ძირითადი და აუცილებელი მომენტების მოცულობა დამახასიათებელია არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ საქმე სამართლის ნორმასთან გვაქვს, არამედ ფაქტიურის რა სახეც არ უნდა ავიღოთ, იგი აგრეთვე ყოველთვის გვიჩვენებს გარკვეულ ძირითად მომენტებს, რომლის გარეშე ამა თუ იმ ფაქტის წარმოადგენა შეუძლებელია. ამ მხრით რაიმე განსხვავების აღმოჩენა ფაქტიურსა და სამართლებრივს შორის უიმედო საქმეა.

ჩვენ შეგვიძლია უკვე რამოდენიმე დასკვნის გაკეთება. როგორც ზევით იყო აღნიშნული, ნორმატიული პრობლემის დაყენება, ჩვენი ავტორის აზრით, შესაძლებელია მხოლოდ ფაქტიურის და სამართლებრივის საფუძველზედ. ჩვენ შედარებით ვრცლად განვიხილეთ სხვადასხვა მომენტი, რომლის მიხედვით ავტორი ასეთ დაპირისპირებას შესრულებულად სთვლის. ჩვენ დავინახეთ, რომ არც ერთი მომენტი, რომელსაც ავტორი უთითებს, არავითარ საფუძველს არ იძლევა სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირებისათვის და რადგანაც ეს უკანასკნელი თვით ავტორისაგან ცნობილია ნორმატიული ფაქტების პრობლემის დაყენების აუცილებელ პირობად, ჩვენ სრული საფუძველი გვექონდა გვეთქვა ჩვენი რეცენზიის დასაწყისშიდევ, რომ ძირითადი თემატური პრობლემის სისწორით დაყენების მხრივ სარეცენზიო ნაშრომი აშკარად სუსტი და ლოდიურ დასაბუთებას მოკლებულია.

ეს მანკი, სამწუხაროდ მარტო პრობლემის დაყენებით არ შემოიფარგლება, იგი თან მიჰყვება ავტორის შემდგომ მსჯელობებს და თავს იჩენს მთელ რიგ მნიშვნელოვან დასკვნებში, რომლებსაც ავტორი აყუთებს ზევით განხილული დებულებების საფუძველზედ. ამის გამოაშკარავენაზედ ჩვენ შეეჩრდებით ახლა.

ჩვენ ზევით მოვიყვანეთ სარეცენზიო ნაშრომის ის ადგილი, სადაც სამართლის და ფაქტის დაპირისპირების მიზნით მითითებულია მათი ნამდვილობის სხვადასხვაობაზედ. იქ (გვ. 5) სამართლის ნამდვილობა დახასიათებული იყო ასეთ უცნაურ სიტყვებში: "სამართალში ნამდვილობა არის ის, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ფაქტის ნამდვილობად ჩაითვალოს". თავისთავად ცხადია, რომ ამ ფრაზის მიხედვით შეუძლებელია რაიმე წარმოდგენის გამომუშავება იმაზედ, თუ რა თავისებურობით ხასიათდება სამართლის ნამდვილობა. ალბათ ავტორიც გრძობდა ამას და ამიტომ სარეცენზიო ნაშრომის შემდეგ გვერდებზედ იგი ეხება სამართლის ნამდვილობის სპეციფიურობის გამოაშკარაებას. უნდა ითქვას წინდაწინვე, რომ ის, რასაც ამ საკითხის ირგვლივ ადგილი აქვს დათმობილი ნაშრომში, იმდენად დაცილებულია გარკვეულობას და დასაბუთებას, რომ ლოდიური საფუძველიანობის მხრივ არაფრით ჩამოუვარდება ზევით მოყვანილ უშინაარსო ფრაზას. ეს გარემოება სავსებით ნათელი და გასაგები გახდება ჩვენთვის, თუ ახლავე მიუუთითებთ, რომ სამართლის სინამდვილის თავისებურობის დამტკიცებას ავტორი სამართლის იდეის საშუალებით ფიქრობს. ეს გარკვევით არის აღნიშნული სარეცენზიო ნაშრომის 21-ე გვერდზედ, სადაც ჩვენ ვკითხულობთ:

“ამგვარად დროის მიხედვით ცვალებად უფლებრივ ნორმაშიდ ნამდვილობის მატარებელია მხოლოდ განსაზღვრული უფლებრივი აზრი, ... ე. ი. სამართლის ნამდვილობა (პოზიტივობა) არის თვით სამართლის აზრის ნამდვილობა, რაც თავის მხრით, ნიშნავს მხოლოდ აზრის ქმედობას”. ეს მცირე ამონაწერი, რომელშიდაც ლაიხდარულად მოცემულია ავტორის შეხედულება სამართლის ნამდვილობაზედ, ძალიან დიდ გაუგებრობას შეიცავს. გავისხენით თუნდაც ის, რომ როგორც ზევით დაწვრილებით იყო აღნიშნული, სარეცენზიო ნაშრომშიდ აბსოლუტურად გაურკვეველად არის დატოვებული არა მარტო სამართლის იდეის შინაარსი, არამედ სამართლის მეცნიერების დარგშიდ თვით ამ ცნების არსებობის ZAISON D ETRE. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ პირობებშიდ ამ ცნების საშუალებით სამართლის ნამდვილობის დახასიათება იმ ტლანქ ლოღიყურ დარღვევას აღნიშნავს, რომელსაც CONTRADICTION IN ADJECTO ეწოდება.

მაგრამ საქმე აქ მარტო ამ ნაკლით არ ამოიწურება, თუ დაუუკვირდებით უფრო დაახლოებით აქ მოყვანილ დებულებას, ადვილად შევნიშნავთ, რომ მათშიდ კიდევ უფრო უცნაურ აზრებს აქვს ადგილი. მაგალითისათვის შეეჩერდეთ ავტორის მსჯელობაზედ, რომ “უფლებრივ ნორმაში ნამდვილობის მატარებელია მხოლოდ განსაზღვრული უფლებრივი აზრი,” რომ ამიტომ, “სამართლის ნამდვილობა (პოზიტივობა) არის თვით სამართლის აზრის ნამდვილობა” თუ ამ დასკვნებს შეეადრებთ ავტორის მეორე მსჯელობას, რომელიც მოყვანილია სარეცენზიო ნაშრომის ოცდამეორე გვერდზედ და სადაც ვკითხულობთ: “ამგვარად, ჩვენ ეხედავთ, რომ სამართლის აზრი, რომელიც არსებითად არ არის მოქმედი სამართალი და სხვ.” ანდა იმ მსჯელობას, რომელიც მოყვანილია ნაშრომის მე-16 გვერდზედ და სადაც გარკვევით არის აღნიშნული, რომ სამართლის აზრი პოზიტიური სამართლის დამოუკიდებლად არსებობს, ჩვენთვის ლოღიყურად აუცილებელი გახდება იმ დასკვნის გაკეთება, რომ ავტორის დებულების თანახმად, პოზიტიური სამართალი სინამდვილეს მოკლებულად უნდა მივიჩნიოთ, კიდევ უფრო მეტი: ვინაიდან ავტორის განმარტებაში სამართლის სინამდვილე მის პოზიტივობასთან არის გაიგივებული, ჩვენ სარეცენზიო ნაშრომის დებულებების თანახმად იმ უცნაურ და შინაგან წინააღმდეგობით შეპყრობილ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ პოზიტიური სამართალი პოზიტივობას მოკლებულად გამოვაცხადოთ. ასეთი უცნაური დასკვნები, რომლებშიდაც ის, რაც სამართლის მეცნიერებისათვის უშუალო მოცემულობით ხასიათდება (ე. ი. პოზიტიური სამართალი) სინამდვილეს წართმეულია, ხოლო სამართლის მეცნიერებისათვის ძალიან პრობლემატური სამართლის იდეა ერთადერთ სინამდვილედ არის ცნობილი, შესაძლებელია მხოლოდ იმის შედგენილ, რომ სარეცენზიო ნაშრომისათვის ძირითადი ცნებები – პოზიტიური სამართალი, სამართლის იდეა, სამართლის აზრი და მათი ურთიერთდამოკიდებულება ყოველგვარი ანალიზის გარეშე არიან დატოვებული; სწორედ ასეთი გაურკვეველობის საფუძველზედ არის შესაძლებელი კუროზული დასკვნების მიღება, რომლის ერთ-ერთ ნიშუმს ჩვენ ახლა გავუცანი.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, ავტორის განმარტებაში სამართლის ნამდვილობა და მისი პოზიტივობა გაიგივებულია. უნდა ითქვას, რომ ასეთი გაიგივება იურიდიულ მეცნიერებაში იშვიათი მოვლენა არ არის, ნამდვილი სამართალი აქ ხშირად იმასვე აღნიშნავს, რასაც პოზიტიური სამართალი. თავისთავად ტერმინების ასეთ ხმარებას არა

სდევს თან მაინც და მაინც დიდი უხერხულობა, განსაკუთრებით როდესაც შეგნებულია, რომ ნამდვილობის ცნება აქ ნახმარია არა მისი ფილოსოფიური მნიშვნელობით, არამედ როგორც მხოლოდ ტექნიკური, სპეციალური ტერმინი იმ სპეციფიკური მოვლენის აღსანიშნავად, რომელიც სამართლის ნორმების სოციალურ ფუნქციონებაში გამოიხატება; ამ ვიწრო მნიშვნელობით ნამდვილი სამართალი იგივეა, რაც მოქმედი სამართალი და, მამასადაძე, სინამდვილის ცნებაც აქ იხმარება მხოლოდ იმ განსაკუთრებული აზრით, რომელშიდაც, მაკს ვებერის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, სამართლის რეგულარული შესრულების შანსი, მისი სოციალური წნევის ინტენსივობა აღინიშნება. ადვილი გასაგებია, რომ სინამდვილის ცნებას ამ სპეციალური, ვიწრო და მხოლოდ სამართლის მეცნიერების ფარგლებში გასაგები მნიშვნელობით, ძალიან ცოტა აქვს საერთო სინამდვილის იმ ცნებასთან, რომელიც ფილოსოფიის ფარგლებში არის გამომუშავებული არსის (SEIN) პრობლემის დამუშავების დროს. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით მაგალითად, სინამდვილის ცნება სრულებით არ არის იგივე, როგორც ამას ჩვენი ავტორი ფიქრობს, რაც მოქმედების ცნებას, ვინაიდან შექმენების ობიექტების ონტოლოგიურ განრიგებაში ჩვენ წაუწყებდებით ისეთებსაც, რომელნიც არ მოქმედებენ, თუმცა სინამდვილეს არ არიან მოვლებულნი.

მიუხედავად ამ მკაფიო განსხვავებისა, რომელიც აქ მოცემულია, სინამდვილის ეს ორი მნიშვნელობა სარეცენზიო ნაშრომშიდ ერთი მეორეშიდ არის არეული. ამის მაჩვენებელი ის არის, რომ სინამდვილის ის ცნება, რომელიც ფაქტიურის დახასიათების დროს არის გამოყენებული და რომელიც ამიტომ აქ მისი ფილოსოფიური მნიშვნელობით არის აღებული, შეფერადებულია აგრეთვე სამართლის ნამდვილობის დახასიათების დროსაც და ამ უკანასკნელ შემთხვევაშიდ კი იგი პოზიტივიზმის ცნებასთან არის გაიგივებული. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ასეთი გაიგივება ყალბია, აქედან კი ის დასყენა გამომდინარეობს, რომ სარეცენზიო ნაშრომშიდ მოცემული ფაქტიურის და სამართლებრივის დაპირისპირება მათი სინამდვილის სხვაობის მიხედვით, რამდენადაც ამ დაპირისპირების დროს სინამდვილის ერთი ცნება არ არის აღებული, ლოდირად ყალბ საფუძველს უყრდნობა, ვინაიდან აშკარაა, რომ ორი მოვლენის შედარების დროს (ფაქტიურის და სამართლებრივის დაპირისპირებისათვის კი ცხადია, მათი შედარება არის საჭირო) შემადარებელი მომენტი ე. ი. ეგრეთ წოდებული TERMINUS COMPARATIONIS მხოლოდ ერთი მნიშვნელობით შეიძლება იქნეს აღებული.

გადავიდეთ ახლა დანარჩენი მომენტების განხილვაზედ, რომლებსაც ავტორი ასახელებს სამართლის ნამდვილობის დახასიათების მიზნით. სამართლის ნამდვილობა, როგორც ზევით დავინახეთ, ავტორის ესმის როგორც სამართლის აზრის, ისე სამართლის იდეის ნამდვილობა, ეს უკანასკნელი კი სარეცენზიო ნაშრომში დახასიათებულია როგორც სამართლის აზრის ქმედობა, რომელიც ავტორის განმარტებით იმაში გამოიხატება, რომ “სამართლის აზრი ლოდირად მადიარებელ სუბიექტში მისწრაფებულია იმისკენ, რომ გახდეს ისტორიის შინაარსად” (გვ. 35).

ჩვენი აზრით მთელი მსჯელობა გაუგებრობაზედ არის აშენებული. ჩვენ აქ დეტალურად აღარ შევჩერდებით იმაზე, რაც ზევით იყო აღნიშნული სარეცენზიო ნაშრომში სამართლის აზრის ცნების აბსოლუტურ გაურკვეველობის შესახებ. აქ საყმარისი იქნება მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ რამდენადაც სამართლის ნამდვილობის განმარტებაში

ავტორის სამართლის აზრის ცნება შეაქვს, ეს განმარტებაც ბუნებრივად იღებს გაურკვეველ და ლოღიურად დაუსაბუთებელ სახეს. მაგრამ ამ ძირითადი ნაკლის გარეშე საჭიროა აქ ზოგიერთ სხვა მომენტებსაც მივუძღვინოთ ყურადღება. პირველ რიგში აქ არ შეიძლება განცვიფრება არ გამოიწვიოს სამართლის ნამდვილობის განმარტებაში თავისებურ ანტროპომორფისტული ელემენტების შეტანამ. როდესაც ავტორი სამართლის იდეის ქმედობაზედ ლაპარაკობს, როდესაც იგი აღნიშნავს, რომ ეს იდეა "ლოღიურად მალაიარებელ სუბიექტში მისწრაფებულია იმისკენ, რომ გახდეს ისტორიის შინაარსად". ჩვენ ყურადღებას არ მივაქცევდით ყველა ასეთ გამოთქმას, რომ მათ მხოლოდ ფიგურალური მნიშვნელობა ეძლეოდას სარეცენზიო ნაშრომში, რომ ისინი აქ მხოლოდ თავისებურ *Razon de parler*-ს აღნიშნავდნენ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ფრაზები ავტორისათვის უბრალო ფიგურალურ ფორმას კი არ წარმოადგენენ, არამედ წმინდა ლოღიურ განმარტებას, რომლითაც ავტორი ფიქრობს თავისი აზრის ადეკვატურ გადმოცემას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი მნიშვნელობით სამართლის ნამდვილობის აქ მოყვანილი განმარტება რაიმე გარკვეულ აზრს აშკარად მოკლებულია. მართლაც, განა შესაძლებელია სერიოზულად იმის მტკიცება, რომ სამართლის აზრი მოქმედობს, ანდა რომ ის მისწრაფებულია განხორციელებისაკენ? ქმედობა, მისწრაფება - ეს ხომ აშკარად ისეთი მოვლენებია, რომლებსაც ჩვენ ვხვდებით მხოლოდ ფსიქიური ცხოვრების დარგში და შემეცნების სხვა ობიექტების დახასიათების დროს აღნიშნული ტერმინების შეფარდება დასაშვებია მხოლოდ ფიგურალური გამოთქმის სახით? ანდა როდესაც ავტორი სამართლის ნორმის დახასიათების დროს, სამართლის ნამდვილობის ცნებასთან დაკავშირებით ნ. პარტმანის სიტყვებით აღნიშნავს (გვ. 33), რომ "მას (ე.ი. ნორმას) აქვს მუდმივი პრეტენზია განხორციელებისა", განა აშკარა არ არის, რომ სიტყვა პრეტენზია აქ გასაგები და დასაშვებია მხოლოდ როგორც ფიგურალური გამოთქმა, რომ სინამდვილეში ნორმას არ შეუძლია რაიმე პრეტენზია ჰქონდეს, ვინაიდან ეს უკანასკნელი მხოლოდ ცოცხალი არსებისათვის არის დამახასიათებელი? სამწუხაროდ ტერმინების ასეთი შეუფერებელი ხმარება ნაშრომის სხვა ადგილებზედაც ვხვდებით. მაგალითისათვის ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ განსხვავება, რომელიც ავტორს გაჰყავს ლოღიურ და ფსიქიურ აღიარების შორის და რომელიც უცნაურ და თავის შინაარსში აბსოლუტურად გაურკვეველ ტერმინს "ლოღიური აღიარების" ტერმინს ემყარება. ვიმეორებთ, ყველა ასეთი ფრაზების შესახებ არაფერი ითქმოდა, რომ მათ მხოლოდ ფიგურალური მნიშვნელობა ჰქონდეთ აქ, მაგრამ სარეცენზიო ნაშრომში ეს ფრაზები მოცემულია არა მარტო მეცნიერული, ლოღიურად დახვეწილი განმარტებების სახით (რაც, სხვათა შორის, იქედან ჩანს, რომ ისინი თვისებშიადაც კია შეტანილი), არამედ ამ ტერმინების საფუძველზე ავტორს გარკვეული და ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნები გამოჰყავს. ასე, მაგალითად, სამართლის ნორმის ანტროპომორფისტული ასახვიდან, რომელშიდაც იგი წარმოდგენილია, როგორც მისწრაფებული განხორციელებისაკენ, ავტორს შესაძლებლად მიაჩნია გარკვეული დასკვნების გაკეთება სამართლის სუბიექტის ბუნების შესახებ, ხოლო იმ უშინაარსო ფრაზას, რომელიც ლოღიურ აღიარებზე ლაპარაკობს, ავტორი საფუძვლად უდებს ხელისუფლების და ძალადობის განსხვავებას.

სწორედ იმიტომ, რომ სარეცენზიო ნაშრომში, აღნიშნულ ტერმინებს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, საჭირო არის უფრო ვრცლად მათზე შეჩერება. თავისთავად გასაგებია, რომ *onus probandi* ამ შემთხვევაში ავტორზე არის, ვინაიდან სწორედ



ტერმინების ის უცნაური ხმარება, რომელსაც ჩვენ ვხვდებით სარეცენზიო ნაშრომში, მოითხოვს გამართლებას და მეცნიერულ დასაბუთებას. არის ასეთი დასაბუთება ავტორისაგან მოქმედი? ჩვენი აზრით, არა! და მართლაც დასაბუთებად ხომ არ ჩაითვლება ის ანალოგია, რომელიც ამ შემთხვევაში გააკეთა ავტორის სამართლის აზრის და ესთეტიური იდეის შორის? (იხ. გვ. 21, 34, 35). ანდა შესაძლებელია ავტორი ფიქრობდა ნორმის ჯერარსობრივ ხასიათიდან იმ დასკვნების გაკეთებას, რომ ნორმას აქვს მისწრაფების და მოქმედების უნარი? ნაშრომის ზოგიერთი ადგილების მიხედვით, მართლაც შესაძლებელია ასე ვიფიქროთ; ასე, მაგ. ნაშრომის მე-19 გვერდზე ავტორი აღნიშნავს: "თუ ნორმის ობიექტი, ე.ი. ის, რაც უნდა იყოს, არ არსებობს (როგორც ფაქტი), მაშინ თვით ღირებულებითი მნიშვნელობა ამ ობიექტისა ააშკარავებს განხორციელების პრეტენზიას". რადგანაც მთელ ნაშრომში ამის მეტი არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რატომ უნდა მივაწეროთ ნორმას მისწრაფებისა და მოქმედების უნარი, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ არგუმენტაციასზე უფრო ვრცლად შევჩერდეთ. პირველ რიგში აქ გაუგებარია, თუ რა საფუძველით აღწერს ავტორი ნორმის ობიექტს თვითღირებულებით მნიშვნელობას? ხომ აშკარაა, რომ სამართალი მთლიანად და მამასადავად, სამართლის ნორმის ობიექტი სოციალურ თანრიგში მხოლოდ ერთ-ერთ საშუალებას აღნიშნავენ გარკვეული მიზნების მისაღწევად და ამიტომ სამართლის და მით უმეტეს სამართლის ნორმის ობიექტისათვის თვითღირებულებითი მნიშვნელობის მიწერა უკეთეს შემთხვევაში გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს! მაგრამ ამისგან დამოუკიდებლად ნორმის ჯერარსობრივი ხასიათი განა იმას ნიშნავს, რომ ნორმას მისწრაფების და მოქმედების უნარი აქვს? ხომ უდავოა, რომ ჯერარსი არისსაღმადმი დაპირისპირებულია და სწორედ ამიტომ სამართლის ნორმას, რამდენადაც იგი დახასიათებულია როგორც ჯერარსი სრულებით და დამოუკიდებლად იმისგან, თუ რამდენად სწორია ასეთი დახასიათება, შეუძლებელია მივაწეროთ მოქმედების ან მისწრაფების უნარი, ვინაიდან როგორც მოქმედება, ისე მისწრაფება აშკარად არის კატეგორიას მიეკუთვნებიან. ამასაც რომ თავი დაეხანებოთ, ჩვენთვის უდავოა, რომ სამართლის ჯერარსობრივობის ცნება, თვით სამართლის ბუნებას კი არ ახასიათებს, არამედ სამართლის ნორმისაღმადმი ჩვენს დამოუკიდებულებას. როდესაც ჩვენ ამა თუ იმ ობიექტს ჯერარსობრივ ხასიათს მივაწეროთ, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ იგი ჯერარსი, რომ იყოს, ჩვენ ამით არ გამოვხატავთ არც ერთ თვისებას, რომელიც თვით ობიექტის შინაარსის შინაგან მომენტს აღნიშნავდეს. ამით ჩვენ აღვნიშნავთ პიროვნების დამოუკიდებულების ერთ-ერთ სახეს ობიექტისაღმადმი და სწორედ ამდენად ჯერარსობრივობა არა ობიექტის, არამედ აქტის ერთ-ერთ მოდიფიკაციას აღნიშნავს (იხ. D. Kaufman, Logik S. Hkk Hildebrand, Die Idee der Sittlichen Handlung).

იმის მიხედვით, რაც ზევით იყო აღნიშნული, შეუძლებელია სერიოზულად იმ აზრის დაცვა, თითქოს ნორმას მოქმედების უნარი ჰქონდეს, ან რაღაც მისწრაფებებით იყოს აღჭურვილი; ორივე ეს თვისება შესაძლებელია მხოლოდ ცოცხალ არსებას, კერძოდ, ადამიანს მივაკუთვნოთ, ნორმა კი ცოცხალ არსებას არ წარმოადგენს. საწინააღმდეგოს მტკიცება მეტაფიზიკა იქნება ამ სიტყვის ყველაზე უფრო ცუდი მნიშვნელობით.

სანამ სარეცენზიო ნაშრომის აქ მოყვანილი დებულებების შეფასებას დაემათავრებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთ მომენტს მიექცეს ყურადღება. როგორც ზევით დავინახეთ, ჩვენი ავტორის თანახმად, ნორმა მისწრაფებული არის განხორციელებისაკენ.

განხორციელების მუდმივი პრეტენზია ნორმის ყველაზე უფრო ესენციალურ მომენტად არის აქ ცნობილი. ამავე აზრს აეტორი იმეორებს ნაშრომის 30-31 გვერდზე, სადაც აღნიშნულია, რომ უფლებრივი შინაარსი ჩვენ წარმოგვიდგება "მხოლოდ (კურსივი ჩვენია) როგორც სამართალი და სამართლის განხორციელება". ყველა ამ დებულებიდან შესაძლებელია მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება, სახელდობრ, იმის, რომ განხორციელების მომენტი არამც თუ არ არის ნორმის ცნებისათვის ინდიფერენტული რამ, არამედ ამ უკანასკნელში იგი აუცილებლად იგულისხმება, როგორც ნორმის ესენციალური თვისება. ამის შემდეგ როგორი უნდა იქნეს ჩვენი განცდილობა, როდესაც სარეცენზიო ნაშრომში ვკითხულობთ: "აღვნიშნავთ რა ნორმის.. განხორციელების ფაქტს, ჩვენ, არსებითად რომ ვთქვათ, არავითარ შემთხვევაში არ ვეხებით იმ შინაარსს, რაც სამართალში ნამდვილობად იქცა", (გვ. 9); ან კიდევ უფრო გარკვევით: "თუ ნორმის შესრულება მოცემულია როგორც შესაძლებლობა, ხოლო განხორციელება როგორც ისტორია, ცხადია, რომ არც ერთი მათგანი (ე.ი. განხორციელებაც ირ.ს) არსებითად სამართლის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენს. ამის მიხედვით ყოველთვის, როცა ნორმის ფაქტიურობას ვიღებთ ნორმის განხორციელების შესაძლებლობის აზრით, ჩვენ სრულიად არ ვეხებით თვით ნორმის ბუნებას".. (გვ. 11) შინაგანი წინააღმდეგობა აქ აშკარა და ამიტომ ჩვენ საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ სამართლის ნამდვილობის ზევით მოყვანილი განმარტება მიუღებელია არა მარტო იმიტომ, რომ იგი სამართლის იდეის გაურკვეველ ცნებას ემყარება, არა მარტო იმიტომ, რომ ამ განმარტებაში სამართლის ნორმა გამოცხადებულია ისეთი საკვირველ თვისებების მატარებლად, როგორცაა მოქმედების და მისწრაფების უნარი, არამედ იმ მოსაზრებითაც, რომ ეს განმარტება წინააღმდეგობაშია ნაშრომის სხვა ნაწილებთან, რაც იმის მაჩვენებელია, რომ აეტორს მოუწიფებელი აზრები აჩქარებით გამოუტანია სამეცნიერო სამსჯავროზე.

ამის შემდეგ ჩვენ ბევრს არაფერს ვიტყვით ლოღოური აღიარების ცნების შესახებ, რომელიც აეტორს აგრეთვე შეტანილი აქვს სამართლის ნამდვილობის ზევით მოყვანილ განმარტებაში. სარეცენზიო ნაშრომში დაპირისპირება ფსიქიურ და ლოღოურ აღიარებას შორის ძალიან ხშირად გვხვდება (იხ. განსაკუთრებით გვ. 12, 13, 14, 24, 31, 35, 114); ამის მიუხედავად ყველა ამ ადგილებიდან აბსოლუტურად შეუძლებელია რაიმე განსაკუთრებული შინაარსის გაგება, რომლის სპეციფიურობა ამ საკვირველი ტერმინის ხმარებას აპართლებდეს. მართალია, სარეცენზიო ნაშრომში არის ერთი ადგილი, რომელიც ლოღოურ აღიარების, როგორც განსაკუთრებული აქტის, დახასიათებას ცდილობს, მაგრამ ამ ადგილის მიხედვით შეუძლებელია რაიმე სპეციფიური შინაარსის წარმოდგენა, რომელიც სპეციალური ტერმინების შემოღებას მოითხოვდეს. ეს ადგილი შენიშვნის სახით მოყვანილია ნაშრომის მე-12 გვერდზე, სადაც ჩვენ ვკითხულობთ: "ნორმას ლოღოურად ვაღიარებთ ხოლმე მისი გააზრების აქტში, რადგანაც ამ აქტით ჩვენ ვწვდებით ნორმის აზრსა და შინაარსს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, - ვაღიარებთ თუ არა ფსიქიურად ნორმას, იგი სდგას ჩვენი შეგნების წინაშე როგორც აუცილებლობა. "სანამ იმას გავაშუქებდეთ, თუ რამდენადაა ამ განმარტებით ლოღოური აღიარების, როგორც განსაკუთრებული ცნების არსებობა გამართლებული, საჭიროა გავკრიტიკოთ მაინც ერთ დამახასიათებელ მომენტს მიექცეს ყურადღება. აქ მოყვანილ ამ ამონაწერში სამართლის აზრი და სამართლის შინაარსი ერთი მეორისაგან განსხვავებულია; ეს

თავისთავად იგულისხმება გამოთქმიდან -- "ჩვენ ეწვევებით ნორმის ზრდას და შინაარსს". ესეა, თუ ამ ადგილს შევადარებთ იმას, რაც ნაშრომის 22-ე გვერდზე არის ნათქვამი (ჩვენ ვერ ვნახავთ პოზიტიური სამართლის ისეთ ნორმას, რომლიდანაც განდევნილი იყოს სამართლის ზარი, რადგანაც ჩვენ არ ვიცით, რა არის, რას წარმოადგენს სამართლის ნორმა, რომელშიდაც სამართლის შინაარსი არ მოიპოვება"). ადვილად დაერწმუნდებით აქ შინაგან წინააღმდეგობაში, ეინაიდან, თუ პირველ შემთხვევაში სამართლის ზარი და სამართლის შინაარსი განსხვავებულია, მეორე შემთხვევაში ორივე ეს ტერმინი გაიგივებული არის. ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ ავტორს თვითონაც არა აქვს დაკავშირებული რაიმე გარკვეული შინაარსი სამართლის ზარის ცნებასთან, რაზედაც ჩვენ ზევითაც უთითებდით. ეს სხვათა შორის; ესეა კი გადავიდეთ ლოღოური აღიარების ზევით მოყვანილ განმარტების განხილვაზე. ლოღოური აღიარება აქ დახასიათებულია, როგორც გაზრების აქტი, რომლის საშუალებით ჩვენ ნორმის შინაარსს და ნორმის ზრდას ეხვებით. თუ ამ გამოთქმას ჩვენ გავათავისუფლებთ მისტიური ბურუსიდან და თუ მას საერთოდ რაიმე ზარი შეიძლება მიეწეროს, ეს მხოლოდ ერთი, რომელშიდაც იგი უბრალო შემცენებით აქტს აღნიშნავს და სხვას არაფერს. მართლაც, რაიმე გაზრება ხომ გაზრებულის გაგებას, შემეცნებას წარმოადგენს; სხვა რამ აბსოლუტურად შეუძლებელია ვიგულისხმოთ გაზრების ცნების ქვეშ. მაგრამ თუ ეს ასეა, აშკარაა, რომ ნორმის გაზრების აქტში ჩვენ ლოღოური აღიარების პროცესში კი არ ვიმყოფებით, არამედ გარკვეულ შემეცნებით ურთიერთობას ვამყარებთ ნორმასთან.

ლოღოური აღიარების ტერმინი, აქ მოყვანილ მოსაზრებებსაც რომ თავი დაეხებოთ, სხვა მხრითაც მიუღებელი არის. აღიარების ფაქტი, რომელიც ემოციონალური შინაარსის მქონე ფსიქიური პროცესია, შეუძლებელია ლოღოური იქნეს, და ეს იმდენად, რამდენადაც ლოღოეა ფსიქოლოგიისაგან განსხვავდება. შემეცნებითი აქტი კი ემოციონალური განცდებისაგან. ამ მხრით გამოთქმა "ლოღოური აღიარება" შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს, ხოლო ლოღოური და ფსიქიური აღიარების ერთი მეორისადმი დაპირისპირება, გაუგებრობაზეა აშენებული.

ამით შეგვიძლია ჩვენ დავამთავროთ სარეცენზიო ნაშრომის პირველი ნაწილის განხილვა, რომელიც სამართლის ნამდვილობის განმარტების და სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირების ცდას წარმოადგენს. რომ ეს ცდა მიზანს ვერც ერთი მხრით ვერ აღწევს, ამაზედ ვერცაღ იყო ზევით მოხსენებული და იქ მოყვანილ არგუმენტებს ჩვენ აქ აღარ გავიმეორებთ. არაფერს ვიტყვით ჩვენ აგრეთვე აქ არც სარეცენზიო ნაშრომის იმ ადგილებზე, სადაც სამართლის სუბიექტი დახასიათებულია, როგორც ღირებულებით აქტების მატარებელი, რომელიც ნორმის წინაშე სდგას (გვ. 25) (თუმცა ჩვენთვის გაუგებარია, როგორც ის, თუ რა იგულისხმება ნორმის წინაშე დგომის ქვეშ, აგრეთვე ისიც თუ რა ღირებულებითი აქტებზე არის აქ ლაპარაკი); დაწერილებითი განხილვის გარეშე დაუტოვებთ ჩვენ აგრეთვე იმ ადგილებსაც, სადაც გატარებულია განსხვავება ძალას და ხელისუფლებას შორის (გვ. 30) ანდა სამართლის "ტლანქი მექანიკური წნევის" და "სამართლის თავისუფალი მიღების" შორის (გვ. 18-19); ჩვენთვის აქ საკმარისი იქნება აღნიშნოთ, რომ სამართლის სუბიექტის ცნების ინტერპრეტაცია, რომელსაც ჩვენი ავტორი იძლევა, ისე როგორც

ხელისუფლების და ძალის, სამართლის “მექანიკური წნევის” და მისი “თავისუფალი მიღების საკვირველი დაპირისპირება ემყარება არა რაიმე მეცნიერულად დამუშავებულ საფუძველს, არამედ იმ უცნაურ ფრაზეოლოგიას სამართლის ნორმის მოქმედების უნარის და ლოღოვური აღიარების შესახებ, რომლის სრული უმინაარსობა ზევით ვრცლად იყო გარკვეული. ამჟამად არის, რომ ასეთ ყალბ ნიადაგზე აგებული კონსტრუქციები რაიმე მეცნიერულ ღირებულებას და ინტერესს მოკლებული იქნებიან.

სარეცენზიო ნაშრომის მეორე ნაწილი მიზნად ისახავს ნორმატიული ფაქტების პრობლემის გადაჭრას. ის, რაც ზევით იყო განხილული – სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირება და ამასთან დაკავშირებით სამართლის ნამდვილობის საკითხი, ავტორის ინტენციის თანახმად, ნორმატიული ფაქტების პრობლემის სწორ დაყენებას უნდა ემსახურებოდეს. ჩვენ ზევით უკვე დავინახეთ, რომ ის, რაც სარეცენზიო ნაშრომში სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირების მიზნით და სამართლის ნამდვილობის შესახებ არის აღნიშნული, მცდარია, და ამიტომ, რამდენადაც თვით ავტორი ამას მჭიდროდ უკავშირებს ნორმატიული ფაქტების პრობლემის გადაჭრას, ჩვენ წინდაწინვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს უკანასკნელიც საჭირო მეცნიერულ საფუძველიანობას მოკლებული იქნება. გადავალთ იმის გაშუქებაზე, თუ რამდენად შეეფერება ეს წინასწარი მსჯელობა მართლაც სინამდვილეს.

ავტორი ნორმატიული ფაქტების საკითხის განხილვას შორიდან იწყებს; მას წინასწარ საჭიროდ მიაჩნია საერთოდ იმის გაშუქება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ მოვლენის ობიექტურ თვისებებს აღნიშნული მოვლენის სამართლებრივი რეგულაციის დროს. ავტორი ამ საკითხში მიუღებლად თვლის ტრადიციულ შეხედულებას, რომელიც, მისი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ მას ის დახასიათება, რომელსაც ესა თუ ის მოვლენა იღებს სამართლის სისტემაში, მთლიანად უკანასკნელისაგან დამოკიდებულად მიაჩნია. ამის საწინააღმდეგოდ ავტორი შემდეგს აღნიშნავს: (გვ.57) “ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ დებულებას. ჩვენ არ შეგვიძლია დაეუშვათ, რომ სამართლის მიმართ... რაღაც მოვლენა თავისი ობიექტური თვისებების მთლიანობით არ იყოს დანიშნული სამართლის დასაყრდნობად”. (გვ.58); “ისეთს ვერაფერს აღმოვაჩინებთ სამართალში, რაც თავისი ობიექტური თვისებებით არ იყოს დანიშნული იმისათვის, რომ ის სამართალში არსებობდეს..... ჩვენ... ვერ მოვინახვებთ სამართლის სფეროში ისეთ რასმე, რომლის ობიექტური თვისებებითაც წინასწარვე არ იყოს მოცემული აუცილებლობა პოზიტიურ სამართალში მისი არსებობისა”. როგორც ამ ამონაწერის დასაწყისიდან ჩანს (“ჩვენ ვერ გავიზიარებთ, ჩვენ არ შეგვიძლია დაეუშვათ” და სხვ.), ავტორი, ამონაწერში მოყვანილ დებულებებს თავის საკუთარ ნააზრევად თვლის. ეს, რასაკვირველია, უსაფუძვლო პრეტენზიაა, ვინაიდან არსებითად იმავე დებულებას, მაგრამ გაცილებით უფრო ზუსტ ფორმაში, ჩვენ ჯერ კიდევ დერნბურგის პანდექტებში ვხვდებით (იხ. Pandekten, I, S, 177). ეს სხვათა შორის. ეხლა კი გადავიდეთ აქ მოყვანილ დებულებების არსებით განხილვაზე. ის არგუმენტაცია, რომელსაც ჩვენ ავტორთან ვხვდებით ამ საკითხში, ძალიან საკვირველ შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს არგუმენტაცია არსებითად ორ დებულებაში გამოიხატება: პირველი, რომელიც reductio ad absurdum-ის ხასიათს ატარებს, იმას უთითებს, რომ თუ ტრადიციულ დოქტრინას დაუჯერეთ, “სამართლის ყოველგვარ კავშირს რაიმე მოვლენასთან და

უფლებრივი შედეგების მიყუთვნებას რაიმე მოვლენისათვის წმინდა შემთხვევითი ხასიათი ექნება” (გვ. 56); მეორე დებულება იმას უთითებს, რომ ტრადიციული დოქტრინის საფუძველზე, ე.ი. თუ დაუშვებთ, რომ “პოზიტიური სამართლის მიერ მოხსენებულ ობიექტურ თვისებებზე სრულებით არ არის დამოკიდებული ამ გარემოების მოხსენიება”, გაუგებარი გახდება, თუ რატომ არის ესა თუ ის ფაქტი აღიარებული იურიდიულ ფაქტად, რატომ არის რომ პოზიტიური სამართალი თავისი მიზნებისათვის იყენებს სწორედ იმ გარემოებებს, რომელთაც ის ნამდვილად იყენებს და არა სხვა რაიმე გარემოებებს; რატომ არის, რომ განსაზღვრულ ურთიერთობათა წარმოშობისათვის პოზიტიური სამართალი იყენებს ხელშეკრულებას, შეთანხმების დაფუძნებით აქტს, ე.ი. სწორედ იმ ფაქტებს, რომელთაც ჩვეულებრივად იყენებენ განსაზღვრული ურთიერთობის დასამყარებლად იმ სფეროშიც, რომელიც პოზიტიურ სამართალს არ ექვემდებარება? (გვ. 55). ავტორის აზრით, ამგვარად, ის “უფლებრივი სამოსი”, რომელშიდაც ესა თუ ის გარემოება, ესა თუ ის მოვლენა თავსდება თვით ამ მოვლენის ობიექტურ თვისებებზე არის დამოკიდებული (გვ. 56), ეს უკანასკნელი თვითონვე განსაზღვრავს მისი სამართლებრივი მოწესრიგების ფორმას და სახეს.

სანამ არსებითად ამ დებულების სისწორეს შევხებოდეთ, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ, რომ ასეთი შეხედულება აშკარად ეწინააღმდეგება ნორმატიული ფაქტების პრობლემის იმ სახით დაყენებას და გადაჭრას, რომელსაც ჩვენ სარეცენზიო ნაშრომში ვხვდებით. მართლაც, თუ ამა თუ იმ მოვლენის უფლებრივი რეგლამენტაცია მთლიანად თვით ამ მოვლენის ობიექტური თვისებებით განისაზღვრება, ეს იმას ნიშნავს, რომ უფლება და მოვალეობა, რომელნიც უფლებრივი რეგლამენტაციის მთავარი შემადგენელი მომენტებია (უფლებრივი რეგლამენტაცია – უფლების და მოვალეობის დაწესებას ნიშნავს), თავის არსებობაში დამოკიდებული ყოფილან რეგლამენტაციკმნილი ობიექტების თვისებებისაგან; აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ჰქრება ყოველგვარი განსხვავება ნორმატიულ ფაქტებსა და იმ ფაქტებს შორის, რომელნიც მოხსენებული არიან სამართლის თვითულ ნორმაში, ვინაიდან, ავტორის განმარტების თანახმად, ნორმატიული ფაქტებიც იმ თავისებურებით ხასიათდება, რომ მათგან დამოკიდებულია გარკვეული უფლება-მოვალეობის აღმოცენება. ეს რაც შეეხება ავტორის შეხედულების შეფასებას იმანენტური კრიტიკის თვალსაზრისით. არსებითად კი ამ შეხედულების შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი ერთის მხრით სხვადასხვა სახის გაუგებრობას ეყარება, მეორე მხრით, კი აშკარად ეწინააღმდეგება მთელ რიგ საკმაოდ ცნობილ მოვლენებს უფლებრივი ცხოვრების დარვიდან. ასე, მაგალითად, როდესაც ჩვენი ავტორი აღნიშნავს: “რატომ არის, მაგალითად, რომ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები მიმართულია იმათენ, ვისკენაც ისინი ნამდვილად მიმართული არიან, თუ იმ თვისებებზე, რომელნიც ერთს ქმნიან მშობლად და მეორეს შვილად, არ არის დამოკიდებული იმ მოვლენად ყოფნა, რა მოვლენასაც ისინი სამართალში წარმოადგენენ” (გვ. 58) და ამ მაგალითს თვლის “ტრადიციული დოქტრინის წინააღმდეგ მიმართულად.” ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი ამ შემთხვევაში გაუგებრობის მსხვერპლია. არც ტრადიციულ დოქტრინას და არც სხვა ვინმეს იურიდიული მეცნიერების დარგში არ მოსვლია ჯერჯერობით აზრად იმის უარყოფა, რომ სამართალს სოციალურ და საერთოდ რეალურს სინამდვილესთან აუცილებლად აქვს კავშირი. კერძოდ, თუ ავიღებთ კელზენს, იურიდიული ნორმატივიზმის, ფაქტიურის

და სამართლებრივის დაპირისპირების ყველაზე უკიდურეს წარმომადგენელს, ადვილად დაერწმუნდებით, რომ მის სისტემაში კავშირი სამართლის ნორმას და რეალობას შორის არამც თუ არ არის უარყოფილი, საწინააღმდეგო საკვებით გარყვევით არის აქ აღნიშნული.\*

ამგვარად სამართლის ნორმების შინაარსს, ნორმატივიზმის უკიდურესი წარმომადგენლების თვალსაზრისითაც კი, რეალური მოვლენები წარმოადგენს და ყველასათვის ცხადია, რომ სამართალი ამ რეალურ მოვლენებს ვერ შეცვლის. ამიტომ ავტორის მაგალითი, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ, ღია კარებს აწეება, ფიქრობს ახალ ჭეშმარიტებად გაასაღოს ის, რაც ყველასათვის ღიდი ხანია უღაო არის.

მაგრამ, თუ სამართალს არ შეუძლია რეალური სინამდვილე შეცვალოს, მას შეუძლია ეს რეალური სინამდვილე, საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის სხვადასხვაობის მიხედვით, სხვადასხვა უფლებრივ განზომილებაში აიღოს. ამჟამად, რომ ეს სულ სხვა ამბავია და მას არაფერში საერთო არა აქვს. სამართლის და რეალურ სინამდვილეს შორის მჭიდრო დამოკიდებულების უარყოფასთან. აქ იგულისხმება არა ის, თითქოს სამართალი ამა თუ იმ მოვლენის ბუნებრივ თვისებებს ცვლიდეს, რაც ამჟამად აბსურდია, არამედ ის, რომ ამა თუ იმ მოვლენას სხვადასხვაგვარი იურიდიული კვალიფიკაცია ეძლევა და ეს დამოკიდებით სამართლებრივი სისტემის თავისებურობისაგან, რომელიც თავის მხრივ საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის თავისებურობით არის განსაზღვრული. ცხადია, რომ ამ თვალსაზრისით ამა თუ იმ მოვლენის იურიდიული კვალიფიკაციის სხვადასხვაობა დამოკიდებული მოვლენაა, მაგრამ არა თვით იმ მოვლენისაგან, რომელიც ნორმაშია მოხსენებული, (როგორც ამას ავტორი ფიქრობს/, არამედ საზოგადოებაში მოცემულ ეკონომიკის და კლასობრივ ძალთა განწყობილებისაგან. მხოლოდ ასეთი თვალსაზრისით შეიძლება აუხსნათ ის უამრავი მაგალითები, როდესაც ერთი და იგივე მოვლენა უფლებრივი ცხოვრების ისტორიული პერსპექტივის გასწვრივ სხვადასხვა იურიდიულ კვალიფიკაციას იღებს /მაგ. ფიზიკური ინდივიდის უფლებრივი კვალიფიკაცია/ ანდა ის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე იურიდიული ფორმა /ან უფლებრივი სამოსი როგორც ამას ჩვენი ავტორი ამბობს/ ბუნებრივი თვისებების მხრივ არსებითად განსხვავებული მოვლენების უფლებრივ რეგლამენტაციას ემსახურება /მაგ. ხელშეკრულება/ და პირიქით/...

ყველა ეს ფაქტები იმას ამტკიცებენ, რომ უფლებრივი ფორმა ამა თუ იმ მოვლენის ბუნებრივი თვისებების ზედნართს არ წარმოადგენს და რომ ამა თუ იმ მოვლენის სამართლის სისტემაში "მოხსენიება" /გვ. 58/, მით უმეტეს მისი იურიდიული კვალიფიკაცია, ის იურიდიული შედეგი, რომელიც ამ მოვლენას უკავშირდება, უკანასკნელის ბუნებრივი თვისებებით კი არ განისაზღვრება, არამედ საზოგადოების ეკონომიკით, რომლის ზედნაშენს წარმოადგენს საზოგადოების როგორც სოციალური ისე იურიდიული ფორმები.

სარეცენზიო ნაშრომში ჩვენ ვერ ეპოულობთ იმის გაშუქებას, თუ რა გზით ფიქრობს ავტორი თავისი დებულებები ზევით მითითებულ ფაქტებთან შეაგუოს; არის მხოლოდ ერთი ადგილი, სადაც ავტორი გაკვირვებით ეხება ამ საკითხს, ეს არის სარეცენზიო

\* აქ დღემდე უნდა ყოფილიყო მითითებული კვლავინი სიტყვები ხსენებული აზრის დასაბუთებისათვის. ამ სიტყვების ნაცვლად დღემდე მხოლოდ ცარიელი ადგილია დატოვებული (ო.გ.).

ნაშრომის 24-ე გვერდი, სადაც თუმცა ლაპარაკია სამართლის სუბიექტზე, მაგრამ ყოველივე იქ ნათქვამი შეიძლება გავრცელებულ იქნეს დანარჩენ ფაქტებზეც, რომლებსაც ავტორი ეხება; ეს იმ საფუძვლით, რომ ნაშრომის 54-58-ე გვერდებზეც სამართლის სუბიექტი და სხვა დანარჩენი ფაქტები, რომელნიც ნაშრომში "მოხსენიებულია", იმ საკითხის გაშუქების დროს, რომელიც სამართლებრივი რეგულაციისათვის ფაქტების ბუნებრივი თვისებების მნიშვნელობას შეეხება, გაიგივებული არიან. რას ამბობს ავტორი აქ? ამ შემთხვევაშიც ავტორი იმ დებულებას იცავს, რომ სამართლის სუბიექტად ყოფნა, ე.ი. გარკვეული იურიდიული კვალიფიკაცია, რომელიც ფიზიკურ ინდივიდს ეძლევა, თვით ამ ინდივიდის თვისებებზეა დამოკიდებული. ავტორისათვის უცნობი არ არის, რომ პოზიტიურ სამართალში სამართლის სუბიექტად ცნობილია არა მარტო ფიზიკური ინდივიდი, მაგრამ ავტორის კონსტრუქციისათვის ამ ძირითად და ჩვენი აზრით გარდაუვალ დაბრკოლების თვითგანაწილებას იგი ძალიან ზერელე არგუმენტაციის საშუალებით ფიქრობს. მისი მსჯელობა აქ შემდეგია "ვინც უნდა ჩათვალოს კანონმდებელმა" /ე.ი. პოზიტიურმა სამართალმა. ი.ს. სამართლის სუბიექტად, ნამდვილი სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ პიროვნება, როგორც შესაძლებელი ღირებულებითი აქტების მატარებელი". ჩვენი აზრით ასეთი მსჯელობა აბსოლუტურად მიუღებელია და ვერაფერს ვერ დააკმაყოფილებს. საკმარისია გავისხენოთ, რომ სამართლის სუბიექტი მხოლოდ პოზიტიური სამართლის ფარგლებში არის მოცემული და ამიტომ იმ მომენტების ამოყრფა, რომელნიც სუბიექტის ცნებაში იგულისხმება, მხოლოდ პოზიტიური სამართლიდან უნდა ხდებოდეს. აქ საქმე პოზიტიური სამართლის ე.წ. განმარტებით ნორმებში კი არ არის, რომელნიც შესაძლებელია გარკვეული თეორიული მიმდინარეობის ზეგაყენებით იყენებდნენ გამომუშავებული, არამედ საქმე იმაშია, რომ სამართლის სუბიექტად არა ფიზიკური ინდივიდის დასახვა თვით პოზიტიური სამართლის სისტემაშია შეტანილი, როგორც მისი ორგანულად შემადგენელი მომენტი და სწორედ ამიტომ ამ გარემოებისათვის გვერდის ახვევა იურიდიული კონსტრუქციისათვის საბედისწეროა. უკანასკნელს რაიმე ღირებული მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, როდესაც იგი თავის ფარგლებში იტევს პოზიტიური სამართლის მიერ მოწოდებულ მასალას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი იგი მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ ღირებულებას. აქედან კი თავისთავად გამომდინარეობს ის შეფასება, რომელიც ავტორის კონსტრუქციას უნდა მიეცეს ამ საკითხში, და არა მარტო ამ საკითხში, არამედ მთლიანად მის ზევით მოყვანილ შეხედულებას. ეს შეფასება შეიძლება იყოს მხოლოდ უარყოფითი.

საერთოდ ფაქტების და სამართლებრივი რეგულაციისათვის მათი მნიშვნელობის საკითხიდან ავტორი ნორმატულ ფაქტების პრობლემაზე გადადის. უნდა ითქვას წინდაწინვე, რომ წიგნის ეს ნაწილი ყველაზე უფრო ნაკლებად მოფიქრებულია. იგი უმთავრესად სხვა ავტორების შეხედულებათა კრიტიკულ განხილვას შეიცავს, ხოლო ავტორის საკუთარი აზრი ამ საკითხის ირგვლივ, თუ რას წარმოადგენს ნორმატიული ფაქტი, ე.ი. სარეცენზიო ნაშრომის მთავარი თემატური პრობლემის ირგვლივ, მოთავსებულია სულ ხუთიოდე გვერდზე. ამ მცირე მანძილზეც ავტორის მთელი მსჯელობა რაიმე დასაბუთების ნაცვლად წმინდა დეკლარატიულ დებულებებს შეიცავს, რომელნიც სწორედ ამიტომ ყოველგვარ დამაჯერებელ ძალას მოკლებულნი არიან. ჩვენ აქ ადგილის უქონლობის გამო /ისედაც გაჭიანურდა რეცენზია/ შეუძლებლად

მიგვაჩნია იმ კრიტიკულ შენიშვნებზე შეჩერება, რომლებსაც ავტორი აყეთებს ნორმატიული ფაქტების ირგვლივ არსებულ სხვა და სხვა შეხედულებების მიმართ. ჩვენი აზრით, ბევრი რამ, რაც ამ კრიტიკულ შენიშვნებში აქვს ავტორს აღნიშნული, გაუგებრობის შედეგია. მაგალითისათვის შესაძლებელია გავიხსენოთ ავტორის მთავარი არგუმენტი იმ თეორიების წინააღმდეგ, რომელნიც ნორმატიული ფაქტის პრობლემას სამართლის წყაროს უკავშირებენ; ეს არგუმენტი იმას უთითებს, თითქოს "სამართლის წყაროს თვისებები მთლიანად სამართლის შექმნის უნარით ამოიწურება... სამართლის წყაროს არ შეუძლია შექმნას სხვა რამ თუ არა სამართალი" (გვ. 76). ავტორის აზრით, ეს არგუმენტი მტკიცებას არ მოითხოვს. ჩვენი აზრით კი იგი აშკარად ყალბია. თუ ავტორი ფიქრობს: ნორმატიული ფაქტების პრობლემა არსებითად (შეიძლება დავასაბუთოთ (ო.გ.) სხვადასხვა საფუძველიდან /გვ. 74/, გაცილებით უფრო დასაბუთებულია საწინააღმდეგო ე.ი. ის, რომ ერთი და იგივე საფუძველიდან შესაძლებელია სხვადასხვა შედეგის მიღება. თუ ეს ასეა-ავტორის მტკიცება, რომ სამართლის წყაროს ფუნქცია, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, იმ მოვლენის შედეგი, რომელსაც სამართლის წყაროს მნიშვნელობა ეძლევა, თითქოს მხოლოდ სამართლის შექმნით ამოიწურებოდეს, საფუძველს მოკლებულად უნდა იქნეს ცნობილი. მაგრამ ჩვენ ამაზედ შეჩერება აქ არ მიგვაჩნია აუცილებლად და ეს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ კიდევაც რომ გავიზიაროთ ავტორის კრიტიკული შენიშვნების სისწორე, ეს შორეულადაც არ იქნება თვით ავტორის საკუთარი კონსტრუქციის დამადასტურებელი. აშკარაა, რომ აქ მთავარი ყურადღება ამ უკანასკნელს უნდა მიექცეს.

რამი მდგომარეობს ავტორის საკუთარი შეხედულება ნორმატიული ფაქტების პრობლემაზე? ეს შეხედულება სარეცენზიო ნაშრომში შემდეგნაირად არის გამოთქმული: „.. არსებობს ფაქტები, რომელთაც თავისი ბუნების თანახმად, შეუძლიათ შექმნან აზრთა კავშირის ისეთი კომპლექსი, რომლისადმი ლოღოვური დამოკიდებულება "შე" და "სხვას" განსაზღვრავს უფლებამოსილებისა და ვალდებულების მნიშვნელობით" /გვ. 71/. ამ განსაზღვრებისათვის, რომელიც სარეცენზიო ნაშრომის არსებით საკითხს ეხება, განსაკუთრებული სიზუსტე იყო საკვალდებულო სამწუხაროდ, სიზუსტის ნაცვლად აქ ძალიან ბევრი ბუნდოვანი მომენტი არის. ასე, მაგალითად, ძნელი წარმოსადგენია თუ როგორ უნდა გავიგოთ, რომ ფაქტები თავისი ბუნებით ქმნიან აზრთა კავშირის გარკვეულ კომპლექსს, მაგრამ სრულებით გაუგებარია, თუ როგორ შეუძლია ამ აზრით კომპლექსისადმი ლოღოვური დამოკიდებულებას ჩვენ გაგვსაზღვროს უფლებამოსილისა და ვალდებულის მნიშვნელობით. ყველაფერი ეს, ჩვენი აზრით, სრულებით უშინაარსო ფრანზოლოგიაა და, თუ ზევით მოყვანილ განსაზღვრას რაიმე აზრი შეიძლება მიექცეს, ეს მხოლოდ ის, რომელშიდაც გარკვეული ფაქტები ნაგულისხმევია როგორც უფლება-მოვალეობის წარმომშობი. ამგვარად, ავტორის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ არსებობს ფაქტების გარკვეული სახე, რომელნიც "თავისი ბუნებით" ქმნიან უფლებას და მოვალეობას. გამოთქმა "თავისი ბუნების თანახმად" აქ აშკარად ნიშნავს: პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებლად.

სანამ იმ მაგალითების განხილვაზე გადავიდოდეთ, რომლებშიც, ავტორის აზრით, მკვლევანდება ნორმატიული ფაქტების არსი და თავისებურება, საჭიროა წინასწარ რამდენიმე ზოგადი ხასიათის მოსაზრების მოყვანა, რომელნიც ავტორის ზევით მოყვანილ განსაზღვრავს ამთავითვე პრობლემატურად ხდიან, როდესაც აღნიშნულ



განმარტებაში ავტორი ნორმატიული ფაქტის თავისებურებას იმაში ხედავს, რომ იგი გარკვეულ სუბიექტებს “საზღვრავს ვალდებულის მნიშვნელობით, ჩვენ ეფიქრობთ, რომ ამით ავტორს თავის განმარტებაში ისეთი ელემენტი შეაქვს, რომელიც მას შიგნითვე არღვევს. მართლაც, გამოთქმა ამა თუ იმ სუბიექტის ვალდებულების მნიშვნელობით განსაზღვრის შესახებ ხომ უდაოდ შესაძლებელია მართო ერთი აზრით იქნეს გაგებული, სახელდობრ, იმ აზრით, რომ სუბიექტის გარკვეული სახის მოქმედება ნაგულისხმევია როგორც ჯერარსი. მაგრამ თუ ეს ასეა, ხომ უდაოა, რომ რამდენადაც ეს ჯერარსობრივობა დაკავშირებული არ არის გარკვეულ ინდივიდთან, იგი / ჯერარსობრივობა/ შესაძლებელია მოცემულ იქნეს გარკვეულ ნორმატიულ ფორმაში, ე.ი. გარკვეული ნორმის სახით? ამ დებულების უდაო ხასიათს ალბათ თვით ავტორიც ცნობს, ვინაიდან სარეცენზიო ნაშრომის 70 გვ. ჩვენ სიტყვა-სიტყვით შემდეგს ვკითხულობთ:” დიდ განმარტებას არ მოითხოვს ის დებულება, რომ თუ რასმე ნორმატიულობის ხასიათს ვაკუთვნებთ, ნორმატიულობა შეიძლება მიეწეროს რასმე მხოლოდ იმ შინაარსით, რომელიც თვითონ ნორმატიულობით ხასიათდება, ე.ი. იმისათვის, რომ რასმე ნორმატიულობის ხასიათი მიეკუთვნოს, საჭიროა ნორმა, რომელიც ამ რასმე ნორმატიულობის ხასიათს აწერს” /გვ. 70/. ავტორი აქ უფრო შორს მიდის, შედარებით იმასთან, რასაც ჩვენ ვამტიკვებთ; სახელდობრ, ავტორის ამ მსჯელობიდან აუცილებლად გამომდინარეობს, რომ არა მხოლოდ სუბიექტის ვალდებულის მნიშვნელობით განსაზღვრისათვის /რაც სხვათა შორის ნორმატიული ფაქტების სახელწოდებიდანაც იგულისხმება/, არამედ იმისთვისაც კი, რომ ამა თუ იმ ფაქტს ნორმატიული ხასიათი მიეცეთ, საჭიროა გარკვეული ნორმის არსებობა, რომლის საფუძველზეც ხდება ფაქტის ნორმატიული კვალიფიკაცია. ავტორის მთელი კონსტრუქციიდან აუცილებელია ის დასკვნა, რომ ასეთი ნორმის სახით ჩვენ ვერ მივიღებთ სამართლის ნორმას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ნორმატიული ფაქტი სამართლიდან დამოკიდებულ ხასიათს მიიღებდა, რაც, ჩვენი ავტორის აზრით, კატეგორიულად უნდა უარყოფილ იქნეს. მაგრამ თუ ეს ასეა, ბუნებრივია კითხვა, რა სახის ნორმასთან გვაქვს ჩვენ აქ საქმე? ამ საკითხის გაშუქება ავტორისათვის საუალდებულო იყო, მაგრამ ისე, როგორც სხვა შემთხვევებში, რომლებზედაც ზევით იყო მითითებული, ავტორი დუმილს ამჯობინებს. ამისდა მიუხედავად ჩვენ უდაოდ მიგვაჩნია, რომ ის ვალდებულება, რომელიც ნორმატიული ფაქტის საფუძველზე წარმოიშობა ამა თუ იმ ინდივიდისათვის, იურიდიული, უფლებრივი ხასიათის მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ თვით ნორმა, რომლითაც განსაზღვრულია ერთის მხრით, ფაქტის ნორმატიულობა, ხოლო მეორეს მხრით კი ინდივიდი ვალდებულის მნიშვნელობით, სამართლის ნორმა არის, ვინაიდან უდაო ჭეშმარიტებაა, რომ რადგან, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, /ე.ი./ როგორც ფაქტის ნორმატიულობის აღიარებისათვის, ისე ამა თუ იმ პირის ვალდებულის სახით განსაზღვრისათვის /ნორმის არსებობა აუცილებლად არის ცნობილი/ პირველ შემთხვევაში თვით ავტორისაგან, მეორე შემთხვევაში კი-ზევით მოყვანილ მოსაზრებების გამო/. ეს ნორმა შეიძლება იქნეს მხოლოდ სამართლის და არა სხვა სახის ნორმა, თუ, რასაკვირველია, ჩვენ ეფიქრობთ, რომ აქ წარმოშობილი ვალდებულება იურიდიული და არა სხვა რაიმე სახის /მაგ. ზნეობრივი, ვალდებულებაა. და როდესაც ავტორი ძალიან დიდ ენერგიას ხარჯავს იმის დასამტიკვებლად, რომ ფაქტის ნორმატივობა

სამართლიდან არ გამოიყვანება, ჩვენ ვფიქრობთ, აქედან იმ ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ვალდებულება, რომელიც ასეთი ფაქტის საფუძველზე წარმოიშობა, არ შეიძლება იქნეს იურიდიული ხასიათის.

ამ წინასწარ შეფასებას საესებით ადასტურებს იმ მოსაზრებისა ანალიზი, რომელიც ამ ავტორს მოჰყავს ნორმატიული ფაქტების იმ გაგების დასადასტურებლად, რომელსაც სარეცენზიო ნაშრომი იძლევა.

ავტორის მთელი არგუმენტაცია აქ მხოლოდ ერთი საკითხით არის განსაზღვრული; იგი მიზნად ისახავს მხოლოდ იმის დამტკიცებას, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პოზიტიური სამართალი ხელშეკრულებას, შეთანხმებას თუ დაპირებას, ე.ი. ჩვენი ავტორის გაგებით ნორმატიულ ფაქტებს ბათილად აღიარებს, ამით, ავტორის მტკიცებით, არ იცვლება აღნიშნული ფაქტების ბუნება, კანონშეზომილება და „ის ინტიმური განცდა /ლოლიკური მნიშვნელობით/, რაც ამ აქტებთან უშუალოდ დაკავშირებულია“ /გვ. 93/, ამით არ ისპობა ის ინტიმური კავშირი, რომელიც ამ აქტებთან გვაქვს. ეს გაბათილება ქმნის მხოლოდ შესაძლებლობას არ შევასრულოთ ის, რის შესრულებასაც აღნიშნული ფაქტების კანონშეზომილობა გვიყარნახებს.”/

გვ. 95: “განა ისეთი შემთხვევა, როდესაც ჩვენ ვდებთ ხელშეკრულებას ისე, რომ არ ვიცით ითვალისწინებს თუ არა ამას პოზიტიური სამართალი, კანონიერია თუ არა ხელშეკრულება, ეს ბოლოს ირყევა, როცა ჩვენ უკვე გვაქვს მთელი ისტორია იმის შესახებ, რომ მე და სხვა გააზრიანებული ვართ, როგორც უფლებამოსილი და ვალდებული. მერე, საიდან მივიღებთ ამას, თუ ჩვენ, პოზიტიური სამართლის ნორმებისგან დამოუკიდებლად თვით ხელშეკრულების აქტის საფუძველზე მოცემული არა ვართ ერთმანეთისათვის უფლებამოსილისა და ვალდებულის აზრის მნიშვნელობით?” „შეიძლება ვაღიაროთ, რომ დადებული ხელშეკრულება კანონს ეწინააღმდეგება, მაგრამ ვერაინ აკრძალავს იმ განცდას, რომელიც უსათუოდ თან უნდა სდევდეს კანონსა და ხელშეკრულებას შორის აღმოჩენილი წინააღმდეგობის შეცნობას.”

გვ. 96 უთითებს რა უკმაყოფილების გრძნობას, რომელსაც ჩვენ განვიცდით იმ ხელშეკრულების შეუსრულებლობის დროს, რომელიც კანონს ეწინააღმდეგება, ავტორი განაგრძობს: ეჭვის გარეშე, რომ ჩვენ არ გვექნებოდა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რომ ხელშეკრულებით შექმნილ აზრთა მთლიანობაში არ ვწვდებოდეთ სიმართლეს უფლებამოსილისა და ვალდებულის ნამდვილი განწყობილების შესახებ.” გვ. 96: “ხელშეკრულების შეუსრულებლობაში ყოველთვის რაღაც განიცდება როგორც დარღვეული; ამ შეუსრულებლობის განცდაში კი, ყოველთვის აქვს ადგილი იმის განცდას, რაც უნდა შესრულებულიყო.”

გვ. 98: “მაშინაც, როდესაც პოზიტიური სამართალი მიუღებლად ცნობს ამა თუ იმ ხელშეკრულებას, ჩვენ ნათლად განვიცდით ხელშეკრულების საეკლდებულო ბუნებას.”

გვ. 107: “განა ჩვენ თავს ვალდებულად მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ, როცა პოზიტიური სამართლის ნორმების შემსრულებელი ვართ? განა ვერ დაეკავებოდით ისეთ შემთხვევებს, როცა ანალოგიური განწყობილება სხვა მიზეზების შედეგად არის? განა ყოველ ჩვენგანს არ შეუძლია დაადასტუროს რომ არშესრულება ხელშეკრულებისა, რა ელიც თუნდაც პოზიტიური სამართლის ნორმების წინააღმდეგ არის დადებული,

ვერ გვათავისუფლებს არშესრულების განწყობილებისაგან, რომელიც არსებითად რაიმე ფსიქიურ განცდას კი არ წარმოადგენს, არამედ ლოღიურ დამოცილებულებას იმისადმი, რაც თავის თავის მიერ დანიშნულია შესასრულებლად.”

უნდა ითქვას, რომ ავტორის შეხედულებები ძალიან ხშირად შინაგან წინააღმდეგობებს შეიცავს. მაგ. როდესაც ავტორი ნაშრომის 70-ე გვერდზე ამბობს: „იმისათვის, რომ რასმე ნორმატიულობის ხასიათი მიეკუთვნოს, საჭიროა ნორმა, რომელიც ამ რასმე ნორმატიულობის ხასიათს აწერს“.

ამჟამად, რომ ეს დებულება უდაოდ შეეფარდება ნორმატიულ ფაქტებსაც, ვინაიდან ამ ფაქტებსაც ხომ ნორმატიული ხასიათი აქვს მიუთვნილი, მაშასადამე, ავტორის საკუთარი დებულების თანახმად, აქაც ჩვენ უნდა ვცნოთ გარკვეული ნორმის არსებობის აუცილებლობა, რომლის საფუძველზეც ხდება ფაქტის ნორმატიული კვალიფიკაცია. ამის მიუხედავად, ავტორი აქ საყვირეულ გულმამიწყოებას იჩენს და ნაშრომის 94-ე გვერდზე გვეუბნება: ნორმატიული ფაქტების „ნორმატიულობა თვით ფაქტის შინაგანი ბუნებითად გამომდინარეობს და არა ნორმიდან“. ასეთი გულმამიწყოება, ასეთი ამჟამად წინააღმდეგობა მხოლოდ ისეთ ნაშრომშია შესაძლებელი, რომელიც საკმაოდ მოფიქრებულ მეცნიერულ დამუშავებას მოკლებულია.

გვ. 108: “განა ჩვენ შეგვიძლია ეს მდგომარეობა, რომელიც ხელშეკრულების შეუსრულებლობასთან არის დაკავშირებული რაიმე ფსიქიურ მდგომარეობად ჩათვალოთ? არასოდეს /გვ. 109/.” ხელშეკრულების ან დაპირების დარღვევა არის არა რაიმე უბრალო ფსიქიური მდგომარეობა, არამედ რაღაც ლოღიური დამოცილებულება თვით დაპირებულისადმი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობისადმი, არის განცდა და გააზრდიანება იმის დარღვევისა, რაც წინასწარ აღნიშნულია შესასრულებლად”. რამდენიმე სტრიქონით ქვევით ავტორი თავისი აზრის უფრო მეტად განსამარტად აღნიშნავს: “მდგომარეობა, რომელშიაც არშესრულება აზრიანდება სხვა არა არის რა, თუ არა თავისებური ლოღიური დამოცილებულება დაპირებულისადმი, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობისადმი.”

ჩვენ განზრახ ასე ვრცლად მოვიყვანეთ ამონაწერები ნაშრომიდან და ეს იმიტომ, რომ ამ ამონაწერებში მთლიანად გადმოცემულია ავტორის არგუმენტაცია სარეცენზიო ნაშრომის მთავარი, თემატური საკითხების ირგვლივ. ეს არგუმენტაცია მიზნად ისახავს მხოლოდ ერთი დებულების დამტკიცებას, სახელდობრ იმის, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პოზიტიური სამართალი ბათილად აცხადებს ამა თუ იმ ხელშეკრულებას, უკანასკნელი ჩვენთვის მაინც ინარჩუნებს თავის საკლდებულო ბუნებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნორმატიული ფაქტების იმ გაგების დასაბუთებისათვის, რომელიც სარეცენზიო ნაშრომში არის მოცემული, ეს ერთი არგუმენტი არამც და არამც თუ საკმარისი არ არის /კიდევაც რომ ვცნოთ მისი სისწორე/, მას საერთოდ ნორმატული ფაქტების პრობლემის გადაჭრის დროს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მართლაც, და რა ღირებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული პრობლემის გაშუქების დროს მითითებას იმ ფსიქიურ განცდაებსა და განწყობილებებზე, რომელნიც ნორმატიული ფაქტის საფუძველზე აღმოცენებული ვალდებულების შეუსრულებლობის დროს ჩნდებიან თურმე ჩვენს ფსიქიკაში. მართალია, ავტორი არა მხოლოდ ფსიქოლოგიური, არამედ ლოღიური ხასიათის დამოცილებულებას ხედავს, მაგრამ თუ რამდენად სწორია ავტორის ეს

მოსაზრება და საერთოდ თუ რამდენად შესაძლებელია აღნიშნული განცდების მოცემულობაზე მითითებით თვით იურიდიული ვალდებულების ობიექტური არსებობის მტკიცება, ამაზე ჩვენ ქვევით შეგვირდებით, სადაც გამოირყევა, რომ ავტორის არგუმენტაცია მთელ რიგ სხვადასხვა სახის გაუგებრობის შედეგია.

ეხლა კი საჭიროა პირველ რიგში იმის გაშუქება, თუ რატომ არა არის საემარისი ზევით მოყვანილი არგუმენტაცია და რა საკითხების წინასწარი გაშუქება იყო აუცილებელი ნორმატიული ფაქტების პრობლემის იმ გაგებისათვის, რომელსაც ავტორი იძლევა. რომ საკითხის ძირითად ძარღვს ჩაეწედეთ, აუცილებელია შემდეგ ორ მომენტს მიექცეს ყურადღება: /ის, რომ ნორმატიული ფაქტების სახით სარეცენზიო ნაშრომში დაპირისპირებულია როგორც სამართლის წყაროსადმი, ისე თვით პოზიტიური სამართლისადმი, რის ლოდიური აუცილებელი შედეგია ორი პარალელური და ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი გზის დაშვება იურიდიული ვალდებულების და უფლებამოსილების წარმოშობისათვის. უკვე ეს დებულებები, რომელნიც ავტორის მსჯელობისათვის ძირითადი მნიშვნელობის არიან, დიდ ეჭვებს ბადებენ და გარკვეული საკითხების გაშუქებას მოითხოვენ. მართლაც, ხელშეკრულება, შეთანხმება, რომელიც ხელშეკრულების შემადგენელ მომენტს აღნიშნავს, ხელშეკრულება ორი ნების შეთანხმება/ და დაპირება ეს ხომ ის იურიდიული ფორმებია, რომელსაც ჩვენ პოზიტიური სამართლის დარგში უდაოდ ვხვდებით და რომელიც აქ გარიგების ერთ-ერთ სახეს აღნიშნავენ? და თუ ეს ასეა, მაშინ როგორ უნდა გავიგოთ მათი პოზიტიური სამართლიდან მოწყვეტა და ამ უკანასკნელისთვის დაპირისპირება? ან შესაძლებელია ავტორი ფიქრობდეს, რომ პოზიტიური სამართლის დარგშიც სხვადასხვაგვარი მოდელია, რომელსაც აქ განიცდის ის ხელშეკრულება როგორც იურიდიული პირობების, ისე უფლებრივი ეფექტის მხრით დამოუკიდებელი იყოს არა პოზიტიური სამართლისაგან, არამედ თვით ხელშეკრულებისაგან? ან შეიძლება ავტორს წარმოდგენილი აქვს არა ერთი, არამედ ორი განსხვავებული ცნება ხელშეკრულებისა, რომელთაგან ერთი პოზიტიური სამართლის ფარგლებში შედის, მეორე კი ნორმატიული ფაქტის სახით გვევლინება? სამწუხაროა, ძალიან სამწუხაროა, რომ ავტორი ყველა ამ საკითხების გაშუქებისათვის, რომლის გარეშე რაიმე გარკვეულობის შეტანა ავტორის კონსტრუქციამში აბსოლუტურად შეუძლებელი იყო, თავს არ იწყუხებს. ვინაიდან თვით ავტორი აქ ღუმილს ამჯობინებს, ჩვენ ძალაუფლებურად გვიხდება იმ შესაძლებელი შინაარსის გათვალისწინება, რომლის აღსანიშნავად სარეცენზიო ნაშრომში იხმარება ხელშეკრულების და სხვ. ცნება. აქ ორი შესაძლებლობა არის დასაშვები: 1/ორი განსხვავებული შინაარსის დაშვება, რომლების აღსანიშნავად ხელშეკრულების ცნება იხმარება. თუ ასეთი იყო ავტორის აზრი, მისთვის აბსოლუტურად სავალდებულო იყო ხელშეკრულების ცნების ტრადიციული გაგების გვერდით, ე.ი. იმ გაგების, რომელშიდაც ხელშეკრულება პოზიტიური სამართლის ერთ-ერთ ფიგურას წარმოადგენს და არა ნორმატიულ ფაქტს, ხელშეკრულების ცნების ახალი განმარტება მოეცა. რამდენადაც ეს შესრულებული არ არის სარეცენზიო ნაშრომში, ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ავტორი ხელშეკრულების ცნების ქვეშ ახალ შინაარსს არ გულისხმობს და ამდენად ავტორის ნამდვილი აზრის ინტერპრეტაციის ეს პირველი შესაძლებლობა უნდა უარყოფილ იქნას. 2/მეორე შესაძლებლობა: ავტორი ხელშეკრულების ცნების ქვეშ იმავე შინაარსს გულისხმობს, რასაც ტრადიციული

შეხედულება, მხოლოდ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ხელშეკრულების საველდებულო ბუნება პოზიტიური სამართლიდან კი არ გამოჰყავს, არამედ თით ხელშეკრულებიდან, როგორც ნორმატიული ფაქტიდან.<sup>3</sup> ვფიქრობთ, რომ ავტორის შეხედულება ამ საკითხში სწორედ ამ აზრით შეიძლება იქნას გაგებული. ეს აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ხელშეკრულება სრულებით არ წარმოადგენს პოზიტიური სამართლის ფიგურას, რომ იგი შესაძლებელია აქ მოხსენებული იქნას, მაგრამ თავის საველდებულო ძალას თავის თავშივე ატარებს; ამიტომ, დამოუკიდებლად იმისაგან იხსენებს თუ არა მას პოზიტიური სამართალი, ე.ი. როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება სამართლით გაუთვალისწინებელ ან აკრძალული ობიექტის გამო დაიდება, იგი თავის და თავად ქმნის უფლებას და ვალდებულებას. პოზიტიურ სამართალს შეუძლია მხოლოდ გამოიყენოს იგი როგორც პირველადი წყარო უფლება-მოვალეობის წარმოშობისათვის, მაგრამ მას არ შეუძლია მოსპოს ეს უფლება და მოვალეობა, რომელიც ხელშეკრულებიდან გამომდინარეობენ; მას შეუძლია ამ მხრით მხოლოდ აკრძალოს იმის შესრულება, რაც ნორმატიული ფაქტის საფუძველზე ამა თუ იმ პირისათვის განსაზღვრულია როგორც საველდებულო. ასეთია ავტორის კონსტრუქციის ერთადერთი შესაძლებელი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული დამოკიდებულება ხელშეკრულების, როგორც პოზიტიური სამართლის ერთ-ერთი ფიგურის და ხელშეკრულების, როგორც ნორმატიულ ფაქტს შორის შეიძლება ასეთი კონსტრუქცია გააზრებულ იქნეს? ჩვენ ვფიქრობთ, იგი იმდენად ხელოვნურია, იმდენად აშკარა წინააღმდეგობაში არის მთელ რიგ მეცნიერებაში საკმაოდ დასაბუთებულ დებულებებთან /რომელიც სარეცენზიო ნაშრომში უარყოფილ არიან/, რომ ამ კონსტრუქციის მეცნიერული ღირებულების საკითხი მხოლოდ უარყოფითად შეიძლება გადაწყდეს. მართლაც, თუ პოზიტიური სამართალი, სამართლის იდეის “გასაგნებად”, მის რეალიზაციად ავტორმა იმიტომ გამოაცხადა, რომ სამართლებრიუსა და ფაქტიურს შორის ღრმა დემაგოგიული ხაზი გაველო, ამ ორი ცნების ლოგიკური დაპირისპირების შესაძლებლობა შეექმნა, თუ საერთოდ ფაქტიურის სამართლებრივისადმი სარეცენზიო ნაშრომის ინტენციის თანახმად იმიტომ არის შესრულებული, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ნორმატიული ფაქტის, რომელიც საერთო ფაქტიურის დარგს ეკუთვნის დახასიათება იმ სპეციფიურობით, რომ ნორმატიულობის მატარებელია სამართლისადმი კატეგორიული დაპირისპირება, თუ ასეთი დაპირისპირებისათვის ავტორი არ ზოგავს ენერგიას დააგროვოს ერთი მეორეზე სხვადასხვა თვისებები, რომლითაც ნორმატიული ფაქტის სამართლის სფეროსადმი დაახლოვების შესაძლებლობა იმთავითვე უარყოფილ უნდა იქნეს, ჩვენ საფუძველი გვაქვს ვეითხოთ – როდის არის შესაძლებელი, რომ სამართლისათვის ამდენად უცხო ონტოლოგიური თვისებების მხრივ არსებითად განსხვავებული ელემენტი, არამც თუ პოულობს ადგილს სამართლებრივ სისტემაში, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობათა უფლებრივი რეგულაციის ერთ-ერთ მთავარ ფორმას წარმოადგენს? თუ სამართალი არსებითად სხვა კანონზომიერებას ექვემდებარება, ეინემ ნორმატიული ფაქტი, - ვთქვამთ ხელშეკრულება, - როგორ არის შესაძლებელი რომ სამართალი მას გამოიყენებს თავისი მიზნებისათვის სამართლისათვის იმანენტური კანონზომიერების ფარგლებში? ან როგორ უნდა გავიგოთ ის საკმაოდ დადასტურებული

<sup>3</sup> ცხადია, რომ რასაც ჩვენ აქ ხელშეკრულების შესახებ ვლაპარაკობთ, საუბარი შეეხება აგრეთვე შეთანხმების დაპირებას, ეი დანარჩენ ნორმატიულ ფაქტებსაც.

ფაქტი, რომ პოზიტიური სამართლის ფარგლებში, უკანასკნელის ისტორიული ევოლუციის გასწვრივ, ხელშეკრულება ცვალებადობას განიცდის არა მხოლოდ თავისი შინაარსის მხრივ, არამედ ფორმის მხრითაც /მაგ. ხელშეკრულება/.

როგორ უნდა შევარიგოთ ეს ფაქტი ავტორის დებულებასთან ნორმატიული ფაქტების უცვლელობის შესახებ? ყველა ეს საკითხები გაშუქებას და გადაჭრას მოითხოვენ იმ კონსტრუქციისაგან, რომელშიდაც ნორმატიული ფაქტის სახით ხელშეკრულება არის დასახელებული და მის გვერდით კი ნორმატიული ფაქტის პოზიტიური სამართლისადმი დაპირისპირება მთელი კონსტრუქციის ქვაკუთხედს აღნიშნავს. სარეცენზიო ნაშრომი ყველა ამ საკითხებს არც კი იხსენებს

გადავიდეთ ავტორის შეხედულებების განხილვაზე სხვა მხრიდან. ნორმატიული ფაქტის ძირითად თვისებას ავტორი იმაში ხედავს, რომ მას უნარი აქვს შექმნას თავისთავად უფლება-მოვალეობა. თავისთავად ცხადია, რომ საკითხის ამ სახით დაყენებას და გადაჭრას სამართლის მეცნიერებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა მნიშვნელობა, რომ დამტკიცებული იყოს, რომ უფლება და მოვალეობა, რომელსაც ჩვენ აქ ვხვდებით იურიდიულ ხასიათს ატარებენ. სინამდვილეში სწორედ ამის საწინააღმდეგოდ არის ჭეშმარიტება. საკმარის ცნობილია ის დებულება, რომ შინაარსის მხრივ ზნეობრივი ვალდებულება ძალიან ხშირად იგივეობას წარმოადგენენ და თუ ასეთ შემთხვევებში ჩვენ მაინც შესაძლებლად მიგვიჩნია იურიდიული ვალდებულების, როგორც განსაკუთრებული სახის გამოყოფა, ეს მხოლოდ შესრულების იმ სპეციფიური გარანტიის მიხედვით, რომელიც სამართლის ნორმის საერთოდ და კერძოდ უფლებრივი ვალდებულების ძირითად თავისებურებას ქმნის. აქ სრულებით ამაო იქნება იმაზე მითითება, რომ სამართლის ნორმა ბევრ შემთხვევაში ვერ პოულობს განხორციელებას და რომ თითქოს ამ მოსაზრებით შესრულების მომენტი ირელეევანტი იყოს სამართლის და იურიდიული ვალდებულების ცნებისათვის. ასეთი მოსაზრების საწინააღმდეგოდ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ჯერ ერთი იმის მტკიცება, თითქოს სამართლის ცნებისათვის განხორციელების მომენტი მნიშვნელობას მოკლებული იყოს, აშკარა ვინაიდან არავის ზრად არ მოუვა ნორმათა სისტემას, რომელიც არასდროს არ განხორციელებულა, სამართლის ხასიათი მიაყუთვნოს. შესაძლებელია მთელ სამართლის სისტემაში ესა თუ ის ნორმა ამა თუ იმ გარკვეულ შემთხვევაში არ განხორციელდეს, მაგრამ აქედან შეუძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ სამართლის მთლიანი სისტემა ინდეფერენტი იყოს შესრულების მომენტის მიმართ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ხელიდან გამოგვეცლებოდა ის კრიტერიუმი, რომლითაც მხოლოდ შესაძლებელია სამართლის გამოყოფა საზოგადოებრივი რეგულაციის მხოლოდ წარმოდგენილი სისტემისაგან. მეორე მხრით კი ზევით აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ საკმარისია მიუთითოთ, რომ შესრულების სპეციფიური გარანტია, რომელიც ივლისსხებდა როგორც ნორმის, ისე უფლებრივი ვალდებულების ცნებაში შესაძლებელია გაგებული იქნეს არა მხოლოდ ფაქტიური განხორციელების ასპექტში, არამედ ჯერარსობრივის ზრით, ე.ი. როგორც რაღაც, რომლის შინაარსს ნორმის შესრულების გარანტია ქმნის.

ყველაფერი ეს საჭიროა გავითვალისწინოთ იმისათვის, რომ ავტორის კონსტრუქცია ნორმატიული ფაქტების საკითხში სისწორით შევაფასოთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზევით მოყვანილი დებულების საფუძველზე აღნიშნულ კონსტრუქციის მიმართ შემდეგი.

